

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

XIII



გვერდი ახალი — 100





ზურაბ ანაბაძე
(1920-1984)

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოხუმის
/აფხაზეთის/ სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება
ა ფ ხ ა გ ე თ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

*ედვინება ზურაბ ანჩაბაძის
დაბადებიდან 100 წლისთავს*

საისტორიო ძიებანი

XIII

წელიწდეული

„საისტორიო ძიებანი“ XIII ტომი ეძღვნება გამოჩენილი მეცნიერის, ქართული საისტორიო სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, ზურაბ ანჩაბაძის დაბადებიდან 100 წლისთავს. მასში დაბეჭდილია მასალები სახელოვანი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, აგრეთვე სამეცნიერო სტატიები საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, პოლიტიკური მეცნიერებების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის აქტუალურ პრობლემებზე.

კრებული განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

მთავარი რედაქტორი:

ზურაბ პაპასქირი

სარედაქციო კოლეგია: გიორგი ანთელავა, ჯამბულ ანჩაბაძე, ომარ არდაშელია, ჯონი აფაქიძე, ლია ახალაძე, ჯემალ გამახარია, ბორის კვარაცხელია, კახა კვაშილავა, ავთანდილ კილასონია, თეიმურაზ პაპასქირი, ოთარ ჟორდანიანი, კახაბერ ფიფია, დავით ჩიტაია, ბექან ხორავა, ვახტანგ ჯაფარიძე, ლევან ჯიქია, დაზმირ ჯოჯუა.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 0186, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 61 ტელ.: (995-32) 254-14-12.

E-mail: saistoriodziebani@gmail.com

Webpage: <https://sites.google.com/site/saistoriodziebani>

© სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

© ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, 2022.

ISSN 1512-2085

SOKHUMI STATE UNIVERSITY
GEORGIAN HISTORICAL SOCIETY BY EKVTIME TAKAISHVILI
ABKHAZIAN ORGANIZATION

*Dedicated to the 100th anniversary of
Zurab Anchabadze*

HISTORICAL RESEARCHES

XII

Annual

Tbilisi – 2020-2021

Volume XIII of *“Historical Researches”* is dedicated to the 100th anniversary of *Zurab Anchabadze*, the eminent scientist, one of the brightest representatives of the Georgian historical school, a public and statesman, a true patriot of both his native Abkhazia and his great homeland – Georgia. The papers cover the multifaceted scientific, pedagogical, and public activities of *Zurab Anchabadze*, as well as the history of Georgia, world history, archaeology, ethnology, history, political sciences, international relations and diplomacy.

The annual is intended for the specialists and general readers.

EDITOR-IN-CHIEF:

ZURAB PAPASKIRI

EDITORIAL BOARD: Lia Akhaladze, Jambul Anchabadze, Giorgi Antelava, John Apakidze, Omar Ardashelia, David Chitaia, Jemal Gamakharia, Vakhtang Japaridze, Levan Jikia, Dazmir Jojua, Avtandil Kilasonia, Bejan Khorava, Boris Kvaratskhelia, Kakha Kvashilava, Teimuraz Papaskiri, Otar Zhordania.

ADDRESS OF THE EDITORIAL OFFICE:

61 Ana Politkovskaia str., Tbilisi, 0186, Georgia.

Tel. (995-32) 254-14-12.

E-mail: saistoriodziebani@gmail.com

Webpage: <https://sites.google.com/site/saistoriodziebani>

© Sokhumi State University

© Abkhazian Organization of All-Georgian Historical Society by Ekvtime Takaishvili, 2022.

ISSN 1512-2085

შ ი ნ ა ა რ ს ი

ზ უ რ ა ბ ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე – 100

ზურაბ ჰაპასქირი. გამოჩენილი მეცნიერი, უბადლო რაინდი, ჭეშმარიტი მამულიშვილი – <i>ზურაბ ანჩაბაძე</i>	9
Зураб Папаскири. Выдающийся ученый, истинный рыцарь, пламенный патриот Отечества – <i>Зураб Анчабадзе</i>	30
როინ მეტრეველი. ღირსებითა და სიკეთით სავსე მოღვაწე	49
ზურაბ ხონელიძე. აფხაზი კაცი, ქართველი მეცნიერი	53
ჯამბულ ანჩაბაძე. რაინდული შემართების მეცნიერი და მამულიშვილი	56
ომარ არღამელია. მცირე მოგონება მასწავლებელზე	69
ლუიზა ბესელია. არდავიწყება	75
თამაზ ჩოჩია. ზოგი რამ პროფესორ ზურაბ ანჩაბაძეზე	79
ზურაბ ჰაპასქირი. რვა წელი სახელოვანი მეცნიერისა და მამულიშვილის გვერდით. <i>ზოგიერთი მტრისი ზურაბ ანჩაბაძის პორტრეტისათვის</i>	85

ი ს თ რ ი ა

ირაკლი არღვლიანი. ქართველური ეთნო-ეროვნული ერთობის საკითხი და სვანთა წარმომავლობა	128
ლია გაბლიშვილი. რა იცოდნენ საქართველოში ჩინეთსა და ჩინელებზე	167
გურამ ლეგაშვილი. დოლისყანის ეკლესიის ქტიტორთა დადგენის საკითხისათვის	192
ბეჟან ხორავა. რუსეთის იმპერიის კოლონიური ხელისუფლების განმტკიცება აფხაზეთში ყირიმის ომის შემდეგ (1856-1862 წწ.)	204
ოთარ გოგოლიშვილი. ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ისტორიიდან	238
სერგო ვარდოსანიძე. „ჩამაბარეთ უნივერსიტეტის გასაღები“	254
ლევან სამსონია. საბჭოთა წარსულის გადაფასება – „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს, აჭარის კავშირის“ როლი საბჭოთა პროპაგანდის საქმეში	260
ლევან ჯიქია. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის პროექტის განხილვა და დამტკიცება	272

ა რ ქ ე თ ლ თ გ ი ა, ე თ ნ თ ლ თ გ ი ა, კ უ ლ თ უ რ უ ლ ი მ ე მ კ ვ ი დ რ ე თ ბ ა

ნოდარ ბერულავა. საუკუნოვანი ნუმიზმატიკური კამათის დასასრული	282
Константин Рахно. Абазинский нартовский эпос: <i>осетинские и адыгские влияния</i>	293
აჰმეთ იჩლი. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული თხზულება „ამბავი მიჰრისა და მაჰისა“	304

**პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები
და დიპლომატია, სახელმწიფო-პოლიტიკური
ანალიტიკა**

დავით ხუფენია. ერი-სახელმწიფოს წარმოქმნა და პოლიტიკური ელიტის
ლეგიტიმურობის განმსაზღვრელი ასპექტები: საქართველოს
დამოუკიდებლობის აღდგენის მაგალითზე 313

ზაალ გოგენია. საბჭოთა დიპლომატი მარსელ როზენბერგი 324

ლია გაბლიშვილი. საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების
ოფიციალური და სამუშაო ვიზიტები ჩინეთის სახალხო
რესპუბლიკაში. *ჩინური პრესის მასალების მიხედვით* 342

ხათუნა ლაგაზიძე. საინფორმაციო ომი – მულტიფუნქციური იარაღი 370

ბოჩო შურღაია. რუსეთის ჰიბრიდული ომი უკრაინაში
2014-2015 წლებში 383

ოთარ კონჯარია. ყარაბაღის მეორე ომის სამხედრო-ტაქტიკური
და პოლიტიკურ-დიპლომატიური ასპექტები 403

მეცნიერის არქივიდან

ზურაბ პაპასვირი. სწორება დავითზე! *ანუ რატომ უჭერენ მხარს მიხეილ
საკაშვილს* 429

ავტორები 456

CONTENTS

ZURAB ANCHABADZE – 100

Zurab Papaskiri. Zurab Anchabadze – The Eminent scientist, Unparalleled Knight, True Patriot (in Georgian)	9
Zurab Papaskiri. Zurab Anchabadze – The Eminent scientist, Unparalleled Knight, True Patriot (in Russian)	30
Roin Metreveli. The Figure Full of Dignity and Kindness	49
Zurab Khonelidze. Abkhaz Man, Georgian Scholar.....	53
Jambul AnChabadze. Knightly And Patriotic Scholar	56
Omar Ardashelia. A Small Recollection of the Teacher	69
Luiza Beselia. Ad Memoriam	75
Tamaz Chochia. Some Things about Professor Zurab Anchabadze	79
Zurab Papaskiri. Eight Years with a Famous Scientist and Patriot. <i>Some Features for the Portrait Zurab Anchabadze</i>	85

HISTORY

Irakli Arghvliani. Of the Issue of Kartvelian Ethno-National Unity and the Origin of the Svans	128
Lia Gablishvili. What they Knew about China and the Chinese in Georgia	167
Guram Legashvili. For Identifying the Ktetor of the Doliskana Church	192
Bezhan Khorava. Strengthening of Colonial Government of the Russian Empire in Abkhazia after Crimean War (1856-1862)	204
Otar Gogolishvili. From the History of Batumi Self-Government	238
Sergo Vardosanidze. “Give me the Keys”	254
Levan Samsonia. Reassessing the Soviet Past – “The role of the Central Council of the Union of Fighting Unbelievers, the Union of Adjara” in the Soviet Propaganda	260
Levan Jikia. Review and Approval of the Draft Constitution 1978 of Abkhaz Autonomous Soviet Socialist Republic	272

ARCHEOLOGY, ETHNOLOGY, CULTURAL HERITAGE

Nodar Berulava. The End of the Age-Old Numismatic Controversy	282
Kostyantyn Rakhno. Abazin Nart Epos: <i>Ossetian and Circassian Influences</i> (in Russian)	293
Ahmet İchli. The Story of Mihr u Mah in Turkish Language Found in the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts	304

**POLITICAL SCIENCE, INTERNATIONAL RELATIONS
AND DIPLOMACY, MILITARY-POLITICAL
ANALYTICS**

David Khupenia. The Emergence of the Nation-State and the Defining Aspects
of the Legitimacy of the Political Elite: on the Example
of the Restoration of Georgia's Independence 313

Zaal Gogenia. Soviet Diplomat Marcel Rosenberg 324

Lia Gablishvili. The Official Visits of the High Representatives of the Georgian
Government in the People's Republic of China. *According to Chinese Press
Materials* 342

Khatuna Lagazidze. Information Warfare – a Multifunctional Weapon 370

Bocho Shurgaiia. Russia's Hybrid Warfare in Ukraine in 2014-2015 383

Otar Konjaria. Military, Tactical, Political, and Diplomatic Aspects of the Second
Karabakh War..... 403

FROM THE SCIENTIST'S ARCHIVES

Zurab Papaskiri. Following David! Why Do they Support Mikheil Saakashvili 429

Authors 456

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ზ უ რ ა ბ ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე – 1 0 0

ზურაბ პაპასჭირი

გამოჩენილი მეცნიერი, უბადლო რაინდი, ჭეშმარიტი მამულიშვილი

ზ უ რ ა ბ ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე

100 წელი შესრულდა გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, საქართველო-აფხაზეთის დიდი პატრიოტის, ქართული ისტორიოგრაფიის, საზოგადოდ, კავკასიათმცოდნეობის ნამდვილი მშვენების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ *ზურაბ ანჩაბაძის* დაბადებიდან.

ზურაბ ანჩაბაძე თავისი მრავალფეროვანი მეცნიერული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით, ერისკაცობით მნიშვნელოვნად გასცდა თავის ეპოქას და საქართველო-აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კუთვნილებად იქცა. დიახ, ზურაბ ანჩაბაძე თანაბრად ეკუთვნის არა მხოლოდ აფხაზეთს, არამედ სრულიად საქართველოს. ის იმ ჯიშისა და ჯილაგის იყო, ვინც მუდამ ერთგულად ადგა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლების – დიდი მეფეების ლეონ II-ისა და ბაგრატ III-ის – მიერ გაკვალულ გზას. ბატონი ზურაბი აფხაზ მამულიშვილთა იმ სახელოვანი კოჰორტის წარმომადგენელია, რომელიც ღღე-ნიადაგ ფარად ედგა, მშობლიურ აფხაზეთს, სრულიად საქართველოს. ამ მხრივ ის, როგორც არავინ, არის ღირსეული მემკვიდრე, გამგრძელებელი „დიდთა საქმეთა“ *გიორგი შარვაშიძისა*. ისევე როგორც აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ზურაბ ანჩაბაძის მიერ განვლილი გზა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება იყო ერთდროულად მხურვალე პატრიოტი მშობლიური კუთხის – აფხაზეთის და, ამავე დროს, ღირსეული მოქალაქე და მამულიშვილი დიდი სამშობლოსი – საქართველოსი.

ზურაბ ანჩაბაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არაერთი საინტერესო მასალა გამოქვეყნდა. ამ პუბლიკაციებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ: ცნობილი სოხუმელი ისტორიკოსის *არველოდ კუპრავას* მიერ მომზადებული ზ. ანჩაბაძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული.¹ მასში მოთავსებულია სახელოვანი მეცნიერის მრავალმხრივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები. მიუხედავად საბჭოური პერიოდისა და განსაკუთრებით დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურით გამოწვეული ზოგიერთი გადაცდომისა, კრებულში გამოქვეყნებული მასალები (წერილები ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ,² რეცენზიები ზ. ანჩაბაძის პუბლიკაციებზე,³

¹ *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию со дня рождения. Составитель и ответственный редактор **А. Э. Куправа**. Сухум, 2010.

² **А. Э. Куправа**. Зураб Вианорович Анчабадзе – выдающийся истрик-кавказовед, педагог, человек. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию со дня рождения. Составитель и ответственный редактор **А. Э. Куправа**. Сухуми, 2010, გვ. 6-17; **А. Э. Куправа, В. П. Пачулия**. Видный учёный и общественный деятель. К 60 летию со дня рождения и 40-летию научно-педагогической деятельности **З. В. Анчабадзе**. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 32-38; **А. Э. Куправа**. О жизни и деятельности Зураба Вианоровича Анчабадзе. – *Актуальные проблемы истории народов Кавказа*. Материалы научной конференции, посвященной 70-летию со дня рождения **З. В. Анчабадзе**. Сухум, 1996, გვ. 4-13; – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 50-63; **Ш. Д. Инал-па**. Видный абхазский учёный. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 18-22; **Г. А. Дзидзария**. Учёный и педагог. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 22-27; **Г. А. Дзидзария, А. Э. Куправа**. Видный учёный, педагог и общественный деятель. К 65 летию со дня рождения **З. В. Анчабадзе**. – გვ. 38-43; **Г. А. Амичба**. Слово о **З. В. Анчабадзе**. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 53-65; **Б. М. Джимов**. Труды **З. В. Анчабадзе** и изучение социально-экономического развития горцев Западного Кавказа в XIX в. /до 1870 г./ – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 178-190 (პირველად გამოქვეყნდა კრებულში: *Вопросы истории народов Кавказа*. Сборник статей, посвященных памяти **З. В. Анчабадзе**. Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1988, გვ. 22-31).

³ **А. Э. Куправа**. Из истории средневековой Абхазии. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 66-70; **Ш. Д. Инал-па, Л. Н. Соловьёв, М. М. Трапш**. Первая обобщающая работа по истории древней Абхазии. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 70-78; **А. Э. Куправа**. Ценная книга об этнической

ახლო ნათესავებისა და კოლეგების მოგონებები,¹ შრომების ბიბლიო-გრაფია და ა.შ.) მთლიანობაში იძლევა საკმაოდ სრულ წარმოდგენას გამოჩენილი მეცნიერისა და მამულიშვილის ღვაწლზე, თუმცა, დასაინანია, რომ მასში ასახვა ვერ ჰპოვა ქართველ მეცნიერთა (*აკაკი სურგულაძის, თოთარ ჭურღულიას, თოთარ ჟორდანის, ზურაბ ჰაპასქირის* და სხვ.) პუბლი-

истории абхазского народа. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 78-85; **М. Ш. Хварцкия**. С древнейших времён до наших дней. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 86-90; **В. И. Адамия, Г. К. Шамба**. Ценный вклад в историографию Абхазии. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 91-100; **А. Н. Габелия, Л. А. Кемулария**. Ценный вклад в Абхазоведение. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 100-109.

¹ **Георгий Анчабадзе**. Массовый террор в СССР. История одной семьи. – *Київські історичні студії*. Науковий журнал № 2(5), 2017. Київський університет імені Бориса Грінченка. Київ, 2017, გვ. 109-113; **И. В. Анчабадзе**. Брат. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 124-144; **Г. С. Читаиа**. Я был потрясён. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 153-154; **В. Г. Гаджиев**. З. В. Анчабадзе – ученый и человек. *Глазами коллеги и друга*. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 162-177 (აღნიშნული მოგონება პირველად გამოქვეყნდა კრებულში: *Вопросы истории народов Кавказа*. Сборник статей, посвященных памяти **З. В. Анчабадзе**. Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1988, გვ. 10-21. *ვლადილენ გაჯიევს* ეკუთვნის აგრეთვე სპეციალური სტატია ზ. ანჩაბაძის წვლილზე ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიის შესწავლაში. იხ.: **В. Г. Гаджиев**. З. В. Анчабадзе и его место в развитии истории Северного Кавказа. – *Тарих*. №1. Махачкала, 1994); **В. П. Крикунов**. Знаменосец дружбы народов. *Заметки о друге*. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 191-202 (იხ. აგრეთვე: **В. П. Крикунов**. Знаменосец дружбы народов и исследователь ее истоков и истории /заметки о друге/. – *Вопросы истории народов Кавказа*. Сборник статей, посвященных памяти **З. В. Анчабадзе**. Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1988, გვ. 32-41); **М. Р. Гасанов**. Выдающийся учёный-кавказовед и организатор науки. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 202-207 (პირველად გამოქვეყნდა ჟურნალში: *“Научная Жизнь Кавказа”*, №4/44/, 2005); **Дж. А. Рухадзе**. Вспоминая Зураба Анчабадзе. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 154-162; **А. М. Хашба**; Слово о Зурабе Вианоровиче Анчабадзе. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 146-151; **Л. В. беселия-Авидзба**. Память о Зурабе Вианоровиче Анчабадзе. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-ლетию.., გვ. 151-153; **Г. Назарян**. Памяти Зураба Вианоровича Анчабадзе. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., გვ. 144-146 და სხვ.

კაციებმა.¹ რას ვიზამთ, აფხაზეთის ამჟამინდელი მარიონეტული რეჟიმის გამოკვეთილი ანტიქართული პოლიტიკური კურსისათვის ყოვლად მიუღებელია ჩვენმა აფხაზმა თანამემამულეებმა გაიგონ, თუ როგორ დიდ პატივს მიაგებდნენ და მიაგებენ ზურაბ ანჩაბაძეს მისი ქართველი კოლეგები, სრულიად საქართველო.

აღნიშნული პუბლიკაციები საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი და ძირითადად მიმოხილვითი ხასიათისაა. მეტის პრეტენზია არც წინამდებარე პუბლიკაციას გააჩნია – მასში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ზოგადი დაკვირვებები, რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულით იქნება გაშუქებული გამოჩენილი მეცნიერისა და მამულიშვილის, უბადლო რაინდის ღვაწლი ერისა და სამშობლოს წინაშე. სამომავლოდ კი ვეცდებით ზურაბ ანჩაბაძის – ჩვენი დიდი მასწავლებლის, გამოჩენილი მეცნიერის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის სრულფასოვან ანალიზს საგანგებო მონოგრაფიული გამოკვლევა მივუძღვნათ.

ზურაბ ანჩაბაძე დაიბადა 1920 წ. 22 აპრილს ქ. გაგრამი. მამა, ვიანორ ტარასის ძე ანჩაბაძე, სამხედრო ექიმი, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული აფხაზთაგანი; დედა – ვერა შენგელაია, არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოში ცნობილი მოღვაწის ანდრია შენგელაიას ასული.²

¹ აკაკი სურგულაძე. ზურაბ ანჩაბაძე. – წგნ. აკაკი სურგულაძე. არ დავიწყება მოყვრისა. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986; **ოთარ ჭურღულია**. ზურაბ ანჩაბაძე. შტრიხები ბიოგრაფიისათვის.– წგნ. ო. ჭურღულია. სიტყვა ფიქრის სხეულია. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992; **ოთარ ჟორდანიას**. პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე. თბილისი, *თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა*, 2000; **ზურაბ ჰაპასქირი**. გამოჩენილი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი /ზურაბ ანჩაბაძე – 80/ – *საისტორიო ძიებანი*, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება აფხაზეთის ორგანიზაცია, ტ. III. თბილისი, 2000. ამ მხრივ ერთგვარი გამონაკლისი გაკეთდა აკად. გიორგი ჩიტაიას და პროფ. *ჯულიეტა რუხაძის* (იხ.: **ჯულიეტა რუხაძე**. ზურაბ ანჩაბაძის გახსენება. – წგნ. **ჯულიეტა რუხაძე**. ეთნოგრაფიული გულანი. თბილისი, 2003) მოგონებების მიმართ. რაც შეეხება აკადემიკოს როინ მეტრეველის პუბლიკაციას (**როინ მეტრეველი**. ზურაბ ანჩაბაძე. თბილისი, 2010), ის სოხუმში ჩატარებული საიუბილეო ღონისძიებების (2010 წ. 22-23 აპრილი) შემდეგ გამოვიდა და ბუნებრივია, ღონისძიების ორგანიზატორთა სურვილის შემთხვევაშიც კი, ვერ მოხვდებოდა კრებულში.

² ანჩაბაძეების დიდი ოჯახი მამინ სოხუმში ცხოვრობდა. ბატონი ზურაბის დის ქ-ნ ირინა ანჩაბაძის მოგონებით, ვიანორ ანჩაბაძის პირმშოს დაბადება

ბატონი ზურაბის პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ოჯახმა, ტრადიციებმა, რომელსაც ქმნიდნენ ზ. ანჩაბაძის დიდი წინაპრები. მისი პაპა მამის მხრიდან – ტარას ანჩაბაძე უადრესად კოლორიტული პიროვნება გახლდათ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზურაბ ანჩაბაძის ბებულის მარიამ (მამო) დადიანი-ანჩაბაძისას ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

მარიამ დადიანი გახლდათ დადიანთა საგვარეულოს ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენლის, ნიკო ტარიელის ძე დადიანის (1844-1896) და ლილია ანტონის ასულ წულუკიძის ასული; მთაწმინდის ბინადრის – გამოჩენილი მწერლის, დრამატურგის, მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის (1874-1950) და. მისი უშუალო ინიციატივით შეიქმნა საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილება, რომლის უცვლელი თავმჯდომარეც იყო (1908-1926 წწ.), და რომელმაც საერთო-ეროვნული მნიშვნელობის არაერთ საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარა საფუძველი აფხაზეთში: გაიხსნა პირველი ქართული სკოლები; შეიქმნა ხალხური სიმღერების ცნობილი ანსამბლი ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით და ა.შ. მარიამ დადიანი-ანჩაბაძისას მაღალი საზოგადოებრივი ავტორიტეტის დადასტურება იყო მისი მონაწილეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი ადგილობრივი კრების (ჩატარდა 1917 წ. 8-17 სექტემბერს თბილისში) მუშაობაში, რომელზეც ის გამოვიდა მისასალმებელი სიტყვით.¹

გაგრამი შემდეგი გარემოებით ყოფილა განპირობებული: თურმე მათ ბუბიას დედის მხრიდან – თეოლინა სოლომონის ასულს გამოუჩენია ინიციატივა ფეხმძიმობის ბოლო პერიოდი მის ქალიშვილს გაგრამი, მშობლიურ სახლში გაეტარებინა. ოჯახის უფროსს ბ-ნ ტარას ანჩაბაძეს და მის მეუღლეს ეს იდეა მაინცდამაინც არ მოსწონებიათ. ქ-ნ მამოს პირდაპირ განუცხადებია თავისი მზახლისთვის, რომ ყველა ანჩაბაძე დაიბადა მათ სახლში და ვიანორის შვილი რატომ უნდა დაბადებულიყო სხვაგან. მაგრამ ქ-ნ თეოლინას ბოლოს მაინც თავისი გაუტანია. მშობიარობის შემდეგ დედა და ახალდაბადებული სოხუმში ჩამოუყვანიათ, სადაც თოთო ზურაბის ნათლობის აღსანიშნავად დიდი ზეიმი მოუწყვიათ. ნათლიები ყოფილან მამიდა – ტატიანა ანჩაბაძე და ბიძა დედის მხრიდან – ვარლამ მენგელაია. **И. В. Анчабадзе.** Брат. – *Зураб Вианорович Анчабадзе.* К 90-летию., გვ. 124-125.

¹ სიტყვა თქმული მარიამ ანჩაბაძის მიერ ქ. თბილისში საკათალიკოსო კრებაზე 15 სექტემბერს, 1917 წ. – გაზეთი: „ხმა ქართველი ქალის“, #27, 19.X.1917 (<https://genderbarometer.ge/mariam-dadiani/>). მარიამ დადიანი-ანჩაბაძისას მოღვაწეობის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: **სოლომონ ცაიშვილი.** სახალხო

ტარას ანჩაბადის ოჯახმა ექვსი სახელოვანი ვაჟკაცი და ერთი ქალიშვილი¹ აღუზარდა სამშობლოს. 1921 წელს, როდესაც საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის წითელი ურდოები შემოესივნენ, ოთხი მათგანი – ვალერიანი, ვარლამ (ჭიჭი), ვლადიმერ (ლადი) და ნიკოლოზ (კოლია) უყოყმანოდ დადგა აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლკოვნიკ ვალერიან ანჩაბადის დამსახურება. ის იყო აფხაზეთში განთავსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დაჯგუფების სარდლის (გენერალი ღავით ართმელაძე) თანაშემწე და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართული ჯარის არიერგარდს, რომელმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის ფედერაციის IX არმიის 51-ე დივიზიის ნაწილებს ახალ ათონთან, გმირულად დაიღუპა გუმისთასთან.²

მთელს აფხაზეთსა და საქართველოში ცნობილი პიროვნება იყო ბატონი ზურაბის პაპა დედის მხრიდან – ანდრია შენგელაია. ის მდიდარი მემამულე გახლდათ, ამ მხრივ მხოლოდ ოლდენბურგის პრინცს თუ ჩამოუვარდებოდა. ამავე დროს, მას გაგრის ქალაქის თავის თანამდებობაც ეკავა. აღსანიშნავია, რომ ბატონი ზურაბის მშობლების – ვიანორ ანჩაბადისა და ვერა შენგელიას მეჯვარე ქაქუცა ჩოლოყაშვილი ყოფილა, ხოლო მათ ქორწილს დასწრებია იმ დროს ბზიფში მდგარი ქართული კავალერიის ესკადრონის ოფიცერთა კორპუსის მთელი შემადგენლობა. ქართულ ჯარში მსახურობდა აგრეთვე ბატონი ზურაბის ბიძა დედის მხრიდან ვარლამ შენგელაია – პირველი მსოფლიო ომის წლებში ე.წ. „ველური დივიზიის“ ინგუშთა პოლკის ოფიცერი, მოგვიანებით დენიკინის არმიის პოლკოვნიკი, შემდგომ ქართული არმიის ოფიცერი.³

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ბატონი ზურაბის მამის ვიანორ ანჩაბადის პიროვნებაზე. ვიანორ ანჩაბადემ საფუძვლიანი განათლება მიიღო. მან დაამთავრა თბილისის I კლასიკური გიმნაზია და სანქტ-პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია (1914 წ.). პირველი მსოფლიო ომის წლებში ის იყო სამხედრო-სამედიცინო სამსახურში. 1918 წლიდან ვ. ანჩაბადე ფართო საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას

განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. III. თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1968.

¹ **Георгий Анчабадзе.** Массовый террор в СССР. История одной семьи, გვ. 110.

² **Георгий Анчабадзе.** Массовый террор в СССР. История одной семьи, გვ. 110.

³ **Георгий Анчабадзе.** Массовый террор в СССР. История одной семьи, გვ. 111.

ეწეოდა თავის მშობლიურ კუთხეში. იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, საკონსტიტუციო კომისიის წევრი; აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში, რომლებმაც განსაზღვრეს აფხაზეთის ავტონომიის სტატუსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ვიანორ ანჩაბაძე მთელი თავისი საქმიანობით იყო საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობის თანმიმდევრული დამცველი და მებაირახტრე.

ამის ნათელ ილუსტრაციად გამოდგება თუნდაც მისი სიტყვა, წარმოთქმული აფხაზეთის სახალხო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზეც გაიმართა დებატები აფხაზეთში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსთან დაკავშირებით. კამათი გამოწვეული იყო იმით, რომ სახალხო საბჭოს ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატები შეეცადნენ, დაებლოკათ აფხაზეთის კომისარიატის (მთავრობის) გადაწყვეტილება აფხაზეთის სკოლებში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლების შემოღების შესახებ. ოპოზიციისაგან განსხვავებით, აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატთა უმრავლესობა უყოყმანოდ უჭერდა მხარს ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებას. დეპუტატთა ამ ნაწილის თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხზე ყველაზე მკაფიოდ სწორედ ვიანორ ანჩაბაძემ ჩამოაყალიბა. „სახელმწიფო სამართლის ანაბანა სახელმწიფო ენის შესწავლა, მეტიც სწავლება სახელმწიფო ენაზე“ – აცხადებდა ის, – აქ ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ აფხაზეთი არის საქართველოს ნაწილი, როგორც ეს აღიარებულია 20 მარტს (იგულისხმება 1919 წ. 20 მარტს მიღებული „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“ – **ზ.3.**), მაგრამ ვილატეები ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ აღნიშნულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ქართული ენის სწავლების აუცილებლობა. ამიტომაც არის, რომ როგორც კი წამოიჭრება ეს საკითხი ზოგიერთი დეპუტატი ცხარობს. მართალია, ყველასათვის ცნობილია, რომ აფხაზეთი მოსახლეობის შემადგენლობით ინტერნაციონალური მხარეა, მაგრამ სამართლიანი იქნება, რომ ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, აღიარებული უნდა იყოს გაბატონებულად. ამ საკითხს აქვს პრაქტიკული მხარე... რომელი ენა, თუ არა ქართული, ენა მუზობელი ხალხისა, რომელსაც აფხაზეთმა დაუკავშირა თავისი ბედი. აი, როდესაც თქვენ გამოდიხართ ამის წინააღმდეგ, თქვენ უბრალოდ არ გესმით სახელმწიფო სამართლის ანაბანა. ჩვენ მივიჩნევთ, რომ მართებულადაა შემოღებული ეს ენა., რადგან მისი

სწავლება სკოლაში აუცილებელია. სახელმწიფო ენა უნდა ისწავლებოდეს – ეს აქსიომაა“.¹

აქვე არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი აფხაზი კოლეგები, სამწუხაროდ, გვერდს უვლიან ვიანორ ანჩაბაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპს.² თუ ეს მეტნაკლებად გასაგები იყო საბჭოურ პერიოდში, როდესაც აფხაზეთის პირველი პარლამენტი – სახალხო საბჭო მიჩნეული იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ორგანოდ და ამდენად მისი საქმიანობის პოზიტიურ მხარეებზე მსჯელობა რამდენადმე საშიშიც კი იყო, დღემოს და აფხაზეთის პირველი პარლამენტის (სხვათა შორის, ჭეშმარიტად დემოკრატიულ საწყისებზე არჩეულის) მოღვაწეობის მიჩუმებებს დღეს არავითარი გამართლება არა აქვს.

ვიანორ ანჩაბაძე იყო აფხაზეთში ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო სამსახურის დიდი ორგანიზატორი. მას მრავალი წლის მანძილზე ეკავა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის თანამდებობა. აღსანიშნავია, რომ ის იყო ერთადერთი უპარტიო სახალხო კომისარი საქართველოში.

¹ „*Азбукой государственного права является изучение государственного языка, если не обучение на нём. Все здесь были согласны, что Абхазия составляет часть Грузии, как это признано 20 марта, но почему-то они не хотят считаться с тем, что отсюда логически вытекает необходимость преподавания грузинского языка. Потому-то у некоторых депутатов, как только всплывает этот вопрос, разгораются страсти, правда всем хорошо известно, что Абхазия – страна интернациональная по составу населения, но грузинский язык должен быть признан по справедливости господствующим, как государственный. Вопрос этот имеет практическую сторону. ...Какой же язык должен изучаться, если не грузинский, язык соседнего народа, с которым Абхазия связала свою судьбу. Вот когда вы против этого языка возражаете, то вы просто не понимаете азбуки государственного права. ...Мы считаем правильным, что введен этот язык., потому, что его введение в школах необходимо. Государственный язык должен проходиться – это аксиома“.* იხ.: **Джемал Гамахария, Бадри Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, издательство «Агдгома», 1997, გვ. 454, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

² ეს თვალში საცემია ზურაბ ანჩაბაძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო წერილშიც. იხ.: **А. Э. Куправа.** ზურაბ Вианорович Анчабадзе – выдающийся истрик-кавказовед, педагог, человек. – *Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию..*, გვ. 6-17.

ბატონი ზურაბის ბავშვობამ და ყრმობამ გაგრასა და სოხუმში განვლო. 1938 წელს სოხუმის აფხაზური საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ის ჩაირიცხა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1941 წელს. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მან გამოამყვანა დაინტერესება საქართველო-აფხაზეთის ისტორიის პრობლემებით, რისი ნათელი გამოხატულებაა მის მიერ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე.¹ ნიჭიერი ახალგაზრდის ეს დაინტერესება შეუმჩნეველი არ დარჩენია გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას, რომლის რეკომენდაციით ის ჩაირიცხა 1942 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. თბილისში ის ცხოვრობდა თავის მამიდა ტატიანა და ბიძა ნიკოლოზ ანჩაბაძეებთან, ასევე ბებია – მარიამთან.²

თავდაპირველად ასპირანტ ზურაბ ანჩაბაძის ხელმძღვანელობა თავის თავზე აუღია თვით ს. ჯანაშიას.³ როგორც ჩანს, მანვე შეურჩია მას საკანდიდატო დისერტაციის თემად „სამეგრელო და აფხაზეთი XVIII საუკუნეში“. ს. ჯანაშიას გარდაცვალების (1947 წ.) შემდეგ, ზ. ანჩაბაძემ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა გააგრძელა უკვე აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. 1948 წელს შედგა სადისერტაციო ნაშრომის დაცვა და ზ. ანჩაბაძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამ დროისათვის (1946 წლის ივნისიდან) ის უკვე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დისერტაციის დაცვის შემდეგ ზ. ანჩაბაძე ხდება იმავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.⁴ 1956 წელს ზ. ანჩაბაძე გადადის სოხუმში და სათავეში უდგება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებას. 1958

¹ **3. В. Анчабадзе.** Древняя Диоскурия. – *Комсомолец Абхазии* (გაზეთი), №7, 1941; **3. В. Анчабадзе.** Сухуми в XIX веке. – *Комсомолец Абхазии* (გაზეთი), №13, 1941; **3. В. Анчабадзе.** Новоафонский монастырь. – *Комсомолец Абхазии* (გაზეთი), №39, 1941.

² **И. В. Анчабадзе.** Брат. – *Зураб Вианорович Анчабадзе.* К 90-летию..., გვ. 138.

³ **И. В. Анчабадзе.** Брат. – *Зураб Вианорович Анчабадзе.* К 90-летию..., გვ. 138.

⁴ **როინ მეტრეველი.** ზურაბ ანჩაბაძე, გვ. 5.

წელს ის დაბრუნდა თბილისში, ისტორიის ინსტიტუტში, სადაც დაინიშნა აკად. ნ. ბერძენიშვილის ინიციატივით შექმნილი *კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის განყოფილების* (შემდგომ კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილება) გამგედ. ეს არჩევანი არ იყო შემთხვევითი. ამ დროისათვის ზურაბ ანჩაბაძე ჩამოყალიბდა ფართო პროფილის თვალსაჩინო მეცნიერ-კავკასიათმცოდნედ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიისა და კულტურის კომპეტენტურ მკვლევრად. ის 1952-1956 წლებში კითხულობდა (ქართულ ენაზე)¹ ლექციების კურსს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის პრობლემებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ მან მოამზადა ამ დარგის სპეციალისტ-ისტორიკოსთა ჯგუფი, რომლითაც დაკომპლექტდა კიდევ შემოსხენებული განყოფილება.

1960 წელს მოსკოვში *სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში* ზურაბ ანჩაბაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „*შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან. აფხაზეთა ეთნიკური განვითარება და ქართულ-აფხაზეთი ურთიერთობები*“ (VI-XVII საუკუნეები)“, ხოლო 1963 წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

1973 წლიდან იწყება სრულიად ახალი ეტაპი ზურაბ ანჩაბაძის მოღვაწეობაში. ის ინიშნება *სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის* რექტორად. მის დანიშვნას ამ უაღრესად პასუხსაგებ თანამდებობაზე, გარდა სამეცნიერო-პედაგოგიურისა, უდავოდ პოლიტიკური მოტივაციაც ჰქონდა, ვინაიდან სწორედ ზურაბ ანჩაბაძე შეიძლებოდა ყოფილიყო ის პიროვნება, რომელსაც ხელეწიფებოდა წინ აღდგომოდა სეპარატისტულად განწყობილი ინტელიგენციის ერთი ნაწილის (რომელთა წარმომადგენლებიც საკმაოდ მრავლად იყვნენ პედაგოგიურ ინსტიტუტში) ანტიქართულ გამომხდომებს და დაეცვა იქ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები. ამავე დროს, მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოებაც, რომ იმ დროისათვის უკვე იკვეთებოდა კონტურები სოხუმში პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე საუნივერსიტეტო ცენტრის გახსნისა, რომელსაც სათავეში უნდა ჩადგომოდა დიდი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე პიროვნება. მართლაც, 1979 წელს ფრთები შეისხა აფხაზეთის ინტელიგენციის,

¹ ამასთან დაკავშირებით იხსენებდა, რომ, ის თავდაპირველად რუსულად წერდა ლექციის სრულ ტექსტს, შემდეგ თარგმნიდა მას და იზეპირებდა. ასე გრძელდებოდა 3 წელიწადი, რის შემდეგაც მას არავითარი პრობლემა არ ჰქონია ქართულენოვან აუდიტორიაში.

მთელი მოსახლეობის (და არა მხოლოდ აფხაზთა, როგორც ამის წარმოჩენას დღემდე ცდილობენ აფხაზური ნაციონალისტური წრეები) დიდი ხნის ოცნებამ და სოხუმში გაიხსნა სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის პირველ რექტორად, როგორც მოსალოდნელი იყო, დაინიშნა ზურაბ ანჩაბაძე.

ეს იყო საქართველოში მეორე და ამიერკავკასიაში მეოთხე საუნივერსიტეტო დაწესებულება. ზურაბ ანჩაბაძის ხელმძღვანელობით სოხუმის (აფხაზეთის)¹ სახელმწიფო უნივერსიტეტი სულ ცოტა ხანში იქცა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მძლავრ კერად არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. დიდ ორგანიზატორულ საქმიანობასთან ერთად ბატონი ზურაბი ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1980 წელს აფხაზეთის უნივერსიტეტში გაიხსნა „*საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ისტორიის კათედრა*“.² თბილისის სახელმწიფო უნი-

¹ როგორც ცნობილია, ახლადგახსნილი უნივერსიტეტი სწორედ ამ სახელით – **სოხუმის** (და არა **აფხაზეთის**) სახელმწიფო უნივერსიტეტი – ფიგურირებდა მოსკოვიდან გამოგზავნილ სსრკ მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტში. ასევე იწოდებოდა ის მთელი მომდევნო პერიოდის (თვით სსრ კავშირის ლიკვიდაციამდე) მანძილზე. მიუხედავად ამისა, სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის, რომელსაც მხარს უჭერდა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობაც, ზეწოლის შედეგად სოხუმის უნივერსიტეტი იმთავითვე „დე-ფაქტო“, ხოლო 1979 წ. 23 აპრილის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილების (მას ხელს ეღუარდ შევარდნაძე და ზურაბ ჰატარაძე აწერდნენ) მიღების შემდეგ – რამდენადმე „დე-იურე“-დაც, „**აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად**“ გამოცხადდა. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზურაბ ჰაპასქირი**. 20 წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში. – *საისტორიო ძიებანი*. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება აფხაზეთის ორგანიზაცია, ტ. IV. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2001, გვ. 4-5; აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წგნ.: **ზურაბ ჰაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბილისი, 2009, გვ. 324-325; **ზურაბ ჰაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II, *1917-1993*. თბილისი, გამომცემლობა „*მერიდიანი*“. 2007, გვ. 215-216.

² აღსანიშნავია, რომ კათედრის ფორმირების საწყის სტადიაზე შეიქმნა გარკვეული წინააღმდეგობები მის სახელწოდებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ კათედრის ძირითადი სასწავლო დისციპლინა სწორედ

ვერსიტეტის შემდეგ ეს იყო მშობლიური ისტორიის მეორე კათედრა საქართველოში. გარდა ზოგადი კურსებისა საქართველო-აფხაზეთის ისტორიაში, რომელიც იკითხებოდა უნივერსიტეტის ყველა სპეციალობაზე, კათედრას მიჰყავდა სპეც-კურსები და სპეც-სემინარები საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სპეციალიზაციით.

კათედრა იმთავითვე იქცა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული კვლევისა და კვალიფიციური სწავლების მნიშვნელოვან ცენტრად, სადაც თავი მოიყარეს აფხაზეთში მოღვაწე დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა. თვით ზურაბ ანჩაბაძეს, რომელიც ითავსებდა კათედრის გამგის (საზოგადოებრივ საწყისებზე) თანამდებობასაც, მიჰყავდა (რუსულ და ქართულ ენებზე) საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ზოგადი კურსი, სალექციო კურსები საქართველო-აფხაზეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, „*დამხმარე ისტორიულ დისციპლინებში*“, „*არქეოლოგიის საფუძვლებში*“ და ა.შ.

სრულიად განსაკუთრებულია ზურაბ ანჩაბაძის წვლილი საკუთრივ აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეში. მისი მონოგრაფი-

„*საქართველოს ისტორია*“ იყო, რომლის ნაწილსაც წარმოადგენდა საკუთრივ „*აფხაზეთის ისტორია*“, აფხაზეთში იმ დროს შექმნილი ვითარების ფონზე პრაქტიკულად გამორიცხული იყო კათედრისათვის „*საქართველოს ისტორიის კათედრის*“ სახელი მინიჭება. თავის მხრივ, ნამდვილად დიდ უხერხულობას ქმნიდა სახელწოდება „*საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიის კათედრა*“, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამოდიოდა თითქოს აფხაზეთი არ იყო საქართველოს ნაწილი. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, ზ ანჩაბაძემ საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინა ერთგვარი კომპრომისული ვარიანტი: „*საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის ისტორიის კათედრა*“, მაგრამ სამინისტროს კოლეგიამ, რომლის მუშაობაში თვით ზ. ანჩაბაძეც მონაწილეობდა, მაინც აარიდა თავი საქართველოსა და აფხაზეთის ერთდროულად მოხსენიებას და კათედრის სახელწოდებად „*სსრ კავშირის ისტორიის №2 კათედრა*“ არჩია. ამ სახელწოდების ინიციატორი იყო თვით მინისტრი, ცნობილი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. დავით ჩხიკვიძელი, რომელიც იმ პერიოდში პარალელურად განაგებდა სკკპ ისტორიის №2 კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასე დაერქვა სოხუმის (აფხაზეთის) სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადშექმნილ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრას ოფიციალურად „*სსრ კავშირის ისტორიის №2 კათედრა*“ / „*Кафедра истории СССР №2*“ (ამის შესახებ იხ.: **ზურაბ პაპასქირი**, ოცი წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში.., გვ. 18-19).

ები: „ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“,¹ „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI-XVII საუკუნეები)“.² – დღემდე რჩება სამაგიდო წიგნებად³ სპეციალისტებისა და საქართველო-აფხაზეთის ისტორიის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთათვის. ამ ნაშრომებით ზ. ანჩაბაძემ, ფაქტობრივად, შექმნა აფხაზეთისა და აფხაზი ხალხის მეცნიერული ისტორია. მათში, პირველად ისტორიოგრაფიაში, სრულყოფილად არის გაშუქებული ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის აფხაზეთის ისტორიული წარსული. მეცნიერის მიერ შემუშავებული დებულებები აფხაზთა წარმომავლობაზე, აფხაზი ხალხის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, აფხაზთა და აფხაზეთის როლსა და ადგილზე საერთოქართულ ისტორიულ პროცესში უდავოდ საეტაპო მნიშვნელობისაა.

მართალია, ზ. ანჩაბაძის შეხედულებები აფხაზთა ეთნიკური ისტორიის ზოგიერთ საკითხზე მაშინაც და მით უფრო დღეს, არაერთგვაროვნად აღიქმება მკვლევართა ერთ ნაწილში,⁴ მაგრამ ზოგადად აფხა-

¹ **З. В. Анчабадзе.** История и культура Древней Абхазии. Москва, издательство «Наука», 1964.

² **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, Абгосиздат, 1959.

³ აღსანიშნავია, რომ ორივე მონოგრაფია ხელახლა გამოიცა 2010 წელს. იხ.: **З. В. Анчабадзе.** Избранные труды в двух томах. I. Сухум, 2010.

⁴ პირველ რიგში, ეს შეეხება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში განსახლებული ზოგიერთი ტომის (განსაკუთრებით სანიგებისა და მისიმიანების) ეთნიკური კუთვნილების საკითხის ზ. ანჩაბაძისეულ აღქმას, აგრეთვე მეცნიერის თვალსაზრისს ადრეულ შუა საუკუნეებში ერთიანი აფხაზი ფეოდალური ხალხის ფორმირების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის შრომებში მოცემულია ამ თვალსაზრისის საფუძვლიანი კრიტიკა და ახსნილია, თუ რატომ ვერ მოხერხდა იმ პერიოდში ერთიანი აფხაზი ხალხის ფორმირება (**ნიკო ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990, გვ. 590-593, 604-605). მოგვიანებით, ამ საკითხს სპეციალურად შეეხო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი ნოდარ ლომოური, რომელმაც სრული დამაჯერებლობით დაასაბუთა, რომ VIII-IX საუკუნეებში არ იყო ობიექტური პირობები აფხაზური ტომების ერთიან აფხაზ ხალხად ჩამოყალიბებისათვის. მეტიც, ამ დროს მოხდა ამ ტომების ინტეგრაცია ერთიან ქართველ (ფეოდალურ) ხალხში (**Н. Ю. Ломоури.** Абхазия в позднеантичную и раннесредневековую эпохи. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия.* Тбилиси, издательство «Мецниереба», 1999, გვ. 103-105). ეს რომ ნამდვილად ასე იყო და არა სხვა-

ზეთის ისტორიის ზ. ანჩაბადისეული ხედვა, მის მიერ აფხაზეთის ისტორიის განხილვა საერთო-ქართული ისტორიული პროცესის ჭრილში, მის ორგანულ შემადგენელ ნაწილად ურყევია. სწორედ ეს მომენტი გადამწყვეტი ზურაბ ანჩაბადის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის შეფასებისას. ეს მან, აფხაზმა მეცნიერმა, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ღიად განაცხადა, რომ ე.წ. „აფხაზთა“ სამეფო იყო დასავლურ-ქართული სახელმწიფო,¹ რომელშიც **„ქართველური ელემენტი წარმოადგენდა მოსახლეობის უმრავლესობას“** და მას **„ტერიტორიულადაც უმეტესი და წამყვანი ნაწილი ეკავა. გარდა ამისა, ქართველური ელემენტი აღმოჩნდა უფრო განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისითაც“**.² ამიტომაც იყო, რომ მეცნიერის დასკვნით, ქართული ენა იქცა სახელმწიფო საქმის წარმოებისა და ღვთისმსახურების ძირითად ენად „აფხაზთა“ სამეფოში.³ და რაოდენ დასანანია, რომ დღეს ჩვენი აფხაზი კოლეგები ამ ურყევ ჭეშმარიტებას საგულდაგულოდ უმაღლავენ თავიანთ თანამემამულეებს.⁴

ნაირად, ამის აშკარა მაჩვენებელია სწორედ ე.წ. „აფხაზთა“ სამეფოს მთელი ისტორია, რომელიც, როგორც ცნობილია, იყო არა აფხაზური „ნაციონალური“ სახელმწიფოებრივი გაერთიანება, როგორც დღეს ეს წარმოუდგენიათ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მკვლევრებს, არამედ ქართული სახელმწიფო, რომელშიც ქართველებთან (მეგრულ-ჭანები, სვანები, ქართველი) ერთად, ბუნებრივია, აფხაზური ტომებიც ცხოვრობდნენ. თვით ზურაბ ანჩაბადის მოსწრებული თქმით, სწორედ ამ „აფხაზთა“ სამეფოში დაირწა ერთიანი ქართული სახელმწიფოს აკვანი (ამის შესახებ ვრცლად იხ. **ზურაბ პაპასიანი**. „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახე. – წიგნში: *აფხაზეთი საქართველოა*. ისტორიული რაკურსი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2021, გვ. 73-102.

¹ *Абхазская Автономная Социалистическая Советская Республика*. Исторический очерк. – *Грузинская Советская Энциклопедия*, т. *Грузинская ССР*. Тбилиси, 1981, გვ. с. 324.

² **„Картвельский элемент составлял значительное большинство населения, а также занимал большую и ведущую часть... царства в территориальном отношении. Кроме того, картвельский элемент оказался более развитым в социально-экономическом и культурном отношении“**. **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой..., გვ. 106-107; **ზურაბ პაპასიანი**. „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა და მისი..., გვ. 100, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

³ **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой..., გვ. 107.

⁴ ამის ნათელი მაგალითია თუნდაც სტანისლავ ლაკობასა და ოლეგ ბლაჟბას „აფხაზეთის ისტორიის“ ე.წ. „სასკოლო სახელმძღვანელო“ (**О. Х. Бгажба, С.**

სწორედ ამ და სხვა უმნიშვნელოვანესი დებულებებით¹ არის ზურაბ ანჩაბაძე ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მეცნიერული ხაზის გამგრძელებელი. სწორედ ეს იწვევდა ყველაზე მეტ გაღიზიანებას სეპარატისტულად განწყობილ აფხაზურ ინტელიგენციაში, რომლის დიდი ნაწილისათვის, სამწუხაროდ, მიუღებელი იყო აფხაზ-ქართველთა ისტორიული ერთობის აღიარება და პროპაგანდა, რომელსაც ასე აქტიურად ეწეოდა ზ. ანჩაბაძე, როგორც თავის მეცნიერულ გამოკვლევებში, ისე საჯარო გამოსვლებში. სწორედ ამიტომ იქცა ის სეპარატისტთა ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ 1977-1978 წლების მოვ-

3. Лакоба. История Абхазии. *С древнейших времён до наших дней*. 10-11 классы. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухуми, 2006; **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** *История Абхазии. С древнейших времён до наших дней*. Сухуми, 2007). ამ ე.წ. „სახელმძღვანელოს“ კრიტიკა იხ.: **ზურაბ პაპასჯირი.** ცრუ ისტორია. რეცენზია ოლეგ ბღაეძას და სტანისლავ ლაკობას „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოზე. – ბოლო პუბლიკაცია იხ. წიგნში: **ზურაბ პაპასჯირი.** საქართველო. ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“. 2016, გვ. 327-367; **Зураб Папаскири.** Так не пишется история. *Некоторые замечания по поводу т.н. «учебника» «Истории Абхазии» О. Х. Бгажба и С. З. Лакоба.* – ბოლო პუბლიკაცია იხ. წიგნში: **Зураб Папаскири.** Моя Абхазия. Воспоминания и размышления. Тбилиси, издательство «Меридиани». 2012, გვ. 321-362.

¹ ამ მხრივ, პირველ რიგში, გამოსაყოფია ზურაბ ანჩაბაძის დასკვნა იმის შესახებ, რომ ეთნონიმ „კოლხის“ ქვეშ ანტიკური წყაროები გულისხმობდნენ ეგრებს (ეგრისელებს) – თანამედროვე მეგრელთა წინაპრებს – გვიანანტიკური პერიოდის ლაზებს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეცნიერის მხრიდან იმის აღიარება, რომ ეს კოლხები (იგივე ლაზები) წარმომადგენდნენ დიოსკურიიდან სამხრეთით – მდ. აფსაროსამდე (ჭოროხი) მდებარე მხარეების მკვიდრ მოსახლეობას („Что касается узкого, этнического значения термина «колхи», то под ним в античных источниках подразумевались эгры (или эгрисцы) – предки современных мегрелов, которые, начиная с позднеантичной эпохи, выступают под именем «лазов». Анонимный автор V в. н. э. (Псевдо-Априан) под собственно «колхами» («лазами») подразумевал коренное население области, расположенной к югу от Диоскурии (совр. Сухуми) до р. Апсара [совр. Чорохи]“. **З. В. Анчабадзе.** История и культура Древней Абхазии, გვ. 132; ხაზგასმა ჩვენია – **ზ.ვ. იხ. აგრეთვე: З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, издательство «Алашара». 1976, გვ. 39.

ლენების დროს, როდესაც პირუთვნელი და მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთი მამამთავრის პროფ. შ. ინალ-იფას განმაურებული მონოგრაფია აფხაზთა ეთნოგენეზზე.

როგორც ამ ამბების თვითმხილველი და უშუალო მონაწილე, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვაცხადებ, რომ სწორედ პროფ. შ. ინალ-იფას წიგნის განხილვა, რომელიც ჩატარდა 1977 წ. მარტში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში და რომელზედაც გადამწყვეტი სიტყვა თქვა ზურაბ ანჩაბაძემ, იქცა ერთ-ერთ მთავარ გამაღიზიანებელ ფაქტორად, რომელმაც გამოიწვია აფხაზთა მორიგი “ამბოხი” 1977-1978 წლებში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ზურაბ ანჩაბაძის წვლილი აფხაზეთის ასსრ-ის ისტორიის ნარკვევების¹ შექმნაში. ის იყო ერთ-ერთი ძირითადი ავტორი 1960 წელს გამოცემული „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევების“ I ტომისა. 1986 წ. გამოვიდა „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის,² რომლის დიდი ნაწილი (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე) დაწერილი იყო ზურაბ ანჩაბაძის მიერ. როგორც ცნობილია, აღნიშნულმა სახელმძღვანელომ, განსაკუთრებით ზ. ანჩაბაძის ნაწილმა, სეპარატისტულად განწყობილი ისტორიკოსებისა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლების რისხვა გამოიწვია, რაც ნათლად გამოვლინდა წიგნის განხილვაზე, რომელიც მოეწყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1987 წ. მარტში.³ სეპა-

¹ *Очерки истории Абхазской АССР*, т. I. *Абгосиздат*. Сухуми, 1960; *Очерки истории Абхазской АССР*, т. II. Тбилиси, 1964.

² **З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария, А. Э. Куправа.** *История Абхазии. Учебное пособие.* Сухуми, издательство „Алашара“, 1986.

³ ამ განხილვას ესწრებოდა მთელი საუნივერსიტეტო „ქართული ელიტა“, რომელსაც, აკადემიური თვალსაზრისით, ნამდვილად ხელეწიფებოდა (ყოველ შემთხვევაში, აფხაზ ფილოლოგ-ფილოსოფოსებზე არანაკლებ) „საისტორიო საკითხებში“ ჩარევა და ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის დაცვა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათგან არავინ გამოსულა. ერთადერთი, ვინც უშიშრად დაუდგინე სეპარატისტულად განწყობილ „კრიტიკოსთა“ ანტი-ქართულ დემარშს და საკადრისი პასუხი გასცეს თავდასხმებს ზურაბ ანჩაბაძეზე და ქართულ ისტორიოგრაფიაზე, იყვნენ თვით დამხმარე სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი, გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი და მამულიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენ-

რატისტებს არ მოსწონდათ წიგნში გატარებული მაგისტრალური ხაზი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ისტორია განიხილებოდა საერთო-ქართულ ისტორიასთან ორგანულ კავშირში. ქართულ-აფხაზეთი ისტორიული ერთობისა და მრავალსაუკუნოვანი ურთიერთთანამშრომლობის ნამდვილმატიანეს წარმოადგენს გიორგი ძიძარასთან ერთად შესრულებული ნარკვევი.¹

ზ. ანჩაბაძის მეცნიერული მოღვაწეობა საკუთრივ აფხაზეთის ისტორიის შესწავლით არ იფარგლებოდა. ის იყო ფართო მასშტაბის ისტორიკოსი. მისი მეცნიერული დაინტერესების სფეროში შემოდიოდა ძველი და შუა საუკუნეებისა, თუ ახალი და უახლესი ხანის საქართველოს ისტორიის პრობლემები. განსაკუთრებული რუდუნებით ის სწავლობდა XIX საუკუნეს. მისი დაკვირვებები აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიის პრობლემებზე შეჯამდა წიგნში: „XIX ს. I ნახევრის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები“.² და მაინც, ბატონი ზურაბი, პირველ რიგში, იყო მედიევისტი. ამ სფეროში მისი დიდი დამსახურების გამოხატულება იყო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მე-3 ტომის რედაქტორობა (ვიქტორ გუჩუასთან ერთად), რომლისთვისაც ზ. ანჩაბაძეს, სხვა მეცნიერებთან ერთად, 1982 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ზურაბ ანჩაბაძე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იყო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიული წარსულის აღიარებული მკვლევარი. უფრო მეტიც, ის შეიძლება მივიჩნიოთ ამ დარგის ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში. მან ფაქტობრივად ჩამოაყალიბა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის მკვლევართა მთელი სკოლა, რომლის წარმომადგენლები იღწვიან არა მარტო საქართველოში. ამ მიმართულებით მეცნიერის წვლილის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს

ტი, პროფ. გიორგი ძიძარია, აგრეთვე იმჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი ანჩაბაძე (ზურაბ ანჩაბაძის ვაჟი, დღეს ცნობილი ისტორიკოსი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი – ის იმ პერიოდში შეთავსებით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრაზე მუშაობდა) და ამ სტრიქონების ავტორი.

¹ **З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария.** Дружба извечная, нерушимая. Очерки из истории грузино-абхазских отношений. Сухуми, издательство „Алашара“, 1972.

² **З. В. Анчабадзе.** Очерки экономической истории Грузии первой половины XIX в. Тбилиси, издательство «Мецниереба», 1966.

„ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის ნარკვევების“ ორი ტომი (უძველესი დროიდან 1917 წლამდე),¹ რომელიც მომზადდა უშუალოდ ზურაბ ანჩაბაძის ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცემა იყო პირველი ცდა ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნაშრომის შექმნისა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ტიპის ნაშრომი შეიქმნა თბილისში და არა მოსკოვში. ამით საქართველომ დაადასტურა, რომ ის რჩებოდა კავკასიოლოგიური კვლევების ცენტრად. ამასთან დაკავშირებით, არანაკლებ საინტერესოა, აგრეთვე ისიც, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევარში მოსკოვმა, კერძოდ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტმა მოინდომა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის განმაზოგადებელი ნაშრომის – მრავალტომეულის – მომზადება და გამოცემა. შეიქმნა საერთო სარედაქციო კომისია, შეირჩა ავტორები, შედგა საკმაოდ წარმომადგენლობითი შეხვედრა სოხუმში (1977 წ.), რომლის მთავარი მასპინძელი, სხვათა შორის, სწორედ ზურაბ ანჩაბაძე გახლდათ – ის დამტკიცდა I ტომის მთავარ რედაქტორად, მაგრამ ნაადრევი გარდაცვალების გამო მეცნიერს არ დასცალდა ამ უაღრესად პასუხსაგები და ამავე დროს მეტად საპატიო მისიის შესრულება.² ზ. ანჩაბაძე აქტიურ მო-

¹ ზურაბ ანჩაბაძე, თეიმურაზ ბოცვაძე, გიორგი თოგოშვილი და მარინე ცინცაძე. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები. ნაკვ. I. თბილისი, გამომცემლობა, „მეცნიერება“, 1969; ნაკვ. II. თბილისი, გამომცემლობა, „მეცნიერება“, 1978.

² აღნიშნული გამოცემის I ტომი გამოვიდა 1988 წელს (იხ.: *История народов Северного Кавказа с древнейших времён до конца XVIII в.* Москва, издательство «Наука», 1988). მასში შესულია ზურაბ ანჩაბაძის მიერ მომზადებული მასალები: «*Татаро-монгольское нашествие и Северный Кавказ. Сопротивление местных народов завоевателям (XIII-XIV вв.)*», გვ. 188-222 (თანაავტორები: **Л. И. Лавров, Э. В. Ртвеладзе, А. Р. Шихсаидов**); «*Взаимоотношения народов Северного Кавказа с Закавказьем, генуэзскими колониями Причерноморья и Россией*», გვ. 256-275 (თანაავტორები: **В. Г. Гаджиев, Л. И. Лавров, А. Р. Шихсаидов**); «*Углубление феодальной раздробленности*», გვ. 276-310 (თანაავტორები: **Р. Г. Маршаев, Ч. Т. Гашимов, Б. Г. Алиев, И. М. Мизиев**); «*Северный Кавказ в международных отношениях XVI-XVII вв.*», გვ. 311-327 (თანაავტორები: **Т. Д. Боцвадзе, М.-С. К. Умаханов, М. Р. Гасанов, Г. Х. Мамбетов, Р. Г. Маршаев**).

ნაწილეობას იღებდა ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური ერთეულების ისტორიის ნარკვევების შექმნაში; იყო ავტორი აღნიშნულ გამოცემათა ცალკეული თავებისა და სარედაქციო კოლეგიების წევრი.

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ზურაბ ანჩაბაძის ღვაწლი სამეცნიერო კადრების მომზადების სფეროში. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელობით მომზადდა 6 სადოქტორო და 20-მდე საკანდიდატო დისერტაცია საქართველო-აფხაზეთისა და კავკასიის ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე. ის არის 50-მდე წიგნის რედაქტორი, იყო 60-მდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი.

ზურაბ ანჩაბაძე იყო უბრწყინვალესი ლექტორი. მისი ლექციები და საჯარო გამოსვლები ყოველთვის სტუდენტური აუდიტორიისა თუ ფართო საზოგადოებრიობის უდიდეს ინტერესს იწვევდა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მისი პოლემიკური გამოსვლები. თავისი მაღალი ერუდიციითა და, როგორც იტყვიან, რკინისებური ლოგიკით ის არავითარ მანსს არ უტოვებდა ოპონენტებს.¹

ზურაბ ანჩაბაძის, როგორც ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლისა და ერთ-ერთი თავკაცის ნაყოფიერი საქმიანობა სათანადოდ დაფასდა 1979 წელს, როდესაც ის არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

მრავალფეროვანი იყო ზურაბ ანჩაბაძის საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეობა. 1974-1979 წლებში ის იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხოლო 1979 წლიდან გარდაცვალებამდე – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წევრი. აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში მაღალი პარტიული ინსტანციებიდან (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, ქ. სოხუმის საქალაქო კომიტეტი) დაწყებული, *ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებით* დამთავრებული.

ზურაბ ანჩაბაძემ სულ 64 წელი იცოცხლა. ის ამქვეყნიდან 1984 წლის სუსხიან ზამთარში წავიდა. მისი გარდაცვალება სრულიად მოუ-

¹ ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოვყოფ მის მოხსენებას *აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში* 1977 წ. მარტში შ. ინალ-იფას წიგნის ზემოხსენებულ განხილვაზე, აგრეთვე გამოსვლებს *აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში* 1983 წ. დეკემბერსა და 1984 წ. იანვარში სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური სამეცნიერო წრეების მიერ პროვოცირებულ დებატებზე (ამის შესახებ იხ. **Зურаб Папаскири**. *Моя Абхазия..*, გვ. 41).

ლოდნელი იყო როგორც ოჯახის წევრებისათვის, ისე კოლეგებისათვის. ზურაბ ანჩაბაძე მთელმა საქართველომ დაიტირა. აღსანიშნავია, რომ ოჯახს პირადად მიუსამძიმრა საქართველოს იმჟამინდელმა ლიდერმა *ედუარდ შევარდნაძემ*, რომელიც, ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ ჩამოვიდა სოხუმში.

ზურაბ ანჩაბაძის სახით აფხაზეთმა, სრულიად საქართველომ დაკარგა დიდი მამულიშვილი. დაკარგა პიროვნება, რომელსაც აღბათ, როგორც არავის აფხაზთაგან და ქართველთაგან, შეეძლო თავიდან აეცილებინა მისი მშობლიური აფხაზეთისათვის, მთლიანად საქართველოსათვის 90-იანი წლების საზარელი ტრაგედია. დიახ, სწორედ ზურაბ ანჩაბაძისა და მისი დიდი მეგობრისა და კოლეგის, აფხაზი ხალხის ღირსეული შვილის *გიორგი ძიძარას* გარდაცვალებამ გაუხსნა გზა მეცნიერებასა და პოლიტიკაში *ვლადისლავ არძინბას* ტიპის ქართველთმოდულე ექსტრემისტ-ავანტიურისტებს. ყოველივე ეს კი, ცნობილია, თუ რა დიდი უბედურებით დასრულდა.

100 წელი შესრულდა ზურაბ ანჩაბაძის დაბადებიდან. 36 წელზე მეტია, რაც ის ჩვენს შორის აღარაა, მაგრამ მისი მამულიშვილური ღვაწლი მშობლიური ქვეყნის წინაშე წარუშლელია. ჟამთა სიავემ, ისტორიულმა ბედუკუდმართობამ ჩვენ დროებით დაგვაშორა ბატონი ზურაბის სამუდამო განსასვენებელს, თუმცა გვწამს და გვჯერა, რომ შორს არაა ის დრო, როდესაც სამართლიანობა გაიმარჯვებს, „ბოროტსა სძლევის კეთილი“, აღსდგება ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩატეხილი ხიდი და ჩვენ, აფხაზ ძმებთან ერთად, მოგვეცემა საშუალება, მოვეფეროთ წმინდა საფლავებს, რომელთა შორის ერთ-ერთი უპირველესი ზურაბ ანჩაბაძის საფლავია.

ამ დიდი პიროვნების – ჭეშმარიტი ერისკაცის – ხსოვნა ქართველებსა და აფხაზებს სხვა არჩევანის უფლებას არ გვაძლევს.

ZURAB PAPASKIRI

ZURAB ANCHABADZE – THE EMINENT SCIENTIST, UNPARALLELED KNIGHT, TRUE PATRIOT

Summary

100 years have passed since the birth of the Zurab Anchabadze, the eminent scientist, public and state figure, great patriot of Georgia-Abkhazia. As the prominent representative of Caucasian studies and of Georgian historiography in general, doctor of historical sciences, professor, Corresponding member of the Georgian Academy of Sciences, first Rector of Sokhumi /Abkhazia/ State University, Zurab Anchabadze, with his diverse scientific, public, and state activities, went beyond his epoch and became part of the centuries-old history of Georgia-Abkhazia. Yes, Zurab Anchabadze equally belongs not only to Abkhazia, but to Georgia as a whole. He always stood faithful to the path followed by the founders of the united Georgian statehood – the great kings Leon II and Bagrat III.

The presented article analyzes the lifeway of a great scientist and patriot and shows the merits of this famous person before his native Abkhazia and Georgia as a whole.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ЗУРАБ ПАПАСКИРИ

ВЫДАЮЩИЙСЯ УЧЕНЫЙ, ИСТИННЫЙ РЫЦАРЬ, ПЛАМЕННЫЙ ПАТРИОТ ОТЕЧЕСТВА

З У Р А Б А Н Ч А Б А Д З Е

Исполнилось 100 лет со дня рождения выдающегося ученого, общественного и государственного деятеля, яркого представителя грузинской исторической школы, пламенного патриота как родной Абхазии, так и большой Отчизны – Грузии, член-корреспондента Академии наук Грузинской ССР, доктора исторических наук, профессора *Зураба Вианоровича Анчабадзе*.

Зураб Анчабадзе своей многогранной научной, общественной и государственной деятельностью значительно вышел далеко за пределы своей эпохи и стал частью истории Грузии-Абхазии. Да, Зураб Анчабадзе в равной степени является достоянием, как Абхазии, так и Грузии в целом. Он принадлежит к знаменитой когорте славных сынов абхазского народа, которые, будучи верными, идеалам и чаяниям основателей единой Грузинской государственности – великих царей «абхазов» Леона II-го и Баграта III-го, всегда стояли на страже Отечества. В этом отношении он, как никто другой, является достойным преемником, продолжателем «славных деяний» Георгия Шарвашидзе. Как жизнь и деятельность сына последнего владетеля Абхазии,¹ пройденный Зурабом Анчабадзе путь является

¹ О нём подробно см.: **Симон Джанашия**. Георгий Шарвашидзе. Лирика, эпос, драма. – *Труды*, VI. Тбилиси, Издательство «*Мецნიერება*», 1988, с. 5-72 (на грузинском яз.); **Зураб Папаскири**. Деяния славного сына Отечества. *Геორги Шарвашидзе*. – *Труды Сухумского университета*. I. Серия гуманитарных и социально-политических наук. Тбилиси, Издательство *Сухумского государственного университета*, 2007, с. 220-240 (на грузинском яз.); **Зураб Папаскири**. К вопросу о национально-государственной и культурной самоидентификации абхазского владетельского дома Шарвашидзе. – *Вестник Абхазии*. Периодический орган Абхазской национальной академии наук. № 1 (8), Тбилиси, 2012, с. 5-17. Данную публикацию см. также в кн.: **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия*.

наглядным примером того, как можно беззаветно любить родную Абхазию и, в то же время, быть достойным гражданином и пламенным патриотом своей большой Отчизны – Грузии.

О жизни и творчестве Зураба Анчабадзе опубликовано немало. Среди этих публикаций особо следует выделить юбилейный сборник, посвященный 90-летию со дня рождения учёного, подготовленный известным историком А. Э. Куправа.¹ В ней собраны изданные в разное время статьи, отражающие многостороннюю и содержательную научно-педагогическую и общественную деятельность З. В. Анчабадзе. Опубликованные в сборнике материалы (статьи о жизни и творчестве,² рецензии на публикации З. В. Анчабадзе,³ воспоминания близких родственников и коллег,¹ библио-

Воспоминания и размышления. Тбилиси, Издательство «Меридиани», 2012, с. 405-411.

¹ *Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию со дня рождения. Составитель и ответственный редактор А. Э. Куправа. Сухум, 2010.*

² **А. Э. Куправа.** Зураб Вианорович Анчабадзе – выдающийся историк-кавказовед, педагог, человек. – *Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию со дня рождения. Составитель и ответственный редактор А. Э. Куправа. Сухуми, 2010, с. 6-17; А. Э. Куправа, В. П. Пачулия.* Видный учёный и общественный деятель. *К 60 летию со дня рождения и 40-летию научно-педагогической деятельности З. В. Анчабадзе. – Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию.., с. 32-38; А. Э. Куправа.* О жизни и деятельности Зураба Вианоровича Анчабадзе. – *Актуальные проблемы истории народов Кавказа. Материалы научной конференции, посвященной 70-летию со дня рождения З. В. Анчабадзе. Сухум, 1996, с. 4-13; – Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию.., с. 50-63; Ш. Д. Инал-па.* Видный абхазский учёный. – *Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию.., с. 18-22; Г. А. Дзидзария.* Учёный и педагог. – *Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию.., с. 22-27; Г. А. Дзидзария, А. Э. Куправа.* Видный учёный, педагог и общественный деятель. *К 65 летию со дня рождения З. В. Анчабадзе. – с. 38-43; Г. А. Амичба.* Слово о З. В. Анчабадзе. – *Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию.., с. 53-65; Б. М. Джимов.* Труды З. В. Анчабадзе и изучение социально-экономического развития горцев Западного Кавказа в XIX в. /до 1870 г./ – *Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию.., с. 178-190.* Впервые опубликовано в сборнике: *Вопросы истории народов Кавказа. Сборник статей, посвященных памяти З. В. Анчабадзе.* Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1988, с. 22-31).

³ **А. Э. Куправа.** Из истории средневековой Абхазии. – *Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию.., с. 66-70; Ш. Д. Инал-па, Л. Н. Соловьёв, М. М. Трапш.* Первая

графия трудов и др.), несмотря на некоторые «издержки», вызванные политико-идеологической конъюнктурой советского периода, а также современной политической обстановкой в Абхазии, в целом дают достаточно полное представление о заслугах выдающегося ученого и деятеля. Вызывает, однако, сожаление, что в нём не нашлось место для материалов

обобщающая работа по истории древней Абхазии. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 70-78; **А. Э. Куправа**. Ценная книга об этнической истории абхазского народа. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 78-85; **М. Ш. Хварцкия**. С древнейших времён до наших дней. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 86-90; **В. И. Адамия, Г. К. Шамба**. Ценный вклад в историографию Абхазии. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 91-100; **А. Н. Габелия, Л. А. Кемулария**. Ценный вклад в Абхазоведение. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 100-109.

- ¹ **Георгий Анчабадзе**. Массовый террор в СССР. История одной семьи. – *Київські історичні студії*. Науковий журнал № 2(5), 2017. Київський університет імені Бориса Грінченка. Київ, 2017, с. 109-113; **И. В. Анчабадзе**. Брат. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 124-144; **Г. С. Читаи**. Я был потрясён. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 153-154; **В. Г. Гаджиев**. З. В. Анчабадзе – ученый и человек. *Глазами коллеги и друга*. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 162-177 (Данное воспоминание впервые было опубликовано в сборнике: *Вопросы истории народов Кавказа*. Сборник статей, посвященных памяти **З. В. Анчабадзе**. Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1988, с. 10-21. Владилену Гаджиеву также принадлежит специальная статья о вкладе З. В. Анчабадзе в изучении истории Северного Кавказа. См. **В. Г. Гаджиев**. З. В. Анчабадзе и его место в развитии истории Северного Кавказа. – *Тарих*. №1. Махачкала, 1994); **В. П. Крикунов**. Знаменосец дружбы народов. *Заметки о друге*. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 191-202 (см. также: **В. П. Крикунов**. Знаменосец дружбы народов и исследователь ее истоков и истории /заметки о друге/. – *Вопросы истории народов Кавказа*. Сборник статей, посвященных памяти **З. В. Анчабадзе**. Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1988, с. 32-41); **М. Р. Гасанов**. Выдающийся учёный-кавказовед и организатор науки. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 202-207 (Впервые опубликовано в журнале: *Научная Жизнь Кавказа*, №4/44/, 2005); **Дж. А. Рухадзе**. Вспоминая Зураба Анчабадзе. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 154-162; **А. М. Хашба**; Слово о Зурабе Вианоровиче Анчабадзе. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 146-151; **Л. В. Беселия-Авидзба**. Память о Зурабе Вианоровиче Анчабадзе. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 151-153; **Г. Назарян**. Памяти Зураба Вианоровича Анчабадзе. – *Зураб Вианорович Анчабадзе*. К 90-летию.., с. 144-146 и др.

грузинских учёных, в частности А. Н. Сургуладзе, О. Г. Чургулия, О. К. Жордания, З. В. Папаскири и др.,¹ которых связывали с Зурабом Вианоровичем долгие годы совместной работы, многолетнее дружеское и профессиональное общение. Данный факт ещё одно доказательство того, насколько неприемлемо для нынешних властей в Абхазии, чтобы наши абхазские соотечественники узнавали, насколько высок авторитет Зураба Анчабадзе среди грузинских коллег и с каким уважением относится к нему вся Грузинская общественность в целом. Эти материалы приурочены к юбилейным датам и носят в основном обзорный характер. Настоящая публикация также не претендует на большее – в ней представлены лишь общие наблюдения, в которых, более-менее освещены достижения ученого.

Зураб Анчабадзе родился в 22 апреля 1920 года – в Гагре. Отец – *Вианор Тарасович Анчабадзе*, дипломированный врач, известный общественный и государственный деятель, один из образованнейших абхазов своего времени; Мать – *Вера Шенгелая*, дочь *Андрея Шенгелая*, известного деятеля не только Абхазии, но и по всей Грузии. На формирование личности Зураба большое влияние оказала семья. Его дед по отцовской линии – *Тарас Анчабадзе* – был весьма колоритной фигурой. Особенно широкую известность получила многогранная общественная деятельность бабушки учёного, супруги Тараса Зурабовича – *Мариам (Машо) Дадиани-Анчабадзе*.

¹ **Акакий Сургуладзе.** Зураб Анчабадзе. – В кн. **Акакий Сургуладзе.** Не забывать ближнего. Тбилиси, *Издательство Тбилисского университета*, 1986 (на грузинском яз.); **Отар Чургулия.** Зураб Анчабадзе. Штрихи для биографии. – В кн. **Отар Чургулия.** Слово – тело мысли. Тбилиси, *Издательство Тбилисского университета*, 1992 (на грузинском яз.); **Отар Жордания.** Профессор Зураб Анчабадзе. Тбилиси, *Издательство Сухумского филиала ТГУ*, 2000 (на грузинском яз.); **З. В. Папаскири.** Выдающийся учёный, достойный сын Отечества. – *Исторические разыскания.* III. Ежегодник научных трудов Абхазской организации Всегрузинского исторического общества им. Еквтимэ Такашвили. Тбилиси, 2000, с. 382-390 (на грузинском яз.). В этом плане сделано исключение в отношении академика *Гиоргия Читая* и проф. *Джультеты Рухадзе* (см.: **Джультета Рухадзе.** Вспоминая Зураба Анчабадзе. – В кн. **Джультета Рухадзе.** Этнографический Гулан. Тбилиси, 2003, на грузинском яз.). Что же касается публикации академика *Роина Метревели* (**Роин Метревели.** Зураб Анчабадзе. Тбилиси, 2010), то она увидела свет после юбилейных событий в Сухуми (22-23 апреля 2010 г.) и, естественно, не могла быть включена в сборник, даже если этого захотели организаторы.

Мариам Дадиани была дочерью *Нико Тариеловича Дадиани* (1844-1896), одного из самых известных представителей рода Дадиани, и *Лидии Цулукидзе*, сестрой видного писателя, драматурга, актера и общественно-го деятеля *Шалвы Дадиани* (1874-1950). По её непосредственной инициативе было создано Сухумское отделение *Общества по распространению грамотности среди грузин*, бессменным председателем которого она и являлась (1908-1926), и которое осуществило ряд культурно-просветительских проектов общегосударственного значения в Абхазии: открытие первых грузинских школ; создание знаменитого ансамбля народной песни под руководством *Дзуку Лолуа* и др. Подтверждением высокого общественного авторитета Мариам Дадиани-Анчабадзе стало ее участие в *Первом Поместном Соборе Грузинской православной церкви* (проходившем в Тбилиси 8-17 сентября 1917 г.), на котором она произнесла приветственную речь.¹

Семья Тараса и Мариам Анчабадзе воспитала шестерых сыновей и одну дочь. В 1921 году, когда красные орды большевистской России вторглись в Грузию, четверо из них – *Варлам (Чичи)*, *Владимир (Лади)*, *Николоз (Коля)* и *Валериан* – не колеблясь, встали на страже национально-государственных интересов Грузии. Особо следует отметить в этом отношении заслуги полковника *Валериана Анчабадзе*. Он был заместителем командующего группировки вооруженных сил Грузинской Демократической Республики (генерала *Давида Артмеладзе*), дислоцированной в Абхазии и непосредственно руководил арьергардом грузинских формирований, оказавшей решительное сопротивление частям 51-й дивизии IX Армии Советской России под Новым Афоном – пал смертью храбрых у реки Гумиста.²

Не только в Абхазии, но и по всей Грузии был известен дед Зураба Вианоровича по материнской линии – *Андрия Шенгелая*. Будучи богатым помещиком (в этом плане он уступал, разве что принцу Ольденбургскому), он занимал должность городской головы Гагра. Примечательно, что шафе-

¹ Речь, произнесённая Мариам Анчабадзе на собрании (по избранию Каталикоса Грузии) в Тбилиси 15 сентября 1917 года. – *Голос грузинки (khma kartveli kalisa)*, газета, № 27, 19.X.1917 (<https://genderbarometer.ge/mariam-dadiani/>). Подробнее о творчестве Мариам Дадиани-Анчабадзе см.: **Соломон Цаишвили**. Грузинские деятели народного образования и общественные учителя. III. Тбилиси, Издательство «Ганатлеба», 1968 (на грузинском яз.).

² **Георгий Анчабадзе**. Массовый террор в СССР. История одной семьи, с. 110.

ром на бракосочетаний родителей Зураба – Вианора Анчабадзе и Веры Шенгелая был *Кайхосро (Какуца) Чолокашвили* (впоследствии один из наиболее активных борцов против советского режима в 20-х годах XX в. – Национальный герой Грузии), а на свадьбе присутствовал весь состав офицерского корпуса Грузинского кавалерийского эскадрона, дислоцированного в то время в Бзипи. Дядя Зураба *Варлам Шенгелая* (офицер Ингушского полка «*Дикой дивизии*» во время Первой мировой войны, позже – полковник Добровольческой армии генерала Деникина) также служил в грузинской армии.¹

Особо следует остановиться на личности отца учёного – *Вианора Анчабадзе*. Он получил основательное образование – окончил Тифлисскую I классическую гимназию, а затем Императорскую Военно-медицинскую академию в Санкт-Петербурге (1914). Во время Первой мировой войны находился на военно-медицинской службе. С 1918 года В. Анчабадзе принимал активное участие в общественно-политической жизни Абхазии – был депутатом *Народного Совета Абхазии*, членом Конституционной комиссии; внёс большую лепту в успешном завершении переговоров между правительством Грузии и Народным Советом Абхазии, закрепившим Автономный статус Абхазии в составе Грузинской Демократической Республики. Вианор Анчабадзе всей своей деятельностью был убеждённым поборником грузино-абхазского государственного единства. Наглядной иллюстрацией этого может служить его выступление на одном из заседаний Народного Совета Абхазии, на котором шла дискуссия о статусе грузинского языка как государственного в Абхазии. Оппозиционеры всеми средствами пытались заблокировать решение *Комиссариата* (правительства) *Абхазии*, по которому в школах Абхазии вводили изучение грузинского языка. В отличие от оппозиции, большинство членов Абхазского народного совета без колебаний поддержали решение местного правительства.

Точку зрения этой части депутатов по указанному вопросу наиболее четко сформулировал Вианор Анчабадзе. **„Азбукой государственного права –** отмечал В. Анчабадзе, **– является изучение государственного языка, если не обучение на нём. Все здесь были согласны, что Абхазия составляет часть Грузии, как это признано 20 марта** (имеется в виду «Акт об автономии Абхазии», принятый Народным советом Абхазии 20-го марта 1919 г. – З. П.), **но почему-то они не хотят считаться с тем,**

¹ **Георгий Анчабадзе.** Массовый террор в СССР. История одной семьи, с. 111.

что отсюда логически вытекает необходимость преподавания грузинского языка. Потому-то у некоторых депутатов, как только всплывает этот вопрос, разгораются страсти, правда всем хорошо известно, что Абхазия – страна интернациональная по составу населения, **но грузинский язык должен быть признан по справедливости господствующим, как государственный.** Вопрос этот имеет практическую сторону. ...Какой же язык должен изучаться, если не грузинский, язык соседнего народа, с которым Абхазия связала свою судьбу. Вот когда вы против этого языка возражаете, то вы просто не понимаете азбуки государственного права. ...**Мы считаем правильным, что введен этот язык., потому, что его введение в школах необходимо.** Государственный язык должен проходиться – это аксиома“.¹

В этой связи, не может не вызвать сожаления тот факт, что наши абхазские коллеги обходят стороной этот очень важный этап государственной деятельности Вианора Анчабадзе.² Если это было более-менее понятно в советский период, когда первый парламент Абхазии – Народный Совет – считался буржуазно-националистическим органом и поэтому освещение его деятельности было опасно, то в настоящее время игнорированию роли первого парламента Абхазии (кстати, избранного на подлинно демократической основе), трудно найти какого-либо внятного оправдания. Вианор Анчабадзе был крупным организатором здравоохранения и медицинского обслуживания в Абхазии. Много лет занимал должность наркома (министра) здравоохранения. Следует отметить, что он был единственным беспартийным наркомом в Грузии.

Детство и юность Зураба прошли в Гаграх и Сухуми. После окончания Сухумской абхазской средней школы в 1938 году он поступил на исторический факультет Сухумского государственного педагогического института, который окончил с отличием в 1941 году. Еще, будучи студентом, он увлекся проблемами истории Грузии-Абхазии, о чем свидетельствуют опубликованные им в печати статьи об историческом прошлом Абхазии.³ Этот

¹ **Джемал Гамахария, Бадри Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, издательство «Агдгома», 1997, с. 454, курсив наш – **З. П.**

² Доказательство тому статья А. Э. Куправа в сборнике, посвященном 90-летию Зураба Анчабадзе. См. **А. Э. Куправа.** Зураб Вианорович Анчабадзе – выдающийся истрик-кавказовед..., с. 6-17.

³ **З. В. Анчабадзе.** Древняя Диоскурия. – *Комсомолец Абхазии* (газета), №7, 1941; **З.**

интерес талантливого юноши не остался незамеченным видным грузинским историком, академиком *Симоном Джанашия*, по рекомендации которого он в 1942 году поступил в аспирантуру *Института истории, археологии и этнографии имени Иванэ Джавахишвили Академии наук Грузии*. В Тбилиси он жил в семье своей тети – *Татьяны*, вместе с дядей *Николозом Анчабадзе*, а также бабушкой – *Мариам*.¹

В начале научным руководителем З. Анчабадзе был сам С. Джанашия,² который, по-видимому, и предложил ему в качестве темы кандидатской диссертации: «*Мегрелия и Абхазия в XVII веке*». После смерти С. Джанашия (1947) З. Анчабадзе продолжил работу над диссертацией уже под руководством академика *Нико Бердзенишвили*. В 1948 году состоялась защита диссертации и З. Анчабадзе присвоена степень кандидата исторических наук. К этому времени (с июня 1946 г.) он уже был младшим научным сотрудником *Института истории, археологии и этнографии имени Иванэ Джавахишвили*.³ После защиты диссертации З. Анчабадзе становится старшим научным сотрудником того же института. В 1956 году З. Анчабадзе переехал в Сухуми и возглавил отдел истории и этнографии *Абхазского научно-исследовательского института языка, литературы и истории имени Дмитрия Гулиа Академии наук Грузии*. В 1958 году вернулся в Тбилиси, в Институт истории, где был назначен заведующим, созданным по инициативе Н. А. Бердзенишвили, *Отделом истории горских народов Кавказа* (позже *Отдел истории народов Кавказа*).

Этот выбор был отнюдь не случайным. К этому времени Зураб Анчабадзе уже сформировался в крупного ученого-кавказоведа широкого профиля, компетентного исследователя истории и культуры народов Северного Кавказа. В 1952-1956 годах он читал лекции (на грузинском языке) по проблемам истории народов Северного Кавказа в Тбилисском государственном университете. Здесь он подготовил группу специалистов-историков в этой области, которая и укомплектовала вышеупомянутый отдел Института истории. В 1960 году Зураб Анчабадзе в *Институте востоко-*

В. Анчабадзе. Сухуми в XIX веке. – *Комсомолец Абхазии* (газета), №13, 1941;

З. В. Анчабадзе. Новоафонский монастырь. – *Комсомолец Абхазии* (газета), №39, 1941.

¹ **И. В. Анчабадзе.** Брат, с. 138.

² **И. В. Анчабадзе.** Брат, с. 138.

³ **Роин Метревели.** Зураб Анчабадзе, с. 5.

ведения АН СССР (Москва) успешно защитил докторскую диссертацию на тему «Из истории средневековой Абхазии. Этническое развитие абхазов и грузино-абхазские отношения (VI-XVII вв.)»; в 1963 г. ему было присвоено научно-педагогическое звание профессора.

С 1973 года начинается совершенно новый этап деятельности Зураба Анчабадзе. Он был назначен ректором *Сухумского государственного педагогического института имени А. М. Горького*. Его назначение на эту весьма ответственную должность, помимо всего, несомненно, имело и политическую подоплеку, так как именно Зураб Анчабадзе являлся тем авторитетным деятелем, которому было под силу, положить конец всё более возрастающим сепаратистским тенденциям в вузе. Вместе с тем учитывалось также и то обстоятельство, что к этому времени уже вырисовывались контуры преобразования педагогического института в университет, который должен был возглавить человек большого научного и общественного веса. Действительно, в 1979 году сбылась давнишняя мечта всего населения Абхазии (а не только абхазов, как до сих пор пытаются представить абхазские националистические круги) и в Сухуми открылся государственный университет, первым ректором которого, как и предполагалось, стал Зураб Анчабадзе.

Это был второй в Грузии и четвертый в Закавказье университетский центр. Под руководством З. Анчабадзе Сухумский (Абхазский¹) государст-

¹ Как известно, вновь открытый вуз именно с таким названием – *Сухумский* (а не *Абхазский*) *государственный университет* – фигурировал в присланном из Москвы официальном документе Совета Министров СССР. Также называли его в центральных союзных структурах и позже – вплоть до ликвидации СССР. Тем не менее, в результате давления со стороны сепаратистски настроенной абхазской интеллигенции, которую также поддержало руководство автономной республики, Сухумский университет де-факто, а с 23-го апреля 1979 г. – после принятия совместного постановления Центрального комитета Коммунистической партии Грузии и Совета Министров (за подписью *Эдуарда Шеварднадзе* и *Зураба Патаридзе*) в какой-то мере и «де-юре» – был объявлен «Абхазским государственным университетом». Об этом см. **Зураб Папаскири**. 20 лет на службе отечественной истории. – *Исторические разыскания*. IV. Ежегодник научных трудов Абхазской организации Всегрузинского исторического общества им. Еквтимэ Такаишвили. Тбилиси, 2001, с. 4-5 (на грузинском яз.); **Зураб Папаскири**. Абхазия. *История без фальсификации*. Издание второе, исправленное и дополненное. Тбилиси, Издательство «Меридиани», 2010, с. 220-221.

венный университет за короткое время стал мощным центром высшего образования и науки не только в Абхазии, но и по всей Грузии. Помимо большой организаторской работы, ректор занимался активной педагогической деятельностью. По его инициативе и непосредственным руководством в 1980 году в Абхазском университете была открыта кафедра истории Грузинской ССР и Абхазской АССР,¹ которую он и возглавил (на общественных началах).

После Тбилисского государственного университета эта была вторая кафедра истории Грузии. Помимо общих курсов истории Грузии-Абхазии, которые читались на всех специальностях университета, кафедра вела специальные курсы и специальные семинары по проблемам истории, археологии и этнографии Грузии-Абхазии. Кафедра с самого начала стала важным центром научных исследований и квалифицированного преподавания истории Грузии-Абхазии, где были сосредоточены ведущие специалисты, работавшие в Сухуми, сам же руководитель кафедры вёл (на русском и грузинском языках) общий курс по истории Грузии-Абхазии, а также курсы лекций по источниковедению и историографии истории Грузии-Абхазии, «*Вспомогательным историческим дисциплинам*», «*Основам археологии*», «*Истории грузинского государства и права*» и др.

¹ Следует отметить, что на начальном этапе становления кафедры возникли разногласия по поводу её названия. Хотя основной учебной дисциплиной кафедры была «*История Грузии*», частью которой была «*История Абхазии*», учитывая ситуацию в Абхазии, назвать её «*кафедрой истории Грузии*» было практически невозможно. Со своей стороны, и название «*Кафедра истории Грузии и Абхазии*» смущало, потому, как в данном случае казалось, что Абхазия не входит в состав Грузии. Принимая все это во внимание, З. Анчабадзе представил на утверждение в Министерство высшего и среднего специального образования Грузии компромиссный вариант: «*Кафедра истории Грузинской ССР и Абхазской АССР*», но коллегия министерства, в работе которой участвовал сам З. Анчабадзе, сочла неприемлемым параллельное упоминание Грузии и Абхазии и предложила название – «*Кафедра истории СССР №2*». Инициатором данной версии был сам министр, известный историк, член-корреспондент Академии наук Грузии проф. *Давид Чхиквишвили*, который в то время заведовал *Кафедрой истории КПСС №2* в Тбилисском государственном университете. Так вновь созданная кафедра Грузии-Абхазии Сухумского (Абхазского) государственного университета получила официальное название – «*Кафедра истории СССР №2*». Об этом см. **Зураб Папаскири**. 20 лет на службе отечественной истории, с. 18-19.

Огромен вклад Зураба Анчабадзе в изучении истории собственно Абхазии и абхазского народа. Его капитальные монографии по истории древней и средневековой Абхазии¹ по сей день остаются настольными книгами для специалистов, а также широкого круга читателей, интересующихся проблемами истории Грузии-Абхазии.² Этими исследованиями З. Анчабадзе, по сути, создал научную историю Абхазии и абхазского народа. В них впервые в историографии освещено историческое прошлое Абхазии с древнейших времён до XIX-го столетия. Основные выводы ученого по узловым вопросам этнической истории абхазов, их роли и месте в общегрузинском историческом процессе и т. д. имеют этапное значение.

Несмотря на то, что некоторые положения З. Анчабадзе в науке воспринимаются неоднозначно,³ в целом его концептуальное видение исто-

¹ **З. В. Анчабадзе.** История и культура Древней Абхазии. Москва, издательство «Наука», 1964; **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, Абгосиздат, 1959.

² Обе эти монографии были переизданы в Сухуми в 2010 г. См. **З. В. Анчабадзе.** Избранные труды в двух томах. I. Сухум, 2010.

³ В первую очередь это касается вопроса об этнической принадлежности некоторых племен (особенно санигов и мисимиан), зафиксированных в античных и византийских источниках на территории современной Абхазии, а также точку зрения ученого о формировании единого абхазской феодальной народности в раннем средневековье. Следует отметить, что в грузинской историографии, в частности, в трудах академика Н. А. Бердзенишвили, дана обстоятельная критика этой точки зрения и приведены аргументы, почему в тот период не стало возможным формирование единой абхазской феодальной народности (см. **Н. А. Бердзенишвили.** Вопросы истории Грузии. Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1990, с. 590-593, 604-605, на грузинском яз.). Позже этот вопрос специально затронул проф. Н. Ю. Ломоури, который убедительно доказал, что в VIII-IX вв. не было никаких объективных условий для консолидации абхазских племён в абхазскую народность, наоборот, налицо все условия для интеграции этих племен в грузинский феодальный народ (см. **Н. Ю. Ломоури.** Абхазия в позднеантичную и раннесредневековую эпохи. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия.* Тбилиси, издательство «Мецниереба», 1999, с. 103-105). С нашей стороны добавим, что ярким свидетельством того, почему абхазские племена не смогли, или, по крайней мере, не успели консолидироваться в единый народ со своей письменной и национально-государственной традицией, может служить как раз история т. н. Царства «Абхазов», с самого начала являвшегося **не абхазским** национальным государственным

рического процесса, рассмотрение прошлого современной Абхазии, абхазского народа в контексте общегрузинской истории, являются единственно правильной.

В этом плане чего стоит однозначное признание абхазом Зурабом Анчабадзе т.н. «Абхазского» царства **западно-грузинским** государством,¹ в котором по его словам, *«Картвельский элемент составлял значительное большинство населения, а также занимал бóльшую и ведущую часть... царства в территориальном отношении»*,² а также констатация непреложного факта, что в «Абхазском» царстве *«картвельский элемент оказался более развитым в социально-экономическом и культурном отношениях»*,³ а его *«Культурная и церковная политика.., также как его социальная и государственная политика, диктовалась общегрузинскими интересами»*.⁴ Подобная принципиальная исследовательская позиция,⁵ которую просто невозможно опровергнуть, сделала Зураба Анчабадзе достойным представителем грузинской исторической школы, про-

образованием, **а грузинским** государством, ставшим, по словам того же З. В. Анчабадзе, колыбелью единой грузинской государственности (письменно это нигде не зафиксировано, но в своих лекциях и выступлениях З. В. Анчабадзе об этом часто говорил). Более подробно см. **Зураб Папаскири**. «Абхазское» царство – грузинское государство. – *Исторические разыскания*. VIII-IX. Ежегодник научных трудов Абхазской организации Всегрузинского исторического общества им. Еквтимэ Такашвили. Тбилиси, издательство «Меридиани», 2006, с. 95-96.

¹ *Абхазская Автономная Социалистическая Советская Республика*. Исторический очерк. – *Грузинская Советская Энциклопедия*, т. Грузинская ССР. Тбилиси, 1981, с. 324.

² **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой..., с. 106-107, курсив наш – **З. П.**

³ **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой..., с. 106-107, курсив наш – **З. П.**

⁴ **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой Абхазии, с. 153, курсив наш – **З. П.**

⁵ В этом плане, заслуживает внимания и вывод З. Анчабадзе о том, что под этнонимом «колхи» античной письменной традиции (в узком значении) *«подразумевались эгры (или эгрисцы) – предки современных мегрелов, которые, начиная с позднеантичной эпохи, выступают под именем «лазов»... коренное население области, расположенной к югу от Диоскурии (совр. Сухуми) до р. Апсара [совр. Чорохи]»*. **З. В. Анчабадзе**. История и культура Древней..., с. 132; **З. В. Анчабадзе**. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, издательство «Алашара», 1976, с. 39, курсив наш – **З. П.**

должателем магистральной линии её основоположников – *Иванэ Джавашивили, Симона Джанашиа и Нико Бердзенишвили*.

Именно это и вызывало наибольшего раздражения сепаратистски настроенной абхазской интеллигенции, для значительной части которой, к сожалению, было неприемлемо признание и тиражирование исторического единства абхазов и грузин, столь активно пропагандируемого З. Анчабадзе, как в своих научных исследованиях, так и в публичных выступлениях. Поэтому и стал он одной из главных мишеней сепаратистов. Особенно участились нападки на Зураба Вианоровича после его выступления на обсуждении нашумевшей монографии известного абхазского учёного-этнографа проф. Ш. Д. Инал-ипа об этнической истории абхазов,¹ состоявшегося в марте 1977 г. в *Абхазском институте языка, литературы и истории им. Димитрия Гулиа Академии наук Грузинской ССР*.

Фактически выступив в качестве главного оппонента, З. Анчабадзе подверг жесточайшей, но совершенно обоснованной критике ошибочные положения Ш. Инал-ипа по ряду кардинальных вопросов истории древней и средневековой Абхазии. Как очевидец и непосредственный участник данного обсуждения,² со всей ответственностью заявляю, что как раз острая критика, прозвучавшая на указанном форуме, а также опубликованный чуть позже, своего рода «отчёт» об обсуждении книги Ш. Д. Инал-ипа, считавшегося в сепаратистских кругах радетелем «истинно-национальной» истории абхазского народа, в трёх ведущих газетах автономной республики – *«Советская Абхазия», «Сабчота Апхазети»* и *«Апсны Капш»*³ – стали одним из главных раздражающих факторов, приведших к очередному абхазскому «восстанию» в 1977-1978 годах. Сепаратистски настроенные пред-

¹ Ш. Д. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, Издательство „Алашара“, 1976.

² Об этом подробно см. **Зураб Папаскири**. Моя Абхазия. Воспоминания и размышления. Тбилиси, Издательство «Меридиани». 2012, с. 20-23.

³ См.: *За глубокое научное изучение истории Абхазии. – Советская Абхазия* (газета), 14 мая 1977 г. данную публикацию см. также: *Абхазия в советскую эпоху. Из истории национально освободительной борьбы абхазского народа (70-е годы XX века)*. Сборник документов и материалов. Том II. Составитель, автор предисловия и ответственный редактор **И. Р. Марыхуба**. Акуа (Сухум), 2009, с. 54-59; **Зураб Папаскири**. Моя Абхазия. Воспоминания и размышления., с. 586-592.

ставители абхазской интеллигенции увидели в этом травлю абхазских историков, в чём обвиняли власти, в первую очередь официальный Тбилиси, которые якобы запрещали абхазским историкам говорить правду.

Раз уж речь зашла о волнениях 1977-1978 годов, следует отметить, что Зураб Анчабадзе открыто выступил против националистически настроенных представителей абхазской общественности и осудил их провокационные действия. Подтверждением сказанного является его выступление на заседании бюро Абхазского обкома компартии Грузии 29 сентября 1978 года, когда он некоторых высокопоставленных чиновников партийных структур автономной республики и работников прессы (*Константина Озгана, Иосифа Ахиба*) назвал не иначе как лжепатриотами. **«Озгану и Ахиба – отмечал ректор педагогического института, – мешают ложный стыд перед ложными патриотами, которые ходят в законодателях абхазского народа. более того, они ходят под защитой официальных органов... В своё время мы наказали двух зав. кафедрами абсолютным большинством голосов, но нас заставили восстановить. Партийно наказали подписавших письмо, а позавчера отменили уже после решения ЦК. Я сторонник самых строгих наказаний, чтобы избежать последствий, которые могут быть, если поднимется грузинское население....»**¹ Зураб Анчабадзе прекрасно понимал, кто мутит воду в Абхазии, в чьих интересах было разобщение многовекового грузино-абхазского историко-культурного единства. Для него, было категорически неприемлемо провокационные планы отторжения Абхазии от остальной Грузии, осуществления которых так рьяно пытались (с поощрения Москвы) сепаратистские силы.

Особо следует отметить вклад Зураба Анчабадзе в создании первого обобщающего труда по истории Абхазии – двухтомного издания *«Очерков истории Абхазской АССР»*.² Он был одним из основных авторов I-го тома. 1986 г. было издано учебное пособие по истории Абхазии для старше-

¹ *Протокольная запись заседания бюро Абхазского обкома КП Грузии от 29 сентября 1978 г. 22 час. – Абхазия в советскую эпоху. Из истории национально освободительной борьбы абхазского народа (70-е годы XX века). Сборник документов и материалов. Том II. Составитель, автор предисловия и ответственный редактор И. Р. Марыхуба.., с. 65, курсив наш – З. П.*

² *Очерки истории Абхазской АССР, т. I. Сухуми, Абгосиздат, 1960; Очерки истории Абхазской АССР, т. II. Тбилиси, 1964.*

классников,¹ большую часть которого (с древнейших времен до XIX века) написал З. В. Анчабадзе. Как известно, упомянутое пособие, особенно написанный З. Анчабадзе раздел, вызвал негодование националистически настроенной части абхазских историков, а также представителей интеллигенции, что было продемонстрировано в частности, на состоявшемся в Абхазском государственном университете обсуждении в марте 1987 года. Сепаратистов раздражала концептуальная линия авторов, согласно которой история Абхазии рассматривалась в органической связи с общегрузинской историей.² Настоящей летописью грузино-абхазского исторического единства и многовекового сотрудничества является очерк написанный З. В. Анчабадзе совместно с Г. А. Дзидзария.³

Научная деятельность З. Анчабадзе не ограничивалась изучением истории Абхазии. Он был масштабным историком, в сферу интересов которого входили проблемы как древней и средневековой, так и новой и новейшей истории Грузии.⁴ Особенно плодотворно занимался он изучением истории Грузии XIX-го столетия.⁵ И все же Зураб Анчабадзе прежде всего был медиевистом. Признанием его больших заслуг в этой сфере стал тот

¹ **З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария, А. Э. Куправа.** История Абхазии. Учебное пособие. Сухуми, Издательство „Алашара“, 1986.

² Некоторые «критики» обсуждение учебного пособия фактически превратили в судилище З. В. Анчабадзе и других представителей грузинской историографии. Однако, один из авторов книги, выдающийся абхазский учёный, член-корреспондент Академии наук Грузинской ССР, проф. Г. А. Дзидзария, а также тогда ещё кандидат наук *Георгий Анчабадзе* (сын З. В. Анчабадзе, ныне известный историк, доктор наук, профессор) и автор этих строк сумели дать отпор клеветническим нападкам представителей абхазской сепаратистской историографии (об этом см. **Зураб Папаскири.** Моя Абхазия. Воспоминания., с. 47).

³ **З. В. Анчабадзе, Г. А. Дзидзария.** Дружба извечная, нерушимая. *Очерки из истории грузино-абхазских отношений.* Сухуми, издательство „Алашара“, 1972.

⁴ Зураб Вианорович часто вспоминал, как в одной из характеристик, подписанным самым академиком Н. А. Бердзенишвили (в качестве директора *Института истории, археологии и этнографии имени Иванэ Джавахишвили Академии наук Грузии*), было записано, что З. В. Анчабадзе является специалистом истории Грузии «всех периодов».

⁵ Наблюдения учёного над этой проблематикой обобщены в книге: **З. В. Анчабадзе.** Очерки экономической истории Грузии первой половины XIX в. Тбилиси, издательство «Мецниереба», 1966.

факт, что он был назначен (совместно с *Виктором Гучуа*) редактором 3-его тома «*Очерков истории Грузии*» (XI-XV вв.). Следует отметить, что за этот труд (восьмитомник истории Грузии) З. Анчабадзе, вместе с другими учеными, в 1982 году был удостоен *Государственной премии Грузинской ССР*.

З. В. Анчабадзе, как уже было отмечено, был признанным специалистом и истории народов Северного Кавказа. Более того, его можно считать одним из основоположников данного направления в грузинской историографии. Фактически он создал целую школу исследователей истории и культуры народов Северного Кавказа, представители которой по сей день трудятся не только в Грузии, но и в республиках Северного Кавказа. Своего рода итогом вклада ученого в этом направлении являются два тома «*Очерков истории горских народов Северного Кавказа*» (с древнейших времен до 1917 г.),¹ подготовленных непосредственно под руководством З. Анчабадзе в *Институте истории, археология и этнографии им. Иванэ Джавахишвили Академии наук Грузии*.

Особо следует отметить, что данное издание явилось первой попыткой создания фундаментального обобщающего труда по истории народов Северного Кавказа. Примечательно, что этот проект был осуществлён в Тбилиси, а не в Москве. Этим Грузия подтвердила, что всё ещё остается центром кавказоведческих исследований. В этой связи также интересно отметить, что во второй половине 1970-х годов уже в Москве, в *Институте истории АН СССР*, приступили к подготовке многотомного обобщающего издания по истории народов Северного Кавказа. Была создана совместная редакционная комиссия, отобраны авторы, состоялся довольно представительный форум в Сухуми (1977 г.), главным организатором которого был Зураб Анчабадзе – он же был утвержден главным редактором I-го тома. Однако, безвременная кончина не позволила ученому выполнить эту в высшей степени ответственную и в то же время почетную миссию.² З.

¹ **Зураб Анчабадзе, Теймураз Боцвадзе, Гиорги Тогошвили и Марине Цинцадзе.** *Очерки истории горских народов Кавказа*, т. I. Тбилиси, издательство «*Мецниереба*», 1969, т. II. Тбилиси, издательство «*Мецниереба*», 1978 (на грузинском яз.).

² Первый том этого издания вышел в 1988 г. (см.: *История народов Северного Кавказа с древнейших времён до конца XVIII в.* Ответственный редактор книги академик **В. Б. Пиотровский**. Москва, издательство «*Наука*», 1988). В него вошли также материалы, подготовленные Зурабом Анчабадзе: «*Тата-*

В. Анчабадзе принимал активное участие и в создании истории автономных образований Северного Кавказа, был автором отдельных разделов и членом редколлегии этих изданий.

Немалы заслуги Зураба Анчабадзе в подготовке научных кадров. Под его руководством подготовлено 6 докторских и до 20 кандидатских диссертаций по актуальным вопросам истории Грузии-Абхазии и Кавказа; он был редактором около 50 монографий и книг, официальным оппонентом около 60 докторских и кандидатских диссертаций.¹ Плодотворная деятельность З. В. Анчабадзе как видного представителя грузинской историографии и одного из её лидеров была по достоинству оценена в 1979 году, когда он был избран членом-корреспондентом Академии наук Грузии.

Зураб Анчабадзе был блестящим лектором. Его лекции и публичные

ро-монгольское нашествие и Северный Кавказ. Сопrotивление местных народов завоевателям (XIII-XIV вв.)», с. 188-222 (соавторы: Л. И. Лавров, Э. В. Ртвеладзе, А. Р. Шихсаидов); «Взаимоотношения народов Северного Кавказа с Закавказьем, генуэзскими колониями Причерноморья и Россией», с. 256-275 (соавторы: В. Г. Гаджиев, Л. И. Лавров, А. Р. Шихсаидов); «Углубление феодальной раздробленности», с. 276-310 (соавторы: Р. Г. Маршав, Ч. Т. Гашимов, Б. Г. Алиев, И. М. Мизиев); «Северный Кавказ в международных отношениях XVI-XVII вв.», с. 311-327 (соавторы: Т. Д. Боцадзе, М.-С. К. Умаханов, М. Р. Гасанов, Г. Х. Мамбетов, Р. Г. Маршав).

¹ В этой связи, хочу выделить докторскую диссертацию известного уже тогда историка-кавказоведа Анатолий Петровича Новосельцева (впоследствии директора Института истории АН СССР, члена-корреспондента АН СССР) – моего научного руководителя по аспирантуре в МГУ, состоявшегося в 1974 году на заседании диссертационного совета Института истории АН СССР (мне довелось присутствовать на этой защите). В данной диссертационной работе («Пути развития и особенности феодальной формации в странах Закавказья») затрагивалась весьма актуальная и масштабная проблема, требующая углубленных знаний истории древней Грузии, Армении и Азербайджана одновременно. С учетом этого были отобраны официальные оппоненты, среди которых грузинскую историческую школу представлял доктор исторических наук, профессор Зураб Анчабадзе (другим оппонентом был представитель Азербайджана, видный историк, академик Зия Буниятов). Я тогда, совершенно обоснованно воспринял этот факт как признание высокого научного авторитета Зураба Анчабадзе. Сожалел лишь о том, что не удалось с ним встретиться, так как в силу некоторых обстоятельств Зураб Вианорович не смог приехать в Москву и его рецензию зачитал ученый секретарь диссертационного совета.

выступления всегда вызывали большой интерес у студенческой аудитории и широкой общественности. Особо следует отметить его полемические выступления. Своей высокой эрудицией и железной логикой он не оставлял оппонентам никаких шансов.¹ Многогранной была общественная и государственная деятельность Зураба Анчабадзе. В 1974-1979 годах он являлся депутатом Верховного Совета СССР, а с 1979 года и до самой смерти – депутатом Верховного Совета Грузинской ССР. Активно участвовал в работе различных общественных организаций, начиная от высоких партийных инстанций (Абхазский обком и Сухумский горком Коммунистической партии Грузии), заканчивая *Всегрузинским историческим обществом имени Еквтиме Такашвили*.

Зураб Анчабадзе прожил всего неполных 64 года. Он покинул этот мир холодной зимой 1984 года. Его смерть стала совершенно неожиданной как для членов семьи, так и коллег. Зураба Анчабадзе оплакивала вся Грузия. Следует отметить, что специально прибыл в Сухуми и лично выразил соболезнования семье покойного тогдашний лидер Грузии *Эдуард Шеварднадзе*. В лице Зураба Анчабадзе Абхазия, Грузия в целом потеряли славного сына Отечества, человека, который, как никто из абхазов и грузин, мог не позволить антигрузинским силам развязать братоубийственное противостояние в Абхазии и предотвратить нагрянувшую трагедию.

Прошло 100 лет со дня рождения Зураба Анчабадзе. Уже более 36 лет как его нет с нами, но заслуги его перед Отечеством неизгладимы. Злой рок временно разлучил наши народы, и сегодня мы лишены возможности пощадить усыпальницу нашего незабвенного старшего коллеги и учителя. Но верим, что недалек тот день, когда справедливость восторжествует, добро победит зло и мы вместе с нашими абхазскими собратьями почтим память выдающегося учёного и гражданина. Память об этом великом человеке – настоящем столпе грузино-абхазского исторического братства и единства – нам иного выбора не оставляет.

¹ В связи с этим особо следует отметить его выступление на обсуждении монографии Ш. Д. Инал-ифа в марте 1977 года, о котором говорилось выше, а также на т. н. «слушаниях» доклада кандидата филологических наук *А. Л. Папаскири* о значении термина «Обези» древнерусских письменных памятников, организованных в декабре 1983 и январе 1984 года в Абхазском государственном университете (об этом см. **Зураб Папаскири**. *Моя Абхазия...*, с. 41).

ZURAB PAPASKIRI

ZURAB ANCHABADZE – THE EMINENT SCIENTIST, UNPARALLELED KNIGHT, TRUE PATRIOT

Summary

100 years have passed since the birth of the Zurab Anchabadze, the eminent scientist, public and state figure, great patriot of Georgia-Abkhazia. As the prominent representative of Caucasian studies and of Georgian historiography in general, doctor of historical sciences, professor, Corresponding member of the Georgian Academy of Sciences, first Rector of Sokhumi /Abkhazia/ State University, Zurab Anchabadze, with his diverse scientific, public, and state activities, went beyond his epoch and became part of the centuries-old history of Georgia-Abkhazia. Yes, Zurab Anchabadze equally belongs not only to Abkhazia, but to Georgia as a whole. He always stood faithful to the path followed by the founders of the united Georgian statehood – the great kings Leon II and Bagrat III.

The presented article analyzes the lifeway of a great scientist and patriot and shows the merits of this famous person before his native Abkhazia and Georgia as a whole.

როინ მებრეველი

ღირსებითა და სიკეთით სავსე მოღვაწე

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ზეპურ საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი უკავია თხემით ტერფამდე ღირსეულ პიროვნებას, გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ *ზურაბ ანჩაბაძეს*. ადამიანი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კერძოდ, მეცნიერების განვითარებაში, სრულად დამსახურებულად გახდა აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

მეამაყება, რომ ბატონ ზურაბთან და მის ოჯახთან კეთილი დამოკიდებულება მქონდა. ზურაბ ანჩაბაძე სიკეთით სავსე და ყველას მიმართ სითბოსმფრქვეველი პიროვნება იყო. მეცნიერებათა აკადემიის არქივში დაცულია მისი ანკეტა, ვფიქრობ, ძალზე საინტერესო შინაარსით. სოციალური წარმომობის გრაფაში გამოკვეთილად წერია – **თავადი**, სოციალური მდგომარეობა – **აზნაური**. ჩემი თაობის წარმომადგენლები გამიგებენ აღნიშნულზე ჩემს ხაზგასმას – იმ რეჟიმის დროს ანალოგიური რამ მე არ (ვფიქრობ, სხვასაც) მინახავს. საქმე ისაა, რომ *ანჩაბაძეები* ძველ აფხაზურ თავადურ გვარს წარმოადგენენ. ეს საგვარეულო (სხვებთან, მაგ., *შარვაშიძეებთან* ერთად) ცხოველ მონაწილეობას იღებდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაში. სწორედ მათალი დონის აფხაზი ინტელიგენტის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა ბატონი ზურაბი. ოჯახის კეთილი დადი მთელი ცხოვრების მანძილზე თან დაჰყვებოდა და იგივე სიამაყით ატარებდა.

ზურაბ ანჩაბაძე მეცნიერებაში გამორჩეული ავტორიტეტი იყო. მისი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფეროში ცენტრალური ადგილი შუა საუკუნეების, კერძოდ VI-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ქართველი ხალხის მეზობელ ხალხებთან, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიელებთან ურთიერთობის საკითხებს ეკავა. ზურაბ ანჩაბაძემ მნი-

მწველი ამაგი დასდო აფხაზთმცოდნეობას – ფუნდამენტური გამოკვლევები მიუძღვნა უშუალოდ აფხაზეთსა და აფხაზებს. ფასდაუდებელია მეცნიერის ღვაწლი ჩრდილო კავკასიის ხალხების ისტორიის შესწავლაში.

განსაკუთრებული იყო ზურაბ ანჩაბაძის, როგორც აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორის საქმიანობა. მისმა მაღალმა მეცნიერულმა კომპეტენციამ, თავდადებულმა შრომამ განაპირობა ძლიერი საუნივერსიტეტო კოლექტივის შექმნა და იგი მნიშვნელოვან სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად აქცია. არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ, რომ ზურაბ ანჩაბაძის დიდი მცდელობით უნივერსიტეტში დაფუძნდა *საქართვლო-აფხაზეთის ისტორიის კათედრა*, რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში. განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო მოწაფეებისა და დისერტანტებისადმი, რომელთაც ოპონირებას უწევდა. მე წილად მხვდა ბატონი ზურაბის ოპონენტობა სადოქტორო დისერტაციის დაცვისას. იგი მკაცრი, მაგრამ ობიექტური იყო. შენიშვნასაც ტაქტიანად იძლეოდა, პასუხს კი ამომწურავს ითხოვდა.

იმ წელს, როცა ვიცავდი (1974 წ.) სადოქტოროს, ზაფხულზე გარკვეული დროის გატარება ბიჭვინთაში მომიხდა. დაუვიწყარია ჩემთვის იმ ზურაბ ანჩაბაძის სტუმრობა (მაშინ ის რექტორი იყო) მის ვაჟთან გიასთან ერთად. ჩვენ აფხაზეთის რამდენიმე ისტორიული ძეგლი დავათვალიერეთ (მეც ჩემს ვაჟთან ერთად ვიყავი) და შემდეგ მეტად საინტერესო თევზსაჭერ მეურნეობაში მიგვიწვიეს, სადაც ვივანშემეთ კიდეც. ცალკე უნდა აღინიშნოს ზურაბ ანჩაბაძის ბრწყინვალე ორატორული ნიჭისა და მეცნიერული პოლემიკის გონივრულად წარმართვის უნარი. მისი ყოველი გამოსვლა მეცნიერული პაექრობის დროს დრამაზრიანი და მტკიცედ ლოგიკური იყო, აჩვენებდა მეცნიერის ფართო ერუდიციასა და მაღალ კულტურას.

მეტად მნიშვნელოვანი და ამასთან საინტერესო იყო გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართველ, აფხაზ და ოს ისტორიკოსთა შეხვედრები ბორჯომში. აქ იმართებოდა დისკუსიები სხვადასხვა საკითხებზე. საერთოდ ეს ღონისძიება მეტად სასარგებლო იყო ისტორიკოსთა წრეების დაახლოებისათვის, ზოგიერთ სადავო საკითხში შეთანხმებისათვის. ამ დისკუსიებში ზურაბ ანჩაბაძე ლიდერი იყო. იგი აფხაზი და ქართველი მეცნიერების პირდაპირი წარმომადგენელი იყო, უზარმაზარ ავტორიტეტად მიაჩნდათ ოს ისტორიკოსებსაც. ამ ურთიერთობის სასიკეთო შედეგი შეხვედრების შედეგებზე აშკარად ისახებოდა.

ბატონ ზურაბთან ძალზე ახლოს მომიხდა ყოფნა, როდესაც *ქართული ენციკლოპედიის* რედაქციაში ვმუშაობდი. ზურაბ ანჩაბაძე მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო, ისევე, როგორც მეორე გამორჩენილი აფხაზი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი *ძიძარია*. მთელი მასალა, განსაკუთრებით აფხაზეთის შესახებ, ამ ორი აფხაზი ისტორიკოსის ზედამხედველობით შემოდიოდა რედაქციაში და იბეჭდებოდა. ბევრი სტატიის ავტორი თავად ზურაბ ანჩაბაძე იყო.

ტრადიციულმა ინტელექტუალურმა ოჯახმა ზურაბ ანჩაბაძეზე, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, კეთილი გავლენა იქონია. მშობლიური აფხაზურის გარდა, იგი ზედმიწევნით კარგად ფლობდა ქართულ, რუსულ, არაერთ უცხო ენას, მისი ქცევა საზოგადოებაში მისაბაძი იყო – უზადოდ ფლობდა ქცევის მაღალი კლასის ეტიკეტს. მე მინახავს ბატონი ზურაბის ბრწყინვალე თამაღობა, მღეროდა შესანიშნავად, შიგადაშიგ ცეკვავდა კიდეც, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონმა ზურაბმა ღრმად იცოდა ხელოვნება, მწერლობა, ზოგადად მსოფლიოს ლიტერატურა. სასიამოვნო მოსასმენი იყო მის მიერ წაკითხული (მაღალი დეკლამაციით) სხვადასხვა პოეტების ლექსები.

ცალკე მინდა აღვნიშნო, რომ მე ახლო, სამსახურებრივი ურთიერთობა მქონდა ზურაბ ანჩაბაძის მეუღლესთან, ქალბატონ *თინა ხახაშვილთან*, რომელიც მაღალი რანგის ინტელიგენტი იყო – წლების მანძილზე *ქართული ენციკლოპედიის* რედაქციაში მოღვაწეობდა (იმჟამად მე ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილედ ვმუშაობდი) და თავისი წვლილი აქვს შეტანილი ამ გამოცემის განხორციელებაში.

ასევე მინდა აღვნიშნო ჩემი უმცროსი კოლეგის – ბატონი ზურაბის შვილის *გია ანჩაბაძის* შესახებ. იგი ღირსეულად აგრძელებს მამის გზას; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შუა საუკუნეების ისტორიის, უპირატესად სამხედრო ხელოვნების ისტორიის მკვლევარია. არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი მცდელობის შესახებ რთული ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გამოკეთების საქმეში.

ჩემს მცირე მონახაზს ვამთავრებ იმით, რომ ღრმად მწამს – ჭეშმარიტი საქართველო რეალურად დააფასებს ზურაბ ანჩაბაძის დვაწლს ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მისი, როგორც მეცნიერისა და მოღვაწის სახება მარადჟამს იცოცხლებს ქართველ მეცნიერთა გულეებში.

ROIN METREVELI

THE FIGURE FULL OF DIGNITY AND KINDNESS

Summary

In the article, the author briefly reviews the scientific and pedagogical work of the prominent Abkhazian historian, Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences, Professor Zurab Anchabadze, and recalls some episodes of his relationship with him.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ზურაბ ხონელიძე

აფხაზი კაცი, ქართველი მეცნიერი

რამდენ ხანსაც არ უნდა იარსებოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, გამართლებული მისი გზა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ზურაბ ანჩაბაძის იდეებს უერთგულებს. ქვეცნობიერად ეს მაშინაც ვიცოდით, როცა არც ვუძვებდით, რომ ამ, 90 წლიანი ისტორიის მქონე, უმაღლესი სასწავლებლის რექტორობა მომიწევდა. ზურაბ ანჩაბაძე აფხაზეთის უნივერსიტეტის არამხოლოდ პირველი, არამედ ყველაზე სახელოვანი რექტორი იყო, მისმა მმართველობამ, მეცნიერულმა მიღწევებმა, ქართველებთან ურთიერთობამ, ჩემი აზრით, განსაზღვრა კიდევ ამ უნივერსიტეტის მისია ყველა დროსა და სივრცეში. უცნაური რამ მინდა ვთქვა, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა, რადგანაც ეს განცდა დღემდე არ მშორდება: გულისხმიერი დახვედრა, უცხო ადამიანის მრავალრიცხოვან კოლექტივში ასე ადვილად მიღება, განსაკუთრებით პირველ დღეებში, დიდწილად, სწორედ ჩემმა სახელმა და ზურაბ ანჩაბაძესთან სენიობამ განაპირობა. სახელის მისტიკა და ემოციური დანიშნულება იმ დღეებში გავაცნობიერე ყველაზე ნათლად.

ერთი მხრივ, ადვილია იყო ამ უნივერსიტეტის სათავეში, რადგან გაკვალული გზით გიწევს სიარული, მეორე მხრივ, ძნელია, რადგან არ უნდა გადაუხვიო ამ გზას და ღირსეული ტვირთი ღირსეულად ატარო! ზურაბ ანჩაბაძის იდეების ერთგულება ქართველისა და აფხაზის ერთნაირად შეყვარებას და ამ ორი ხალხის ტრადიციული ურთიერთობების ტრადიციულ ჩარჩოებში დაბრუნებას გულისხმობს, პირველ რიგში. ამ გზას, ამ მისიის საკუთარ თავზე აღებას ახლა, განახლებული ენერგიით, ცდილობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაშიც სწორედ წარსულის გამოცდილება და ზურაბ ანჩაბაძის ფენომენი გვეხმარება. ის, მართლაც, იყო როგორც აფხაზი, ისე ქართველი ხალხის შვილი, გამოძახილი იმ მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობებისა, რაც ჩვენს ხალხებს აკავშირებდა. ვფიქრობ, მომავალში გამოიძებნება თანაცხოვ-

რების ოპტიმალური პოლიტიკური მოდელი, რომლის საფუძველშიც სწორედ ანჩაბადისეული ხედვა ჩაიდება.

ზურაბ ანჩაბადე ყოველთვის ახერხებდა აფხაზები სწორი გზით წაეყვანა და სწორი ორიენტირები დაესახა მათთვის. მისი მსგავსი მამულიშვილები განსაზღვრავდნენ დიდწილად საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. მასზე ფიქრისას ჩვენი ერის სასახელო შვილის, ბატონი *როინ მეტრეველის* ერთი მოგონება ამომიტივტივდება ხოლმე: ზურაბ ანჩაბადე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი იყო, ცნობარის შედგენისას, მას მოუთხოვია ქართველ მეცნიერად მოეხსენიებინათ, რადგან მეცნიერული ღვაწლით, საქმიანობით სწორედ ქართული, ეროვნული მეცნიერების საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლად მიიჩნევდა თავს. ამით ქართულ მეცნიერულ სკოლასაც მიაგებდა პატივს და აფხაზებსაც აჩვენებდა, რომ ეროვნული კუთვნილების, საკუთარი ფესვების უარყოფის გარეშე, შეიძლებოდა მაღლიერების გრძნობაც გამოეხატა და სწორადაც გეცხოვრა. აფხაზი კაცი ღირსეული ქართველი ისტორიკოსი და არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის ავტორი იყო. 2010 წელს აკადემიის მიერ გამოიცა წიგნი: „*ზურაბ ანჩაბადე*“, რომელშიც მეცნიერის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები და მისი ნაშრომების ნუსხა პირუთვნელად, ობიექტურად წარმოჩინდა.

ზურაბ ანჩაბადე ნაადრევად, 63 წლის ასაკში, 1984 წელს გარდაიცვალა. სიმბოლურია, რომ იგი სოხუმში, აფხაზეთის უნივერსიტეტის ეზოშია დაკრძალული, იმ უნივერსიტეტისა, რომლის გაძლიერებასაც შესწირა შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ვფიქრობ, 90-იან წლებამდე რომ მიეღწია, ერთმანეთთან მტრობის დიდ ტრაგედიას აფხაზებიც ავირილებდით და ქართველებიც. ზურაბ ანჩაბადისნაირი ერისკაცების არარსებობამ აგვაცდინა სწორ გზასა და ორიენტირებს, გასული საუკუნის ავბედით ბოლო ათწლეულში.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი თაობის მეცნიერებს კარგად ახსოვთ ზურაბ ანჩაბადის პიროვნული და პროფესიული ღირსებები. ეს ის ბედნიერი შემთხვევა იყო, როცა ადამიანიც ისეთივე საინტერესო და შთამბეჭდავი გახლდათ, როგორც მეცნიერი და მმართველი. ზურაბ ანჩაბადის ერთადერთი ვაჟი – *გია ანჩაბადე* – დღეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველია და ოჯახურ ტრადიციებს ამ კუთხით აგრძელებს.

ამ პოსტზე მუშაობისას, საკუთარი ფუნქციისა და დანიშნულების გააზრებისას, ჩემთვის სწორედ ზურაბ ანჩაბადე არის ის სახელი, ის ავ-

ტორიკეტი, რომელთან სწორებაც იმთავითვე მართებული, რაციონალური ფასეულობების გარანტიაა. სწორედ ამ გამორჩეული სახელის უკვდასაყოფად ჩვენ მშობლიურ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამშვენებს მისი მემორიალური დაფა. ასევე, უნივერსიტეტის *სამშვიდობო განათლების ცენტრი* ატარებს ზურაბ ანჩაბაძის სახელს. მიხარია, რომ ამ დიდი კაცის სენიობა და მისი გზის გაგრძელება დამაკისრა არსთა გამრიგემ, თუმცა იმასაც ვაცნობიერებ, რომ ეს მძიმე ტვირთიც არის და დიდი პასუხისმგებლობა.

ZURAB KHONELIDZE

ABKHAZ MAN, GEORGIAN SCHOLAR

Summary

The article focuses on *Zurab Anchabadze* as the role of the first rector of Sokhumi /Abkhazian/ State University in the formation of a higher education institution. It is mentioned that he was the famous rector, whose activity in this position defined the mission of the university – to restore and strengthen the Georgian-Abkhazian historical brotherhood and unity. Sokhumi State University, which is currently operating successfully in Tbilisi, the legal successor of the University founded (1979) by Zurab Anchabadze (along with the Abkhazian State University in Sukhumi), is trying to take on this mission with renewed vigour.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ჯამბულ ანჩაბაძე

რაინდული შემართების მეცნიერი და გამულიშვილი

ზურაბ ანჩაბაძის ცხოვრება საკმაოდ კონტრასტული იყო, ხოლო მისი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფერო მრავალმხრივი და ფასეული, ძნელია ყოველივე ერთ აზრობრივ სივრცეში მოაქციო.

ბატონი ზურაბი დიდი პიროვნება იყო. ის გამოირჩეოდა მაღალი ზნეობრივი, კეთილი ადამიანური, რაინდული თვისებებით, სისუფთავით მეგობრებთან დამოკიდებულებაში, ვაჟკაცობით და განსაკუთრებული ნიჭიერებით, რამაც მას გამოიჩენილი ქართველი-აფხაზი ისტორიკოსის სახელი მოუხვეჭა.

ისტორიოგრაფიაში არსებობს ჰიპოთეზა (აფხაზურ ფოლკლორულ ტრადიციაზე დაფუძნებული), რომლის თანახმად ლეონ II „აფხაზთა“ მეფე, რომელმაც VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე საფუძველი ჩაუყარა „აფხაზთა“ სამეფოს სახელით ცნობილ ერთიან დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს აჩბა-ანჩაბაძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. საუკუნეების განმავლობაში ამ გვარს თავისი წვლილი შეჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ბატონი ზურაბის დიდი წინაპარი – თავადი ზურაბ ანჩაბაძე, წარმოშობით სოფ. ოტობაიას მკვიდრი გახლდათ. როგორც ოფიცერი, ის მონაწილეობდა ყირიმის ომში. მდ. ენგურთან გამოჩენილი მამაცობისათვის სახელმწიფო ჯილდო მიიღო. ომის შემდეგ სამურზაყანოს სასაზღვრო რაზმის მეთაურის თანამდებობა ეკავა. ზურაბის მეუღლე – ჯარამხან მარღანია (მანია), კოსტანტინე გამსახურდიას ბებიად ერგებოდა. ამის შესახებ მოგვითხრობს მწერალი „ლანდებთან ლაციცში“. იგი 1859 წელს დაიდუბა კონტრაბანდისტებთან შეტაკებისას.

ზურაბს და ჯარამხანს შეეძინათ ვაჟი თარაში (ტარასი). ის ექვს წლამდე იზრდებოდა ძიძასთან სოფ. თაგილონში. მან სამხედრო განათლება რუსეთში მიიღო. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-იაპონიის ომებში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სოხუმში მაღალი

სამხედრო თანამდებობა ეკავა. თარაშს აფხაზეთში ცნობილი მონადირის სახელი ჰქონდა. მისი სამონადირეო თავგადასავლები აღწერილი აქვს რუს მწერალს *ევგენი მარკოვს*. იგი ლექსებს წერდა. თარაშის მეუღლე იყო *შალვა დადიანის და მამო (მარიამ) დადიანი*.

მამო დადიანი-ანჩაბადისა მრავალმხრივ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა აფხაზეთში. მისი თაოსნობით 1909 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის განყოფილება, რომლის უცვლელი თავმჯდომარე იყო. ამ საზოგადოებასთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ *ილია ჭავჭავაძე*, *აკაკი წერეთელი*, *ნიკო ლორთქიფანიძე*, *გალაკტიონ ტაბიძე*, *ნიკოლოზ მენგელაია* და სხვები. მამო დადიანის ინიციატივით სოხუმში დაარსდა პირველი ქართული სკოლა, მისი პირველი დირექტორი იყო *ნიკო ჯანაშია* (აკადემიკოს *სიმონ ჯანაშიას* მამა). ერთხელ აფხაზურ-ქართული ფოლკლორული ანსამბლი მამო დადიანთან ერთად სტუმრად სწვევია აკაკი წერეთელს სოფელ სხვიტორში. მიუხედავად ავადმყოფობისა, აკაკის მაინც მოუღებინა.

თარაშ ანჩაბაძეს ჰყავდა ექვსი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. უფროსი ვაჟი – *ვალერიანი* სამხედრო პირი იყო, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, დაიღუპა მდ. გუმისთასთან. ზურაბის მამამ ვიანორ ანჩაბაძემ თბილისის I გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. ვიანორს კონფლიქტი მოუვიდა იმ პერიოდში პეტერბურგში მყოფი რუმინეთის მეფის ვაჟთან, პრინც *იოაჰიმ ჰოჰენცოლერთან*. ეს სამეფო გვარი გერმანიის საიმპერატორო დინასტიის გვერდით შტოს წარმოადგენდა. ვიანორმა დუელში გამოიწვია პრინცი, რაზედაც კატეგორიული უარი მიიღო, იმ მოტივით როგორც სამეფო გვარის შთამომავალს, რანგით არ ეკადრებოდა დუელში შეხვედრა თავადთან. ვიანორმა თხოვნით მიმართა პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროფესორს, წარმოედგინა ისტორიული ცნობა ანჩაბაძეთა გვარის წარმომავლობის შესახებ. ისტორიკოსმა წერილობით დაადასტურა, რომ ანჩაბაძეები სამეფო დინასტიის შთამომავლები იყვნენ. ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ პრინცი იოაჰიმი დათანხმდა დუელზე, როგორც თანასწორი თანასწორთან. მაგრამ სახელმწიფოს ჩარევის შედეგად ეს დუელი არ შედგა. შეხვედრა შერიგებით დამთავრდა.

სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ვიანორი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. სადაც რუსეთის იმპერატორის ოთხი

საბრძოლო ორდენით დაჯილდოვდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცოლად შეირთო მდიდარი მემამულის, გაგრის ქალაქისთავის *ანდრია შენგელაიას* ქალიშვილი – ვერა. მათი მეჯვარე გახლდათ თარაშის მეგობარი *ქაქუცა ჩოლოყაშვილი*. ვიანორსა და ვერას შეეძინათ ორი შვილი ზურაბი (დაიბადა 1920 წ. 22 აპრილს) და ირინე.

ვიანორ ანჩაბაძე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩაერთო აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის იყო *აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი*, აქტიურად იყო ჩართული აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაში, როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრს, აფხაზეთის დელეგაციასთან ერთად ხშირად უხდებოდა მუშაობა თბილისში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრებთან. შეხვედრები ჰქონდა ნოე ჟორდანიასთან. ბატონი ვიანორი ყოველთვის დაპირისპირებული მხარეების მშვიდობიანი თანაცხოვრების პოზიციაზე იდგა.

1928 წლიდან დაპატიმრებამდე აფხაზეთის ჯანდაცვის სახალხო კომისრის თანამდებობა ეკავა. მისი ხელმძღვანელობით საგრძნობლად გაჯანსაღდა რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემა, ფართოდ გაიშალა საკურორტო მშენებლობა. 1937 წელს ვიანორი დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა სასმელი წყლის მოწამვლა და საფრანგეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა. ოჯახმა მისი ადგილსამყოფელი ვერ მოიძია. სადამსჯელო ორგანოებიდან პასუხი ტრადიციული იყო – რომ ის გაგზავნილი იყო შორეულ ბანაკებში მიმორწერის უფლების გარეშე. 1956 წელს, როცა რეპრესირებულთა რეაბილიტაცია მოხდა, გაირკვა, რომ ვიანორი არსად არ გადაუსახლებიათ, იგი მალევე დახვრიტეს დრანდის ციხეში. დააპატიმრეს ვიანორის მეუღლე – ვერა შენგელაია. მან 7 წელიწადი გაატარა რუსეთის ერთ-ერთ შორეულ კოლონიაში. 1937 წელს ვიანორის გარდა დახვრიტეს კიდევ თარაშის ორი ვაჟი – *ვარლამი* და *გიორგი*, აგრეთვე ქალიშვილის ქმარი – *ნიკოლოზ აქირთავა*. ვლადიმერ და ნიკოლოზ ანჩაბაძეებმა კი გაქცევა მოასწრეს და რუსეთს შეაფარეს თავი.

უსამართლოდ რეპრესირებული მშობლების გარეშე ბატონი ზურაბის ყმაწვილკაცობის პერიოდმა უადრესად რთულ პირობებში ჩაიარა, მაგრამ მის წარმომავლობას და რაინდულ სულს უმნიშვნელო ხინჯიც არ გაკარებია. ეს პერიოდი მან ღირსეულად განვლო. მას თბილი ურთიერთობა ჰქონდა საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით ბავშვობისა და ახალგაზრდობის მეგობრებთან. მათთან სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა. სასიამოვნო იყო მათი მოგონებების მოსმენა. მიუხედავად იმისა, რომ ზურაბი, როგორც გამორ-

ჩეული პროფესორი, ერუდიციითა და ინტელექტით მათ ბევრად აღემატებოდა ბავშვობის მეგობრებს, მათთან ურთიერთობისას რაიმე განსხვავებას ვერ შეამჩნევდი. ის საუბრობდა იმავე ტერმინებით, ზოგ შემთხვევაში ძველბიჭური ჟესტიკულაციით და განცდით, როგორც სჩვევიათ ახალგაზრდულ ასაკში. ეს არ იყო ხელოვნური ქმედება. ბატონი ზურაბი იმჟამინდელი ჰაერით სუნთქავდა.

ბატონმა ზურაბმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ის უშუალოდ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას რეკომენდაციით, ჩაირიცხა (1942 წელს) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. მიუხედავად დიდი საშიშროებისა, ბატონმა სიმონმა თავად იტვირთა მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ზ. ანჩაბაძემ მუშაობა დაიწყო ისტორიის ინსტიტუტში. ამ პერიოდში მან შექმნა ოჯახი – დაქორწინდა თბილისელ მანდილოსან თინა ხახიშვილზე, რომელიც სპეციალობით ინჟინერი იყო. 1949 წელს მათ შეეძინათ ვაჟიშვილი – გიორგი.

ზურაბ ანჩაბაძემ მალევე გაითქვა სახელი, როგორც მაღალი დონის მეცნიერ-ისტორიკოსმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება ძველი და შუა საუკუნეების საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კვლევის საქმეში. ზურაბ ანჩაბაძის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფეროში ასევე გამორჩეული ადგილი უკავია ქართველი ხალხის კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საკითხებს. ისტორიის ინსტიტუტში მან საფუძველი ჩაუყარა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებას, რომელსაც წლების მანძილზე წარმატებით უძღვებოდა. ზურაბ ანჩაბაძე იყო საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილისა და მისი მოწაფეების – სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის ქართული საისტორიო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი.

ბატონ ზურაბ ანჩაბაძის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად დანიშნვას (1973 წ.) აფხაზეთის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი დიდი სიხარულით შეხვდა. მას იცნობდნენ როგორც ერუდიტულ, მაღალი დონის მეცნიერს. აფხაზეთის საზოგადოება გრძნობდა, რომ თავისი შვილი დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს (ის გაგრაში დაიბადა და სოხუმში გაიზარდა) კეთილი საქმეების საკეთებლად. რექტორის რანგში სოხუმში ჩამოსულმა ბატონმა ზურაბმა ინსტიტუტის სამეცნიერ-

რო-პედაგოგიურ კოლექტივთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან პირველსავე შეხვედრაზე განაცხადა, რომ რექტორის თანამდებობაზე დანიშვნას დათანხმდა იმის შემდეგ, როცა მან მიიღო დაპირება საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან სოხუმის პედინსტიტუტის ბაზაზე სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. ამ პროცესს დრო დასჭირდა, მაგრამ დაპირება შესრულდა.

ბატონი ზურაბი სწუხდა, რომ ისტორიის სპეციალობაზე ქართველოლოგიური დისციპლინები ძალზე მწირად იყო წარმოდგენილი. საქართველოს ისტორიას კვირაში მხოლოდ ორი საათი ჰქონდა დათმობილი. იმ პერიოდში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროგრამების საკითხებსაც კი ცალსახად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დამოუკიდებლად, მოსკოვის თანხმობის გარეშე, ვერ წყვეტდა. მან კარგად უწყოდა, რომ ინსტიტუტში საქართველოს ისტორიის კათედრის გახსნაზე საუბარი ნაადრევი იყო. ამიტომ მოახერხა ისტორიული აფხაზეთმცოდნეობის ლაბორატორიის გახსნა, რომელიც კათედრის ჩანასახად მოიაზრებოდა. ზურაბმა იმთავითვე განმარტა, რომ ეს იყო არა აფხაზეთმცოდნეობის, არამედ აფხაზეთმცოდნეობის ლაბორატორია, რომელიც დაკომპლექტდა ახალგაზრდა პერსპექტიული კადრებით, რომელთა უმრავლესობამ შემდგომ წამყვანი პოზიციები დაიკავა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მე მერგო პატივი (რექტორის ხელდასხმით) გავძლოლოდი ამ ლაბორატორიას.

ლაბორატორია მუშაობას წარმართავდა საქართველოს-აფხაზეთის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის, არქივმცოდნეობის, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით. შემდეგ დაემატა აფხაზური ენა და ლიტერატურა. გარდა ამისა ბატონი ზურაბის უშუალო ჩართულობით სტუდენტებისთვის ვამუშავებდით ისტორიოგრაფიულ მასალებს, შეძლებისდაგვარად პირველ წყაროებსაც. ამავე პერიოდში რექტორმა კიდევ ერთი ფრიად სამური საქმე წამოიწყო – მან საკუთარი ინიციატივით შემოიკრიბა ახალგაზრდა ნიჭიერ ისტორიკოსთა ჯგუფი, ასე ვთქვათ „საპროფესოროდ მოსამზადებლად“, რომელთა შორის მეც ვიყავი. ბატონი ზურაბი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გვიკითხავდა ლექციების კურსს საქართველო-აფხაზეთის ისტორიის, არქეოლოგიის, წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკვანძო საკითხებზე, რომელმაც ჩვენი აკადემიური დონე საგრძნობლად აამაღლა. მისი ლექციები იყო სიღრმისეული, მთავარ პრობლემებზე ორიენტირებული, საქმიანი, არაფრისმთქმელი ფრაზებისაგან

მთლიანად დაცლილი, უსმენდი მას და გრძნობდი თითქოს სხვა სამყაროში გადაადგილდი.

რომელი ერთი მის მიერ უმაღლეს დონეზე წაკითხული ლექცია გავიხსენო, ერთ მათგანზე – ევროპულ განმანათლებლობაზე შევიჩერდები. ლექცია ისტორიის ფარგლებს გასცდა და ფილოსოფიურ განზომილებაში გადაიზარდა. მან განმანათლებლობას ინტელექტუალური მოძრაობა უწოდა, რომელიც მიმართული იყო საეკლესიო დოგმატიკის, სახელმწიფოსა და ეკლესიის ავტორიტარული წნეხის წინააღმდეგ. ბატონმა ზურაბმა მაღალი შეფასება მისცა გერმანელი ფილოსოფოსის *ემანუელ კანტის* მიერ 1784 წელს დაწერილ ესეს – „*რა არის განმანათლებლობა?*“ მან აღნიშნა, რომ ამ ნაწარმოებში ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი და ყოვლისმომცველი განმარტებაა მოცემული ევროპული განმანათლებლობის შესახებ. „*მოიკრიბე საკუთარი გონებით მოქმედების გამბედაობა! – ესაა განმანათლებლობის დევიზი*“ – ამტკიცებდა კანტი.

ბატონმა ზურაბმა ფილოსოფოსის დონეზე წარმოაჩინა XVI საუკუნეში მოღვაწე ფრანგი ფილოსოფოსის *რენე დეკარტის* ცნობილი ფორმულა „*ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ*“. ეს ფრაზა მან ჯერ ფრანგულად წარმოთქვა, შემდეგ ქართულად თარგმნა. ზურაბმა აღნიშნა, რომ ამ ფორმულით დეკარტი საგნების გონებით (რაციონალურად) შემეცნებას მოითხოვდა, რითაც გაემიჯნა სამყაროს შუასაუკუნეობრივ თეოლოგიურ ახსნას. შემდეგ მან მოკლედ ისაუბრა *დენი დიდროს*, *ჟან-ჟაკ რუსოს*, *მონტესკიეს* და სხვათა მოღვაწეობაზე. ამჯერად, კათედრასთან იდგა არა ისტორიკოსი, არამედ ფილოსოფოსი, რომელსაც დიდი ყურადღებით ვუსმენდით და გაოცებას ვერ ვმაღავდით მისი განუზომელი ინტელექტით მონუსხულები.

უაღრესად საინტერესო იყო ბატონი ზურაბის ლექციები სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის მეთოდოლოგიაზე, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია შემდგომ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. იგი გულდასმით გვიხსნიდა, თუ როგორ გვემუშავა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების პრობლემებზე, საგარეო ურთიერთობების საკითხებზე და ა.შ. სალექციო მცადინეობების პარალელურად, გვინიშნავდა გასაუბრების დღეს, რომელიც უფრო გამოცდას ჰგავდა, პირდაპირ გვიცხადებდა, მოსწონდა თუ არა ჩვენი პასუხები ამა თუ იმ საკითხზე. ჩვენ ამით მოხიბლული არ ვიყავით, მაგრამ ვინ აკადრებდა მას უკმაყოფილების გამოხატვას. დღემდე მაღლობას ვუხდით ძვირფას მასწავლებელს ჩვენი აკადემიური დონის ასამაღლებლად გა-

წეული ამ უშურველი ზრუნვისათვის. მე ძირითადად ვმუშაობ ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებზე, თუმცა არც შუა საუკუნეების საქართველო-აფხაზეთის ისტორია ჩემთვის უცხო, რაც, პირველ რიგში სწორედ ბატონი ზურაბის დამსახურებაა.

მოგვიანებით ზ. ანჩაბაძის ინიციატივით შეიქმნა აფხაზეთის სოფლებისა და ქალაქების შემსწავლელი ისტორიკოსთა ჯგუფი. ჯგუფის ყველა წევრი ბატონი ზურაბის მიერ შემოთავაზებული გეგმის მიხედვით მუშაობდა. მე ავირჩიე ოჩამჩირის ისტორია. ჯერ დავიწყე მუშაობა ახალი და უახლესი პერიოდის ოჩამჩირის ისტორიაზე, საკმაოდ ვიმუშავე აფხაზეთის სახელმწიფო და ოჩამჩირის რაიონულ არქივებში; შედეგად არ იყო ურიგო. 1982 წელს სამეცნიერო კონფერენციაზე წავიკითხე მოხსენება XIX საუკუნის ოჩამჩირის ისტორიაზე. მოხსენება მოიწონა თვალსაჩინო ქართველმა ისტორიკოსმა *მარიამ ლორთქიფანიძემ*, რომელიც ბატონი ზურაბის მიერ მოწვეული იყო ამ კონფერენციაზე. ქალბატონი მარიამი ცალკეც მესაუბრა ოჩამჩირის ისტორიის საკითხებზე, მას აინტერესებდა ოჩამჩირის იმჟამინდელი დემოგრაფიული სიტუაცია. შემდეგ ბატონი ზურაბის კონსულტაციით ინტენსიურად ვმუშაობდი ოჩამჩირის ისტორიის ძველ პერიოდზე. სამწუხაროდ, ზურაბის გარდაცვალების შემდეგ ეს ჯგუფი დაიშალა, ალბათ ვიდაცას არ აწყობდა აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების ისტორიის შესწავლა. დასაბუჯდად გამზადებული სამეცნიერო სტატიები ინახებოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო განყოფილებაში, მათი დაბეჭდვა გაიწელა. უნივერსიტეტის გაყოფის შემდეგ ყველა ნაშრომი გაუჩინარდა. ჩვენი შრომა წყალში ჩაიყარა.

70-იანი წლების ბოლოს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტად გარდაიქმნა. აღსრულდა ბატონი ზურაბის დიდი ხნის ოცნება. მალევე დაფუძნდა *საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრა*. კათედრას ბატონი ზურაბი თვითონ ჩაუდგა სათავეში. მოადგილედ დანიშნა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი *ზურაბ ჰაპასქირი*. ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით ის აქტიურად ჩაერთო ახალი კათედრის სასწავლო სამეცნიერო გეგმის შემუშავებაში, რომლის მთავარი მიზანი იყო კათედრა გამხდარიყო საკუთრივ აფხაზეთისა და ზოგადად საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევისა და სწავლების მთავარ კერად. ჩემდა საბედნიეროდ, მეც გავხდი ახალდაფუძნებული კათედრის წევრი, დღემდე არ გამიწყვეტია მასთან კავშირი.

ზურაბ ანჩაბაძემ დიდი შრომა გასწია სრულყოფილი, ეპოქის შესაფერისი უნივერსიტეტის შესაქმნელად. ჩატარებული ღონისძიებების

შედეგად საგრძნობლად ამაღლდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პოტენციალი. ბატონი ზურაბი კატეგორიულად მოითხოვდა სტუდენტების სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას, რომელიც ფაქტობრივად მივიწყებული იყო. ის თვითონ აქტიურად ერთვებოდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. ხშირად მონაწილეობდა სტუდენტების მიერ ორგანიზებულ მხატვრული შემოქმედების სადამოებში და სიამოვნებდა მათთან ერთად ყოფნა. ამით ახალგაზრდები აღფრთოვანებული იყვნენ. სტუდენტებისთვის ბატონი ზურაბი არამარტო რექტორი იყო, არამედ – ახლობელი ადამიანიც.

ბატონი ზურაბი, როგორც რექტორი და საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის გამგე დიდ ენერგიას ახმარდა როგორც აფხაზი, ისე ქართველი სამეცნიერო კადრების მომზადებას, მისმა თავდადებულმა მუშაობამ, მთელი რიგი სიძნელების მიუხედავად, განაპირობა ძლიერი საუნივერსიტეტო კოლექტივის შექმნა. მისი ძალისხმევით ამ სასწავლებელმა ნამდვილად დაიმსახურა უნივერსიტეტის სახელი.

ზურაბ ანჩაბაძე წუხდა, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში სერიოზული ბზარი იყო გაჩენილი. საბჭოთა იმპერიის ხელისუფლების სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ საკმაოდ გააქტიურდა ანტიქართული მოძრაობა, გახშირდა საპროტესტო გამოსვლები. აქ ნათლად გამოჩნდა ბატონი ზურაბის ურყევი პოზიცია, ორი მოძმე ხალხის ოდინდელი თბილი ურთიერთობის შესანარჩუნებლად. ის ვერ ურიგდებოდა ისტორიის გაყალბებას, დაუნდობლად ებრძოდა ამ მავნე ტენდენციას, ვისგანაც არ ყოფილიყო წამოსული ის. ამის დასტურია ბატონი ზურაბის არგუმენტირებული კრიტიკა ცნობილი მეცნიერ-ფილოლოგის ჰავლე ინგოროყვას წიგნში: „გიორგი მერჩულე“ ჩამოყალიბებული მცდარი თვალსაზრისის, ანტიკური ხანისა და აღრეული შუასაუკუნეების „აბაზგ“-„აფსილთა“ ქართული წარმომავლობის შესახებ, რომელსაც 1957 წელს საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა.

მღელვარების ფონზე მიმდინარეობდა (1977 წლის მარტში) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში ცნობილი მეცნიერის შალვა ინალიფას წიგნის „Вопросы этно-культурной истории афха-зов“-ის („აფხაზთა ეთნო-კულტურული ისტორიის საკითხები“) განხილვა. ბატონმა ზურაბმა ღრმა მეცნიერული ანალიზის ფონზე გაამიშვლა ავტორის მიერ ჩამოყალიბებული ყალბი დებულებები – თითქოს აფხაზადიღური მოდგმის ტომები არამარტო თანამედროვე აფხაზეთის, არა-

მედ მთლიანად ისტორიული კოლხეთის აბორიგენებიც არიან. ბატონმა ზურაბმა გააქარწყლა ავტორის ვარაუდი „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზური ეთნიკური სახელმწიფოებრივი კუთვნილების შესახებ. შალვა ინალ-იფას მონოგრაფია გააკრიტიკეს თვალსაჩინო მეცნიერებმა გიორგი ძიძარიამ, ხუხუტი ბლაჟბამ, გიორგი შამბამ, ახალგაზრდა ისტორიკოსმა ზურაბ პაპასქირმა და სხვებმა. ამას მძაფრი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა.

ზურაბ ანჩაბაძე ღიად უპირისპირდებოდა მღელვარების ორგანიზატორებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის მაღალი რანგის ჩინოვნიკები იყვნენ. მათთვის მიუღებელი იყო ბატონი ზურაბის მხრიდან მათი მისამართით გამოთქმული სამართლიანი კრიტიკა, თუმცა პასუხის გაცემას ერიდებოდნენ. ზ. ანჩაბაძე გულწრფელად მოუწოდებდა მათ, ორი მოძმე ხალხის მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ. ის არასოდეს ყოფილა მხარე, ერთი რომ, ის უფრთხილდებოდა საკუთარ გენეტიკურ კოდს, მეორე – ყოველთვის სიმართლის პოზიციაზე იდგა.

საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის ხელისუფლების ძალისხმევით, საღად მოაზროვნე აფხაზეთის ინტელიგენციის მონაწილეობით სიტუაცია ასე თუ ისე სტაბილურდებოდა. ამ პროცესში ბატონ ზურაბთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული სახელოვანი აფხაზი მეცნიერები: გიორგი ძიძარია, ხუხუტი ბლაჟბა, მაღალი თანამდებობის პირები ლორიკ მარშანია, მეჯიდ ხვარჭია, პოეტი ივანე თარბა და სხვები.

ზურაბ ანჩაბაძემ თავისი დიდი ავტორიტეტის წყალობით მოახერხა ამბოხებული აფხაზი სტუდენტების აუდიტორიაში დაბრუნება. სწორ ინფორმაციას აწვდიდა მათ რესპუბლიკაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე, არწმუნებდა სტუდენტებს, რომ ქუჩაში გასვლა, ქაოსი და არეულობა სიკეთეს ვერ მოუტანდა მშობლიურ კუთხეს. ჩემი ღრმა რწმენით, ბატონი ზურაბის სიცოცხლე შეეწირა აფხაზ-ქართველთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის ბრძოლას. მოვიყვან ერთ მაგალითს.

1983 წლის ბოლოს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ერთი ნაწილის მხრიდან ისევ წამოიჭრა ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებული „ობეზების“ ეთნიკური კუთვნილების საკითხი. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ამ საკითხის განხილვას ორი სხდომა დაეთმო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ისინი რუსულ წერილობით წყაროებში დაფიქსირებულ „ობეზის“ – ამჟამინდელ აფხაზეთად მიიჩნევდნენ. ოპონენტების მხრიდან განსაკუთრებული რისხვა დაატყდა თავს ზურაბ პაპასქირს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ძველ რუსულ ძეგლებში დაფიქსირებული ტერმინი „ობეზის“ ქვემ მოიაზრებოდა

არა აფხაზები და აფხაზეთი თანამედროვე გაგებით, არამედ მთლიანად საქართველო, რომელიც მაშინ აფხაზეთად იწოდებოდა. ეს იყო უტყუარი პირველწყაროებით დამოწმებული თვალსაზრისი. ბატონი ზურაბი ჩვეული შემართებით ამტკიცებდა ქართული ისტორიოგრაფიის ამ სწორ პოზიციას. თავისი მოსაზრების გასამყარებლად, ის იშველიებდა მასალებს პირველწყაროებიდან, რომელსაც ე.წ. „ოპონენტები“ არც იცნობდნენ. ბატონი ზურაბი ერთ-ერთს შეეკითხა (გვარს არ დავასახელებ), დამისახელეთ დოკუმენტი თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად. მან დაასახელა ერთი რუსი პოეტის ლექსი (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს). ამ პასუხმა ორივე მხრიდან უხერხულობის ატმოსფერო შექმნა. სხდომაზე დისკუსიის ინიციატორების მიერ საგანგებოდ მოყვანილი შალვა ინალიფა, ეტყობა, სირცხვილის გრძნობამ შეაწუხა და გაიპარა სხდომიდან. მას, ნელ-ნელა სხვებიც მიჰყვნენ. ამის შემდეგ „ობეზების“ შესახებ საუბარი შეწყდა.

ეს სხდომა 1984 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, აუდიტორია საკმარისად არ თბებოდა. ორ საღამოს ცივ ოთახში ყოფნამ ბატონი ზურაბის სერიოზული გაციება გამოიწვია, რომელიც ფილტვების ანთებაში გადაიზარდა და მისი გარდაცვალებით დასრულდა. ბატონ ზურაბს ერთი ვაჟი დარჩა – გიორგი ანჩაბაძე. ის თბილისში დაიბადა და გაიზარდა; ღირსეულად აგრძელებს მამის მიერ გაკვალულ გზას, ნიჭიერება მამისგან დაჰყვა – ის დღეს მაღალი დონის მეცნიერ-ისტორიკოსია. გიორგი 175 მეცნიერული ნაშრომის (მათ შორის 25 მონოგრაფიისა და წიგნის) ავტორია, რომლებიც ძირითადად ეხება საქართველოს და კავკასიის ხალხთა ისტორიის, სამხედრო ისტორიის, ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის პრობლემებს. გიორგი მუშაობდა *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციებს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად ილიას უნივერსიტეტის პროფესორია.

ბატონმა ზურაბმა, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, კოლეგებთან (გიორგი ძიძარია, არველოდ კუპრავა) ერთად დაასრულა მუშაობა *აფხაზეთის ისტორიის* პირველ დამხმარე სახელმძღვანელოზე. როდესაც სახელმძღვანელოს გამოცემის დრო დადგა, როგორც ქართველ, ისე აფხაზ ისტორიკოსთა ნაწილმა მოითხოვა სახელმძღვანელოს ძირითადი დებულებების გადასინჯვა.

წიგნის გამოცემას საფრთხე შეექმნა. შექმნილი სიტუაცია განმუხტა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების იმჟამინდელმა მინისტრმა დავით ჩხიკვიშვილმა, რომელმაც შექმნა ქართულ-აფხაზური სარედაქციო კომისია აკადემიკოს ანდრია ავაქიძის ხელმძღვანელობით. ორივე მხარის შენიშვნები ეხებოდა ძველი და შუა საუკუნეების პერიოდს, რომლის ავტორი ზურაბ ანჩაბაძე იყო. ამიტომ როგორც ამ პერიოდის მაღალი დონის სპეციალისტი გიორგი ანჩაბაძე სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შეიყვანეს. მას მოუხდა ნაშრომის რედაქტირება და ავტორის ჭეშმარიტებაზე აგებული პოზიციის დაცვა. გიორგი მოგვითხრობს, რომ სახელმძღვანელოს ხელნაწერი ორი წლის განმავლობაში დაჰქონდა თბილისსა და სოხუმს შორის. ისე გამოვიდა – აცხადებს გიორგი, რომ ქართველ მეცნიერებთან შევდიოდი პოლემიკაში, როგორც აფხაზი, ხოლო აფხაზ მეცნიერებთან, როგორც ქართველი. ორივე შემთხვევაში ვიცავდი სახელმძღვანელოში განვითარებულ ავტორისეულ დებულებებს. გიორგი ბატონი ზურაბის პოზიციას იცავდა არა იმიტომ, რომ მისი შვილი იყო, არამედ სჯეროდა, რომ ის ეყრდნობოდა უტყუარ პირველ წყაროებს. მრავალი თათბირისა და ხმაურიანი განხილვების შემდეგ, როგორც იქნა, სახელმძღვანელო გამოიცა. ამასთან შენარჩუნებულ იქნა მისი პირვანდელი ვარიანტი.

90-იან წლებში, როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის დაიძაბა ურთიერთობა, გიორგიმ თავი მოვალედ ჩათვალა მონაწილეობა მიეღო დაპირისპირებულ მხარეებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენაში. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით ტარდებოდა მნიშვნელოვანი დონისძიებები, მონაწილეობას იღებდა ქართველ-აფხაზთა წარმომადგენლობით შეხვედრებში. რესპუბლიკური პარტიის წევრობის დროს თავის კოლეგებთან და თანამოაზრეებთან ერთად ცდილობდა მოძმე ხალხის პოზიციების დაახლოებას; აქტიურად თანამშრომლობდა სოლიდურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გიორგი ასევე ტელევიზიისა და რადიოს ხშირი სტუმარი იყო და არის დღესაც. გამოცემული აქვს არაერთი წიგნი, რომლებიც მოიცავენ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ცალკეულ საკითხებს, კონფლიქტის მიზეზებსა და მისი დარეგულირების გზებს. ის ამჟამადაც კითხულობს ლექციებს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ნორმალური ურთიერთობა აქვს აფხაზ კოლეგებთან; მონაწილეობს ქართველებისა და აფხაზების შეხვედრებში, როგორც ქართული მხარე. გიორგის სახალხო დიპლომატია მიაჩნია დაპირისპირებულ მხარეთა

შერიგების, მომავალი თანაცხოვრების განმაპირობებელ ერთ-ერთ გზად, რომელსაც, სამწუხაროდ, არცერთი ხელისუფლება სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

ზოგიერთი არამკითხველი გიორგის აფხაზების მხარეს გადახრას აბრალებს, რაც სრული აბსურდია. გიორგი თვითონ ამბობს, რომ ის დაიბადა და გაიზარდა თბილისში, მისი მშობლიური ენა არის – ქართული. წარმომავლობიდან გამომდინარე, მორალური უფლება აქვს, იყოს აფხაზიც და ქართველიც. ასეთი ადამიანი როგორ შეიძლება გადაიხაროს ან ერთ ან მეორე მხარეს. მისი ოცნებაა ორი მოძმე ხალხის ჩატეხილი ხიდის გამთელება. ადამიანურად მას სხვანაირად არ შეუძლია.

გიორგი ანჩაბაძე ბატონი ზურაბის ოჯახის ფასეული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია; მისი მეუღლე – *ნონა ქომეთიანი*, ფრიად სათნო და კეთილი ქალბატონი, ფილოლოგიის დოქტორია – *ინგლისური ენისა და ლიტერატურის* მიმართულებით. როგორც ბატონი გიორგი, ისიც სტუდენტების საყვარელი ლექტორია. მათ ჰყავთ ორი ქალიშვილი – ელისო და ნინო – ორივე დაოჯახებულია, მათ ოჯახებშიც დიდი ბაბუის სული ტრიალებს.

ბატონი ზურაბი ადრე წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან, წავიდა ისე, რომ ვერ მოასწრო თავისი დიდი მამულიშვილური და მეცნიერული პოტენციალის სრული მატერიალიზება. აგერ უკვე ოთხი ათეული წელი იწურება, რაც ცარიელია ამ უებრო პიროვნების ადგილი ქართველი და აფხაზი ხალხების საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ურთიერთობებში. მისი გარდაცვალებით საიმედო საყრდენი გამოეცალა ამ ორი ხალხის ძმობას – მეგობრობასა და მშვიდობიან თანაარსებობას. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: რომ არა მისი მოულოდნელი გასვლა წუთისოფლიდან, ძმათა დაპირისპირება ძმათა მკვლელ ომში არ გადაიზრდებოდა. მას ჰყოფნიდა მოქალაქეობრივი შემართება, გაბედულება, მეცნიერული ობიექტურობა და კეთილსინდისიერება, სამართლიანი პრინციპულობა და მგზნებარე პატრიოტიზმი, ალაღად მოპოვებული დიდი ავტორიტეტი, წინ აღდგომოდა ამ უპატიებელ უბედურებას და შეეჩერებინა იგი.

ბატონი ზურაბის არსებაში თანაბრად იყო განხორციელებული აფხაზისა და ქართველის საუკეთესო თვისებანი. მას, იმხანად ერთადერთს, მთელი საფუძვლიანობითა და სიამაყით შეეძლო ეთქვა – მე ვარ აფხაზი და ქართველი; ასევე, მას, იმხანად ერთადერთს, შეეძლო ობიექტურად შეეფასებინა ორივე მხარის სიმართლე თუ სიმცდარე, რადგან მისი

სჯეროდათ და სწამდათ. სწორედ ბატონ ზურაბზეა შედგამოჭრილი გამოთქმა – კაცი, რომელიც დააკლდა ოჯახს, ქალაქს, კუთხეს, ქვეყანას... ის რჩეული იყო, ხოლო რჩეულნი, საუბედუროდ, ხშირად არ ევლინებიან საზოგადოებას.

JAMBUL ANCHABADZE

KNIGHTLY AND PATRIOTIC SCHOLAR

Summary

The article presents the personal virtues of Zurab Anchabadze, seen by one of his students and junior colleagues. The focus is on the scientist's origins, the tragic fate of his parents and close relatives during the period of Bolshevik terror. The paper emphasizes on the high professionalism and broad erudition of the scientist and teacher, his civic and national state beliefs.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ომარ არღაშელია

მცირე მოგონება მასწავლებელზე

რა უცნაური რამ არის დრო. როცა ახალგაზრდა ხარ გგონია, რომ ნელა გადის, ხოლო როცა ზრდასრულ ასაკში ხარ თვალსა და ხელშეა გარბის. უკან რომ ვიხედები და წარსულზე ვფიქრობ, პირველ რიგში, ჩემი მშობლიური მხარე – აფხაზეთი – მახსენდება, ბავშვობის დროინდელი ტყვარჩელი, ჩემი სკოლა, მასწავლებლები და უდარდელი ცხოვრება, რომელიც ნელა მიიზღაზნებოდა და მეგონა, რომ სულ ასე იქნებოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როცა სკოლის ბოლო ზარი დაირეკა, მივხვდი – ჩემს ცხოვრებაში ახალი რამ იწყებოდა, რომელიც იდუმალთ იყო მოცული. ამავე დროს ვფიქრობდი, რა უნდა ყოფილიყო ეს და როგორი იქნებოდა მომავალი...

ბავშვობიდან მაინტერესებდა ისტორია და გეოგრაფია. ამიტომაც საოჯახო საბჭოზე გადაწყდა, რომ უნდა ჩამებარებინა ისტორიის ფაკულტეტზე. პირველი მცდელობა (1979 წ.) უიღბლო გამოდგა, მომდევნო წელს კი, გავხდი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის *ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის* (მაშინ ეს ორი სპეციალობა ერთ ფაკულტეტად იყო წარმოდგენილი) *ისტორიის* სპეციალობის სტუდენტი.

ახლაც მახსოვს სექტემბრის ის დღე, როდესაც გულისფანცქალით შვედალე აუდიტორიის კარები და აღმოვჩინდი ჩემი თანაკურსელების გარემოცვაში. ჩვენი ფაკულტეტი იმჟამად, დროებით, უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში იყო განთავსებული – მაშინდელი *ორჯონიკიძის* ქუჩაზე. უკვე 1983 წელს აშენდა უნივერსიტეტის ახალი კორპუსი *აკაკი წერეთლის* ქუჩაზე, და იქ გავაგრძელეთ სწავლა. ეს კორპუსი სანაპიროდან სულ რაღაც 200 მეტრში იყო, რაც განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა ჩვენს სტუდენტურ ცხოვრებას.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1979 წელს დაფუძნდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე, ერთ-ერთი ახალბედა საუნივერსიტეტო ცენტრი იყო მთელ საბჭოთა კავშირში. 1980 წელს

ისტორიის სპეციალობაზე მიღება გამოცხადდა რუსულ და აფხაზურ სექტორებზე, თუმცა სწავლების ენა, გასაგები მიზეზების გამო, ე.წ. „აფხაზურ სექტორზეც“ რუსული იყო (მხოლოდ თითო-ორიოლა აფხაზეთ-მცოდნეობითი დისციპლინები – აფხაზეთის არქეოლოგია, აფხაზეთა ეთნოგრაფია თუ იკითხებოდა აფხაზურ ენაზე). ამდენად ამ ორ ჯგუფს მეცადინეობები ძირითადად ერთად უტარდებოდა. კურსი თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალური იყო, სადაც გარდა ქართველებისა და აფხაზებისა, სწავლობდა რამდენიმე სომეხი, ებრაელი და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენელი.

აქვე მინდა მადლიერების გრძნობით გავიხსენო ის აკადემიური პერსონალი, რომელიც გვიკითხავდა ლექციებს. ესენი იყვნენ: გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გიორგი ძიძარია; პროფესორები: ვახტანგ ადამია, ხაზარატ არგუნი, არველოდ კუპრავა; დოცენტები: მურმან ბერია (ფაკულტეტის დეკანი), დიმიტრი გულია, რაულ ხონელია, ზურაბ ჰაპასქირი, კონსტანტინე ბოჭორიშვილი, რუსუდან გაჩავა, ნუცა არდაშელია, ლევან ძიდიგური, მიხეილ გუმბა; აგრეთვე: ლექტორები ლუიზა ბესელია, სიმბა დბარი, ლავრენტი კეშულარია, ია ზაგურსკაია. ამ შესანიშნავ კოპორტას ამშვენებდა თვით უნივერსიტეტის რექტორი, სახელოვანი მეცნიერი, უბადლო მამულიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე.

ბატონი ზურაბი უნივერსიტეტში, რა თქმა უნდა, პირველი ფიგურა იყო, რომლის გარშემოც ტრიალებდა უნივერსიტეტის როგორც სამეცნიერო-პედაგოგიური, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებაც. ზურაბ ანჩაბაძე ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში ვნახე პირველად, როდესაც სკოლიდან, წარჩინებული მოსწავლეები წაგვიყვანეს კომკავშირული აქტივის მეხვედრაზე ტყვარჩელში, სადაც სოხუმიდან ჩამოსულ კომკავშირულ და პარტიულ ფუნქციონერებთან ერთად იყო ბატონი ზურაბიც. ის ამ მეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე და ისაუბრა ისტორიის როლზე პიროვნების აღზრდაში. სხვა გამომსვლელები-საგან განსხვავებით არ ულაპარაკია პარტიული ლექსიკით, არამედ ძალიან მშვიდად ყოველგვარი პათეტიკის გარეშე გვესაუბრა ისტორიის მნიშვნელობაზე, მოგვიწოდა უკეთ გაგვეცნო ჩვენი მხარისა და ქვეყნის ისტორია.

შემდეგ იყო უნივერსიტეტი, სადაც ბატონ ზურაბთან უშუალო ურთიერთობა მომიწია | კურსიდანავე – მას მიჰყავდა სალექციო კურსი: „ის-

ტორიის დამხმარე დისციპლინები“, მოგვიანებით კი – III კურსზე – სპეციალიზაციის დისციპლინა: „საქართველო-აფხაზეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“.

ახლაც მახსოვს მასთან პირველი შეხვედრა. შევედით ლექციაზე, რომელსაც ის, როგორც წესი, რექტორის კაბინეტში ატარებდა. მივუსხედით გრძელ მაგიდას, რომელიც კაბინეტის შუაში იდგა. შემოვიდა ბატონი ზურაბი. მაღალი, ელეგანტურ ნაცრისფერ პიჯაკში, მასში იგრძნობოდა ის არისტოკრატიზმი, რომელიც მხოლოდ არისტოკრატიული გვარის შთამომავლებისთვის არის დამახასიათებელი. მისალმების შემდეგ კიდევე ერთხელ მოგვილოცა სტუდენტობა და აღნიშნა, რომ სტუდენტობა ის წლებია, რომელიც თქვენს ცხოვრებაში უნდა იყოს სწავლების და პიროვნებად ჩამოყალიბების პერიოდი და შემდგომ დასძინა: *«Быдте хорошо знать историю, будете сильны, не будете знать, слабы»* („ბეცოდინებათ კარგად ისტორია, იქნებით ძლიერები, თუ არ გეცოდინებათ – სუსტნი“). ამის შემდგომ თითოეულ ჩვენგანს ცალ-ცალკე გაგვეცნო.

შემდეგ გადავიდა უშუალოდ სალექციო მასალაზე. მან ძალზე მარტივად და გასაგებად აგვიხსნა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიული პროცესის შესწავლისას დამხმარე ისტორიულ დისციპლინებს. ორმა საათმა ისე განვლო, რომ ვერც კი ვიგრძენით ლექციის დასრულება. პირადად მე დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი. რა თქმა უნდა პირველი სემინარისთვის მთელი კურსი საგანგებოდ მოვემზადეთ – ყველას გინდოდა თავი მოგვეწონებინა სათაყვანო ლექტორის წინაშე. აქვე დავძენ, რომ ბატონ ზურაბთან სემინარი ძალიან საინტერესო იყო, რადგან ის არამარტო გვეკითხებოდა, არამედ მოითხოვდა სათანადო არგუმენტები წარმოგვედგინა ჩვენი აზრის გასამყარებლად, ხოლო, როდესაც ამას ვერ ვახერხებდით, აიღებდა წიგნს და გვითითებდა, სად უნდა მოგვეძებნა პასუხი ამა თუ იმ კითხვაზე; ყოველთვის გვეუბნებოდა, რომ საკითხის სწორი არგუმენტაცია არის გადამწყვეტი ისტორიული ფაქტის ან მოვლენის შეფასებისას.

უნივერსიტეტში სწავლების პერიოდი დაემთხვა ე. წ. „უძრავობის ხანას“. იმჟამად, როგორც ცნობილია, მოსკოვის მიერ წახალისებული აფხაზეთა ნაციონალისტურად განწყობილი ნაწილი ღიად გამოხატავდა უკმაყოფილებას ოფიციალური თბილისის მიმართ. სხვა საკითხებთან ერთად ისინი საქართველოს ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზი ხალხის ისტორიის გაყალბების შეწყვეტას და ილაშქრებდნენ იმ ქართველი მეცნიერების წინააღმდეგ, რომლებიც მათი

მტკიცებით ეწეოდნენ ისტორიის ფალსიფიკაციას. ამ კუთხით განსაკუთრებით აქტუალური იყო აფხაზთა წარმომავლობის თემა. ზურაბ ანჩაბაძე, რომელიც საქართველო-აფხაზეთის (აგრეთვე კავკასიის ხალხთა) ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის ისტორიის საქვეყნოდ აღიარებული მკვლევარი იყო, ბუნებრივია, ამ საკითხების გარშემო დისკუსიების ეპიცენტრში აღმოჩნდა, რადგან ორივე მხარე ქართული და აფხაზურიც, მისგან ითხოვდა საბოლოო ვერდიქტს.

აკადემიურ წრეებსა და ზოგადად საზოგადოებაში მიმდინარე ამ „ღებატებში“ ჩართულნი იყვნენ სტუდენტებიც. ერთ-ერთი მათგანი მეც აღმოვიჩინდი, როდესაც 1983 წელს, სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში, ბატონ ზურაბ პაპასქირის ხელმძღვანელობით მოვამზადე სამეცნიერო მოხსენება, რომელიც ეხებოდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის შეხედულებებს აფხაზთა და აფხაზეთის ისტორიის ისტორიულ წარსულზე (ნაშრომი ძირითადად აგებული იყო მეცნიერის შრომების VIII ტომში გამოქვეყნებულ მასალებზე¹). მოხსენებაში, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, უნივერსიტეტის მაშინდელი ადმინისტრაციის აფხაზური ნაწილის რისხვა გამოიწვია. ბ-ნ ზურაბ პაპასქირს ბრალი დასდეს, რომ ის სტუდენტებში ეწევა ანტი-აფხაზურ პროპაგანდას და ამის დასტურად ჩემი მოხსენება მოიყვანეს. როგორც ბატონი ზურაბი (პაპასქირი) იხსენებდა შემდგომ, მან რექტორს მიმართა თხოვნით, რომ დაეშოშმინებინა ადმინისტრაციის „ცხელთავიანი“ წევრები, რომლებიც მას ცილს სწამებდნენ ანტიაფხაზური განწყობის შექმნაში სტუდენტებს შორის. როგორც ამბობენ, რექტორს დაწვრილებით გამოუკითხავს ჩემი მოხსენების შინაარსი და აფხაზთა ისტორიის „აქტიური დამცველისთვის“, რომელიც ბატონ ზ. პაპასქირს ლამის აფხაზთა მტრად რაცხავდა, მშვიდად განუმარტავს: „ყოველივე ის, რაც მოტანილია სტუდენტის მოხსენებაში არის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებები და თუ თქვენ ამას არ ეთანხმებით, მოკითხეთ ბატონ ნიკოს და არა სტუდენტს და მის ხელმძღვანელს“...

როდესაც ყოველივე ამის შესახებ მე გავიგე, ცოტა არ იყოს ავლელდი. მართალია, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს,² თუმცა ბატონი

¹ ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII. მასალები ავტორის არქივიდან. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.

² აფხაზთა მთავარი სამიზნე ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო. საგანგებოდ შეიკრიბა რექტორატი, რომელზეც ბატონ ზურაბ პაპასქირს, არც მეტი არც ნაკლები, ოფიციალურად საყვედური გამოუცხადეს. ამის შესახებ იხ. **Зур**

ზურაბი (ანჩაბაძე) ერთ-ერთი ლექციის შემდეგ ჩემსკენ გადმოიხარა და ღიმილით მითხრა – «*Надеюсь Вы кроме Берძенишвили читали и мои работы по истории Абхазии*» („იმედი მაქვს, რომ გარდა ბერძენიშვილისა, თქვენ წაკითხული გექნებათ ჩემი ნაშრომებიც აფხაზეთის ისტორიაზე“), რაზეც დადებითად ვუპასუხე. მაშინ უცებ ვერ გავაცნობიერე, რატომ მკითხა ეს, მაგრამ რომ გამოვედი მივხვდი – ბატონი ზურაბ ანჩაბაძე ძალიან დელიკატური იყო და მან ამით მიმანიშნა საკუთარი შრომების გაცნობის აუცილებლობაზე. ამაშიც ჩანდა მისი დახვეწილი ხასიათი. მას სამეცნიერო დისკუსიის საკითხი არასოდეს არ გადაუყვანია პოლიტიკის ქრილში.

ძალიან დასანანია, რომ ზურაბ ანჩაბაძე ასე ადრე წავიდა წუთისოფლიდან, რადგან ის იყო ურყევი ავტორიტეტი, როგორც აფხაზებში, ისე ქართველებში, ასრულებდა ერთგვარი ხიდის როლს ორ მოძმე ხალხს შორის, რაც ხელს უწყობდა დაძაბულობის განმუხტვას, მაგრამ ვაგლახ რომ არ დასცალდა...

ასეთი დარჩა ჩემს მეხსიერებაში ზურაბ ანჩაბაძე, დიდი მეცნიერი, გულისხმიერი მასწავლებელი და მოძღვარი.

OMAR ARDASHELIA

A SMALL RECOLLECTION OF THE TEACHER

Summary

This article contains a small life story about famous Georgian-Abkhazian historian, the first rector of Sokhumi /Apkhazian/ State University *Zurab Anchabaze*. The author – the student at the same university in 1980-1985 years – recalls episodes from his relationship with Zurab Anchabadze, who left an indelible mark not only on him, but throughout the entire generation as an outstanding teacher and scientist. Students shared the first lessons of history and

Папаскири. Моя Абхазия. Воспоминания и размышления. Тбилиси, издательство: «Меридиани». 2012, гз. 39-40.

scientific life with his charming attitude. The article highlights the fact that Zurab Anchabadze was a bridge in Georgian-Abkhazian relations, whose premature death turns out to have a negative impact to Georgian and Abkhazian relationship. The author expresses his gratitude to Zurab Anchabadze, as a great man of nature, a kind person, a charming teacher and an educator, who was one of the first to bless the path to science.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ლუიზა ბესელია

არდავიწყება

არსებობენ ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრა და ურთიერთობა წარუშლელ კვალს ტოვებს შენს ცხოვრებაში. ბევრი მათგანი გადავიდა მარადიულ უსასრულობაში. უფალმა დაუმკვიდროთ სასუფეველი. ჩვენ კი მოგვცეს იმის უნარი, რომ ვიყოთ ღირსნი მათი ხსოვნისა. სწორედ ასეთი იყო *ზურაბ ანჩაბაძე*, კაცური კაცობის ეტალონი მეცნიერებაში, მეგობრობაში, ურთიერთობაში და თუ საჭირო იყო ჩხუბში – რომ დაეცვა დაზარალებული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბატონი *ზურაბი* გვიკითხავდა კავკასიის ხალხთა ისტორიას. ჩვენი ფაკულტეტი განსაკუთრებით უყვარდა. იმჟამად ის, კავკასიის ხალხების ისტორიის აღიარებული მკვლევარი *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში* მოღვაწეობდა, სადაც ხელმძღვანელობდა *კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის განყოფილებას*. მეგობრობდა ჩვენს სათაყვანო დეკანთან, გამოჩენილ ისტორიკოსთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, პროფესორ *შოთა მესხიასთან*.

ჩვენს ჯგუფში სწავლობდა ნიჭიერი ქისტი ახალგაზრდა *ელდარ ბორჩაშვილი*, რომლის სადიპლომო ნაშრომის (მოგვიანებით კი საკანდიდატო დისერტაციისაც) სამეცნიერო ხელმძღვანელი *ზურაბ ანჩაბაძე* იყო. იმ დროს ხმა დაირხა, რომ ელდარი სისხლის აღების ტრადიციით დაჭრილია და საავადმყოფოში წევსო. ბატონმა *ზურაბმა* დაგვრაზმა აქტიური სტუდენტები, რათა სისხლი გაგვეღო და ბოლომდე ქომაგობდა. ელდარი დღეს აღიარებული მეცნიერია და ისეთივე სწორი, მართალი და აკადემიური, როგორიც მისი მასწავლებელი იყო.

მახსენდება სტუდენტები წაგვიყვანეს უნივერსიტეტის ავტობუსით ლილოში კარტოფილის დასახარისხებლად. ავტობუსში ჩვენთან ერთად მგზავრობენ დეკანი *შოთა მესხია* და „за компанию“ ბატონი *ზურაბი* და

ჩვენ მომსწრენი ვიყავით არაჩვეულებრივი ურთიერთობის. ჩავატარეთ ზეპირი ვიქტორინა ისტორიაში და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით სისხარტესა და მჭერმეტყველებაში. ბატონი ზურაბი დადარში აცხობდა კარტოფილებს და გვიმასპინძლებოდა მიირთვით, მიირთვით, დიდხანს დაგამახსოვრდებათ თავადის პატივისცემად. ოხუნჯობა და სხარტისიტყვაობა, მაგრამ სტუდენტები ზღვარს არ გადავიდოდით დიდი მოწინებით და სიყვარულით აღვიქვამდით, რომ იმ დღეს ჩვენს ბიოგრაფიას ეს დღეც ემატებოდა.

და აი კურიოზი – ვინმე კარტოფილის ბაზის ახალგაზრდა თანამშრომელი უდიერად მიმართავს ერთ-ერთ სტუდენტ გოგონას. ამის შემხედვარე ბატონმა ზურაბმა ისეთი „გლიჯა“ იმ არამზადას, რომ სულ აქეთ გვიხადეს ბოდიშები. სოხუმში, და ზოგადადაც, ხშირად ამბობენ – ზურაბ ანჩაბაძე რომ ცოცხალი ყოფილიყო აფხაზეთში სისხლი არ დაიდვრებოდაო. ის იყო დიდი ავტორიტეტი, რომელსაც შეეძლო დაერწმუნებინა დაპირისპირებული მხარეები, რომ ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა უბედურებას მოუტანდა ორივე ხალხს და, რომ ძმამ ძმასთან უნდა შეძლოს არა იარადით, არამედ სიყვარულით, ურთიერთგაგებით და ნდობით თანაცხოვრება.

მახსენდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, კონფერენციაზე ვკითხულობ მოხსენებას: „აფხაზი ქალის სილამაზის ხალხური იდეალი“. დარბაზში ზურაბ ანჩაბაძეცაა. გაიმართა კამათი, წამოვიდა პროვოკაციული კითხვებიც. მე არ დავიბენი და საკმაოდ კატეგორიულად მივუჩინე ყველას თავისი ადგილი. ბატონი ზურაბი წამოდგა, გულში ჩამიკრა და დარბაზს მიმართა: *«Из нее получится справедливый ученый»* („მისგან დადგება მართალი მეცნიერი“). მაგრამ მე (ოჯახური მდგომარეობის გამო), სამწუხაროდ, მთლად ბოლომდე ვერ გავამართლე მისი იმედები და რაც ვარ, ის ვარ.

განუსაზღვრელი იყო ბატონი ზურაბის მონდომება და ძალისხმევა შექმნილ სიტუაციაში გამოსავლის ძებნისა. მე უკვე დიდი გოგო ვარ, დავამთავრე ასპირანტურა, დროზე ჩავაბარე საკანდიდატო ნაშრომი, მივიღე დაჯილდოება – ვარ *ღია ცის ქვეშ მუზეუმის* (ამჟამად *გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ*) სწავლული მდივანი. აფხაზეთში მივლინების დროს გავიცანი მომავალი მეუღლე – *ახალი ათონის სამუზეუმო კომპლექსის* დირექტორი *სერგი ავიძბა*. კეთილშობილი, უადრესად ჰუმანური და აფხაზურ ტრადიციებზე გაზრდილი კაცი. თბილისიდან სოხუმამდე მატარებლით ვმგზავრობთ: მუზეუმის პროექ-

ტის ავტორი, არქიტექტორი ლონგინოზ სუმბაძე, დირექტორი კუკური (ნიკოლოზ) მაჭავარიანი, ზურაბ ანჩაბაძე – იმ დროს უკვე სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) რექტორი და მე – მომავალი შვილის მომლოდინე. ბატონმა ზურაბმა იხმო ვაგონის გამცილებელი და ჩემთვის გააკვარახჭინა ცალკე კუპე – „ის მომავალი დედა, არაა აუცილებელი ბებრებს შორის გაწვალდეს, წადი შვილო, დაისვენე“ (*«Она будущая мама и нечего ей с нами, со сториками, стесняться, иди детка отдохнать»*). სოხუმში ჩასულებს დაგვხვდა ჩემი მეუღლე, რომელმაც სტუმრები დააბინავა და ბატონ ზურაბსაც გულითადი მადლობა გადაუხადა.

როდესაც ჩემი შვილი – ლეილა დაიბადა, თბილისში დამირეკა და მომილოცა მომავალი პრინცესას დაბადება. ბატონი ზურაბის მეოხებით მომიწვიეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მის მიერვე დაფუძნებული საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრაზე – ეთნოლოგიის ლექტორად. იმ პერიოდში ლექციები ტარდებოდა მთავარი კორპუსის (აკაკი წერეთლის ქუჩაზე) მეოთხე სართულზე. ერთ დღეს, ის ისაა, ზარი დაირეკა და მე შევდივარ „ისტორიის“ სპეციალობის მეორე კურსელებთან, სადაც გამორჩეული ახალგაზრდები სწავლობდნენ: გიორგი (ქორა) გულია, გაიანე შამბა, კამა ჯინჯოლია, სოსლან სალაყაია, რუსლან ბარციცი და სხვანი. ვხედავ, კიბეზე ამოდის რექტორი ორ თანმხლებ პირთან ერთად, რომლებიც, არც მეტი არც ნაკლები, მოსკოვიდან – სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსგან – მოვლინებული „ამხანაგები“ აღმოჩნდნენ. სტუმრებს რატომღაც მოუსურვებიათ ჩემს მეცადინეობაზე დასწრება. ბატონი ზურაბი მათ შემოუძღვა და ქართულად მითხრა შენი იმედი მაქვსო. თემა ეხებოდა რელიგიის როლს მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში.

ვხედავ, რომ მოსკოველები იწერენ ლექციას. სტუდენტები დაიძაბნენ. მე ჩვეულებისამებრ დავდივარ მერხებს შუა და ვამხნევებ მათ: *«Успокойтесь, они ни вас, а нас проверяют»* („დამშვიდდით, ისინი თქვენ კი არა, ჩვენ გვამოწმებენ“). ძალიან თამამი იყო სოსლან სალაყაია (დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი), რომელიც მიუბრუნდა სტუმრებს და ეუბნება *«Никто так не может оценить значение всех религии так, как Луиза Владимировна. Разве не мусульманки-мамы воспитывали Абу Али ибн Сина, Улугбека, арабских учёных, или создателей шедевров Самарканда»* („ვერავინ შეაფასებს ყველა რელიგიის მნიშვნელობას, ისე, როგორც ლუიზა ვლადიმირის ასული. განა მუსლიმმა დე-

დებმა არ აღზარდეს აბუ ალი იბნ სინა, ულუგბეკი, არაბი მეცნიერები ან სამარყანდის შეღვევების შემქმნელები?"). მეორე დღეს დეკანი ბურმან ბერია მეუბნება, რომ რექტორატში მიბარებენ. ცოტა შევცბი, რა ვიცოდი, თუ ბატონი ზურაბი მალალ შეფასებას მისცემდა ჩემს ნააზრევს და თამამ ლექციას.

მახსენდება კიდევ შემთხვევა. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ბატონს ზურაბს ძალიან მოეწონა „ისტორიის“ სპეციალობის მართლაც გამორჩეული აფხაზი სტუდენტის აბესალომ ლეფსაიას მოხსენება. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ *«У парня аналитический склад ума, в нем вижу себя в его возрасте, помогите ему стать ученым»* („ბიჭს ანალიტიკური აზროვნება აქვს, მე მასში ვხედავ ჩემს თავს მის ასაკში, დაეხმარეთ, რომ გახდეს მეცნიერი“).

დაბოლოს, ყოველ წელს, აღდგომა დღეს ტრადიციულად მივდივარ ბატონი ზურაბის საფლავზე და მოწინებით თავს ვხრი, საადღგომო კვერცხს ვდებ, ჩუმი ვდგავარ და ვხედავ, როგორ მიახლოვდებიან აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთათვისაც ზურაბ ანჩაბაძის სახელი არის სათაყვანებელი და მისაბაძი.

LUIZA BESELIA

AD MEMORIAM

Summary

The article is a small memoir in which the author, Zurab Anchabadze's former student at Tbilisi State University, and later a lecturer at Abkhazian State University, recalls separate episodes from her relationship with a famous scholar.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

თამაზ ჩოჩია

ზოგი რამ პროფესორ ზურაბ ანჩაბაძეზე

იმ დღეს, 1984 წლის 28 იანვარს სოხუმში გავრცელდა ხმა ზურაბ ანჩაბაძის გარდაცვალების შესახებ. ქალაქის და მთლიანად აფხაზეთის საზოგადოება იცნობდა მას, ბევრი პირადად, ბევრიც დაუსწრებლად არამარტო როგორც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ რექტორს, დიდ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, აფხაზეთისთვის და ქართველებისთვის გამორჩეულად პატივსაცემ პიროვნებას, არამედ – ერისკაცს. უკანასკნელ გზაზე ბატონი ზურაბი ზღვა ხალხმა გააცილა. აფხაზეთი, საქართველოს სამეცნიერო ელიტა გულწრფელად გლოვობდა ბუმბერაზ ადამიანს.

ზურაბ ანჩაბაძე დაკრძალეს მის მიერ ნალოლიავები უნივერსიტეტის ეზოში. ეს გადაწყვეტილება, ზედმეტი ბჭობისა და ყოყმანის გარეშე, მოწონებულ იქნა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებში და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში, იმ უდიდესი ღვაწლის გათვალისწინებით, რომელიც ამ არაორდინარულმა პიროვნებამ გასწია ახლადშექმნილი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საოცრად მოკლე დროში ფეხზე დაყენებისთვის. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ 1979 წელს *სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის* უნივერსიტეტად გარდაქმნა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, არამედ მთელი საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რექტორის თანამდებობაზე პროფესორ ზურაბ ანჩაბაძის კანდიდატურა უალტერნატივო იყო. უნივერსიტეტში და სახელისუფლო დონეზე კარგად ესმოდათ, რომ ბატონი ზურაბის გარდა, ამ საქმეს სხვა ვერავინ გასწევდა. ახლად დაარსებულ სოხუმის/აფხაზეთის/ სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო 24 საათიანი მუშაობა სასწავლო პროცესის გასამართად. გაიხსნა ახალი ფაკულტეტები, გადაიდგა ნაბიჯები ახალგაზ-

რდა პერსპექტიული პედაგოგიური კადრების მოსაზიდად. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, გამოცოცხლდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. მეტი გასაქანი მიეცა სამეცნიერო კვლევებში პროფესორ-მასწავლებელთა, ნიჭიერი ახალგაზრდების მონაწილეობას. დაიწყო ე.წ. „ძველი კორპუსის“ (აკაკი წერეთლის ქუჩაზე) რეკონსტრუქცია – ფაქტობრივად აშენდა ახალი შენობა.

ზურაბ ანჩაბაძე ფართო პროფილის ავტორიტეტული მეცნიერი-ისტორიკოსი იყო, არა მხოლოდ საქართველო-აფხაზეთის, არამედ მთელი სსრ კავშირის მასშტაბით. ის გახლდათ აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ-ის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ის, როგორც მშობლიური აფხაზეთის ისტორიის აღიარებული მკვლევარი და აფხაზი ხალხის მომავალზე მაფიქრალი კაცი, მუდამჯამ იღგა ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის სადარაჯოზე; თავისი პუბლიკაციებით, თუ საჯარო გამოსვლებით დღენიადაგ ქადაგებდა ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების ურყევობას. ასეთი მამულიშვილური პოზიციის გამო მას, გააქტიურებული სეპარატისტული მოძრაობის ფონზე (განსაკუთრებით 70-იან წლებში), მოუმრავლდა მოწინააღმდეგეები, მათ შორის სეპარატისტების მოწოდებებს აყოლილ ახალგაზრდებში.

იმ ხანად საბჭოთა კავშირში, მოჩვენებითი სიტყვის თავისუფლების ვითარებაში, ხმამაღლა თქმა იმისა, თითქოს ანტიქართულ პრინციპებზე აგებული აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა კრემლიდან იმართებოდა და მისი მფარველობის სფეროს წარმოადგენდა, დაუშვებელი იყო. ზურაბ ანჩაბაძის გარდაცვალების შემდგომ წლებში აფხაზურმა სეპარატიზმმა იძალა, 1989 წლის ზაფხულში კი სისხლიც დაიღვარა. 1990-1991 წლებში ვითარება თითქოს დარეგულირდა, მაგრამ საკავშირო ცენტრი, რომელიც ვერაფრით ეგუებოდა საქართველოს სვლას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ, ყოველნაირად ცდილობდა მძლავრი ანტიქართული ფრონტის შექმნას აფხაზეთში.

ასეთ ვითარებაში მოსკოვთან მწყრალად მყოფმა საქართველოს ხელისუფლებამ, დემოკრატიული ევროპისა და აშშ-ის მხრიდან ყურადღებისა და მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა, ვერ მოიძია ეფექტური გზები აფხაზეთთან ურთიერთობაში სიმწვავის დასაძლევად. საქმეს ვერც თბილისის მიერ მოწონებული საარჩევნო კანონის, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობის მიმართ აპარტიდული

იყო, მიღებამ უშველა. ამ ურთულეს, ისტორიულად საბედისწერო ვითარებაში აფხაზეთის საზოგადოებაში ვერ მოიძებნა ისეთი წინდახედული, პრაგმატული და ავტორიტეტული პიროვნებები, რომლებიც შეძლებდნენ ორივე ერისთვის მისაღები კეთილმეზობლური თანაცხოვრების შეთავაზებით ხალხის დამშვიდებას და აფხაზურ-ქართული შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან აცილებას. სწორედ მაშინ იგრძნო აფხაზეთის საღად მოაზროვნე საზოგადოებამ, რომ მას დააკლდა დიდი კაცი, თავისი ნიჭით, ინტელექტით, სახელმწიფოებრივი აზროვნებით გამორჩეული ზურაბ ანჩაბაძე. აფხაზ ერს კი ლიდერად მოეწვინა კრემლის მიერ ხელდასმული და დაპროგრამებული *ვლადისლავ არძინბა*, რომელმაც ომის გზას გაუყენა ხალხი.

მე საკმაოდ ახლო, მეგობრული ურთიერთობა, მათ შორის სამსახურეობრივი, მქონდა ბატონ ზურაბ ანჩაბაძესთან. მე, როგორც საქართველოს კომპარტიის სოხუმის ქალაქკომის განყოფილების გამგე მისი რექტორობის წლებში ვიყავი უნივერსიტეტის ცენტრალური მისაღები კომისიის წევრი, ხშირად ვესწრებოდი მის მიერ ჩატარებულ თათბირებს და სხდომებს.

იყო ასეთი შემთხვევა. ზაურ ავიძბა, რომელიც იმჟამად სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო (მოგვიანებით სწორედ მან შეცვალა ზურაბ ანჩაბაძე რექტორის თანამდებობაზე) და მე ვსტუმრობდით უნივერსიტეტს, სადაც მიმდინარეობდა მისაღები გამოცდები (ჯერ კიდევ ძველი კორპუსის შენობაში – აკაკი წერეთლის ქუჩაზე). დერეფანში ჩვენი ყურადღება მიიპყრო აფხაზმა ყმაწვილმა, რომელიც, როგორც გაირკვა, უკვე მეორედ „ჩაჭრილა“ ინგლისური ენის გამოცდაზე (ცუდი გამოთქმის გამო). ბიჭი ლამის ტიროდა. უზოში გამოსულებს შემოგვხვდა რექტორი. ამბის გაგების შემდეგ, გვთხოვა, ის აბიტურიენტი გვენახებინა. გასაუბრების შემდეგ, რექტორმა სამივე საგამოცდო აუდიტორიაში მიგვიწვია. მისაღები კომისიის წევრებს კი მოუბოდიშა და უთხრა – „*უმაღლესში მე ფრანგულს ვსწავლობდი, მაგრამ ინგლისურიც იმდენი ვიცი, რომ ამ ყმაწვილის გამოსაცდელად საკმარისი იქნება*“. მერე სამი-ოთხი კითხვა დაუსვა აბიტურიენტს, იმანაც ძლივს, დამტვრეული ინგლისურით უპასუხა. ბოლოს რექტორმა საგნობრივი კომისიის წევრებს მიმართა: „*იმ მივარდნილ სოფელში, საიდანაც ეს ბიჭია, არა მგონია ქალაქელი ჩვენი კურსდამთავრებული წავიდეს საბუშაოდ. ამიტომ უმჯობესია ისევ და ისევ მას მივცეთ მანსი*“. გახარებულ ახალგაზრდას ისევ ცრემლები წამოუვიდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ურყევი იყო ზურაბ ანჩაბაძის ავტორიტეტი, როგორც მეცნიერ ისტორიკოსისა. მოხდა ისე, რომ ამჟამად ცნობილმა, მაშინ კი ახალგაზრდა მეცნიერმა, ზურაბ ჰაპასქირმა, ერთ-ერთ პუბლიკაციაში ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებული «*Огне-за*» – არა საკუთრივ აფხაზეთისა და აფხაზების (დღევანდელი გაგებით), არამედ სრულიად საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელ ტერმინებად მიიჩნია. სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზმა ისტორიკოს-ფილოლოგებმა, ის ამის გამო აფხაზი ხალხის ისტორიის ფალსიფიკატორად გამოაცხადეს და მისი უნივერსიტეტიდან განდევნაც კი მოითხოვეს. საკითხი გატანილ იქნა პარტიის საოლქო კომიტეტში. განყოფილების გამგესთან ვიქტორ ალექსანდროვთან ცხარე კამათის შემდეგ, ზურაბ ანჩაბაძემ მხარი ქართველ მეცნიერს დაუჭირა. სხდომის შემდეგ, ბატონმა ვიქტორმა მითხრა: «*У Зуроба Вианоровича, как всегда, железная логика. Закрыл тему*» („ზურაბ ვიანორის ძეს, როგორც ყოველთვის რკინიხეხური ლოგიკა აქვს. დავხუროთ ეს თემა“).

1977-1978 წლებში, აფხაზური საზოგადოების გარკვეულ ნაწილში საგრძნობლად გააქტიურდა სეპარატისტული მოძრაობა. აფხაზეთის და ცენტრალურ პარტიულ ორგანოებში პერიოდულად იხილებოდა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ზოგიერთი, სეპარატისტულად განწყობილი თანამშრომლის საკითხი გატანილი იყო პარტიის საქალაქო კომიტეტის სხდომაზე. როდესაც სხდომათა დაარბაზში ბიუროს წევრები, მათ შორის ზურაბ ანჩაბაძე, შემოვიდნენ, იქ მყოფნი ტრადიციისამებრ ფეხზე წამოდგნენ. მუზეუმის რამდენიმე ახალგაზრდა თანამშრომელი, დემონსტრატულად ფეხზე არ წამოდგა. პასუხად, ბატონმა ზურაბმა მათი მისამართით წარმოთქვა: „*წინაპართა წეს-ჩვეულებები მაინც არ დავივიწყოთ*“. საკითხის განხილვისას, თავიანთი არგუმენტების გასამყარებლად, მუზეუმის თანამშრომლები პროფესორ შალვა ინალ-ივას წიგნს იშველიებდნენ. ზ. ანჩაბაძემ, ჩვეული სიდინჯით განმარტა, რომ არასწორად, მიკერძოებულად მიაჩნდა წიგნში განვითარებული დებულებები და საკმაოდ მკაცრად დასძინა: „*მე სულ ვუბნებოდი შალვას, ღრმად ნუ ერევი ისტორიის საკითხებში, შენ ხომ ეთნოგრაფი ხარ. ნუ გექნება პრეტენზია ისტორიის საკითხებში შენი დასკვნების ჭეშმარიტებაზე*“.

ზურაბ ანჩაბაძის პოზიციას, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი აფხაზი ხალხის მომავალი არა რუსეთთან, რომელმაც სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ აფხაზები დამნაშავე ერად

გამოაცხადა და მას მუჰაჯირობა მოუწყო, არამედ სისხლ-ხორციტ ნათესავ ქართველებთანაა, ბევრი აფხაზი იზიარებდა მისი გარდაცვალების შემდეგაც. ანჩაბადისეულ პოზიციაზე სიცოცხლის ბოლომდე იდგათვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი *ლორიკ მარშანია* და კიდევ სხვა არაერთი ცნობილი აფხაზი პიროვნება. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, მართალია, დიად მიანიშნებდნენ აფხაზებს რუსულ საფრთხეზე, მაგრამ, პარალელურად, ფარულად თუ დიად აღვივებდნენ ანტიქართულ, სეპარატისტულ განწყობილებებს აფხაზურ მოსახლეობაში და ეწეოდნენ ძირგამომთხრელ საქმიანობას საქართველოს წინააღმდეგ. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც აფხაზური ლიტერატურის კლასიკოსი *ბაგრატ შინკუბა*, რომელმაც თავის განმარტებულ რომანში *„უკანასკნელი უბიხი“*, უგზო-უკვლოდ გამქრალი უძველესი ხალხის – უბიხების ტრაგიკული ბედის ჩვენებით, აფხაზური საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი თითქოს დააფიქრა, რომ რუსეთისკენ ლტოლვის პირობებში, საკუთრივ აფხაზთა შესაძლო მომავალიც უბიხების ანალოგიური.

მოსკოვის წაქეზებით და სამხედრო დანმარებით 1992-1993 წლებში სეპარატისტულ ისტერიას აყოლილმა აფხაზებმა მოიპოვეს „გამარჯვება“, ფაქტობრივად, გენოციდი მოუწყვეს ქართულ მოსახლეობას, მოაწყვეს ეთნოწმენდა, რის შედეგადაც აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დღემდე დევნილობაშია. „ნანატრი დამოუკიდებლობით“ ეიფორიაში მყოფი აფხაზები კი უკვე სამი ათეული წელია ზეიმობენ „გამარჯვებას“, როგორც თვითონ უწოდებენ – „*აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში*“ და ვირტუალურ სამყაროში, სრული უძრაობის ვითარებაში მყოფნი, შესცქერიან გაურკვევლობით მოცულ მომავალს.

ზურაბ ანჩაბადის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა ინიციატივა – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დარქმეოდა მისი პირველი რექტორის და სულისჩამდგმელის სახელი, მაგრამ სეპარატისტულ ისტერიას აყოლილი ზოგიერთი აფხაზისათვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. დღეს ქ. სოხუმის ცენტრში (ჭოჭუას ქუჩაზე) აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აწ უკვე ყოფილი მთავარი კორპუსის (ეს შენობა 1997 წლიდან „მიიტაცა“ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოყოფილმა *სოხუმის დია ინსტიტუტმა*) – ეზოში ზურაბ ანჩაბადის საფლავზე დგას მეცნიერის ბიუსტი. როგორც ამბობენ, ამ საფლავს ხშირად სტუმრობენ სტუდენტები, რომელთაც საეჭვოა სრულად ჰქონდეთ გაცნობიერებული ზურაბ ანჩაბადის პიროვნების სიდიადე.

ხალხში ამბობენ, რომ მომავალი თაობა წინა თაობაზე უკეთესი იზრდებაო. ძნელია არ დაიჯერო. ცხოვრება წინ მიდის. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებშიც აუცილებლად დაიზრდებიან ნიჭიერი, ახლებურად მოაზროვნე პრაგმატული და თანამედროვე მენტალობის ახალგაზრდები, რომლებიც დღეს თუ ხვალ ჩაიბარებენ მშობლიური აფხაზეთის სადავებს და წაიყვანენ საკუთარ ხალხს ბატონ ზურაბ ანჩაბაძის მიერ უალტერნატივოდ მიჩნეული გზით.

TAMAZ CHOCHIA

SOME THINGS ABOUT PROFESSOR ZURAB ANCHABADZE

Summary

The article is a small recollection of Zurab Anchabadze. It shows the personal virtues of a prominent scientist, teacher, and public figure.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ზურაბ პაპასქირი

რვა წელი სახელოვანი მეცნიერისა და მაგულიშვილის გვერდით

გოგირთი შტრიხი ზურაბ ანჩაბაძის კორტრეპისათვის

ზურაბ ანჩაბაძესთან თითქმის რვაწლიანი (1976 წ. აპრილიდან 1984 წ. იანვრის ჩათვლით) ურთიერთობის მანძილზე, ბუნებრივია, მოსაგონარი საკმაოდ დამიგროვდა, თუმცა ყველაფრის გახსენება ძალზე გამიჭირდება, ამიტომაც მხოლოდ ცალკეული საინტერესო ეპიზოდის გადმოცემით შემოვიფარგლები.¹

ზურაბ ანჩაბაძის სახელი პირველად გავიგე ჩვენი გაცნობიდან ზუსტად რვა წლით ადრე – 1968 წლის გაზაფხულზე. მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ვიყავი. ერთხელ ჩვენმა სათაყვანო ლექტორმა, საქართველოს ისტორიის სემინარის ხელმძღვანელმა *თამარ გამსახურდიამ*, რომელიც თურქეთში მოგზაურობიდან ახალდაბრუნებული იყო, მეცადინეობისას გავვიზიარა თავისი შთაბეჭდილებები.² მან გაამახვილა ყურადღება ლაზებთან შეხვედრაზე, რომლის დროსაც ქართული დელეგაციის წევრებიდან ზურაბ ანჩაბაძე მათ მეგრულად დალაპარაკებია.³ ამ საუბრიდან მე მხო-

¹ არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ახლავს ერთი უხერხულობა – ნებისთი თუ უნებლიედ გიხდება საკუთარ თავზე საუბარი (ზოგჯერ შეიძლება ზომამდე მეტადაც). წარმოდგენილი მასალაც, ბუნებრივია, არ იქნება გამონაკლისი, რისთვისაც მკითხველს წინასწარ ვუხსნი ბოდიშს.

² როგორც მახსოვს, ეს იყო ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ჯგუფის პირველი გასვლა თურქეთის რესპუბლიკაში.

³ სხვათა შორის, მე დავინტერესდი იმით, თუ რატომ არ გაესაუბრა თვითონ ქალბატონი თამარი ლაზ-მეგრელებს, რაზეც მან მიპასუხა, რომ, სამწუხაროდ, მეგრული არ იცოდა. მახსოვს, ამან ჩემში ერთგვარი „პროტესტი“ გამოიწვია (მაშინ მე თავი „მაგარ მეგრულად“ მომქონდა) – ვერ წარმომედგი-

ლოდ ის გავიგე, რომ ზ. ანჩაბაძე მეცნიერი, ისტორიკოსი იყო, რაიმე დამატებითი ინფორმაცია მასზე არ მომიძიებია; არც იმაზე დავფიქრებულვარ, თუ რა აკავშირებდა ბატონ ზურაბს სამეგრელოსთან, მისი გვარის აფხაზურ წარმომავლობაზე ხომ წარმოდგენა საერთოდ არ მქონდა.

ზურაბ ანჩაბაძის შემოქმედებით პირველად 1972 წელს, დამამთავრებელ კურსზე, სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას დავინტერესდი, როდესაც გავეცანი მის (*მარინე ცინცაძესთან* ერთად) პუბლიკაციას საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ურთიერთობებზე.¹ უფრო მეტი ზ. ანჩაბაძის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე უკვე მოგვიანებით, *მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის* ასპირანტურაში სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, გავიგე. ამჯერად, გარდა ზემოაღნიშნული პუბლიკაციისა, მომიწია მეცნიერის შუასაუკუნეების აფხაზეთის ისტორიისადმი მიძღვნილი კაპიტალური მონოგრაფიის² დამუშავება, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. სადისერტაციო ნაშრომში ერთ-ერთი პრინციპული საკითხის – ძველი რუსული წერილობითი ძეგლების «*Онеза*»-ის მნიშვნელობის, რომლის ირგვლივ პოლიტიკურ-მეცნიერული ინსინუაციები სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მეცნიერებში დღემდე არ წყდება – გადაჭრისას მე ვინელმძღვანელე კიდეც ზ. ანჩაბაძის ფუძემდებლური დებულებით.³

ასპირანტობის წლებში თითქოს მომეცა ბატონი ზურაბის უშუალოდ გაცნობის შესაძლებლობაც. ეს იყო 1974 წელს, როდესაც მე მოვხვდი *სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტის* სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, რომელზეც სადოქტორო დისერტაციას იცავდა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი, იმ დროისათვის უკვე საკმაოდ ცნობილი ისტორიკოსი, კავკასიოლოგი *ანატოლი ნოვოსელცევი* (შემდგომ ამავე ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიე-

ნა, თუ როგორ შეიძლება თვით დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ქალიშვილს მეგრული არ სცოდნოდა.

¹ **ზურაბ ანჩაბაძე მარინე ცინცაძე.** საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. – *საქართველო რუსთაველის ხანაში*. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966, გვ. 144-160.

² **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, *Абхаз-издат*, 1959.

³ ამის შესახებ იხ. **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тбилиси, *Издательство Тбилисского Университета*, 1982, გვ. 122-123.

რებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი¹). მისი სადისერტაციო ნაშრომი: «*Пути развития и особенности феодальной формации в странах Закавказья*» („*ევოლუციური ფორმაციის განვითარების გზები და თავისებურებები ამიერკავკასიის ქვეყნებში*“) ეხებოდა უაღრესად აქტუალურ და მასშტაბურ პრობლემას, რომელიც მოითხოვდა ერთდროულად ძველი და შუა საუკუნეების ხანის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის სიღრმისეულ ცოდნას. ამის გათვალისწინებით შეირჩა კიდევ ოფიციალური ოპონენტები, რომელთა შორის ქართულ საისტორიო სკოლას წარმოადგენდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ზურაბ ანჩაბაძე* (კიდევ ერთი ოპონენტი იყო აზერბაიჯანის წარმომადგენელი, გამოჩენილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი *ზია ბუნიატოვი*). ეს ფაქტი მე აღვიქვი ზურაბ ანჩაბაძის მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის აღიარებად და კიდევ უფრო მეტი სიმპათიით განვეწყვე მის მიმართ. მხოლოდ ის ვინანე, რომ თვითონ მას ვერ შევხვდი და ვერ გავიცანი, რადგან რაღაც გარემოებების გამო ბატონმა ზურაბმა მოსკოვში ჩამოსვლა ვერ მოახერხა და მისი რეცენზია სადისერტაციო საბჭოს სწავლულმა მდივანმა წაიკითხა.

ზურაბ ანჩაბაძე პირველად ვნახე და გავიცანი უკვე 1976 წლის აპრილში, როდესაც განაწილებით მოვხვდი სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მე – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის კურსდამთავრებულს – უარი მითხრეს სამსახურზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არადა, რადგან „*მიზნობრივ ასპირანტურაში*“ თსუ-დან ვიყავი გაგზავნილი, იმჟამად არსებული წესის თანახმად, სწორედ თბილისის უნივერსიტეტს ევალუბოდა ჩემი დასაქმება. დიდი წვალეების შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ ვერც უნივერსიტეტი და ვერც ზემდგომი სტრუქტურა – *საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო* – ვერ ახერხებდნენ პრობლემის მოგვარებას, თხოვნა-საჩივრის წერილით მივმართე საქართველოს უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას – თვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს *ედუარდ შევარდნაძეს*, რომელიც შესაბამისი რეზოლუციით გადაეგზავნა

¹ ანატოლი ნოვოსელცევის დეაწლზე იხ. **Р. В. Метрели, З. В. Папаскири.** Видный ученый, большой друг Грузии. К 70-летию Анатолия Петровича Новосельцева. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ. 11. 2004, გვ. 724-729.

უკვე ნახსენებ სამინისტროს, სადაც ამჯერად უფრო ყურადღებით მოეკიდნენ „ზემოდან მითითებას“ და დაიწყეს გამოსავლის ძიება.

მინისტრთან, აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძესთან მიღებაზე, მივანიშნე მას, რომ რადგან ჩემი დასაქმება თბილისში ვერ ხერხდებოდა, არ ვიქნებოდი წინააღმდეგი სოხუმში, პედაგოგიურ ინსტიტუტში სამსახურზე. ეს არჩევანი განპირობებული იყო, პირველ რიგში, მშობლიურ ზუგდიდთან, სადაც ოჯახით ვცხოვრობდი, სიახლოვით. გარდა ამისა, მნიშვნელოვან გამოჩენილი ისტორიკოსის ზურაბ ანჩაბაძის – ინსტიტუტის რექტორის (რომლის შემოქმედებასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ჩემი სადისერტაციო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, უშუალო შეხება მქონდა) გვერდით და მისი ხელძღვანელობით მუშაობა. მინისტრი ენთუზიაზმით შეხვდა ამ ინიციატივას და იქვე პირდაპირი ხაზით დაუკავშირდა ბატონ ზურაბს. რექტორმა აუხსნა, რომ დიდი სიამოვნებით მიიღებდა ახალგაზრდა სპეციალისტს, მაგრამ მას თავისუფალი საშტატო განაკვეთი არ გააჩნდა. ამის პასუხად მინისტრმა მიუგო, რომ მთავარია სასწავლო საათები, საშტატო განაკვეთს კი სამინისტრო, თავისი „რეზერვიდან“ გამოყოფდა. მართლაც, იმავე დღეს სამინისტროში ოპერატიულად გააფორმეს სათანადო დოკუმენტაცია – „განაწილების ფურცელი“, საშტატო განაკვეთი (0.5 საშტატო ერთეული).

ასე „შეიარაღებული“ ჩავედი სოხუმში და ვეახელი პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს. ბატონი ზურაბი ადგილზე არ დამხვდა. ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ მისაღებში შემოვიდა ინტელიგენტური სახის ხანში შესული კაცი, იქ მომლოდინე ხალხს თავაზიანად მოგვესალმა და დაუკითხავად შევიდა რექტორის კაბინეტში. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ეს იყო რომელიმე მსცოვანი პროფესორი რექტორის ახლო გარემოცვიდან – რატომღაც ვერ დავაკავშირე ზურაბ ანჩაბაძესთან, რომლის ასაკი ჩემთვის ცნობილი იყო (იმ დროისათვის 56 წლისაც არ იყო), ამიტომაც გამიკვირდა, როდესაც მდივანმა კაბინეტში შემიპატიჟა. აღმოჩინდა, რომ ის ვინც მე „მსცოვან პროფესორად“ მივიჩნიე, სწორედ ზურაბ ანჩაბაძე ყოფილა.

რექტორმა საკმაოდ თბილად მიმიღო, თუმცა ერთგვარი შეცბუნება მაინც შევატყვე. ზემოხსენებულ დოკუმენტებთან ერთად მე მას გადავეცი ცნობილი ისტორიკოსის, შოთა ბადრიძის (მასთან სტუდენტობის პერიოდებიდან თბილი მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა¹) ბარათი –

¹ იხ.: **ზურაბ ჰაპასქირი**. შოთა ბადრიძის გახსენება. – წიგნში: **ზურაბ ჰაპასქირი**. და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბილისი,

სარეკომენდაციო წერილი. ასევე მივართვი მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტი-ისტორიკოსთა კრებული, რომელშიც დაბეჭდილი იყო ჩემი სტატიაც საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებზე XI – XII საუკუნის I ნახევარში,¹ პირველი სამეცნიერო პუბლიკაცია – ერთგვარი სავიზიტო ბარათი. მომეჩვენა, რომ კრებულმა და სტატიის სათაურმა მასზე მთაბეჭდილება მოახდინა.

მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი სტუმრობით ის აღფრთოვანებული ყოფილიყო – როგორია აპრილში, შუა სემესტრში გამოძებნო სასწავლო დატვირთვა ახალი თანამშრომლისათვის. რექტორმა სასწრაფოდ გამოიძახა ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი *შოთა ბასილაია* და *სსრ კავშირის ისტორიის* (სწორედ ამ სპეციალობით მქონდა დამთავრებული ასპირანტურა) *კათედრის* გამგე, პროფესორი *ირაკლი ახალაია*. ამ უკანასკნელმა, როგორც იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა და უარი განაცხადა სასწავლო დატვირთვის გამოყოფაზე. უნდა ითქვას, რომ კათედრის გამგის ეს დემარში სავსებით ლოგიკური იყო, ვინაიდან სწორედ იმ დროს, ინსტიტუტში მიმდინარე შტატების შემცირების გამო, მის კათედრაზე თანამშრომლები გადაყვანილი იყვნენ ე. წ. „მცოცავ გრაფიკზე“ და ზოგიერთ მათგანს არასრული სამშაბათო განაკვეთი ჰქონდა. ასეთ ვითარებაში ახალი თანამშრომლის მიღება და ისიც იმავე სამინისტროს „რეკომენდაციით“, რომლის მითითებითაც ხორციელდებოდა შტატების შემცირება, მართლაც, ძალზე გამომწვევად მოჩანდა.

რექტორსა და კათედრის გამგეს შორის საკმაოდ ცხარე პოლემიკა გაჩაღდა, რომელიც ჩააცნრო შოთა ბასილაიამ. საბოლოოდ ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდა, კათედრის გამგემ შეასრულა რექტორის მითითება, გამოძებნა ვაკანტური საათები,² რომლის საფუძველზეც ამ უკა-

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 596-600.

¹ **З. В. Папаскири.** К вопросу о международной роли Грузии в XI – I половине XII в. – *Проблемы истории СССР, V.* Москва, Издательство МГУ, 1976, гв. 115-128.

² თავდაპირველად გადმომეცა „მცოცავ გრაფიკზე“ გადაყვანილი დოცენტ *ალექსანდრე სოფიას* სასწავლო დატვირთვიდან „გამოთავისუფლებული“ საათები „*საქართველოს ისტორიაში*“. უნდა ითქვას, რომ ეს ჩემთვის მაინც და მაინც საუკეთესო ვარიანტი არ იყო, რადგან ასპირანტურაში მე მამზადებდნენ ე.წ. „*სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის*“ (სინამდვილეში რუსეთის ისტორიის) სპეციალობით და სათანადო კვალიფიკაცია სწორედ ამ სფეროში გამაჩნდა. მაგრამ იმჟამად კათედრაზე ამ „პრესტიჟულ“ დისციპლინაში ვაკანტური საათები არ აღმოჩნდა. ამიტომაც არჩევანი „მეორეხარისხოვან“ *საქართველოს ისტორიაზე* შეჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ მე თსუ ისტო-

ნასკნელმა გამოსცა ბრძანება ზურაბ პაპასქირის *სსრ კავშირის ისტორიის კათედრის* მასწავლებლის თანამდებობაზე (0.5 ს.ე.) დანიშვნის (1976 წ. 16 აპრილიდან) შესახებ. ასე დაიწყო ჩემი „აფხაზური ეპოპეა“. რომ არა ბატონი ზურაბის გულისხმიერი დამოკიდებულება და მხარდაჭერა, მე, ალბათ, სოხუმში ფეხს ვერ მოვიკიდებდი და არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა, საერთოდ, ჩემი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა.

სამსახურის დაწყების დღიდან მუდამ ვგრძნობდი ბატონი ზურაბის ყურადღებას. პირველად ეს მან გამოავლინა, მაშინ, როდესაც იმავე წლის მისაღებ გამოცდებზე შემეყვანა საგამოცდო კომისიაში. გარდა იმისა, რომ საგამოცდო კომისიის წევრობა მაშინ თავისთავად ძალიან დიდ პატივად ითვლებოდა, ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტისათვის (რომელიც ის-ისაა შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას) სერიოზული სკოლაც იყო. ისტორიკოსი რექტორი ხშირად ერთვებოდა უშუალოდ აბიტურიენტთა გამოკითხვის პროცესში და ზოგჯერ (კრიტიკულ სიტუაციაში), ფაქტობრივად, საგნობრივი კომისიის თავმჯდომარის ფუნქციას ითავსებდა. სწორედ მაშინ გავითავისე პირველად ზურაბ ანჩაბაძის მაღალი ინტელექტი და განსწავლულობა ისტორიული მეცნიერების სხვადასხვა სფეროში,¹ თუნდაც სსრ კავშირის (რუსეთის) ისტორიაში (არადა, ამ დის-

რიის ფაკულტეტი *საქართველოს ისტორიის* სპეციალიზაციით მქონდა დამთავრებული, ასპირანტურის წლებში მთლიანად რუსეთის ისტორიაზე ვიყავი გადართული და საკუთრივ საქართველოს ისტორიის სასწავლო მასალა გვარიანად მივიწყებული მქონდა. ერთადერთი პერიოდი, რომელიც ასე თუ ისე კარგად ვიცოდი, სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, XI-XII საუკუნეები იყო. ამიტომაც „*საქართველოს ისტორიის*“ კურსის წაყვანა, ბუნებრივია, დამწყებ ლექტორს უდავოდ გარკვეულ „დისკომფორტს“ მიქმნიდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა. მეტიც, მოგვიანებით, როდესაც სამინისტროდან უკვე ხელმეორედ „მოპოვებული“ სამშატო განაკვეთით (ჩემი 0.5 სამშატო განაკვეთი იმავე წლის ზაფხულში შემცირებაში მოჰყვა) უკვე *მსოფლიო ისტორიის კათედრაზე* „გამამწესეს“, იძულებული გავხდი, 4 წლის განმავლობაში ჩემთვის სრულიად „უცხო“ დისციპლინები („*ძველი აღმოსავლეთის ისტორია*“, „*ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია*“) წამეყვანა.

¹ სხვათა შორის, ამ კუთხით, გამოცდების პროცესში რექტორს მეც „მოვაწონე“ თავი. დამამახსოვრდა ასეთი ეპიზოდი: პასუხობდა ერთი ნამდვილად კარგად მომზადებული აბიტურიენტი. ბატონი ზურაბი, რომელსაც მიჰყავდა გამოცდა, ეკითხება მას, თუ რითი იყო ღირსშესანიშნავი 1924 წელი სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკაში. ყმაწვილი, რომელიც ბევრად უფრო რთულ

ციპლინის სწავლების გამოცდილება, რამდენადაც ჩემთვის ცნობილი იყო, მას არ გააჩნდა).

ზურაბ ანჩაბაძის მაღალი მეცნიერული კომპეტენცია და ურყევი ავტორიტეტი ჩემთვის უფრო სრულად წარმოჩინდა 1977 წლის მარტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახ. აფხაზეთის ენის ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში გამართულ პროფესორ შალვა ინალ-ივას განმაურებული მონოგრაფიის („აფხაზეთა ეთნო-კულტურული ისტორიის საკითხები“¹) განხილვაზე. იმის გამო, რომ ეს ღონისძიება გასცდა რიგითი სამეცნიერო დისკუსიის ფარგლებსა და იქ გაკეთებულმა შეფასებებმა აფხაზური საზოგადოების ვნებათაღელვა გამოიწვია, საჭიროდ მიმაჩნია მასზე შედარებით ვრცლად შევჩერდე; მით უფრო, რომ ამ მეცნიერულ ბატალიებში, ბატონი ზურაბის წყალობით, მე თვითონაც უშუალოდ ჩართული აღმოვიჩნდი.

აქიოტაჟი ამ მოვლენის გარშემო გამოწვეული იყო იმით, რომ პროფესორი შალვა ინალ-ივა, ცნობილი ისტორიკოსი-ეთნოლოგი და ლიტერატურათმცოდნე, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით აფხაზური საზოგადოების ნაციონალისტურად განწყობილ ნაწილში. მის პუბლიკაცი-

კითხვებს პასუხობდა, მოულოდნელად დაიბნა. შევეცადე ერთგვარი მინიმუმებით გამომეყვანა ის დაბნეულობიდან და შევეკითხე – ვინ იყო რამსეი მაკდონალდი. ამ კითხვამ აბიტურიენტი კიდეც უფრო დააბნია. კომისიის წევრებიც და თვით ბატონი ზურაბიც თითქოს შეცბნენ. საქმე იმაში იყო, რომ სსრ კავშირის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში, რომლითაც აბიტურიენტები ემზადებოდნენ მისაღები გამოცდისათვის, არ იყო ნახსენები რ. მაკდონალდი – დიდი ბრიტანეთის ცნობილი პრემიერ-მინისტრი, რომლის ინიციატივით ლონდონმა ცნო სსრ კავშირი და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. ამან ბიძგი მისცა სსრ კავშირის ცნობას სხვა ევროპული სახელმწიფოების მხრიდან. აბიტურიენტმა მორიდებით მითხრა, რომ მაკდონალდზე სახელმძღვანელოში არაფერი წერია. მე განვუმარტე, რომ, მართალია, სსრ კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოში ნამდვილად არაა ნახსენები რ. მაკდონალდი, მაგრამ მეორე სასკოლო დისციპლინის – უახლესი ისტორიის – სახელმძღვანელოში ამ საკითხზე უფრო სრული ინფორმაციაა და პრემიერის ვინაობაც მითითებულია. ბატონმა ზურაბმა ვერ დამალა თავისი გაკვირვება – აშკარად ჩანდა, რომ მას ეს დაზუსტება მოეწონა. თვით აბიტურიენტს კი ჩემი ამ „ჩარევით“ არაფერი დაკლებია – მან დამსახურებულად მიიღო მაღალი შეფასება.

¹ შ. დ. ინალ-ივა. Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, Издательство „Алашара“, 1976.

ებში, პირველ რიგში, ფუნდამენტურ ეთნოგრაფიულ გამოკვლევაში „აფხაზები“,¹ მართალია, რამდენადმე შეფარვით, მაგრამ მაინც იყო აფხაზეთისა და აფხაზთა ისტორიის დანარჩენი საქართველოსაგან განცალკევებულად წარმოჩენის მცდელობა. სწორედ ამის გამო შ. ინალ-იფა განიხილებოდა აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთ სულიერ მამად, რომლის შემოქმედება აღიქმებოდა დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის ერთგვარ ისტორიოგრაფიულ დასაბუთებად. მაგრამ თუ ეს ადრე კეთდებოდა რამდენადმე შეფარვით, 1976 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში შ. ინალ-იფა უკვე მოურიდებლად გადავიდა შეტევაზე და ერთი ხელის მოსმით, მეტად უსუსური არგუმენტაციის საფუძველზე, აფხაზეთი ისტორიულად, ფაქტობრივად, ჩამოაცილა დანარჩენ საქართველოს, ხოლო აფხაზები ამჟამინდელი აფხაზეთის „ერთადერთ აბორიგენებად“ გამოაცხადა.

შ. ინალ-იფას ამ და სხვა „აღმოჩენებს“, ბუნებრივია, ქართველ მეცნიერთა: ისტორიკოსების, ფილოლოგების (წიგნში ასევე ტენდენციურად იყო გაშუქებული ენათმეცნიერული საკითხებიც) მწვავე რეაქცია მოჰყვა. განსაკუთრებით გამაღიზიანებელი იყო ის გარემოება, რომ შ. ინალ-იფას წიგნს არ გაუვლია აპრობაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებში, ხოლო მისი რედაქტორი იყო მოსკოველი აკადემიკოსი *მიხეილ კოროსტოვცევი*, სპეციალობით ეგვიპტოლოგი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზთმცოდნეობაში სრული დილექტანტი იყო, შ. ინალ-იფას წიგნი, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის „ჭეშმარიტ ენციკლოპედიად“ გამოაცხადა.²

ქართველმა მეცნიერებმა (*მარიამ ლორთქიფანიძემ*, *ოთარ ჯაფარიძემ* და სხვ.) წარმოადგინეს თავიანთი დასკვნები შ. ინალ-იფას წიგნზე, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ თავი შეიკავა ამ მასალების პუბლიკაციისაგან და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს დაავალა, მოეწყო შ. ინალ-იფას წიგნის განხილვა ადგილზე, სოხუმში, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დირექტორი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში*. ამ ღონისძიების ორგანიზება დაეწყო ხსენებული ინსტიტუტის დირექტორს, გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ *გიორგი ძიძარიას* და სოხუმის სახელმწიფო პე-

¹ **შ. დ. ინალ-იფა.** Абхазы. Историко-этнографические очерки. Второе переработанное, дополненное издание. Сухуми, Издательство „Алашара“, 1965.

² **შ. დ. ინალ-იფა.** Вопросы этно-культурной истории абхазов, გვ. 3.

დაგოგირი ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ ზურაბ ანჩაბაძეს. განისაზღვრა ფორმატიც – განხილვა უნდა ჩატარებულიყო სპეციალისტების (ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფების, ენათმეცნიერების) ვიწრო წრეში.

აი, ამ ღონისძიების მომზადების პროცესში გამომიძახა ბატონმა ზურაბმა და მოულოდნელად მე – იმჟამად სრულიად ახალგაზრდა (ფაქტობრივად – დამწყებ) მეცნიერს (მაშინ საკანდიდატო დისერტაციაც კი არ მქონდა დაცული) შემომთავაზა მონაწილეობა შ. ინალ-იფას წიგნის განხილვაში. ეს იყო დაახლოებით 1977 წ. თებერვალში. რექტორმა, პირველ რიგში, მკითხა, მქონდა თუ არა წაკითხული შ. ინალ-იფას მონოგრაფია. მე ვუპასუხე, რომ წიგნი, მართალია, შევიძინე, მაგრამ მხოლოდ გადავთვალე და ყურადღებით არ წამიკითხავს-მეთქი. ბატონმა ზურაბმა დამავალა, გავცნობოდი შ. ინალ-იფას ნაშრომს, განსაკუთრებით „ობეზებთან“ დაკავშირებულ მასალას და, თუ სურვილი მექნებოდა, გამოვსულიყავი კრიტიკული შენიშვნებით ამ საკითხის ირგვლივ.

რექტორის ეს ინიციატივა განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით. მართალია, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში იღვწოდა არაერთი საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის ქართველი მეცნიერი-ისტორიკოსი – მეცნიერებათა დოქტორები, კანდიდატები, რომლებიც საქართველოს (მათ შორის, საკუთრივ აფხაზეთის) ისტორიას იკვლევდნენ, მაგრამ ისინი ძირითადად ახალი და უახლესი პერიოდის სპეციალისტები იყვნენ, ამიტომაც ერიდებოდნენ დისკუსიაში შესვლას საქართველო-აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებზე. ასეთ ვითარებაში ერთადერთი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემატიკაზე მუშაობდა, მე აღმოვჩნდი. გარდა ამისა, შ. ინალ-იფას წიგნში იყო ერთი მცდარი თეზისი, რომლის ირგვლივაც მე, როგორც სპეციალისტს, მეთქმოდა კომპეტენტური სიტყვა.

საკითხი ეხებოდა ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში დაფიქსირებული ხალხისა და ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინის – „ობეზის“ («Обезы») მნიშვნელობის გარკვევას. საქმე იმაშია, რომ ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში „ობეზი“ არის „აფხაზეთის“ („აფხაზეთის“) აღმნიშვნელი ტერმინი. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი აფხაზი და რუსი მეცნიერი ცდილობდა ტერმინი „ობეზი“ გაეაზრებინა, როგორც აფხაზეთი თანამედროვე ეთნო-პოლიტიკური შინაარსით და ამაზე დაყრდნობით ესაუბრა საკუთრივ ეთნიკურ აფხაზთა და ამჟამინდელი აფხაზეთის მა-

დალ ავტორიტეტზე საერთაშორისო არენაზე XI-XII საუკუნეებში. არადა, მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ (და ეს საკმაოდ დამაჯერებლად მქონდა დასაბუთებული საკანდიდატო დისერტაციაში, რომლის ცენტრალური თემა სწორედ XI-XII საუკუნეების საქართველო-ძველი რუსეთის ურთიერთობები იყო¹), რომ დღეისათვის ცნობილ უკლებლივ ყველა ძველ რუსულ ძეგლში ტერმინ „ობეზის“ ქვეშ მოიაზრება არა დღევანდელი „აფხაზეთი“ და „აფხაზები“, არამედ სრულიად საქართველო, ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომელიც იმდროინდელ უცხოურ (ნაწილობრივ ქართულშიც), წყაროებში უმეტესწილად სწორედ „აფხაზეთად“ იწოდებოდა.

შ. ინალ-იფამ თავის მონოგრაფიაში ეჭვქვეშ დააყენა ეს დასკვნა და შეეცადა საქმე ისე წარმოეჩინა, რომ ძველი რუსული წყაროების „ობეზებსა“ და „ობეზიში“, პირველ რიგში, მოიაზრებოდნენ ამჟამინდელი აფხაზები და აფხაზეთი, მთლიანად საქართველო კი – მხოლოდ ზოგჯერ. მისი მტკიცებით, ეს ეთნიკურ აფხაზ „ოსტატებს“ ჩაუტანიათ კიევში მოზაიკის მასალა „გასაყიდად“ და მოუხატავთ კიევ-პეჩერის მონასტერი, რაც თითქოს მიუთითებს საკუთრივ აფხაზეთის (დღევანდელი გაგებით) ფართო საჯარო ურთიერთობებზე ძველ რუსეთთან და მოზაიკის აფხაზ ოსტატთა საერთაშორისო აღიარებაზე, ხოლო კიევის დიდი მთავრის იზიასლავ მსტისლავის ძის „ობეზთა“ მეფის ასულზე დაქორწინება (XII ს. შუა ხანები), რომლის შესახებაც ინფორმაცია შემონახულია ძველ რუსულ მატრიანეში – ამჟამინდელი აფხაზეთის (და არა „აფხაზეთად“ წოდებული ერთიანი ქართული სახელმწიფოს – საქართველოს) მაღალ საერთაშორისო ავტორიტეტზე. ეს საკითხები, როგორც უკვე აღინიშნა, საგანგებოდ მქონდა გაშუქებული სადისერტაციო ნაშრომში² და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი-ისტორიკოსთა კრებულში გამოქვეყნებულ ზემოთ ნახსენებ სტატიაში, რომელსაც უკვე იცნობდა ზ. ანჩაბაძე. აი, ამიტომ ჩათვალა მიზანშეწონილად ბატონმა ზურაბმა ჩემი გამოსვლა შ. ინალ-იფას წიგნის განხილვაში.

მართლაც, საკმაოდ ოპერატიულად გამოვეხმაურე რექტორის შემოთავაზებას და დავამუშავე აფხაზი მეცნიერის წიგნი. აღმოვაჩინე, რომ მასში არა მარტო „ობეზების“ თემა იყო არასწორად წარმოდგენილი,

¹ **З. В. Папаскири.** Грузия и Восточная Европа в XI-XII вв. *Из истории международных отношений.* Автореферат кандидатской диссертации. Москва, Издательство МГУ, 1978.

² იხ. **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических..., გვ. 116-123.

არამედ საქართველო-აფხაზეთის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები. როდესაც ყოველივე ამის თაობაზე ბატონ ზურაბს მოვახსენე (ეს ძალზე მორიდებით გავაკეთე, ვინაიდან არასაკმარისი ცოდნა – განსაკუთრებით ძველი ისტორიის სფეროში – არ მაძლევდა მკვეთრი შეფასებების გაკეთების საშუალებას), მან, ჩემდა გასაკვირად, არათუ დამიდასტურა ეს ეჭვები (მათ შორის, იმ საკითხებზეც, რომლებშიც მე ნამდვილად არ ვიყავი კომპეტენტური) მართებულობა, არამედ „ცოტა დაუკრეფავშიც კი გადავიდა“ და შ. ინალიფა, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ უვიცად (невежда) მოიხსენია. ამ საუბრის შემდეგ რექტორმა უკვე უფრო კატეგორიულად მოითხოვა ჩემი მონაწილეობა დისკუსიაში.

მაგრამ მოხდა ისე, რომ სანამ შევუდგებოდი კრიტიკული შენიშვნების მომზადებას, შ. ინალიფას წიგნის განხილვა გაურკვეველი ვადით გადაიდო და მეც შევაჩერე მუშაობა ამ მიმართულებით. რამდენიმე კვირის შემდეგ, კვლავ მიბარებს რექტორი და მეუბნება, რომ მეორე დღეს დაგეგმილი იყო შ. ინალიფას წიგნის განხილვა და მოვმზადებულიყავი გამოსასვლელად. დღესაც კი მიკვირს, როგორ შევძელი ფაქტობრივად ნახევარ დღეში (თუმცა ღამის 3 საათამდე ვმუშაობდი) 8 გვერდიანი რეცენზიის მომზადება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ ვღელავდი.

როგორც უკვე აღინიშნა, თავდაპირველად განზრახული იყო, განხილვა მოეწყობოთ სპეციალისტების ვიწრო წრეში, საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე და რამდენადმე მათგან დამალულადაც, მაგრამ „კონსპირაციულობის“ დაცვა ბოლომდე ვერ მოხერხდა. სხდომათა დარბაზში, ფაქტობრივად, აფხაზეთი სეპარატისტული იდეოლოგიის უმთავრესი ინტელექტუალური ცენტრის მთელმა კოლექტივმა მოიყარა თავი, შეადწინეს სხვა „დაინტერესებულმა პირებმაც“, რომლებმაც კინაღამ ჩამალეს წიგნის განხილვა, მაგრამ სხდომის წამყვანების – გიორგი ძიძარიასა და ზურაბ ანჩაბაძის მტკიცე პოზიციის წყალობით, მოხერხდა არაჯანსაღი ექსცესების აღკვეთა. ძირითადი მოხსენებით გამოვიდა ზურაბ ანჩაბაძე. მე დღემდე მომყვება ის ემოციური მუხტი, რომელიც დამეუფლა მისი გამოსვლისას.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ მე არც მანამდე და არც შემდეგ (არადა, აწ უკვე თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მეცნიერული ცხოვრების მანძილზე ნამდვილად ბევრი რამის მომსწრე ვარ) მომისმენია ამ დონის კრიტიკული გამოსვლა. თითქმის საათნახევრიან სიტყვაში, რომელიც ბატონმა ზურაბმა ჩვეულებისამებრ ზეპირად წარ-

მოთქვა (მას მხოლოდ მოკლე ჩანაწერი ჰქონდა) კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა შ. ინალ-იფას ნაშრომი და სათანადო პირველწყარობის მონაცემების მოშველიებით გააცამტვერა აფხაზი მეცნიერის ფალსიფიკატორული დებულებები; თან საგანგებოდ აღნიშნა, რომ შ. ინალ-იფას შეცდომების დიდი ნაწილის მიზეზი უბრალოდ მისი მხრიდან შესაბამისი წყაროებისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის არცოდნა იყო. არანაკლებ მწვავე კრიტიკით გამოვიდნენ გიორგი ძიძარია, გამოჩენილი აფხაზი ფილოლოგი, ლინგვისტი და ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი ხუხუტი ბლაჟბა,¹ არქეოლოგი გიორგი შამბა და სხვ.

დარბაზი, რომელშიც აშკარად ნაციონალისტურად განწყობილი პირები ჭარბობდნენ, დიად თანაუგრძნობდა შ. ინალ-იფას და ნებისმიერ კრიტიკულ შენიშვნას ხმაურით ხვდებოდა. ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა, როდესაც ტრიბუნაზე არქეოლოგი იური ვორონოვი (შემდგომ აფხაზური სეპარატიზმის ცნობილი იდეოლოგი) ავიდა. მანაც ძალზე მწვავედ გააკრიტიკა შ. ინალ-იფა და ხაზი გაუსვა ასევე მისი მხრიდან წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის არცოდნას. ვითარება იმდენად უმართავი გახდა, რომ გიორგი ძიძარია იძულებული გახდა შესვენება გამოეცხადებინა. აი, ამ ფონზე მომიწია „ფრონტის ხაზზე“ გასვლა შესვენების შემდეგ.²

ჩემი გამოსვლა თავისი პათოსით და შინაარსით არანაკლებ მწვავე იყო, თუმცა, ზემოხსენებულ ორატორთაგან განსხვავებით, მაქსიმალუ-

¹ მან შ. ინალ-იფას ენათმეცნიერული წიაღსვლები, არც მეტი, არც ნაკლები, ფანტაზიორობად გამოაცხადა. „ეს მეცნიერება კი არა, უბრალოდ ფანტასტიკაა!“ („Это не наука, а просто фантастика!“) – განაცხადა მან.

² მახსოვს, შესვენებისას, პროფ. ირაკლი ახალაიამ პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიკოსებს გვითხრა, რომ ასეთ დაძაბულ ვითარებაში არ ღირდა გამოსვლა. სხვებმაც დაუდასტურეს. მე ეს, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, რომ ისინი ისედაც არ აპირებდნენ ამას. მხოლოდ პროფ. ვახტანგ ადამიამ (მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგემ – იმჟამად მე ამ კათედრაზე ვირიცხებოდი) შენიშნა: „უხერხულია, ზურაბი მაინც უნდა გამოვიდეს, რადგან რექტორმა ამის შესახებ განაცხადი უკვე გააკეთა“. მართლაც, თავისი გამოსვლისას ზ. ანჩაბაძემ საგანგებოდ აღნიშნა, რომ „ობეზების“ თემას გამოტოვებდა, ვინაიდან ამ საკითხზე უნდა გამოვიდეს დოცენტი პაპასერიო“. ამგვარი რეპლიკა, ბუნებრივია, მესიამოვნა, თუმცა ერთგვარი უხერხულობა მაინც ვიგრძენი, რადგან იმ დროისთვის მე არათუ დოცენტი, არამედ მეცნიერებათა კანდიდატიც კი არ ვიყავი. აშკარა იყო, რომ ბატონმა ზურაბმა ეს შეგნებულად (ჩემი რეიტინგის ასაწევად) გააკეთა.

რად კორექტული. მიუხედავად ამისა, აუდიტორიამ სრული ობსტრუქცია მომიწყო. მათ თვალში მაინც „თავხედი ლაწირაკი“ ვიყავი, რომელიც ცდილობდა ეჭვი შეეტანა „საქვეყნოდ აღიარებული“ ჭარმაგი სწავლულის მეცნიერულ კომპეტენციაში. კრიტიკული შენიშვნები, რომელიც მე წარმოვადგინე, კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა აუდიტორიის ეგზალტირებული ნაწილისათვის. სამჯერ გამაწყვეტინეს სიტყვა. იქ დამხვდურთაგან თითქმის არავის ვიცნობდი, აუდიტორიიდან უცნობი ადამიანები მიტევდნენ და მოითხოვდნენ ჩამოვსულიყავი კათედრიდან. სხვებზე მეტად აქტიურობდა ერთი ასაკოვანი ქალბატონი, რომელიც თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, აღმოჩნდა თვით *თამარ შაყრილი* – 1967 წლის ანტიქართული სეპარატისტული ამბოხის ლიდერი. კრიტიკულ სიტუაციაში ისევ ზურაბ ანჩაბაძემ დამიცვა, რომელმაც საკმაოდ მკაცრად მიმართა დარბაზს, გონიერებისკენ მოუხმო და აფხაზური სტუმართმოყვარეობის ტრადიციაც კი შეახსენა. თან ისიც დაამატა: „აბა, როგორ არ გრცხვენიათ, ადამიანი წყაროებზე დაყრდნობით საუბრობს, კონკრეტული მონაცემები მოჰყავს თავისი პოზიციის სისწორის დასასაბუთებლად, თქვენ კი მას სათქმელს არ აცლითო“.

როგორც იქნა, ბოლომდე ჩავიკითხე რეცენზია (დაახლოებით 30-35 წუთი ვილაპარაკე) და ჩემს ადგილს დავუბრუნდი. საბოლოოდ, ყველაფერი იმაზე კარგად დასრულდა, ვიდრე მოველოდი. გიორგი ძიძარია, მიუხედავად იმისა, რომ გამოსვლის ერთი პასაჟი („აფხაზთა“ სამეფოს – დასავლურ ქართული სახელმწიფოს – შემქმნელი „აფხაზი ლეონიდებისა“ და კიევის რუსეთის სლავური სახელმწიფოს ფუძემდებელი ნორმანი *რიურიკოვიჩების* შედარება) მასაც არ მოეწონა, ზოგადად მხარი დამიჭირა. ყოველივე ამის ერთგვარი დაგვირგვინება კი იყო ამ ღონისძიების „პარტიული კურატორის“, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის (ამავე დროს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის – გიორგი ძიძარიას მოწაფის) *ვლადიმირ ავიძბას* შემაჯამებელი გამოსვლა, რომელშიც მან ღიად განაცხადა: „აბა, ვინ იფიქრებდა, რომ „ობეზები“ საკუთრივ აფხაზები არ არიან? ჰაჰასქირმა თავის გამოსვლაში ეს დაამტკიცა. თქვენც იმუშავეთ და საპირისპიროში დაგვარწმუნეთ“. ანუ, გამოვიდა, რომ მან ამ კამათში ჩემი გამარჯვება აღიარა.

ინსტიტუტის შენობიდან რომ გამოვედით, სანაპიროზე უკვე ახალგაზრდები შემომხვდნენ, ზოგი მსაყვედურობდა, ამხელა კაცი როგორ გააკრიტიკე, ასე როგორ შეიძლებაო. მე ვპასუხობდი, ასაკს რა მნიშვნე-

ლობა აქვს, იმ საკითხებში, რომლებზედაც ვისაუბრე, სწორედ მე ვარ სპეციალისტი¹ მეტი. ახალგაზრდები დაშოშმინდნენ და რაიმე გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. მოგვიანებით, ინსტიტუტის ადმინისტრაციამ თავი მოუყარა განხილვაში გამომსვლელთა სიტყვებს. ჩემი რეცენზიის სრული ტექსტი, ამჯერად უკვე საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი, ჩაბარდა ინსტიტუტის სწავლულ მდივანს.²

მოგვიანებით, ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო გაზეთებში: „აფსნი ყაფშში“, „საბჭოთა აფხაზეთსა“ და „Советская Абхазия“-ში ერთდროულად (1977 წ. 14 მაისს), აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა გიორგი ძიძარიასა და ზურაბ ანჩაბაძის მიერ მომზადებული ერთგვარი სარედაქციო წერილი-ანგარიში *აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში* ჩატარებული განხილვის შესახებ, რომელშიც მოცემული იყო შ. ინალ-იფას წიგნში განვითარებული თეზისების კრიტიკა.³ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს პუბ-

¹ სხვათა შორის, ეს უდიარებია თვით შალვა ინალ-იფას თავის ახსნა-განმარტებით წერილში, რომლითაც იმავე 1977 წელს მიუმართავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ელუარდ შევარდნაძისათვის. აი, რას წერდა ის საყვედურით რესპუბლიკის პირველ პირს: „...Список ораторов был составлен с таким учётом, чтобы не пропустить никого, кто будет критиковать книгу и по возможности обходить тех, кто будет защищать те или другие её положения (например, **один из двух специалистов по обезам З. Папаскири**, не только присутствовал на обсуждении, но ему было **предоставлено слово почти для часового выступления**...“. იხ.: *Заявление профессора Ш. Д. Инал-ипа*. – Абхазия в советскую эпоху. Из истории национально освободительной борьбы абхазского народа (70-е годы XX века). Сборник документов и материалов. Том II. Составитель, автор предисловия и ответственный редактор **И. Р. Марыхуба**. Акуа (Сухум), 2009, გვ. 61, ხაზგასმა ჩვენია – **ზ. ჰ.**

² როგორც ჩანს, ეს მასალები მოხვდა თბილისშიც (არაერთი მცდელობის მიუხედავად, ამ მასალებს დღემდე ვერ მივაკვლიე), სადაც მას გაცნობია ქალბატონი *მარიამ ლორთქიფანიძე*, რომელმაც იმ ხანებში, ერთ-ერთი შეხვედრისას, მითხრა კიდევ, წავიკითხე შენი გამოსვლის ტექსტი – ყოჩად, ყველაფერი სწორად გითქვამსო. ადვილი მისახვედრია, თუ რას ნიშნავდა ჩემთვის ქ-ონ მარიკას ეს შეფასება.

³ რუსული ტექსტი იხ.: *Абхазия в советскую эпоху*. Из истории национально освободительной борьбы абхазского народа (70-е годы XX века).. Том II., **გვ.** 54-59; **Зურаб Папаскири**. *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*. Тбилиси, Издательство: «*Меридиани*». 2012, გვ. 586-592.

ლიკაცია იქცა ერთ-ერთ მთავარ გამაღიზიანებელ ფაქტორად, რომელმაც გამოიწვია აფხაზთა მორიგი „ამბოხი“ 1977-1978 წლებში. აფხაზური ინტელიგენციის სეპარატისტულად განწყობილმა წარმომადგენლებმა მასში დაინახეს აფხაზი ისტორიკოსების დევნა. ისინი ხელისუფლებას, პირველ რიგში, ოფიციალურ თბილისს, ადანაშაულებდნენ იმაში, თითქოს აფხაზ ისტორიკოსებს არ ეძლეოდათ გასაქანი და მათ სიმართლის თქმის უფლებას ართმევდნენ.

რადგან საუბარი 1977-1978 წლების „ამბოხზე“ ჩამოვარდა, არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნო, რომ ზურაბ ანჩაბაძე, რომელსაც არავისზე ნაკლებად არ შესტიკოდა გული აფხაზი ხალხის ბედ-იღბალზე, მის ისტორიულ წარსულსა¹ და მომავალზე, ღიად უპირისპირდებოდა ნაციონალისტურად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის და პარტიული აქტივის ცალკეული წარმომადგენლების პროვოკაციულ ქმედებებს და ამხელდა მათ. კერძოდ, ამის დემონსტრირება მან მოახდინა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე 1978 წ. 29 სექტემბერს, რომელზეც პირდაპირ მიუთითა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული სტრუქტურების ზოგიერთი მაღალჩინოსნისა და პრესის მუშაკის (*კონსტანტინე ოზგანის, იოსებ ახიბას*), სხვა „ცრუ-პატრიოტების“, რომლებსაც **„თავი მოაქვთ აფხაზი ხალხის კანონმდებლებად“** დესტრუქციულ საქმიანობაზე. მისი განმარტებით, ეს „ცრუ-პატრიოტები“ **„ოფიციალური ორგანოების დაცვის ქვეშეც კი არიან... თავის დროზე, ჩვენ დავსაჯეთ ორი კათედრის გამგე ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, მაგრამ იძულებული გაგვხადეს, ისინი აღგვედგინა. პარტიული ხაზით დავსაჯეთ წერილის² ხელმძღვანელი, გუმბინჩინ კი, ცენტრალური კო-**

¹ ამის დადასტურებაა თუნდაც მისი კრიტიკული გამოხმაურება ჰავლე ინგოროყვას ცნობილ ნაშრომზე: „გიორგი მერჩულე“. იხ.: **З. В. Анчабадзе.** Вопросы истории Абхазии в книге П. Ингорюкв «Георгий Мерчуле – грузинский писатель X века». – *Труды Абхазского института языка, литературы и истории АН Грузинской ССР.* XXVII. Сухуми, 1956, გვ. 261-278.

² იგულისხმება ე.წ. „ასოცდაათის წერილი“, რომელიც 1977 წ. დეკემბერში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის აქტივისტებმა გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს *ლეონიდ ბრეჟნევს* და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს *მიხეილ იასნოვს*. მასში წერილის ავტორები, არც მეტი, არც ნაკლები, ითხოვდნენ ავტონომიური რესპუბლიკებისათვის მოკავშირე რესპუბლიკიდან გამოსვლის კონსტიტუციური უფლების მინიჭებას. ამა-

მიტეტის გადაწყვეტილების შემდეგ, გავაუქმეთ. მე მომხრე ვარ ყველაზე მკაცრი სასჯელის, რათა თავიდან ავიცილოთ შედეგები, რომლებიც შეიძლება მივიღოთ, თუ ქართული მოსახლეობა ხმას აღიმადლებს“.¹

ზურაბ ანჩაბაძემ მშვენივრად იცოდა, თუ ვინ ამღვრევდა წყალს აფხაზეთში, ვის ინტერესებში იყო ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის მოშლა. მისთვის, როგორც ორივე მოძმე ხალხის ღვიძლი შვილისათვის, კატეგორიულად მიუღებელი იყო აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან ჩამოცილების პროვოკაციული გეგმები, რომლის რეალიზაციას (მოსკოვის შეგულიანებით) ასე თავგამოდებით ცდილობდნენ აფხაზური სეპარატისტული წრეები, ამიტომაც არქმევდა ყველაფერს თავის სახელს და იყენებდა თავის მაღალმეცნიერულ ავტორიტეტს და გავლენას ვითარების განსამუხტად. ვითარება კი ნამდვილად არ იყო მარტივი, განსაკუთრებით 1978 წ. შემოდგომაზე, როდესაც აფ-

ვე დროს, შეახსენებდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობას, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს აფხაზეთის რევკომმა დააყენა აფხაზეთის სსრ-ის უშუალოდ რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხი (ამიტომაც იყო წერილის ერთ-ერთი ადრესატი რსფსრ-ის ხელისუფლების უმაღლესი პირი – მ. იასნოვი). იხ. *Абхазское письмо «ста тридцати»*. От 10 декабря 1977 года. – *Абхазия в советскую эпоху*. Том I. Абхазские письма (1947-1989). *Сборник документов*. Составитель, автор предисловия, комментариев, именного указателя и ответственный научный редактор **И. Р. Марыхуба**. Акуа (Сухум), 1994, გვ. 164-187. ვრცლად ამ მოვლენის ანალიზი იხ. **ზურაბ ჰაპასქირი**. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XX ს. 50 – 90-იანი წლების დამდეგს. – *აფხაზეთი საქართველოა*. ისტორიული რაკურსი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2021, გვ. 447-455.

¹ **«Озгану и Ахиба мешает ложный стыд перед ложными патриотами, которые ходят в законодателях абхазского народа. более того, они ходять под защитой официальных органов... В своё время мы наказали двух зав. кафедрами абсолютным большинством голосов, но нас заставили восстать. Партийно наказали подписавших письмо, а позавчера отменили уже после решения ЦК. Я сторонник самых строгих наказаний, чтобы избежать последствий, которые могут быть, если поднимется грузинское население...»**. იხ.: *Протокольная запись заседания бюро Абхазского обкома КП Грузии от 29 сентября 1978 г. 22 час.* – *Абхазия в советскую эпоху*. Из истории национально освободительной борьбы абхазского народа (70-е годы XX века). *Сборник документов и материалов*. Том II. Составитель, автор предисловия и ответственный редактор **И. Р. Марыхуба**. Акуа (Сухум), 2009, გვ. 65, ხაზგასმა ჩვენია – **ზ. ჰ.**

ხაზური მოსახლეობის სეპარატისტულად განწყობილმა ნაწილმა გააპროტესტა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ქართველის – იუზა უბილაკას დანიშვნა და კატეგორიულად მოითხოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამივე უმაღლეს თანამდებობაზე (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის) მხოლოდ და მხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნა. სეპარატისტების ეს მოთხოვნა, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზეთის ქართველობის ეროვნული თავმოყვარეობის აბუჩად აგდება იყო, ვინაიდან ქართველები რიცხობრივად სულ ცოტა 2,5-ჯერ მაინც აღემატებოდნენ აფხაზებს. უფრო თვალშისაცემი იყო პროცენტული შეფარდება ქართველებსა და აფხაზებს შორის სკკპ წევრთა რაოდენობის მხრივ.

მიუხედავად ამისა, ქართველებს არცერთხელ (XX ს. 60-70-იან წლებში) არ უსარგებლიათ ამ უპირატესობით და არ მოუთხოვიათ პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის – ავტონომიური რესპუბლიკის ფაქტობრივი ხელმძღვანელის – თანამდებობაზე ქართველის „არჩევა“. აფხაზებიდან „ირჩევდნენ“ ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალურ მეთაურს – აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. ქართველები სჯერდებოდნენ მხოლოდ ერთ – აფხაზეთის ასსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას, მაგრამ სეპარატისტებს ეს პოსტიც არ ემეტებოდათ ქართველებისთვის და ხელისუფლების უკლებლივ ყველა შტოს (60-70-იან წლებში აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ მხოლოდ აფხაზებს „ირჩევდნენ“) მიტაცება და ამ გზით ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზური ეთნოდიქტატურის შექმნის დაუოკებელი სურვილი ამოძრავებდათ.¹

1978 წ. 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში (სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ტყვარჩელსა და გაგრაში), აგრეთვე სოფლებში, მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები. მოხდა სატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციების ერთი ნაწილის პარალიზება. შეწყვიტეს მეცადინეობები *სოხუმის სახელმ-*

¹ შერჩეულიც კი ჰყავდათ თავიანთი კანდიდატურა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. ეს იყო ვალერიან კობახია, რომელიც, მათი ღრმა რწმენით, ედუარდ შევარდნაძემ 1975 წელს უსამართლოდ გადააყენა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან.

წიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აფხაზი ეროვნების სტუდენტებმა. სტუდენტი ახალგაზრდობის საპროტესტო მოძრაობის ფაქტობრივი ინსპირატორები და წარმმართველები იყვნენ პედინსტიტუტის სეპარატისტულად განწყობილი პროფესორ-მასწავლებლები. ისინი, არათუ არ ასრულებდნენ ზემდგომი პარტიული ორგანოების დავალებას და არ მოუწოდებდნენ სტუდენტებს, დაბრუნებოდნენ აუდიტორიებს, არამედ დაბეზღებისა და ბინძური პროვოკაციების მეშვეობით ყოველნაირად ცდილობდნენ, არ მიეცათ თავიანთი კოლეგებისათვის სტუდენტებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის საშუალება. მათი ამგვარი უღირსი ქმედებების „მსხვერპლი“ მეც გავხდი.

მოხდა ისე, რომ იმ პერიოდში მე ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარე (ამ თანამდებობაზე უშუალოდ პრორექტორ შოთა ბასილაიას რეკომენდაციითა და თვით ბატონი ზურაბის თანხმობით აღმოვჩინდი), კომკავშირის კომიტეტის წევრი ვიყავი. როდესაც აფხაზი სტუდენტები გაიფიცნენ, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრები დაგვიბარეს საქართველოს ალკვ სოხუმის საქალაქო კომიტეტში, სადაც პირველმა მდივანმა თემურ კალანდიამ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში მისვლა და გაფიცულ სტუდენტებთან გასაუბრება დაგვავალა. ჩვენთან ერთად იქ იმყოფებოდა ინსტიტუტის ერთ-ერთი პრორექტორი „იდეურ-აღმზრდელით დარგში“ (იყო მაშინ ასეთი სტრუქტურა უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციაში) მიხეილ ლაბახუაც იყო, რომელიც ფარულად თანაუგრძნობდა სტუდენტების დაუმორჩილებლობის აქციას. მე (უფრო მ. ლაბახუას გასაგონად), გავაპროტესტე თ. კალანდიას მოწოდება და განვაცხადე, რომ ეს მხოლოდ აფხაზ პროფესორ-მასწავლებლებს ხელეწიფებათ, ჩვენ აქ ვერაფერს გავაწყობთ. პირველმა მდივანმა მაინც თავისი გაიტანა და მეც იძულებული გავხდი, სხვებთან ერთად მივსულიყავი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში.

სტუდენტები გაღიზიანებით შეგვხვდნენ. მე, როგორც სხვებზე „ავტორიტეტული“ (კომიტეტის წევრებს შორის ერთადერთი პროფესორ-მასწავლებლებიდან – დანარჩენები სტუდენტები იყვნენ) აქტიურად ჩავერთე კამათში და დავიწყე იმის ახსნა, თუ რატომ იყო მათი მოთხოვნა არასამართლიანი და ქართველების ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველი. საუბრისას ხაზი გავუსვი იმას, რომ ქართული მოსახლეობა გაგებით ეკიდება აფხაზთა, როგორც ე.წ. „სატიტულო ერის“ ამბიციებს და არ აცხადებს პრეტენზიას აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელის (რეალუ-

რად – ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირის) თანამდებობაზე, თორემ დემოკრატიული არჩევითი პროცედურების ჩატარების შემთხვევაში საოლქო კომიტეტის პირველი მდივანიც ქართველი იქნებოდა. ვატიყობ, თითქოს ამ არგუმენტმა გაჭრა და ჩვენ საკმაოდ თბილად დავმორდით ერთმანეთს, მაგრამ ნუ იტყვით, წინ ფრიად არასასიამოვნო სიურპრიზი მელიოდა.

მეორე დღით, ინსტიტუტში მისულს, მიბარებს პრორექტორი შოთა ბასილაია და მეკითხება: „რა უთხარი ისეთი სტუდენტებს, რომ გიჩივიან“. მე დაწვრილებით მოვუყევი ყოველივე. მან ყურადღებით მომისმინა და ეგრევე რექტორთან შესვლა შემომთავაზა. როგორც კი გამოვედით მისი ოთახიდან, ვხედავ, რექტორის კაბინეტიდან გამოდის აფხაზური პროფესორის ორი საკმაოდ ოდიოზური წარმომადგენელი (*ბორის გურგულია*, ფილოლოგი, ერთ-ერთი კათედრის გამგე და *ვალერი ყურასქუა* – შემდგომ პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი). მათ ცივად გადმომხედეს. ბატონ ზურაბთან ვიღაც უცხო კაცი იჯდა, რომელსაც მე არ ვიცნობდი. ბატონი შოთა გახარებული ეუბნება რექტორს: „ზურაბი ალალია, მას არაფერი დაუშავებია“. მე ისევ მომაცოლეს, რაც გადამხდა წინა სადამოს. ბატონმა ზურაბმა შვებით ამოისუნთქა და სტუმარს კმაყოფილებით და ერთგვარი სიამაყით უთხრა: „აკი გითხარით, მას არ შეეძლო ამისთანა რაშ ეთქვა“. თურმე „დამსმენებს“ საქმის ვითარება ისე წარმოუჩენიათ, თითქოს მე სტუდენტებისთვის მეთქვას, რომ აფხაზეთში, არათუ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, არამედ თვით საოლქო კომიტეტის პირველი მდივანიც აუცილებლად ქართველი უნდა იყოს. ასე დამთავრდა ჩემი „დაკითხვა“ და ყველაფერს ნათელი მოეფინა. „ის შავი კაცი“, ჩუმად რომ იჯდა და ყურადღებით მისმენდა, როგორც შემდეგ გავიგე, არც მეტი, არც ნაკლები, აფხაზეთის უშიშროების ოპერმუშაკი (*ვალტერ კილურაძე*) ყოფილა. თითქოს დიდი არაფერი, მაგრამ ამ პატარა ეპიზოდიდან ჩანს, თუ როგორ გულთან ახლოს მიჰქონდა ბატონ ზურაბს თითოეული თანამშრომლის გასაჭირი და როგორ ცდილობდა მათ დაცვას.

სრულიად განსაკუთრებული იყო ზურაბ ანჩაბაძის დამოკიდებულება ახალგაზრდა კოლეგების მიმართ – გულით უხაროდა თითოეული მათგანის წარმატება და ყოველნაირად მფარველობდა მათ. ცნობილია, რომ სოხუმში პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად დანიშვნის შემდეგ მან შემოიკრიბა ადგილობრივი ახალგაზრდა ნიჭიერი ისტორიკოსები (*ჯამბულ ანჩაბაძე*, *სტანისლავ ლაკობა*, *რეზო კაცია* და სხვ.) და შეუდგა მათ მეცნიერულ გამოწრთობას. მეც მერგო პატივი, ვყოფილიყავი ბატონი ზუ-

რაბის მზრუნველობის ქვეშ. მისი კეთილგანწყობა ჩემს მიმართ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ზემოთ ნახსენებმა გამოსვლამ შალვა ინალიფას წიგნის განხილვაზე, რომელმაც, გარდა იმისა, რომ რეიტინგი ამიწია, მიჩვენა აფხაზეთის ისტორიის უფრო ღრმად შესწავლის აუცილებლობაც. ამიტომაც გადაწყვიტე სისტემატიურად დავსწრებოდი *ზურაბ ანჩაბაძის* (ძველი და შუა საუკუნეები) და *გიორგი ძიძარიას* (XIX-XX საუკუნეები) ლექციებს აფხაზეთის ისტორიაში „ისტორიის“ სპეციალობის სტუდენტებთან. ბატონ ზურაბს (ასევე გიორგი ძიძარიასაც, რომელთანაც მე საკმაოდ თბილი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა – მასზეც იქონია გავლენა ჩემმა გამოსვლამ შ. ინალიფას წიგნის ირგვლივ გამართულ „დებატებში“) ძალზე ესიამოვნა ეს ენთუზიაზმი და ნება დამრთო, მევლო მის მეცადინეობებზე.

ამგვარად, ჩემსავე სტუდენტებთან („ისტორიის“ სპეციალობის რუსული სექტორიდან) ერთად, რომელთაც ვასწავლიდი ძველი მსოფლიო ისტორიის დისციპლინებს და აგრეთვე საქართველოს ისტორიასაც, დავიწყე აფხაზეთის ისტორიის შტუდირება. ამ ლექციებს ზოგჯერ ესწრებოდა ზემოთ ნახსენები *სტანისლავ ლაკობაც* (ამჟამად წამყვანი აფხაზი ისტორიკოსი და ცნობილი პოლიტიკოსი, ერთი პერიოდი სეპარატისტული რეჟიმის „უშიშროების საბჭოს“ მდივანი). ალბათ, ამ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ სალექციო მასალა ბევრად სცილდებოდა სწავლების მითითებული საფეხურის (დაახლოებით დღევანდელი – ბაკალავრიატის) მოთხოვნებს და უფრო საასპირანტო დონეს შეესაბამებოდა. ამ ფორმატში ლექტორი მიმოიხილავდა კონკრეტული თემის ირგვლივ არსებულ წყაროებს და სამეცნიერო ლიტერატურას. მეცადინეობები ტარდებოდა რექტორის კაბინეტში. მე, როგორც წესი, ბატონი ზურაბის გვერდით ვიკავებდი ადგილს – თითქოს მისი ასისტენტი ვყოფილიყავი.

მეცადინეობის მსვლელობისას ლექტორი ძალზე დიპლომატიურად (სტუდენტებისათვის შეუმჩნევლად) ახერხებდა ჩემი ზოგადი განსწავლულობის შემოწმებასაც. მასხოვს, ერთხელ, როდესაც ის საკმაოდ სიღრმისეულად (ამჟამად პროგრამის მიღმა) საუბრობდა „კოლხურ კულტურაზე“ და მოჰყავდა სხვადასხვა მეცნიერთა (ძირითადად არქეოლოგთა) მოსაზრებები, მას თითქოს დაავიწყდა (თუმცა არაა გამორიცხული, მართლაც დავიწყნოდა) ერთ-ერთი მეცნიერის გვარი. გადმომხედა, ამჟამად ცდილობს შევახსენო: «*Да ну этот же... Евгений Игнатич, который занимается Северным Кавказом*». ჩემი მედიევისტობიდან გამომდინარე, ნამდვილად არ იყო აუცილებელი, მცოდნოდა „კოლხური კულტურის“ ირგვ-

ლივ არსებული შეხედულებები, მაგრამ ამ შემთხვევაში გამომადგა ჩრდილოეთ კავკასიის შუა საუკუნეების ისტორიის ცოდნა, რომლის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი (არქეოლოგი და ისტორიკოსი) იყო *ევგენი კრუპნოვი*.¹ მეც არ დავაყოვნე და წამოვიძახე: «*Крупнов?*». «*Да, конечно, Крупнов*» – დამიდასტურა ბატონმა ზურაბმა და შევამჩნიე, რომ ამ დაზუსტებამ ის სასიამოვნოდ გააკვირვა.

მახსენდება კიდევ ერთი ასეთი ფაქტი. 1980 წლის სექტემბერია. თურქეთის რესპუბლიკაში სამხედროებმა მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება. სტუდენტებმა მეცადინეობისას ბატონ ზურაბს სთხოვეს გარკვევა ამ პროცესებში. მანაც მისცა შესაბამისი განმარტება, რომლის დროსაც გაავლო პარალელი 1960 წლის სამხედრო გადატრიალებასთან და ახსენა გენერალი გიურსელი. მე მორიგ ჯერზე „გავიბრწყინე“ ჩემი „ერუდიციით“ და დავამატე – *ჯუმალ გიურსელი*. შევატყვე, რომ რექტორს ეს დაზუსტებაც აშკარად მოეწონა.

მაგრამ ყოველთვის როდი ვაბარებდი ასე წარმატებით „გამოცდას“, იყო „ჩავარდნის“ შემთხვევებიც. სადღაც 1980-1981 წელი უნდა ყოფილიყო. სოხუმში ჩატარდა საქართველოს მეცნიერ-ფილოსოფოსთა წარმომადგენლობითი ფორუმი, რომელსაც ხელმძღვანელობდა იმჟამად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე, პროფესორი *ჯაჟა კეშელავა* (სხვათა შორის, გაგრის მკვიდრი). მე არც სტატუსით და არც მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე, არ მევალებოდა ამ ფორუმზე მონაწილეობა, თუმცა ერთ სხდომას მაინც დავესწარი. სამეცნიერო კონფერენციის დასრულების შემდეგ მასპინძლებს სტუმრების პატივსაცემად გადაეწყვიტათ „კულტურული გასვლის“ ორგანიზება, რომელიც ულამაზეს აფხაზურ სოფელ *გგერდაში* „გრანდიოზული“ ნადიმით უნდა დასრულებულიყო. მოხდა ისე, რომ უნივერსიტეტის (ამ დროისათვის *სოხუმის ჰედაგოგიური ინსტიტუტი* უნივერსიტეტად გარდაიქმნა) პრორექტორმა სამეცნიერო დარგში *ალეკო გვარამიამ* (როგორც ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარეს, მასთან თითქმის ყოველდღიური კონტაქტი მქონდა და საკმაოდ დაახლოებულიც ვიყავი), ძალით „შემაგდო“ ავტობუსში, რომლითაც სტუმრები და უნივერსიტეტი-

¹ სადისერტაციო ნაშრომზე (რომელშიც მთელი თავი ეთმობოდა საქართველოს ურთიერთობებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან XI-XII საუკუნეებში) მუშაობისას უშუალო შეხება მქონდა ამ მეცნიერის ნაშრომებთან. ბატონმა ზურაბმა კი, რომელსაც ამ დროისათვის წაკითხული ჰქონდა ჩემი დისერტაცია, შეიძლება იცოდა ეს და ამიტომაც მომმართა დაზუსტებისათვის.

ლები უნდა გამგზავრებულიყვნენ ჯგერდაში.¹ იმავე ავტობუსით მოდიოდა თვით რექტორიც. გზად, მან სტუმრებს მოქვის ტაძრის დათვალიერება შესთავაზა.

ტაძარში ბატონმა ზურაბმა მიგვიყვანა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძისა და მისი ვაჟის – გიორგი შარვაშიძის საფლავებთან, რომელთა ეპიტაფია, როგორც ცნობილია, ქართული ასომთავრულითაა შესრულებული (რამდენადაც ვიცი, ეს წარწერები არ განადგურებულა). მოულოდნელად, ბ-ნმა ზურაბმა თავისთან მომიხმო და წარწერის წაკითხვა შემომთავაზა. მე, ცოტა არ იყოს, დავიბენი, რადგან ასომთავრული, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტობისას ძველი ქართული დამწერლობის ამ ტიპს საკმაოდ კარგად ვიყავი დაუფლებული (თვით ბატონი ნოდარ შოშიაშვილი მასწავლიდა), ამ დროისათვის გვარიანად

¹ ჩემი გაჯიუტება გამოწვეული იყო იმით, რომ მანამდე, სულ ოციოდე წუთით ადრე ჯგერდაში გამგზავრებაზე უარი ვუთხარი თვით გიორგი ძიძარას. იმ დღეს ბატონი გიორგი, „ისტორიის“ სპეციალობის სტუდენტებთან ატარებდა ლექციებს „აფხაზეთის ისტორიაში“, რომელსაც ზემოთ ნახსენები გარემოების გამო, მეც ვესწრებოდი. ამ დროს მე უკვე ვასრულებდი ახლად გახსნილი საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის გამგის (ზურაბ ანჩაბაძის) მოადგილის მოვალეობას. დამთავრდა ლექციის პირველი ნახევარი და შესვენებაზე გამოვედიტ უზოში, სადაც დაგვხვდა ფაკულტეტის დეკანი მურმან ბერია. ის ეკითხება ბატონ გიორგის: „გიორგი ალექსევიჩი, განა თქვენ არ უნდა წახვიდეთ ჯგერდაში?“ „კი უნდა წავიდე, მაგრამ აგერ ზურაბი არ მიძვებს – ირონიულად პასუხობს გ. ძიძარია (ამით, თითქოს, მიანიშნებს ჩემს თანამდებობრივ სტატუსზე) – კიდევ ერთი საათი უნდა ჩავატარო“. „ზურაბი მხოლოდ კათედრის გამგის მოადგილეა, მე კი, როგორც „ზემდგომი ხელმძღვანელი“ – დეკანი, უფლებას გრთავთ, ახლავე გაემგზავროთ“, – ასევე ხუმრობით „მოუჭრა“ მურმანმა. „მართლაც, ზურაბ, წახვიდეთ რა ჯგერდაში“, – მე უბნება ბატონი გიორგი და მთავაზობს იქვე მდგარ სამსახურებრივ შავ „ვოლგაში“ ჩაჯდომას. მე, ბუნებრივია, ძალზე მესიამოვნა „ხელმწიფის ტოლა“ კაცის ეს მოპატიჟება, მაგრამ დიპლომატიურად უარი ვუთხარი – ძალიან მომერიდა. ასეთი უარის შემდეგ, აბა, როგორი იქნებოდა ჩემი გამოჩენა ჯგერდაში. ამიტომაც ვითრევდი ფეხს. არადა, ჯგერდაში, დარბაისელი აფხაზი კაცის უმძვენიერეს კარ-მიდამოში შესულს, მაინცდამაინც გ. ძიძარია გადამეყარა – არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი. ბატონი გიორგი მომიხსლოვდა, ღიმილით „მისაყვედურა“ – „ეს როგორ? მე უარი მითხარი, რექტორთან ერთად კი წამოხვედიო“. მე დარცხვენით ვუპასუხე, რომ რექტორი აქ არაფერ შუაშია, ამ შემთხვევაში მთავარი „დამნაშავე“ პრორექტორი ალექო გვარამია იყო.

დავიწყებული მქონდა. რის ვაი-ვაგლახით დავიწყე კითხვა. ამ საქმეს ნამდვილად თავს ვერ გავართმევდი და უთუოდ „საქვეყნოდ“ შევრცხვებოდი (როგორია, საქართველოს ისტორიის სპეციალისტი, თანაც მედიევისტი და ასომთავრულს ვერ კითხულობს!), მაგრამ მდგომარეობიდან ისევ ბატონმა ზურაბმა გამომიყვანა. ნახა რა ჩემი „წვალემა“, ის უმალ წამომემვალა და თვითონ ჩამთავრა ტექსტის წაკითხვა. მაშინ კიდევ ერთხელ აღვფრთოვანდი ზურაბ ანჩაბაძის მეცნიერული კომპეტენციით – ამჯერად უკვე ქართული პალეოგრაფიის სფეროში.

ზურაბ ანჩაბაძე იყო ძველი ქართული წერილობითი წყაროების, პირველ რიგში, „ქართლის ცხოვრების“ მათიანეების უბადლო მცოდნე, ზედმიწევნით კარგად ერკვეოდა ურთულეს ტექსტოლოგიურ ნიუანსებში. ამ კუთხით მაგონდება ორი შემთხვევა. პირველად ეს იყო 1979 (თუ 1980) წელს. იმჟამად მოსკოვში მოღვაწე ცნობილიმა სოხუმელმა (სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა) ეთნოლოგმა და ისტორიკოსმა, წყაროთმცოდნე გივი წულაიამ (ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ერთ-ერთმა ოფიციალურმა ოპონენტმა, რომელთანაც მეგობრული, კოლეგიალური ურთიერთობა მაკავშირებდა)¹ გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი მათიანის ცალკეული ნაწილების რუსული თარგმანი.² ბატონმა გივიმ სოხუმში ყოფნისას მთხოვა მის მიერ თარგმნილი ტექსტი შემედარებინა ორიგინალთან.

იმ დროისათვის მე ჯერ კიდევ შორს ვიყავი „ქართლის ცხოვრების“ ყველა მათიანის სიღრმისეული ცოდნისაგან (ჩემი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადად XI-XII საუკუნეების ამსახველ ქრონიკებზე მიხედვოდა მუშაობა). მიუხედავად ამისა, არ დავიზარე და საკმაოდ ოპერატიულად შევასრულე კოლეგის დავალება. აღმოჩნდა, რომ ტყუილად არ გავრჯილვარ. თარგმანში, რომელიც, მთლიანობაში, უდავოდ მაღალ დონეზე იყო შესრულებული, მართლაც, გაპარულიყო თითო-ორო-ლა უზუსტობა. ერთმა ასეთმა პასაჟმა ჩვენ შორის აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა გამოიწვია. ვერაფრით შევთანხმდით და გადავწყვიტეთ,

¹ ამის შესახებ იხ. **ზურაბ პაპასქირი**. ზოგიერთი შტრიხი გივი წულაიას მეცნიერული და მოქალაქეობრივი იერსახისათვის. *გივი წულაია – 80*. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, 2014, გვ. 18-34 (<https://www.academia.edu/38188491/3>).

² **Мровели Леонти**. Жизнь Картлийских царей. *Извлечение сведений об абхазах, народах Северного Кавказа и Дагестана*. Перевод с древнегрузинского, предисловие и комментарии **Г. В. Цулая**. Москва, Издательство «Наука», 1979.

„საქმეში ჩაგვერთო“ ბატონი ზურაბი. მან ყურადღებით მოგვისმინა, გადაშალა „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი გვერდი, თვალის ერთი გადავლებით უმაღვე ჩაწვდა ქართულ ტექსტს და დაადასტურა „სადავო“ ადგილის ჩემულის წაკითხვის¹ მართებულობა.

კიდევ უფრო დასამახსოვრებელი იყო მეორე შემთხვევა. 1982 წლის შემოდგომაზე სოხუმში ტარდებოდა წყაროთმცოდნეთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც წარდგენილი იყო ჩემი მოხსენებაც.² სექციის სხდომა, რომელზეც მე უნდა გამოვსულიყავი, ტარდებოდა აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში და მას თვით გიორგი ძიძარია უძღვებოდა. სხდომას ბატონი ზურაბიც ესწრებოდა. მოხსენებაში მე ყურადღება გავამახვილე „მატიანე ქართლისაჲდ“ წოდებული ანონიმი მემატიანის თხზულების ერთი პასა-

¹ ეს იყო ფრაგმენტი „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან“ (მასალა აღნიშნული მატიანიდან დამატების სახით დართული ჰქონდა ლეონტი მროველის თხზულების თარგმანს): „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხენი, და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოჭრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თვნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს“ (ქართლის ცხოვრება. ტ. I ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, სახელგამი, 1959, გვ. 146, აქ და ქვემოთაც ხაზგასმა ჩვენია – ზ. ზ.). ამ პასაჟში გივი წულაიამ მსხვილი შრიფტით მონიშნული ადგილი არაზუსტად თარგმნა: „*разорили просторы, да заняли укрепленные города, за исключением Каспи. Город же Каспи захватили и сокрушили*» (Мровели Леонти. Жизнь Картлийских царей..., გვ. 82). ანუ მან ტექსტი გაიგო ისე, რომ ოვსებს „ციხე-ქალაქნიც“ აეკლოთ („*заняли укрепленные города*“), მაშინ, როდესაც მემატიანე გარკვევით წერს, რომ „*ციხე-ქალაქნი*“ გადაურჩნენ „*მოოხრებას*“. აღსანიშნავია, რომ, მოგვიანებით, როდესაც გ. წულაიამ უკვე თვით „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ რუსული თარგმანიც გამოსცა, მან ეს მონაკვეთი ჩაასწორა („...*разорили просторы, но укрепленные города миновали, за исключением Каспи. Город же Каспи захватили и сокрушили*“). იხ. **Джуншер Джуншеряни**. Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания **Г. В. Цулая**. Тбилиси, Издательство «Мециниереба», 1986, გვ. 61), რაც, პირველ რიგში, ბატონი ზურაბის (ნაწილობრივ ჩემიც, რასაკვირველია) დამსახურება იყო.

² **З. В. Папаскири**. К толкованию одного сообщения „Летописи Картли“. – *Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников*. Всесоюзная научная сесия, посвященная 60-летию образования СССР (26-28 октября 1982 г. Сухуми). *Тезисы докладов*. Тбилиси, 1982, გვ. 67-68.

ვის ტექსტის გაგებაზე: „მას ჟამს გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თოლოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას, ძე დემეტრესი. და ვითარ გარდაიცვალა გიორგი, აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერეუა ბაგრატი, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა, შავლიანსა, და მთავადეს ბაგრატი ზღუასა. ხოლო დემეტრემან განარინა იგი და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლედ. და მოჰგუარა მეფემან იოვანე ძესა თვსსა ადარნასეს ცოლი, ასული გუარამ ამოტის ძისა. და მოკუდა იოვანე, მეფე აფხაზთა, და მეფობდა მის წილ ძე მისი ადარნასე...“.¹

წარმოდგენილი ფრაგმენტი საკმაოდ რთულია და ტექსტოლოგიური კუთხით არაერთ კითხვას² სვამს. ამჯერად მე აქცენტი გავაკეთე მოცემულ ტექსტში სიტყვა „ეცრუას“ არასწორ აღქმაზე ქართული ქრონიკის რუსულ თარგმანებში – „обманула“ – მარიამ ლორთქიფანიძის თარგმანში;³ „соблазнила“ – გივი წულაიას თარგმანში.⁴ ორივე შემთხვევაში სიტყვა „ეცრუა“ მთარგმნელებს არასწორად ჰქონდათ გაგებული, რადგან წარმოუდგენელია „მოატყუო“, ან „აცდუნო“ კაცი და ამ „სიცრუისა“ და „ცდუნების“ შედეგად ის მეფედ დასვა. სრულიად აშკარაა, რომ, კონტექსტიდან გამომდინარე, „ეცრუა“ უნდა გავიგოთ როგორც „сговорила“ („შეთქვა“). გაჩაღდა პოლემიკა, რომელშიც მონაწილეობდა გივი წულაიაც. ბოლოს ამ პოლემიკას წერტილი დაუსვა ზურაბ ანჩაბაძის ავტორიტეტულმა დასკვ-

¹ მატიაზე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება. ტ. I ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, სახელგამი, 1959, გვ. 258, ხაზგასმა ჩვენია – **ზ. ჰ.**

² ერთ-ერთ მათგანზე იხ.: ზურაბ პაპასიანი. ვინ იყო „ერისთავი ჩიხისა“. „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტში ერთი კონიექტურის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ. – ქართული წყაროთმცოდნეობა. XI. თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“, 2006, გვ. 64-71.

³ Матиане Картлиса. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тбилиси, 1976. გვ. 31, ხაზგასმა ჩვენია – **ზ. ჰ.**

⁴ Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1982, გვ. 50. სხვათა შორის, ასევე არასწორად თარგმნიდა „ეცრუას“ გიორგი ამიჩბაც – „солгала“ (იხ. Абхазия и абхазы средневековых грузинских повествовательных источников. Грузинские тексты на русский язык перевел, предисловием и примечаниями снабдил Г. А. Амичба. Издательство «Мецниереба». Тбилиси, 1988, გვ. 59), ხაზგასმა ჩვენია – **ზ. ჰ.**

ნამ – მან მთლიანად გაიზიარა მოცემული პასაჟის ჩემუი ახსნა¹ და ის დამატებითი არგუმენტებით შეამაგრა. ამით მან კიდევ ერთხელ აღიარა ჩემი მეცნიერული კომპეტენცია, რისთვისაც უზომოდ მაღლიერი ვიყავი. საწყენი იყო მხოლოდ ის, რომ ეს დაკვირვება ამოიღეს კონფერენციის შემდეგ გამოცემული *მოხსენებათა თუზისებიდან*. განმარტება ფრიად უცნაური იყო – მოერიდნენ ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძის თარგმანის სისწორის ეჭვქვეშ დაყენებას.

ზურაბ ანჩაბაძის მხრიდან ახალგაზრდების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისა და ერთგვარი დაფასების გამოვლინება იყო მისი თანხმობა ჩემი პირველი მონოგრაფიის² რედაქტორობაზე. არადა, ბატონმა ზურაბმა მშვენივრად იცოდა, რომ ამ წიგნს შეეძლო სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური ინტელიგენციის გაღიზიანება, რადგან მასში თითქმის მთლიანად შევიდა „ობუზებთან“ დაკავშირებული შენიშვნები შალვა ინალ-ივას წიგნზე.³ მიუხედავად ამისა, მან უარი არ მითხრა და, ფაქტობრივად, გარკვეული წილი პასუხისმგებლობისა უყოყმანოდ აიღო თავის თავზე.

მართლაც, უნივერსიტეტის აფხაზური პროფესორის ცალკეულმა წარმომადგენლებმა (სეპარატისტული მოძრაობის ცნობილი იდეოლოგის, დოცენტ *ოლეგ დამენიას* მეთაურობით), რომელთაც იმ დროისათვის უკვე კარგა ხნის დაწყებული ჰქონდათ ჩემი, როგორც მეცნიერი-ისტორიკოსის, დისკრედიტაციის მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანია (მასში ჩართული აღმოჩნდნენ აფხაზი სტუდენტებიც), წიგნის გამოცემა გამოიყენეს ახალი იერიშის მისატანად. ისინი განსაკუთრებით გააცოფა იმან, რომ მონოგრაფია აღინიშნა იმჟამად ახალგაზრდა მეცნიერთათვის განკუთვნილი უმაღლესი ჯილდოთი – *საქართველოს კომკავშირის პრემი-*

¹ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თავის ერთ-ერთ ნაშრომში ზურაბ ანჩაბაძე, გიორგი „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი ქვრივის ქმედებებს შეთქმულებად (*заговор*) აფასებდა (**З. В. Анчабадзе**. Из истории..., გვ. 123. სამწუხაროდ, მაშინ მე ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია), თუმცა საკუთრივ სიტყვა „ეცრუა“-ზე მას რაიმე განმარტება არ გაუკეთებია.

² **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических взаимоотношений...

³ **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических..., გვ. 106-109, 116-123; იხ. აგრეთვე: *Пассажи из моей монографии – «У истоков грузино-русских политических взаимоотношений...», против которых ополчились мои абхазские оппоненты.* – **Зურაბ Папаскири**. Моя Абхазия. Воспоминания и размышления. Тбилиси, Издательство: «*Меридиани*», 2012, გვ. 593-600.

ით. ეს ანტიქართულად განწყობილმა ძალებმა ღია გამოწვევად მიიღეს და, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი სამსახურიდან დათხოვნა და აფხაზეთიდან გასახლება მოითხოვეს (თვით სსრ კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს – სკკპ ცენტრალური კომიტეტის დონეზე¹).

ასეთ უმწვავეს სიტუაციაში ზურაბ ანჩაბაძე, როგორც იტყვიან, მკერდით გადამეფარა და ღიად დამიცვა ანგარიშსწორებისაგან. მართალია, მაშინ მე სხვებიც გამომექომანენ, როგორც სოხუმში (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნები ვილენ ალავიძე და რუფეტ ბუთბა), ისე თბილისშიც (*მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, გურამ ლორთქიფანიძე, ნოდარ ასათიანი*²), მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, „მთავარი დამნაშავე“ იმაში, რომ ოპონენტებმა ვერ მიაღწიეს მიზანს, სწორედ უნივერსიტეტის რექტორი იყო. ეს იმდენად ცნობილი ამბავია (საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ცოცხლები არიან ამ „ბატალიების“ მომსწრენი), რომ მავანთა მცდელობა მოახდინონ მაშინ მიმდინარე პროცესების „კორექტირება“ და გამოიყვანონ ბატონი ზურაბი ჩემს არაკეთილმოსურნედ, უბრალოდ ღიმილის მომგვრელია.

კერძოდ, ასეთი მცდელობა აქვს ჩემს აფხაზ მოგვარესა და „მთავარ ოპონენტს“ *ალექსი ჰაპასქირს*, რომელმაც თავის აფხაზეთის ისტორიის „აღორძინებისა და რეაბილიტაციისადმი“ მიძღვნილ ამბიციურ წიგნში ცალკე ნარკვევად გამოყო ჩემი „მითები“ (*«Мифы Зуроба Папаскири и его абхазоведческое «мастерство»*) აფხაზეთმცოდნეობის სფეროში.³ მასში ავტორი ზურაბ ანჩაბაძეს მიაწერს წარმოუდგენელ რამეს. მისი მტკიცებით, 1983 წელს ა. ჰაპასქირსა და მის თანამოაზრეებს კატეგორიულად მოუთხოვიათ რექტორისაგან მოეწყო ჩემი წიგნის განხილვა. ორსაათიანი დავა რექტორთან (*„спор в кабинете ректора продолжался часа два“*), რომლის დროსაც „მომჩივანებს“ უცდიათ მიეწოდებინათ მისთვის „**ობიექტური ინფორმაცია** ზურაბ ჰაპასქირზე და მის ოინებზე უნივერსიტეტში“ (*„сообщить объективную информацию о Зуробе Папаскири и его продел-*

¹ მოსკოვში, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ წერილს ხელს აწერდა აფხაზეთის (სოხუმის) სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, აფხაზი ეროვნების 11 წარმომადგენელი.

² მათ ხმა მიაწვდინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილეს *მინდია უგრეხელიძეს*, რომელმაც მოაწყო ჩემი შეხვედრა ცენტრალური კომიტეტის მდივანთან *გურამ ენუქიძესთან*.

³ იხ.: **А. Л. Папаскир**. Очерки возрождения и реабилитации истории Абхазии. Сухум, 2019, გვ. 384-403.

как в АГУ”) დამთავრებულა იმით, რომ ზურაბ ანჩაბაძე იძულებული გამხდარა ეთქვა: „თქვენ კიდევ არ იცით, თუ როგორი გარეწარია ზურაბ ჰაპასკირი!“ (*«Вы еще не знаете, какой Зураб Папаскири мерзавец!»*). მთელი ამ ინსინუაციის „დაგვირგვინებაა“ დასკვნითი ფრაზა: „ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, ისინი ომის დროს თავად **ზ. ჰაპასკირმა დაადასტურა მტრის მხარეზე მონაწილეობით**“ (*„Эти слова оказались пророческими, их подтвердил сам З. Папаскири во время войны своим участием на стороне врага“*).¹

ეს რომ სიცრუე და ბინძური მონაჭორია, ჩანს იქიდანაც, რომ ამ შეხვედრის შემდეგ რექტორმა მართლაც მოაწყო განხილვა (თანაც ორჯერ – 1983/1984 წწ. დეკემბერ-იანვარში), მაგრამ რატომღაც არა ზურაბ ჰაპასკირის წიგნისა, არამედ თვით ა. ჰაპასკირის „ნაცოდვილარის“, რომელზეც არა სხვა ვინმემ, არამედ თვით ზურაბ ანჩაბაძემ (ჩემი უშუალო მონაწილეობით) საბოლოოდ დაასამარა ამ გათავხელებული „ყოვლისმცოდნე“ ფილოლოგ-ისტორიკოსის დილეთანტური „ვარჯიშობები“ „ობეზი“-აფხაზეთის/აფხაზების მნიშვნელობაზე. აფხაზები არ მალავდნენ, რომ ყველაფერი ეს კეთდებოდა ჩემი მეცნიერული კომპეტენციის დისკრედიტაციის მიზნით. განსაკუთრებული მობილიზაცია გამოცხადდა ალ. ჰაპასკირის მოხსენების მეორე „მოსმენის“ წინ. ერთ-ერთ „კეთილმოსურნეს“ – სსრ კავშირის ისტორიის კათედრის გამგეს, დოცენტ რაულ ხონელიას ღიად უთქვამს ფაკულტეტის დეკანისთვის, *მურმან ბერიასთვის* – „აჯობებს, თუ არ მოხვალ, დღეს ჩვენ ვაცს რქებით დავიჭერთო“ (*«Мы сегодня козла за рога поймаем»*). ეს „ვაცი“ რასაკვირველია, მე ვიყავი. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომათა დარბაზში თავი მოიყარა აფხაზური სეპარატისტული პროფესურის თითქმის ყველა ოდიოზურმა წარმომადგენელმა, მოიყვანეს თვით შალვა ინალ-იფაც, მაგრამ მთელი ეს სამზადისი სულ წყალში ჩაეყარათ. ზურაბ ანჩაბაძემ ჯერ ჩამჭრელი კითხვებით, ხოლო შემდეგ დამაჯერებელი არგუმენტაციით, მკაფიოდ აჩვენა მომხსენებლის სრული უვიცობა.

მახსოვს, როდესაც ბატონმა ზურაბმა თავისი კითხვებით „კუთხეში მიაღწევდია“ ალ. ჰაპასკირი, მე ჩავერთე და ვთხოვე ამ უკანასკნელს, დაესახელებინა გვერდი ზ. ანჩაბაძის წიგნიდან, რომელშიც ის თითქოს აღიარებდა ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში მოხსენიებული „ობეზების“

¹ **А. Л. Папаскир.** Очерки возрождения и реабилитации истории Абхазии, გვ. 393, ხაზგასმა ჩვენია – **ზ. პ.** ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: **Зураб Папаскири.** Моя Абхазия..., გვ. 41-42).

ეთნიკურ აფხაზობას. კითხვა დამთავრებული არ მქონდა, რომ რექტორმა დაამატა – „ეს მეც ძალიან მაინტერესებსო“. მომხსენებლის პასუხი იყო მისი სრული უსუსურობის მკაფიო დემონსტრირება – „მე რატომ უნდა მიგითითოთ, თვითონ მოიძიეთო“. ამის თქმა და, შალვა ინალ-იფა წამოდგა და კარისკენ გასწია. მეტად მრავლისმთქმელი იყო ბატონი ზურაბის რეაქცია – „თქვენ საით, შალვა დენისოვიჩი?“. შ. ინალ-იფამ პასუხი არ გასცა და თავჩადუნულმა დატოვა დარბაზი. „წავიდა, არადა, მე ახლა სწორედ ვაპირებდი მისთვის სიტყვის მიცემას, თუმცა მას რა უნდა ეთქვა“ – მიაყოლა რექტორმა. ამ რეპლიკით მან საბოლოო წერტილი დაუსვა ოლეგ დამენიასა და მისი ჯგუფის მორიგ დემარშს ჩემს წინააღმდეგ. სხვათა შორის, ამ ამბებიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა ბატონი ზურაბი. მახსოვს, მაშინ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მაღალჩინოსანმა ვიქტორ ალექსანდროვმა, რომელსაც „მიჰყავდა ჩემი საქმე“ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს პარტიულ ინსტანციაში, შეხვედრისას შვებით მითხრა: „როგორ მოასწროო მან (ე.ი. ზურაბ ანჩაბაძემ) შენგან ბრალდებების მოხსნა («как он успел с тобой снять эти обвинения»)».¹

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზურაბ ანჩაბაძის მკვეთრად გამოხატული პოზიტიური დამოკიდებულებისა ჩემი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართ, ყოფილა შემთხვევები, როდესაც, გარკვეული გარემოებების გამო მას თავი შეუკავებია ღია მხარდაჭერისაგან. ასე მოხდა, მაგალითად, მაშინ (ალბათ, 1981-1982 წწ.), როდესაც ვთხოვე, მოეცა რეკომენდაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში ჩემი გამომხატულების (აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის ერთი საეჭვო დებულების ირგვლივ) დაბეჭდვაზე.² იმჟამად (XX ს. 80-იანი წლე-

¹ ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: **Зураб Папаскири**. Моя Абхазия..., გვ. 41-42.

² როგორც ცნობილია, 1973 წელს გ. მელიქიშვილმა გამოსცა მეტად ამბიციური წიგნი, რომელშიც პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ეჭვქვეშ დააყენა მანამდე საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისი, დავით კურაპალატის, როგორც ქართული მიწების გაერთიანების ინიციატორისა და მოთავის როლის შესახებ. მეცნიერი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ იმიერ-ტაოს ძლევამოსილ მმართველს, როგორც ბიზანტიის ვასალს – საიმპერატორო კარის კურაპალატს – არათუ არ შეეძლო საქართველოს გამაერთიანებლის როლში გამოსვლა, არამედ მას ამის სურვილი საერთოდ არ ჰქონია (**გიორგი მელიქიშვილი**. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973, გვ. 12-17). გ. მელიქიშვილის მიერ დავით კურაპალატის – საყოველთაოდ აღიარებული დიდი

ბის დამდეგი) საქართველოს ისტორიის პროფილის სამეცნიერო ჟურნალები ნაკლებად იბეჭდებოდა. ფაქტობრივად, ერთადერთი სამეცნიერო პერიოდული გამოცემა, რომელშიც შეიძლებოდა დაბეჭდილიყო ჩემი საკმაოდ ვრცელი (25 გვერდზე) კრიტიკული წერილი, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია). მაგრამ ამ გამოცემაში სტატიის დაბეჭდვა პრაქტიკულად შეუძლებელი მოჩანდა ორი გარემოების გამო: პირველი – ჟურნალის მთავარი რედაქტორი განლდათ თვით გიორგი მელიქიშვილი და ეს გარემოება გარკვეულ უხერხულობას მიქმნიდა, და მეორე – *მაცნეში* წარსადგენ წერილს აუცილებლად სჭირდებოდა მეცნიერებათა აკადემიის წევრის ან წევრ-კორესპონდენტის (ბუნებრივია, შესაბამისი პროფილის) რეკომენდაცია, რაც არცთუ ისე ადვილი იყო.

მე მაინც გადავწყვიტე ბედი მეცადა და ჩემს მიერ მომზადებული მასალა, პირველ რიგში, გავაცანი ბატონ ზურაბს, რომელიც, გარდა იმისა, რომ თავისთავად იყო ამ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მკვლევარი,¹ როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-

ეროვნული მოღვაწის – „დისკრედიტაციის“ ეს სრულიად გაუმართლებელი მცდელობა სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა სპეციალისტებისათვის. თითქმის ყველა წამყვანი ქართველი ისტორიკოსი-მედიევისტი კრიტიკულად შეხვდა მეცნიერის ამ და ნაშრომში განვითარებულ სხვა დებულებებს (პირველ რიგში, საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების გ. მელიქიშვილისეულ ხედვას, რომელსაც „დელიკატურად“ გაემიჯნენ ცალკეული მკვლევრები, მათ შორის, ზურაბ ანჩაბაძე /იხ.: **ზურაბ ანჩაბაძე**. შესავალი. ეპოქის ზოგადი დახასიათება. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979, გვ. 5-6/), თუმცა იმ პერიოდში მათზე რაიმე სერიოზული გამოხმაურება არ ყოფილა – კოლეგები ერიდებოდნენ სახელოვანი მეცნიერის, ქართული ისტორიოგრაფიის აღიარებული ლიდერის განაწყენებას. და, აი, ამ ფონზე გავამზადე ვრცელი გამოხმაურება, რომელშიც კრიტიკულად გავაანალიზე გ. მელიქიშვილის მიერ მოტანილი ყველა არგუმენტი და დავასაბუთე მისი შეხედულების უსაფუძვლობა.

¹ ზურაბ ანჩაბაძე, როგორც ცნობილია, პირველ რიგში, იყო მედიევისტი, მაგრამ, ამასთან, ის წარმატებით იკვლევდა ანტიკურ ხანასაც, აგრეთვე XIX-XX საუკუნეების ცალკეულ პრობლემებს და ითვლებოდა ურყევ ავტორიტეტად ზოგადად საქართველო-აფხაზეთის (ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების) ისტორიის მიმართულებით. ბატონი ზურაბისგან ხშირად გამიგონია, რომ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, როგორც *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და*

პონდენტს, ხელეწიფებოდა საჭირო რეკომენდაციის გაცემა. მან ყურადღებით წაიკითხა სტატია და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დამიდასტურა, რომ აბსოლუტურად მართალი ვიყავი, მაგრამ „მაცნეში“ წარდგინებაზე დიპლომატიურად უარი მითხრა. „იცი, ამ საქმეში ნუ გამხვევ, რაც არ უნდა იყოს, გიორგი მელიქიშვილი და მე მეგობრები ვართ, გარდა ამისა, ის ჩემი დირექტორიცაა“¹ – ერთგვარი მორიდებით ამიხსნა მან.²

ზურაბ ანჩაბაძესთან კონტაქტები უფრო ხშირი და საქმიანი გახდა 1980-1981 სასწავლო წლიდან, როდესაც მისი თაოსნობით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა *საქართველო-აფხაზეთის ისტო-*

ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს (სადაც ზურაბ ანჩაბაძემ ნაყოფიერად იღვანა თითქმის 40 წლის განმავლობაში), მისთვის გაცემულ ერთ-ერთ დახასიათებაში ჩაუწერია – „საქართველოს ისტორიის ყველა პერიოდის სპეციალისტი“ – მე ერთადერთი ვიყავიო ასეთი ჩანაწერით.

¹ იმ დროს ზურაბ ანჩაბაძე აგრძელებდა მუშაობას (შეთავსებით) *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.*

² სხვათა შორის, მაშინ ზუსტად იმავე მოტივით უარით გამომისტუმრა ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემაც, რომელმაც ასევე მთლიანად მოიწონა ჩემი არგუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, *საქართველოს ისტორიის ნარკვევების* შესაბამისი ტომის რუსულ გამოცემაში, მან საგანგებოდ გამახვილა ყურადღება დავით კურაპალატის როლზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის პროცესში და დამაჯერებლად აჩვენა ამ დიდი ეროვნული ლიდერის დვანლი საქართველოს გაერთიანების საქმეში (იხ. **მ. დ. ლორთქიფანიძე.** Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии*, т. II. Издательство «Мецниереба». Тбилиси, 1988, გვ. 327-339), თუმცა თავი შეიკავა გ. მელიქიშვილის „ნოვაციის“ საგნობრივი კრიტიკისაგან. ჩემი მასალა კი, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მაშინ სხვა პერიოდულმა გამოცემებმაც („ცისკარი“, „მნათობი“) არ გამოაქვეყნეს – მხოლოდ თეზისების სახით მოხერხდა მისი ძირითადი შინაარსის გასაჯაროება (იხ. **ზურაბ პაპასქირი.** დავით კურაპალატი და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. – *ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური კონფერენციის თეზისები.* 4-6 მარტი, 1986 წელი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986). 1990 წელს კი უკვე სრულად (მეტიც, მნიშვნელოვნად გაღრმავებული და შევსებული სახით) შევიდა ჩემსავე მონოგრაფიაში (**ზურაბ პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990, გვ. 11-62).

რის კათედრა. ამით რექტორმა აღასრულა თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრი – სოხუმის უნივერსიტეტი გამხდარიყო საქართველო-აფხაზეთის ისტორიის მეცნიერული კვლევისა და სწავლების მძლავრი კერა. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ბატონმა ზურაბმა ჯერ კიდევ უმაღლესი სასწავლებლის უნივერსიტეტად გარდაქმნამდე – 1977 წელს – გადადგა, როდესაც შექმნა „ისტორიული აფხაზეთმცოდნეობის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.

ეს ახალი სტრუქტურული ერთეული მთლიანად დაკომპლექტდა ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებით. მათ შორის იყვნენ *ჯამბულ ანჩაბაძე* (ლაბორატორიის ხელმძღვანელი), *ალიკ გაბელია* (არქეოლოგი, შემდგომ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ამჟამად აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი), *სიმა დბარი* (ეთნოგრაფი, ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი) და სხვ.

„ისტორიული აფხაზეთმცოდნეობის“¹ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია ზურაბ ანჩაბაძეს ესახებოდა (ის ამას ოფიციალურადაც აცხადებდა) მომავალი საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის ერთგვარ ჩანასახად, თუმცა თვით კათედრის გახსნა პედაგოგიური ინსტიტუტის პირობებში ფაქტობრივად გამორიცხული იყო. სხვა (პოლიტიკური დეოლოგიური) გარემოებებზე რომ არაფერი ვთქვათ, არსებულ სიტუაციაში ამის შესაძლებლობას საქართველო-აფხაზეთის ისტორიისათვის გამოყოფილი სასწავლო საათების (იკითხებოდა მხოლოდ ისტორიის, ფილოლოგიური და პედაგოგიური სპეციალობებზე) რაოდენობა არ იძლეოდა.

პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნის შემდეგ

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ლაბორატორიის სახელწოდებამ – „ისტორიული აფხაზეთმცოდნეობა“ („*Историческое афхазоведение*“) იმთავითვე გამოიწვია სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ პროფესორ-მასწავლებელთა გაღიზიანება, რომელთათვის მიუღებელი აღმოჩნდა ცნება „აფხაზეთმცოდნეობა“ („*афхазоведение*“) „აფხაზმცოდნეობის“ („*афхазоведение*“) ნაცვლად. ბატონი ზურაბი იძლეოდა სავსებით დასაბუთებულ განმარტებას ამასთან დაკავშირებით. ის საგანგებოდ უსვამდა ხაზს, რომ „ისტორიული აფხაზეთმცოდნეობა“ გულისხმობდა მთლიანად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, და არა მხოლოდ აფხაზთა, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის (ფაქტობრივად, სწორედ ამ ჭრილში მიმდინარეობდა კვლევა დიმიტრი გულუას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში) შესწავლას.

კი რექტორს ხელ-ფეხი გაეხსნა და ის აქტიურად შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას. მოსამზადებელი ორგანიზაციული საკითხების მოგვარების პროცესში თავიდანვე აღმოვჩინდი აქტიურად ჩართული. ეს უმთავრესად გამოწვეული იყო იმით, რომ მე იმ დროისათვის უკვე ვითვლებოდი *საქართველოს ისტორიის წამყვან (დოცენტ ალექსანდრე სოფიასთან ერთად) ლექტორად* (მიმყავდა საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსი *ისტორიის სპეციალობის რუსულ სექტორზე*, თუმცა, ოფიციალურად ჯერ კიდევ მსოფლიო ისტორიის კათედრაზე ვირიცხებოდი). გარდა ამისა, გათვალისწინებული იქნა ისიც, რომ კარგად ვიცნობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის (საქართველოში ერთადერთის, რომლის ანალოგი უნდა შეგვექმნა სოხუმში) სტრუქტურას და მუშაობის სპეციფიკას (როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ კათედრის კურსდამთავრებული ვიყავი).

ბატონ ზურაბთან ერთად შევადგინეთ¹ კათედრის სასწავლო დისციპლინათა ნუსხა. გარდა საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო კურსისა, რომელიც ისწავლებოდა „ისტორიის“ სპეციალობის I და II კურსებზე (3 სემესტრის განმავლობაში, ისევე როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის *ისტორიის ფაკულტეტზე*), კათედრას მიჰყავდა „აფხაზეთის ისტორია“, „არქეოლოგიის საფუძვლები“, „ეთნოგრაფიის საფუძვლები“, „დამხმარე ისტორიული დისციპლინები“. იმის გამო, რომ კათედრას დაევალა აგრეთვე საქართველო-აფხაზეთის ისტორიის პროფილით სპეციალიზაციის დისციპლინების წაყვანა, რაც გულისხმობდა სპეცკურსებისა და სპეც-სემინარების ჩატარებას „ისტორიის“ სპეციალობის III-V კურსებზე საჭირო შეიქმნა სპეციალიზაციის დისციპლინების ნუსხის

¹ პირველ ეტაპზე მოსამზადებელი სამუშაოს შესრულებაში აქტიურად იყო ჩართული *სსრ კავშირის ისტორიის კათედრის* (რომელიც კურირებდა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სწავლებას) გამგე, პროფესორი *ირაკლი ახალაია*. სწორედ მისი ინიციატივა იყო ჩემი აქტიურად ჩართვა ორგანიზაციულ საქმიანობაში. სხვათა შორის, მომეჩვენა, რომ ბატონი ზურაბი ამას ადფრთოვანებით არ შეხვედრია (შეიძლება მას ამ მიმართულებით სხვა გეგმები ჰქონდა), მაგრამ ბატონმა ირაკლიმ ეს ისე დიპლომატიურად მოაწყო, რომ რექტორი ფაქტის წინაშე დააყენა და მასაც წინააღმდეგობა არ გაუწევია (ამის შესახებ ვრცლად იხ. **ზურაბ ჰაპასქირი**. იშვიათი შემართებისა და ბობოქარი სულის ადამიანი. *პროფესორი ირაკლი ახალაია*. – *ირაკლი ახალაია* – 100. სტატიების კრებული. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, გვ. 24-25.

მედგენაც, მოწვეული სპეციალისტების (ძირითადად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების) კვალიფიკაციის გათვალისწინებით.¹

კათედრას ასევე დაევალა საკურსო და სადიპლომო შრომების ხელმძღვანელობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრას (ერთადერთს ფაკულტეტზე) დაეკისრა გამომშვები კათედრის ფუნქციის შესრულება. ამასთან, საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრა² იმთავითვე გადაიქცა საუნივერსიტეტო კათედრადაც, რაც განპირობებული იყო იმით, რომ, რექტორის ბრძანებით, უნივერსიტეტის დღის განყოფილების ყველა სპეციალობის I კურსებზე (I-II სემესტრის განმავლობაში) შემოღებულ იქნა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სავალდებულო კურსი, საკმაოდ სოლიდური დატვირთვით (2 აკადემიური საათი კვირაში – სულ 70 საათი).

ახლადშექმნილი კათედრის გამგის თანამდებობაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, დანიშნა (შეთავსებით) უნივერსიტეტის რექტორი. იმაჟამად სოხუმის უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა კათედრის გამგის მოადგილის (ოფიციალურად „იდეურ-აღმზრდელით“ სფეროში) ინსტიტუტი. ამ თანამდებობაზე ბატონმა ზურაბმა მე დანიშნა, რაც ჩემთვის – ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერისთვის (მაშინ მხოლოდ 30 წლის ვიყავი) უდიდესი პატივი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებამ კათედრის გამგის მოადგილის თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის შესახებ სეპარატისტულად განწყობილ პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან გამოიწვია გარკვეული პროტესტი, რომელიც ძირითადად ორი გარემოებით იყო განპირობებული. პირ-

¹ ვრცლად იხ.: **ზურაბ პაპასქირი**. ოცი წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში. – საისტორიო ძიებანი. წელიწდული, IV. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2001, გვ. 17-21.

² კათედრას ოფიციალურად ეწოდა „სსრ კავშირი ისტორიის #2 კათედრა“. ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა (უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს სსრ-ის და აფხაზეთის ასსრ-ის ისტორიის“ ნაცვლად) საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიაზე, თუმცა რეალურად მას ყველა „საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრად“ მოიხსენიებდა (სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კათედრის სახელწოდების მოტივიაციის შესახებ იხ.: **ზურაბ პაპასქირი**. ოცი წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში., გვ. 18-19).

ველ რიგში, მათ ახლადგახსნილი კათედრა აფხაზეთის (და არა საქართველო-აფხაზეთის) ისტორიის კათედრად წარმოედგინათ და, ამდენად, მათ სურდათ ამ კათედრის მუშაობა მთლიანად აფხაზეთის სეპარატისტული იდეოლოგიის კონიუნქტურას დაქვემდებარებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი – ეროვნებით ქართველისა და მით უფრო, აფხაზ სეპარატისტთა თვალში, „საეჭვო“ რეპუტაციის მქონე პერსონის – დანიშნვა კათედრის გამგის მოადგილედ, ნამდვილად არ იყო მისაღები. მათ უცდიათ კიდევ ჩემი კანდიდატურის „დაბლოკვა“, მაგრამ აფხაზთა ეს მცდელობა ჩაიფუშა. ზურაბ ანჩაბაძემ ამჯერადაც გამოიჩინა მისთვის დამახასიათებელი ობიექტურობა, დაიკავა სამართლიანი პოზიცია და უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ჩემს დანიშნვას.

ამ დროიდან ჩვენმა თანამშრომლობამ ახალი შინაარსი შეიძინა. უნივერსიტეტსა და მის ფარგლებს გარეთაც – აკადემიურ წრეებში – მე რექტორის „მარჯვენა ხელად“ მოვიაზრებოდი. ამან კიდევ უფრო გაზარდა ჩემი „რეიტინგი“, როგორც სოხუმში, ისე თბილისშიც, რის გამოხატულებადაც იქცა არჩევა *ქვეთილ თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარის (გიორგი ძიძარიას)* მოადგილედ. მართალია, ეს ინიციატივა უშუალოდ ბატონი გიორგისგან მოდიოდა, მაგრამ, როგორც თვითონ მითხრა, ეს საკითხი შეთანხმებული ყოფილა ზურაბ ანჩაბაძესთან.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ზურაბ ანჩაბაძისა და გიორგი ძიძარიას გვერდით („თანამდებობრივი სტატუსიდან“ გამომდინარე), საქართველოს მეცნიერ-ისტორიკოსთა ყოველწლიურ შეხვედრებში მონაწილეობა. ეს თავყრილობები, რომლებიც ინიცირებული იყო საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის (პირადად *ედუარდ შვარდნაძის*) მიერ და ტარდებოდა – პარტიის ცენტრალური კომიტეტის პატრონაჟით, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ქართველ ისტორიკოსებსა და, მეორე მხრივ, აფხაზ (აგრეთვე ოს) ისტორიკოსებს შორის ნდობის აღდგენას და მათ შორის სამეცნიერო კომუნიკაციისათვის ხელის შეწყობას. ამდენად ასეთ ფორმატში აქტიური ჩართვა (ზურაბ ანჩაბაძისა და გიორგი ძიძარიას მხარდაჭერით), ჩემთვის, რასაკვირველია, დიდი პატივი იყო.

ზურაბ ანჩაბაძე იყო საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი (და არა მხოლოდ აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს მასშტაბით) – *ივანე ჯავახიშვილისა* და მისი დიდი მოწაფეების, *სიმონ ჯანაშიას* და *ნიკო ბერძენიშვილის* ქართული საისტორიო სკოლის დირსეული წარმომადგენე-

ლი. აღსანიშნავია, რომ თვით ბატონი ზურაბი ერთნიშნად მიაკუთვნებდა თავს ქართულ საისტორიო სკოლას. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ასეთი ეპიზოდი. აფხაზთა მორიგი ანტიქართული პროპაგანდისტული კამპანიის პერიოდია (ალბათ, 1977-1978 წწ.), რომლის დროსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან აფხაზი ხალხის ეროვნული იდენტობის იგნორირების დამადასტურებელ ერთ-ერთ მაგალითად მოიყვანეს ქართულ ენციკლოპედიაში ზურაბ ანჩაბაძის „**ქართველ**, *საბჭოთა ისტორიკოსად*“ მოხსენიება.¹ როდესაც ბატონ ზურაბს (ვიწრო წრეში) ვთხოვეთ განმარტება, მან უყოყმანოდ განგვიცხადა – „*А кто же я по-вашему?!*“ („აბა ვინ ვარ მე, თქვენი აზრით“) და იქვე ახსნა, თუ რატომაა ის, მაინცდამაინც, „**ქართველი ისტორიკოსი**“.

სწორედ ამიტომ იყო ზურაბ ანჩაბაძისათვის აფხაზეთის ისტორია საერთო ქართული (და არა საქართველოსაგან მოწყვეტილი ცალკე სახელმწიფოს) ისტორიის ნაწილი.² ის ფარად ედგა საქართველოს ისტორიას და ხმალამოდებული ილაშქრებდა მისი გამყალბებლების წინააღმდეგ (ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ულმობელი კრიტიკა შ. ინალ-იფას წიგნში განვითარებული ყალბი დებულებებისა, რომელზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი). ყოველივე ეს სეპარატისტულად განწყობილ აფხაზებს აღიზიანებდათ, მაგრამ მასთან ღიად დაპირისპირებას ერიდებოდნენ – რაც არ უნდა იყოს, ზურაბ ანჩაბაძის სახელს უკავშირდება ძველი და შუა საუკუნეების ხანის აფხაზეთის მეცნიერული ისტორიის შექმნა. თანაც ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ სწორედ ზურაბ ანჩაბაძეს ხელეწიფებოდა ავტორიტეტულად ეპასუხა საკუთრივ აფხაზთა ეთნიკური ისტორიის არასწორად წარმოჩენის ფაქტებზე (როგორც ეს მან გააკეთა, მაგალითად, პავლე ინგოროყვას თვალსაზრისის კრიტიკისას). თავისი აკადემიური შესაძლებლობებითა და, რაც მთავარია, გაბედულებით, ის იყო ერთადერთი ისტორიკოსი, რომელსაც თანაბრად შეეძლო დაეტუქსა (ხშირად საკმაოდ მკაცრადაც), როგორც აფხაზი, ისე ქართველი ისტორიკოსი (ამ მხრივ ის დღემდე შეუცვლელია) და ყოფილიყო პირუთვნელი არბიტრი მხარეებს შორის კამათში. ხშირად ვამბობ, რომ ზურაბ ანჩაბაძე იყო თავისი ეპოქის გიორგი შარვაშიძე, მშობლიური აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს დიდი პატრიოტი, რომელიც

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. I. თბილისი, 1975, გვ. 503.

² მის ნაშრომებში ხშირად შევხვდებით ასეთ ფორმულირებას – „აფხაზეთში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში“ და ა.შ. (სხვათა შორის, იგივე ხაზის გამტარებელი იყო გიორგი ძიძარიაც).

თავისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით აღუღაბებდა ქართულ-აფხაზურ ისტორიულ ერთობას.

მე ზოგადად ზურაბ ანჩაბაძის აფხაზეთის ისტორიის კონცეპტუალური ხედვის (რომელიც სათავეს იღებს ივანე ჯავახიშვილის, განსაკუთრებით კი სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სახელმძღვანელო დებულებებიდან) მიმდევარი ვარ¹ და ამ კუთხით თავს მის მოწაფედაც ვთვლი, თუმცა ეს არ გამორიცხავს ჩემს კრიტიკულ დამოკიდებულებას ბატონი ზურაბის ზოგიერთი მოსაზრების მიმართ. პირველ რიგში, ეს ეხება *ჰენიოხების, სანიგების, ნაწილობრივ მისიმიანების*² ეთნიკური კუთვნილების საკითხს, რომელთაც, მისგან განსხვავებით, მე ქართველურ

¹ მაგალითად, მე ზოგადად ვიზიარებ ზ. ანჩაბაძის თვალსაზრისს აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხთან დაკავშირებით და არასოდეს დამიყენებია ეჭვქვეშ ანტიკური წერილობითი წყაროების „აფსილ“-„აბაზგთა“, აგრეთვე ქართული წყაროების ადრეული მუასაუკუნეების „აფხაზთა“ და თანამედროვე აფხაზ-აფსუათა ეთნიკური იდენტობა. ანუ მიმაჩნდა (და დღესაც მიმაჩნია), რომ თანამედროვე აფხაზთა ეთნოსის ფორმირება მოხდა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ, ამასთან, ყოველთვის ხაზს ვუსვამდი, რომ აფხაზეთი არანაკლებ (და უფრო მეტადაც) არის ქართველურ ტომთა (კოლხ-მეგრულთა, სვანთა) სამკვიდრებელი (დაახლოებით იგივე ხედვა ჰქონდა ზ. ანჩაბაძესაც). სწორედ ამ ბოლო თეზისს უპირისპირდებოდა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზობა, რადგან ის ანგრევდა აფხაზეთზე მათი მონოპოლიური უფლებების ისტორიოგრაფიულ საფუძვლებს.

² მისიმიანთა ეთნიკური კუთვნილების საკითხში ზურაბ ანჩაბაძის პოზიცია არ იყო ბოლომდე გამოკვეთილი. თავდაპირველად ის უარყოფდა მისიმიანების ქართველურ (სვანურ) წარმომავლობას და მას აფხაზურ ეთნოსს მიაკუთვნებდა (**3. В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 13-15). მოგვიანებით კი შეცვალა ეს შეხედულება და უკვე მისიმიანთა სვანური წარმომავლობა დაუშვა (**3. В. Анчабадзе.** История и культура древней Абхазии. Москва, Издательство „Наука“, 1964, გვ. 183). შემდგომ, მეცნიერმა კიდევ ერთხელ მოახდინა თავისი თვალსაზრისის დაზუსტება და ამჯერად მისიმიანები გამოაცხადა აფხაზური და ქართველური ტომების მონათესავე „პალეოკავკასიური ეთნოლინგვისტური ოჯახის“ „ინდივიდუალურ ტომად“, რომელიც გაითქვიფა აფხაზ ხალხში (**3. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, Издательство «Алашара». 1976, გვ. 57-58). ამის შესახებ იხ. **ზურაბ ჰაპასიერი.** თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია უძველესი დროიდან ახ. წ. VIII საუკუნემდე. – *აფხაზეთი საქართველოა.* ისტორიული რაკურსი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2021, გვ. 61-62).

სამყაროს ვაკუთვნებ,¹ აგრეთვე მეცნიერის დებულებას ადრეულ შუა საუკუნეებში ერთიანი აფხაზი ფეოდალური ხალხის ფორმირების შესახებ.²

ბატონი ზურაბი უადრესად კეთილშობილი, დიდბუნებოვანი ადამიანი იყო. არაჩვეულებრივი იყო მასთან კომუნიკაცია; იყო შესანიშნავი მოსაუბრე, ბრწყინვალე თამადა. მახსოვს (ჯერ კიდევ ახალჩასული ვიყავი სოხუმში) ერთ ოჯახში მოვხვდით სუფრაზე, ბატონი ზურაბი რომ შეზარხოშდა, მორიდებით გიტარა მოითხოვა. მან საოცრად კარგად დაუკრა და იმღერა ცნობილი რომანსი: „*მხოლოდ შენ ერთს...*“. დამამახსოვრდა მისი თამაღობა 1977 წელს სოხუმში, რესტორან „*აძრამი*“. იმ დროს სოხუმში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ისტორიკოსთა თავყრილობა კავკასიის ისტორიის მრავალტომეულის მოსამზადებლად. სტუმრების პატივსაცემად დაახლოებით 200-კაციანი სუფრა გაიშალა. სუფრას, ბუნებრივია, რუსულ ენაზე უძღვებოდა. აქ იყო საბჭოთა კავშირის ისტორიული მეცნიერების ელიტა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრკ ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს *ალექსეი ნაროჩნიცკის* მეთაურობით. თამადა ყველას პირადად იცნობდა, კარგად იცოდა, ვინ რა პრობლემატიკაზე მუშაობდა, ვის რა მიღწევები ჰქონდა მეცნიერებაში და სადღეგრძელოებში ყოველივე ამას ძალზე ოსტატურად იყენებდა. განსაკუთრებით ეფექტური და გამორჩეული იყო მის მიერ წარმოთქმული სამშობლოს სადღეგრძელო, რომელშიც, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირი, საქართველო და საკუთრივ აფხაზეთიც ახსენა.³

¹ **ზურაბ ჰაპასქირი.** თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია..., გვ. 51-54, 61-62.

² **ზურაბ ჰაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახე. – *აფხაზეთი საქართველოა*. ისტორიული რაკურსი. თბილისი, გამომცემლობა „*მერიდიანი*“, 2021, გვ. 97-98.

³ ეს სადღეგრძელო იმის გამოც დამამახსოვრდა, რომ ამ სუფრასთან, ფაქტობრივად, პირველად მოვხვდი აფხაზების (ძირითადად *აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის* თანამშრომელთა) გარემოცვაში (იქ იყვნენ *ხუხუტი ბღაჟბა, მალვა ინალ-იფა...*). მე, რასაკვირველია, „დიადი საბჭოთა სამშობლო“ სულაც არ მაინტერესებდა (ამ დროისათვის უკვე კარგა ხნის „ანტისაბჭოელი“ ვიყავი) და შევეცადე ეს სადღეგრძელო ისე მეთქვა, რომ აფხაზებსაც მოვფერებოდი და სრულიად საქართველოც არ „დამეჩაგრა“. „*კატარა საქართველოს გაუმარჯოს, დიდი აფხაზეთის თამაღობით*“ – წარმოვთქვი ქართულად და, სანამ ვთარგმნიდი, ერთ-ერთმა მათგანმა, როგორც შემდეგ გავარკვიე, ცნობილმა ფილოლოგმა-ფოლკლორისტმა *სერგეი ზუხბამ* აღფრთოვანება ჩემი ირონიის გა-

ბატონი ზურაბის თამალობასთან დაკავშირებით არ შემოიძლია არ გავიხსენო კიდევ ერთი შემთხვევა. 1979-1980 სასწავლო წელია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის I კურსის აფხაზურ სექტორზე ჩაირიცხა მორიღებული აფხაზი ყმაწვილი ბათუმიდან – ალექსანდრე აცამბა. აღმოჩნდა, რომ ის იყო ბათუმსა და მთელს აჭარაში ცნობილი მოღვაწის (ერთი ხანობა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის) ჰასან აცამბას ვაჟი და მოსკოვში მოღვაწე თვალსაჩინო ისტორიკოსი-აღმოსავლეთმცოდნის ფერიდე აცამბას ძმისწული. ერთხელ, სოხუმში ჩამოსული ბატონი ჰასანი უნივერსიტეტში გვესტუმრა და მისი ვაჟის ლექტორები თავისი ახლო ნათესავის სერგეი კაპბას ოჯახში (ალექსანდრე მათთან ცხოვრობდა – ეშბას ქუჩაზე) დაგვპატიჟა.

მთავარი სტუმარი, რასაკვირველია, ზურაბ ანჩაბაძე იყო, რომელსაც მორიღებით თხოვეს სუფრის გაძღოლა. არასოდეს დამავიწყდება ეს საღამო – ჩემთვის ის არა უბრალოდ მოლხენა, არამედ ნამღვილი აკადემია იყო. მოხდა ისე, რომ მოწვეულთაგან მხოლოდ ფაკულტეტის დეკანი მურმან ბერია და მე (კურსის კურატორი – რომ არა ეს გარემოება, ალბათ, იქ არავინ მიმიწვევდა) ვიყავით ქართველები. ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ თვით ჰასან აცამბა ქართულენოვანი აღმოჩნდა, თუმცა რუსულიც (ოღნავ უარესად) იცოდა და აფხაზურიც (როგორც შევატყვე, აცამბების ოჯახის ენა ქართული იყო და ალექსანდრესაც ქართული სკოლა ჰქონდა დამთავრებული). ბატონი ზურაბი მასთან მხოლოდ ქართულად საუბრობდა, დანარჩენებისათვის კი სუფრა რუსულად მიჰყავდა. თავის მხრივ, ბატონი ჰასანიც თამადას და ჩვენც (მე და მურმანს) დემონსტრაციულად მხოლოდ ქართულად მოგვმართავდა – მომეჩვენა, რომ მისი ასეთი ქცევა სუფრის აფხაზურ ნაწილს (არადა, სუფრასთან 15-მდე აფხაზი იჯდა, რომელთა უმრავლესობა ვერ მალავდა სეპარატისტულ განწყობას და ქართულთანაც მწყრალად იყო) რამდენადმე აღიზიანებდა. ბატონი ზურაბის ყველა სადღეგრძელო იყო გამსჭვალული ქართულ-აფხაზური ძმობისა და ერთობის სულისკვეთებით და რაოდენ სასიამოვნო იყო ჩემთვის, როდესაც მას ამაში მხარს უბამდა და ზოგჯერ მეტად მთამბეჭდავად ავრცობდა აჭარელი აფხაზი კაცი – ჰასან აცამბა.¹

მო ვერ დამალა და წამოიძახა: „*Видите, как здорово он сказал*“ („ხედავთ, რა მაგრად თქვაო“).

¹ ამ მხრივ განსაკუთრებით დამამახსოვრდა მეგობრობის სადღეგრძელო, როდესაც ბატონმა ჰასანმა საგანგებოდ აუხსნა აფხაზ თანამეინახეებს მეგობ-

არასოდეს დამავიწყდება ასევე სოხუმის ფუნქციონირების რესტორანში გატარებული კიდევ ერთი თბილი, მეგობრული საღამო. ეს იყო 1981 წელს. ჩემმა უფროსმა კოლეგამ და მეგობარმა, პროფესორმა ბორის კვარაცხელიამ მოსკოვიდან ჩამომიტანა BAK-ის მიერ „გამოწერილი“ დოცენტის დიპლომი. გადავწყვიტეთ მისი „დასველება“ ვიწრო წრეში (მურმან ბერია, ჯამბულ ანჩაბაძე, თვითონ ბ. კვარაცხელია...) ბატონი ზურაბი გამოეხმაურა ამ „ინიციატივას“ და ხალისით შემოგვიერთდა. პურობამ ცალკე „კუპეში“ გვიანობამდე გასტანა. ის-ის იყო, უნდა დავძრულიყავით, როდესაც დარბაზში, რომელიც უნდა გავვევლო, მოქეიფებმა ჩხუბი ატეხეს. რესტორნის ადმინისტრაციის წარმომადგენელი „კუპეში“ შემოვიდა და გვთხოვა თავი შეგვეკავებინა დარბაზით გასვლისაგან. ჩვენ თითქოს დავემორჩილეთ, მაგრამ მოულოდნელად ბატონი ზურაბი გაჯიუტდა, მასში, როგორც ჩანს, გაიღვიძა ძველმა მოჩხუბარმა „ხულიგანმა“ (რომლის ახალგაზრდობისდროინდელ „გმრობებზე“ ლეგენდები დადიოდა¹). მან ხელით ჩამოიშორა რესტორნის თანამშრომელი და ჯიქურ გაიწია „ბრძოლის ველისკენ“ – ძლივს შევაჩერეთ. ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმეთ და იქაურობა სათადარიგო გასასვლელით დავტოვეთ.

ბატონ ზურაბს უთამადა ჩვენს ოჯახში – „ახალ რაიონში“. ეს იყო 1983 წ. ზაფხულში. სოხუმში ისვენებდა ჩემი მოსკოველი სამეცნიერო ხელმძღვანელი ანატოლი ნოვოსელცევი. გადავწყვიტე მისი მოპატიჟება ოჯახურ სადილზე, რომელზეც მოვიწვიე აგრეთვე კოლეგა-ისტორიკოსები უნივერსიტეტიდან. ეს იყო ხანმოკლე, მაგრამ ძალზე შინაარსიანი ნადიმი, რომელზეც ბატონმა ზურაბმა კიდევ ერთხელ მოგვჩიბლა თავისი ელეგანტურობითა და სუფრის გაძღოლის მაღალი კულტურით.

ზურაბ ანჩაბაძე, მართალია, თანაბრად მიაკუთვნებდა თავის თავს აფხაზებს და ქართველებს (მეგრულ შტოს), მაგრამ ხანდახან ვატყობდი, რომ ის უფრო ამაცობდა თავისი აფხაზობით. მახსოვს, ერთხელ ჩამოვარდა საუბარი ქართული სამეფო-სამთავროების ვახუშტისეულ გერბებ-

რობის ფენომენის განსაკუთრებულობა ქართველებში და აღნიშნა, რომ თვით სიტყვა „მეგობარი“ არის ერთობის აღმნიშვნელი და, რომ ასეთი რამ არცერთ სხვა ენაში არ გვხვდება (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. **Зურაბ Папаскири. Моя Абхазия...**, გვ. 218-219).

¹ ზურაბ ანჩაბაძის „ხულიგნურ“ ცხოვრებაზე (ცმანვილკაცობის პერიოდში) საინტერესო ისტორიებს ყვება მისი და – ქალბატონი ირინა ანჩაბაძე. იხ. **И. В. Анчабадзе. Брат. – Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию со дня рождения. Составитель и ответственный редактор А. Э. Куправа.** Сухум, 2010, გვ. 127-131.

ზე. მე ვახსენე, რომ აფხაზეთის სამთავროს გერბზე თხა იყო გამოსახული. პასუხად, ბატონმა ზურაბმა უმაღლესი, ერთგვარი სიამაყით მომახალა – „თხა – *эта у зурійцев, а у нас – Козёл*“.

ბატონი ზურაბი გამორჩეული იყო უბრალოებით. ის ღიადი დიდი იყო და პატარასთან პატარა. ამასთან დაკავშირებით, არ შემიძლია ერთი შემთხვევა არ გავიხსენო. გაგანია „კომუნისტური აღმშენებლობის“ პერიოდია (ალბათ, 1978-1979 წწ.), უნივერსიტეტი ემზადება მორიგი საშვიდნოემბრო, თუ საპირველმანისო დღესასწაულისათვის, სტუდენტები გაგვყავს ტრადიციულ „მარშიროვკაზე“ – სანაპიროზე. მთელი პროფესორ-მასწავლებლები, რექტორის მეთაურობით „თავზე ვადგავართ“. მე თან მახლავს პატარა თემო (ასე – 4-5 წლის). ჩემი კოლეგებისათვის ცნობილი იყო, რომ თემომ ზედმიწევნით კარგად იცოდა მსოფლიოს დედაქალაქები და მოუწდათ მისი ერუდიციის დემონსტრირება რექტორის წინაშე. მეც არ დავაყოვნე და დავიწყე გამოკითხვა. ჩავიარეთ ღიდი სახელმწიფოების დედაქალაქები, შემდეგ სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკების, ბოლოს მივადექით ავტონომიურ რესპუბლიკებს და სოხუმით დავასრულეთ. მგონია ყველაფერს მოვრჩით და მოულოდნელად თემო გაბრაზებით მეუბნება: „ბიჭო, *სამეგრელოს დედაქალაქს რატომ არ მკითხებო*“. იძულებული გავხდი ეს კითხვაც დამესვა, რაზეც სხარტად გამცა პასუხი – ზუგდიდი. ბატონი ზურაბი, რომელიც ვერ მალავდა თავის აღტაცებას, ამან კიდევ უფრო გაახალისა და იქვე მყოფ აფხაზებს სიამაყით აუწყა – „*Он даже назвал столицу Мегрелии*“.

და ბოლოს, ჩემი ეს მოგონებები, რომელიც, ვხედავ, საკმაოდ ვრცელი გამოვიდა, მინდა დავასრულო ბატონი ზურაბის სტუმრობით ზუგდიდში. 1983 წლის მაისი თუ ივნისი უნდა ყოფილიყო. იმ დროს ბორჯომში ჩატარებული საქართველოს ისტორიკოსთა მორიგი თავყრილობიდან (მგონი, ამის შემდეგ არც გამართულა) ვბრუნდებოდით. გზაში ბატონ ზურაბს გაახსენდა, რომ მეორე დღეს მიწვეული იყო კონსტანტინე გამსახურდიას მშობლიურ აბაშაში დაგეგმილ სახალხო დღესასწაულზე „*კონსტანტინობაზე*“.

საღამო იყო, ზუგდიდს ვუახლოვდებოდით. ბატონმა ზურაბმა მოულოდნელად მკითხა, ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი იმ ღამეს ზუგდიდში დარჩენა და მეორე დღეს ზუგდიდიდან აბაშაში გამგზავრების ორგანიზება. მე უმაღლესი ავიტაცე ეს შემოთავაზება და აფხაზებით სავსე (დელეგაციები ძირითადად აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ისტორიკოსები იყვნენ გიორგი ძიძარას მეთაურობით) მიკ-

როავტობუსი ჩემი სიმამრის სახლს მივაყენე. საპატიო სტუმრების (ბატონ ზურაბთან ერთად იყო პროფესორი არველოდ კუპრავა, კათედრის იმჟამინდელი ხელმძღვანელი – 1983 წლის სექტემბრიდან ზ. ანჩაბაძემ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის გამგეობა მას გადააბარა) პატივსაცემად დიდებული სუფრა გაიშალა. პურობა გვიან ღამემდე გაგრძელდა, კარგადაც მოვილხინეთ.

ბატონი ზურაბი ძალზე კმაყოფილი დარჩა, თუმცა, როგორც მეორე დღეს გაირკვა, ერთობ გადაღლილია. აბაშიდან მობრუნებულზე, იძულებული გავხდით გზაზე რამდენიმეჯერ შევჩერებულიყავით – სუნთქვა უჭირდა. აბა რას ვიფიქრებდი, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე მაშინ იყო კრიტიკული და სულ რაღაც რამდენიმე თვის სიცოცხლე დარჩენოდა. 1984 წლის სუსხიანი იანვრის მიწურულს სწორედ ფილტვისა და გულ-სისხლძარღვთა უკმარისობით გარდაიცვალა.

ესაა ის მცირედი, რისი გახსენებაც შევძელი რვაწლიანი ურთიერთობებიდან ზურაბ ანჩაბაძეთან – რაინდული სულის ადამიანთან, გამოჩენილ მეცნიერთან, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ჭეშმარიტ მამულიშვილთან, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ბურჯად ედგა მშობლიურ აფხაზეთს, სრულიად საქართველოს. ზურაბ ანჩაბაძემ მთელი თავისი ცხოვრებით და პატრიოტული შემართებით, ორ მოძმე ხალხს – ქართველებს, აფხაზებს, რომელთაც ის თანაბრად ეკუთნოდა, მოგვცა მაგალითი, თუ როგორ უნდა გავუფრთხილდეთ მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ძმობას და ერთობას, დიდი მეფეების – ლეონ II-ისა და ბაგრატ III-ის რუღუნებით შექმნილ ერთიან სახელმწიფოს.

და მე ბედნიერი ვარ, რომ ამ ბუმბერაზი პიროვნების გვერდით გატარებულმა წლებმა მაზიარა მის ცხოვრებისეულ კრედოს და პატივი მარგუნა წილად (როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზეც), ვიყო მისი თანამოაზრე და შეძლებისდაგვარად, ერთგულად ვიდგე ამ დიდი ქართულ-აფხაზური ერთობის სადარაჯოზე, რომლის სიმბოლოდ და ნიშანსვეტად ზურაბ ანჩაბაძე მარად დარჩება.

ZURAB PAPASKIRI

**EIGHT YEARS NEXT TO A FAMOUS SCIENTIST AND PATRIOT
*SOME FEATURES FOR THE PORTRAIT OF
ZURAB ANCHABADZE***

The article presents the author's impressions about his eight-year-collaboration (1976-1984) with Zurab Anchabadze, the prominent historian and patriot. It shows the impressive face of a great scientist, teacher, public and state figure.

ი ს თ მ რ ი ა

ირაკლი არღვლიანი

ქართველური ეთნო-ეროვნული ერთობის საკითხი და სვანთა წარმომავლობა

სვანები ქართველი ერის შემადგენლობაში შედიან ზანებთან (ლაზ-მეგრელები და ჭანები) და ქართველთა (მესხები, აჭარლები, გურულები, იმერლები, ლეჩხუმელები, რაჭველები და აღმოსავლეთ საქართველოს ეთნიკური ქართველები) ერთად. შესაბამისად, სვანების წარმომავლობის საკითხი ქართველთა ეთნოგენეზის ჭრილში უნდა განვიხილოთ.

ქართველთა, კერძოდ, კოლხთა და იბერთა წარმოშობის საკითხებით ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაინტერესდნენ. ძვ. წ. V ს. ბერძენი ისტორიკოსი, „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტე თვლიდა, რომ კოლხები ეგვიპტური წარმოშობისანი არიან. მისი აზრით, ისინი უნდა იყვნენ შთამომავლები ეგვიპტის მეფის *სესოსტრისის* მოლაშქრეებისა, რომლებიც მდინარე ფაზისთან (რიონთან) დარჩენილან. ამის დასტურად ჰეროდოტეს მიაჩნდა ის, რომ კოლხები ეგვიპტელების მსგავსად შავგრემანები და ხუჭუჭთმიანები იყვნენ, რომ ორივენი მისდევდნენ წინადაცვეთას, ერთნაირად ამუშავებდნენ სელს და ა.შ.¹

¹ **თინათინ ყაუხჩიშვილი.** ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, 1960, გვ. 71-73. ჰეროდოტეს ცნობა კოლხთა ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ, ისტორიკოსთა მიერ ძირითადად გულუბრყვილო მსჯელობად არის მიჩნეული. არც ენობრივი და არც ანთროპოლოგიური მონაცემებით, კოლხთა და ეგვიპტელთა ნათესაობა არ დასტურდება (იხ.: **გიორგი მელიქიშვილი.** ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტ. I. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970, გვ. 312; **როლანდ თოფჩიშვილი.** ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“,

ძველ ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში ძალზე პოპულარული იყო აგრეთვე იდეა იბერთა (ე.ი. აღმოსავლურ-ქართულ ტომთა) გადმოსახლებისა პირინეის ნახევარკუნძულიდან (ესპანეთიდან, რომელსაც ძველი ბერძნები აგრეთვე „იბერიას“ უწოდებდნენ) აღმოსავლეთ საქართველოში ბაბილონის მეფე *ნაბუქოდონოსორის* დროს.¹ ამ გადმოცემას, რომელიც ძვ. წ. III ს. ბერძენ მწერალთან – *მეგასტენესთანა* შემონახული,² დაბეჯითებით იმეორებენ უფრო გვიანდელი ბერძენ-რომაელი ავ-

2008, გვ. 8-9), თუმცა ცალკეული მკვლევრები მაინც უცხადებდნენ ნდობას ჰეროდოტეს ცნობას და არ გამორიცხავდნენ კოლხთა კავშირს ეგვიპტესთან. ამ მიდგომის ენერგიული დამცველი იყო აფხაზური ლიტერატურის პატრიარქი *დიმიტრი გულია*, რომლის შორსმიმავალი დასკვნით, აფხაზები და მათი წინაპრები – *ჰენიოხები* (მისი აზრით იგივე კოლხები) ეგვიპტიდან იყვნენ მოსული (*«абхазы и их предки гениохи (униохи) суть колхи, вышедшие из Египта и главным образом из Абиссинии»*. იხ.: **Д. Гулия**. История Абхазии. Т. I. Издание Наркомпроса С.С.Р. Абхазии. 3-я типография Полиграфтреста ВСХ Грузии. Тифлис, 1925, გვ. 9, 12, ხაზგასმა ჩვენია – ი. ა.). კოლხებსა და ეგვიპტელებს შორის კავშირ-ურთიერთობა (მიღებულების მეშვეობით) დასაშვებად მიაჩნდა *მაქსიმე ბერძნიშვილი*. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1969, გვ. 62). კოლხთა ეგვიპტიდან მიგრაციას რეალურ ფაქტად თვლის აკადემიკოსი *რისმაგ გორდუზიანი*, რომელიც ამ მოვლენას ძვ. წ. XIV ს. მიწურულით ათარილებს. მეცნიერის აზრით, „*ჰეროდოტეს ცნობაში კოლხთა წარმომავლობაზე, უნდა დავინახოთ ეგვიპტიდან გვიანბრინჯაოს ხანაში ხალხთა რაღაც ნაწილის კოლხეთისაკენ გადმოსახლების ანარეკლი*“ (იხ.: **რისმაგ გორდუზიანი**. ქართული ეროვნული თვითმეგნების ჩამოყალიბების პრობლემა. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 1993, გვ. 24-25). ბოლო დროს, პროფესორმა *როლანდ თოფჩიშვილმა*ც ასევე დაუშვა „*ეგვიპტელთა რაღაც მნიშვნელოვანი ნაწილის*“ საქართველოს ტერიტორიაზე მოსვლა და აქ ქართულ ეთნოსში გათქვეფა. მისი ვარაუდით, სემიტურსა და ქართველურს შორის არსებული ლექსიკური პარალელები, საქართველოს ტერიტორიაზე რომელიდაც ძველი დროის ეგვიპტელთა ერთი ჯგუფის მიგრაციის შედეგი უნდა იყოს (**როლანდ თოფჩიშვილი**. ქართულთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები..., გვ. 8-9).

¹ ანტიკურ მწერლობაში არსებობდა საპირისპირო აზრიც, კავკასიის იბერთა პირინეის ნახევარკუნძულზე გადასახლების თაობაზე (იხ.: **აკიანე**. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებლები დაურთო *თინათინ ყაუხჩიშვილმა*. თბილისი, გამომცემლობა „*საბჭოთა საქართველო*“, 1959, გვ. 195.

² **გიორგი მელიქიშვილი**. ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო

ტორებიც,¹ თუმცა, იმავე ანტიკური ხანის მწერალი აპიანე კრიტიკულად იყო განწყობილი ამ აზრის მიმართ, რაკი მსგავსებას ვერ ხედავდა ესპანეთის იბერებსა და კავკასიის იბერებს შორის.² აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის ვარაუდით, მოსაზრება ესპანეთისა და კავკასიის იბერების მონათესავეობის შესახებ, ამ ორი ქვეყნის სახელების მსგავსების საფუძველზე უნდა იყოს შექმნილი და „ისვე არაფრის მთქმელია... როგორც ჰეროდოტეს შემომოყვანილი თვალსაზრისი კოლხების ეგვიპტური წარმოშობის შესახებ“.³

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულ-რომაუ-

ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, II, 1962, გვ. 221-236.

¹ ესპანელ იბერებთან ქართველთა ნათესაობის შესახებ აზრი შუა საუკუნეების საქართველოშიც არსებობდა. განსაკუთრებით X-XI საუკუნეებში. კერძოდ, ამ პერიოდის გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე და სწავლული იოანე მთაწმინდელი აპირებდა თავისი მოწაფეებით ესპანეთში გამგზავრებას, რათა გასცნობოდა „დასავლელ ქართველთა ცხოვრებას“. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნული ენიდან ქართულად თარგმნილი X-XI საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება გამოთქმა „ესპანელი ქართველები“. როგორც ჩანს, იბერების ნათესაობის საკითხისადმი ინტერესი შემდეგში თანდათან განელდა და კვლავ, მხოლოდ XVIII საუკუნეში გაჩნდა. თუმცა, ჩანს ეს აზრი მაინც ცოცხლობდა, რაც კარგად გამოჩნდა ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ჩანაწერებიდან, რომელიც საქართველოში XVII ს. 70-იანი წლების დასაწყისში იმყოფებოდა. შარდენის გადმოცემით, ვახტანგ V, შაჰნავაზმა შესვა ესპანეთის მეფის სადღეგრძელო, რომელიც თავის ნათესავად მოიხსენია (იხ.: ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიძეილმა. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975, გვ. 349). ასევე ქართველი და ესპანელი იბერების სიახლოვეზე საუბრობს თავის თხზულებაში XVIII ს. ცნობილი მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი (იხ.: ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე მეტრეველმა. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956, გვ. 50).

² აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია..., გვ. 195.

³ გიორგი მელიქიშვილი. ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1970, გვ. 313.

ლი სამყაროსათვის უცხო არ არის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხალხების ერთი და იმავე სახელწოდებით მოხსენიება. ამის მაგალითები მრავლად გვაქვს: საბერძნეთის *აქაიები* და შავი ზღვისპირეთის *აქაიები*; ლიბიის *მახლიები* და მეოტიდის *მახლიები*; თესალიელი *ალბანები* და კავკასიაში მოსახლე *ალბანები*; პირინეის ნახევარკუნძულის *იბერები* და ქართველი *იბერები* და სხვ.¹ ესპანეთის იბერების შთამომავ-

¹ რაც შეეხება ტერმინ „იბერიის“ წარმოშობას, აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მოსაზრება წამოაყენა *ალექსანდრე სარჯველაძემ*. მან სახელწოდება „იბერია“ უცხოენოვან გარემოში გაჩენილად მიიჩნია, რასაც მკვლევარი იმით ასაბუთებდა, რომ ტერმინი „იბერია“ პირველად ძველ ბერძენ ავტორებთან გვხვდება და იგი აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, ხოლო ქართული წყაროები ამ რეგიონს მხოლოდ და მხოლოდ „ქართლს“ უწოდებდნენ. ალ. სარჯველაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს და ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გარდა ტერმინი „იბერია“ აგრეთვე იხმარებოდა ძველი ირლანდიის აღსანიშნავადაც (*Hibernia* ფორმით). გარდა ამისა, ალ. სარჯველაძეს მოჰყავს ებრაელთა წინაპრის სახელი *‘eber* და ბიბლიიდან ცნობილი ებრაელთა სახელი *‘iberiy*, როგორც მათ უწოდებდნენ ქანაანელები და აგრეთვე სემიტები. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ძველ ებრაულში სიტყვა *‘eber* ეწოდებოდა ადგილს, რომელიც მდებარეობდა მდინარის ან ზღვის გაღმა. იგი წარმოდგება *‘br* ფუძისაგან, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს წყლიანი ან მთიანი ზღუდის, დაბრკოლების გადალახვას. აქადურ ენაშიც *‘br* ძირიდან წარმოშობილი ზმნა *eberu* აღნიშნავს გადასვლას, გადაცურვას. ალ. სარჯველაძეს მოყავს მრავალი მაგალითი არამეული, არაბული, ბერბერული, სხვადასხვა ინდოევროპული ენებიდან და დაასკვნის, რომ სიტყვა „იბერი“ წარმოდგება საერთო ინდოევროპულ-სემიტური ძირიდან – „*br*“-დან. მეცნიერის აზრით, ტერმინი „იბერი“ ბერძნულ ენაში ახსნას ვერ პოულობს და იგი სემიტურიდან უნდა იყოს შეთვისებული. იგი ვარაუდობს, რომ იმ სემიტ ხალხებს შორის, რომლებსაც შეეძლოთ გეოგრაფიულად ესოდენ დამორებული ქვეყნებისათვის ეწოდებინათ სახელი „იბერია“, განსაკუთრებულ ყურადღებას ფინიკიელები იპყრობენ. მართლაც, ეს უკანასკნელები ოდითგანვე სახელგანთქმული მეზღვაურები იყვნენ. ისინი ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში დამკვიდრდნენ ესპანეთის სამხრეთ სანაპიროზე და იქ თავიანთი კოლონიები დააარსეს. ძვ. წ. VII საუკუნეში ფინიკიელმა ზღვაოსნებმა ბრიტანეთს, მოგვიანებით კი ირლანდიასაც მიაღწიეს. ასევე ფიქრობენ, რომ დაახლოებით იმავე პერიოდში ფინიკიელები შავი ზღვის აუზის ქვეყნებსაც გაეცნენ. ალ. სარჯველაძე მიიჩნევს, რომ ისტორიულ კოლხიდაში მოსული ფინიკიელებისათვის აღმოსავლეთ საქართველო იქნებოდა ქვეყანა, რომე-

ლებად მიჩნეული ბასკების ქართველებთან მონათესავეობის და საერთო წარმომავლობის საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო.¹ ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა უპირატესად ენობრივი მონაცემებს ეფუძნებოდა და იგი ძირითადად ენათმეცნიერთა კვლევის სფეროს შეადგენდა, თუმცა ლინგვისტიებმა რაიმე რეალურ ხელშესახებ მასალას, რითაც ქართველთა და ბასკთა ნათესაობა და მათი ენობრივი სიახლოვე დადგინდებოდა, ვერ მიაკვლიეს. მიუხედავად ამისა, პირინეისა და საქართველოს უძველესი მოსახლეობის ნათესაობის შესახებ აზრი ენათმეცნიერთა ერთ ნაწილში დღესაც პოპულარულია.

ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება არის გამოთქმული ეთნოგრაფიული ხასიათის მსგავსების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს *ნიკო მარის* დაკვირვებები ბასკეთში მოგზაურობისას. აქ დანახულმა მას ათქმევინა, რომ იგი სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა კავკასიაში, კერძოდ, მის მშობლიურ გურიაში.² საგულისხმოა ცნობილი რუსი მეცნიერის აკადემიკოს *ნიკოლაი ვავილოვის* მოსაზრება, რომ ბასკეთში მან პურეულის ისეთივე ჯიში ნახა („მანა“), რომლის მსგავსი საქართველოს გარდა, სხვაგან ცნობილი არ არის. ერთნაირია აგრეთვე მათი აღების წესი. იგი საგანგებოდ აღნიშ-

ლიც მცირე კავკასიონის ქედის გადაღმა (‘eber) მდებარეობდა. აქვე მეცნიერი ანალოგიისათვის იშველიებს ქართულ ტერმინს „იმერეთს“, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი მოიხსენიებენ ლიხის ქედის იქით მდებარე (ანუ „იმერ“) ქვეყანას. საბოლოოდ ალ. სარჯველაძე დაასკვნის, რომ ტერმინი „იბერია“ ჩაისახა ფინიკიელებში და აღნიშნავდა ზღვის ან მთის გადაღმა არსებულ ქვეყანას. სწორედ ფინიკიურის გავლენით დამკვიდრდა აღნიშნული სახელწოდება ძველ ბერძნულ ენაში (იხ.: **ალექსანდრე სარჯველაძე**. კავკასიის იბერიის სახელწოდების შესახებ. – *მაგნე*. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989, III, გვ. 118-123).

¹ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მკვლევართა ნაწილი ბასკებსა და ესპანეთის იბერებს შორის საერთოს ვერ ხედავს, რასაც, მათი აზრით, უნდა მოწმობდეს ის, რომ ძველი იბერიული წარწერები ბასკური ენის საშუალებით არ იკითხება. იხ.: **В. Георгиев**. Вопросы родства средиземноморских языков. – *Вопросы языкознания*. IV, *Издательство Академии Наук СССР*, Москва, 1954, გვ. 48; **Ю. В. Зыцарь**. О родстве баскского языка с кавказскими. – *Вопросы языкознания*. V, *Издательство Академии Наук СССР*, Москва, 1955, гв. 52.

² **Н. Я. Марр**. Из Пиринейской Гурии. – *Известия Кавказского историко-археологического института*. Т. V, 1927. Тифлис.

ნავს, რომ საოცარი კავშირი ვლინდება ჩრდილო ესპანეთს და საქართველოს შორის და რომ ეს საკმაოდ მყარი საბუთია ამ რეგიონებში მოსახლე ხალხების გენეტიკური კავშირისა.¹

ზოგი, ბასკების წარმომავლობას, ძვ. წ. III ათასწლეულის კავკასიელ მეტალურგებს უკავშირებს. მკვლევრები ბასკების ქვეყანაში სპილენძის ძველ საბადოში დაღუპულ მელითონეთა ნაშთების ანთროპოლოგიური შესწავლის შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ისინი წარმომავლობით კავკასიას უკავშირდებიან.² აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის დაკვირვებით, თუ ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას რაიმე საფუძველი გააჩნია, მაშინ უფრო მეტად ისაა სავარაუდო, რომ ურთიერთობა ადრეულ პერიოდში, ჯერ კიდევ ქვის ხანაში მიმდინარეობდა და მიგრაციული პროცესები ხმელთაშუა ზღვის აუზში აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ხორციელდებოდა. ამდენად, ეს პრობლემა უთუოდ მეტად რთული და ძნელად შესასწავლია, რომელიც შორს, ათასწლეულების სიღრმეში გადადის.³

მკვლევარ სალომე გაბუნიას დაკვირვებით, „ბასკურ-ქართული მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შედარებითა შესწავლამ გამოავლინა ტიპოლოგიურად მსგავს წეს-ჩვეულებათა, რიტუალთა, რწმენა-წარმოდგენათა მთელი სერია“.⁴ ასევე, გარკვეული მსგავსებანი შეინიშნება ქართულ ბერიკაობა-ყვენობასა და ბასკურ საღვთისმეტყველო რიტუალს შორის.⁵

ახ. წ. I საუკუნეში იოსებ ფლავიუსი ქართველი ტომების – იბერებისა და მესხების წინაპრებად ბიბლიის „თობელსა“ და „მოსოხს“ მიიჩნევდა: „თეობელოსმა დაასახლა თეობელები, რომლებსაც ამჟამად იბე-

¹ Н. И. Вавилов. Пять континентов. Москва, издат. «Географгиз», 1962, გვ. 214.

² შოთა ძიდიგური. ბასკები და ქართველები. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982, გვ. 102-103; შ. В. Дзидзигური, Ю. В. Зицарь. О составе гипотезы баскско-кавказского языкового родства. – მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983, გვ. 145.

³ ოთარ ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2006, გვ. 228.

⁴ სალომე გაბუნია. ბასკურ-ქართული ეთნოგრაფიული პარალელები. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1995, გვ. 105.

⁵ გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძე. ბასკური საგაზაფხულო ფიესტის და ქართული ბერიკაობა-ყვენობის შედარების ცდისათვის. – ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისა. თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“, 2001, გვ. 126-131.

რები ჰქვიათ. მესხოსმა დააფუძნა მესხენები“.¹ ქართველთა წარმომავლობის საკითხი, ბუნებრივია, იდგა თვით შუა საუკუნეების ქართველ მემკვიდრეთა წინაშე. ძველ ქართულ წყაროებში, კერძოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში ნათქვამია, რომ, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ქართლი დაიპყრო (ცნობა ლეგენდარულია, სინამდვილეში ალექსანდრე მაკედონელს ქართლი არ დაუღალაშქრავს), მან აქ მმართველად დატოვა „არიან ქართლის მეფის ძე აზო“, რომელიც წავიდა თავის სამშობლო არიან-ქართლში და იქიდან მოიყვანა მრავალი „სახლი“ თანამემამულეთა. ამავე ქრონიკაში ნათქვამია, რომ ჩვენ, ქართველები, მემკვიდრენი ვართო ამ „არიან-ქართლიდან“ გადმოსახლებულებისა.²

„არიან-ქართლის“ სახელწოდებისა და მისი ადგილმდებარეობის განსაზღვრის თაობაზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ასე მაგალითად, მოსე ჯანაშვილს „არიან-ქართლი“ აგონებდა შუა აზიის „არიანას“.³ სიმონ ჯანაშია „არიან“ სახელწოდებას ხურიტებს – ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძველეს მოსახლეობას – უკავშირებდა.⁴ გიორგი მელიქიშვილს შესაძლებლად მიაჩნია „არიან“ სახელის ირანთან დაკავშირება და ამის საფუძველზე ვარაუდი იმისა, რომ ძველი ქართული საისტორიო ქრონიკის ცნობაში შესაძლებელია ასახულია ფაქტი ქართული მოსახლეობის მიგრაციისა სამხრეთით მდებარე იმ ქართული ოლქებიდან, რომლებიც აქემენიდური ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული.⁵ ამასთან, მეცნიერი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობასაც, რომ „არიან“ შესაძლოა „პირენეის“ მცდარი გააზრებაა და, მაშასადამე, თავისებური გამეორებაც ბერძნულ-რომაულ სამყაროში ასე პოპულარული იდეისა იბერთა (ე.ი. აღმოსავლურ-ქართულ ტომთა) გადმოსახლე-

¹ თინათინ ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. V. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1983, გვ. 80.

² მოქცევაჲ ქართლისაჲ. ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები. გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზაზა ალექსიძემ. თბილისი, 2007, გვ. 10-11.

³ მოსე ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია. ტ. I. უძველეს დროითგან 985 წლ. ქრ. შ. ტფილისი, 1906, გვ. 52-53, 57-62.

⁴ სიმონ ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრების შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. – შრომები. ტ. 2. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1952, გვ. 70-71.

⁵ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Издательство Академии наук Грузинской ССР. Тбилиси, 1959, гв. 278-279.

ბის შესახებ პირენის ნახევარკუნძულიდან.¹

„ქართლის ცხოვრების“ დასაწყის მატიანეში, რომელსაც, როგორც ცნობილია, ლეონტი მროველს მიაწერენ, ბიბლიური საისტორიო მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, წარმოდგენილია საკმაოდ მწყობრი კონცეფცია. ამ კონცეფციის (რომელიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ერთადერთ მისაღებ თვალსაზრისად რჩებოდა) თანახმად, ქართველთა (ისევე როგორც სხვა კავკასიელ ეთნოსთა) წინაპრები ბაბილონის გოდოლის მშენებლობის „შემდგომად განყოფისა ენათას“ შუამდინარეთიდან გადმოსახლებულან.² მას შემდეგ, რაც ქართულმა სამეფოსამთავროებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა, ქართველთა შორის სულ უფრო და უფრო იღვიძებს ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და განსაკუთრებით ფართოვდება ინტერესი საქართველოს უძველესი წარსულისადმი. ამ დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილი თხზულებები, უმთავრესად, წერილობით ძეგლებში დაცული ცნობების და ვახუშტი ბატონიშვილის ნაწარმოების მიხედვით გადმოსცემდნენ შორეულ წარსულს. ეთნოგენეზთან დაკავშირებული საკითხები ჯერ კიდევ ბიბლიურ გენეალოგიაზე იყო დაფუძნებული და ძირითადად ისევ ლეონტი მროველის მიერ შემუშავებულ სქემას ემყარებოდა.

XIX ს. შუა ხანებში გამოვლინდა ძველი ასურული ლურსმული წარწერები, რითაც დადასტურდა ბიბლიური მეშეხებისა (მოსოხების, მუშქების) და თუბალების (თაბალების), როგორც ძვ. წ. II-I ათასწლეულებში მცირე აზიაში არსებული დიდი ტომთა კავშირებისა თუ სამეფოების არსებობა. ამ დროიდან ქართველი მეცნიერები სულ უფრო იხრებოდნენ იქითკენ, რომ აღნიშნული გაერთიანებები ქართველთა წინაპრებს ეკუთვნოდა.³ ქართველთა წინაპრების წრეში შემოიყვანეს აგრეთვე ასურული და ხეთური წყაროებით დადასტურებული *ქაშქები*, როგორც კოლხების წინაპრები⁴ და ქსენოფონტეს მიერ ძვ. წ. V ს. მიწურულს ზემო მესოპოტა-

¹ გიორგი მელიქიძევილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965, გვ. 16.

² ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. – *ქართლის ცხოვრება*. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. გამომცემლობა: „მერიდიანი“, „არტანუჯი“. თბილისი, 2008, გვ. 25.

³ А. С. Хаханов. Древнейшие пределы расселения Грузин по Малой Азии. – *Записки Кавказского отдела Императорского Русского Географического Общества*. XXII, ნაკვ. VI, Тифлиси, 1903, გვ. 1-64.

⁴ А. С. Хаханов. Древнейшие пределы расселения Грузин по Малой Азии, გვ. 32;

მიაში მოხსენიებული კარდუხები.¹ მოსაზრებამ თაბალების, მუშქების და სხვათა ქართველთა წინაპრების და მცირე აზიიდან კავკასიაში (საქართველოში) მათი გადმოსახლების შესახებ მეტად ფართო გავრცელება მოიპოვა განსაკუთრებით იმის გამო, რომ ის სხვებთან ერთად გაიზიარა ივანე ჯავახიშვილმა,² რომელსაც მიაჩნდა, რომ ქართველი ხალხის

ქაშქების ქართველური ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილების აზრი გაიზიარა ივანე ჯავახიშვილმა (იხ.: **ივანე ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, წ. 1-2. ტფილისი, 1913, გვ. 26, 67). მკვლევართა ნაწილი ქაშქებს ჩრდილო-კავკასიური წარმოშობის ხალხად მიიჩნევს (**გიორგი მელიქიშვილი**. აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმის შესწავლისათვის. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, III, 1961, გვ. 116-117; **გიორგი მელიქიშვილი**. ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში. თბილისი, გამომცემლობა „ჯალი“, 1999, გვ. 93-94, 126; **თეიმურაზ მიქელაძე**. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974, გვ. 98; **შოთა ასათიანი**. სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასია ძვ. წ-ის II ათასწლეულის ბოლოს ასურული წყაროების მიხედვით. – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, IX, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1998, გვ. 29). აკადემიკოსმა გრიგოლ გიორგაძემ, რომელიც ადრე უარყოფდა ქაშქებისა და კოლხების იდენტურობას, მოგვიანებით შეცვალა თავისი შეხედულება და ქაშქები კოლხური წარმომავლობის ტომად გამოაცხადა (**გრიგოლ გიორგაძე**. ხეთური ლურსმული ტექსტების ქაშქების (ქაშქების) ტომთა ეთნიკური წარმომავლობისათვის. – არტანუჯი. საისტორიო ჟურნალი №10, 2000, გვ. 9-16). გრ. გიორგაძის ამ დასკვნას არ იზიარებს გურამ ყორანაშვილი, რომელსაც ის ფრიად არადაამაჯერებლად მიაჩნია (იხ.: **გურამ ყორანაშვილი**. ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი. თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2014, გვ. 198; **გურამ ყორანაშვილი**. აფხაზეთის ისტორიის საკითხები. თბილისი, 2015, გვ. 44-52); გრ. გიორგაძის მოსაზრებას ეჭვის ქვეშ აყენებს აგრეთვე თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი ითამარ ზინგერიც (იხ.: **ითამარ ზინგერი**. ვინ იყვნენ ქაშქები? – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. XIII. თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“, 2009, გვ. 246-261).

¹ **К. Ф. Леман-Хаупт**. Вступительная лекция по истории и культуре Халдов. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, პირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, თბილისი, 1938, გვ. 262.

² **ივანე ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, წ. I. – თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979, გვ. 43.

თავდაპირველი საცხოვრისი კავკასიის სამხრეთითაა საძებარი. მას აღნიშნული აქვს, რომ ყველა ქართული ტომის სამშობლო ქალდეა იყო. კავკასიაში კი პირველად ის ქართული ტომები უნდა მოსულიყვნენ, რომლებიც დანარჩენებზე უფრო ჩრდილოეთით ბინადრობდნენ.¹ შესაძლოა კავკასია ჯერ კიდევ დაუსახლებელი იყო და ქართველებმა პირველებმა აითვისეს ის. მაგრამ, თუ მათ კავკასია უკვე დასახლებული დახვდათ, მაშინ პირვანდელი მოსახლეობა უნდა ათქვეფილიყო მოსულებში, ან არადა, ქელს იქეთ გადასახლებულიყო.² სამხრეთიდან ამიერკავკასიისაკენ წამოსულ ქართველ ტომთა უკანასკნელი ტალღა, მისი თქმით, ძვ. წ. VII საუკუნეში დაძრულა.³

ქართველი ერის ეთნიკური ისტორიის შესწავლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის კაპიტალური მონოგრაფია, სადაც იგი ქართულ-კავკასიური ენობრივი მონაცემების საფუძველზე კავკასიის უძველესი, მკვიდრი მოსახლეობის ურთიერთობას, მათი მონათესავეობის საკითხებს იკვლევს.⁴ ლინგვისტური მასალების ანალიზმა იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თავდაპირველად ქართველური და ე.წ. კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილან,⁵ მაგრამ დროს იმდენად დიდი ცვლილებები შეუტანია, რომ ენები დამოუკიდებელ, გარეგნულად უცხო ენებად უქცევია. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ კავკასიური ენების შორეული წინაპრები ღვიძლი, მოძმე ტომები ყოფილან და „მონათესავე ენის გარდა, მათ გარკვეულ დრომდე კულტურაც საერთო ჰქონიათ“.⁶

ქართველი ხალხის ეთნოგენეზთან დაკავშირებით საგულისხმოა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომელმაც,

¹ ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1960, გვ. 432, 435.

² ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I., 1960, გვ. 432.

³ ივანე ჯავახიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XI. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1998, გვ. 64.

⁴ ივანე ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. X. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992.

⁵ ივანე ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი., გვ. 622.

⁶ ივანე ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი., გვ. 622.

თავის დროზე, სამეცნიერო წრეებში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამ კონცეფციის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქართველები თავისი წარმომავლობით წინა აზიის უძველეს, მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნოდნენ და მათი უშუალო წინაპრები ხეთები და სუბარები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებსაც ეკავათ საკმაოდ ფართო ტერიტორია კავკასიის ჩათვლით. დროთა განმავლობაში მათი მიწა-წყალი უცხო ტომების შემოსევების გამო სულ უფრო და უფრო იზღუდებოდა. ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე კულტურის ორი წრე ჩამოყალიბდა – დასავლური და აღმოსავლური, რომლებიც ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამებოდა – დასავლურ-ქართულსა და აღმოსავლურ-ქართულს.¹ როგორც ვხედავთ, სიმონ ჯანაშიას კონცეფცია უარყოფდა ქართველთა გადმოსახლებას სამხრეთიდან ჩრდილოეთით, თუმცა, ისტორიული კატაკლიზმების კვალდაკვალ ის ფაქტად ცნობდა ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული ცენტრების გადმონაცვლებას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

XX ს. 30-იან წლებში საქართველოს მიწა-წყალზე ფართოდ გაშლილმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ახლებურად დააყენა ქართველი ერის წარმომავლობის პრობლემა. თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბრწყინვალე აღმოჩენებმა (საქართველოში მოღვაწე გამოჩენილი რუსი არქეოლოგის, აკადემიკოს ბორის კუფტინის ხელმძღვანე-

¹ ივანე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია. საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის. **სიმონ ჯანაშიას** რედაქციით. თბილისი, *სახელგამი*, 1943, გვ. 14-21. აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის შენიშვნით, მიიჩნევა რა ხეთებსა და სუბარებს ქართველთა წინაპრებად, ს. ჯანაშია არ განმარტავს, რომ შესაძლებელია ვილაპარაკოთ მხოლოდ ენობრივ მონათესავეობაზე ქართველი ხალხისა მახლობელი აღმოსავლეთის ამ ხალხებთან (ე. ი. პროტოხეთებთან, ხურიტებთან და ა. შ.), რომ ქართველურ ტომებს, სამხრეთში ხეთურ-სუბარული სახელმწიფოების არსებობის ხანაში უკვე გააჩნდათ თავისი საკუთარი ენობრივი, ეთნიკური ინდივიდუალობა, რომლითაც ისინი განსხვავდებოდნენ მონათესავე ტომებისა და ხალხებისგან. ამიტომ შეიძლება შეიქმნას არასწორი წარმოდგენა, თითქოს ქართველი ტომების ენებისა და სხვა ეთნიკური ნიშნების უშუალო წინაპრებია ხეთურ-სუბარული ცივილიზაციის შემოქმედი ხალხების ენები და სხვა ეთნიკური ნიშნები, რომ უკანასკნელთაგან შეიძლება პირველების უშუალო გამოყვანა (**გიორგი მელიქიშვილი**. საქართველოს, კავკასიისა და..., გვ. 29-30).

ლობით) საბოლოოდ გააქარწყლა კარგა ხანს გავრცელებული შეხედულება კავკასიის შედარებით გვიან, არა უადრეს ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს – გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ათვისების შესახებ.¹ გაირკვა, რომ უფრო ადრე სამხრეთ კავკასიაში გავრცელებული ყოფილა თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“, რომელსაც წინ უსწრებდა მტკვარ-არაქსის კულტურა, რომლის ფესვები ძვ. წ. III ათასწლეულის სიღრმეში მიდიოდა. სრულიად აშკარა გახდა, რომ აქ, უკვე საკმაოდ ადრეულ ხანებში არსებობდა თავისებური, ორიგინალური, მაღალგანვითარებული კულტურები, რომლებიც თავისი ხასიათით მაინცდამაინც არ ჩამორჩებოდა წინა აზიის ცნობილი ცივილიზაციის ცენტრებს.²

რა თქმა უნდა, ამ ახალმა არქეოლოგიურმა ფაქტებმა ადრე არსებული შეხედულების გადასინჯვა და ახლებური ინტერპრეტაცია მოითხოვა, რაც განახორციელა კიდეც ბ. კუფტინმა. მისი დაკვირვებით, საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შეინიშნება უძველესი დროიდან კულტურული განვითარების ადგილობრივი უწყვეტი ჯაჭვი.³ თავის ნაშრომებში, ის უარყოფდა ქართველი ტომების კავკასიაში გადმოსახლების მანამდე გავრცელებულ თეორიას⁴ და გადაჭრით აღნიშნავდა, რომ მის მიერ გამოვლენილი უძველესი კულტურა „ეკუთვნოდა სამხრეთ კავკასიის უძველეს მოსახლეობას, რომელიც სწორედ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ეთნიკურად და აქ ქმნიდა თავის ისტორიას. ადარავითარი საფუძველი ადარ მოგვეპოვება იმისათვის, რომ ამ კულტურის ცენტრები სადღაც შორეულ მესოპოტამიასა და მცირე აზიაში ვეძიოთ. სწორედ სამხრეთი კავკასია წარმოადგენდა ქართველი ხალხის სამშობლოსაც და უძველეს სამშობლოსაც“.⁵ ეს თეზისი ამჟამად ერთხმადაა გაზიარებული ქართველი მეცნიერების (გიორგი მელიქიშვილი,⁶

¹ **Б. А. Куфтин.** Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в юго-Осетию и Имеретию. Тбилиси, *Издательство АН Грузинской ССР*, 1949, გვ. 1.

² **Б. А. Куфтин.** Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941, გვ. 18-19.

³ **Б. А. Куфтин.** Археологическая маршрутная экспедиция 1945 года., გვ. 4-5.

⁴ **Б. А. Куфтин.** Археологическая маршрутная экспедиция 1945 года., გვ. 1-5; **ბორის კუფტინი.** ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში. თბილისი, 1949, გვ. 10.

⁵ **ბორის კუფტინი.** ქართული კულტურის უძველესი კერა თრიალეთში, გვ. 37.

⁶ **გიორგი მელიქიშვილი.** ურარტუ. *სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ქართველი ხალხის წინაპრების ისტორიიდან.* თბილისი, *საბლიტგამი*, 1951, გვ. 128; **გიორგი მელიქიშვილი.** საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა

ნიკო ბერძენიშვილი,¹ ოთარ ჯაფარიძე,² ოთარ ლორთქიფანიძე,³ დავით მუსხელიშვილი,⁴ მიხეილ ქურდიანი,⁵ როლანდ თოფჩიშვილი,⁶ გურამ ყორანაშვილი⁷) მიერ. მაგრამ, მათი აზრით, ეს არ გამორიცხავს ქართველი

და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბილისი, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, 1955, გვ. 49, 59; **გიორგი მელიქიშვილი**. ქართველური ტომები. მათი დიფერენციაციისა და კონსოლიდაციის პროცესები. აჭარის მოსახლეობის ადგილი ქართველურ ტომთა ერთიანობაში. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, აჭარა, ტ. I. *უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე*. ბათუმი, გამომცემლობა „ინოვაცია“, 2007, გვ. 173.

- ¹ **ნიკო ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VIII. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975, გვ. 363.
- ² **ოთარ ჯაფარიძე**. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, გვ. 196-197;
- ³ **ოთარ ლორთქიფანიძე**. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1986, გვ. 48-49; **ოთარ ლორთქიფანიძე**. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2002, გვ. 18-19.
- ⁴ **დავით მუსხელიშვილი**. ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემისათვის. – *ქართველი ხალხის ეთნოგენეზი*. თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“, 2002, გვ. 5; **დავით მუსხელიშვილი**. ქართველთა წარმომავლობისათვის. – *საქართველოს ისტორია ოთხ ტომად*. ტ. I. თბილისი, გამომცემლობა *ჰალიტრა L*, 2012, გვ. 117-119;
- ⁵ **მიხეილ ქურდიანი**. ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების მიხედვით და საერთო-ქართველური ეთნოსის ტომობრივი შემადგენლობა. – *ქართველი ხალხის ეთნოგენეზი*. თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“, 2002, გვ. 66, 86;
- ⁶ **როლანდ თოფჩიშვილი**. ქართველი ერის ეთნიკური განვითარება (მოკლე ეთნო-ისტორიული მიმოხილვა). – *ქართველი ხალხის ეთნოგენეზი*. თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“, 2002, გვ. 136; **როლანდ თოფჩიშვილი**. ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეები. თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“, 2002, გვ. 26; **როლანდ თოფჩიშვილი**. ქართველთა ეთნოგენეზისა და., 2008, გვ. 24;
- ⁷ **გურამ ყორანაშვილი**. ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი., გვ. 37. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს, ქართველთა სამხრეთიდან ისტორიული სამშობლოს ტერიტორიაზე მიგრაციის თეორიას კვლავ გამოუჩნდნენ მიმდევრები. *ნიკოლოზ სილაგაძის* მოსაზრებით, ქართველთა პირველსაცხოვრისი შუამდინარეთის ჩრდილოეთ და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ნეოლით-ენეოლითის ხანაში ქართველური ენები, მისი აზრით, ამუკი-მერსინისა და ჰასუნა-ხალაფის კულტურების გავრცელების არე-

ტომების მონათესავეობას მესოპოტამიის, მცირე აზიის და ზაგროსის მთიანეთის ძველ მოსახლეობასთან,¹ ძველ დროში ქართველ ტომთა გავრცელებას სამხრეთით² და რიგი ქართველი ტომების შესაძლო მიგრაციას სამხრეთიდან.³

ამა თუ იმ ხალხის წარმომავლობის დასადგენად უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი უპირველესი (არქეოლოგიურ და ანთროპოლოგიურ მა-

ალში მოექცნენ. ბრინჯაოს ხანაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს სოციალურ და ეკონომიკურ ძვრებს კი ქართველების კავკასიაში ინფილტრაცია უნდა მოჰყოლოდა შედეგად. ჩრდილოეთით გავრცელებულ ქართველურ ტომებს მაიკოპის კულტურა უნდა შეექმნათ. მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლური ვარიანტის შემოქმედად კი ინდოევროპელები ჰყავს დასახელებული (**ნიკოლოზ სილაგაძე**. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის საკითხისათვის. – *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, I, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 9-37) უფრო ადრე, ქართველთა სამხრეთიდან მოსულობის შესახებ მოსაზრება გამოთქვა გიორგი ქავთარაძემ. მისი აზრით, წინარექართველური ერთობა უნდა ჩამოყალიბებულიყო ანატოლიაში, ადგილობრივი-ანატოლიელი და ახალმოსული ევროპელი ტომების შერწყმის შედეგად, ხოლო უფრო გვიან, სწორედ ანატოლიიდან უნდა მომხდარიყო ქართველური წარმომავლობის ტომების ერთმანეთის მომღვენო ნაკადების პერიოდული შეღწევა ამიერკავკასიაში (**გიორგი ქავთარაძე**. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985, გვ. 140-141).

¹ **გიორგი მელიქიშვილი**. ურარტუ.., გვ. 9,16-17,128,130; **გიორგი მელიქიშვილი**. ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის. თბილისი, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, 1953, გვ. 11, 13-15; **Г. А. Меликишвили**. Наირи-Урарту. Издательство Академии Наук Грузинской ССР. Тбилиси, 1954, გვ. 402-403; **გიორგი მელიქიშვილი**. ძიებანი.., გვ. 136-140; **სიმონ ჯანაშია**. ურარტუ, – *შრომები*. ტ. 2. თბილისი, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, 1952, გვ. 12-13.

² **სიმონ ჯანაშია**. საქართველოს ძველი ისტორიული ძეგლები. – *შრომები*. ტ. 2. თბილისი, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, 1952, გვ. 107; **გიორგი მელიქიშვილი**. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის.., გვ. 93, 174, 182; **გიორგი ქავთარაძე**. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების.., გვ. 121,139.

³ **გიორგი მელიქიშვილი**. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს.., გვ. 49; **დავით მუსხელიშვილი, მიხეილ სამსონაძე, ალექსანდრე დაუშვილი**. საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან 2009 წლამდე). თბილისი, გამომცემლობა „გუმბათი“, 2012, გვ. 19.

სალებთან ერთად) ადგილი ლინგვისტურ მონაცემებს უკავია. ამიტომაც, ქართველთა წარმომავლობის საკითხების კვლევისას ლინგვისტური მეცნიერების მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულია. ენობრივი მონაცემების მიხედვით ქართველთა ეთნოგენეზის საკითხების შესწავლას XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. ცალკეული სიტყვების ერთმანეთთან მიმსგავსების საფუძველზე ქართულ ენას ანათესავებდნენ ამა თუ იმ ოჯახის წევრ სხვადასხვა ენებთან.¹

ქართული ენის წარმოშობისა და სხვა ენებთან ნათესაობის პრობლემისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა და გაიშიფრა შუმერულ, ხეთურ, ხურიტულ, ელამურ და ურარტულ ენებზე შესრულებული ტექსტები. განვითარდა თვალსაზრისი ქართველებისა და მათი ენის გენეტიკური ნათესაობისა წინა აზიის უძველეს ხალხებთან და ენებთან.²

¹ ქართული და ზოგადად კავკასიური ენების შესახებ გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებების დაწვრილებითი განხილვა იხ.: **არნოლდ ჩიქობავა**. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია (მეორე გამოცემა). თბილისი, გამომცემლობა „*უნივერსალი*“, 2008, გვ.137-333.

² განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართველური ენების შუმერულთან შენიშნულ შეხვედრებს. შუმერულ და ქართველურ ენათა ლექსიკის შედარებითმა ანალიზმა მკვლევართა ნაწილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შუმერული ლექსიკა – ორ ასეულზე მეტი ერთეული – გარკვეულ სიახლოვეს ქართველურ ენათა ლექსიკასთან ავლენს. ყურადღება მიაქციეს აგრეთვე შუმერულ და ქართველურ ენათა შორის ტიპოლოგიური მსგავსების არაერთ მაგალითს, თუმცა, ეს არ მიუთითებს მათ გენეტიკურ კავშირზე. ჯერ-ჯერობით, არ ხერდება რა შუმერულსა და ქართველურ ენებს შორის გენეტიკური კავშირის გამოვლენა, დასადგენია, სად უნდა ყოფილიყო ამ ენათა საკონტაქტო რეგიონი. ასეთ ადგილად კი მკვლევართა ნაწილს სამხრეთ კავკასია მიაჩნია, საიდანაც, მათი დაკვირვებით, ადრეულ ხანაში უნდა მომხდარიყო შუმერების მიგრაცია სამხრეთ შუამდინარეთში (იხ.: **ჯემალ მარაშენიძე**. შუმერები და ქართველური სამყარო. – *საქართველო ევროპა-აშერიკა*. II. თბილისი, 1997, გვ. 13-19; **გრიგოლ გიორგაძე, ნანა ხაზარაძე**. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და ძველადმოსავლური ეთნო-კულტურული სამყარო. – *ქართველი ხალხის ეთნოგენეზი*. თბილისი, გამომცემლობა „*მემატიანე*“, 2002, გვ. 29-37; **ირინე მელიქიშვილი, ნანა ხაზარაძე**. ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების კონტექსტში. – *ქართველები. ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ*. თბილისი, გამომცემლობა *ჰალიტრა L*, 2016, გვ. 31). ოთარ ჯაფარიძის აზრით კი, ქართველურ ენებში შენიშნული შუმერული ენის ელემენტები სამხრეთ კავკასიაში ურუკის მიგრაციის შედეგი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ვარაუდის გამოთ-

ქართული ენის ჩრდილოკავკასიურ ენებთან გენეტიკური ნათესაობის იდეა, რომელიც ჯერ კიდევ 1864 წელს იყო გამოთქმული კავკასიის ხალხებისა და ენების გამოჩენილი მკვლევრის *ჰეტრე უსლარის* მიერ,¹ განავითარა *ივანე ჯავახიშვილმა*,² ხოლო შემდგომ გამოჩენილმა ქართველმა ენათმეცნიერმა, აკადემიკოსმა *არნოლდ ჩიქობავამ*,³ რითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ თეორიას ე.წ. *იბერიულ-კავკასიურ ენათა* ცალკე ოჯახის არსებობის შესახებ. ენათა ამ ოჯახში გაერთიანდნენ ქართველური, აფხაზურ-ადიღური და ვეინაზურ-დაღესტნური ენები.⁴ ამასთან, გამოითქვა მოსაზრება დღეს ცოცხალი იბერიულ-კავკასიური ენების ძველი წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის მკვდარ ენებთან (ხეთური, ელამური, ხურიტული, ურარტული და ეტრუსკული) მონათესავეობის შესახებ.⁵ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემოიყვანეს ბასკური ენაც.⁶ ასე წარმოიქმნა და ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო მიმართულება – *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*.

ამ მიმართულების მიმდევარნი იმოწმებენ ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენათა შორის სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ ერთიანობას⁷ და აფხაზურ-ადიღურ, ბასკურ-ქართველურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა შორის კანონზომიერი და რეგულარული ბგერათმესატყვისობების არ-

ქმის საფუძველს მას აძლევს ურუკის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმის (თხელკედლიანი, ჩარხზე ნაკეთები თიხის ჭურჭელი) გამოჩენა როგორც დასავლეთ (რიონ-ყვირილის აუზში), ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (შიდა და ქვემო ქართლი), სადაც ამ დროს სიონის კულტურა იყო გავრცელებული (*ოთარ ჯაფარიძე*. კავკასიის წინა აზიის სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის. – *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, N20, თბილისი, 2011, გვ. 178-191.

¹ **П. К. Услар.** Этнография Кавказа. Языкознание. II, Чеченски языкъ. Тифлис, Типография канцелярии Главноначальствующего гражданскою частью на Кавказе, 1888, გვ. 35.

² **ივანე ჯავახიშვილი.** ქართული და კავკასიური ენების.., გვ.3-625.

³ **არნოლდ ჩიქობავა.** იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 1979, გვ.3-306.

⁴ **არნოლდ ჩიქობავა.** იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა „*უნივერსალი*“, 2008, გვ. 5-13.

⁵ **Арн. Чикобава.** Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, 1948, გვ. 255.

⁶ **Арн. Чикобава.** Картвельские языки, их исторический состав.., გვ. 255.

⁷ **არნოლდ ჩიქობავა.** იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია.., გვ. 400.

სებობას,¹ რის საფუძველზეც ამტკიცებენ ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ვეინახურ-დაღესტნური და ბასკური ენების გენეტიკურ ნათესაობას, ე.ი. ერთი საერთო ფუძე-ენიდან წარმომავლობას,² თუმცა, ქართველურსა და ჩრდილოკავკასიურ ენებს შორის ლინგვისტოთა მიერ დადგენილი ზოგიერთი მსგავსება, შესაძლოა მეორადი რიგისა თუ წარმოშობისაა და აიხსნება ცალკეულ კავკასიურ ენებს შორის ხანგრძლივი კონტაქტების გავლენით.³

ნორვეგიელი ლინგვისტის, ჰანს ფოგტის დასკვნით, კავკასიური ენების ერთიანი წარმოშობის შესახებ ჰიპოთეზა ერთობ მომხიბლავია და მოკლებული არაა დამაჯერებლობას, მაგრამ იმავე დროს ის ძნელად დასამტკიცებელია.⁴ ასეთივე აზრისაა აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, რომელიც თვლის, რომ ვიდრე ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე არ დადგინდება კანონზომიერი შესატყვისობანი ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და ლექსიკის სფეროში „საკითხი ქართველურ ენათა გენეტიკური ურთიერთობისა მთის კავკასიის ენებთან იქნება უფრო მეტად საგანი რწმენისა, ვიდრე ცოდნისა და რა გინდ დიდი იყოს ეს რწმენა, იგი დებულებას ნათესაობის შესახებ მტკიცების ძალას ვერ შეჰპატებს“.⁵

¹ მიხეილ ქურდიანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007, გვ. 701.

² მიხეილ ქურდიანი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები..., გვ. 379-386, 421-423, 439-482.

³ К. Х. Шмидт. Проблемы генетической и типологической реконструкции кавказских языков. – *Вопросы языкознания*. IV, 1972. Москва, Издательство „Наука“, გვ. 16.

⁴ Г. Фогт. Индоевропейские языки и сравнительные методы. – *Вопросы языкознания*. IV, 1971. Москва, Издательство „Наука“, გვ. 38.

⁵ გიორგი წერეთელი. სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში. – წიგნში: **თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი**. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. *საერთოქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია*. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965, გვ. 026-027. წმინდა ლინგვისტური მეთოდებით კვლევის საფუძველზე, კავკასიური ენების შესახებ, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება ჩამოყალიბდა. ზოგის აზრით, ეს ენები მონათესავენი არიან და ერთი საერთო ფუძე-ენიდან მომდინარეობენ. ზოგიც, საერთოდ უარყოფს მათ კავშირს და სამხრეთ კავკასიურსა და ჩრდილო კავკასიურ ენათა შორის ნათესაობის შესაძლებლობას ვერ ხედავს. რაკი ენობრივი მონაცემების კვლევის შედეგად ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული,

თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების კოლოსალური წარმატებანი სრულიად ახალ პერსპექტივას შლის ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემებთან დაკავშირებული ისეთი რთული საკითხების გადასაჭრელად, როგორც არის ქართველურ ენათა წარმოშობა, ფუძე-ენის, ე.ი. პრაქართული ენის მატარებელი ეთნიკური მასის თავდაპირველი ბინადრობისა და სხვა საკითხები. ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობისაა რეკონსტრუქცია საერთოქართველური ანუ პრაქართული ფუძე-ენისა,¹ რომლის დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა ისტორიულად დადასტურებული და დღეს ცოცხალი ქართველური ენები – ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური.

ქართველთა ენათმეცნიერებმა, *თამაზ გამყრელიძემ* და *გივი მაჭავარიანმა* აღადგინეს ქართველური ენების უძველესი სტრუქტურა, მათი ფორმირებისა და ისტორიული განვითარების სავარაუდო პროცესი. ქართველურ ენათა შედარებით-ისტორიული შესწავლის გზით მათ დაადგინეს ქართველურ ენებში კანონზომიერ შესატყვისობათა სისტემა და აღადგინეს პრაენისათვის დამახასიათებელი სტრუქტურები ფონოლოგიურსა და მორფოლოგიურ დონეებზე. წარმოადგინეს არა მხოლოდ ცალკეული ქართველური ენების ისტორიული განვითარების სურათი, არამედ, მოგვცეს აგრეთვე საერთოქართველური ფუძე-ენის სტრუქტურის დახასიათება.² ამასთან, საერთოქართველური ფუძე-ენის განვითარებაში გამოიყო ორი ძირითადი ეტაპი. ადრეულ („არქაულ“) ეტაპზე საერთოქართველური ენობრივი სისტემა ამჟღავნებს გარკვეულ მსგავსებას ჩრდილოკავკასიურ, განსაკუთრებით დასავლურ-კავკასიურ (აფხაზურ-ადიღურ) ჯგუფთან.³ გვიან ეტაპზე კი შეიმჩნევა საერთოქართველური ფუძე-ენის ტრანსფორმაცია და რიგი ახალი სტრუქტურული ნიშნების გაჩენა. *თამაზ გამყრელიძისა* და *გივი მაჭავარიანის* გამოკვლევის თანახმად, გვიანი

ასეთ ვითარებაში არქეოლოგიური მონაცემები, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ისინი თითქოს კავკასიური ენების და საერთოდ აბორიგენული მოსახლეობის ერთიანი წარმომავლობის ვარაუდს უჭერს მხარს (ამის შესახებ იხ.: **ოთარ ჯაფარიძე**. კავკასიის უძველესი მოსახლეობის ადრეული ეთნოგენეზის საკითხები. – *კავკასიოლოგიური ძიებანი*, I, 2009. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2009, გვ. 534.

¹ **Г. А. Климов**. Этимологический словарь картвельских языков. Москва, *Издательство Академии Наук СССР*, 1964, გვ. 3-40.

² **თამაზ გამყრელიძე**, **გივი მაჭავარიანი**. სონანტთა სისტემა და.., გვ. 21-365.

³ **თამაზ გამყრელიძე**, **გივი მაჭავარიანი**. სონანტთა სისტემა და.., გვ. 373.

ეტაპის საერთოქართველური ფუძე-ენა მეტ ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს ინდოევროპულ სტრუქტურებთან, ვიდრე სხვა (მათ შორის ჩრდილო-კავკასიურ) ენებთან,¹ რაც უთუოდ შედეგი იყო საერთოქართველური და საერთოინდოევროპული ენების მატარებელი ხალხების ხანგრძლივი კონტაქტებისა უძველეს ხანაში,² რის მოწმობადაც მიიჩნევენ საერთო-ქართველურში ინდოევროპულიდან ნასესხები ლექსიკის მთელ პლასტს.³

ზემოთქმულიდან კი გამომდინარეობს, რომ საერთო-ქართველური და საერთოინდოევროპული ფუძე-ენის მატარებელ ხალხებს, ერთ დროს, ერთმანეთის ახლო მეზობლად უნდა ეცხოვრათ. ასეთ შემთხვევაში, დასადაგენია, თუ სად უნდა ვეძიოთ ის ტერიტორია, სადაც ამ ორი უძველესი ფუძე-ენის მატარებელი ხალხის ენობრივი კონტაქტები ხორციელდებოდა. ამ საკითხის გადაჭრა მნიშვნელოვანია, როგორც პრაქტიკული, ასევე პრაინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის დადგენისათვის.⁴ საამისოდ აუცილებელია პრაინდოევროპული ენის რეკონსტრუქციაც, რაც განახორციელეს *თამაზ გამყრელიძემ* და *ვიჩხესლავ ივანოვმა*.⁵

პრაინდოევროპულად მიჩნეულ ლექსიკაში ფიქსირებული ფაუნის, ფლორის, მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი მრავალფეროვანი სემანტიკური ჯგუფების ანალიზის საფუძველზე

¹ **თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი.** სონანტთა სისტემა და.., გვ. 376-379.

² **Т. В. Гамкрелидзе.** Современная Диахроническая лингвистика и картвельские языки(II). – *Вопросы языкознания.* #3, 1971. Москва, Издательство „Наука“, გვ. 37, შენიშვნა 10.

³ **Т. В. Гамкрелидзе.** Современная Диахроническая лингвистика и.. (II), გვ. 37; **Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов.** Индоевропейский язык и индоевропейцы. Т. II. Тбилиси, Издательство Тбилисского университета, 1984, გვ. 877-880.

⁴ **Т. В. Гамкрелидзе.** Современная Диахроническая лингвистика и.., (II), გვ. 38.

⁵ **Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов.** Древняя Передняя Азия и индоевропейская проблема. *Временные и ареальные характеристики общеиндоевропейского языка по лингвистическим и культурно-историческим данным.* – *Вестник древней истории.* 3 (153), Москва, Издательство „Наука“, 1980, გვ. 3-27; **Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов.** Миграции племен-носителей индоевропейских диалектов – с первоначальной территории расселения на Ближнем Востоке в исторические места их обетания в Евразии. – *Вестник древней истории.* 2 (156), Москва, Издательство „Наука“, 1981, გვ. 11-33; **Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов.** Индоевропейский язык и индоевропейцы. Т. I-II, Тбилиси, Издательство Тбилисского университета, 1984.

თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა პრაინდოევროპელთა პირველსაცხოვრისად მიიჩნიეს მახლობელი აღმოსავლეთის გარკვეული გეოგრაფიული არეალი, საიდანაც ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსის დიფერენციაციის შემდგომ დაიწყო ინდოევროპულ ტომთა მიგრაციები ევრაზიის ვრცელ ტერიტორიაზე.¹ პრაინდოევროპელთა პირველსაცხოვრისის მახლობელ აღმოსავლეთში ლოკალიზაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პრაინდოევროპულ, პრასემიტურ და პრაქართველურ ენებში ურთიერთისგან ნასესხები ლექსიკისა და სტრუქტურული ნიშნების არსებობის ფაქტის დადგენას. ეს ურთიერთნასესხობანი მხოლოდ ზემოდასახელებული ენობრივი სისტემების ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად შეიძლებოდა გაჩენილიყო. კონტაქტები კი უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ მახლობელი აღმოსავლეთის არეალში, რამდენადაც სრულიად წარმოუდგენელია პრაქართველთა და პრასემიტთა სხვა ტერიტორიაზე განსახლება.²

რამდენადაც პრაქართველურ ენობრივ სისტემაში ფიქსირდება პრაინდოევროპელისაგან ლექსიკური ნასესხობანი და აგრეთვე მთელი რიგი სტრუქტურულად მსგავსი ნიშნები,³ ამდენად, ბუნებრივად გამომდინარეობს პრაქართველურისა და პრაინდოევროპელის სინქრონულად არსებობა. პრაინდოევროპული ენობრივი სისტემის არსებობა უკვე ძვ. წ. V-IV ათასწლეულებისათვის ივარაუდება, ხოლო მისი დაშლის პროცესის დასაწყისი კი არაუგვიანეს IV ათასწლეულისათვის.⁴ პრასემიტური ენის არსებობასაც განსაზღვრავენ არაუგვიანეს ძვ. წ. IV ათასწლეულისა.⁵ თუ გავიხსენებთ თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ზემოთ ხსენებულ დებულებას, რომ „გვიანი ეტაპის“ პრაქართველურ ენაში ფიქსირდება პრაინდოევროპულ ენობრივ სისტემასთან ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად წარმოქმნილი სტრუქტურულ-გრამატიკული ტრანსფორმაციები და აგრეთვე ლექსიკური ნასესხობანი, შეიძლება ვივარაუდოთ პრაქართველური ენობრივი სისტემისა და, შესაბამისად, მისი მატარებელი ეთნოსის არსებობა უკვე ძვ. წ. V ან, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. IV ათასწლეულში მაინც. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ პრაქართველურში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოიყოფა უფრო ადრეული, ე.წ. არქაული

¹ Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов. Индоевропейский язык и.., II., გვ. 865-871.

² Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов. Индоевропейский язык и.., II., გვ. 870-871.

³ Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов. Индоевропейский язык и.., II., გვ. 871.

⁴ Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов. Индоевропейский язык и.., II., გვ. 861, 863.

⁵ Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов. Индоевропейский язык и.., II., გვ. 880.

ეტაპი, რომელიც თითქოს წინ უსწრებს პრაინდოევროპულ ენობრივ სისტემასთან გაცხოველებული კონტაქტების დასაწყისს).¹

საერთოქართველური ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსის პირველ-სამყოფელი უნდა ვივარაუდოთ რამდენადმე ჩრდილოეთით პრაინდოევროპელთა სამშობლოდან, რომელსაც თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ათავსებენ წინა აზიის ჩრდილოეთ პერიფერიაზე ამიერკავკასიის სამხრეთით, ზემო მესოპოტამიამდე.² ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი საერთოქართველური ლექსიკის ანალიზის საფუძველზე პრაქართული ეთნოსის თავდაპირველ საბინადროდ მაღალმთიანი ზონაა მიჩნეული. ასეთად ზოგი დიდ კავკასიონს განიხილავდა,³ მაგრამ ამჟამად მკვლევართა უმრავლესობა პრაქართველური ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსის თავდაპირველ სამშობლოდ ამიერკავკასიის ზეგანს მიიჩნევს, უფრო ზუსტად კი მცირე კავკასიონის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილს.⁴

მკვლევართა ნაწილი არ იზიარებს ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე გამოთქმულ აზრს, თითქოს ქართულენოვანი ტომები ამ დროს კომპაქტურად, მხოლოდ მთაგორიან რეგიონში ცხოვრობდნენ.⁵ მათი დასკვნით, პრაქართველთა განსახლების არეს შეადგენდა მთლიანად დღევანდელი საქართველოს ტერიტორია,⁶ დიდი კავკასიონის სამხრეთით კალთებიდან თანამედროვე ე.წ. სომხეთის მთიანეთის ჩრდილო-დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის ჩათვლით.⁷ სხვა მოსაზრებით, „სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ქართველთა განსახლების ტერიტორია მოიცავდა მაინცდამაინც, ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიას და ჩრდილო მესოპოტამიის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას“.⁸

¹ **ოთარ ლორთქიფანიძე**. ძველი ქართული ცივილიზაციის..., გვ. 17-18.

² **Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов**. Индоевропейский язык..., II., გვ. 890.

³ **Г. А. Климов**. Этимологический словарь картвельских языков..., გვ. 37.

⁴ **Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов**. Индоевропейский язык и индоевропейцы. Т. II., გვ. 880-881; **ოთარ ლორთქიფანიძე**. ძველი ქართული ცივილიზაციის..., გვ. 18; **ოთარ ჯაფარიძე**. ქართველი ერის ეთნოგენეზის..., გვ. 196.

⁵ **ოთარ ლორთქიფანიძე**. ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან..., გვ. 18; **მიხეილ ქურდიანი**. ქართველთა პირველსაცხოვრისი..., გვ. 66, 86; **ოთარ ჯაფარიძე**. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, გვ. 295.

⁶ **ოთარ ლორთქიფანიძე**. ძველი ქართული ცივილიზაციის..., გვ. 18.

⁷ **მიხეილ ქურდიანი**. ქართველთა პირველსაცხოვრისი..., გვ. 66.

⁸ **დავით მუსხელიშვილი**. ქართველთა წარმომავლობისათვის..., გვ. 117; **დავით**

ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ, მათი აზრით, თვალსაჩინოდ მეტყველებს ის ლექსიკური თანხვედრანი, რომლებიც დადასტურებულია როგორც წინარეპართველურს, წინარეინდოევროპულსა და წინარესემიტურს,¹ ასევე წინარეპართველურსა და ძველი აღმოსავლეთის ცნობილი ეთნოსების (ხათების, ხეთების, ხურიტების, ურარტელების) ენებს შორის,² რაც, თავის მხრივ, შედეგი უნდა იყოს წინარეპართველთა წინარეინდოევროპელებთან, წინარესემიტებთან და ძველი აღმოსავლეთის ცნობილ ეთნოსებთან უცილობელი კონტაქტებისა წინა აზიის გარკვეულ არეალში.³ დასავლეთით კი, პრაქტურული მოსახლეობა აღწევდა შავი ზღვის სანაპიროებამდე, რისი ერთ-ერთი მოწმობაც, მათი აზრით, უნდა იყოს ის, რომ „ზღვის სახელწოდება, ან უკეთ ტერმინი „ზღვა--ზღუა“ უკვე ცნობილი იყო საერთოპართველური ენის არსებობის დროს“.⁴

წინარეპართველური მოსახლეობის თავდაპირველი საბინადროს შესახებ მკვლევართა მიერ გამოთქმულ ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს

მუსხელიშვილი, მიხეილ სამსონაძე, ალექსანდრე დაუშვილი. საქართველოს ისტორია, გვ. 23.

¹ **ოთარ ლორთქიფანიძე.** ძველი ქართული ცივილიზაციის..., გვ. 18.

² **დავით მუსხელიშვილი.** ქართველთა წარმომავლობისათვის..., გვ. 117; **დავით მუსხელიშვილი, მიხეილ სამსონაძე, ალექსანდრე დაუშვილი.** საქართველოს ისტორია..., გვ. 23.

³ **ოთარ ლორთქიფანიძე.** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან..., გვ. 18; **დავით მუსხელიშვილი.** ქართველთა წარმომავლობისათვის..., გვ. 117; **დავით მუსხელიშვილი, მიხეილ სამსონაძე, ალექსანდრე დაუშვილი.** საქართველოს ისტორია, გვ. 23. **ოთარ ჯაფარიძის** მტკიცებით კი, არქეოლოგიური მონაცემები პრაქტურულთა ასე შორს – სამხრეთით გავრცელებას მხარს არ უჭერს. ქართველურ ენებში ინდოევროპული ელემენტის არსებობა, მისი მოსაზრებით, მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიაზე ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში, სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთიდან ყორღანული კულტურის მატარებელი ხალხის გამოჩენასთან უნდა იყოს კავშირში (**ოთარ ჯაფარიძე.** ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, გვ. 297). ის ლექსიკური თანხვედრანიც, რომელიც წინარეპართველურსა და წინარესემიტურს, ასევე წინარეპართველურსა და ძველი აღმოსავლეთის ცნობილი ეთნოსების ენებს შორის არის დადასტურებული, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პრაქტურულთა სამხრეთით ასე შორს გავრცელების შედეგი იყოს.

⁴ **დავით მუსხელიშვილი.** ქართველთა..., გვ. 117; **დავით მუსხელიშვილი, მიხეილ სამსონაძე, ალექსანდრე დაუშვილი.** საქართველოს ისტორია, გვ. 23.

არ იზიარებს გურამ ყორანაშვილი. მისი შეხედულებით, „კრიტიკას ვერ უძლებს მოსაზრება, რომელიც მთელ დღევანდელ საქართველოს (გეოგრაფიული გაგებით) და მთლიანად ჩვენს ეთნიკურ ტერიტორიას, რომელიც დღევანდელს, პოლიტიკურს სამჯერ მაინც აღემატებოდა, იმთავითვე ჩვენს წინარესამშობლოდ და ამდენად წინარექართული (თუ წინარექართველური?) ენის გავრცელების არეალად წარმოიდგენს... როცა ჩვენს წინარესამშობლოსა და წინარეენის ლოკალიზებას ვახდენთ, ბუნებრივია, უნდა გამოვდიოდეთ უფრო ვიწრო არეალიდან. ასე რომ, მოსაძებნია ის არეალური კუთხე (მხარე), საიდანაც მოხდა ჩვენი წინაპრების განფენა ფართო ტერიტორიაზე“.¹ ასეთად კი მას შიდა ქართლი მიაჩნია.²

უძველესი დროის ისტორიის შესწავლის საქმეში უპირველესი ადგილი არქეოლოგიურ მონაცემებს უკავია. მათი მიხედვით, საერთოკავკასიური ეთნიკური და ენობრივი ერთობის ფორმირება ზედა პალეოლითის ხანაში, სამხრეთ კავკასიის დასავლეთ მხარეში, ე.წ. „იმერული კულტურის“³ გავრცელების არეალშია ნავარაუდები. პალეოლითის ფინალურ სტადიაში, ძვ. წ. XII-XI ათასწლეულებში საფუძველი ეყრება კავკასიის ძირითადი მოსახლეობის წინარე ენების წარმოქმნის პროცესს. ჰოლოცენის დადგომისას – მეზოლითის ხანაში, როდესაც კავკასიაში კვლავ დგება ცხოვრებისთვის ხელსაყრელი გარემო და მისი უფრო ფართოდ ათვისება მიმდინარეობდა, ეს პროცესი კიდევ უფრო დრამატიკდება.

მეზოლითის დასასრულს – ძვ. წ. IX-VIII ათასწლეულებში უნდა დასრულებულიყო საერთოკავკასიური ერთობის დაშლის პროცესი. ამ დროისათვის მთელი კავკასია, მისი სამხრეთი და ჩრდილოეთი მხარეები უკვე ფართოდაა ათვისებული, ძირითადად კავკასიის ძირძველი მოსახლეობის მიერ გარეგანი ფაქტორების რაიმე საგრძნობი ჩარევის გარეშე.⁴ ახალი ქვის ხანის ზღურბლზე, მკვიდრი მოსახლეობა კავკასიის შიგნით სხვადასხვა მხარეებს იკავებს, სადაც მათი ცალკე ეთნოსებად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. დასავლეთ კავკასიაში ძირითადად წინარე აფხაზურ-ადიღურის მოსახლეობაა კონცენტრირებული, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში კი ნახურ-დაღესტნური მოსახლეო-

¹ გურამ ყორანაშვილი. ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი, გვ. 23-24.

² გურამ ყორანაშვილი. საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემები. თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“, 2002, გვ. 101-102.

³ „იმერული კულტურა“ პირობითად ეწოდა ქვის ხანის კულტურას თანამედროვე იმერეთის ტერიტორიაზე (რიონ-ყვირილის აუზი).

⁴ ოთარ ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის., გვ. 177, 182, 185-187, 234.

ბის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. ქართველურ ტომებს, საერთო კავკასიური ერთობის დაშლის შემდეგ, ადგილსამყოფელი თითქმის არ შეუცვლიათ და ცხოვრება ისევ სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში განაგრძეს, რომელიც საერთო კავკასიური ერთობის სამკვიდრებელი იყო. აქ გამოვლენილი ნეოლითი უკვე წინარექართველური ტომების კულტურა უნდა ყოფილიყო და სწორედ აქ უნდა იყოს დასაბამი მათი ეთნიკური ისტორიისა.¹

ენეოლითის ეპოქაში, ძვ.წ. V ათასწლეულში, დასავლეთ საქართველოს ქარბი მოსახლეობის საკმაოდ მასიური მიგრაციული პროცესები იწყება სხვადასხვა მიმართულებით. მიგრანტების, დიდი, ძლიერი მასა, ძირითადად მომიჯნავე რიონ-ყვირილის მკვიდრნი აღმოსავლეთ საქართველოში გადადიან და საკმაოდ ინტენსიურად იკავებენ შიდა ქართლს, რომელიც ამ დროისათვის ნაკლებად ათვისებული იყო. როგორც ჩანს, დასავლეთიდან ახლად გადმონაცვლებული, ალბათ ძირითადად პრე-ქართველური მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა აქ ე.წ. *სიონის კულტურის* ჩამოყალიბების პროცესი.²

სიონის კულტურის მატარებელი ტომები ინტენსიურად ითვისებენ აღმოსავლეთ საქართველოს. მისი საკმაოდ ძლიერი ნაკვალევი არაგვის ხეობაში გამოვლინდა, სადაც ამ კულტურის არაერთი ძეგლი აღმოჩნდა.³ ეს კულტურა ფართოდ ვრცელდება იორ-ალაზნის ორმდინარეთში, უპირატესად მის აღმოსავლეთ ნაწილში.⁴ სიონის კულტურის მატარებელი ტომები ითვისებენ ქვემო ქართლს და მათი ნაკვალევი აღმოჩნდა მესხეთშიც – აბასთუმანთან, ყანობილის მთის ძირას.⁵ ამ დროს, ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასია უკვე ქართველური ტომებით უნდა ყოფილიყო დასახლებული.⁶

¹ **ოთარ ჯაფარიძე**. ქართველი ერის ეთნოგენეზის..., გვ. 187, 196, 234.

² **ოთარ ჯაფარიძე**. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, გვ. 271.

³ **გურამ ჩიქოვანი**. შიდა ქართლი ძვ. წ-ის V-IV ათასწლეულში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1999, გვ. 14-21.

⁴ **В. В. Варазашвили**. Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна, Тбилиси, Издательство „*Мецნიერება*“, 1992, გვ. 82.

⁵ **კარლო კალანდაძე**. უძველესი ნამოსახლარების ნაშთები აბასთუმნიდან. – *განახლებული მესხეთი* (გაზეთი), VII, 1974.

⁶ **ლამარა ნებიერიძე**. სიონის ნასახლარი-აღმოსავლეთ საქართველოს გვიანნე-გვიანნეოლითური ძეგლი. – *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, N7.

ახალი ერის – ლითონის ხანის დადგომისას, ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში, ქართველური ტომები საქართველოს თითქმის მთელ მიწა-წყალზე ვრცელდებიან, როგორც მის აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ მხარეებში. აღმოსავლეთ საქართველოს პრაქართველური მოსახლეობა ხურიტულ და ნახურ-დაღესტნურ ტომებთან ერთად მტკვარ-არაქსის კულტურის შექმნაში იღებს აქტიურ მონაწილეობას. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები პრაქართველები კი ე.წ. დასავლეთ ამიერკავკასიის კულტურას ქმნიდნენ, რომელიც მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის მსხვილ კულტურებს შორის იყო მოქცეული და მათ გარკვეულ გავლენას განიცდიდა.¹

ძვ. წ. III ათასწლეულიდან მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ფართოდ ვრცელდებიან კავკასიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ – სამხრეთით დიდ სივრცეებს ითვისებენ.² ამ დროს, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი პრაქართველური ტომები, რომლებიც აქამდე, სავარაუდოდ მხოლოდ სიონის კულტურის გავრცელების არეალში მოსახლებდნენ – დიდსა და მცირე კავკასიონს შორის – დასავლეთ საქართველოში ვრცელდებიან. საწყის ეტაპზე ისინი რიონ-ყვირილის აუზს ითვისებენ, სადაც ადრიდანვე ქართველური მოსახლეობა ბინადრობდა, შემდეგ კი კოლხეთის დაბლობამდე აღწევენ, რომელიც მანამდე დაუსახლებელი იყო.³ სწორედ მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში უნდა მომხდარიყო პრაქართველური ეთნიკური ერთობის საბოლოო ფორმირება⁴ – სამხრეთ კავკასიონის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში.⁵

შუაბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი და ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) საგრძნობლად სუსტდება ურთიერთობა საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებს შორის (უძველესი ისტორიის არც ერთ სხვა ეპოქაში არ ჩანს ისეთი შესუსტებული ურთიერთობა საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებს შორის, როგორც შუა ბრინჯაოს ხანაში). რიონ-ყვირილის აუზში, რომელიც უშუალოდ ემიჯნება აღმოსავლეთ საქართველოს და მის ძლიერ გავლენას

თბილისი, 2001, გვ. 9.

¹ **ოთარ ჯაფარიძე.** ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, გვ. 284.

² **ოთარ ჯაფარიძე.** ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, გვ. 285.

³ **ოთარ ჯაფარიძე.** ქართველი ერის ეთნოგენეზის..., გვ. 289, 297-298.

⁴ **ოთარ ჯაფარიძე.** ადრეული ბრინჯაოს ხანა. – *საქართველოს ისტორია ოთხ ტომად.* ტ. I. თბილისი, გამომცემლობა *კალიტრა L*, 2012, გვ. 40.

⁵ **ოთარ ჯაფარიძე.** ქართველი ერის ეთნოგენეზის..., გვ. 296, 297-298.

განიცდიდა, თითქმის აღარ იგრძნობა კავშირი თრიალეთის კულტურასთან (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი).¹ სწორედ ამ დროიდან უნდა იღებდეს სათავეს საერთოქართველური ფუძეების დაშლის პროცესი. შუა ბრინჯაოს ხანაში, საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებს შორის ურთიერთობის შესუსტებას, აღმოსავლურქართულ და დასავლურ ქართულ მეტყველებათა დაშორიშორება უნდა გამოეწვია. პარალელურად უნდა წარმართულიყო დასავლურქართული მეტყველების დივერგენცია სვანურ და ზანურ ენებად. საერთოქართველურიდან ჯერ ერთიანი ზანურ-სვანურის გამოყოფის და შემდეგ მისი ზანურ და სვანურ ენებად დაშლის იდეას იზიარებს ლინგვისტთა ერთი ნაწილი,² თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმად ფუძე-ენა ჯერ გაიყო სვანურად და ქართულ-ზანურად, მოგვიანებით კი დაიშალა ქართულ-ზანური ერთობა.³ აზრთა სხვადას-

¹ შუა ბრინჯაოს ხანაში კოლხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ურთიერთობის შესუსტება, სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოში მეტალურგიის აღზევებით გამოწვეულ შედეგებს უნდა მოჰყოლოდა. კერძოდ, სოფლის მეურნეობაში ლითონის იარაღის საკმაოდ ფართოდ გამოყენებამ კოლხეთის დაბლობისა და მთისწინა ზოლის აქტიურ ათვისებას შეუწყო ხელი. მეტალურგიის დაწინაურება უწყობდა ხელს მთის დასახლებასაც, სადაც ამ დროს მძლავრად ამუშავდა მეტალურგიული ცენტრები. დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ინტენსიური ათვისების პროცესმა, როგორც ჩანს, შეანელა ურთიერთობა გარე სამყაროსთან. (**ოთარ ჯაფარიძე**, საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2003, გვ. 183, 190; **ოთარ ჯაფარიძე**, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, გვ. 298).

² **ქეთევან ლომთათიძე**. ქართველურ ენათა დიფერენციაციის საკითხისათვის. – *მეორე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები*. თბილისი, *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 1993, გვ. 269-273; **მიხეილ ქურდიანი**. საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა. – *ქართველური მეძვიდრეობა*, ტ. I. ქუთაისი, *აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 1997, გვ. 253-263; **ტარიელ ფუტყარაძე**. რომელი ენობრივი ერთეული (კილო, კოინე, ენა) უდევს საფუძვლად ქართველთა სამწიგნობრო ენას? – *ქართველოლოგიური კრებული*, I, თბილისი, 2002, გვ. 81; **ტარიელ ფუტყარაძე**. „დიდი კოლხური ცივილიზაცია“ და აიეტის ქვეყნის შესაძლო სახელმწიფო ენა. – *ამირანი*, კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. N8, თბილისი, 2003, გვ. 123.

³ **Г. А. Климов**. Этимологический словарь., გვ. 16-18; **თამაზ გამყრელიძე**, გივი

ხვაობაა ფუძე-ენის დიფერენცირების თარიღთან დაკავშირებითაც. *მორის სვოდეშის* მიერ შემუშავებული გლოტოქრონოლოგიური ანუ ლექსიკურ-სტატისტიკური მეთოდით, 100 სიტყვიანი საცდელი სიის მიხედვით, *გიორგი კლიმოვმა* საერთოქართველურისაგან სვანურის გამოყოფა ძვ. წ. II ათასწლეულის, ხოლო ზანურისა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით განსაზღვრა.¹

ამავე მეთოდით, 200 სიტყვიანი საცდელი სიით, *თამაზ გამყრელიძემ* და *გივი მაჭავარიანმა* სვანურის გამოყოფა ფუძე-ენიდან დაათარიღეს ძვ. წ. X საუკუნით, ხოლო ზანურისა – წელთაღრიცხვათა მიჯნით.² ე. ი. ერთი და იგივე მეთოდით მიღებულია 1000 წლოვანი ცდომილება, რაც ამ მეთოდის აშკარა ნაკლზე მიუთითებს. ამას დასახელებული ავტორებიც გრძნობდნენ. ამიტომაც, მოგვიანებით დაწერილ ფუნდამენტურ შრომაში თ. გამყრელიძემ (ვ. ივანოვთან ერთად) საერთოქართველურიდან სვანურის გამოყოფა ძვ. წ. III ათასწლეულში ივარაუდა, ზანურისა კი ძვ. წ. II ათასწლეულში.³ რიგი მეცნიერებისა, ქართველური ენა-კილოების ჩამოყალიბების დროდ წელთაღრიცხვათა მიჯნას მიიჩნევს.⁴ მიხეილ ქურდიანის აზრით კი, საერთოქართველური ფუძე-ენის გაახალგაზრდავე-

მაჭავარიანი. სონანტა სისტემა., გვ. 5-17; **თეიმურაზ მიქელაძე.** ძიებანი კოლხეთისა და., გვ. 19; **ოთარ ლორთქიფანიძე.** ძველი ქართული ცივილიზაციის., გვ. 18; **ზურაბ სარჯველაძე.** ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ცნობები დასავლურქართული ტომების შესახებ. – *სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები*, 5, თბილისი, 2000. გვ. 24; **გიორგი მელიქიშვილი.** ქართველური ტომები. მათი., გვ. 167, 168.

¹ **Г. А. Климов.** О глотохронологическом методе датировки распада праязыка. – *Вопросы языкознания.* №2, 1959. Москва, *Издательство Академии Наук СССР*, 1952, გვ. 119.

² **თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი.** სონანტა სისტემა., გვ. 17.

³ **Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов.** Индоевропейский язык и... Т. II., გვ. 880-881.

⁴ **ტარიელ ფუტყარაძე.** ქართველთა დიალექტები. – ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“, 2002, გვ. 127; **ტარიელ ფუტყარაძე.** რომელი ენობრივი ერთეული., გვ. 81-82; **ბიჭიკო დიასამიძე.** უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები და ეგრისელთა ენის პრობლემა. – *საისტორიო მაცნე.* XII, ბათუმი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003, გვ. 7; **მერაბ ნაჭყებია.** პრექართველური ენის დივერგენციის ქრონოლოგიის საკითხი და ქართველური ენობრივი სამყარო. – *სოხუმის უნივერსიტეტის შრომები*, ტ. I. თბილისი, *სოხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 2007, გვ. 9.

ბის მცდელობას არანაირი ლინგვისტური საფუძველი არ გააჩნია.¹

დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ფართო ათვისების პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანაში დაიწყო, შუა ბრინჯაოს ხანაში კიდევ უფრო ინტენსიურობით წარიმართა. ამ დროს, სამთამადნო წარმოების აღმავლობამ მეტალურგიული კერების ამოქმედება გამოიწვია, დასავლეთ საქართველოს როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ რაიონებში.² საერთოქართველური ფუძე-ენის მატარებელი ტომების ვრცელ ტერიტორიაზე განფენას, საერთოქართველური ფუძე-ენის დივერგენციის საფუძველი უნდა შეექმნა, მით უფრო, რომ დასავლეთ საქართველოს ჩრდილო და სამხრეთ რაიონებში მოსახლე ტომები, მდინარე რიონითა და მისი ქვემო წელის ირგვლივ მდებარე ჭაობიანი ტერიტორიით, გარკვეულწილად იზოლირებულნი იყვნენ ერთმანეთისაგან. ასე უნდა დაწყებულიყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ორი ენის – სვანურისა და ზანურის ფორმირების პროცესი, რომელთაგან ზანური ენის ძირითადი გავრცელების არე, იმ უძველეს დროს, სამხრეთ-დასავლეთი კოლხეთი (რიონის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, ჭოროხის ხეობისა და მისი მიმდგომი მხარეებითურთ) უნდა ყოფილიყო,³ სვანურ-ენოვანი მოსახლეობა კი რიონს ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით, დასავლეთ საქართველოს როგორც მთის, ასევე ბარის რაიონებში უნდა ყოფილიყო განსახლებული.⁴

ამრიგად, სვანები წარმოიშვნენ წინარექართველური ფუძე-ენის მატარებელი მოსახლეობის იმ ნაწილისგან, რომელიც ადრებრინჯაოს ხანიდან დამკვიდრდა რიონს ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით, კავკასიის სამხრეთი კალთების ჩათვლით. იმ უძველეს დროში, პრასვანური მოსახლეობის აღმოსავლეთით

¹ მიხეილ ქურდიანი. ქართველთა პირველსაცხოვრისი., გვ. 62.

² ოთარ ჯაფარიძე. საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 183-186.

³ ოთარ ჯაფარიძე. საქართველოს ისტორიის სათავეებთან., გვ. 203.

⁴ გიორგი მელიქიშვილი. ქართველი ხალხის წარმოშობის., გვ. 20; გიორგი მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და., გვ. 61; გიორგი მელიქიშვილი. ქართველური ტომები. მათი დიფერენციაციისა და., გვ. 168, 173; თეიმურაზ მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და., გვ. 19; დავით სახუტიშვილი. აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის ძირითადი ეტაპები. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, ტ. I. ბათუმი, გამომცემლობა „ინოვაცია“, 2007, გვ. 32.

გავრცელების არეალი პირობითად ლიხის ქედამდე უნდა ვიგულისხმოთ,¹ დასავლეთით კი, თუ უფრო შორს არა, სტრაბონის ცნობათა გათვალისწინებით, (ის წელთაღრიცხვათა მიჯნაზე, დიოსკურიის ზემოთ „სოანები“-ს განსახლებას ადასტურებს)² მდინარე გუმისთამდე მაინც, რა თქმა უნდა, თუ სვანურენოვანი მოსახლეობის დასავლეთით ასე შორს განფენა, უფრო გვიანდელი ხანის მოვლენას არ წარმოადგენს.

როგორც ჩანს, რიონს ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას პრასვანების სამეტყველო ენაზე ეწოდებოდა „შან//შუან“ საიდანაც უნდა მომდინარეობდეს სვანების თვითსახელწოდება „მეშან//მუშუან“. დრო-

¹ იმონებენ რა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ტოპონიმებს, რომლებსაც მკვლევრები სვანური ენის საფუძველზე ხსნიან, *თეიმურაზ მიქელაძე და გურამ ყორანაშვილი* შიდა ქართლს, ძველ დროში, სვანთა განსახლების ადგილად აცხადებენ (იხ.: **თეიმურაზ მიქელაძე**. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის.., გვ. 10; **გურამ ყორანაშვილი**, ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი.., გვ. 81-83). ცხადია, თ. მიქელაძისა და გ. ყორანაშვილის აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. საქართველოს ტერიტორიაზე მოიძებნება მთელი რიგი ტოპონიმებისა, რომლებიც თანამედროვე სვანური ენის საფუძველზე აიხსნება, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სადაც ასეთი ტოპონიმებია, მაინცდამაინც, ოდესღაც ამ ტერიტორიებზე სვანები მკვიდრობდნენ. *მარიამ ლორთქიფანიძისა და როლანდ თოფჩიშვილის* სწორი შენიშვნით, ასეთი ტოპონიმები საერთოქართველური ფუძე-ენის ნარჩენებია. უბრალოდ, მათი ასახსნელი ლექსიკური ერთეულები, რომლითაც ისინი გამჭვირვალენი არიან, მხოლოდ სვანურს შემორჩა (იხ.: **მარიამ ლორთქიფანიძე**. აფხაზები და აფხაზეთი. თბილისი, გამომცემლობა „განათლება“. 1990, გვ. 36; **როლანდ თოფჩიშვილი**. ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური.., გვ. 30-31.

² **თინათინ ყაუხჩიშვილი**. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს.., გვ. 126.

³ განსხვავებით რიონს სამხრეთით მდებარე ტერიტორიისაგან, რომელსაც პრასვანები, როგორც ჩანს, „ზან“-ს უწოდებდნენ, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ლაზ-მეგრელთა და ქანთა საერთო სვანური სახელწოდება „ზანარ“. როგორც ჩანს, ტერიტორიების მსგავსი პრინციპით სახელების ტრადიცია გავრცელებული იყო ძველ დროში. ასე მაგალითად, ძვ. წ. II-I ათასწლეულებში მდინარე *მურად-სუს* ჩრდილოეთით და მდინარე *ყარა-სუს* აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას „ნაირი“-ს სახელით მოიხსენიებდნენ, მდინარე *ყარა-სუს* დასავლეთით მდებარე ტერიტორიას კი „ხათე“-ს სახელით (**შოთა ასათიანი**. სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასია.., გვ. 20).

⁴ სვანების თვითსახელწოდების გეოგრაფიული სახელიდან მომდინარეობას

თა განმავლობაში, სვანურენოვანი მოსახლეობის განსახლების საზღვრების ცვალებადობის კვალდაკვალ, იცვლებოდა ტერმინ „შან-შუან“-ის შინაარსიც და საბოლოოდ ეს სახელი მხოლოდ იმ ტერიტორიას შემორჩა, რომელსაც დღევანდელი მესტიისა და ლენტეხის რაიონები მოიცავს, ტერიტორიას, სადაც სვანურენოვანი მოსახლეობა კომპაქტურად და „განცალკევებით“ იყო განსახლებული.

სხვადასხვა დროს, ადგილი უნდა ჰქონოდა სვანურენოვანი მოსახლეობის წიაღში სამხრეთიდან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების ინფილტრაციას, რის მოწმობადაც მიგვაჩნია სვანეთში დღემდე შემორჩენილი ტოპონიმი ხალდე (ჰალდე)¹ და ლეჩხუმში არსებული ტოპონიმი

ვარაუდობდნენ ასევე მიხეილ ჩართოლანი და თეიმურაზ მიბჩუანი (იხ.: **მიხეილ ჩართოლანი** დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის. – *მაცნე*. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. #2, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992, გვ. 74; **თეიმურაზ მიბჩუანი**. სვანი და სვანეთი ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის. – *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1993, გვ. 468.

¹ მკვლევრები ტოპონიმ ხალდეს (ჰალდე) ხალიბ-ხალდებთან (ხალიბი და ხალდი სინონიმებია) აკავშირებენ (**Н. Я. Марр**. Термин „Скиф“. – *Избранные работы*. Том. 5, Этно и глоттогония Восточной Европы. Москва-Ленинград, Государственное социально-экономическое издательство, 1935, გვ. 39; **თეიმურაზ მიქელაძე**. ძიებანი კოლხეთისა და.., გვ. 13), რომლებიც ტომობრივად ქართველთა ჭანურ-მეგრულ შტოს ეკუთვნიან (**ნოდარ ლომოური**. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 35, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 19). ხალიბთა სახელწოდებით ორი ტომი იყო ცნობილი, რომელთა ლოკალიზაცია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ორ სხვადასხვა რაიონში ხერხდება: ერთი ეს არის მდ. ჭოროხის სათავეების მახლობელი ადგილი, სადაც ე.წ. „მთის ხალიბები“ ცხოვრობდნენ და მეორე – ზღვის სანაპირო ზოლი (**М. И. Максимова**. Античные города юго-восточного Причерноморья. Москва-Ленинград, Издательство Академии Наук СССР, 1956, გვ. 27-31). „მთის ხალიბები“, რომელთაც სამხრეთით არმენები ემუხოებლებოდნენ (**სტეფანე ბიზანტიელი**. – *გეორგია*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **სიმონ ყაუხჩიშვილმა**. ტფილისი, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936, გვ. 288), ქსენოფონ-

ნასკერი,¹ ცხადია, თუკი ეს სახელი ლეჩხუმში სვანურენოვანი მოსახლეობის ბინადრობის დროინდელია. შესაძლებელია მივუთითოთ ასევე სვანეთში არსებულ სხვა ტოპონიმზე, რომელიც ძველ დროში, სამხრეთში ფიქსირებული სახელის იდენტურია. ასეთია მესტიის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელი ლგჰა//ლუჰა,² რომელიც ვანის ტბის სამხრეთ-აღ-

ტეს მიერ აღწერილნი არიან, როგორც მეომარი, მებრძოლი, უმამაცესი ხალხი; ხოლო ზღვისპირა ხალიბების შესახებ ნათქვამია, რომ ისინი უმთავრესად რკინის დამუშავებით ირჩენდნენ თავს (**თეიმურაზ მიქელაძე**. ქსენოფონტის „ანაბაზისი“. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967, გვ. 75, 81, 106). სვანეთში არსებულ ტოპონიმ ხალდეს თუ მთის ხალიბებს დავუკავშირებთ, ასეთ შემთხვევაში, ერთის მხრივ, პარალელი გაეკლება ხალიბთა შესახებ ქსენოფონტის მიერ გადმოცემულ ცნობასა და 1875-1876 წლებში რუს კოლონიზატორთა წინააღმდეგ სვანეთის სოფელ ხალდეს მოსახლეობის მიერ გამართულ გმირულ ბრძოლას შორის, მეორეს მხრივ კი, ცხადი გახდება სვანურში შენიშნული არმენიზმების წარმომავლობა.

¹ სრულიად აშკარაა აღნიშნული ტოპონიმის კავშირი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქვეყნისა და ტომის სახელთან „სპერი“.

² **სალმანასარ** I-ის (ასურეთის მეფე ძვ. წ. 1280-1260 წლებში) წარწერაში ურარტუს 8 სხვადასხვა ქვეყანას შორის მეექვსედ დასახელებულია Lu-ha. ეს სახელი Luhi-ს ფორმით გვხვდება **ტიგლათფილესურ** I-ის (ასურეთის მეფე – ძვ. წ. 1114-1076 წლებში) ტექსტებში. აღნიშნულ სახელს, მართალია, კითხულობენ, როგორც ლუხა//ლუხი (**გიორგი მელიქიშვილი**. ურარტუ..., გვ. 23; **Г. А. Меликишвили**. Наири-Урарту. *Издательство Академии Наук Грузинской ССР*. Тбилиси, 1954, გვ. 176), მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ლურსმული დამწერლობა, რომელიც სემიტური ასურული ენისთვის იყო შეხამებული, სხვა, კერძოდ ურარტული ენისათვის გამოყენებისას მთელ რიგ უხერხულობას შეიცავდა. ამ დამწერლობას, ბუნებრივია, არ გააჩნდა ბევრი ნიშანი იმ ბგერის აღსანიშნავად, რომელიც ასურულისგან განსხვავებით მოიპოვებოდა ურარტულში. ამიტომ, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სემიტური დამწერლობის h („ხ“), რიგ შემთხვევაში მაინც, ურარტული ენის ალბათ არა „ხ“-ს, არამედ უფრო სუსტ „ჰ“-ს გადმოსცემდა (იხ.: **გიორგი მელიქიშვილი**. ურარტული ტომების უძველესი კრა. – *ანალები*, I. თბილისი, 1947, გვ. 282; **გიორგი მელიქიშვილი**. აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმის შესწავლისათვის. – *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, N3, 1961, გვ. 91-92; **გიორგი მელიქიშვილი**. ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და..., გვ. 32; **И. М. Дяконов**. Материалы к фонетике урартского языка. – *Вопросы грамматики и истории восточных языков*. Москва-Ленинград, *Издательство Академии Наук СССР*, 1958, გვ. 42.

მოსავლეთით მდებარე, ურარტუს ერთ-ერთი „ქვეყნის“ სახელად დასტურდება.¹ ურარტუს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ქართველი ხალხის შემადგენლობაში შემოსვლა და გათქვეფა, როგორც ლინგვისტური, ასევე არქეოლოგიური მონაცემებით არის დადასტურებული,² თუმცა, რამდენად რეალურია სვანეთში არსებულ ტოპონიმ ლუჰას დაკავშირება ურარტუსთან, რთული სათქმელია.³ ეს თუ რეალურია, მაშინ შეიძლება

¹ გიორგი მელიქიშვილი. ურარტული ტომების უძველესი კერა..., გვ. 285; გიორგი მელიქიშვილი. ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და..., გვ. 35.

² ქართველი ხალხის შემადგენლობაში შემოსული ურარტელების შემოტანილია ქართულ მეტყველებაში არსებული ისეთი სიტყვები და გამოთქმები, როგორც არის ყირამალა, თავდაყირა („ყირამა(ღ)ლა“ – მიწა მალა, „თავდაყირა“ – თავით მიწისკენ), შარშან (ურარტულად წელს, წელიწადს ერქვა შალი. იშანი კი ნიშნავდა „იმ“, „იქეთას“. „შალი[ი]შანი“ ურარტულად ნიშნავდა „იქითა წელს“). ასევე გამოთქმები, რომლებიც ქართული სიმღერების მისამღერებში გვხვდება: „ივრი ალაღე (არაღე)“ ნიშნავს „მუფო ალაღე (არაღე)“, „თარი ალაღე (არაღე)“-„ძღუვამოსილო ალაღე (არაღე)“, „არი ალაღე (არაღე)“-„მოგვეც (ჩვენ ღვთაებაო) ალაღე (არაღე)!“. ასევე ურარტული სამყაროდან მოსახლეობის გარკვეული ნაკადის ქართველთა წიადში შემოსვლასთან არის დაკავშირებული ხოვლეგორასა და ქვემო ქართლის არაერთ პუნქტზე, წითლად გამომწვარი ჭურჭლის გაჩენა (იხ.: გიორგი მელიქიშვილი. ურარტული ტომების უძველესი კერა..., გვ. 143-145; გიორგი მელიქიშვილი. ქართველი ხალხის წარმოშობის..., გვ. 37-38; გიორგი მელიქიშვილი. საქართველოში კლასობრივი..., გვ. 98-100; გიორგი მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი პოლიტიკური გაერთიანებები. კიმერიელთა შემოსევები და მათი შედეგები. ურთიერთობა მიდიასთან და აქემენიანთა ირანთან. – საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. ტ. I. თბილისი, გამომცემლობა ჰალიტრა L, 2012, გვ. 146; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, гв. 116-117; დავით მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, გამომცემლობა „მცნიერება“, 1977, გვ. 66-67; დავით მუსხელიშვილი. ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემისათვის..., გვ. 8).

³ ერთი და იგივე ტოპონიმის სხვადასხვა ადგილას გაჩენა, ხშირ შემთხვევაში, მიგრაციულ პროცესებთან არის დაკავშირებული, რადგან ჯგუფურად აყრილ მოსახლეობას, როდესაც ის გადასახლდებოდა ერთი ადგილიდან მეორეში, თან მიჰქონდა თავისი საცხოვრებელი ადგილის სახელწოდება, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ორი სხვადასხვა ადგილის სახელთა იდენტურობა შემთხვევითობით იყოს გამოწვეული. ასე მაგალითად, სრულიად შემთხვევითია ატენისა და ათენის, თელავისა და თელ ავივის სახელთა მსგავსება თუ იდენტურობა. იგივე ითქმის ევფრატის მარჯვენა

ვივარაუდოთ, რომ გორაკთა თუ მთათა რიგის აღმნიშვნელად სვანურში დამკვიდრებული სიტყვა ზაგწრ ზაგრწრ, ზაგროსის მთიანეთის სიახლოვეს მდებარე რაიონებიდან მიგრირებული ურარტელების შემოტანილია.¹ თუმცა, რაიმეს გადაჭრით თქმა, ცხადია, შეუძლებელია.

არცთუ იშვიათად, მკვლევრები, ამა თუ იმ ტოპონიმზე, ჰიდრონიმზე თუ სხვა ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით მცდარ დასკვნებს აკეთებენ. ასე მაგალითად: ნიკო მარმა, რომელიც სვანურენოვანი მოსახლეობის სამხრეთიდან მოსულობის თეორიას ავითარებდა,² ტოპონიმი უშგული ქოროხის ზემო დინების რაიონში არსებულ ტოპონიმ ოშკს დაუკავშირა და ის (სვანურენოვანი მოსახლეობის მიგრაციის დროს) სამხრეთიდან ჩრდილოეთში გადმოტანილად მიიჩნია. აღნიშნული მოსაზრების³ მცდარობის შესახებ ჯერ კიდევ ეგნატე გაბლიანმა მიუთითა, რომელმაც ტოპონიმ უშგულის ახსნა სვანური ენის ნიადაგზე მოგვცა და ის

სანაპირო ველზე მდებარე ქვეყნის – მუშანისთან დაკავშირებით. რაჭის მდინარის – მუშანის სახელწოდებისგან განსხვავებით, რომელიც სვანების თვითსახელწოდება მუშანთან არის კავშირში – იზოლლუს კლდეზე ნაკვეთი სარდურ II-ის ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული ქვეყანა მუშანის (**ნანა ბახსოლიანი**. აღმოსავლეთი კაბადოკია ძვ. წ. VIII-VII სს-ში ურარტული ლურსმული წარწერების მიხედვით. – *ისტორიულ-ეთნოგრაფიული მტუდობები*, VIII, თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“. 2004, გვ. 10) სახელის მსგავსება სვანების თვითსახელწოდებასთან სრულიად შემთხვევითია.

¹ სვანური ენის ლექსიკონში „ზაგწრ“ განმარტებულია, როგორც ზეგანი, ქედი, გადასასვლელი (**ვარლამ თოფური, მაქსიმე ქალდანი**. სვანური ლექსიკონი. თბილისი, 2000, გვ. 537), თუმცა, ამ სიტყვას აქვს სხვა, უფრო ზუსტი მნიშვნელობაც, რაც თავის დროზე სწორად შენიშნა ქუთაისის საქალაქო სასწავლებლის პედაგოგმა ვ. ტეპცოვმა, რომელმაც 1887 წელს იმოგზაურა სვანეთში. მისი გადმოცემით, ზაგწრ „*сванетское слово означавшее вообщем цепь горь*“ (იხ.: **В. Я. Тепцов**. Сванетия, географический очерк. – *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*. Выпуск 10. Отдел. I. *Типография канцелярии Главноначальствующего гражданскою частью на Кавказе*. Тифлис, 1890, გვ. 3). ზაგროსიც მთათა სისტემის სახელია. ნიშანდობლივია ისიც, რომ შემერულად „ზაგ“ საზღვრის აღმნიშვნელი სიტყვაა (**ნიკოლოზ ახალკაცი**. საზღვარი ხეთების სამეფოში. – *მესხეთი*, VI-VII, თბილისი-ახალციხე, 2005, გვ. 3). ხშირ შემთხვევაში ხომ მთა-გორაკები დასახლებულ პუნქტებს შორის ბუნებრივი საზღვრის ფუნქციას ასრულებენ.

² **Н. Я. Марр**. Из поездок в сванию (летом 1911-1912 гг.). Санкт-Петербург, *Типография Императорской академии наук*, 1913, გვ. 31.

³ **Н. Я. Марр**. Из поездок в сванию..., გვ. 31; **Н. Я. Марр**. Термин „Скиф“..., გვ. 39.

უკუდმართი, წყეული ადგილის სახელად განმარტა.¹ *ერეკლე საღლიანის* სწორი შეფასებით კი (რომელიც მან ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში გააკეთა), აღნიშნული ტოპონიმი პირიქითას მნიშვნელობით უნდა გავიგოთ... მართლაც, საავტომობილო გზის გაყვანამდე, უშგულში მიმავალ მგზავრს, ადგილ „დ [] ნწლოგიმწლჷ“ თან ქედი უნდა გადაელახა. ამრიგად, დანარჩენი სვანებისთვის, უშგული, ქედს იქეთ, ანუ პირიქეთ მდებარეობდა (შეად. პირიქითა ხევსურეთი).

ნიკო მარისავე დასკვნით, რომელსაც ის ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებდა, საღვთო წერილი თავდაპირველად სვანურ ენაზე ყოფილა თარგმნილი, ქართულად კი შემდგომში სვანურიდან გადმოუთარგმნიათ. სვანებს V-VI საუკუნეებში ჯერ კიდევ სომხეთში უცხოვრიათ. აღნიშნულ მოსაზრებათა უსაფუძვლობა ნათლად აჩვენა *ივანე ჯავახიშვილი*.² თეიმურაზ მიქელაძემ, ყურადღება მიაქცია რა, ხეთური ნაყოფიერების ღვთაების ტელეფინუმის კულტის კვალის არსებობას სვანურ საკულტო საგალობელსა და რიტუალში „ადრეკილა დ წაგვივიდა და მოგვივიდა“ და „მელიამ ტელეფიამ“, ასევე ხეთურ და სვანურ ენათა სიხლოვის რიგ ნიშნებს, სვანურში ბატონის, უფლის აღმნიშვნელი სიტყვის „ფუსდ-ფუსტ“ შესაძლო კავშირს ქალაქ ხატუსას მეფის სახელთან ფიუსტ, პროტოხეთურ სიტყვა wor-სა (=ქვეყანას) და სვანურ ვორ (=მიწას) სიტყვას შორის აშკარა კავშირს, – სვანურენოვანი მოსახლეობა პროტოხეთური წიაღიდან მოსულად გამოაცხადა.³

თ. მიქელაძის აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. არც ლინგვისტური და არც არქეოლოგიური მონაცემებით სვანურენოვანი მოსახლეობის პროტოხეთური გარემოცვიდან მოსვლა არ დასტურდება. სხვა

¹ **ეგნატე გაბლიანი.** ძველი და ახალი სვანეთი. ტფილისი, *სახელმწიფო გამომცემლობა*, 1925, გვ. 22. ტოპონიმ უშგულს ანალოგიურად ხსნიდა უშგულის მკვიდრი *ბესარიონ ნიჟარაძე* (იხ.: **ბესარიონ ნიჟარაძე (თავისუფალი სვანნი)**. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. II, 1964, გვ. 73.

² **ივანე ჯავახიშვილი.** ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. IX. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1996, გვ. 291-294. ნიკო მარს სვანებსა და სვანეთთან დაკავშირებით არაერთი მცდარი მოსაზრება აქვს გამოთქმული. ურარტუს მეფის, არგიშთის სახელის სვანური ენის ნიადაგზე, ნ. მარისეული ახსნა („Глава дома“), რომელსაც ეგნატე გაბლიანიც იზიარებდა, საერთოდ ღიმილის მომგვრელია (იხ.: **Н. Я. Март**. Из поездок в сванию..., გვ. 29; **ეგნატე გაბლიანი.** ძველი და ახალი სვანეთი..., გვ. 14).

³ **თეიმურაზ მიქელაძე.** ძიებანი კოლხეთისა და., გვ. 10-20;

საქმეა პროტოხეთების გარკვეული ნაწილის ქართველური (სვანური) მოსახლეობის წიაღში შესაძლო ინფილტრაცია და ასიმილაცია, რის მოწმობადაც შეიძლება ჩავთვალოთ ზემოთ მოყვანილი ხეთურ-ქართველური (სვანური) საკულტო-რელიგიური თუ ლინგვისტური პარალელები. არც ის არის გამორიცხული, რომ თ. მიქელაძის მიერ მოყვანილი ხეთურ-სვანური პარალელები (მათი გარკვეული ნაწილი მაინც), სვანურენოვანი და მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ უშუალო კონტაქტების შედეგი იყოს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სვანეთი, ისევე, როგორც საქართველოს დანარჩენი მხარეები, სამხრეთული ცივილიზაციების გავრცელების არეალში მდებარეობდა.¹

თეიმურაზ მიბჩუანმა, რომელიც იზიარებდა თ. მიქელაძის მოსაზრებას, გამოთქმულს სვანურ-ხეთურ პარალელებთან დაკავშირებით, მესტიის რაიონული ცენტრის ერთ-ერთი უბნის სახელი – „ლენთაგ“ ხეთუბის დასახლების აღმნიშვნელ სახელად გამოაცხადა.² სინამდვილეში კი

¹ შენიშნულია, რომ პროტოხეთური სახელი ამინდის, ელვა-ჭექის ღმერთისა Taru (Taru) და ქართული სიტყვა „ტაროსი“ ერთი და იგივე უნდა იყოს (იხ.: **მიხეილ წერეთელი**. ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. კონსტანტინოპოლი, *საბეჭდავი ქართველთა კათოლიკე სავანისა*, 1924, გვ. 77). ხეთის მეფე თავის თავს „ჩემ მზეს“ უწოდებდა: ჩემმა მზემ ეს და ეს გავაკეთეო, – წერენ ხეთის მეფეები თავის დოკუმენტებში (იხ.: **სიმონ ჯანაშია**. ქართველ ტომთა წარმოშობა. ხეთურ-იბერიული გვარტომობის ხალხები. – *შრომები*, ტ. V. თბილისი, 1987, გვ. 24). საგულისხმოა, რომ გამოთქმა „ჩემმა მზემ“ დღემდე არის შემონახული სასაუბრო ქართულში. ქართული წარმართული პანთეონის უზენაესი ღვთაების – მთვარე ღმერთის სახელი არმაზის წარმომავლობა ხეთურ-მცირეაზიულ სამყაროსთან უნდა იყოს დაკავშირებული. მცირე აზიური კულტის მთავარ ქალღმერთთან აიგივებენ ძველ დროში ქალაქ ფაზისის შესასვლელთან მდგარ ქალღმერთის – *კიბელე//კვიბელე//კუბელეს* ქანდაკებას. ასევე გამორკვეულია, რომ უძველეს ღვთაებათა წინააზიური სახელები შემონახულია ძველი ქართული კერპის „აინინა“-ს სახელში, რომელიც შემდგომ ქცეულა ქართველ ქალთა ეროვნულ სახელად „ნინო“-„ნანა“ (იხ.: **ანდრია აფაქიძე**. ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა. – *საქართველოს ისტორია ოთხ ტომად*. ტ. I. თბილისი, გამომცემლობა *ჰალიტრა L*, 2012, გვ. 241, 278). ურარტული ქალღვთაების სახელს – „აია“, ხედავენ აგრეთვე სვანურ მეტყველებაში შემონახულ გამოთქმაში – „აია მიშლადეღ“, რაც აიას კვირა დღეს ნიშნავს (იხ.: **თეიმურაზ მიქელაძე**. ძიებანი.., გვ. 85).

² **თეიმურაზ მიბჩუანი**. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბილისი, *თბილისის*

„ლესთაგ“-ს არანაირი საერთო არ აქვს ხეთებთან. მიხეილ ჩართოლანის სწორი შენიშვნით, „ლესთაგ“-ის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს გვარსახელ ხერგიანიდან,¹ რომელიც შუა საუკუნეების სვანეთის წერილობით ძეგლებში მოხსენიებულია *ხრთაგიან-ხრთეგიანად*.² *ხრთაგ* → *ლესრთაგ* → *ლესთაგ*, ანუ *ლესთაგი* ხერგიანთა (ხრთაგიანთა) საცხოვრებელი ადგილის სახელია.³

სვანების წარმოშობისა თუ მათთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ არაერთი მცდარი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული მოსაზრება არის გამოთქმული სხვადასხვა დროის ისტორიკოსთა თუ მოგზაურ-მკვლევართა მიერ. ასე მაგალითად, *ვახუშტი ბატონიშვილის* გადმოცემით, რომელსაც *ნიკო დადიანიც* იმეორებს, მეფე *საურმაგს* (ძვ. წ. III-II საუკუნეების მიჯნა) სვანეთის ტერიტორიაზე ძურძუკები (ჩეჩენ-ინგუშთა წინაპრები) დაუსახლებია.⁴ აფხაზი ისტორიკოსი შალვა ინალიფა სვანეთის ტერიტორიის ოდითგანვე სვანებით დასახლების ფაქტს ეჭვქვეშ აყენებდა. მისი მოსაზრებით, შორეულ წარსულში სვანეთის ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღური მოდგმის ხალხს უნდა ეცხოვრა. ის, სვანეთის ერთ-ერთი მყინვარის სახელს – „შხარა“ – აფხაზური წარმოშობისად მიიჩნევდა. მისი მტკიცებით, აფხაზური გვარისაგან „ჟიბა“ წარმოსდგება უშგულის ერთ-ერთი სოფლის „ჟიბაწნი“-ს სახელიც.⁵

უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989, გვ. 320-321.

¹ **მიხეილ ჩართოლანი**. ძველი საცხოვრებელი კომპლექსი სვანეთში. – *საისტორიო მოამბე*. 26-ბ. თბილისი, 1970, გვ. 228.

² *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატია-ნეები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო **ვალერი სილოგავამ**. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986, გვ. 161-166, 171-173, 177, 180, 182.

³ გადმოცემით, მესტიაში ხერგიანების თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილი ლესთაგი იყო (იხ.: **მიხეილ ჩართოლანი**. ძველი საცხოვრებელი.., გვ. 228.

⁴ **ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **სიმონ ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. IV. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1973, გვ. 58, 788; **ნიკო დადიანი**. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო **შოთა ბურჯანაძემ**. თბილისი, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, 1962, გვ. 30.

⁵ **Ш. Д. Инал-ипа**. Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, Издательство „Алашара“, 1976, გვ. 386. სინამდვილეში კი სვანურია როგორც „შხარა“-ს,

რუსი მოგზაურ-მკვლევრების მიხედვით, სვანები ქართველები არ არიან. ა. სტოიანოვის მოსაზრებით, სვანები ეგვიპტური წარმოშობის უნდა იყვნენ.¹ ვ. ტეპცოვმა კი სვანები ნარევ ხალხად გამოაცხადა. მესტიელები მას იაროსლავის გუბერნიის მცხოვრებ რუსებს მოაგონებს, მულახელები მალოროსებს; მესტიის რაიონის ქვემო ხევის („ჩუბეკუ“) მოსახლეობაში კი ბოშურ-მონღოლურ ტიპებს ხედავს.² ივანე ჰანტუხოვის შეხედულებით კი, სვანები ინდოეთიდან მოსული ხალხია. იქვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სვანეთის მოსახლეობა შედგება სხვადასხვა მხრიდან ომებისა თუ სხვა მიზეზით გამოდევნილი ხალხებისაგან, რასაც, მისი აზრით, უნდა ადასტურებდეს სვანურ ენაში ბერძნული, ქართული, სლავური და ა.შ. სიტყვების პოზიციების ფაქტი.³

ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს, ცხადია, სინამდვილესთან არანაირი საერთო არ გააჩნიათ. საურმაგმა ძურძუკები დაასახლა არა სვანეთში, არამედ, როგორც ლეონტი მროველი გადმოგვცემს, „დასხნა მთიულეთს დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“.⁴ ანუ ეგრისის იმ ნაწილამდე, საიდანაც უკვე სვანეთი იწყებოდა. გამორიცხულია სვანეთის ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღური მოდგმის ხალხის განსახლება, თუნდაც შორეულ წარსულში. არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფენ, რომ უკვე ნეოლითის დასაწყისში აფხაზურ-ადიღური მოსახლეობა კავკასიის დასავლეთ, უმეტესად ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იყო

ასევე „ჟიბაწნი“-ს ეტიმოლოგია სვანურად „შხარ“ დადარულს ნიშნავს „ჟიბაწნი“ კი ზედა უბნის ზედა სოფლის აღმნიშვნელი სახელია უმგულშივა სოფელი „ჩიბიბაწნი“ ანუ ქვემო სოფელი.

¹ *Путешествие по Сванетии А. И. Стоянова. – Записки Кавказского отдела Императорского Русского Географического Общества. Книжка X, выпуск второй, Тифлиси, 1876, გვ. 447.* აღნიშნული მოსაზრება უფრო ადრე გ. გამრეკელს გამოუთქვამს, რომელიც სვანეთის სახელს ეგვიპტის ქალაქ სუანასთან აკავშირებდა (*Путешествие по Сванетии А. И. Стоянова...*, გვ. 346).

² **В. Я. Тепцов.** Сванетия..., გვ. 42-43; სვანებს არაქართველური წარმოშობისად მიიჩნევენ სხვა ავტორებიც (იხ.: *Поездка в волную Сванетию полковника Бартоломея в 1853 году.* Тифлиси, 1855, გვ. 90-91; *Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию Графини Уваровой. – Материалы по археологии Кавказа.* Выпуск X. Москва, 1904, გვ. 27).

³ **И. И. Пантюхов.** Население Кутаисской губернии. Санкт-Петербург, 1892, გვ. 33.

⁴ **ლეონტი მროველი.** ცხორება ქართველთა მეფეთა. – *ქართლის ცხოვრება...*, 2008, გვ. 47.

კონცენტრირებული,¹ სვანეთის ტერიტორიის დასახლება კი მოხდა პრაქტიკული ტომების მიერ, სავარაუდოდ ადრებრინჯაოს ხანაში² და ამ დროიდან მოყოლებული დღემდე იქ დასტურდება ცხოვრების უწყვეტი გაჭვი მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (სვანური) მოსახლეობისა.³

მართალია, სვანების წარმომავლობის შესახებ არაერთი ურთიერთგამომრიცხავი და ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული მოსაზრება იყო გავრცელებული XIX – XX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ სადღეისოდ უკვე კარგა ხნის დადგენილია სვანური ენის მეგრულ და ქართულ ენებთან გენეტიკური ნათესაობა და ამ ენების საერთო, – წინარექართველური ფუძეენიდან წარმომავლობა,⁴ – სვანების ქართველობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სვანები ჩამოყალიბდნენ პრაქართველური მოსახლეობის იმ ნაწილისგან, რომელიც ადრებრინჯაოს ხანაში განსახლდა დასავლეთ საქართველოში, რიონს ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით, კავკასიონის სამხრეთი კალთების ჩათვლით და რომლის განსახლების არეალი, დროთა განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო იზღუდებოდა და საბოლოოდ შემოიფარგლა ძირითადად იმ ტერიტორიით, რომელსაც დღევანდელი მესტიისა და ლენტეხის რაიონები მოიცავს. სხვადასხვა დროს, ადგილი უნდა ჰქონოდა ასევე სვანურენოვანი მოსახლეობის წიაღში სხვადასხვა გვარტომობისადმი კუთვნილი ჯგუფების ინფილტრაციას და ასიმილაციას.

¹ **ოთარ ჯაფარიძე.** ქართველი ერის ეთნოგენეზის., გვ. 186-187, 196.

² **გურანდა ფხაკაძე.** დასავლეთ ამიერკავკასია ძვ. წ. III ათასწლეულში. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1993, გვ. 30-31; **შოთა ჩართოლანი.** ძველი სვანეთი. თბილისი, *მზს კერა* XXI, 1996, გვ. 269.

³ სვანეთის ტერიტორიაზე ადამიანის მეღწევის პირველი კვალი ნეოლითურ ხანაში დასტურდება (ძვ. წ. VII-VI ათასწლეულები), თუმცა ქვის ხანიდანვე რეგიონის ათვისება საეჭვოა. უფრო სარწმუნო ჩანს აქ მონადირე-შემგროვებელთა (სავარაუდოდ პრაქართველურივე ეთნიკური წრისადმი კუთვნილი ჯგუფის) დროებითი საზაფხულო სადგომის არსებობა.

⁴ **თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი.** სონანტთა სისტემა და., გვ. 3-4.

IRAKLI ARGHVLIANI

**OF THE ISSUE OF KARTVELIAN ETHNO-NATIONAL UNITY
AND THE ORIGIN OF THE SVANS**

Summary

In the article on the background of a rather extensive and comprehensive analysis of the historiographical heritage, the issue of the origin of the Svans is discussed. It is noted that in the 19th and early 20th centuries, there were a number of conflicting and unrealistic views on this issue. Today, the genetic relationship of the Svan language with the Megrelian and Georgian languages and the common origin of these languages – from the pre-Georgian roots has already been established. The Svans formed from the part of the pre-Georgian population that settled in western Georgia during the Early Bronze Age, north and northeast of the Rioni River, including the southern slopes of the Caucasus, and whose settlement area, over time, was restricted for a variety of reasons and was eventually limited mainly to the area that includes the present-day Mestia and Lentekhi districts. At different times, infiltration and assimilation of groups belonging to different genera should also take place in the entrails of the Svan-speaking population.

ლია გაბლიშვილი

რა იცოდნენ საქართველოში ჩინეთსა და ჩინელებზე

ჩინეთისა და ჩინელების კვალი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. საინტერესოა, პირველად სად და როგორ გაჩნდა ჩინეთი ქართულ სინამდვილეში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩინეთი ძველ ქართულ წყაროებში მოიხსენიება შემდეგი სახელწოდებებით: ჩინი, ჩინეთი, მაჩინეთი, ჩინ-მაჩინი, ხატაეთი.¹ სწორედ „ჩინ“ ფუძისგან წარმოდგება ამ ქვეყნის დღევანდელი სახელწოდება „ჩინეთი“.²

XI საუკუნის სპარსული პოემა „ვისრამინის“ თარგმანი არის პირველი ქართულენოვანი წერილობითი ძეგლი,³ რომელშიც გვხვდება ტერმინი „ჩინ“. თხზულებაში არაერთგანაა მოხსენიებული ჩინელები და ჩინეთი. მაგალითად, „სძლისგანცა უკვლუცენთა“ ჩამონათვალის შემდეგ აღნიშნულია, რომ მათ შორის „იყვნეს: **ჩინელნი, თურქნი, ბარბარელნი, ბერძენნი, აზნაურისა ასულნი**“; ასევე როდესაც „აქ ხუზისტანით მოიყვა-

¹ **ოთარ ჭიღლაძე.** ჩინეთის ტოპონომიკა ძველქართულ წყაროებში. – *ზამთრის ქართველოლოგიური სკოლა*. ნაშრომების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2016, გვ. 39 (https://www.academia.edu/38653277/ზამთრის_).

² ამის შესახებ ვრცლად იხ.: **Geoff Wade.** The Polity of Yelang (夜郎) and the Origins of the Name “China”. – *Sino-Platonic Papers*. Number 188, May, 2009. Department of East Asian Languages and Civilizations University of Pennsylvania. Philadelphia, PA 19104-6305 USA (<http://www.sino-platonic.org/index.html>); **ოთარ ჭიღლაძე.** ჩინეთის ტოპონომიკა ძველქართულ.., გვ. 39-40.

³ ითვლება, რომ XI საუკუნის სპარსელი პოეტის ფაზრ ალ-ადინ ასად გორგანის სამიჯნურო პოემის „ვის ო რამინის“ პროზაული თარგმანი, შესრულებულია XII საუკუნეში სარგის თმოგველის მიერ. ამის შესახებ იხ. **კორნელი კეკელიძე.** ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. II. მესამე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. თბილისი, *სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 1952 გვ. 52-53.

ნეს ვისი ჰამიანის ქალაქსა“ და შაჰრომ სცხო მას „მუშკი-ამბარი“ და „ოქრო-ქსოვილიანი“ შესამოსელით შემოსა, ავტორი აღნიშნავს, რომ „ესრეთ შეკაზმა, ვითა მანი **ჩინელისა** სახეო“; „და გაგზავნილნი წავიდეს ქარისაგან უფიცხვსად ყოველგან [და იტყოდეს], ვითა: „შევიყრებით, შევეკაზმებით მათ ზედა მისავლად ტაბარისტანით, ჯორჯანით, დეისტანით, სვარაზმით, ხორასანით, ქოისტანით, სინდით, ჰინდოეთით, თობითით, **ჩინით-მაჩინით**, სულდით და თურანითაო“; „ჰშვენოდა ყელ-ყური სამკაულიანი და თვით შვენოდა ერთობით უებროდ, ვითა **ჩინური** სახე ოქსინოსა შიგან“; „მოაბად მას დღესა ეგზომი გაუგზავნა, თვითო-თვითო ვინ ავსენოს: მრავალი ზანდუკი ოქროისა თვალითა და მარგალიტითა სავსე... და მრავალნი მონა-მხევალნი – ბერძენნი, **ჩინელნი** – [პირმთვარენი], ყველანი კვლუცნი...“; „ჰე კვლუცთა დასაბამო... **ჩინელნი** კვლუცნი მუნგან ამფოთებულან, ბარბარული ბუთი მუნგან გაწბილებულა...“; „**ჩინეთს** ქვაზედ წერი, ვითა: „მიჯნურთა ჯოჯოხეთი სამოთხედ უჩნს, რა მოყვარესა ახლავს, მიჯნურსა, თუ პილწიცა, მას ეტრფიალების...“; მოიარა ყოველი პირი მიწისა: ოხერი და შენი, ზღვა და ხმელი, ჰინდოეთი, თურქეთი, საბერძნეთი, **ჩინი-მაჩინი**, რანი და ერაყი...“; „... ერანისა და თურანისა პატრონი ხარ, **ჩინით** ყიროვნამდის ყველა მენია...“; „ინდოეთითგან დაიწყე: **ჩინი**, ბარბარი, საბერძნეთი, ერანი ხორასანამდის მუნ და მუნსა ძმასა მორჭმით გაქვსთ...“; „ყველა ოქრო-ქსოვილი, **ჩინური**, ბადდადური ოქსინო და ყველასთანა ყველა ერთმანერთისა მჯობი...“; „მხევალნი ჰყვნეს მისებრვე შვენვარენი: **ჩინელნი**, თურქნი, ბერძენნი...“; „ქალაღდისა ნაცვლად **ჩინური** ჰეტრატკონი მოიღო...“; „გულისა ცეცხლითა დამწვრისა – **ჩინურის** სტავრისა მსგავსსა...“; „სახელმწიფოთა სარტყელთა ირტყემვდი, თუ ოქრო-ქსოვილი **ჩინური** არ იყვის, – ტანსა არ შეიმოსი...“; „ჰე ყვავილო **ჩინელთა**, ბარბარელთა...“; „ქვეყანა მრავალ-ფერობითა **ჩინურისა** სტავრისაებრ გასრულ იყო...“; „**ჩინით** ბარბარამდის ყოველი ქვეყანა დაიჭირა...“.

როგორც ვხედავთ, „ვისრამიანში“ უხვადაა ინფორმაცია ჩინეთის, ჩინელების და ჩინური წარმოების საგნების შესახებ. ჩინეთი ნახსენებია იოანე შავთელის „აბლუმესიანშიც“: „ეგვიპტეს, მაშრიყს, **ჩინეთ-მაჩინეთს**, თარშის ქებულსა!“¹ ასევე სარგის თმოგველის „დილარიანში“:

¹ იოანე შავთელი. აბლუმესიანი. თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა. – ძველი ქართული მხეობტენი. წ. 2. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964, გვ. 117, ხაზგასმა ჩვენია – ლ.გ.

„ყოველივე უნაკლულოდ უამბო, წარვიდა ეს დალალი და მის ხელმწიფის დედოფალთან მივიდა, რომელი იგი იყო დედოფალი **ჩინეთის** მეფისა, ქალი ქეთევან“.¹ აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ნაწარმოები ცნობილი იყო შოთა რუსთველისთვისაც. იგი თავისი პოემის სხვადასხვა ადგილას ახსენებს ვისსა და რამინს („იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა“;² „ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა“;³ „ნუ ეჭვ მიჯნურად მათებრსა ნუცა თუ რამინს და ვისსა“⁴). ასევე საინტერესოა, რომ შოთა რუსთაველს თავის პოემაში, ისევე როგორც ფახრ ალ-დინ ასად გორგანს „ვისრამიანში“, დასახელებული აქვს ჩინური, ჩინეთის ქვა – „ესე არაკი მართალი **ჩინს** ქვასა ზედა სწერი: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.⁵ ეს არის სწორედ ის ერთადერთი ადგილი „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ნახსენებია ჩინეთი, როგორც „ჩინ“, რაც დანამდვილებით აღნიშნავს ჩინეთს.⁶

„ვეფხისტყაოსანში“ მრავლად გვხვდება ტერმინი „ხატაეთი“,⁷ რო-

¹ დილარიანი ქმნილი XII საუკუნეში სარგის თმოგველის მიერ. გამოცემა **ზ. ჭიჭინაძისა**. ტფილისი, 1997, ხაზგასმა ჩვენია – **ლ. გ.**

² შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. რედაქტორი **დალი გერმანიშვილი**. ტექსტი შედარებულია 1957 წელს **ალ. ბარამიძის**, **კ. კეკელიძისა** და **ა. შანიძის** რედაქტორობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანთან“. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 181, 183-ე ტაეპი.

³ შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. რედაქტორი **დალი გერმანიშვილი**. ტექსტი შედარებულია 1957., გვ. 220, 1080-ე ტაეპი.

⁴ შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. რედაქტორი **დალი გერმანიშვილი**. ტექსტი შედარებულია 1957., გვ. 311, 1543-ე ტაეპი.

⁵ შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. რედაქტორი **დალი გერმანიშვილი**. ტექსტი შედარებულია 1957., გვ. 177, 854-ე ტაეპი, ხაზგასმა ჩვენია – **ლ. გ.**

⁶ აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსნის ჩინურ თარგმანშიც ამ აფორიზმში ნახსენებები „ჩინ“ გადატანილია, როგორც ჩინეთი (“中国”). იხ.: 格鲁吉亚) 鲁斯塔维里, **虎皮武士/ 严永兴译/南京, 2002 年** – „ვეფხისტყაოსანი“ (ჩინური თარგმანი), მთარგმნელი **იენ იუნგსინგი**. ნანძინგი, 2002, გვ. 181.

⁷ დადგენილია, რომ ტერმინი „ხატაეთი“ მომდინარეობს „ხიტანების“ /„Ch'itan“/ ტომისაგან ინფორმაცია, რომელთა შესახებ პირველად ჩნდება ჩინურ წყაროებში ახ. წ. IV საუკუნიდან. ამ ტომებს უკავშირდება ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში **ლიაოს სამეფოს** დაარსება ახ. წ. X საუკუნეში (**Denis Twitchett, Klaus-Peter Tietze**. The Liao. – *The Cambridge History of China*. Vol. 6. *Alien regimes and border states*, 907-1368. Edited by **Herbert Franke** and **Denis Twitchett**. Cambridge University Press, 2008, გვ. 75; **ოთარ ჭილაძე**. ჩინეთის

მელიც მკვლევართა ნაწილის აზრით უნდა აღნიშნავდეს ჩრდილოეთ ჩინეთს.¹ კერძოდ, ეს თვალსაზრისი განვითარებულია *აღუქსანდრე სვანიძის* ნარკვევში.² მისი დასკვნით, ხატაეთის ქვეშ იგულისხმებოდა ჩრდილოეთ ჩინეთის ის ტერიტორიები, რომელსაც ისტორია სახმელეთო ურთიერთობებით იცნობდა, ხოლო „ჩინ“ და „ჩინ-მაჩინ“ ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთს უნდა აღნიშნავდეს.³ ალ. სვანიძე ცნობილი ბრიტანელი სინოლოგის *ედვარდ ჰარკერის* ნაშრომზე დაყრდნობით, კიტან-ხატა-

ტოპონომიკა ძველქართულ., გვ. 43). მას შემდეგ, რაც 1125 ჩრდილოეთ ჩინეთში ძინის დინასტია დამკვიდრდა (1125-1235). ხიტანების ნაწილი აიყარა და დასავლეთით გადაინაცვლა, სადაც ამჟამინდელი ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით და ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე „ყარა-ხიტანის“ („შავი ხიტანები“) ახალ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი. **ოთარ ჭილაძე**. ჩინეთის ტოპონომიკა ძველქართულ წყაროებში, გვ. 43.

¹ ა. ს. ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ გეოგრაფიული სარჩული. ტფილისი, *სახელგამი*, 1934, გვ. 30. უახლესი პუბლიკაციებიდან იხ.: *The Secret History of the Mongols. The Life and Times of Chinggis Khan. Translated, Annotated, and with an Introduction by Urgunge Onon.* London-New York, *Routledge Curzon Press*, 2001, გვ. 112, 233; **ოთარ ჭილაძე**. ჩინეთის ტოპონომიკა ძველქართულ წყაროებში, გვ. 41. რევაზ კიკნაძე ასევე თვლის, რომ *ხატაეთი* ჩრდილოეთ ჩინეთი იყო (*ჯუჯეინის ცნობები საქართველოს შესახებ*. სპარსულ სპარსულ ტექსტს შესავალი წაუძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო *რევაზ კიკნაძემ*. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974, გვ. 64-65), თუმცა „შემდგომში ეს სახელწოდება თანამედროვე ჩინეთის მთელს ტერიტორიაზე გავრცელდა“ (*ჯუჯეინის ცნობები..*, გვ. 64). განსხვავებული თვალსაზრისია წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ჩინურ თარგმანში, რომელშიც *ხატაეთი* გადატანილია – „ხათაი“-დ (哈塔伊), სქოლიოში კი განმარტებულია, როგორც სახელმწიფო შუა აზიაში (格鲁吉亚) 鲁斯塔维里, 虎皮武士/ 严永兴译/南京, 2002 年 – „ვეფხისტყაოსანი“ (ჩინური თარგმანი), მთარგმნელი *იენ იუნგსინგი*. ნანძინგი, 2002, გვ. 41 (199-ე ტაეპი).

² ა. ს. ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ გეოგრაფიული სარჩული. ტფილისი, გვ. 30. დადგენილია, რომ ა. ს.-ის ქვეშ იგულისხმება სწორედ *აღუქსანდრე სვანიძე*, თვალსაჩინო პარტიული მოღვაწე (იოსებ სტალინის ახლო ნათესავი, მისი გარდაცვლილი მეუღლის, *ეკატერინა სვანიძის* ძმა), რომელიც ამავე დროს იყო საკმაოდ ავტორიტეტული მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე, ცნობილი პერიოდული სამეცნიერო გამოცემის „*Вестник древней истории*“-ის დამფუძნებელი და პირველი მთავარი რედაქტორი.

³ ა. ს. ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ გეოგრაფიული სარჩული, გვ. 30.

ელების სამეფოს წარმოქმნას ათარილებს 916 წლით¹ და აღნიშნავს, რომ იგი მოიცავდა ჩვილის, შენსის, შანდუნის, ხენანის (ნაწილს), მონღოლეთის და მანჯურიის პროვინციებს, მას მიეკუთვნებოდა სინძიანის პროვინციაც. ხატაეთის სატახტო ქალაქი კი პეკინი იყო.² რაც შეეხება სამხრეთ ჩინეთს, ის იმჟამად სუნის დინასტიის გამგეობის ქვეშ იმყოფებოდა.³

ხატაეთის სამეფოს დაარსება თითქოს ხატაეთის მეფის ნათესავის ტუში-ტალგუნის მიერ შენსიში თავის შეფარებას, იქ ჯარების შეკრებას და კაშგარის, იერკენდის, ხოტანის, თურქისტანის და უიღურეთის დაპყრობას უნდა უკავშირდებოდეს. მაჰმადიანი მწერლები ამ ქვეყანას მოიხსენიებენ, როგორც ყარა-ხატაეთს, შემდგომში ამ სამეფოს საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა და მოიცვა როგორც რუსული, ისე ჩინური თურქისტანი, რომელიც თავის მხრივ ინდოეთს ესაზღვრებოდა.⁴ აღსანიშნავია, რომ ხატაეთი სწორედ ის ადგილია, რაზეც ტარიელი ამბობს: „ერთგან ვნახე საკვირველი ყაბაჩა და ერთი რიღე“ (460-ე ტაეპი).⁵ ასევე საინტერესოა ფრაზა: „ხარაჯა დასდევს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია, კვლა ხატაური მრავალი, სხვა სტავრა, სხვა ატლასია“ (471-ე ტაეპი),⁶ რომელიც მიუთითებს ძვირფას აბრეშუმის ქსოვილებზე, რითაც ჩინეთს სახელი ჰქონდა განთქმული. ცნობილია ასევე, რომ 1222 წელს სპარსეთის

¹ Э. Г. Паркер. Китай, его история, политика и торговля с древнейших времен до наших дней. Перевёл с английского М. Грулев. Санкт-Петербург, 1903, гл. 57-58; ა. ს. (ალექსანდრე სვანიძე). ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ გეოგრაფიული სარჩული, გვ. 30. სავარაუდოა, რომ ა. სვანიძე სარგებლობდა ინგლისელი მეცნიერის მონოგრაფიის სწორედ ამ რუსული თარგმანით. აღსანიშნავია, რომ ედ. პარკერის ნაშრომის ორიგინალის მეორე გამოცემაში (1917 წ.) კიტან-ხატაელების სამეფოს არსებობის ქვედა ზღვრად მითითებულია 915 წელი. იხ.: E. H. Parker. China, her history, diplomacy, and commerce, from the earliest times to the present day. Second Edition. New York, E. P. Button And Company, 1917, გვ. 33.

² ა. ს. ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ გეოგრაფიული სარჩული, გვ. 30.

³ ა. ს. ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ გეოგრაფიული სარჩული, გვ. 30.

⁴ ა. ს. ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ გეოგრაფიული სარჩული, გვ. 30.

⁵ შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. რედაქტორი დალი გერმანიშვილი. ტექსტი შედარებულია 1957., გვ. 100.

⁶ შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი., 1957., გვ. 102.

ტერიტორიაზე – ქირმანში დაარსდა კიდევ ერთი ხატაური სამთავრო,¹ რომელიც ძვირფასი ქალაღაიებით (ქირმან შალი) იყო განთქმული.² საკუთრივ „ჩინეთი“ – ჩინეთის აღმნიშვნელ ტერმინად გვხვდება უცნობი ავტორის „რუსუღანიანიში“.³

ჩინეთზე ინფორმაციებს ვხვდებით „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. კერძოდ, კი XIV ს. *ქამთააღმწერლის* ქრონიკაში, რომელიც „ასწლოვანი მატიანის“ სახელითაცაა ცნობილი.⁴ აღნიშნულ მატიანეში „ჩინეთი“ მოხსენიებულია, როგორც ჩინ-მაჩინი, რაც მკვლევარების აზრით მთლიან ჩინეთს უნდა აღნიშნავდეს.⁵ ივარაუდება, რომ „მაჩინი“ და

¹ ა. ს. ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ გეოგრაფიული სარჩული, გვ. 31.

² იოსებ გრიშაშვილი. ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა). გამოსაცემად მოამზადა *რუსუღან კუსრაშვილმა*. თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, 1997, გვ. 304.

³ რუსუღანიანი. – *ქართული ჰროზა*. ტ. IV. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983, გვ. 25. *რუსუღანიანი*. ამ თხზულების დაწერის დრო ბოლომდე დადგენილი არ არის. ერთი მოსაზრებით, ის XIII საუკუნეში შექმნილად ცხადდება, სხვა შეხედულებით, „რუსუღანიანი“ დაწერილი უნდა იყოს XV საუკუნეში, ან სულაც XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. ამის შესახებ იხ.: კორნელი კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. II. მესამე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. თბილისი, *სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*, 1952 გვ. 325-328; *რუსუღანიანი*. საშუალო საუკუნეთა ქართული ლიტერატურის ძეგლი. *ივანე გიგინეიშვილის* შესავალი წერილით. *ილია აბულაძისა* და *ივანე გიგინეიშვილის* რედაქციით. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1957, გვ. XI.

⁴ ამის შესახებ ვრცლად იხ.: რევაზ კიკნაძე. *ქამთააღმწერელი* და მისი „ასწლოვანი ისტორია“. – წიგნში: *ქამთააღმწერელი*. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო *რევაზ კიკნაძემ*. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, გვ. 10-33.

⁵ *რევაზ კიკნაძის* განმარტებით, „ჩინი“ ცენტრალურ ჩინეთის აღმნიშვნელი უნდა უნდა ყოფილიყო, მაჩინი კი სამხრეთ ჩინეთსა. იხ.: *ქამთააღმწერელი*. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო *რევაზ კიკნაძემ*. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987, გვ. 221. მკვლევრების დაკვირვებით აღმოსავლურ ლიტერატურაში გარცელებული ტენდენცია იყო ორი თანამჟღერი სიტყვის ერთად გამოყენება, რითაც ორი შინაარსის გაერთიანებას ახდენდნენ. ამის მაგალითად მოაქვთ სინდი და ჰინდი, რომელშიც მთლიანი ინდოეთი იგულისხმება, ასევე ირან-თურანი) შესაბამისად მათი აზრით

და მარკო პოლოს მიერ მოხსენიებული „მანზი“ ერთსა და იმავეს „სამხრეთ ჩინეთს უნდა აღნიშნავდეს.¹

„ჩინმაჩინის“, „ჩინეთის“, აგრეთვე „ხატაეთის“, მოხსენიების კუთხით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ასწლოვანი მათიანის“ პასაჟი, რომელშიც ჯალალ ედ-დინი მოხაზავს თავის სამფლობელოებს: „ფარმანსა ჩემსა ჟუემუ იყო ყოველი სპარსეთი ადარბადაგნით ვიდრე ჯონამდე და ჯონით ვიდრე ინდოეთამდე, თურანი, ხატაეთი, ჩინმაჩინი და ყოველი აღმოსავლეთი. განგებითა ზენითა გამოჩნდეს ჟუეყანასა ჩინეთისასა, ადგილსა მურაფხსა, ყარაყურუმად წოდებულსა, კაცი ვინმე საკვრველნი, უცხონი და უცხოთა ცხოვრებითა მყოფნი, რომელთა ყოველი აღმოსავლეთი დაიდორჩილნეს და მრავალნი ჯელმწიფენი მოსრნეს. ჯელმწიფედ ჰყვის კაცი ვინმე საკვრველი, ღრმა და გამგონე, მუნე ბრძოლასა შინა, სახელითა ჩინგიზ ყენი. ამან ჯელთ იგდო ხატაეთი...“² დადგენილია, რომ ჟამთააღმწერელი კარგად იცნობდა სპარსულ წყაროებს,³ პირველ რიგში, ცნობილი სპარსი ისტორიკოსის ჯუვეინის თხზულებას, საიდანაც იყენებდა ტერმინ „ჩინს“.⁴

„ჩინი-მაჩინი – მთლიან ჩინეთს უნდა აღნიშნავდეს. ამის შესახებ იხ. **ოთარ ჭიღლაძე**. ჩინეთის ტოპონომიკა ძველქართულ წყაროებში, გვ. 42-43.

¹ **ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ..**, გვ. 64; **ოთარ ჭიღლაძე**. ჩინეთის ტოპონომიკა ძველქართულ.., გვ. 42. იქვე შესაბამისი ლიტერატურა.

² **ჟამთააღმწერელი**. ასწლოვანი მათიანე (ტექსტი გამოსაცემად მომზადებულია გიული ალასანიას მიერ). – *ქართლის ცხოვრება*. მთავარი რედაქტორი **როინ მეტრეველი**. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, „არტანუჯი“. 2008, გვ. 538. შდრ.: **ჟამთააღმწერელი**. ასწლოვანი მათიანე.., 1987, გვ. 58, ხაზგასმა ჩვენია – **ლ. გ.**

³ **რევაზ კიკნაძე**. ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები. კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, II. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962, გვ. 127-156; **რევაზ კიკნაძე**. ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინი და მისი „თარიხ-ე ჯაჰანგომად“. – *ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ*. სპარსულ სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო **რევაზ კიკნაძემ**. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974, გვ. 17; **რევაზ კიკნაძე**. ჟამთააღმწერელი და მისი „ასწლოვანი ისტორია“, გვ. 23.

⁴ **რევაზ კიკნაძე**. ჟამთააღმწერელი და მისი „ასწლოვანი ისტორია“, გვ. 23. ეს უკანასკნელი მონღოლთა უგედვი ყაენის სამფლობელოზე საუბრისას მის აღმოსავლეთ საზღვარს „მაჩინსა“ და „ჩინზე“ ავლენს (იხ.: *The History of the World-Conqueror by Ala-ad-Din 'Ata-Malik Juvaini*. Translated from the text of

ამის შემდეგ იწყებს ჩინ-მაჩინელების გარეგნობის და ცხოვრების წესის აღწერას. მისი თხზულების რამდენიმე ეპიზოდი მიუთითებს ჩინეთის ლოკალიზაციაზე, მაგალითად, როდესაც ჩინგიზ ყაენი ხატაეთში იმყოფებოდა ეკლესიაში ქრისტეს სახე დაინახა და თქვა: „აჰ კაცი იგი, რომელი მთასა **ჩინეთისასა** ვიხილე, ამ სახითა იყო, ამან მასწავა ყოველივე წესი“.¹ მიაჩნიათ, რომ ეს მთა ჩინეთში იყო, ჩინეთის (ჩინ-მაჩინის) ქვეშ, როგორც ჩანს, მონღოლეთის ტერიტორიასაც მოიაზრებდნენ.² ამის ერთგვარი დადასტურებაა ჟამთააღმწერლის მიერ მოტანილი მონღოლთა დახასიათება: „*ქუეყანასა შზისასა, აღმოსავლეთით კერძო, რომელსა ეწოდების ჩინ-მაჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკრველნი ადგილსა, ყარაყურუმაღ წოდებულსა, უცხო სახითა, წესითა და შესახედავადცა...*“.³ აღსანიშნავია, რომ ამ პასაჟში მემატიანე ცალკე ჩერდება თურქმან-უიღურებზე, რომლებიც, როგორც ცნობილია, ამჟამად ჩინეთის შემადგენლობაში არიან: „*ხოლო უიღურნი კერპისმსახურნი იყუნეს, რომელთა ქუჩინად უჭმობდეს... ესენი ენითა მათითა უწოდიან თავთა მათთა მონღოლ, ხოლო ქართველნი თათრად, რომელთა ვგონებ ერთსოფელუად...*“.⁴

„ჩინ-მაჩინი“ და „ხატაეთი“ ნახსენებია იმ ეპიზოდშიც, სადაც საუბარია ჩინგიზ ყაენის მიერ მისი შვილებისთვის სამფლობელოების დაწინაურებაზე: „*მესამესა შვილსა ოქოთასა მისცა თუით მისი ტახტი საჯდომად და ყარაყორუმი, ჩინ-მაჩინი, ემელისა და ყუბაყისა ქუეყანა, ხატა-*

Mirza Muhammad Qazvini by **John Andrew Boyle**, vol. I. Cambridge, Massachusetts, *Harvard University Press*, 1958, გვ. 201; *Чингисхан. История Завоевателя Мира, записанная Ала-ад-Дином Ата-Меликом Джувейни*. Перевод с текста Мизры Мухаммеда Казвини на английский язык **Дж. Э. Бойла**, с предисловием и библиографией **Дэвида О. Моргана**. Перевод текста с английского на русский язык **Е. Е. Харитоновой**, Москва, «Издательский дом «Магистр-Пресс», 2004, გვ. 134; **ოთარ ჭიღლაძე**. ჩინეთის ტოპონომიკა ძველქართულ წყაროებში, გვ. 41.

¹ **ჟამთააღმწერელი**. ასწლოვანი მატიანე., 1987, გვ. 48. ამ პასაჟის ერთგვარ განმარტებას წარმოადგენს ფრაგმენტი „*ჩინგიზ ყაენ აღვიდა მთასა მაღალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა*“ (**ჟამთააღმწერელი**. ასწლოვანი მატიანე., 1987, გვ. 48), საზგასმა ჩვენია – **ლ. გ.**

² **ოთარ ჭიღლაძე**. ჩინეთის ტოპონომიკა ძველქართულ წყაროებში, გვ. 41-42.

³ **ჟამთააღმწერელი**. ასწლოვანი მატიანე., 2008, გვ. 527-528. შდრ.: **ჟამთააღმწერელი**. ასწლოვანი მატიანე., 1987, გვ. 43-45. საზგასმა ჩვენია – **ლ. გ.**

⁴ **ჟამთააღმწერელი**. ასწლოვანი მატიანე., 2008, გვ. 527-528. შდრ.: **ჟამთააღმწერელი**. ასწლოვანი მატიანე., 1987, გვ. 44-46, საზგასმა ჩვენია – **ლ. გ.**

ეთი“.¹ „ჩინეთი“ იხსენიება ბაბილოვანის აღების ეპიზოდში, როდესაც ქართველებმა და თათრებმა ხელთ იგდეს აურაცხელი სიმდიდრე და მათ შორის იყო „ჭურჭლნი ჩინეთით და ქაშანით მოხმულნი...“;² ხოლო როდესაც ბათო ყაენმა წარავლინა არღუნი თავისი საბრძანებლის სხვადასხვა მხარეში, ჩამოთვლილ ქვეყანათა შორის ფიგურირებს ჩინეთიც: „ესე წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა მას მისსა რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაღეთს, ვიდრე ბნელეთამდე, და აღმოსავლით ვიდრე ჩინეთამდე და ხატაეთამდე, რათა აღთუალოს... მხედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი...“.³ თხზულებაში ასევე ნახსენებია ალთუნ-ხანი, რომელსაც მონღოლები ცინის დინასტიის იმპერატორს უწოდებდნენ.⁴

„ჩინი“ და „მაჩინი“ ნახსენებია XVII საუკუნის პოეტის ფეშანგი ფაშვიბერტყაძის (ხითარიძვილის) პოემა „მაჰნავაზიანში“: „მას უჭირავს ჩინ მაჩინი, აგრე სრულად ინდოეველი“.⁵

ჩახრუხადის ჩინეთში სავარაუდო მოგზაურობის შესახებ. ჩინეთისა და საქართველოს ისტორიული გადაკვეთის წერტილების კვლევისას ძალიან საინტერესო და გასათვალისწინებელია იმ ქართველი მოგზაურების ჩანაწერები, რომლებმაც ჩინეთში ერთ-ერთმა პირველებმა იმოგზაურეს და დაგვიტოვეს მნიშვნელოვანი ცნობები ჩინეთის, ჩინელი ხალხის ცხოვრების წესის, კულტურის, მსოფლმხედველობის და კონკრეტულ ეპოქაში მათი განვითარების დონის შესახებ. უპირველეს ყოვლისა მათ შორის უნდა დასახელდეს თამარ მეფის მეხოტბე, მოგზაური ჩახრუხაძე. სანამ უშუალოდ მისი შთამბეჭდავი და საკმაოდ მასშტაბური მოგზაურობის შესახებ ვისაუბრებდეთ, მოკლედ ქართველთა გეოგრაფიულ თვალსაწიერზე.

ქართველ ხალხს საკმაოდ ადრეულ პერიოდში ჰქონდა მიმოსვლა უცხო ქვეყნებში, ქართველთა მოგზაურობისთვის ხელშემწყობ ფაქტორს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენდა, იქიდან გამომდინარე, რომ კავკასია იყო ევროპისა და აზიის შემაკავშირებელი ხიდი. საქართველოში გადიოდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო გზები:

¹ **ჟამთააღმწერელი.** ასწლოვანი მატიანე.., 1987, გვ. 65, ხაზგასმა ჩვენია – **ლ. გ.**

² **ჟამთააღმწერელი.** ასწლოვანი მატიანე.., 1987, გვ. 114, ხაზგასმა ჩვენია – **ლ. გ.**

³ **ჟამთააღმწერელი.** ასწლოვანი მატიანე.., 1987, გვ. 116, ხაზგასმა ჩვენია – **ლ. გ.**

⁴ **ჟამთააღმწერელი.** ასწლოვანი მატიანე.., 1987, გვ. 47, 222.

⁵ **ფეშანგი.** შაჰნავაზიანი. **გიორგი ლეონიძის და სოლომონ იორდანიშვილის** რედაქციით. ტფილისი, სახელგამი. 1935, გვ. 40.

დასავლეთში შავ ზღვასა და მდინარე ფაზისზე, ხოლო აღმოსავლეთში – მდინარე მტკვარზე. ახ. წ. V ს. უცნობი ავტორი წერს, რომ ფაზისში თავს იყრიდნენ 60 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომის წარმომადგენლები.¹

ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში კარტოგრაფიამ განვითარება იწყო საბერძნეთში. ელემენტარული კარტოგრაფიული ცოდნა საქართველოში უნდა ჰქონოდათ ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან მაინც, მაგრამ „*პერიოდულად მტერთა შემოსევები აფერხებდა და ანადგურებდა კულტურისა და ეკონომიკის მიღწევებს. ამით უნდა აიხსნას ის, რომ XVIII საუკუნემდე ქართულ კარტოგრაფიული ძეგლები და მოგზაურთა ჩანაწერები თითქმის არ გაგვაჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებს*“.² XI-XII საუკუნეებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნამ და შემდგომმა გაძლიერებამ დიდი გავლენა მოახდინა ცხოვრების ყველა სფეროზე, სწორედ ამ პერიოდში განვითარდა მეცნიერების მრავალი დარგი, მათ შორის გეოგრაფია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თამარისა და ლაშა-გიორგის ეპოქაში (XIII ს. 10-იან წლებში) საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში შედიოდა მთელი კავკასია, სპარსეთის ჩრდილოეთი პროვინციები და ანატოლიის აღმოსავლეთი თემები. სახელმწიფოში შემავალი ქვეყნები სხვადასხვა დამოკიდებულებაში იყვნენ საქართველოს სამეფო ტახტთან, ზოგი მათგანი უშუალოდ ემორჩილებოდა სამეფო ცენტრს, ზოგი კი ყმადნაფიცის სტატუსით მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. კლასიკური პერიოდის ქართულ ლიტერატურაში განვითარდა ე.წ. საკარო-სახოტო პოეზია, რაც დაკავშირებული იყო სამეფო კარის ცხოვრებასთან, კარის პოეტი ხოტბას ასხამდა მეფეს და მის მიერ ჩადენილ საგმირო და სახელოვან საქმეებს. სწორედ მათ შორისაა ჩახრუხადის „*თამარიანი*“.

„*თამარიანი*“ ლირიკულ ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს, პოემის ძველ XVIII საუკუნეზე აღრინდელ ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. პოემიდან შინაარსის გამოტანა ჭირდა და სრულიად გაუგებარ პოემად მიიჩნეოდა, სანამ *ნიკო მარი* არ დაადგენდა და გამოსცემდა ტექსტს.³ ტექსტი შედგენილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორის

¹ ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა *ნათელა კეჭყმაძისა*. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1961, გვ. 77-78.

² კობა ხარაძე. გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში (უძველესი პერიოდებიდან XVII საუკუნემდე). თბილისი, 1988, გვ. 9.

³ Н. Я. Марр. Древнегрузинские одописцы /XII в./ К столетию дня рождения М. И.

მიერ.¹ პოემა განადიდებს თამარ მეფეს და დავით სოსლანს. ჩახრუხაძეს თავისი პოემა „*თამარიანი*“ (იგივე „*ქება თამარ მეფისა*“) ამავე დროს საკმაოდ ფართო გეოგრაფიული ხედვით აქვს დაწერილი და დღესდღეობით მის ჩინეთში მოგზაურობასაც ადასტურებს. ჩახრუხაძის პოეტური მემკვიდრეობისადმი დიდი ხნის მანძილზე საკმაოდ ნიჰილისტური დამოკიდებულება სუფევდა. ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც გამოიცა ნიკო მარის ცნობილი გამოკვლევა ძველ ქართველ მეხოტბეებზე² და პავლე ინგოროყვას ვრცელი ესსე საკუთრივ ჩახრუხაძეზე.³ სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია ივანე ლოლაშვილის გამოკვლევა.⁴

ჩახრუხაძის ვინაობა დღემდე არ არის ბოლომდე დადგენილი. მწერალი, მეცნიერი, ღვთისმეტყველი, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე ანტონ კათალიკოსი, ჩახრუხაძის შესახებ აღნიშნავდა: „*ჩახრუხაის ძე,*

Броссе. Грузинский текст исследовал, издал и словарем снабдил **Н. Марр**. – *Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии*. Кн. 4, № 5. Издания Факультета восточных языков Имп. С.-Петербургскаго университета. Санкт-Петербург, 1902.

¹ „*თამარიანის*“ შემადგენლობაშია 12 ოდა (ნიკო მარის მოსაზრებით კი 11 ოდა) და 2 ელეგია. *პავლე ინგოროყვას* აზრით, ოდებში დაცული რეალიების მიხედვით ისინი თამარის მეფობის პირველ ნახევარს მიეკუთვნება და დაწერილია 1184-1193 წლებში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით. ელეგიების დათარიღებისთვის კი საკმარისი აღმოჩნდა ტექსტების შესწავლა და დადგინდა, რომ ისინი შექმნილია XIII საუკუნის დასაწყისში მონღოლთა ბატონობის დამყარებამდე. მეტიც, შეიძლება ითქვას რომ ელეგიები დაიწერა თამარის მეფობის მეორე ნახევარში, არა უგვიანეს 1204 წლისა. იხ. **პავლე ინგოროყვა**. *თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად*, ტ. 5, თბილისი, გამომცემლობა „*ჩვენი მწერლობა*“, 2012, გვ. 347.

² **Н. Я. Марр**. Древнегрузинские одописцы...

³ **პავლე ინგოროყვა**. ჩახრუხაისძე, პოეტი, მოგზაური. *ესსაჲ საშუალ-საუკუნეთა აღმოსავლეთის პოუზიიდან*. – *კავკასიონი* (ქართული ყოველთვიური ჟურნალი), #1-2. 1924, გვ. 271-320; #3-4, გვ. 58-69. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წიგნში **პავლე ინგოროყვა**. *თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად*, ტ. 5, გვ. 339-406.

⁴ **ივანე ლოლაშვილი**. ჩახრუხაძის „*ქება მეფისა თამარისი*“. *გამოკვლევა*. – *ძველი ქართველი მეხოტბენი*. ჩახრუხაძე. ქება მეფისა თამარისი. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო **ივანე ლოლაშვილმა**. თბილისი, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*, 1957, გვ. 9-180.

უცხო პიიტიკოსი, თამარ დიდისა მკობი შაირებითა, შოთას შაირითა, თუ ჰსთუა უკეთესთადა, მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის-მოყვარე ყოვლად საუბი, რიტორთ მესტიხთ გვირგვინი“.¹ „მესტიხთ გვირგვინად“ ჰყავს მოხსენიებული ჩახრუხაძე იოანე ბაგრატიონსაც, რომლის მიხედვით ის სამეფო კარზე დაწინაურებული პირიც ყოფილა – „ცერემონიისტერი თამარ მეფისა“.² პ. ინგოროყვა ჩახრუხაძეს იხსენებს, როგორც *შაჰრუხ ჩახრუხაისძეს*, (პოეტის გვარი კრებულის ბოლოსიტყვაობაშია ნახსენები ხოლო სახელი ირკვევა ერთი ბიბლიოგრაფიული მოსახსენებლიდან).³

ვარაუდობენ, რომ პოეტი XII ს. 60-იან წლებშია დაბადებული და სრულწლოვანების შემდეგ ე.ი. 1184-1185 წლებში მიღებულია სამეფო კარზე.⁴ ერთი მოსაზრებით (პ. ინგოროყვა), ის მთიულეთიდან (მოხევე) უნდა ყოფილიყო.⁵ სხვა შეხედულებით (*ნიკო მარი, სარგის კაკაბაძე*) ჩახრუხაძე მესხეთის მკვიდრადაა მიჩნეული.⁶ პოეტი „მოყმეთა“, იგივე რაინდთა და „დიდებულთა“ წრეს მიეკუთვნებოდა.⁷ „თამარიანში“ ნახსენებები ელინელი მწერლები, მუსლიმური ინტელექტუალური მსოფლიოს შესახებ ცნობები, *შაჰ-ნამე, სალამანდა და ნიზამის* პოემები მეტყველებენ იმაზე, რომ ჩახრუხაძე უადრესად განათლებული პიროვნება ყოფილა. „თამარიანის“ ზოგი დეტალი გვაფიქრებინებს, რომ პოეტმა ბერძნული, არაბული და სპარსული ენები იცოდა, და საერთოდ მისთვის სპარსულ-არაბული სამყარო ძალიან ახლო იყო.

ჩახრუხაძე საინტერესო ფიგურაა იმითაც, რომ ის ეპოქის უდიდესი მოგზაურია, „მთელ საშუალ-საუკუნეთა მანძილზე, რომელმაც როგორც ტრუბადურმა და მოგზაურმა-რაინდმა, მოვლო თითქმის მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიო: ჩინეთიდან დაწყებული ვიდრე ანტლანტიურ ოკეა-

¹ წყობილ-სიტყუაობა: ქმნილი ანტონისაგან პირუელისა, კათალიკოს-პატრიარხისა ყოვლისა საქართუელისა. თფილისი 1853, გვ. 286; ივანე ლოლაშვილი. ჩახრუხაძის „ქება მეფისა...“, გვ. 10.

² იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. ტ. II. *კორნელი კეკელიძისა და ალექსანდრე ბარამიძის* რედაქციით. თბილისი, სახელგამი. 1948, გვ. 185; ივანე ლოლაშვილი. ჩახრუხაძის „ქება მეფისა თამარიისი...“, გვ. 10.

³ პავლე ინგოროყვა. თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 347.

⁴ პავლე ინგოროყვა. თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 348.

⁵ პავლე ინგოროყვა. თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 348.

⁶ Н. Я. Мара. Древнегрузинские., გვ. 53; თამარიანი ჩახრუხაძისა. *სარგის კაკაბაძის* რედაქციით. ტფილისი, ფედერაცია და სტამბა, 1937, გვ. 11.

⁷ პავლე ინგოროყვა. ჩახრუხაისძე., – კავკასიონი., გვ. 280.

ნემდე (მაროკომდე), და რუსეთიდან ვიდრე ეგვიპტემდე და არაბეთამდე (იემენამდე)“.¹ ჩახრუხაძემ თავის ოდებში ასახა XII საუკუნის დამლევის საქართველოს კულტურულ პოლიტიკური ვითარება. „თამარიანის“ ტექსტიდან გასაგები ხდება, რომ თამარ მეფისადმი უპასუხო სიყვარულით გულგატეხილ პოეტს განუზრახავს უცხოეთში გადახვეწა, შესდგომია აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობას, როგორც ტრუბადური და მოგზაური-რაინდი. სწორედ აქედან იწყება ჩახრუხაძის თავგადასავლები. პოეტს მოუვლია „კიდით კიდე“ თითქმის მთელი იმ დროისათვის ცნობილი მსოფლიო.² ეს იყო დაახლოებით 1193-1203 წლებში.³ საქართველოდან გადახვეწილი პოეტი პირველად ჩადის სპარსეთში, ეს იქნებოდა დაახლოებით 1193 წელი.⁴ მას მოუვლია სპარსეთი, ხლებია თვით სულთანსაც;⁵ გარკვეული პერიოდი დაჰყო სპარსეთში და სულთნის სიკვდილის შემდეგ გადავიდა გურილების სამეფოში, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ირანისა და ინდოეთის ნაწილებიც.⁶

პოეტის გურილების სამეფოში გადასვლა უნდა მომხდარიყო ხვარაზმშას გამარჯვების შემდეგ, ესე იგი დაახლოებით 1194-1196 წლებში. გურილების სამეფოდან მოგზაური რაინდი ინდოეთში გადასულა. შემდეგ მას განუზრახავს მთელი მსოფლიოს შემოვლა და უმოგზაურია კიდეც „დაწყებული ინდოეთიდან და ჩინეთიდან ვიდრე ატლანტიკის ოკეანემდე. ეს იმ დროისთვის ნამდვილ გმირობად უნდა ჩაითვალოს, თუ წარმოვიდგენთ იმ მრავალ სიძნელეს, რომელიც მოგზაურს წინ ელობებოდა. ჩახრუხაისძეს შემოუვლია მთელი რიგი ისეთი ქვეყნებისა, სადაც მანამდე ევროპელების ფეხი არ მიჰკარებია“.⁷ ჩახრუხაძე ინდოეთიდან ჩინეთში მოხვედრილა. პ. ინგოროყვას დაკვირვებით, მას გაუვლია ინდისა და განგის ველები და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის გავლით ჩინეთში გადასულა. „ამ გზის ერთი ნაწილი ბირმანიიდან – ვიდრე ჰასინგანამდე გაიარა

¹ პავლე ინგოროყვა. თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 347.

² პავლე ინგოროყვა. თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 371.

³ პავლე ინგოროყვა. ჩახრუხაისძე., – კავკასიონი., გვ. 306.

⁴ პავლე ინგოროყვა. ჩახრუხაისძე., – კავკასიონი., გვ. 306.

⁵ პავლე ინგოროყვას აზრით, ეს უნდა ყოფილიყო სელჩუკიანთა დიდი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ტოდრულ III /1176-1196/ (პავლე ინგოროყვა. ჩახრუხაისძე., – კავკასიონი., გვ. 306).

⁶ პავლე ინგოროყვა. ჩახრუხაისძე., – კავკასიონი., გვ. 307.

⁷ პავლე ინგოროყვა. თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 374.

მარკო პოლომ ერთი საუკუნის შემდეგ, XIII საუკუნის 80-იან წლებში¹.

პოემის მიხედვით ირკვევა, რომ ინდოეთიდან ჩახრუხაძე „ხანთა“ ქვეყანაში ესე იგი „გურხანების – თურქების სამეფოში, ეგრედ წოდებულ ხატაეთში“ გადავიდა, რომელიც იმ დროისთვის მოიცავდა თურქესტანს, ბუხარას და მათ მიმდებარე ქვეყნებს აშუ-დარიას გადაღმა. „გზა, რომელიც აერთებდა ჩინეთს ხატაეთთან, და რომელიც უნდა გაეკლო ჩახრუხანისძეს, ეს არის ეგრედ წოდებული „ჩინეთის ძველი სააბრეშუმო გზა“ (alte Chinesische Seidenstrasse).² ეს გზა გასდევდა ჩინეთის კედლებიდან, შუა აზიის ველებზე გავლით, ვიდრე ყაშგარამდე. ეს მოგზაურობა ამ უცნობ ქვეყნებში, ჩინეთის კედლებიდან შუა აზიით ხატაეთამდე, დიდ სიძნელეს შეიცავდა, განსაკუთრებით ტანგუტების ქვეყანაში, სადაც „ჩინეთის ძველ სააბრეშუმო გზას“ გარს ეკრა ველური მომადების „გია“-ს სამეფო. მოგზაურობა ამ გზებზე, დიდ საშიშროებას – „ზარს“- წარმოადგენდა“ – „ამოვლნის ინდნი, ხანნი და ჩინნი არა რად უჩნდის მას მათი ზარი!“³

როგორც პოემის შინაარსიდან ირკვევა, ამ გზაზე ჩახრუხაძეს ბევრი ფათერაკი გადახდენია და საფიქრებელია, რომ თანმხლები „მოყმენი“ ამ გზაზე დახოცილან ან დაუხოცეს.⁴ ამ უცხო მხარეებში პოეტსაც აღარ დაუყოვნებია, „გზა მოიმოკლა“ და „მოსწრაფებით“ ხატაეთიდან ხაზარეთისკენ გაემართა. იქიდან მან მიაღწია ვოლგას და სავარაუდოდ კიევის სამთავროს გავლით შავი ზღვის სანაპირომდე ჩავიდა, საიდანაც საბერძნეთში კონსტანტინოპოლში გადავიდა. ამის შემდეგ მან მოიარა „ზღვისა ალაგნი“ – იმოგზაურა ხმელთაშუა ზღვის გარშემო, აქ უნდა იგულისხმებოდეს საბერძნეთისა და იტალიის ქალაქები და სავარაუდოდ პროვანსიც.⁵

შემდეგი მარშრუტი არაბული ქვეყნები ყოფილა. ეს იყო „მადრიბის“ (ანუ დასავლეთის) ხალიფატი, სადაც მან უფრო მეტი ხანი დაჰყო. მადრიბის ხალიფატი იმ დროს მოიცავდა „მთელ დასავლეთ არაბულ მსოფლიოს: ანდალუზიას (მუსულმანური ესპანია) და ჩრდილო-აფრიკას, მავრიტანიას (მაროკო-ალჟირი-ტუნისი-ტრიპოლი)“.⁶ დასავლეთის არა-

¹ პავლე ინგოროყვა. თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 375.

² პავლე ინგოროყვა. ჩახრუხანისძე., – კავკასიონი., გვ. 308.

³ პავლე ინგოროყვა. თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 375.

⁴ პავლე ინგოროყვა. ჩახრუხანისძე., – კავკასიონი., გვ. 308-309.

⁵ პავლე ინგოროყვა. ჩახრუხანისძე., – კავკასიონი., გვ. 310-311.

⁶ პავლე ინგოროყვა. თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 378.

ბული ქვეყნებიდან იგი ეგვიპტეში გადასულა და მთელი ეგვიპტე შემო-
უვლია, შემდეგ კი იემენი და მექა.¹ ჩახრუხადეს ქააბაში ისლამი მიუღია
და არაბი ქალი შეურთავს და თავის „მნათობთა დარი“ ცოლისა და მო-
ნა-მხევლების თანხლებით საქართველოსკენ გამოუწევია (დახლოებით
1203 წლისთვის).² მაგრამ ის საქართველოში არ დაბრუნებულა და ახა-
ლი მოგზაურობა წამოუწყია,³ ივარაუდება, რომ ზღვით (სპარსეთის ყუ-
რითა და ინდოეთის ოკეანით).

იქიდან გამომდინარე, რომ პოეტი თავის წერილში იტყობინება,
რომ კვლავ ზღვის გავლას აპირებს და ვინაიდან ის ადგილი – ბაღდადის
ხალიფატი, საიდანაც მან წერილი გამოგზავნა „ბასრას მხრით სპარსეთის
ყურესა და ინდოეთის ოკეანეს აკრავს, უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტს ამ
მხარისკენ ჰქონდა განზრახული თავისი ახალი მოგზაურობა (ე.ი. იმავე
მარშრუტის შესრულება, რომელიც 90 წლის შემდეგ განახორციელა მარ-
კო პოლომ). ეს მით უფრო ახლო უნდა იყოს სინამდვილესთან, რომ ჩახ-
რუხაისძეს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოუვლელი დარჩა მხოლოდ ეს
მხარე, – აზიის სამხრეთი ზღვის სანაპიროები“.⁴

3. ინგოროყვა თვლის, რომ „ერთადერთი მოგზაური საშუალ-საუკუ-
ნეებიდან, რომლის მოხსენიება შესაძლოა ჩახრუხაისძის გვერდით, ეს
არის სახელოვანი მარკო პოლო – პირველი ევროპელი, რომელმაც შეას-
რულა დიდი მოგზაურობა აღმოსავლეთში, ჩახრუხაისძის შემდეგ ერთი
საუკუნით უფრო გვიან, 1271-1295 წლებში“.⁵ თუმცა ჩახრუხაისძის მოგზაუ-
რობა გაცილებით უფრო მასშტაბური და რთულია – ჩახრუხაძემ მარკო
პოლოსთან შედარებით უფრო მძიმე პირობებში იმოგზაურა, რადგან
ქვეყნები რომლებიც შემოიარა ამ უკანასკნელმა XIII საუკუნეში ერთი –
მონღოლების – იმპერიის ქვეშ იყო გაერთიანებული და, ფაქტობრივად,
იგი მთელ თავის მოგზაურობას ერთი იმპერიის ფარგლებში და თანაც,
უმთავრესად მონღოლთა მთავრობის მისიით აწარმოებდა. ამავე დროს,
იმპერიის ქვეყნებს შორის მიმოსვლა გაცილებით მოწესრიგებული იყო
წინა საუკუნეებთან შედარებით. ხოლო ჩახრუხაისძის დროს – XII-XIII საუკუ-
ნეთა მიჯნაზე – აღმოსავლეთი დაყოფილი იყო სხვადასხვა პოლიტიკურ
ერთეულებად, სადაც განსხვავებული კანონები მოქმედებდა, და მათ შო-

¹ პავლე ინგოროყვა. ჩახრუხაისძე.. – კავკასიონი.., გვ. 312.

² პავლე ინგოროყვა. ჩახრუხაისძე.. – კავკასიონი.., გვ. 312-314.

³ პავლე ინგოროყვა. ჩახრუხაისძე.. – კავკასიონი.., გვ. 316.

⁴ პავლე ინგოროყვა. ჩახრუხაისძე.. – კავკასიონი.., გვ. 59.

⁵ პავლე ინგოროყვა. თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 393.

რის ურთიერთობაც საკმაოდ გაძნელებული იყო. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ „ზოგიერთ მხარეებს, რომლებიც მოვლო ჩახრუხაისძემ, არ მიჰკარებია ევროპიელი მოგზაური არა თუ მარტო საშუალ-საუკუნეებში, არამედ ზოგჯერ უფრო ახლო ეპოქაშიც. ასე, ჩახრუხაისძე ერთად-ერთი ევროპიელი იყო, რომელმაც მოახერხა საშუალ-საუკუნეთა მანძილზე მექ-ქაში მისვლა. ცნობილია, რომ ევროპიელმა მოგზაურებმა ამის შესრულება მხოლოდ XIX საუკუნეში შესძლეს“.¹

რაფიელ დანიბეგაშვილის ცნობები ჩინეთის შესახებ. კიდევ ერთი ქართველი მოგზაური, რომელმაც თავის ჩანაწერებში ჩინეთი ახსენა იყო რაფიელ დანიბეგაშვილი. XVIII-XIX სსაუკუნეების საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან, შესაბამისად ქართველი ვაჭრები საქარავნო თუ საზღვაო გზით ბევრს მოგზაურობდნენ შორეულ მხარეებში, მათ ბევრი ხიფათის გადატანა უხდებოდათ, რაც დიპლომატიური და საბრძოლო უნარების გარეშე წარმოუდგენელი იყო. ამან განაპირობა საქართველოში უცხოეთთან მოვაჭრე საგვარეულოების ჩამოყალიბება, რაფიელ იოსების ძე დანიბეგაშვილიც სწორედ ერთ-ერთი ასეთი გვარის წარმომადგენელი იყო.²

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლ-კახეთის მეფეთა დავალებით ინდოეთში მოგზაურობდნენ და ვაჭრობის პარალელურად საგანგებო დავალებებს ასრულებდნენ იოსებ და რაფიელ დანიბეგაშვილები. რაფიელ დანიბეგაშვილის ბიოგრაფიას ვეცნობით ქართლ-კახეთის მეფეების მიერ გაცემული სიგელ-გუჯარებიდან და თვით „მოგზაურობის“ ტექსტიდან, აგრეთვე ორენბურგისა და სემიპალატინსკის არქივებში დაცული მასალები მოგვითხრობენ დანიბეგაშვილის მოგზაურობის შესახებ.³

¹ **პავლე ინგოროყვა.** თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. 5., გვ. 395.

² **ლევან მარუაშვილი.** ქართველი მოგზაური რაფიელ დანიბეგაშვილი და მისი ცნობები ინდოეთის, ბირმისა და ჩინეთის შესახებ. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1956, გვ. 4.

³ ეს მასალებია: 1) სემიპალატის კომენდანტის პოდპოლკოვნიკ კემპენ მე-2-ეს პატაკი; 2) რაფიელ დანიბეგოვის დაკითხვის ოქმი; 3) ჩუბარ დონდუკ იმანტიურის წერილი ბიების რუსეთის ქვეშევრდომად მოქვეყნის თაობაზე; 4. გ. გენსის ჩანაწერი დანიბეგაშვილის 1822-1827 წლებში მოგზაურობის შესახებ. ეს მასალები, მოძიებულია ქ. ომსკისა და სემიპალატინსკის არქივებში, აგრეთვე ორენბურგის ისტორიული არქივში. ამის შესახებ იხ.: **გრიგოლ ზარდალიშვილი.** ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971, გვ. 41-51, 76.

მეფე გიორგი XII-ის წყალობის სიგელში რაფიელ დანიბეგაშვილის ინდოეთს გაგზავნის შესახებ ნათქვამია: „ესე ამიერიით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი და საბოლოოთ გამოსადეგი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ მენ, მამა-პაპით ჩვენს ერთგულსა და თავდადებით მრავალფერათ ნამსახურების კაციშვილს, აზნაურს დანიბეგაშვილს, ხუთასის თავის ოსეფას შვილს რაფიელსა, ძმასა მენსა იოსებსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, – ასე რომ ძველთაგან მეფეთ წყალობა გჭირდებოდათ და წყალობის სიგელებიცა გქონოდათ, აგრეთვე სანატრელის პაპის ჩვენის, მეფის თეიმურაზისაგანაც წყალობათ გბოძებოდათ სახელოს სიგელი, რომელიც პაპის შენისათვის დაღბაშობა ებოძებინა და აგრეთვე კურთხეულმან მამა ჩვენმან, მეფემან ირაკლიმა მამაშენს ოსეფას ხუთასისთაობა უბოძა წყალობის სიგელით და ამ ხუთასისთაობის ჯამაგირიცა“.¹

აქედან ჩანს, რომ დანიბეგაშვილები თეიმურაზ II-ის (კახეთის მეფე /1733-1744/, ქართლის მეფე /1744-1762/) დროიდან მოყოლებული ამ საქმეს ასრულებდნენ. შემდეგ სიგელში ნათქვამია, რომ დანიბეგაშვილების კუთვნილი მეფეთაგან და ყვენებისაგან ბოძებული წყალობის სიგელები თუ დამტკიცებული ნასყიდობები, რომლებიც დაიკარგა ალა მაჰმად ხანის მიერ საქართველოს აოხრების დროს, ყველაფერი აღუდგინეს და ხელახლა დაუმტკიცეს რაფიელს და მის ნათესავებს. ასევე ამ წყალობის სიგელის შემდგენელი ეგნატე თუმანიშვილი წერს: „ამ სიგლის რიცხვის შემდგომად ეს ზემოხსენებული ხუთასის თავი რაფიელა კურთხეულმან მეფემან გიორგიმ გაგზავნა ინდოეთს სამსახურზედ“.² რაფიელის პაპას მეფე თეიმურაზისგან ნაბოძები ჰქონდა დაღბაშის, ესე იგი ათისთავის ჩინი, რაფიელის მამას კი ერეკლე მეორისაგან ნაბოძები ჰქონდა ხუთასისთავის ჩინი, იგი მოხსენიებულია აგრეთვე 1786 წელს შედგენილ საქართველოს სახელმწიფო მოხელეთა სიაში, როგორც „ფრანგი იოსება“, ფრანგი კათოლიკეს ნიშნავდა, როგორც სიგელებიდან ირკვევა რაფიელის ინდოეთში გამგზავრების შემდეგ მისი დედ-მამა – როზა და იოსები მეფის ხაზინიდან მემკვიდრეობით ჯამაგირს იღებდნენ. რაფიელს ჰყავდა აგრეთვე ძმა იოსები.

XVIII ს. II და XIX ს. I ნახევარი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონო-

¹ რაფიელ დანიბეგაშვილი. მოგზაურობა ინდოეთში. თარგმნა, წინასიტყვაობა და დამატებანი შენიშვნებითურთ დაურთო სოლომონ იორდანაშვილმა. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1950, გვ. 55.

² რაფიელ დანიბეგაშვილი. მოგზაურობა ინდოეთში., 1950, გვ. 55.

მიკური მოვლენებით ხასიათდება. XVIII საუკუნის საქართველოში ქართლის (ქართლ-კახეთის) სამეფოს ეკავა გაბატონებული მდგომარეობა, მას უხდებოდა ბრძოლები თურქეთთან, ირანთან, და დაქირავებულ ლეკთა ბრძოლებთან. ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობა არ აღემატებოდა 40 ათას კომლს. ამ დროს ეკონომიკურადაც რთული ვითარება იყო ქვეყანაში და მეფეების უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა სწორედ ვაჭრობის გაფართოება. მეფე ერეკლე საქართველოში ვაჭრობის აღორძინებისა და განვითარებისთვის ბევრ რამეს აკეთებდა, მაგალითად ამისათვის მან აზნაურშილობის ბოძებაც დააწესა, ერთ ვაჭარს მან თავადიშვილობაც კი უბოძა, ეს კეთებოდა ვაჭრობის წასახალისებლად, „*ვაჭრობის ძხრივ თფილისის მოქალაქენიც უფრო დიდის პატივით შემოსა. იგინი იქმნენ „მოქალაქედ“ წოდებულნი თფილისისა, გვამნი დარბაისელნი და ერთგულნი ვაჭარნი მეფისა და ერისა, ვინაიდგან ხანდისხან მეფე მათ ვაჭრობის მგზავრობის დროს აქა-იქ სამეფო საქმეების გამო ქაღალდებსაც კი ატანდა, მაგალითებრ, თვით რუსეთის კარისადმი, სპარსეთის და ოსმალეთის*“.¹

ქართველი მეფეებისთვის უპირველეს ამოცანად რჩებოდა მოკავშირის გამოძებნა, ჯერ კიდევ ვახტანგ VI ძალას არ იშურებდა რუსეთთან დასაკავშირებლად. თეიმურაზ II და ერეკლე II-ც ცდილობდნენ ერთმორწმუნე რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარებას. 1781 წელს მეფე ერეკლე II-ს ევროპის სახელმწიფოებთანაც ჰქონდა მიმოწერა. საბოლოოდ მოვლენები ისე განვითარდა, რომ მეფე ერეკლემ რუსეთს სთხოვა მფარველობა და 1783 წ. 24 ივლისს ხელი მოეწერა ე.წ. *გეორგიევსკის ტრაქტატს*. მეფე ერეკლე ამის მერეც ცდილობდა სხვა ქვეყნებთან კავშირის დამყარებას. სწორედ ეს მოტივაცია ჰქონდა მამა-შვილი დანიბეგაშვილების ინდოეთში გაგზავნას. 1798 წელს გარდაიცვალა მეფე ერეკლე. 1799 წ. ნოემბერში საქართველოში შემოვიდა რუსეთის ჯარი, 1800 წ. დეკემბერში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII. ხოლო 1801 წ. 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოსცა მანიფესტი, რის საფუძველზეც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და აქ რუსული მმართველობა დამყარდა.

ამ პერიოდში მოხდა რუსეთისა და ინგლისის ინტერესების შეჯახებაც. ინგლისი თანდათანობით იპყრობდა ინდოეთს და ავღანეთითა და თურქეთითაც საკმაოდ იყო დაინტერესებული. ასეთ ვითარებაში რუსეთს, რასაკვირველია, სჭირდებოდა გამოცდილი და საქმეში ჩახედული ადა-

¹ **რაფიელ დანიბეგაშვილი.** მოგზაურობა ინდოეთში., 1950, გვ. 86.

მიანი, რომელიც მოახსენებდა მას ინდოეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. სწორედ ასეთი იყო რაფიელ დანიბეგაშვილი და მისი ბოლო სამი მოგზაურობა უკვე რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა. ამრიგად, დანიბეგაშვილების საგარეო ვოაჟები ორ პერიოდად უნდა გაიყოს, პირველი – როდესაც დანიბეგაშვილები ქართლ-კახეთის მეფეების დავალებით მოგზაურობდნენ და მათ ინტერესებს ემსახურებოდნენ. ამ პერიოდს მიეკუთვნება რაფიელის მამის, იოსებ დანიბეგაშვილის პირველი მოგზაურობა, რომლის დათარიღებაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ამ მოგზაურობის დროს მან ერეკლე მეფის დავალებით შამირ ადას წაუღო სოფელ ლორეს ბოძების სიგელი, მეორე მოგზაურობა 1786-1787 წლებში, როდესაც მან თავადობის სიგელი წაუღო შამირ ადას, და რაფიელ დანიბეგაშვილის პირველი ორი მოგზაურობა ინდოეთში, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო 1795-96 წლებში და 1797-98 წლებში. ამ ორი მოგზაურობის მარშრუტებსა და მიზნებთან დაკავშირებით ცნობები არ მოგვეპოვება. ხოლო მოგზაურობათა მეორე პერიოდი, როდესაც რაფიელი უკვე რუსეთის ინტერესებს ემსახურება, მოიცავს რაფიელ დანიბეგაშვილის კარგად ცნობილ მესამე მოგზაურობას, რომელიც განხორციელდა 1799-1813 წლებში. სწორედ ეს მოგზაურობა გამოსცა რაფიელმა წიგნად. რუსეთის სამსახურში განახორციელა რ. დანიბეგაშვილმა აგრეთვე თავისი მეოთხე (1815-1820 წწ.) და მეხუთე (1822-1827 წწ.) მოგზაურობებიც. სამივე მოგზაურობა ემსახურებოდა რუსეთის სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის საჭირო ინფორმაციის (შუა აზიაში გასაქარებელი პოლიტიკის შემუშავებისათვის) მოძიებას.

ცნობებს ჩინეთის შესახებ ვხვდებით დანიბეგაშვილის მესამე მოგზაურობის ჩანაწერებში – „*ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში*“, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1815 წელს.¹ ეს წიგნი რაფიელს დაუწერია ქართულად და შემდეგ უთარგმნია რუსულ ენაზე, მაგრამ დედანი დაკარგულა. ამ ნაშრომში რაფიელ დანიბეგაშვილმა აღწერა საკუთარი მოგზაურობა, რომელიც განხორციელდა 1795-1813 წლებში. რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა აზიის ქვეყნებში ქარ-

¹ *Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегова*. Москва. Типография С. Селивановского, 1815. აღნიშნული წიგნი კიდეც ერთხელ გამოიცა 1969 წელს ცნობილი ქართველი მეცნიერის ლევან მარუაშვილის წინასიტყვაობით და კომენტარებით. იხ. **Л. И. Маруашвили**. Путешествия Рафаила Данибегашвили в Индию, Бирму и другие страны Азии. 1795-1827. Москва, Издательство «Прогресс», 1969.

თული გეოგრაფიული აზროვნებისა და მოგზაურობათა ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა. მისი „მოგზაურობა“ არაერთხელ გამოიცა, მათ შორის: რუსულ, ქართულ, ინგლისურ ენებზე და ჰინდიზე, 1964-1969 წლებში აღმოჩნდა ახალი მასალები, რომლითაც შეივსო ბიბლიოგრაფია რ. დანიბეგაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

რაფიელ დანიბეგაშვილი თავის ნაშრომში წერს: „1795 წლის მარტის მე-15 დღეს წარგზავნილი ვიყავი საქართველოს მეფის ერეკლეს მიერ ინდოეთს შემდეგი გარემოების გამო“.¹ ჩანაწერებში უმეტესად მოთხრობილია მხოლოდ მესამე მოგზაურობის შესახებ, რასაც ადასტურებს მასში ასახული მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც 1800 წლის შემდგომია განვითარებული. რ. დანიბეგაშვილმა ამ მოგზაურობის დროს გაიარა ახალციხე, არზრუმი, მუში, არღანი, ფალა, მერტინი, დიარბეჯირი, მოსული, ბადდადი. აქედან თხუთმეტ დღეში მივიდა სპარსეთის ყურეში ქალაქ ბასრაში, შემდეგ მასკატში. მასკატიდან ოცდაორი დღის შემდეგ მიაღწია ბომბეის, საიდანაც მოგზაური ზღვით გაემგზავრა ცვილონის კუნძულზე, ქალაქ კოლუმბში.² აქედან კი აღმოსავლეთისკენ განაგრძო გზა და მიაღწა ოკეანისპირა ქალაქ მანარს, შემდეგ ზღვით გაემგზავრა

¹ ეს გარემოება კი ასეთი იყო, მადრასში ცხოვრობდა მდიდარი ახალ-ჯულფელი სომეხი – ხოჯა სულთან დავითის შვილი იაკობ სულთანუმიანი შემდგომში (შაჰამირინის) შამირ-აღას სახელით ცნობილი მილიონერი (იაკობის მამა ერეკლე ბატონიშვილის ამაღლაში მონაწილეობდა, როდესაც იგი ნადირ-შაჰს ახლდა ინდოეთის ლაშქრობაში), რომელიც მეფე ერეკლეს ყოველწლიურად უგზავნიდა საჩუქრებს. ამის სანაცვლოდ მეფემ მას ერთი დიდი სოფელი ლორე უბოძა, თუმცა იქ ჩასულ რაფიელს ეს სომეხი კაცი გარდაცვლილი დახვდა და მის ვაჟს გადასცა მეფის მიერ ბოძებული მფლობელობის სიგელი. აქვე უნდა აღინიშნოს, ერთი გარემოება, ერეკლე II-მ შამირ-აღას სიგელი ლორეს გადაცემის თაობაზე 1775 წელს, ხოლო თავადობა 1786 წელს უბოძა და ორივე სიგელი არა რაფიელმა, რამედ მისმა მამამ, იოსებმა წაიღო. ამის გათვალისწინებით, ფიქრობენ, რომ „მოგზაურობაში“ ნახსენები თარიღი (1795 წელი) არ არის სწორი და თუ მან ასეთი შინაარსის სიგელი წაიღო, შესაძლოა ეს იყო გიორგი XII-ის სიგელი, რომლითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ერეკლე II-ს მიერ გაცემული სიგელი ლორეს ბოძებაზე. შესაძლოა რომ ეს პირველი აბზაცი შეთხზული იყოს მოგზაურობის ნამდვილი მიზნების დასაფარად. პირველი აბზაცის გარდა აღარსადაა ნახსენები მოგზაურობის მიზანი. ამის შესახებ იხ.: გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში, გვ. 7, 52-54.

² იგულისხმება შრი-ლანკას (ყოფილი ცვილონის) დედაქალაქი კოლომბო.

ბონდოჩერში, იქიდან თრაკებერში, და შემდეგ ჩააღწია მადრასში. აქედან 15 დღეში ჩავიდნენ ბეკუში (იგივე რანჰუნში), რომლის მკვიდრნი დანიბეგაშვილმა გარეგნობით ჩინელებს მიაშვავა. იქიდან კი ქალაქ კალკუტაში (კალკადა) გაემგზავრა. მოიარა ქაშმირი, გადავიდა ტიბეტში და დაწვრილებით აღწერა იქაურ მაცხოვრებელთა წეს-ჩვეულებები.¹

დანიბეგაშვილი იქიდან იარკენდში (მდებარეობს ჩინეთის პროვინციის სინძიანის სამხრეთ ნაწილში) გადადის, სადაც ადგილობრივებისგან შეიტყობს, რომ ისინი 50 წლის წინ ჩინგიზ-ხანის შთამომავალთათრებს ემორჩილებოდნენ, მოგზაური აღნიშნავს, რომ თუმცა ისინი მაჰმადიანები არიან, მაინც ჩინელებს მიეკუთვნებიანო. „აქ ორი ათასზე მეტი ჩინელი ჯარისკაცია თავის მეთაურებთან ერთად... და დაახლოებით სამი ათასი ჩინელი, რომელიც ვაჭრობას მისდევს“.² ამ ქალაქის აღწერისას რ. დანიბეგაშვილი ახსენებს „უცნაურ მტვერს“, რომელიც „წვიმასავით მოდის ზევიდან“, აგრეთვე საუბრობს სინესტის გამო გაჩენილ მოწითალო ფერის მომაკვდინებლად მხამიან მწერებზე, რომლებსაც ადგილობრივები კორბიტს უწოდებენ, აგრეთვე დასძენს: „ნახსენები მტვერი ისეთი სიხშირით მოდის ზევიდან, რომ შხის სხივებიც კი ვერ ატანს მასში და ხანდახან ასე 7 და 8 დღეს გრძელდება. მტვერი იმდენად წვრილია, რომ უწვრილეს ჭურჭრუტანაშიც კი აღწევს“.³

რ. დანიბეგაშვილი აღნიშნავს, რომ იარკენდის გარდა „ჩინელებს უპყრიათ შემდეგი ქალაქები: ხუდანი, გაშგირი, ახსუ, ურობანი და ილი. თითოეულ მათგანში ზის ჩინელი მმართველი, რომელთა თანამდებობა ისეთივეა, როგორიც იარკანტის მთავარმართველისა. ქალაქ ილიში ან კულჯაში⁴ ბევრი ჩინელია. მათი რიცხვი აქ ათი ათასზე მეტია. ამ ქალაქში

¹ კერძოდ, აღნიშნავს, რომ სიღარიბის გამო აქაური მაცხოვრებლები შვრიის, რძის და კარქისგან დამზადებულ საჭმელს მიირთმევენ ძირითადად, აგრეთვე აღნიშნავს ერთ მეტად უცნაურ ჩვეულებას: „თუ სახლში სამი ან ოთხი ძმაა, მათ ცოლად ერთი ქალი ჰყავთ. მათგან ნაშობი შვილი უფროსი ძმის სახელს ატარებს, და მხოლოდ მას თვლის თავის მამად“ და განაგრძობს: „აქ ბევრია ჩაი. შალის დასამზადებლად საჭირო მატყელს ქალაქ ლასიდან უზიდებიან. ყველა რბილი ტვირთი, რაც აქ შემოდის, მოაქვთ ცხვრებით... ტიბეტში ბლომად შეიძლება გასადღეს რუსული აბრეშუმის ოქრომკედლიანი ქსოვილი, რასაც დიდი ხალისით ყიდულობს ჩაბად წოდებული ხალხი“ (გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში..., გვ. 34).

² გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში..., გვ. 35.

³ გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში..., გვ. 36.

⁴ ილი სადგურია თურქეთისტან-ციმბირის რკინიგზაზე. კულჯა – დასავლეთ

მყოფი ჩინელები მეტი სტრუქტურა ზარმაცნი არიან. მათი დროსტარება მხოლოდ თამბაქოს წევა, ამასთანავე ამაცნი არიან, ადგილობრივ მცხოვრებთ ამ ქალაქიდან არ შეუძლიათ უპასპორტოდ გასვლა, რადგან ძალზე ბევრი ზედამხედველია. ეს ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც ჩინელები თვითნებობის აღსაკვეთად იყენებენ“.¹

რაფიელ დანიბეგაშვილი აქედან გამგზავრებიდან 13 დღეში ჩავიდა ქალაქ ახსუში,² რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა, ერთი ჩინელებით იყო დასახლებული მეორე კი მაჰმადიანებით, და ისინი ერთმანეთში ვაჭრობას ეწეოდნენ. იქიდან კი სამ დღეში ჩავიდა ტურფანში,³ რომელიც არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ღირსშესანიშნაობებით, ტურფანიდან სემიპალატიში. სემიპალატიდან ომსკში გადადის და იქ ხვდება გენერალ გლაზენაჰს,⁴ ომსკის ციხე-სიმაგრის შემდეგ მაკარიას⁵ გავლით ჩადის მოსკოვში. რაფიელ დანიბეგაშვილი ძალიან დაკვირვებულია და თავის ირგვლივ მოვლენებსაც აქტიურად სწავლობს, იგი ფლობს რამდენიმე ენას (სულ მცირე ქართულს, რუსულს, სომხურსა და თურქულს). ცხადია, რომ ამ მოგზაურობის დროს იგი უკვე რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება, ამდენად, იგი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის ისტორიისთვისაც მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს – „იგი 15 წლის განმავლობაში ვაჭრის ნიღბის ქვეშ ზვერაჟდა ინგლის-რუსეთის ჰო-

ჩინეთის პროვინციის – სინძიანის – ქალაქი (რაფიელ დანიბეგაშვილი. მოგზაურობა ინდოეთში.., 1950, გვ. 119).

¹ გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში.., გვ. 37.

² ახსუ-აკსუ – დასავლეთ ჩინეთის პროვინციის – სინძიანის ქალაქი (რაფიელ დანიბეგაშვილი. მოგზაურობა ინდოეთში.., 1950, გვ. 120).

³ სოლომონ იორდანაშვილი ისტორიულ-გეოგრაფიულ კომენტარებში აღნიშნავს, რომ ეს არის კუნია-ტურფანად წოდებულ საბოქაულოს მთავარი ქალაქი, რომელიც „შედგება ერთმანეთისგან 1 ვერსზე დაშორებულ ორი ქალაქისგან, ერთში ადგილობრივი მაჰმადიანები მოსახლობენ, იგი შეადგენს მდიდარ ტურფანისოლის სავაჭრო ცენტრს. მეორე ქალაქში ჩინელები და მანჯურიელები ცხოვრობენ. აქვეა ჩინელ ხელისუფალთა რეზიდენცია“ (რაფიელ დანიბეგაშვილი. მოგზაურობა ინდოეთში.., 1950, გვ. 119).

⁴ გრიგოლ ივანეს ძე გლაზენაჰი (1750-1819). ციმბირის ხაზის უფროსი. ამ თანამდებობაზე მას შეხვდა ომსკში ინდოეთიდან დაბრუნებული (1813 წ.) რ. დანიბეგაშვილი, (რაფიელ დანიბეგაშვილი. მოგზაურობა.., 1950, გვ. 121).

⁵ მაკარია – ქალაქი ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიამი, მდებარე ვოლგის მარცხენა ნაპირზე (გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის.., გვ. 74).

ლიტიკური ინტერესების შეჯახებას აზიამი“.¹

რაფიელ დანიბეგაშვილი 1815-1825 წლებშიც იმყოფებოდა მოგზაურობაში – ამჯერად უკვე რუსული დიპლომატიური მისიის შესასრულებლად, რომლის მიზანი იყო ყირგიზებს მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა. დეტალები, მათ შორის ცნობები ჩინეთის შესახებ, ირკვევა სემიპოლატის კომენდანტის 1820 წ. 28 ივლისის პატაკიდან, ეს არის „სემიპოლატინსკის ციხესიმაგრეში ჩასული საზღვარგარეთ სავაჭრო საქმეებზე მყოფი ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგოვისგან ჩამორთმეული ანგარიში საზღვარგარეთული მდგომარეობის შესახებ“.

დანიბეგაშვილი ამ დაკითხვის ოქმში იუწყება, რომ 1815 წ. 11 ოქტომბერს ის სემიპოლატის საბაჟოს გავლით სავაჭროდ გაემგზავრა ქაშმირში, საიდანაც გადავიდა ტიბეტში, იარკენდში, აქსუში და ჩავიდა ჩინეთის ქალაქ ყულჯაში,² „ხოლო აქედან უსაფრთხო მგზავრობისათვის თხოვნით მივმართე მდინარე ილიზე მყოფ სულთან აბლაის, რომელმაც აგრეთვე გამომიგზავნა თავისი წერილი ჩინელი გუბერნატორის სახელზე თხოვნით, რათა მე გავეშვი მათ საზღვარზე...“ – აღნიშნავს რ. დანიბეგაშვილი.³ შემდეგ ის წერს, თუ როგორ დაარწმუნა ყივჩაღები და სხვადასხვა თემების ყირგიზები რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე და როგორ დააფიცა ისინი ყურანზე. ახლა კი სანქტ-პეტერბურგში გამგზავრებაზე ითხოვდა ნებართვას.⁴

რაფიელ დანიბეგაშვილის მეხუთე მოგზაურობის (1822-1827 წლებში) შესახებ ორენბურგის სასაზღვრო კომისიის თავმჯდომარემ გრიგოლ თევდორეს ძე გენსმა გააკეთა ჩანაწერი: „ქართველი აზნაურის, გუბერნსკი სეკრეტარის რაფაილ იოსებს ძე დანიბეგოვის ნაამბობი: „დანიბეგოვი, რომელმაც 1795 წელს საქართველოდან იმოგზაურა სპარსეთით, ინდოეთით, ტიბეტითა და ჩინეთის თურქეთისტანით, მოვიდა რუსეთში, 1822 წლის დამდეგს ხელახლა მოახდინა მოგზაურობა. ის გაემგზავრა ასტრახანიდან ...“.⁵

¹ ლევან მარუაშვილი. ქართველი მოგზაური რაფიელ დანიბეგაშვილი და.., გვ 10.

² კულჯა (ყულჯა), ძველად ინინი, XVIII საუკუნის ნახევრიდან ილი – ქალაქი მდ. ილიზე, სინძიან-უიღურეთის ავტონომიურ რაიონში, ძველად რუსეთიდან ცენტრალური აზიისაკენ მიმავალი გზის დასაწყისი პუნქტი (გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში.., გვ. 73).

³ გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში.., გვ. 43.

⁴ გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში.., გვ. 44.

⁵ გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში.., გვ. 49.

რ. დანიბეგაშვილმა რამდენჯერმე გადაიარა მსოფლიოში უმაღლესი უღელტეხილები ქაშმირისა და დასავლეთ ტიბეტის ტერიტორიაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მან კარგად იცოდა ხიფათით სავსე ყარაყორუმის სავალი გზები დასავლეთ ჩინეთიდან ქაშმირამდე. მის მიერ აღწერილი ქალაქები სამხედრო სტრატეგიულ აღწერას წააგავს. მას აღწერილი აქვს „ციხესიმაგრეები, იქური მცხოვრებნი, ეროვნული შემადგენლობა, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებანი რელიგიური რიტუალები და საკულტო ადგილები, მმართველობის სისტემა, ჯარების რაოდენობა და განლაგება, ინგლისელ კოლონიზატორთა საქმიანობა. წიაღისეული სიმდიდრეები, მდინარეები და ტბები, ჰავა და მისი სარგებლიანობა, მცენარეები და მათი გამოყენება, ცხოველები, ქვეწარმავალნი და მწერები, ვაჭრობა და საქონლის სახეობანი. მანძილი (სავალი დღე) არა მარტო მის მიერ ნახულ ქალაქებს შორის, არამედ მეზობელი ქვეყნების დიდ ქალაქებამდე და ა.შ.“¹ მოგზაურის მიერ მოწოდებული ცნობები ზოგან უზუსტობებს შეიცავენ. შესაძლებელია, მისი თხრობა ნაწილობრივ ზეპირ გადმოცემებსაც ეყრდნობოდა, თუმცა მის მიერ მოწოდებული ცნობების უმრავლესობა ზუსტია და მნიშვნელოვანია აზიის ხალხთა ყოფის შესასწავლად.

მიუხედავად იმისა, რომ მის ჩანაწერებში ცნობების უმრავლესობა მოგვითხრობს ინდოეთზე, აქ მოცემულია ჩინეთის რამდენიმე ქალაქის დახასიათებაც, რაც უსოდენ ძვირფასი მასალა იყო იმ პერიოდის ქართველი მოგზაურებისა თუ პოლიტიკოსებისთვის, ჩინეთზე და ჩინელების ცხოვრების წესზე, მათ ზნე-ჩვეულებებზე წარმოდგენის შესაქმნელად.

LIA GABLISHVILI

WHAT THEY KNEW ABOUT CHINA AND THE CHINESE IN GEORGIA

Summary

This article collects and analyzes the materials of Georgian written monuments, reflecting possible Georgian-Chinese contacts in the Middle Ages. These are: Georgian translation of the 11th century Persian poem “*Visramiani*”,

¹ გრიგოლ ზარდალიშვილი. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში..., გვ. 97.

Ioane Shavteli – *“Abdulmesiani”*, Sargis Tmogveli – *“Dilariani”*, Shota Rustaveli – *“The Knight in the Panther's Skin”*, *“Rusudanyan”* – by an unknown author, Poem *“Shahnavaziani”* – by Peshangi (Khitariashvili). In this regard, special importance is attached to *“Tamariani”* by King Tamar's poet and traveler Chakh-rukhadze. It tells the story of how the author traveled – almost the whole world known at the time: from China to the Atlantic Ocean (Morocco), and from Russia to Egypt and Arabia (Yemen). China became even more active in the eyes of Georgian travelers at the turn of the 18-19th centuries, as evidenced by the records of the famous Georgian traveler Rafiel Danibegashvili.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

გურამ ლევაშვილი

დოლისყანის ეკლესიის ქტიტორთა დადგენის საპიტხისათვის

ბოლო პერიოდში, მართალია გაიზარდა სამეცნიერო ინტერესი ტაო-კლარჯეთის რეგიონის მიმართ, მაგრამ ეს საკმარისი ნამდვილად არ არის, ვინაიდან ამ რეგიონში არსებული კულტურის ძეგლების მდგომარეობა მუდმივად საფრთხეშია, როგორც ბუნებრივი ზემოქმედების, ისე მიზანმიმართული დაზიანებების გამო. ამიტომ სასურველია რეგიონის შესწავლის მიზნით მოხდეს ქართული სამეცნიერო საზოგადოების და კვლევითი ცენტრების რესურსების გაერთიანება და ელემენტარულად მოხერხდეს რეგიონის სრულყოფილი ეპიგრაფიკული კორპუსის გამოცემა, რომ ავთენტური დედნების განადგურების შემთხვევაში დოკუმენტური მასალა მაინც დაგვრჩეს სამეცნიერო ლიტერატურაში სამომავლო კვლევებისათვის. წარმოდგენილი სტატია სწორედ, ამ უკანასკნელ ხანს დოლისყანის ეკლესიაში გამოვლენილი ეპიგრაფიკული მასალის მონაცემებს¹ ეყრდნობა.



¹ ბუბა კუდავა. ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები დოლისყანიდან (საქტიტორო დოკუმენტაციის წაშლის მცდელობა). – გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი. № 3-4. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2016, გვ. 19-29.

დოლისყანა როგორც გეოგრაფიული პუნქტი, მოხსენიებულია *სუმბატ დავითის ძესთან*, რომელიც აღნიშნავს, რომ როცა 826 წლის 29 იანვარს მეფე *აშოტ I კურაპალატი* (813-826 წწ.) ნიგალის ხეობაში მოკლეს შინაგამცემლებმა, მისი ლაშქარი დოლისყანაში იყო დაბანაკებულიო.¹ გიორგი მერჩულე კი, როცა *გრიგოლ ხანცთელის* (759-861 წწ.) დროის კლარჯეთის მონასტრებს ჩამოთვლის, ბოლოს შენიშნავს: „ხოლო დოლისყანად მონასტრად უკუანად იქმნა“.² როგორ შეიძლება გავიგოთ ეს ფრაზა და რა შეიძლება ვიგულისხმოთ დოლისყანის მონასტრად მოგვიანებით გახდომაში: გრიგოლის გარდაცვალებამდე (861 წ.) მოხდა ეს, თუ ჰაგიოგრაფიული ძეგლის დაწერამდე (951 წ.).

ვახტანგ ჯობაძის აზრით, დოლისყანის მონასტერი დაარსდა 861-951 წწ. შუა,³ ხოლო დავით ხომტარია თვლის, რომ 850-950 წწ. შუა.⁴ ჩვენ კი, მერჩულეს ზემოთ მოტანილ ფრაზაზე დაყრდნობით ვთვლით, რომ აქ მონასტერი IX საუკუნის 30-იანი წლებიდან, 861 წლამდე უნდა დაარსებულიყო, ანუ ბაგრატ I-ის მეფობა⁵-კურაპალატობისას (829-876 წწ.), სანამ გრიგოლ ხანცთელი ცოცხალი იყო. სავარაუდოდ მონასტერში, თავდაპირველად მცირე ეკლესია არსებობდა (შესაძლოა ხისაც), რომელიც ან ჩვენთვის უცნობმა რაიმე მიზეზმა შეიწირა, ან მასზევე მოხდა ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის დაშენება X საუკუნის I ნახევარში.

¹ **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **სიმონ ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. I. თბილისი, *სახელგამი*, 1955, გვ. 377.

² **გიორგი მერჩულე.** შრომად და მოღვაწეობად ღირსადცხოვრებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მისთანა ხსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ. – *ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები*. ორიგინალური ტექსტები და თარგმანები ასალქართულად. მეორე გამოცემა. თბილისი, 2011, გვ. 350.

³ **ვახტანგ ჯობაძე.** ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბილისი, გამომცემლობა „*უნივერსალი*“, 2007, გვ. 83.

⁴ **დავით ხომტარია.** კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. თბილისი, გამომცემლობა „*არტანუჯი*“, 2009, გვ. 111.

⁵ ქართულ ისტორიოგრაფიაში ადარნასე II-მდე („მეფე“ 881 წლიდან; „ქართველთა“ მეფე 885-923 წწ.; კურაპალატი 891 წლიდან) ტაოელი ბაგრატიონების მეფედ მოხსენიებას ერიდებიან და მათ – „ლიდერს“ ან „ბაგრატიონთა სახლის მეთაურს“ უწოდებენ, მაგრამ ჩვენ ქართული წყაროების ცნობებიდან გამომდინარე, მათ მეფეებად ვთვლით.

დოლისყანა მდებარეობს კლარჯეთში, არტანუჯისწყლისა და იმერ-
ხევის შესართავთან. სოფლის ახლანდელი თურქული სახელწოდებაა *ჰა-
მამლი ქოი* და ის შეფენილია მაღალი მთის ფერდობზე.



დოლისყანის ეკლესია დგას სოფლის სამხრეთ ნაწილში, წყაროს წყლის დასავლეთით და მის გარდა, ყველა სამონასტრო ნაგებობა უკვე 1888 წელს იყო განადგურებული, როცა ის ანდრეი ჰავლინოვმა იხახულა და ეკლესია უკვე ჯამედ გადაკეთებული დახვდა.¹ ეკლესიაში ჯამე 1999 წლამდე მოქმედებდა, მართალია ჯამედ გადაკეთებამ ძეგლზე რამდენიმე უხეში ჩარევა გამოიწვია, თუმცა ადგილობრივ მუსლიმთა მხრიდან ჯამეზე ზრუნვამ, მთლიანად ეკლესია შედარებით სრული სახით შემოგვინახა. მაგალითად ვ. ჯობაძის ცნობით, XX ს. მიწურულს ძეგლზე განსაკუთრებული მზრუნველობა გამოუჩენია ადგილობრივ იმამს – ილკერ დემირის, რომელიც წარმოშობით ქართველი და კარგი მოქართულეც ყოფილა.²

დოლისყანის ეკლესიის აგების დასათარიღებლად, მნიშვნელოვანი საყრდენი იყო მის წარწერებში: „ქ(რისტ)ე ად(ი)დ(ე)ნ მეფე ჩ(უე)ნი ს(უმ)ბ(ა)ტ“ და „ქ(რისტ)ე ადიდე მეფე ჩ(უენ)ი ს(უმ)ბ(ა)ტ მზ(ე)გრძ(ელო)ბ(ით)“ – ნახსენები სუმბატ მეფე, რომელიც ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძემ და ანდრეი ჰავლინოვმა სწორად გააიგივეს მეფე ადარნასეს (მეფე 881 წლი-

¹ **А. Павлинов.** Экспедиция на Кавказ 1888 года. – *Материалы по Археологии Кавказа.* вып. III. Москва, Типография А. И. Мамонтова и К°, 1893, გვ. 67-69.
² **ვახტანგ ჯობაძე.** ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები..., გვ. 74.

დან; „ქართველთა“ მეფე 885-923 წწ.; კურაპალატი 891 წლიდან) უმცროს ვაჟთან – სუმბატ ქართველთა მეფე-კურაპალატთან (954-958 წწ.) და ტაძრის აგება მისი მეფობით განსაზღვრეს.¹

მათი მოსაზრება დიდხანს საკამათო არ გამხდარა, ვიდრე ნოდარ შოშიაშვილმა დოლისყანის სამხრეთ-დასავლეთ სათავეს ადმოსავლეთ კედლის წარწერა, თავის დაკარგული ნაწილით ასე არ ადადგინა: „ი(ეს)უ ქ(რისტი)ე წ(მიდა)ი ესე ეკლესი(ა)ი წე(?) დღესა [ადაშენეს] მეფეთა ჩ(უ)ენთა [ს(უ)მბ(ა)ტ და ბ(ა)გრ(ა)ტ] ქ(რისტი)ე შ(ეიწყალ)ე“. ვინაიდან სუმბატის უფროსი ძმა ბაგრატ (მაგისტროსი: 923-937 წწ.; კურაპალატი: 937-945 წწ.) 945 წელს გარდაიცვალა მკვლევარმა დოლისყანის ეკლესია X საუკუნის I ნახევარით დაათარიღა.²



¹ **Д. Бакрадзе.** Об археологической поездке совершенной в 1879 году по поручению Академии Наук в Чорохский бассейн, Батум, Артвин и Артанудж. – *Записки Императорской Академии Наук.* т. 37. кн. 1. С.-Петербург, 1880, გვ. 79; **А. Павлинов.** Экспедиция на Кавказ 1888 года. გვ. 68.

² **ლაპიდარული წარწერები. ადმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.).** შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **ნოდარ შოშიაშვილმა.** ტ. I. თბ., 1980, გვ. 293-294.

ეკლესიის რელიეფების არაერთგვაროვნებისა და საფასადო მოპირკეთების სხვადასხვაგვარობის გამო, ასეთ აღდგენას მიემხრო ვ. ჯობაძე და გამოთქვა მოსაზრება, რომ დოლისყანა ძირითადად ბაგრატს უნდა აეგო, ხოლო სუმბატს განეახლებინა ეკლესია. წარწერის მისეული იკითხვის ამგვარია: „**ი(ეს)ჲ ქ(რისტ)ე, წ(მიდა)ჲ ესე ეკლესიაჲ წე(?) დღესა [აღაშენეს] მეფეთა ჩ(უე)ნთა [სუმბატ და ბაგრატ] ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე**“.¹ ამავე მოსაზრებას მიემხრო დ. ხომტარია და შენიშნა, რომ პატრონივე არ იყო ეკლესიის თანამედროვე და მოგვიანებით უნდა მიეშენებინათ, თუმცა წარწერის მისეული იკითხვის ასეთია: „**ი(ეს)უ ქ(რისტ)ე, წ(მიდა)ჲ ესე ეკლესი(ა)ჲ წ(ინაშ)ე დღესა ... მეფეთა ჩ(უე)ნთა ... ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე**“.²



ბოლო დროს, ბუბა კუდავაც მიემხრო მოსაზრებას, რომ სუმბატი არა ქტიტორი, არამედ ეკლესიის განმაახლებელია მხოლოდ და ტაძრის თავდაპირველი აღმშენებელი შესაძლოა მისი ძმა ბაგრატი იყოსო. თუმცა მან აღნიშნა, რომ ბაგრატის სახელი დოლისყანაში არსად იხსენიება და მკვლევარნი ამ სახელს აღადგენენ, მხოლოდ იმიტომ რომ დოლისყანის ზემოგანხილულ წარწერაში მრავლობით რიცხვშია ნახმარი „მეფეთა ჩვენთა“. ბ. კუდავა იქვე შენიშნავს: რატომ მაინცდამაინც ბაგრატი?, ეგება და აქ სუმბატამდელი სხვა მმართველი იგულისხმება? – სხვა მმართველი და სუმბატი, ან კიდევ – სუმბატამდელი ორი სხვა მეფე.³

¹ ვახტანგ ჯობაძე. ადრეული შუა საუკუნეების ქართული..., გვ. 84-89.

² დავით ხომტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, გვ. 122-123.

³ ბუბა კუდავა. ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები დოლისყანიდან. გვ. 23, 28-29.

საკითხის ამგვარი დასმა ჩვენ სავსებით მისაღებად მიგვაჩნია და დოლისყანის სამხრეთ-დასავლეთ სათავსის აღმოსავლეთ კედლის წარწერა, თავის დაკარგული ნაწილით ასე უნდა აღდგეს: **ი(ეს)უ ქ(რისტი)ე წ(მიდა)ი ესე ეკლესი(ა)ი წ(ელსა) ე(მეხუთესა), დღესა [ადვებასა, აღდგომასა და ა.შ.] [აღაშენეს, განასრულეს და ა.შ.] მეფეთა ჩ(უე)ნთა [აშოტ და ბაგრატ] ქ(რისტი)ე შ(ეიწყალ)ე.** ანუ ჩვენ დოლისყანის ეკლესიის ქტიტორებად მოვიაზრებთ სუმბატის უფროს ძმებს: აშოტ (923-954 წწ.) და ბაგრატ კურაპალატებს, ხოლო აგების თარიღად კი 937 წლიდან (ბაგრატი გახდა კურაპალატი) 950 წლამდე (ბაგრატი გარდაიცვალა 945 წელს და მისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანსაც, რომ დაწყებულიყო ტაძრის მშენებლობა, ის მხოლოდ 5 წელს უნდა გაეგრძელებინა აშოტს) პერიოდი მიგვაჩნია. თუ რატომ ვთვლით ასე, ამას ვრცლად ქვემოთ შევხებით.

რაც შეეხება, დოლისყანაში გამოვლენილ ახალ ეპიგრაფიკულ მასალებს, ისინი მდებარეობს ტიმპანის ქვაზე და გუმბათის ყელის თაღებზე. ტიმპანის ქვის წარწერა, შესრულებიდან მალევე ვიღაცას საგანგებოდ გადაუღესავს და შემდეგ მოუხატავს. ჩამოცვენილი შელესილობის ქვეშ წარწერის ნაწილი ბ. კუდავას პირველად 2003 წელს შეუნიშნავს და 2013 წელს გადმოუღია პალეოგრაფიული პირი. მისეული წაკითხვა ამგვარია:

1. ... მ(ა)ნ დავწერე ვინ დოლ[ისყანას].....
2. [ეკლესიას მ...
- 3.
4. [მაშ]ული აქ[ა] ...
5. ი მ...ა მ(ე)მდგომ(ა)დ(?) ელ(ო)ცვ(ე)ბდე[თ] ... წ(ინასწარ)თმ[მეტყუელ...]....
6. ა.¹

ჩვენ ეს წარწერა პირველად 2010 წ. 22 ნოემბერს ვნახეთ, მეორედ 2014 წ. დეკემბერში, თუმცა პალეოგრაფიული პირის გადმოღება არ გვიცდია, ამიტომ ვეყრდნობით ბუბა კუდავას წაკითხვას, მაგრამ რამდენიმე ადგილას განსხვავებული იკითხვისი გვაქვს:

1. ... [აშოტ ან ბაგრატ] მ(ე)ფემა)ნ² დავწერე ვინ დოლ[ისყანას]...
2. ... [ეკლესიას მ.


¹ ბუბა კუდავა. ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები დოლისყანიდან. გვ. 21-22.

² IX-X საუკუნეების ქართულისათვის სრულიად შეუფერებელია „მან დავწერე“, ან თუნდაც, „აშოტმან დავწერე“, უნდა იყოს: აშოტ მეფემან დავწერე ან ბაგრატ მეფემან დავწერე და თუ მეფე არაა, მაგალითად: გაბრიელ დეკანოზმან დავწერე ან მურვან კავკასიძემან აღვაშენე და ა. შ.

3.

4. [მაშ]ული აქ[ა] ...

5. ...ი მ(ისტ)ა შ(ემდგომ)ად ელ(ო)ცვ(ე)ბ(ო)დ[ეთ] მ... წ(ინაშე)თ მ...
... ა[შენ].¹



რაც შეეხება, გუმბათის ყელის თაღების წარწერებს (უფრო სწორედ ერთი მთლიანი წარწერა არის დანაწევრებული) ისინიც ეკლესიის აგების თანადროული ჩანს, მაგრამ ეს წარწერიანი ქვები, ასევე ვიდაცას საგანგებოდ დაუცალკევებია, დაუთხელებია და გუმბათის ყელის შესამკობად გამოუყენებია. ჩვენ, ისინი შორიდან შევნიშნეთ და ბუბა კუდავასაგან გან-

¹ წარწერის სრული პალეოგრაფიული პირი სანამ არ გვექნება, რასაკვირველია ყოველგვარი წაკითხვა პირობითია.

სხვაგვებით ახლოდან არ გვინახავს, ამიტომ აქაც მისეულ წაკითხვას ვეყრდნობით სრულად: [დ]ირს ყ[ავ] და ე(რისტ)ე შ(ეი)წყ(ალ)ე.¹ მაგრამ თითქოს, ამ წარწერიანი თაღების მარცხნივ მდებარე სხვა თაღებზეც, შევნიშნეთ ჩვენ პირადად წარწერიანი ქვები, რომლებიც ამავე წარწერის ცალკეული ნაწილები უნდა იყოს და იმედს ვიტოვებთ, რომ სამომავლოდ ძეგლის დეტალური შესწავლა მოგვცემს სრულ სურათს.

ბუბა კუდავა ასკვნის, რომ ტიმპანისა და გუმბათის ყელის წარწერები საქტიტორო ხასიათის უნდა ყოფილიყო და სუმბატ მეფე-კურაპალატს განსაკუთრებული მონდომება გამოუჩენია მათ დასამალად. მაგრამ ის, ვერ ხსნის სუმბატი, საგანგებოდ რატომ შეეცადა წაეშალა მისი წინამორბედი ქტიტორის თუ ქტიტორების კვალი და წარმოეჩინა ისე თითქოს თავად იყო ტაძრის ამგები. მკვლევარი უშვებს, რომ შიდადინასტიურ დაპირისპირებას უნდა ჰქონდა ადგილი ძმებს: ბაგრატსა და სუმბატს შორის.² წყაროთა ანალიზის საფუძველზე შევეცდებით გავარკვიოთ ამ დაპირისპირების მიზეზები, რისთვისაც ცოტა ვრცლად მიმოვიხილავთ ეპოქას.

მეფე ადარნასე II-ს ბედმა არგუნა მთელი ცხოვრება ბიზანტიის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ ებრძოლა. როცა *ნასრა გუარამის ძემ*, ადარნასეს მამა – „მეფე“-*კურაპალატი დავითი* (876-881წწ.) დალატით მოკლა, მცირეწლოვანი ადარნასე კი გახდა მამის მაგიერ „მეფე“, მაგრამ იმპერატორმა *ბასილი I* (867-886 წწ.) *მაკედონელმა* გადაწყვიტა იმპერიული პოლიტიკა კავკასიაში წარემართა „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით და იბერიის კურაპალატის ტიტული *არტანუჯელ ხელმწიფე-მამფალს გურგენ ამოტ კეკელაძის ძეს* (881-885 წწ.) უბოძა. მცირეწლოვან ადარნასეს კი რეგენტობას, როგორც ჩანს ბიძამისი – *ამოტ ბაგრატის ძე* უწევდა, რომელიც შეებრძოლა ნასრას და გააქცია საბერძნეთში.³

885 წელს როცა ამოტი გარდაიცვალა ნასრა საბერძნეთიდან დაბრუნდა და დისქმრის ბაგრატ აფხაზთა მეფის (ბიზანტიელების დახმარებით ტახტი დაიბრუნა 881-885 წლებს შუა და 12 წელი მეფობდა) და ჩვენი ვარაუდით, აგრეთვე გურგენ კურაპალატის შემწეობით სცადა გუარამ მამფალისეული მამულების დაბრუნება. თუმცა ბიძაშვილის მკვლელს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები და სომხეთის ბაგრატუნები დაუპირის-

¹ **ბუბა კუდავა.** ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები დოლისყანიდან, გვ. 24-26.

² **ბუბა კუდავა.** ახალი ეპიგრაფიკული ძეგლები დოლისყანიდან, გვ. 28-29.

³ **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. – *ქართლის ცხოვრება*. I., 1955, გვ. 378-379.

პირდენ.¹ ნასრა და მისი მოკავშირე კურაპალატი მოკლეს, მაგრამ იმპერატორმა ბასილიმ ამჯერადაც „იძმაცუა“ და კურაპალატის ტიტული ადარნასეს კი არ უბოძა, არამედ არტანუჯელ ბაგრატიონთა გვერდითი შტოს წარმომადგენელს, მსცოვან – გურგენ ადარნასეს ძეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნასრაზე გამარჯვების შემდეგ, მალევე ტაო-კლარჯეთის რეგიონის ბაგრატიონებმა და დიდგვაროვნებმა „ქართველთა მეფის“ უზენაესი ტიტული მიანიჭეს მოკლული კურაპალატის ვაჟს – ადარნასეს, რაც გამოხატულება იყო იმის, რომ მის ლიდერობას აღიარებდა თვით იბერიის კურაპალატი გურგენიც.² ეს იყო მიზანმიმართული პროტესტი ბიზანტიის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა ჩარეულიყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს შიდაპოლიტიკურ საქმეებში.

მართალია, 891 წელს, როცა გურგენ კურაპალატი გარდაიცვალა, ადარნასემ იმპერატორ ლეონ ბრძენისგან (886-912 წწ.) მიიღო კურაპალატობაც, თუმცა იმპერიული პოლიტიკის მეხობზე ნამდვილად არ გამხდარა და პირიქით, მისი პოლიტიკური აქტიურობა მთელს კავკასიაში წინააღმდეგობაში მოდიოდა ბიზანტიის იმპერიისა და მისი მოკავშირეების ინტერესებთან.³ ამიტომ, როცა 923 წელს ადარნასე ქართველთა მეფე-კურაპალატი გარდაიცვალა უზურპატორმა რომანოზ ლაკაპინემ (920-944 წწ.) კურაპალატობა დავით ქართველთა მეფეს (923-937 წწ.) კი არ უბოძა, არამედ მის უმცროს ძმას აშოტს, ხოლო დავითს უფრო დაბალი წოდება – მაგისტროსობა მიუგდო, რითაც დაამცრო მისი ავტორიტეტი ტაო-კლარჯეთის რეგიონის ბაგრატიონ მფლობელთა და სხვა დიდგვაროვანთა შორის და აღამაღლა კურაპალატის სტატუსის მქონე აშოტი.⁴

¹ მატიაზე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 261.

² სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა.., გვ. 379.

³ ზურაბ პაპასქირი. ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ X ს. I ნახევარი. – წიგნში: ზურაბ პაპასქირი. საქართველო, ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, გვ. 212-240.

⁴ კონსტანტინე პორფიროგენეტი. De administrando imporio. – გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. IV, ნაკვეთი II. თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1952, გვ. 280-287.

მოგვიანებით, იმპერიამ დავითს კიდევ ერთი ძმა, ბაგრატ დავითის ძე და მასაც მაგისტროსობა უბოძა (ალბათ 928 წლის წინარე ახლო პერიოდში).¹ ამიტომაც არის, რომ ოქრობაგეთის ეკლესიის ეპიტორი *მა-ძალაისძენი* 934 წელს მეფე დავითის სიცოცხლეში მას საერთოდ არ ახსენებენ და შენიშნავენ: „*მეფობასა კურაპალატისასა, უფლებასა ბაგრატი-საო*“.² შესაძლოა, რომ ბაგრატს როცა მაგისტროსობა ებოძა, დავითს კიდევ ჩამოერთვა ეს ტიტული უზურპატორის მხრიდან და საერთოდ დაეცა მისი ავტორიტეტი რეგიონის მფლობელ დიდგვაროვანთა თვალში. სწორედ ამიტომ, „ქართველთა“ მეფეს ბაგრატ III-მდე (შიდა ქართლის მმართველი 975 წლიდან, „აფხაზთა“ მეფე 978 წლიდან, კურაპალატი 1001 წლიდან და „ქართველთა“ მეფე 1008-1014 წწ.) აღარ ჰქონია ის მაღალი ავტორიტეტი, რაც ადარნასე II-ს დროს გააჩნდა.

ჩვენი აზრით, დავითის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც ვაჟი არ ჰყავდა, „ქართველთა“ მეფობა ბაგრატს რომ არ მიეღო, იმპერიამ მასაც კურაპალატობა უბოძა. ამიტომ აღნიშნავს მემატიაწე სუმბატ დავითის ძე, რომ მხოლოდ ძმების: ბაგრატიისა და აშოტის გარდაცვალების შემდეგ მოახერხა, მათმა უმცროსმა ძმამ ერისთავთერისთავ-ანთიპატრიკიოსმა სუმბატმა, მიეღო ქართველთა მეფობაცა და კურაპალატის ტიტულიცო.⁴ როგორც ჩანს, სამეფო კარზე დავითის შემდეგ, ქართველთა მეფედ მისი უმცროსი ძმა – სუმბატი მოიაზრებოდა. მაგრამ ჩვენი აზრით, უფროსმა ძმებმა აშოტმა და ბაგრატმა არ დაანებეს და ხელი შეუშალეს ქართველ-

¹ სანამ თეოდოსიუპოლისი აიღეს ბიზანტიელებმა 928 წელს, მათ აშოტ კურაპალატთან და მის ძმებთან კამათი მოუხდათ კეჯეს ციხის გამო, ვინაიდან სურდათ ამ ციხის ხელში ჩაგდებათ პლაცდარმი ჰქონოდათ თეოდოსიუპოლისის წინააღმდეგ. ამიტომ ქართველების გადაბირებას ყველანაირად ცდილობდნენ და ვთვლით, რომ ბაგრატ ადარნასეს ძეს ამ ვითარებაში ებოძა მაგისტროსობა და სწორედ მან უსარდლა ლაშქრობას თეოდოსიუპოლისის წინააღმდეგ, შემდეგ კი იმპერიისაგან მამულები მიიღო. **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imporio. – გეორგიკა..., ტ. IV, ნაკვეთი II., გვ. 263-266, 270-271.

² *ლაპიდარული წარწერები...*, გვ. 307-308.

³ ბაგრატ III-ის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღების თარიღთან დაკავშირებით, განსხვავებული მოსაზრება აქვს ზურაბ პაპასქირს. იხ.: **ზურაბ პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1990, გვ. 87-98.

⁴ **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და..., გვ. 380. *მატიანე ქართლისა...*, გვ. 266.

თა მეფის ტიტულის მიღებაში. ამასთან, აშოტ და ბაგრატ კურაპალატები ერთობლივად მოქმედებენ, ემსახურებიან ბიზანტიურ პოლიტიკას და მშვიდად ინაწილებენ სხვა ბაგრატიონი-მთავრების (მაგ.: პატრიკიოს აშოტ კისკასისა და გურგენ ერისთავთერისთავის) მამულებს.¹ ბაგრატის გარდაცვალების (945 წ.) შემდეგ, აშოტი მარტო განაგრძობს საქმიანობას. მაგრამ, როგორც უკვე ავღნიშნეთ, 954 წელს, როგორც კი გარდაიცვალა აშოტ კურაპალატიც, მისი უმცროსი ძმა – სუმბატი დაჯდა, როგორც ქართველთა მეფედ, ასევე კურაპალატის ტიტულიც მან მიიღო. თუმცა ამის სურვილი მის ძმისშვილ მაგისტროს ადარნასე ბაგრატის ძესაც უნდა ჰქონოდა, რომელიც მხოლოდ ბიძის სუმბატის სიკვდილის (958 წ.) შემდეგ გახდა კურაპალატი.² მეფე სუმბატი კი, ძალზედ ენერგიული მმართველი ჩანს და ძმისწულ ადარნასე მაგისტროსთან ერთად აქტიურად ითხოვს იმპერატორ კონსტანტინე VIII (912-959 წწ.) პორფიროგენეტიკაგან იმ დაპირებების შესრულებას, რაც მის ძმებს ჰქონდათ რომანოზ ლაკაპინესაგან, რომლის ხელმოწერილ ოქრობეჭდიანი წყალობის სიგელების ასლები, როგორც დოკუმენტაცია პროტოსპათარ ზურვან ჩორდვანელის ხელით გააგზავნა კონსტანტინოპოლში.³ მართალია, იმპერატორი თვლიდა რომ ყველა მიწა მას ეკუთვნოდა, მაგრამ სუმბატ კურაპალატს მაინც დაუთმო დანაპირები მიწები.

ამ ყოველივედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ დოლისყანის ეკლესია სწორედ ბაგრატ და აშოტ კურაპალატებმა ააგეს სავარაუდოდ 937-950 წლებს შუა, ხოლო მათზე განაწყენებულმა უმცროსმა ძმამ სუმბატმა, როცა ქართველთა მეფის ტიტული აღადგინა, საგანგებოდ იზრუნა იმაზე, რომ წაეშალათ მისი უფროსი ძმების ქტიტორული ღვაწლი და წარმოეჩინა ისე თითქოს დოლისყანის ეკლესიის ამგები თავად იყო. სუმბატს ამის გაკეთების შესაძლებლობა, ალბათ იმანაც მისცა, რომ საქტიტორო ღვაწლს უფროს ძმებთან ერთად, შეიძლება ისიც ინაწილებდა მანამდე. მაგრამ, როგორც კი ბაგრატ და აშოტ კურაპალატები გარდაიცვალნენ და რეგიონში ერთპიროვნული მმართველი სუმბატი შეიქმნა, მან საგანგებოდ ამოაშლევინა დოლისყანის ეკლესიის წარწერებიდან სხვა ქტიტორები.

¹ კონსტანტინე პორფიროგენეტი. De administrando imporio..., გვ. 277.

² სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა..., გვ. 381.

³ კონსტანტინე პორფიროგენეტი. De administrando imporio..., გვ. 267-269.

GURAM LEGASHVILI

FOR IDENTIFYING THE KTETOR OF THE DOLISKANA CHURCH

Summary

The article deals with historical references to newly discovered epigraphic monuments in the Doliskana (in historical Klarjeti, Village – Hamamli koy, Turkey) church. We also discuss some of the already known epigraphic monuments of the Doliskana Church and propose a different reading and new interpretation. Reconciling the information of the new inscriptions with references to Georgian and Byzantine sources, we have concluded that not Sumbat king-kouropalates (954-958) regarded as ktetor (i.e. donor), but his elder brothers Ashot kouropalates (923-954) and Bagrat kouropalates (937-945) are the builders of the church. The estimated date of construction of the Doliskana church is 937-950.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ბეჟან ხორავა

რუსეთის იმპერიის კოლონიური ხელისუფლების ბანდოკიციება აფხაზეთში ყირიმის ომის შემდეგ (1856-1862 წწ.)

XIX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მთავარი საზრუნავი კავკასიის ომში სწრაფი გამარჯვების მოპოვება იყო. გამარჯვება რუსეთს სჭირდებოდა ყირიმის ომში (1853-1856) დამარცხებით ევროპის თვალში შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად, და მეორე, ომი უზარმაზარ სახსრებს ნთქავდა, რასაც იმპერია ვერ უძლებდა.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც თურქთა საოკუპაციო ძალებმა 1856 წლის გაზაფხულზე აფხაზეთი დატოვეს, რუსეთის ჯარის ნაწილები აფხაზეთის სანაპირო ზოლისა და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს დაკავებას შეუდგნენ. 10 ივლისს რუსეთის ჯარის ნაწილებმა აფხაზეთის მთავრის *მიხეილ მარვაშიძის* (1823-1864) მეთაურობით სოხუმი დაიკავეს.¹ რამდენიმე დღეში კი, იმპერატორის 1856 წლის 22 ივლისის ბრძანებულებით, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი *ნიკოლაი შურავიოვი* კავკასიის კორპუსის მთავარსარდლისა და კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან გათავისუფლდა და სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა. კავკასიის კორპუსის მთავარსარდლისა და კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლად გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი *ალექსანდრ ბარიატინსკი* დაინიშნა.²

¹ *Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею*. Издан под редакцией председателя комиссии **Дм. Кобякова**, т. XI. Тифлис, Издательство *Типография Главного Управления Наместника Кавказского*, 1888, #45, გვ. 55.

² *Кавказ* (გაზეთი), #61, 1856, 6 ავგუსტი; **А. Л. Зиссерман**. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879, т. II. Москва, *Университетская типография*. 1890, გვ. 36.

საქართველოში, ალექსანდრ ბარიატინსკის კარგად იცნობდნენ. 1853-1855 წლებში ის კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი იყო და 1855 წელს ნიკოლაი მურავიოვთან უთანხმოების გამო დატოვა კავკასია. ამიტომ ქართველი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი, სამხედრო და სამოქალაქო ჩინოსნები, ალ. ბარიატინსკის დანიშვნას აღფრთოვანებით შეხვდა. გრიგოლ ორბელიანი დაღესტნიდან გამოგზავნილ ერთ კერძო წერილში აღტაცებით წერდა: „*მოდის თქვენკენ... კნიაზი ბარიატინსკი, კაცი ღვთისაგან დალოცვილი, სრული ყოვლის ფრით: გულით, გონებით, კეთილ განზრახველობით. მოდის დიდი სიყუარულით, დიდის სურვილით საქართველოს გაბედნიერებისათვის... ხელმწიფესა და თვით ღმერთსა ჰყუარებია საქართველო, რომ ეს კაცი გამოგზავნეს აქა*“.¹ აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე 1856 წ. 1 აგვისტოს ტფილისიდან გაგზავნილ წერილში ალექსანდრე ბარიატინსკის წერდა, რომ მისი დანიშვნით, ის და მთელი ქალაქი გახარებული იყო.²

სანამ ნიკოლაი მურავიოვი კავკასიას დატოვებდა, 1856 წ. აგვისტოში, რუსეთის ჯარის ნაწილებმა მისი მეთაურობით ანაპა აიღეს.³ იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა არა მარტო აფხაზეთში, არამედ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, დაკარგული პოზიციები აღედგინა. იმავე ხანებში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1855-1881) კორონაციაზე, მოსკოვში, მიხეილ შარვაშიძეც ჩავიდა. აქვე იყო ალექსანდრ ბარიატინსკი. კორონაციის დღეს, 26 აგვისტოს, იმპერატორმა ალექსანდრ ბარიატინსკის ინფანტერიის გენერლის წოდება უბოძა და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად და კავკასის მეფისნაცვლად დანიშნა.⁴

3 ნოემბერს ალექსანდრ ბარიატინსკი თბილისში ჩამოვიდა.⁵ მის

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. VI. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი V). ტომის რედაქტორები: *ქეთევან გიგაშვილი, მაია (მარიამ) ნინიძე*. თბილისი, გამომცემლობა „საარი“, 2015, გვ. 41.

² **А. Л. Зиссерман.** Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский..., გვ. 41.

³ **В. П. Щепетев.** Анапа. Историко-географический очерк. – *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа (СМОМПК)*, вып. 44, Тифлис, 1915, გვ. 7.

⁴ *Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею*. т. XII. Тифлис, Типография Канцелярии главноначальствующего гражданской частью на Кавказе, 1904 (შემდგომ – АКАК, т. XII); *Кавказский календарь на 1866 год*, Тифлис, 1866, გვ. 34.

⁵ *Кавказ (გაზეთი)*, #87, 1856, 2 ноября.

ჩამოსვლას, ძმის, ლეონტი ნიკოლაისადმი გაგზავნილ 5 ნოემბრის წერილში ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი საინტერესოდ აღწერს. „გუშინწინ ბარიატინსკი ჩამოვიდა, Кавказ (გაზეთი), – წერდა ა. ნიკოლაი, – სამი დღის განმავლობაში მისი ჩამოსვლა დღე-დღეზე იღებოდა. დიდი ზეიმით მიიღეს. ამქრები თავიანთი ბაირაღებითა და ეროვნული ყიჟინით ქალაქგარეთ შეეგებნენ, ცხენზე ამხედრებული დიდებულები კი ქალაქიდან რამდენიმე ვერსზე დახვდნენ. ბავშვები, როგორც ყოველთვის, ხმაურითა და „ვამას“ ძახილით თავში მიუძღოდნენ ამაღლას. ყველა ძალიან კმაყოფილი ჩანდა. როგორც პროგრამით იყო გათვალისწინებული, ის ჯერ ტაძარში შევიდა და ფიცი დადო... არც ამ ცერემონიაღს აკლდა საზეიმო იერი. იქიდან შინ წავიდა და სამხედრო და სამოქალაქო პირთა მიღება მოაწყო. გამოგიტყდები, მაინტერესებდა, როგორ დაიჭრდა თავს ამ პირველ შეხვედრაზე, სადაც ამდენი ნაცნობის წინაშე განსხვავებულ როლში გამოდიოდა. თავი კარგად გართვა. არც უხერხულობა ეძინოდა, არც ქედმაღლობა და ფამილარობა; ყველას ერთნაირად ექცეოდა. მიღების შემდეგ საზეიმო სადილი გაიმართა“.¹ ალექსანდრე ნიკოლაის ცნობით, ალექსანდრე ბარიატინსკი „ძველებურად გულითადი და მეგობრული იყო“.² თბილისში ბარიატინსკის ჩამოსვლის მეორე დღეს, 4 ნოემბერს, აღლუმი გაიმართა, რომელიც სამწუხარო ფაქტით დაიწყო: „როცა ბარიატინსკი ჰარადს მიუძღოდა, – წერს ალექსანდრე ნიკოლაი, – ცხენიდან გადმოვარდა, ცხენი მუსიკის ხმამ დააფრთხო, განზე გახტა, ყალყზე შეღგა და მხედარი ჩამოაგდო. ცხენთან ჭიდილი რამდენიმე წამს გაგრძელდა და ბარიატინსკის ჩამოგდებით დამთავრდა. საბედნიეროდ, მსუბუქად დაეცა, უმალ წამოდგა, კვლავ ცხენს შემოახტა და გზა განაგრძო. შესანიშნავი ამინდები იყო და ჰარადს მთელი ქალაქი დაესწრო... ბარიატინსკი დღეს მცხეთაში წასვლას აპირებდა, ტაძარში წირვაზე დასასწრებად“.³

ალექსანდრე ბარიატინსკის, რომელიც კავკასიას კარგად იცნობდა, ამ მხარესთან დაკავშირებით თავისი ხედვა ჰქონდა, რომელიც მან იმპერატორს 1856 წ. 25 მაისს წარუდგინა. ახალი მეფისნაცვალის შავი ზღვის სანაპირო ხაზის I და III განყოფილებების დაკავებას აუცილებლად თვლიდა. ამ მიზნით, მას მიაჩნდა, რომ დროის დაუკარგავად უნდა დაემყა-

¹ ცისანა ბიბილეიშვილი. ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის ერთი წერილი თავისი ძმის ლეონტი ნიკოლაისადმი. – გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №1, 2004, გვ. 36-37.

² ცისანა ბიბილეიშვილი. ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის ერთი წერილი..., გვ. 37.

³ ცისანა ბიბილეიშვილი. ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის ერთი წერილი..., გვ. 37.

რებინათ ურთიერთობა ოსმალეთის მთავრობასთან, მათ მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დაკავებული სიმაგრეების გადმოცემასთან დაკავშირებით. ეს გარემოება კავკასიელ მთიელებზეც მოახდენდა გავლენას, დაანახვებდა მათ რუსეთსა და ოსმალეთს შორის არსებულ მშვიდობიან ურთიერთობას და ამით ოსმალეთის მხრიდან დახმარებასა და თანაგრძნობაზე იმედებს გაუქარწყლებდა; საჭირო იყო შავი ზღვის სანაპირო ზოლის მთავარი პუნქტების დაკავება. ანაპისა და ნოვოროსიისკის დაკავება ძნელი არ იქნებოდა, ამისთვის საჭირო ძალები არსებობდა და დიდი მსხვერპლის გარეშე მოხერხდებოდა. შესაბამისად, აქ ომამდელი გავლენა და წესრიგი აღდგებოდა. რაც შეეხება აფხაზეთის სანაპიროს, აქ კონტრაბანდის აღსაკვეთად ხომალდების კრეისირება უნდა აღედგინათ.¹

ამასთანავე, ალ. ბარიატინსკის აზრით, სამეგრელოში დისლოცირებული ჯარის ნაწილით გაგრა უნდა დაეკავებინათ. მას აუცილებლად მიაჩნდა გაგრის ციხის აღდგენა და გამაგრება, რათა უბიხებისათვის აფხაზეთში შესაჭრელი გზა ჩაკეტათ; ბამბორის კვლავ დაკავებისა და გამაგრების აუცილებლობას იგი ვერ ხედავდა, თუმცა საჭიროდ თვლიდა სოხუმიდან ბამბორამდე გზის შეკეთებას, რათა საჭიროების შემთხვევაში ჯარს ადვილად შეძლებოდა ბზიფის აფხაზეთში შესვლა; რუსეთის ჯარის ნაწილების სოხუმში დამკვიდრებისთანავე ურთიერთობა უნდა დაემყარებინათ წებელდის გავლენიან თავადებთან და მრამბა დაეკავებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წებელდის დაკავება ჯარში მსხვერპლს გამოიწვევდა; მრამბის სიმაგრე უნდა აღედგინათ, რადგან შეიძლებოდა წებელდელები კვლავ მღელვარებას მოეცვა.

ამ გეგმის უკეთ განხორციელებისა და მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით, ალექსანდრ ბარიატინსკის მიზანშეწონილად მიაჩნდა, ეს ექსპედიცია აფხაზეთის მთავრისთვის მიენდოთ. ეს აამაღლებდა მიხეილ შარვაშიძის ავტორიტეტს ხალხის თვალში, თვითონაც იგრძნობდა ხელისუფლების მხრიდან დაფასებას, იმავდროულად, ის თავის ხელისუფლებას აღადგენდა ამ მხარეში. ალ. ბარიატინსკის ეს აზრი მით უფრო საფუძვლიანად მიაჩნდა, რომ ყირიმის ომის დროს, სწორედ მიხეილ შარვაშიძეს მიენდო აფხაზეთიდან ჯარის გამოყვანა, რაც მან უმსხვერპლოდ განახორციელა. მას ასევე აუცილებლად მიაჩნდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე საყრდენი პუნქტების, ანაპისა და ნოვოროსი-

¹ АКАК, т. XII, #594, გვ. 694-695; А. Л. Зиссерман. Фельдмаршал князь..., гв. 32-33.

ისკის, როგორც ზღვიდან, ისე ხმელეთიდან გამაგრება.¹

რუსეთის სარდლობა სწორედ ასე მოქმედებდა. რუსეთის ჯარის ნაწილები ცდილობდნენ აღედგინათ დაკარგული პოზიციები დასავლეთ კავკასიაში. 27 აგვისტოს ალ. ბარიატინსკიმ შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსს, ვიცე-ადმირალ ლაზარ სერებრიაკოვს წერილი გაუგზავნა. იგი წუხდა იმის გამო, რომ ნოვოროსიისკისა და, განსაკუთრებით, გაგრის დაკავება ამ წელს ვერ მოხერხდა. მისი ინფორმაციით, ნოვოროსიისკში შაფსუდთა წინამძღოლის სეფერ-ბეი ზან-უყოს ოჯახი ცხოვრობდა. როდესაც რუსეთის ჯარებმა ანაპა დაიკავეს, სეფერ-ბეი დარწმუნდა, რომ მათ ნოვოროსიისკის დაკავება და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მტკიცედ დამკვიდრება ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამიტომ მან ოჯახი მთებში, მდ. ადაგუმის სათავეებში გახიზნა, ხოლო ნოვოროსიისკი მისი ბრძანებით გადაწვეს და ნაცარტუტად აქციეს.²

რაც შეეხება დასავლეთ კავკასიის მთიელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის კიდევ ერთ მეთაურს, მუჰამად-ამინს, ხელისუფლების ინფორმაციით, ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, იგი დასავლეთ კავკასიის მთიელთა წარმომადგენლებთან ერთად ოსმალეთში გაემგზავრა, რათა გაერკვიათ, ამის შემდეგ ვისზე იქნებოდნენ დამოკიდებული. შემოდგომაზე, მთიელთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო მუჰამად-ამინი ოსმალეთში დარჩა. მთიელებმა ამბავი ჩამოიტანეს, თითქოს, ოსმალეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ გაგრიდან ანაპამდე მცხოვრები ტომები არც ერთ სახელმწიფოზე დამოკიდებული არ იყვნენ და, შესაბამისად, სრულიად თავისუფალი იყვნენ.³ მოგვიანებით, როგორც კავკასიის სარდლობისთვის გახდა ცნობილი, ოქტომბერში ინგლისურმა სავაჭრო გემმა „კენგურუშ“ მუჰამად-ამინი, რომელსაც სულტანმა ფაშას ტიტული უბოძა, მის თანმხლებ 80 მთიელთან ერთად უბიხეთში ჩაიყვანა. აქედან მუჰამად-ამინი ამაღლასთან ერთად მთებისკენ გაემართა.⁴ ამ დროიდან მუჰამად-ამინი კვლავ ჩაუდგა სათავეში აბაზახებისა და დასავლეთ კავკასიის სხვა მთიელთა თავისუფლებისთვის ბრძოლას.

რუსეთის ხელისუფლების კიდევ ერთი თავსატეხი, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან თურქების უკონტროლო კონტაქტე-

¹ АКАК, т. XII, #594, გვ. 695; А. Л. Зиссерман. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский..., გვ. 33-35.

² АКАК, т. XII, #595, გვ. 696.

³ АКАК, т. XII, #597, გვ. 697.

⁴ АКАК, т. XII, #602, გვ. 705-706.

ბი იყო. კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ალექსანდრ გორჩაკოვს (1856-1882) 14 ნოემბრის წერილით აუწყებდა, რომ ოსმალეთის სავაჭრო გემები თავისუფლად ადგებოდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს იმ მოტივით, რომ პარიზის საზავო ხელშეკრულებით (1856 წლის 30 მარტი) შავ ზღვაში სავაჭრო გემების ნავიგაცია თავისუფალი იყო.¹

ალ. ბარიატინსკის საჭიროდ მიაჩნდა კავკასიის კორპუსის მართვის რეორგანიზება.² მისი წინადადებით იმპერატორმა, სექტემბერში, კავკასიის კორპუსის მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობა აღადგინა. მთავარი შტაბის უფროსად გენერალ-მაიორი დმიტრი მილიუტინი დაინიშნა.³ იმპერატორს სურდა, რომ კავკასიაში ადგილობრივი სამხედრო მმართველობა სამხედრო ნაწილების სარდლობასთან ყოფილიყო შერწყმული. აქედან გამომდინარე, იმპერატორმა სექტემბერში კავკასიის მხარის შემდეგი დაყოფა დაამტკიცა:

1. კავკასიის ხაზის მარჯვენა ფრთა, რომელშიც შევიდა კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგი, ცენტრი, შავიზღვისპირეთი. იგი მე-19 ქვეითთა დივიზიის მეთაურს დაექვემდებარა, რომელსაც მე-19 ქვეითთა დივიზიის მეთაური და კავკასიის ხაზის მარჯვენა ფრთის ჯარების სარდალი ეწოდა;
2. კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთა, რომელშიც შევიდა ვლადიკავკაზის ოკრუგი და კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგი. იგი მე-20 ქვეითთა დივიზიის მეთაურს დაექვემდებარა, რომელსაც მე-20 ქვეითთა დივიზიის მეთაური და კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთის ჯარების სარდალი ეწოდა;
3. კასპიის მხარე;
4. ლეკეთის საკორდონო ხაზი; 5. ქუთაისის საგენერალგუბერნატორი.⁴

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად და მე-18 ქვეითთა დივიზიის სარდალად გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ გაგარინი დაინიშნა.⁵ ქუ-

¹ АКАК, т. XII, #602, გვ. 706.

² А. Л. Зиссерман. Фельдмаршал князь Александр Иванович..., т. II, გვ. 87.

³ АКАК, т. XII, #538, გვ. 616; #543, გვ. 615.

⁴ АКАК, т. XII, #539, გვ. 613-614.

⁵ АКАК, т. XII, #540, გვ. 614; Военно-статистическое описание Российской империи, т. 16. Кавказский край, ч. 5. Кутаисское генерал-губернаторство. Санкт-Петербург, 1858, гв. 303.

თაისის საგენერალგუბერნატოროში შედიოდა *სამეგრელოს, სვანეთის, აფხაზეთის სამთავროები*. 1857 წ. თებერვალში ალექსანდრ გაგარინი ქუთაისში ჩამოვიდა.¹ კავკასიის კორპუსის სარდლობას 1857 წელს განზრახული ჰქონდა: გაზაფხულზე გაგრის დაკავება საზღვაო ლესანტიით და გაგრის ვიწროებში სიმაგრის აგება, რადგან უწინდელი სიმაგრის შემოვლით, მთის ბილიკებით, შესაძლებელი იყო აფხაზეთში შეჭრა, ე. ი. ძველი სიმაგრე მთლიანად ვერ კეტავდა აფხაზეთში შესასვლელ გზას გარნიზონის ხეობაში. მიხეილ შარვაშიძემ წამოაყენა წინადადება, გაგრის ახალი სიმაგრე ძველი სიმაგრის სამხრეთით, მისგან 3 ვერსზე აეგოთ; განზრახული იყო ასევე წებულდის დაკავება, მრამბის სიმაგრის აღდგენა და საბოქაულოს შექმნა, რათა ამ მხარეში რუსული ხელისუფლება კვლავ განმტკიცებულიყო.² გადაწყდა, რომ ბამბორაში გარნიზონი არ ჩაეყენებინათ, რადგან წინათ აქ გარნიზონი უფრო მეტად მთავრისა და მისი ოჯახის დასაცავად იდგა, მაგრამ მთავარი 1856 წელს მეტწილად ოჩემჩირეში ცხოვრობდა.³

ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ ამიერკავკასიაში სავაჭრო ურთიერთობებისათვის ყველაზე ხელსაყრელი სოხუმის ნავსადგური იყო. სოხუმში ნავსადგურის მოწყობას ჯერ კიდევ კავკასიის მეფისნაცვალმა *მიხაილ ვორონცოვმა* (1844-1854) მიაქცია ყურადღება. მის დროს დაიწყო რედუტ-კალედან სოხუმამდე გზის გაყვანა და სოხუმში ნავსადგურის გადატანისათვის ზრუნვა.⁴ მაგრამ ალექსანდრ ბარიატინსკი სამხედრო მინისტრს *ნიკოლაი სუხოზანეტს* (1856-1861) 1857 წ. 25 მარტს წერდა, რომ აფხაზეთში რუსეთის ხელისუფლების არამყარ მდგომარეობის, სოხუმის სიშორისა და მასთან კავშირის სირთულის გამო, ხელისუფლებას არ შეეძლო აქეთ გადაეტანა სავაჭრო გზა, ამიტომ არჩევანი რედუტ-კალეთი და ფოთით უნდა შემოფარგულიყო.⁵

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ალექსანდრ გაგარინმა მთავარსარდალს წარუდგინა გეგმა, რომლითაც განზრახული იყო: გაგრის ვიწროებში სიმაგრის აგება, უწინდელი სიმაგრიდან 3 ვერსით სამხრეთით, რათა მას მთავარი და გვერდითი ვიწროები ჩაეკეტა; სოხუმის შემოგა-

¹ **კორნელი ბოროზდინი**. სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებები. თბილისი, *სახელმწიფო გამომცემლობა*, 1934, გვ. 203.

² *AKAK*, ტ. XII, #545, გვ. 617, #546, გვ.623.

³ *AKAK*, ტ. XII, #606, გვ. 709.

⁴ *AKAK*, ტ. XII, #417, გვ. 492.

⁵ *AKAK*, ტ. XII, #415, გვ. 488.

რენში ჭაობების დაშრობა; შავი ზღვის სანაპირო ბატალიონებისათვის, რომლებიც განსაზღვრული იყო მუდმივად სოხუმში განსათავსებლად, შტაბ-ბინის აგება არა თვით ქალაქში, არამედ მდ. ბესლეთის ხეობაში, რომელიც ზღვაში ქალაქის მახლობლად ჩაედინებოდა. ჯანსაღი კლიმატის გარდა, აქ ის სარგებელიც იყო, რომ შტაბ-ბინა დაცული იქნებოდა მოწინააღმდეგის ფლოტის მიერ დაბომბვის შემთხვევაშიც; გზის გაყვანის დაწყება სოხუმიდან ქუთაისისკენ, ზღვიდან მოშორებით, ბესლეთის ხეობით, სოფლების გერზელ-აულის, ნაას, ათარის გავლით. ალ. ბარიატინსკი ნ. სუხოზანეტს ამ საკითხების იმპერატორთან შეთანხმებას სთხოვდა.¹ ამდენად, კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ, გაგრის სიმაგრესთან დაკავშირებით, მიხეილ შარვაშიძის აზრი გაითვალისწინა.

როგორც განზრახული იყო, 1857 წ. გაზაფხულზე, მთიელებთან მცირე შეტაკების შემდეგ, 5 მაისს, რუსეთის ჯარის ნაწილებმა გაგრა დაიკავეს და გაგრის სიმაგრის აგებას შეუდგნენ.² ბრძოლები მიმდინარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც. 21 ივნისს გენერალ-მაიორმა გრიგორი ფილიპსონმა ღესანტი გადასხა და მთიელებს გელენჯიკის სიმაგრე ბრძოლით წაართვა. მიუხედავად ამისა, მთიელები რუსების მიერ მხარის დაპყრობას არ ურიგდებოდნენ. 22 ივლისს ანაპის ციხის გარნიზონს თავს დაესხა მთიელთა ლაშქარი, მაგრამ გარნიზონმა მაიორ ლევაშოვის მეთაურობით მთიელების თავდასხმის მოგერიება შეძლო; 1 სექტემბერს ზღვიდან ტუაფსეს შესართავში გადასხდა ღესანტი მაიორ ლევაშოვის მეთაურობით, რომელმაც იქ მოწყობილი სავაჭრო ადგილი გაანადგურა.³

რუსეთის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოშიც შეეცადა პოზიციების განმტკიცებას. 1857 წ. ოქტომბერში სამეგრელოს სამთავრო ფაქტობრივად გაუქმდა. სამეგრელოს დედოფალი *კატერინე ჭავჭავაძე* შვილებთან ერთად პეტერბურგში გაიწვიეს, ხოლო სამეგრელოს მმართველად გენერალ-მაიორი *ნიკოლაი კოლიუბაკინი* დაინიშნა. ასეთივე ბედი ეწია 1857-1859 წლებში სვანეთის სამთავროს.⁴

¹ АКАК, т. XII, #415, გვ. 489.

² *Кавказ* (გაზეთი), #71, 1858; ა. დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი. რუსულიდან თარგმნეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს *ზურაბ ჰაპსაჯირმა* და *ბეჟან ხორავამ*. თბილისი, 2003, გვ. 131.

³ Кавказский календарь на 1866 год, გვ.34.

⁴ **ვახტანგ გურული**. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. 1. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, გვ. 576-587.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კავკასიის ომს. ცარიზმს საშუალება მიეცა კავკასიაში თავი მოეყარა მნიშვნელოვანი ძალებისთვის. იმპერატორის 1857 წ. 6 დეკემბრის ბრძანებულებით კავკასიის კორპუსი კავკასიის არმიად გარდაიქმნა.¹ ამის შესაბამისად, მთავარსარდლის 1858 წ. 1 იანვრის ბრძანებულებით, ყოფილი კავკასიის კორპუსის შტაბს კავკასიის არმიის მთავარი შტაბი ეწოდა.²

1857 წ. ოქტომბერში სვანეთის მთავრის *კონსტანტინე (მურზაყან) დადუშელიანის* მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, გენერალ ლეიტენანტ ალექსანდრ გაგარინის მოკვლის შემდეგ, დეკემბერში, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი ბარონი *ალექსანდრ ვრანგელი* დაინიშნა.³ თუმცა ბარონი ვრანგელი მოვალეობის შესრულებას არც შედგომია, 1858 წ. დასაწყისში 21-ე ქვეითთა დივიზიის მეთაურად და კასპიის მხარის სამოქალაქო ნაწილის მმართველად გაამწესეს.⁴ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად კი გენერალ-ლეიტენანტი *გიორგი ერისთავი* დაინიშნა.

განხორციელებული ზომების მიუხედავად, ხელისუფლების პოზიციები აფხაზეთში კვლავ სუსტი იყო. კავკასიის ხაზის მარჯვენა ფრთის ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი გრიგორი ფილიპსონი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ-მაიორ დმიტრი მილიუტინს 1858 წ. 13 მაისს წერდა: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აფხაზეთის მდგომარეობა იმ დროიდან, რაც მე ის დავტოვე, უკეთესობისკენ არ შეცვლილა. ჩვენს ჯარისკაცებს ისე არ შეუძლიათ მოშორდნენ თავიანთ სიმაგრეებს ერთ ვერსზე, რომ ტყვედ ჩავარდნის ან სიკვდილის საფრთხის ქვეშ არ იყვნენ. მთავარი საგვარულოების შინაგანი უთანხმოებები იწვევს ჩვენს მონაწილეობას მასში და რიგ მოქმედებებს, რომლებშიც ჩანს, რომ აფხაზეთში ჩვენ არცერთ ფენაზე დაყრდნობა არ შეგვიძლია. ერთი სიტყვით, ჩვენ გვიკავია აფხაზეთი, მაგრამ ვერ ვფლობთ მას“.⁵

1858 წ. 20 აპრილს რუსეთის ჯარის ნაწილებმა ისევ დაიკავეს სუ-

¹ **А. Л. Гизетти.** Хроника кавказских войск, Тифлис, Типография Канцелярии Главноначальствующего гражданской частью на Кавказе, 1896, გვ. 114-119; *Кавказ* (გაზეთი), #3, 1858, 9 января.

² *Кавказ* (გაზეთი), #3, 1858, 9 января.

³ *Кавказ* (გაზეთი), #3, 1858, 9 января.

⁴ *Кавказ* (გაზეთი), #15, 1858, 20 февраля.

⁵ АКАК, т. XII, #665, გვ. 776.

ჯუკის ანუ წამაზის ყურე, რომლის ნაპირზეც ყირიმის ომამდე ნოვოროსიისკის რუსული სიმაგრე იყო. მარჯვენა ფრთის ჯარების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა გრიგორი ფილიპსონმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადმოსხა ჯარი, ეს ადგილი დაიკავა და სიმაგრის აგებას შეუდგა, რომელსაც, წინათ იქვე ახლოს არსებული კოშკის სახელის მიხედვით *კონსტანტინოვსკი* ეწოდა.¹ ამავე ხანებში, 1858 წლის ზაფხულში, ბზიფის შუა წელის აფხაზური თემის ფსხუს მკვიდრნი სოხუმის შემოგარენის სოფლებს თავს დაესხნენ და მოარბიეს. მალე, აფხაზეთის მთავრის მხრიდან დასჯის შიშით, მათი წარმომადგენლები მთავართან მივიდნენ მორჩილების გამოცხადებით და ერთგულების ნიშნად მძევლების მიცემაზეც დათანხმდნენ.² ფსხუელთა მძევლები მიხვილ შარვაშიძესთან დაახლოებულ გვარდიის პორუჩიკ ჰასან მარღანას გადაეცა, მაგრამ მან, მალევე, ისინი რუსული ადმინისტრაციის დაუკითხავად ფსხუში დააბრუნა. რუსეთის ხელისუფლებამ ფსხუელებს მათი დაბრუნება მოსთხოვა, მაგრამ ფსხუელებმა ეს მოთხოვნა არ შეასრულეს. რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნაზე არც ფსხუელი თავადები გამოცხადდნენ სოხუმში, რაც აშკარა დაუმორჩილებლობას ნიშნავდა.³ რუსული ადმინისტრაცია თვლიდა, რომ ჰასან მარღანია დამნაშავე იყო არა მარტო მძევლების გაშვებაში, არამედ ხელისუფლების მიმართ არაკეთილგანწყობილ მოქმედებაში. ამიტომ მთავარსარდალმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს მისი დაპატიმრება უბრძანა.⁴

ფსხუს გარდა, რუსული ხელისუფლება აღსადგენი იყო წებელდაში (წებელი და დალი). ამდენად, კავკასიის არმიის სარდლობის წინაშე მორიგჯერ მწვავედ იდგა აფხაზეთის მთის თემების დამორჩილების საკითხი. 1858 წლის ივნისში რუსეთის ჯარის ნაწილები წებელდაში შევიდნენ. მოსახლეობა თბილად შეხვდა ჯარს. წებელდაში ბოქაულის ხელისუფლება აღდგა. 25 ივნისს მდ. ამტყელის კოდორთან შეერთების მახლობლად საფუძველი ჩაეყარა წებელდის სიმაგრეს.⁵ რუსეთის სარდლობა ფიქრობდა, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედებები უკვე არ იქნებოდა,

¹ *Кавказ* (გაზეთი), #37, 1858, 15 мая.

² *Документы по истории Грузии*, серия II, т. I, ч. I. Под редакцией проф. **Ш. К. Чхетия**. Тбилиси, 1954, გვ. 638.

³ *АКАК*, т. XII, #736, გვ.857.

⁴ *АКАК*, т. XII, #736, გვ. .857.

⁵ *Кавказский календарь на 1866 год*, გვ. 35; *АКАК*, т. XII, #560, გვ. 648; *Кавказ* (გაზეთი), #71, 1858, 11 сентября.

მხოლოდ საჭირო იყო ამ მხარის დაცვა მთიელთა თავდასხმებისაგან, რომელთა წინააღმდეგ მოქმედება მეტწილად ზღვიდან უნდა განხორციელებულიყო სოხუმის ნავსადგურში მდგარი ხომალდებით; აგრეთვე, საჭირო იყო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მთიელების მტრული მოქმედებებისა და კონტრაბანდის აღკვეთა.¹ კავკასიის სარდლობა ქუთაისის საგენერალგუბერნატოროში ჯარებს აძლიერებდა, რაც აქ მიმდინარე სამშენებლო და საგზაო სამუშაოებით, აგრეთვე ყოველგვარი მოულოდნელობისაგან აფხაზეთის დაცვისა და ამ მხარეში რუსეთის პოზიციების განმტკიცების აუცილებლობით იყო გამოწვეული.²

1858 წ. 12 ივლისს აფხაზეთის ჯარების სარდლად დანიშნული გენერალ-მაიორი *მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი*³ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისადმი 12 აგვისტოს მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ გზების გაყვანა სოხუმიდან ჩრდილოეთ კავკასიაში და ამიერკავკასიის მხარეებისაკენ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენდა, რომლის სწრაფად გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული რუსეთის ჯარებით აფხაზეთის დაკავება. მისი აზრით, ეს გზა საჭირო იყო სამხედრო და ადმინისტრაციული თვალსაზრისით; გზები სხვა სამუშაოებზე უფრო მეტად უწყობდა ხელს მხარეში მტკიცედ დამკვიდრებას და ვაჭრობის განვითარებას. მისივე აზრით, აფხაზეთში, რომელსაც ჰქონდა ერთადერთი კარგი ნავსადგური შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მტკიცედ დამკვიდრება, შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსული მფლობელობის გავრცელების საფუძველი იქნებოდა.⁴

1858 წლის შემოდგომიდან 1859 წლის შემოდგომამდე კავკასიის არმიის სარდლობას განზრახული ჰქონდა: სოხუმში ყაზარმის, ლაზარეთის და ნავსადგურის მშენებლობა; გაგრამი მიმდინარე მშენებლობების დამთავრება; შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე საგუშაგოების მოწყობა აზოვის კაზაკებისთვის; წებულდაში სიმაგრის მშენებლობის დასრულება, ბოქაულისა და სახალხო სასამართლოსთვის შენობის აგება; გზების გაყვანა სოხუმიდან ქვეყნის შიდა მხარეებში, აგრეთვე წებულდისა და თებერდისკენ; სოხუმი-ქუთაისის გზის გაყვანა ოქუმისა და ჯვარის გავლით, სამი კაპიტალური ხიდის აგებით კოდორზე, ენგურსა და ცხე-

¹ АКАК, т. XII, #560, გვ. 643.

² АКАК, т. XII, #560, გვ. 643.

³ *Кавказ* (გაზეთი), #62, 1858, 10 августа.

⁴ АКАК, т. XII, #662, გვ. 792.

ნისწყალზე. ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას სოხუმი-ქუთაისის ახალი გზის მშენებლობას აქცევდა.¹

1858 წლის სექტემბერში უბიხთა მამასახლისები რამდენჯერმე ჩამოვიდნენ სოხუმში და აფხაზეთის ჯარების სარდალს, გენერალ-მაიორ მ. ლორის-მელიქოვს შეხვდნენ. ისინი მზადყოფნას გამოთქვამდნენ რუსეთის ხელისუფლებასთან მშვიდობიანი და ახლო ურთიერთობა დაემყარებინათ; ისინი ფიქრობდნენ, რომ გაგრაში ან სოხუმში შეეკრიბათ ყველა მამასახლისი, რათა მათთვის გაეცნოთ ის პირობები, რომელთა საფუძველზეც მთავრობას შეეძლო მოლაპარაკებები ეწარმოებინა მათთან და მფარველობაში მიეღო. მ. ლორის-მელიქოვს მათ პირობა მისცეს, რომ ამ საკითხს ორ ან სამ კვირაში მოაგვარებდნენ.² მიუხედავად იმისა, რომ უბიხების მხრიდან ასეთი სურვილები არაერთხელ გამოითქვა, ეს მცდელობები უშედეგოდ დამთავრდა.³

მ. ლორის-მელიქოვი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებასთან უბიხების შემორიგების უმთავრეს წინააღმდეგობას ყოველთვის აფხაზეთის სამთავრო სახლის და, პირველ რიგში, მიხეილ შარვაშიძის პოზიცია წარმოადგენდა. მთავარი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის ხელისუფლებისადმი აფხაზეთის მეზობელი მიწების დამორჩილების შემდეგ სამთავრო სახლის მნიშვნელობა და გავლენა დაეცემოდა. მიხეილ შარვაშიძე, რომელიც უბიხებთან აღიზარდა, მათთან იმაზე უფრო დიდი გავლენით სარგებლობდა, ვიდრე მუჰამად-ამინი, და მისი გულწრფელი სურვილის შემთხვევაში, ჯიქების, უბიხების და მთის თემების – *აჭყიფსი, ფსხუ*, – სრული დამორჩილება რუსეთის ხელისუფლებისადმი, დიდი ძალისხმევის გარეშე მოხერხდებოდა.⁴ მაგრამ მთავარი დასავლეთ კავკასიის მთიელებზე თავის გავლენას პირადი ინტერესებისთვის – სამთავროში გავლენის განმტკიცებისათვის იყენებდა.

მ. ლორის-მელიქოვს მიაჩნდა და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ მთავარი ურჩი თავად-აზნაურების დასარბევად უბიხთა რაზმებს იყენებდა, თვითონ კი განზე რჩებოდა, რითაც იმას მიაღწია, რომ აფხაზეთში არ იყო თავადი, რომელიც მისი დესპოტიზმის წინააღმდეგ ხმას აღიმალლებდა.⁵ გენერლის აზრით, აფხაზეთის მთავარი ცდილობდა მთიელები

¹ АКАК, т. XII, #563, გვ. 650.

² АКАК, т. XII, #666, გვ. 796.

³ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 640.

⁴ АКАК, т. XII, #666, გვ. 796.

⁵ *Документы по истории Грузии*, серия II, т. I, ч. I, გვ. 638.

მთავრობასთან ურთიერთობაში ორაზროვან მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, რათა მისი შუამავლობის გარეშე დაწყებული ყოველი საქმე უშედეგოდ დასრულებულიყო, მაგრამ თუ ის დაინახავდა, რომ მთიელები საფრთხეს უქმნიდნენ აფხაზეთს, მაშინ ცდილობდა მათი გეგმები ჩაეშალა. ასე, მაგალითად: 1858 წელს მუჰამად-ამინი უბიხეთში ჩავიდა და სახალხო სასამართლოების შემოღება დაიწყო. იმავდროულად, ის შეეცადა უბიხები დაერწმუნებინა, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ჩერქეზთა ეთნოგრაფიული ჯგუფები რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში გაეერთიანებინა. მაშინ აფხაზეთის მთავარმა არ დააყოვნა საწინააღმდეგო ზომები მიეღო. მ. ლორის-მელიქოვს დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია ამაზე მთავრის დასათანხმებლად, რადგან მთავარიც კარგად ხვდებოდა, რომ მუჰამად-ამინის ხელისუფლების განმტკიცება მისი გავლენის საზიანოდ მოხდებოდა. მან მთიელები დაარწმუნა მუჰამად-ამინის მორიდებოდნენ. მართლაც, როდესაც ეს უკანასკნელი უბიხებმა ცივად მიიღეს, მან უბიხეთი დატოვა.¹

1858 წლიდან მიხეილ შარვაშიძე ხშირად ავადმყოფობდა და უფრო განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა. მ. ლორის-მელიქოვი უბიხების მიერ რუსეთის ხელისუფლებასთან პირდაპირი კონტაქტების დამყარებას სწორედ ამ გარემოებას მიაწერდა.² ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გიორგი ერისთავი (1858-1861) სავსებით ეთანხმებოდა მ. ლორის-მელიქოვს და 1858 წ. 17 დეკემბრის მოხსენებით ბარათში კავკასიის არმიის შტაბის უფროსისადმი, თავის მხრივ აღნიშნავდა, რომ წებელდის მღელვარებებში აფხაზეთის მთავრის ხელი ერია. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის აზრით, აფხაზეთში დამნაშავეების მოძებნა შეუძლებელი იყო, ხოლო თუ ისინი ცნობილი იყვნენ, რუსეთის ხელისუფლებისათვის მათი გადმოცემა არ ხდებოდა. ამიტომ, მისი აზრით, აფხაზეთის მმართველობა საფუძვლიანად უნდა შეცვლილიყო: აფხაზეთი უნდა დაეყოს ოკრუგებად და უბნებად, მკვლელებს კანონის მთელი სიმკაცრით უნდა მოპყრობოდნენ, ხოლო მათთვის თავშესაფრის მიცემის შემთხვევაში მამასახლისები ან ამაში დამნაშავენი, დაეპატიმრებინათ, დაეჯარიმებინათ და აფხაზეთიდან გაესახლებინათ.³ მაგრამ ა. ბარიატინსკი ასეთი რადიკალური ზომების მიღებას არ დაეთანხმა და მიხეილ შარვაშიძეს შესთავაზა მიეწოდებინა თავისი შეხედულებები, რა ზომების მი-

¹ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 638-639.

² *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 639.

³ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 640.

ღებას თვლიდა საჭიროდ ასეთი უწესრიგობების აღსაკვეთად.

მიხეილ შარვაშიძემ მთავარსარდალს აცნობა, რომ უკვე 18 თვეა მწოლიარე ავადმყოფია და აფხაზეთის მართვა ძმას – კონსტანტინეს მიანდო, რომელიც შეძლებისდაგვარად, კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. იგი წერილში აღნიშნავდა, რომ ბოროტმოქმედებები, მათ შორის, ქურდობა, მკვლელობა, თუმცა ხდებოდა, მაგრამ დამნაშავეები, თუ ისინი აფხაზები აღმოჩნდებოდნენ, დაუყოვნებლივ გადაეცემოდა ხელისუფლებას, თუმცა უწესრიგობების მომწყობნი მეტწილად კავკასიელი მთიელები იყვნენ. ასეთი უწესრიგობები ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროში სხვაგანაც ხდებოდა, თუმცა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის უფლება იყო რაც სურდა ის მოეხსენებინა. დასასრულ, მთავარი წერდა, რომ ამ მხარეში საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისა და უმაღლესი სარდლობის მოთხოვნების დროზე შესასრულებლად ის ყოველ ღონეს ხმარობდა და მეტი არაფრის გაკეთება არ შეეძლო, ხოლო აფხაზეთში ახალი მმართველობის შემოღება მთავარსარდალის ნება იყო.¹

კვლავ დღის წესრიგში დადგა ფსხუს დამორჩილების საკითხი. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა აფხაზეთის ჯარების სარდალს, გენერალ-მაიორ მ. ლორის-მელიქოვს უბრძანა ფსხუს თემი იარაღის ძალით დაემორჩილებინა. 1859 წ. იანვარში მ. ლორის-მელიქოვმა სოხუმში თავი მოუყარა რეგულარულ ჯარის ნაწილებს და არტილერიას, შეიკრიბა აფხაზეთისა და წებელდის მილიციაც. 22 იანვარს მ. ლორის-მელიქოვი თავისი რაზმით სოხუმიდან გავიდა და მდ. გუმისთის ნაპირზე დაბანაკდა. 23 იანვარს მან აფხაზეთის მილიცია სოფ. აჭაჯჰარისკენ წასწია, თვითონ კი სოფ. ააცში ჩავიდა. შემდეგ ჯარის ნაწილები მდ. ფსირცხასკენ, ხოლო აფხაზეთის მილიცია მდ. ააფსთის ხეობისკენ წასწია. როგორც ჩანს, რუსეთის სარდლობის მიერ გატარებულმა ზომებმა ფსხუელები შეაშფოთა. 28 იანვარს ფსხუს დეპუტაცია ააცში ჩავიდა, ხოლო 29 იანვარს ერთგულების ფიცი დადო და რუსეთის სარდლობას მძევლებიც გადასცა. ამრიგად, რუსეთის ხელისუფლებას ფსხუ კვლავ დამორჩილდა. მიზანი მიღწეული იყო და 30 იანვარს მ. ლორის-მელიქოვი თავისი რაზმით სოხუმში დაბრუნდა. ამ ღონისძიებაში აფხაზეთის ჯარების სარდალს მიხეილ შარვაშიძემ ქმედითი დახმარება გაუწია.²

¹ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 640-641.

² *АКАК*, т. XII, #675, გვ. 805-806; **С. Смоленский** Воспоминания кавказца. Экспедиция в Псхоу. – *Военный сборник*, #9, 1872, გვ. 165.

1859 წ. 25 აგვისტოს რუსეთის სარდლობას დანებდა კავკასიელ მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური შამილი. რუსეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია დაიპყრო. ჩეჩნეთ-დაღესტნის დაპყრობის შემდეგ ალექსანდრ ბარიატინსკი 4 სექტემბერს ტფილისში დაბრუნდა.¹ მთავარსარდალს ტფილისის გარეუბანში, ნავთლუღში, საზეიმო დახვედრა მოუწყვეს. დღის 11 საათზე ზარბაზნის ხმამ მეტეხიდან, ხალხს ბარიატინსკის მოახლოება ამცნო.² პოლიცემისტერმა და ქალაქის კომენდანტმა ტფილისში არსებული ვითარების თაობაზე მას პატაკი მიართვეს. შემდეგ ა. ბარიატინსკი ცხენიდან ჩამოხტა და მას სიტყვით მიმართეს ცალკე მოქალაქეთა და ცალკე ხალხის წარმომადგენლებმა, ბავშვებმა ყვავილები დაუყარეს ფეხქვეშ. აქედან მთავარსარდალი ქალაქისკენ გაემართა, ხალხი რუსული ურას ძახილით და ზურნის დაკვრით მისდევდა. მთავარსარდალი ჩავიდა სიონის ეკლესიაში, სადაც საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (1858-1877) პარაკლისი გადაიხადა. თამამშოვის ქარვასლის წინ მთავარსარდალს ჯარი დახვდა. მეფისნაცვლის სასახლე ხალხით გაივსო: სასულიერონი, სამხედრონი, სამოქალაქონი. საღამოს ქალაქი ჩირაღდნებით იყო განათებული. ა. ბარიატინსკის ტფილისში დაბრუნების მესამე დღეს, საქართველოს კეთილშობილებმა ბალი მოაწყვეს.³

შამილის დანებებიდან სამი თვის შემდეგ, 1859 წ. 20 ნოემბერს რუსებს დანებდა მუჰამად-ამინიცი, აბაზახებმა იარაღი დაყარეს და რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი დადეს; წინააღმდეგობა შეწყვიტა აგრეთვე აბაზების თემმა ბარაყაიმ.⁴ იმავე წლის დეკემბერში კი სეფერ-ბეი ზან-უყო გარდაიცვალა.⁵ ამდენად, დასავლეთ კავკასიის მთიელთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ორი მეთაური ისტორიის არენიდან ჩამოვიდა. კავკასიის ომში მიღწეული წარმატებების გამო, 1859 წლის დეკემბერში, იმპერატორმა ალექსანდრ ბარიატინსკის გენერალ-ფელდმარშლის წოდება უბოძა.⁶ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის – ჩეჩნეთ-დაღესტნის დაპყრობის შემდეგ, დღის წესრიგში დასავლეთ კავკასიის დამორჩილების საკითხი დადგა.

¹ სხუა და სხუა ანბავი. – ცისკარი (ჟურნალი), №9, 1859, გვ. 87.

² სხუა და სხუა ანბავი. – ცისკარი (ჟურნალი), №9, 1859, გვ. 88.

³ სხუა და სხუა ანბავი. – ცისკარი (ჟურნალი), №9, 1859, გვ. 89.

⁴ АКАК, т. XII, #705, გვ. 828.

⁵ АКАК, т. XII, #714, გვ. 833.

⁶ Кавказ (გაზეთი), #101, 1859, 24 декабря.

კვლავ რთული ვითარება რჩებოდა აფხაზეთში. აფხაზეთის ჯარების სარდალი, გენერალ-მაიორი იოსებ ყორღანოვი 1860 წ. 3 თებერვლის წერილში წერდა, რომ აფხაზეთში მართლმადიდებლური ეპარქიის მოქმედება სრულიად პარალიზებული იყო. თურქული ელემენტი, რომელიც ყირიმის ომის დროს განსაკუთრებით განვითარდა და კონტრაბანდის წყალობით არსებობდა, აქ დრმა კვალს ტოვებდა. 16 მარტის წერილში ის აღნიშნავდა, რომ მთავრის სერიოზულმა ავადმყოფობამ იმ ხანებში აფხაზეთის მართვის სრული მოშლა გამოიწვია; აფხაზეთის ზოგიერთი პუნქტი ოსმალეთის აგენტებისა და ისლამის მქადაგებლების თავშესაფრად გადაიქცა; რუსეთის საზღვაო საშუალებების სიმცირე კონტრაბანდის განვითარების მიზეზი გახდა.¹ გიორგი ერისთავი დმიტრი მილიუტინს 1860 წ. 23 ივლისის წერილით აუწყებდა, რომ აფხაზეთში ისლამის წარმატების თაობაზე გენერალ-მაიორ ი. ყორღანოვის ინფორმაციით ჩანდა ქრისტიანობის სრული დაცემა და ისლამის წარმატებები. ამის მიზეზად მას მიაჩნდა აფხაზთა გულგრილობა რელიგიის მიმართ, აგრეთვე თურქული პროპაგანდა, რასაც კონტრაბანდაც ემატებოდა.²

ხელისუფლება გარკვეულ ზომებს მიმართავდა აფხაზეთში მტკიცედ დამკვიდრების მიზნით და ხელს უწყობდა რუსული განათლების დამკვიდრებას. იმავე 1860 წელს, სოხუმში მთიელთა დაწყებითი სკოლა დაარსდა. სკოლასთან შეიქმნა პანსიონი 40 ბავშვისთვის. ხაზინის სახსრებით პანსიონში 20 ბავშვი ცხოვრობდა – 15 აფხაზი, წებელდელი და ჯიქი, ხოლო 5 – რუსი ჩინოვნიკების.³

1860 წ. 19 მარტს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გიორგი ერისთავი ა. ბარიატინსკის აუწყებდა, რომ აფხაზეთის მთავრის ავადმყოფობა მხარის შინაგანი მართვის სრული მოშლის მიზეზი გახდა. სამთავროს გავლენიანი პირები ერთმანეთს მტრობდნენ, რაც უწესრიგობებს იწვევდა, გახშირდა მკვლევლობები. აფხაზეთში არსებული რთული ვითარება წებელდაზეც აისახებოდა, აფხაზებისა და წებელდელების მჭიდრო ურთიერთობებისა და ახლო ნათესაობის გამო. აფხაზეთის მთავრის მდგომარეობა, მისი ცნობით, მძიმე იყო: ფიზიკურად სრულიად დაუძღვრებული ციების შემოტევებს განიცდიდა, რაც ექიმების თქმით, მის მდგომარეობას სრულიად უიმედოს ხდიდა. იგი სიმამრის – გიორგი დადიანისა

¹ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 641.

² *АКАК*, т. XII, #735, გვ. 856.

³ *АКАК*, т. XII, #573, გვ. 658-659.

და ცოლის, *ალექსანდრა შარვაშიძის* მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა.¹ 14 აპრილს მიხეილ შარვაშიძეს საზღვარგარეთ, გერმანიასა და საფრანგეთში სამკურნალოდ გასამგზავრებლად 6 თვით შვებულება მიეცა.² მთავრის საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლის შემდეგ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცნობით, მისი ძმები – კონსტანტინე, ალექსანდრე და მათი ნათესავი გრიგოლ შარვაშიძე უწესრიგობებს მოელოდნენ. მთავრის ძმებსა და ახლობლებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა არ იყო, რაც კიდევ უფრო დაბავდა ვითარებას. კონსტანტინემ ითხოვა მის განკარგულებაში გადაეცათ ორი ასეული, რაზეც გიორგი ერისთავმა უარი უთხრა, თუმცა აფხაზეთის ჯარების სარდალს უბრძანა უწესრიგობების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიედო ზომები და აფხაზეთის მართვა უშუალოდ თავის თავზე აედო.³

იმავე ხანებში, გიორგი ერისთავი ა. ბარიატინსკის აუწყებდა, რომ გაგრის სიმაგრის უფროსის ცნობით სოჭში მთიელები 25-მდე გალერას ამზადებდნენ, რათა აფხაზეთის სანაპიროს, გაგრასა და ბიჭვინთას შორის, თავს დასხმოდნენ.⁴ 26 მარტს დმიტრი მილიუტინმა გიორგი ერისთავს აცნობა, რომ უბიხების მხრიდან აფხაზეთზე ზღვიდან განზრახულ თავდასხმასთან დაკავშირებით სარდლობამ პრევენციული ზომები მიიღო.⁵ რაც შეეხება მოსალოდნელ უწესრიგობებს აფხაზეთში, მთავარსარდალმა გიორგი ერისთავს და აფხაზეთის ჯარების სარდალს, გენერალ-მაიორ იოსებ ყორღანოვს დაავალა მათ აღსაკვეთად სათანადო ზომები მიედოთ.⁶ 10 აპრილს კავკასიის არმიის გენერალ-კვარტირმეისტერი, გენერალ-მაიორი *ნიკოლაი კარლგოფი* (1858-1861) გიორგი ერისთავს წერდა: მთავარსარდალმა თქვენგან შეიტყო, რომ ჯიქებში და უბიხებში მტრული განწყობა თანდათან იზრდება და აფხაზეთში ისლამი უფრო მეტ წარმატებებს აღწევს, ვიდრე ქრისტიანობა; ფსხუ კვლავ განდგა და ხელისუფლების მიერ წებელდაში აღდგენილი სახალხო სასამართლო უკვე არ არსებობს.⁷ ეს ფაქტები კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას მე-

¹ АКАК, т. XII, #722, გვ. 843.

² *Кавказ* (გაზეთი), #34, 1860, 6 августа.

³ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 641.

⁴ АКАК, т. XII, #722, გვ. 843.

⁵ АКАК, т. XII, #724, გვ. 845.

⁶ АКАК, т. XII, #724, გვ. 845.

⁷ АКАК, т. XII, #726, გვ. 846.

ტად ამფოთებდა. წებელდის სახალხო სასამართლომ ფუნქციონირება ჯერ კიდევ 1859 წ. 15 ივნისს შეწყვიტა. მიზეზი ის იყო, რომ 1859 წ. ივნისში თავად *სათბეი მარშანის* მოკვლის შემდეგ, წებელდის სახალხო სასამართლოს წევრებს შორის აზრი გაიყო და ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ამიტომ ერთად მუშაობა ვერ შეძლეს.¹

მუჰამად-ამინისა და აბაზახების დამორჩილების შემდეგ უბიხთა ზოგიერთ წარჩინებულ საგვარეულოს სურვილი გაუჩნდა, სისრულეში მოეყვანა დიდი ხნის ჩანაფიქრი: დამორჩილებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას იმ მიზნით, რომ მათი დახმარებით აღედგინათ თავიანთი გავლენა ხალხზე. 1859 წლის მიწურულს მათ ჩათვალეს, რომ ამ განზრახვის განხორციელების დრო დადგა და რუსეთის სარდლობასთან მოლაპარაკებები გამართეს. ამ ფაქტის შესახებ ხალხისთვისაც ცნობილი გახდა. მათ ამ წარჩინებულებს დევნა დაუწყეს და გადაწყვიტეს რუსებთან შეურიგებელი ბრძოლა ეწარმოებინათ.² ასეთ ვითარებაში, 1860 წლის გაზაფხულზე, დასავლეთ კავკასიის დაუმორჩილებელ მთის ტომებში, აფხაზეთსა და აფხაზეთის მთის თემებში, – წებელი, დალი, ფსხუ, – ხმა გავრცელდა, თითქოს რუსეთის მიერ ინგლისთან და ოსმალეთთან ურთიერთობის გაწყვეტისა და მალე ომის დაწყების შესახებ. მთიელები ფიქრობდნენ, რომ რუსეთის ჯარებს აფხაზეთის დატოვება მოუწევდათ. ახალი ომის მოლოდინში მათ გადაწყვიტეს მტკიცედ დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებლობა და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი დაამყარეს, ამასთანავე რუსეთის ჯარების წინააღმდეგ მოქმედება გაააქტიურეს. რუსეთის სარდლობისათვის ცნობილი გახდა დასავლეთ კავკასიის მთიელთა შორის ოსმალეთის ემისრებისა და ოსმალეთში გადახვეწილი წებელდელი თავადის *ეშსოუ მარშანის* მეძიებლობის შესახებ.³

ერთ-ერთმა გავლენიანმა აფხაზმა თავადმა *ყაზილბაქ მარშანიამ*, რომელიც თავის მოგვარებთან უთანხმოების გამო რამდენიმე წლის წინ მთებში გაიქცა და გააბრაგდა, რაზმი შეადგინა და თავის მტრებს თავს ესხმოდა. ახლა მან მოქმედება დაიწყო როგორც რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ. იგი დაუკავშირდა წებელდელებსა და ფსხუელებს, რომელთაც აჯანყებისაკენ მოუწოდა. *ყაზილბაქ მარშანია* ფსხუში გამაგრდა და ზაფხულში უბიხების, ჯიქებისა და ფსხუელების რაზმით ზემო წებელდაში (დალში) შეიჭრა. აფხაზეთის ჯარების

¹ AKAK, ტ. XII, #735, გვ. 856.

² AKAK, ტ. XII, #736, გვ. 858.

³ AKAK, ტ. XII, #736, გვ. 858; #739, გვ. 861.

სარდალმა მრამბის სიმაგრესთან თავი მოუყარა ჯარის ნაწილებს და წებულდელი თავადები თავისთან დაიბარა.¹ რუსეთის სარდლობამ ფსხუელი თავადებიც დაიბარა და მძევლებიც მოითხოვა, მაგრამ არც ფსხუელი თავადები გამოცხადდნენ და მძევლების გამოგზავნაზეც უარი განაცხადეს. თავიანთ დაუმორჩილებლობას ისინი იმით ხსნიდნენ, რომ ყაზილბაქ მარშანია, რომელსაც ფსხუ ჰქონდა დაკავებული, მათ ამის ნებას არ აძლევდა.²

იოსებ ყორღანოვმა თავის ბანაკში, შვაკვარანში, წებელისა და დალის საქმეების მოსაგვარებლად 4 ასეულს მოუყარა თავი. მოთხოვნაზე, ფსხუელებს მძევლები გაეცათ, მან მტკიცე უარი მიიღო.³ გიორგი ერისთავმა აფხაზეთის ჯარების სარდალს, ი. ყორღანოვს უბრძანა, წებულდელ თავადებს შორის უთანხმოება აღეკვეთა, წებულდაში წესრიგი დაემყარებინა და სახალხო სასამართლოს შეკრებისათვის ხელი შეეწყო; ამასთანავე, ჰასან მარდანი აეძულებინა, რომ ფსხუელებს მძევლები გაეცათ.⁴ ფსხუსა და დალში მუამბოხეების თავმოყრის მიუხედავად, აფხაზეთში სიმშვიდე იყო, მაგრამ კავკასიის რუსული ადმინისტრაცია შიშობდა, რომ ასე შეიძლებოდა დიდხანს არ გაგრძელებულიყო. აფხაზეთში სიმშვიდის შენარჩუნება ყოველთვის წებულდაში შექმნილ ვითარებაზე იყო დამოკიდებული. აფხაზეთის მკვიდრთ ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ წებულდელთან, აფხაზი თავადები წებულდაში ეძებდნენ მოკავშირეებს, რათა დასაყრდენი ჰყოლოდათ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და, საჭიროების შემთხვევაში, ამ მიუდგომელ მხარეში თავშესაფარი ჰქონოდათ. წებულდაში შინაფეოდალური ბრძოლებისას, მასში ძალაუვნებურად ჩართული იყვნენ აფხაზი თავადებიც, ამიტომ ხელისუფლებას კარგად ესმოდა ამ მხარის მნიშვნელობა აფხაზეთში გავლენის განმტკიცების საქმეში.⁵

წებულდაში დაპირისპირება იყო *თლაფს* და *უჩარდია მარშანიების* შტოებს შორის. აფხაზეთის ჯარების სარდალის მოთხოვნა, რომ წებულდელი თავადები მასთან დანიშნულ დროს გამოცხადებულიყვნენ, შეასრულეს მხოლოდ განსვენებული *ბათალბეი მარშანიას* მომხრეებმა, ანუ ამ საგვარეულოს თლაფსის შტომ. უჩარდიას შტომ, კერძოდ *შირინბეი*

¹ АКАК, т. XII, #736, გვ. 857.

² АКАК, т. XII, #736, გვ. 857.

³ АКАК, т. XII, #737, გვ. 859.

⁴ АКАК, т. XII, #739, გვ. 861.

⁵ АКАК, т. XII, #736, გვ. 858; С. Смоленский Воспоминания кавказца., გვ. 158.

მარშანიამ, სხვადასხვა მიზეზით თავი შეიკავა. ბათალების მომხრეები, რომლებიც დამნაშავენი იყვნენ შირინბეის მიმართ გასროლაში და უჩარდიას შტოს ერთ-ერთი თავადის მკვლელობაში, ი. ყორღანოვთან გამოცხადდნენ და მორჩილება გამოუცხადეს. თვით მკვლელები, ბათალების ორი შვილი, გენერალ ი. ყორღანოვის მოთხოვნით, იარაღის გარეშე მოვიდა, რაც სრული მორჩილების ნიშანი იყო, რადგან მთიელთა წარმოდგენით, თავადებმა არ შეიძლება იარაღი დადონ, რადგან ეს მათი ღირსების შემლახველია. ბათალები მარშანიას მომხრეებმა პირობა დადეს, რომ შირინბეი მარშანიას მომხრეებთან მტრობას შეწყვეტდნენ. ამის შემდეგ დარჩა შირინბეისა და მისი მომხრეების შერიგებაზე დათანხმება. ამრიგად, წებულდელი თავადების დიდი ნაწილი რუსეთის ხელისუფლებას კვლავ დამორჩილდა.¹

ამავე ხანებში, ჯიქებმა და უბიხებმა ფაქტობრივად ბლოკადაში მოაქციეს გაგრა. ისინი გაგრის სიმაგრის მოპირდაპირე ქედზე იყვნენ გამაგრებული. სიმაგრის უფროსს გარნიზონი ციხიდან არ გამოჰყავდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა შეშისათვის გაძლიერებული რაზმი გაეგზავნა. 13 ივლისს მთიელები სამი მხრიდან თავს დაესხნენ შემაზე გასულ რაზმს და სროლა აუტეხეს, შემდეგ ხმლები იძიშვლეს და ისე სწრაფად დაერივნენ, რომ შეშისმჭრელთა დამცველმა ასეულმა გასროლაც ვერ მოასწრო. გაჩაღდა მძიმე ხელჩართული ბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ რუსებმა მთიელებს უკან დაახევინეს და გაფანტეს.²

წებულდის დამორჩილების შემდეგ აფხაზეთის ჯარების სარდალმა ი. ყორღანოვმა გადაწყვიტა რაზმი მდ. სოხჩისა და მდ. კელასურის ხეობებით ფსხუსკენ დაეძრა და ეს თემიც დაემორჩილებინა.³ სარდლობას ინფორმაცია ჰქონდა, რომ უბიხები, ჯიქები, ფსხუელები აპირებდნენ გაგრაზე ან ბიჭვინთაზე თავდასხმას, ამიტომ ამ სიმაგრეთა გარნიზონი გაძლიერდა. ფსხუელების დაუმორჩილებლობა და მათ მიერ ყაზილბაქ მარშანიასა და მისი მომხრეებისთვის თავშესაფრის მიცემა, კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებლის გრიგოლ ორბელიანის აზრით, აუცილებელს ხდიდა მათ წინააღმდეგ იარაღის გამოყენებას, თუ ფსხუელები დამორჩილებაზე უარს იტყოდნენ.⁴

¹ АКАК, т. XII, #738, გვ. 860-861.

² АКАК, т. XII, #736, გვ. 858.

³ АКАК, т. XII, #739, გვ. 861; #737, გვ. 859; С. Смоленский Воспоминания кавказца. Экспедиция в Псхоу, гв. 162-164.

⁴ АКАК, т. XII, #738, гв. 861.

იოსებ ყორღანოვმა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს დმიტრი მილიუტინს ფსხუში ლაშქრობის აუცილებლობის შესახებ აცნობა. იგი ვარაუდობდა, რომ აფხაზეთი და წებელდა (წებელი და დალი) რუსეთის ბატონობისათვის წინააღმდეგობის გაწევას მიხეილ შარვაშიძის ჩაგონებით ცდილობდა. რათა ჩაეშალა ეს ფარული ზრახვები და ოსმალეთთან ომის შესახებ გავრცელებული ხმების უსაფუძვლობა დაემტკიცებინა, ი. ყორღანოვმა მთელი აფხაზეთისა და წებელდის თავადებს ფსხუში ლაშქრობა შესთავაზა, ამასთანავე მოაგონა მათ ფსხუელთა თავდასხმები, მათზე სისხლის აღებისაკენ მოუწოდა და დიდძალ ნადავლს შეპირდა, რაზეც სრული თანხმობა მიიღო.¹

ფსხუში რუსთა რაზმის ლაშქრობის განზრახვას იოსებ ყორღანოვი გარკვეულ დრომდე საიდუმლოდ ინახავდა. 1860 წლის ივნისში რაზმი სოხუმში შეიკრიბა. იგი შედგებოდა 6 მსროლელი და 4 სახაზო ასეულისაგან, სამთო არტილერიის, 50-მდე კაზაკისა და 3 ათასამდე აფხაზი, წებელელი და დალელი მილიციელისაგან. ივნისის ბოლოს რაზმი წებელდისაკენ გაემართა და მრამბის სიმაგრიდან ორ ვერსზე, მდ. ამტყელის ნაპირზე, სოფ. შვაკვარანში დაბანაკდა. აქ უნდა მომხდარიყო მარშანიების ორი შტოს შერიგება.² 7 აგვისტოს წებელდის რაზმი ი. ყორღანოვის მეთაურობით შვაკვარანის ბანაკიდან გავიდა და მდ. კელასურის ხეობას აუყვა, აბგიძირას სიმაგრესთან მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და მთებისკენ გაემართა. რაზმი რთულ პირობებში მიიწევდა წინ კლდოვანი მთებით და 14 აგვისტოს მდ. ბზიფის სათავეს მიადგინა. ასეთმა მოულოდნელმა გადასვლამ ფსხუში, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, რაც შეუძლებლად ითვლებოდა, არამხოლოდ ფსხუელები, არამედ მთელი აფხაზეთი და წებელდა განაცვიფრა.³

გენერალ-მაიორ ი. ყორღანოვის ლაშქრობის პარალელურად, აფხაზეთის ოლქის მილიცია როტმისტრ კონსტანტინე შარვაშიძის მეთაურობით, გუმის ხეობით დოუს უღელტეხილისკენ გაემართა; ბზიფის ოლქის მილიცია მაიორ ალექსანდრე შარვაშიძის მეთაურობით – ბზიფის ხეობას აუყვა; აბჟუისა და წებელი-დალის მილიცია გვარდიის პოლკოვნიკ გრიგოლ შარვაშიძის მეთაურობით მდ. ამტყელისა და მდ. ჩხალთის ხეობებით ამ მდინარეების ზემო წელისკენ მიემართებოდა და დანარჩენ

¹ АКАК, т. XII, #737, გვ. 859.

² АКАК, т. XII, #737, გვ. 859; С. Смоленский Воспоминания кавказца., გვ. 158.

³ АКАК, т. XII, #737, გვ. 859; #739, გვ. 861.

რაზმებს ბზიფის სათავეებთან უნდა შეერთებოდა.¹

რადგან აფხაზეთის მთავარი სამკურნალოდ საზღვარგარეთ იმყოფებოდა, აფხაზეთა სახალხო ლაშქარი მისმა ძმებმა – ალექსანდრე და კონსტანტინე შარვაშიძეებმა შეკრიბეს. 11 აგვისტოს კონსტანტინე შარვაშიძის რაზმს შეტაკება ჰქონდა ფსხუელების რაზმთან და გაფანტა ისინი. 14 აგვისტოს ი. ყორღანოვთან მოვიდა ფსხუელების დეპუტაცია და სთხოვა, რაზმი ფსხუში არ შესულიყო, ისინი კი მძევლებს მისცემდნენ. ი. ყორღანოვმა ეს თხოვნა არ მიიღო და დეპუტაციას განუცხადა, რომ სრული მორჩილების აღიარებით მათ ფსხუში მიიღებდა. ფსხუს დამორჩილებასთან ერთად ი. ყორღანოვს განზრახული ჰქონდა სოხუმიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გასაყვანი გზის მარშრუტი შეერჩია, რისთვისაც ფსხუ მნიშვნელოვანი პუნქტი იყო.²

ფსხუზე შეტევა ოთხი მხრიდან მოეწყო. 15 აგვისტოს წებელდის რაზმი ი. ყორღანოვის მეთაურობით მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და ფსხუში შევიდა; ბზიფის ოლქის მილიციამ ალექსანდრე შარვაშიძისა და გენერალ-მაიორ კაც მარღანიას მეთაურობით ამაკიას უღელტეხილი, ხოლო კონსტანტინე შარვაშიძემ აფხაზეთის ოლქის მილიციით – დოუს უღელტეხილი დაიკავა; იმავდროულად, დალისა და აბჟუის ოლქის მილიცია მდ. ჩხალთისა და მდ. ამტყელის ზემო წელით მდ. ბზიფის სათავეებში გადავიდა. იმ მიზნით, რომ ჯიქები და უბიხები ფსხუელებს არ დახმარებოდნენ, ი. ყორღანოვმა I რანგის კაპიტანს, გრევეს, წინადადება მისცა სანაპირო ზოლის კრეისირება მოეწყო, 10 აგვისტოს სოჭისა და ადღერის მიდამოები დაებობა და ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს დესანტის გადასხმას აპირებდა. ამასთანავე, ი. ყორღანოვმა, დამატებით, ფსხუში, სოფ. ჯგერდიდან, კავკასიის სახაზო 36-ე ბატალიონი გამოიძახა, რომელიც იქ საგზაო სამუშაოებზე იმყოფებოდა, და უბრძანა მდ. ამტყელის ხეობით ფსხუსკენ წასულიყო.³

15 აგვისტოს ფსხუელების დეპუტაცია კვლავ შეხვდა ი. ყორღანოვს და შეწყალება ითხოვა. აფხაზეთის ჯარების სარდალმა უსიტყვო მორჩილება მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საცხოვრებლების დაწვით და ნათესების განადგურებით დაიმუქრა.⁴ 16 აგვისტოს წებელ-

¹ С. Смоленский Воспоминания кавказца. Экспедиция в Псхоу, гз. 168.

² АКАК, т. XII, #739, гз. 860.

³ АКАК, т. XII, #737, гз. 859-860; #739, гз. 862; С. Смоленский Воспоминания кавказца. Экспедиция в Псхоу, гз. 165.

⁴ АКАК, т. XII, #739, гз. 862.

დის რაზმმა ფსხუს სიღრმეში წინსვლა გააგრძელა. იმავე სადამოს მაიორმა ალექსანდრე შარვაშიძემ ი. ყორღანოვს აცნობა, რომ 17 აგვისტოს ის ბანაკში ფსხუელთა დეპუტაციას და მძევლებს მოიყვანდა. მაგრამ ი. ყორღანოვისთვის ცნობილი გახდა, რომ ფსხუელები ჯიქებისა და უბიხებისაგან დახმარებას ელოდნენ, ამიტომ ღროის მოგებას ცდილობდნენ და, ამ მიზნით, მათი ნებაყოფლობით დამორჩილების თაობაზე ხმებს ავრცელებდნენ. ამიტომ 17 აგვისტოს ჯარის ნაწილები გრიბზას მაღლობებისკენ დაძრა. თუ ფსხუელები მორჩილებას არ გამოაცხადებდნენ, ჯარის ეს ნაწილი მდ. გრიბზას ხეობაში დაეშვებოდა და მათ საცხოვრებლებსა და ნათესებს გაანადგურებდა.¹

ფსხუ ბზიფის შუა წელის ქვაბულში მდებარეობს და ყოველი მხრიდან მთებით არის გარშემორტყმული. ჩრდილოეთით მას კავკასიონის მთავარი ქედი ებჯინება. ასეთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ფსხუ მიუვალად ითვლებოდა, მითუმეტეს მანამდე აქ რუსულ იარაღს არ შეეღწია.² თემის მიუვალობით გულმოცემული ფსხუელები თავს ესხმოდნენ აფხაზეთისა და წებელდის სოფლებს და ძარცვავდნენ, უტევდნენ რუსულ სიმაგრეებსაც, ატყვევებდნენ რუს ჯარისკაცებს.³ რუსეთის ჯარის ნაწილების მოახლოების გამო, ფსხუელები ცდილობდნენ ოჯახი და საქონელი სადმე გადაემაღათ. ისინი ტოვებდნენ თავიანთ საცხოვრებლებს; იმავდროულად, მამაკაცები ცდილობდნენ ფსხუს დაცვის ორგანიზებას – გრიბზას პოზიციის გამაგრებას. მათ დასახმარებლად მაინც მოვიდნენ ჯიქები და უბიხები, რაც ი. ყორღანოვმა 17 აგვისტოს, დილაადრიან შეიტყო. ფსხუელები და მათ დასახმარებლად მოსული აჭიფსელები, ჯიქები და უბიხები ცდილობდნენ არ დაეშვათ რუსეთის ჯარის ნაწილების გრიბზას ხეობაში შეჭრა. 17 აგვისტოს დილით ი. ყორღანოვი შეტევაზე გადავიდა, დაამარცხა მთიელთა რაზმი და მდ. ბზიფის შენაკადის გრიბზას ხეობაში შეიჭრა.⁴ იმავდროულად, სოხუმის საზღვაო სადგურის უფროსმა, კაპიტანმა გრევემ, ჯიქეთისა და უბიხეთის სანაპიროებზე ექვსდღიანი კრეისირება მოაწყო. სანაპირო აულების დაბომბვის გამო ჯიქების არიდბას ფეოდალური საგვარეულოს ქვეშევრდომები იძულებული გახდნენ თავიანთი საცხოვრებლები დაეტოვებინათ და მთე-

¹ АКАК, т. XII, #739, გვ. 862.

² АКАК, т. XII, #739, გვ. 862.

³ С. Смоленский Воспоминания кавказца. Экспедиция в Псхоу, гв. 162.

⁴ АКАК, т. XII, #739, гв. 863.

ბისტვის შეფარებინათ თავი.¹

ლამით ფსხუელებმა პოლკოვნიკ გრიგოლ შარვაშიძეს დეპუტაცია გაუგზავნეს, შეწყალება ითხოვეს და შუამდგომლობა სთხოვეს, რომ ი. ყორღანოვს მათი წარმომადგენელი ბათა მარშანი მიეღო. ი. ყორღანოვმა თანხმობა განაცხადა. იმავე ღამით ბათა მარშანი შეხვდა მას და შეწყალება ითხოვა. ი. ყორღანოვი საომარი მოქმედებების შეწყვეტას შეპირდა იმ პირობით, თუ ყველა ფსხუელი თავადი მასთან გამოცხადდებოდა. დილით, სამხედრო ექსპედიციის ბანაკში ბათა მარშანი ფსხუს ყველა თავადთან და მამასახლისთან ერთად მივიდა. მათ შეწყალება ითხოვეს, რუსეთის ხელისუფლების ერთგულების ფიცი დადეს და რუსეთის სარდლობას მძევლებიც გადასცეს. ამრიგად, ფსხუ რუსეთის ხელისუფლებას დამორჩილდა. ამის შემდეგ ი. ყორღანოვი უკან გამობრუნდა და 23 აგვისტოს შვაკვარანში ჩავიდა. ფსხუს საზღვრამდე მისი რაზმი ფსხუელების მილიციამ გამოაცილა.² 1860 წლის სექტემბერში გენერალ-ფელდმარშალმა ალექსანდრ ბარიატინსკიმ სამხედრო მინისტრს, გენერალ-ადიუტანტ ნიკოლაი სუხოზანეტს (1856-1861) აცნობა, რომ გენერალ-მაიორმა ი. ყორღანოვმა ფსხუს თემი დაიმორჩილა და ფსხუელებმა ერთგულების ფიცი დადეს.³

იმავე ხანებში, კავკასიის არმიის სარდლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1860 წლის აგვისტოში კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი დმიტრი მილიუტინი სამხედრო მინისტრის ამხანაგად (მოადგილედ) დაინიშნა. სწორედ დ. მილიუტინის უშუალო მონაწილეობით შემუშავდა სამხედრო მოქმედებების გეგმა, რომელიც 1859 წლის აგვისტოში შამილის დატყვევებით და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობით დასრულდა. მოგვიანებით, 1861 წლის მაისში, დ. მილიუტინი სამხედრო მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა, ხოლო ნოემბერში – ამ თანამდებობაზე დაამტკიცეს.

კავკასიის არმიის მთავარსარდალი ა. ბარიატინსკი 1859 წლიდან ავადმყოფობდა. ავადმყოფობის გამო კავკასიის დატოვების დროს მას გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ ორბელიანი ცვლიდა ხოლმე. 1861 წ. მარტის დასაწყისში მისმა ავადმყოფობამ საშიში ხასიათი მიიღო. პოდაგრის გამო მარცხენა ფეხი სრულიად უსიცოცხლო გაუხდა და ხმობა დაიწყო. მძიმე მდგომარეობა მის შინაგან ორგანოებზეც აისახა. უძილო-

¹ АКАК, т. XII, #739, გვ. 865.

² АКАК, т. XII, #739, გვ. 864-865.

³ АКАК, т. XII, #740, გვ. 866.

ბამ ის ძალიან დაასუსტა, ამასთანავე საშინლად გახდა. მან სამკურნალოდ გერმანიაში წასვლა გადაწყვიტა და 4 აპრილს ტფილისიდან ფოთში გაემგზავრა. მთავარსარდალი ქუთაისში ათ დღეს დარჩა, სადაც მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცვლილებები განახორციელა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად გიორგი ერისთავის ნაცვლად ერევნის გუბერნატორი, გენერალ-მაიორი *ნიკოლაი კოლიუბაკინი* დანიშნა; აფხაზეთის ჯარების სარდლად, გენერალ-მაიორ ი. ყორდანოვის ნაცვლად – პოლკოვნიკი *ჰავლე შატილოვი*. 14 აპრილს ა. ბარიატინსკი ფოთში გაემგზავრა, იქიდან კი გემით „ფსუზუაჟ“ კონსტანტინოპოლში ჩავიდა, საიდანაც ტრიესტისა და ვენის გავლით დრეზდენში ჩავიდა, სადაც მკურნალობა დაიწყო. ა. ბარიატინსკისთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა *ელისაბედ (ლიზა) ორბელიანი*, მისი ერთ-ერთი ადოუტანტის *ვლადიმირ დავიდოვის* მეუღლე.¹ ელისაბედ ორბელიანი თავის მეუღლეს გამორდა, რის შემდეგ – 1863 წლის ოქტომბერში, ალექსანდრ ბარიატინსკი მასზე დაქორწინდა. კავკასიის არმიის მთავარსარდლისა და კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შესრულება დროებით გენერალ-ადიუტანტ გრიგოლ ორბელიანს დაეკისრა, თუმცა კავკასიის მართვაში ყოველი ცვლილება ა. ბარიატინსკის სურვილით ხორციელდებოდა.²

კავკასიის რუსული ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას აქცევდა აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზის გაყვანას. ქუთაისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი გიორგი ერისთავი ფიქრობდა ამ გზის გაყვანას სოხუმიდან დოუს უღელტეხილით ფსხუში, იქიდან – ახბირცის უღელტეხილით მდ. დიდი ლაბის ხეობაში. 1861 წლის გაზაფხულზე ამ გზის გაყვანა ქუთაისის ახალ გენერალ-გუბერნატორს, გენერალ-მაიორ ნიკოლაი კოლიუბაკინს (1861-1863) დაევალა. ივნისში ის აფხაზეთში ჩავიდა, რათა პირადად ჩადგომოდა რაზმს, რომელსაც ფსხუში გზა უნდა გაეყვანა. იმავდროულად, მან საჭიროდ ჩათვალა წინასწარ აფხაზეთსა და მეზობელ თემებში არსებულ ვითარებას გაცნობოდა.³ მან გაარკვია, რომ შინაფეოდალური ბრძოლების გამო ამ მხარეში მძიმე ვითარება იყო შექმნილი. რაც შეეხება უბიხებსა და ჯიქებს, ისინი მერყეობდნენ, მიეღოთ რუსეთის მფარველობა თუ არა – ერთი მხრივ,

¹ **Д. А. Милютин.** Воспоминания, 1860-1862. Под редакцией доктора исторических наук, профессора **Л. Г. Захаровой.** Москва, Издательство РИО Российский Архив, 1999, гз. 123-124.

² **Д. А. Милютин,** Воспоминания., гз. 125.

³ АКАК, т. XII, #590, гз. 677; *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, гз. 642.

რუსული იარაღის ძლიერების, მეორე მხრივ კავკასიაში რუსების ბატონობის ამკარა თუ ფარული მოწინააღმდეგეების მცდელობების გამო.¹

1861 წლის ივნისში სოხუმ-კალეში ბზიფის რაზმი შეიკრიბა. შეკრების მიზანი სოხუმიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე გზის გაყვანა იყო. ყუბანის ოლქის მხრიდანაც, ამ გზასთან შესაერთებლად, განზრახული იყო გზის გაყვანა იქ განლაგებული ჯარების მიერ. გზის მიმართულებად არჩეულ იქნა სოხუმ-კალედან გუმისთის ხეობით დოუს უღელტეხილამდე მონაკვეთი. 18 ივნისს რაზმი სოხუმ-კალედან გავიდა.² ფსხუსკენ მსვლელობისას ნ. კოლიუბაკინმა ინფორმაცია მიიღო, რომ ფსხუელების ერთმა ნაწილმა, კავკასიელ მთიელებთან და აფხაზებთან ერთად, რუსთა რაზმზე თავდასხმის მიზნით, დოუს უღელტეხილი გადმოლახა. 30 ივნისს მთიელები მართლაც თავს დაესხნენ რაზმს. აფხაზური მოსახლეობაც მტრულად იყო განწყობილი. რაზმის მსვლელობის მარშრუტზე წყალი არასაკმარისი იყო, ხოლო ჭები განზრახ ამოვსებული. მოწინააღმდეგეს ამკარად ურთიერთობა ჰქონდა აფხაზურ სოფლებთან. ბანაკში მყოფი აფხაზები დარწმუნებით აღნიშნავდნენ, თუმცა საიდუმლოდ, რომ სროლებში მონაწილენი მეტწილად აფხაზები იყვნენ. არ შეიძლებოდა არცერთი ადგილობრივი თარჯიმნის ან მოენის ნდობა. ასეთმა მოულოდნელმა წინააღმდეგობამ ექსპედიციის ხასიათი შეცვალა. საგზაო სამუშაოების ნაცვლად ჯარის გამოყენება თავდაცვისთვის გახდა საჭირო. ამიტომ რამდენიმე თავდასხმისა და ორმხრივი სროლების შემდეგ, ნ. კოლიუბაკინმა გზის გაგრძელება შეუძლებლად ჩათვალა და უკან გაბრუნდა.³ გუმისთის ხეობაში მცხოვრებმა აფხაზებმა როდესაც რუსების უკანდახევის შესახებ გაიგეს, ოჯახები უსაფრთხო ადგილებში გახიზნეს და მათზე თავდასხმას შეეცადნენ, მაგრამ ნ. კოლიუბაკინის მუქარამ, რომ მათ სოფლებს გადაწვავდა, მათზე იმოქმედა და რაზმი სოხუმში მშვიდობიანად დაბრუნდა.⁴

1861 წლის სექტემბერში კავკასიაში იმპერატორი ალექსანდრე II (1855-1881) ჩამოვიდა. 11 სექტემბერს ის ყირიმიდან ტამანში ჩავიდა. ნავსადგურში მას დახვდნენ კავკასიის არმიის მთავარსარდლისა და მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი, გენერალ-ადიუტანტი გრი-

¹ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 642-643.

² **Смоленский С.** Воспоминания кавказца. Бзибский отряд в 1861 году, Военный сборник, 1874, №5, გვ. 393-394.

³ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 643.

⁴ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 644.

გოლ ორბელიანი; ყუბანის ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-ადიუტანტი ნიკოლაი ევდოკიმოვი; კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი, გენერალ-ადიუტანტი ალექსანდრ კარცოვი და სხვები. იმპერატორმა დაათვალიერა ყუბანის ოლქი, ჯარები, შეხვდა ამ მხარის ახალმოსახლეებს – კაზაკებს, დაათვალიერა კაზაკთა დასახლებები, გაესაუბრა ახალმოსახლეებს, გამოჰკითხა მათ ყოფაზე, გაამხნევა ისინი, მოუწოდა თავდადებით ეშრომათ, რისი მეშვეობითაც ეს მტრული მხარე არამარტო დაპყრობილი იქნებოდა, არამედ „ნამდვილი რუსული მხარე განდებოდა“. 21 სექტემბერს იმპერატორი კონსტანტინოვსკის სიმაგრეში ჩავიდა, რომელიც ყოფილი ნოვოროსიისკის სიმაგრის ნანგრევებზე აიგო. აქ მას ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ნიკოლაი კოლიუბაკინი დახვდა. საღამოს, იმპერატორი გემში „ტიგრი“ ჩაჯდა და სოხუმში გაემგზავრა.¹ შემდეგ, გრიგოლ ორბელიანი ერთ კერძო წერილში წერდა: „ზღვა შავი, შუპოვარი, ცათამდის ზვირთების მსროლელი, დამშვიდდა, დაწყნარდა, თავმოდრეკით, სახეგაკრიალებით, შედგა რა მის ქედზედ შვიდის იყლიმის მპყრობელი“.²

22 სექტემბერს სოხუმის რეიდზე დადგა გემი „ტიგრი“. იმპერატორი რამდენიმე საათით სოხუმში გადმოვიდა და დაათვალიერა ქალაქი, სახაზო ბატალიონები, ყაზარმები, ჰოსპიტალი. აქ მას აფხაზეთის მთავარი, გენერალ-ადიუტანტი მიხეილ შარვაშიძე წარუდგა.³ შემდეგ, გრიგოლ ორბელიანი ა. ბარიატინსკისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „აქვე წარუდგა მას ყველაზე პატივცემულის მაცხოვრებლებით ავადმყოფი, უძლური, ჯოხზედ მოკუხული მფლობელი აბხაზეთისა. ხელმწიფემ მოწყალედ მიიღო იგი“.⁴ იმპერატორს მიხეილ შარვაშიძემ სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაშვება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. იმპერატორის ბრძანებით, ოქტომბერში მიხეილ შარვაშიძეს ექვსი თვით საზღვარგარეთ წასასვლელად შვებულება მიეცა.⁵

სოხუმში ყოფნისას, იმპერატორმა აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკა-

¹ *Кавказ* (გაზეთი), №78, 1861, 5 октября; *Кавказ* (გაზეთი), №81, 1861, 15 октября.

² XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. VII. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VI). ტომის რედაქტორები: **ქეთევან გიგაშვილი, მათა ნინიძე**. თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“, 2017, გვ. 112.

³ *Кавказ* (გაზეთი), №78, 1861, 5 октября.

⁴ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტ. VII. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი VI), გვ. 108-109.

⁵ *Кавказ* (გაზეთი), №93, 1861 г., 26 ноября.

სიასთან დამაკავშირებელი გზის გაყვანა ფსხუს გავლით მიხეილ შარვაშიძეს პირადად დაავალა. სამუშაოები 1862 წლის გაზაფხულზე უნდა დაწყებულიყო.¹ რადგან აფხაზეთის მთავარი სამკურნალოდ საზღვარგარეთ გამგზავრებას აპირებდა, კავკასიის არმიის მთავარსარდალი შეუთანხმდა მას გამგზავრების დროისა და ექსპედიციის მოწყობის თაობაზე, და შეპირდა, რომ მას გადაეცემოდა ყველა საშუალება და ჯარი, რომელიც ქუთაისის საგენერალგუბერნატოროში იყო, რისთვისაც მთავარი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს უნდა შეთანხმებოდა.² გენერალ-ლეიტენანტი ნ. კოლიუბაკინი არ დაელოდა მიხეილ შარვაშიძის შეტყობინებას და აცნობა, რომ მის განკარგულებაში გადადიოდა 6 ბატალიონი და 4 ქვემეხი, ე. ი. ჯარის ყველა ნაწილი, რომელიც ამ მხარეში იმყოფებოდა, გარდა გარნიზონებისა.³

გრიგოლ ორბელიანმა აფხაზეთის მთავარს დაავალა კომისიის დახმარებით გზის მიმართულება აერჩია. ამ კომისიაში უნდა შესულიყო 3-4 ოფიცერი, რომლებიც სავარაუდო მარშრუტს დაათვალიერებდნენ და გადაწყვეტდნენ, შესაძლებელი იყო თუ არა აფხაზეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გზის გაყვანა. 1861 წელს დიდი და პატარა ლაბის სათავეებიდან აბაზური თემების ოსმალეთში გადასახლების შემდეგ ყუბანის ოლქის სარდლობამ ეს ადგილები კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებამდე დაათვალიერა. გრიგოლ ორბელიანმა *ნიკოლაი ევდოკიმოვს* დაავალა გაერკვია, ამ ხეობების გავლით შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ფსხუსა და აჭიფსის თემების დამორჩილება და სოხუმისკენ გზის გაყვანა.⁴ მაგრამ, სულ მალე, კავკასიის არმიის მთავარსარდალს – გრიგოლ ორბელიანს მიხეილ შარვაშიძემ აცნობა, რომ სამკურნალოდ საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა. ამის გამო, გრ. ორბელიანმა ჩათვალა, რომ გზის გაყვანა მალე ვერ მოხდებოდა. აფხაზეთის მთავარმა გრიგოლ ორბელიანს ასევე აცნობა მეუღლის გარდაცვალების ამბავი, რამაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო შეარყია, თუმცა იმპერატორის დავალების შესასრულებლად საზღვარგარეთ გამგზავრება გადადო.

მიხეილ შარვაშიძის მეუღლე ალექსანდრა გიორგის ასული დადიანი აფხაზეთის მთავრის სახსრებით აღდგენილ მოქვის ტაძარში დაკრძა-

¹ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 644.

² *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 644-645.

³ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 645.

⁴ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 678.

ლეს. მთავრის საზღვარგარეთ გამგზავრებაც ჩაიშალა. იმპერატორის დავალებაც ვერ განხორციელდა, რაშიც მიხეილ შარვაშიძის ავადმყოფობის გარდა ადგილობრივ რუსულ ადმინისტრაციასთან, კერძოდ ნ. კოლიუბაკინთან უთანხმოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.¹ იმავედროულად, 1861 წლის შემოდგომაზე მღელვარება დაიწყო დალში, რომელსაც ბათალბეი მარშანიას შვილები მეთაურობდნენ. ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია შეეცადა მშვიდობიანად მოეგვარებინა საქმე, მაგრამ უშედეგოდ.²

1862 წ. 15 იანვარს სამხედრო მინისტრმა დმიტრი მილიუტინმა კავკასიის არმიის მთავარსარდალს გრიგოლ ორბელიანს აუწყა, რომ იმპერატორი დიდ ყურადღებას აქცევდა სოხუმიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გზის გაყვანის საქმეს და კმაყოფილი იყო, რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა. დ. მილიუტინის აზრით, თუ რეკონოსცირებით დადასტურდებოდა, რომ ამ გზის გაყვანა შესაძლებელი იყო, მაშინ ორივე მხრიდან – აფხაზეთიდან და ყუბანის ოლქიდან, – სამუშაოების წარმოება იქნებოდა საჭირო.³ გაზაფხულზე იმპერატორი დათანხმდა აფხაზეთის მთავრის მეთაურობით განზრახული ექსპედიცია ფსხუში გადაედოთ და სოხუმიდან კავკასიონის ქედისაკენ ადგილმდებარეობის დაწვრილებითი რეკონოსცირებით დაკმაყოფილებულიყვნენ. მიხეილ შარვაშიძემ მზადყოფნა გამოთქვა ამ მიზნით შექმნილ კომისიას დახმარებოდა.⁴ რადგან აფხაზეთის მთავარი სამკურნალოდ საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას, გრიგოლ ორბელიანმა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ-მაიორ ალექსანდრ კარცოვს დაავალა მთავრის არყოფნის დროს აფხაზეთის მართვის თაობაზე მისი შეხედულებები ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ნ. კოლიუბაკინისთვის მიეწოდებინა.⁵

აფხაზეთის მთავარმა, რომელიც სტამბოლში აპირებდა გამგზავრებას ორი თვით, მასზე დაკისრებული ამოცანის შესასრულებლად მოითხოვა მისთვის გამოეყოთ სრულად დაკომპლექტებული 8 ბატალიონი, ათასი მილიციელი, გამნადმველთა ასეული, ერთი ბატარეა და 50 კაზაკი. კავკასიის არმიის სარდლობამ შეუძლებლად ჩათვალა მთავრის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება. აფხაზეთის მთავრის დარწმუნების მიზ-

¹ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 644-645.

² *АКАК*, т. XII, #591, გვ. 687.

³ *АКАК*, т. XII, #591, გვ. 679.

⁴ *АКАК*, т. XII, #864, გვ. 939.

⁵ *АКАК*, т. XII, #864, გვ. 939

ნით, რომ მას გადაჭარბებული მოთხოვნები ჰქონდა, ამასთან მას პირადი კონტაქტი დაემყარებინა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან, მიხეილ შარვაშიძესთან კავკასიის არმიის გენერალ-კვარტირმეისტერი, გენერალ-მაიორი *ჰაველ ზოტოვი* გაიგზავნა. მაგრამ ამ უკანასკნელის მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო, აფხაზეთის მთავარი იმავე რაოდენობის ჯარს მოითხოვდა, ხოლო ნ. კოლიუბაკინის მიმართ არაკეთილგანწყობას ამკარად გამოხატავდა.¹ ამის გამო 1862 წლის გაზაფხულზე განზრახული ექსპედიციის მოწყობაზე უარი ითქვა და გადაწყდა შემოფარგლულიყვნენ, სოხუმიდან ჩრდილოეთ კავკასიისაკენ ფსხუს გავლით მთის გზების რეკონსტრუქციით და ამ მიზნით კომისია გამოეყოთ. ეს კომისია მთავრის მფარველობით იმუშავებდა და კავკასიონის მთავარ ქელზეც გადავიდოდა.²

1862 წლის ივნისში გენერალ-მაიორი ნ. კოლიუბაკინი რეგულარული ჯარის ნაწილებითა და აფხაზეთის მილიციით, არტილერიის თანხლებით, დოუს უღელტეხილისკენ დაიძრა, თან, მეტად რთულ ბუნებრივ პირობებში გზა გაჰყავდა. ამ ფაქტმა ფსხუელები შეაშფოთა. მათ უბიხებთან ერთად ათასკაციანი რაზმი შეადგინეს და ივნისის ბოლოს ნ. კოლიუბაკინის რაზმს, რომელიც სოხუმიდან 25 ვერსზე იდგა, ფაქტობრივად ალყა შემოარტყეს. 30 ივნისიდან ისინი ყოველდღე თავს ესხმოდნენ ნ. კოლიუბაკინის რაზმს. მიმდებარე აფხაზური სოფლებიც მთელვარებამ მოიცვა. ნ. კოლიუბაკინმა ჩათვალა, რომ შემდგომი წინსვლით ჯარს ხიფათი შეექმნებოდა, ამიტომ 7 ივლისს ლაშქრობა შეწყვიტა და სოხუმში დაბრუნდა.³ ამრიგად, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის გამო, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ნ. კოლიუბაკინმა დავალების შესრულება შეუძლებლად ჩათვალა.⁴

1862 წლის ზაფხულში კავკასიის არმიის სარდლობას განზრახული არ ჰქონდა მთიელების წინააღმდეგ შეტევითი მოქმედებების წარმოება აფხაზეთიდან და მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ ორბელიანმა ბრძანება გასცა დაწვრილებით გამოეკვლიათ სოხუმიდან ფსხუს გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძლებოდა თუ არა გზის გაყვანა. ამ მიზნით, გრიგოლ ორბელიანის განკარგულებით, გამოცდილი ოფიცრების შემადგენლობით შეიქმნა კომისია, რომელსაც აფხაზე-

¹ *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 645.

² *Документы по истории Грузии*, т. I, ч. I, გვ. 646.

³ *АКАК*, т. XII, #591, გვ. 686-687.

⁴ *АКАК*, т. XII, #590, გვ. 677.

თის მთავარმა დამცველი რაზმი გააყოლა მაიორ ჰასან მარღანიას მეთაურობით. ივლისის დასაწყისში კომისიამ, რომელსაც გენშტაბის კაპიტანი ბარახოვიჩი ხელმძღვანელობდა, დოუს უღელტეხილი გადალახა და 9 ივლისს ფსხუში გადავიდა. სწორედ ამ დროს, 3 ათასამდე აჭიფსელი, რუსეთის ჯარის ნაწილების მიერ სტანიცა ჰსემენსკაიასთან უკუგდებულნი, ყუბანის ოლქიდან ფსხუს გავლით შინ ბრუნდებოდა, თან მოჰყავდათ 200-მდე მოკლული და დაჭრილი. კომისიის წევრები აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ და ჰასან მარღანიას რჩევით, რამდენიმე დღის განმავლობაში სოფლებიდან მოშორებით, მთებში იმალებოდნენ.

ფსხუდან ახბირცის უღელტეხილისაკენ წასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ამ მიმართულებით ყველგან აჭიფსელები იყვნენ, ამიტომ როცა კომისიამ კავკასიონის მთავარ ქედს მიაღწია, აღმოსავლეთით – ცაგერკერის უღელტეხილისკენ გადაუხვია და ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა. აღმოჩნდა, რომ სოხუმიდან დოუს უღელტეხილით ფსხუში, და შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიისკენ გზის გაყვანა, ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირების, აგრეთვე აჭიფსისა და უბიხების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების წარმოების თვალსაზრისით, შეუძლებელი იყო; სოხუმიდან ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზის გაყვანა უმჯობესი იქნებოდა წებელდიდან მარუხის უღელტეხილით, რომელიც თოვლისაგან 4-5 თვის განმავლობაში თავისუფალია, მაშინ როცა ცაგერკერისა და ახბირცის უღელტეხილები მხოლოდ 2,5 თვის განმავლობაში, და თან ზვავსაშიშია.¹ კომისიის მასალები გრიგოლ ორბელიანმა 1862 წ. 14 აგვისტოს სამხედრო მინისტრს დ. მილიუტინს გააცნო. მან, ასევე, გამოთქვა მოსაზრება, რომ აჭიფსისა და უბიხების წინააღმდეგ საომარი მოქმედებებისთვის უმჯობესი იქნებოდა რომელიმე ზღვისპირა პუნქტის არჩევა ან ჩრდილოეთ კავკასიიდან შეტევა.²

1862 წ. 1 ნოემბრიდან 1863 წ. 1 ნოემბრამდე ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროში განზრახული იყო: სოხუმის, წებელდის, გაგრის სიმაგრეების სამშენებლო სამუშაოების გაგრძელება; სოხუმის სამხედრო გზაზე კაზაკთა საგუშაგოების ასაგებად სამუშაოების გაგრძელება და გაგრის სიმაგრიდან მდ. ენგურამდე საკორდონო საგუშაგოების მოწყობა; 1863 წლის გაზაფხულისათვის ერთი ან ორი რაზმის შედგენა, რომელიც გარემოებათა შესაბამისად გამოყენებული იქნებოდა მხარის დასაცავად ან

¹ АКАК, т. XII, #888, გვ. 1009; Кавказский календарь на 1866 год, გვ. 42.

² АКАК, т. XII, #888, გვ. 1009.

მთიელების წინააღმდეგ შეტევითი მოქმედებებისათვის.¹

დალში წესრიგის აღდგენის მიზნით, 1863 წლის გაზაფხულზე, აფხაზეთის ჯარების სარდალმა, გენერალ-მაიორმა პაველ შატილოვმა ლაშქრობა მოაწყო მდ. კოდორის სათავეებისკენ, სადაც თავს აფარებდნენ მუამბოხე დალელები, 1861 წლის შემოდგომაზე დაწყებული მღელვარების მეთაურები და მხარდამჭერები. 21 მარტს წებელდის სიმაგრესთან პ. შატილოვმა თავი მოუყარა რაზმს, რომელიც შედგებოდა ქვეითთა 7 ასეულისა და მილიციის ნაწილისაგან. მრამბიდან დალში ორი გზა მიემართებოდა – ერთი კოდორის ხეობით, ფსკალის გავლით, კლდოვანი მთების კალთებით ბაგადის ხიდამდე, სადაც დაკიდული კლდეებით ვიწროებში ჩამჯდარი მდინარე თითქოს დალის კარიბჭეს ქმნიდა; მეორე გზა მიემართებოდა ჯერგალის ციცაბო ქედის გავლით პირდაპირ დალის ცენტრში, სოფ. ლათაში. პ. შატილოვისთვის ცნობილი გახდა, რომ მარშანიებმა თავიანთი რაზმით პოზიციები ბაგადასთან დაიკავეს, ამიტომ მან მეორე გზა აირჩია. 23 მარტს პ. შატილოვის მეთაურობით რაზმი წებელდის სიმაგრიდან გავიდა. დალელებმა ბაგადის ხიდი გაანადგურეს და ჯერგალის მთისკენ გაემართნენ.

პ. შატილოვმა ამით ისარგებლა და ბაგადისკენ გააგზავნა ჯარის ნაწილი, რომელმაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ეს ადგილი უბრძოლველად დაიკავა; 24 მარტის საღამოს ლათა დაიკავა და დალელთა სურსათის მარაგი – სიმინდი, ღომი, თივა გაანადგურა. მარშანიებმა ვერ მოახერხეს რუსთა რაზმის შეჩერება ჯერგალის მთაზე და უკან დაიხიეს. მათ ფსხუდან და აჭიფისიდან გადმოსულები შეუერთდნენ. მთიელთა წინააღმდეგ გაიგზავნა ჯარი, რომელსაც მათ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დამარცხდნენ და გაიფანტნენ. პ. შატილოვის ბრძანებით 25-27 მარტს დალის მცხოვრებნი წებელში გადაასახლეს, ამის შემდეგ, 29 მარტს, რაზმი წებელში დაბრუნდა.² გრძელდებოდა სამუშაოები სოხუმის, გაგრის, წებელდის სიმაგრეების მშენებლობის დასამთავრებლად, ყაზარმების მშენებლობა ჯარების დისლოკაციის ადგილებში, სოხუმის საზღვაო სადგურის დასამთავრებლად და სოხუმის სამხედრო გზაზე კაზაკთა საგუშაგოების მოსაწყობად, სოხუმის სამხედრო გზისა და წებელდის გზის გაყვანა.³

ამდენად, ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთის იმპერიას

¹ АКАК, т. XII, #591, გვ. 680-681.

² АКАК, т. XII, #591, გვ. 687.

³ АКАК, т. XII, #591, გვ. 691.

თითქმის თავიდან მოუხდა აფხაზეთის დაპყრობა. სანაპირო ზოლში ისევ ჩადგნენ რუსეთის ჯარის ნაწილები. აფხაზეთის მთიანი მხარეების – წებელის, დალის, ფსხუს, – დამორჩილების მიზნით, სამხედრო ექსპედიციები მოეწყო. რუსეთის იმპერიამ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის – ჩეჩნეთ-დაღესტნის დაპყრობის შემდეგ დასავლეთ კავკასიას მეტი ძალებით შეუტია. ასეთ ვითარებაში, იმპერატორის 1862 წ. 6 დეკემბრის ბრძანებულებით, კავკასიის არმიის მთავარსარდალი და მეფისნაცვალ კავკასიაში, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ადიუტანტი ალექსანდრ ბარიატინსკი მისივე თხოვნის თანახმად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, კავკასიიდან გაიწვიეს. კავკასიის არმიის მთავარსარდალად და მეფისნაცვლად კავკასიაში იმპერატორის უმცროსი ძმა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი დაინიშნა.¹ მიხეილ რომანოვს წილად ხვდა მისი წინამორბედების მიერ დაწყებული საქმე დაესრულებინა, რუსეთ-კავკასიის საუკუნოვანი ომის (1763-1864) გამარჯვების დაფნის გვირგვინი მიეღო და აფხაზეთში რუსეთის იმპერიის კოლონიური მფლობელობა განემტკიცებინა.

BEZHAN KHORAVA

**STRENGTHENING OF COLONIAL GOVERNMENT OF THE RUSSIAN
EMPIRE IN ABKHAZIA AFTER CRIMEAN WAR (1856-1862)**

Summary

In the secondpart of the 50ies of the XIX century the main concern of the Government of the Russian Empire was to quickly gain victory in the Caucasian War. Russia needed this victory, first of all for using up enormous resources by the war and, second, in order to restore compromised authority in Europe after defeat in the Crimean War (1853-1856).

¹ АКАК, т. XII, #593, გვ. 691.

In 1856 Aleksander Baryatinsky was appointed as Commander-in-chief of the Caucasian Corps and Governor of the Caucasus. The reorganization of the management of Caucasus Corps has been implemented. The Caucasus Corps has been strengthened and transformed into an Caucasian army.

In fact, Russia had almost to conquer Abkhazia again. The Russian military troops were dislocated in the coastline. Military expeditions were sent in order to subordinate Abkhazian mountainous regions – Tsebeli, Dali, Pskhu. In 1859 the Russian Empire conquered North-East Caucasia – Chechnya-Dagestan and then attacked the Western Caucasus with more forces. In December 1862 the Commander-in-chief of the Caucasian army and Governor of the Caucasus A. Baryatinsky was relieved of his post in Caucasus at his own request due to health conditions. The younger brother of the Emperor, Grand Duke Michael Romanov was appointed as Commander-in-chief of the Caucasian army and Governor of the Caucasus. The latter had to finish the work that his predecessors had started. He was awarded with laurel wreath after Russian-Caucasian Centennial War (1763-1864) and strengthened colonial possession of the Russian Empire in Abkhazia.

ოთარ გობოლიშვილი

ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ისტორიიდან

ბათუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი – თვითმმართველი ქალაქია. მის მმართველობას განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. იგი ამოქმედდა 2005 წლის 16 დეკემბრიდან, თუმცა ქალაქის თვითმმართველობას გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს.

ბათუმის საკრებულოს დაარსება და ჩამოყალიბება დაკავშირებულია მასშტაბურ გეოპოლიტიკურ პროცესებთან. 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვების შემდეგ 1878 წ. 25 აგვისტოს დღის 2 საათზე ბათუმში შემოვიდა რუსული ჯარი ინფანტერიის გენერლის დიმიტრი სვი-ატოპოლჯ-მირსკის მეთაურობით. ამავე პერიოდისათვის საქართველოში მიმდინარეობდა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

სწორედ ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის ხელისუფლება შეუდგა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტაო-კლარჯეთის და განსაკუთრებით ბათუმის ინტეგრაციას რუსული სახელმწიფოს ფარგლებში. ბათუმს, როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიის უკიდურესი სამხრეთ საზღვრების გამაგრებისათვის. ამ მიზნების განხორციელებისათვის საჭირო იყო გარკვეული დონის ძიებების გატარება, უპირველესად ახალი წესრიგის შემოღება.¹ პირველი ნაბიჯი იყო საპოლიციო მმართველობა. 1878 წ. ბათუმის პოლიც-მაისტერად დაინიშნა დურმიშხან ჟურული, რომელიც ქალაქს განაგებდა სახლმფლობელებისა და ვაჭრებისაგან არჩეული 3-4 დეპუტატის დახმარებით. საპოლიციო მმართველობის დროს ბათუმს საოლქო მმართველობიდან გამოყოფილი ცალკე ფინანსები ჰქონდა.

1885 წ. ბათუმის 90 მცხოვრებმა კავკასიის მთავარმმართველის სამოქალაქო ნაწილს გადასცა თხოვნა ქალაქში თვითმმართველობის შე-

¹ გოდერძი ტოტოჩავა. ქალაქ ბათუმის საკრებულო 120 წლისა – ბათუმური ქრონიკები. გაზეთი, №.6, 2008, გვ. 14.

მოღების შესახებ. თხოვნაში ნათქვამი იყო, რომ ბათუმში თვითმმართველობის შემოღება ხელს შეუწყობდა ქალაქის კეთილმოწყობას და სხვა საკითხების ადგილზე გადაწყვეტას. ამ თხოვნის წინააღმდეგ წავიდა ბათუმის მაშინდელი პოლიცემისტური ვოზნესენსკი, რომელმაც თავისი უარი დაასაბუთა მოტივით-ბათუმს ინტელიგენცია არ ჰყავსო. ამ და სხვა მიზეზების გამო ეს საქმე შეჩერდა 1887 წლამდე.¹

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია გრძნობდა, რომ სწრაფად მზარდი ქალაქის დატოვება პოლიციის გამგებლობაში დიდხანს არ შეიძლებოდა. ბათუმის ოლქის ყოფილი სამხედრო გუბერნატორის გენერალ-მაიორ გროსმანის დაჟინებული მოთხოვნით ქუთაისის გუბერნატორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბათუმში შემოედოთ საქალაქო მდგომარეობა. ამ მიზნით – მოსამზადებელი სამუშაოების წარმოებისათვის 1887 წლის ნოემბერში შეიქმნა კომისია კ. ა. სვერინის თავმჯდომარეობით. კომისიამ შეადგინა საარჩევნო სიები, რომელიც დაამტკიცა გუბერნატორმა, მაგრამ შემდეგ კომისიის მოქმედება შეჩერდა და საქმის წარმოება გადაეცა საპოლიციო სამმართველოს. საბოლოოდ 1888 წლის 25 აპრილს მოვიდა იმპერატორის ბრძანება შემოღებულიყო ბათუმში საქალაქო მდგომარეობა 1870 წლის იმ შეზღუდვებით, რომ თვითმმართველობასთან არ ყოფილიყო სამშენებლო განყოფილება (ის იყო დამტკიცებული მხოლოდ 1900 წელს) და ქალაქისთვის თანამდებობა პირველ ოთხ წელს ყოფილიყო არა არჩევითი, არამედ დაინიშნითი კავკასიის მთავრობის მიერ.² ამ ბრძანების შესრულება დაევალა ახალ კომისიას, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ. დ. გავრონსკი.

1870 წლის რუსული საქალაქო დებულების შესაბამისად, მოქალაქეს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო თვითმმართველობის არჩევნებში, თუ იგი აკმაყოფილებდა შემდეგ პირობებს:

1. იყო რუსეთის ქვეშევრდომი;
2. იყო 25 წლის და მეტი ასაკის;
3. ქალაქში ფლობდა უძრავ-მოძრავ ქონებას და იხდიდა შესაბამის გადასახადს, ან ჰქონდა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებუ-

¹ **И. С. Месхи.** Очерк развития Батумского городского хозяйства. – *Батум и его окрестности*. К 25-летию присоединения гор. Батума к Российской империи. Батум, Тип. В. Киладзе и Г. Таварткиладзе, 1906, გვ. 483-485.

² **Н. П. Гурская.** Путеводитель и справочная книжка по гор. Батуми и окрестностям. Батум, 1901, გვ. 34-35.

ლება და გააჩნდა ფასიანი სანებართვო მოწმობა; მასზე არ ირიცხებოდა გადასახადთა ნარჩენები.

მოსახლეობის ეკონომიკური კატეგორიების შესაბამისად ყალიბდებოდა სხვადასხვა თანრიგის სამი საარჩევნო კრება. პირველ თანრიგში შედიოდნენ მსხვილი მესაკუთრეები (სახლმფლობელები, ვაჭარ-მრეწველები), მეორეში – საშუალო შეძლების მოქალაქენი, მესამეში კი ის წვრილი მესაკუთრეები, რომლებიც იხდიდნენ გარკვეულ საქალაქო გადასახადს. ყოველი თანრიგი ირჩევდა სათათბიროს ხმოსანთა მესამედს.

საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო, რომლის ხმოსანთა რაოდენობა, ქალაქის სიდიდის შესაბამისად 36-დან 150 კაცამდე მერყეობდა. სათათბიროს უფლება-მოვალეობაში შედიოდა ქალაქის თანამდებობის პირთა არჩევა და მათი ხელფასების განსაზღვრა, ქალაქის შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტის დამტკიცება, თვითმმართველობის სახელით კრედიტის აღება, საქალაქო საქმეთა განხილვა, სხვადასხვა საკითხზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა და სხვ.

საქალაქო სათათბირო ირჩევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ გამგეობას, რომელსაც აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრებოდა. გამგეობაში რამდენიმე კაცი შედიოდა და იგი ქალაქისათვის თავმჯდომარეობით მუშაობდა. სათათბირო ქმნიდა მუდმივ და დროებით მოქმედ კომისიებს, რომელთაც ევალებოდათ საქალაქო მეურნეობის ცალკეულ სფეროთა ხელმძღვანელობა ან განსაკუთრებული რთული საკითხების დამუშავება და მნიშვნელოვანი პროექტების შედგენა. სათათბიროს ხმოსნები, ქალაქისთავი, გამგეობის წევრები და სხვა თანამდებობის პირები ირჩეოდნენ 4 წლის ვადით.

საქალაქო თვითმმართველობის ძირითად ფუნქციას შეადგენდა კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა. მას ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საავადმყოფოები, საქველმოქმედო დაწესებულებები.¹ 1888 წლის 25 აგვისტოს და 2 სექტემბერს ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები 3 საარჩევნო კრებაზე. 525 ამომრჩევლიდან ყოველ საარჩევნო კრებას უნდა აერჩია 12 ხმოსანი, სულ – 36. არჩეული 36 ხმოსნის-

¹ **ალექსანდრე ბენდიანიშვილი.** ქალაქები, სავაჭრო-სამრეწველო დაბები, საქალაქო თვითმმართველობა და კომუნალური მეურნეობა – *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III, ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა, 2008, გვ. 232-233.

გან შედგებოდა 1 სახალხო სათათბირო. 1888 წლის 17 სექტემბერს ჩატარდა ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს თანამდებობის პირთა არჩევნები, რომელთაც ფიცი დადეს 1 ოქტომბერს და ეს დღე ითვლება ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის დღედ. სათათბიროს შემადგენლობაში პირველ ოთხწლელში შევიდნენ შემდეგი ხმოსნები: პირველი თანრიგის: ციძერმანი ა. ფ., კოიანდერი ი., ერგარდტი, ვ. და ა. მელქონიანები, გ. პასკუკინ, ბ. სევერინი, კ. ზროდლოვსკი, ს. ვანშეიდტი, ი. მამულოვი, ა. რელიგიონი, ა. ცეიტლინი. მეორე თანრიგის: დ. ბიკოვი, ი. ტიხუმოვი, ნ. კრა-აღა-ზადე-ჰუსეინ-ეფენდი, ი. ბოიანი, ს. ალავერდოვი, რ. მჭედლოვი, ლ. კეშიშ-ოღლი, ი. კოჩხოვეი, ი. სტეპანოვი. ა. ტერ-ასატუროვი, ბ. ცატუროვი, ა. ეფრემიდი. მესამე თანრიგის: აბაშიძე სანჯაყ-ბეგ-ზადე იბრაიმ ბეგი, ა. ოგანუხოვი, ა. ხარაზოვი, ფ. საბაშვილი, ს. როსტომ-აღა-ზადე, ი. ვარშავსკი, ა. აბაშიძე-სანჯაყ-ბეგ-ზადე ჰუსეინ ბეგი, ე. მამედოვი, დ. შადინოვი, ს. მჭედლოვი, დ. კოჩეტკოვი, ე. ლავითაია.¹

რელიგიური მრწამისა და ეროვნებით პირველი სათათბიროს შემადგენლობა შემდგენაირად გამოიყურებოდა: რელიგიური მრწამსის მიხედვით: მართლმადიდებელი – 10, კათოლიკე – 6, სომეხი-კათოლიკე – 1, სომეხი-გრიგორიანელი – 9, პროტესტანტი – 1, ქართველი მუსლიმი – 4. ეროვნების მიხედვით: რუსი – 8, ქართველი – 11, სომეხი – 10, ბერძენი – 2, ებრაელი – 2, პოლონელი – 2, გერმანელი – 1. ამ შემადგენლობიდან ინჟინერი იყო – 4, იურისტი – 2, ჩინოვნიკი – 3, ვაჭარი – 14, ექიმი – 1, სამხედრო – 3, აფთიაქარი – 1 და სახლმფლობელი – 8.²

პირველი ოთხწლელის ქალაქის თვითმმართველობა შედგებოდა შემდეგი თანამდებობის პირებისაგან: მთავარმმართველის მიერ დანიშნული ქალაქის თავი – დ. გავრონსკი, თვითმმართველობის 3 წევრი: ი. ბიკოვი – ბათუმის საბაჟოს ყოფილი თავმჯდომარე (ის დაინიშნა ქალაქის თავის მოადგილედ); ა. კოიანდერი და ი. შადინოვი; ქალაქის მდივანი ივანე მესხი; სხვა სამსახურთა პერსონაჟი შედგენილი იქნა შემდეგი პირებისაგან: ბუხჰალტრად დაინიშნა დ. ტარუმოვი, საქმეთა მმართველად – ა. ჩხატარაიშვილი, მოლარედ – გ. გუდუზი და სანაპიროს ზედამხედველად – ვ. ვერნიგორი.³ ამით დასრულდა ქალაქის საზოგადოებრივი თვითმმართველობის დაკომპლექტება.

¹ თეიმურაზ კომახიძე. ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების ისტორია. ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“, 2000, გვ. 36.

² თეიმურაზ კომახიძე. ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და.., გვ. 37.

³ თეიმურაზ კომახიძე. ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და.., გვ. 37.

ქალაქის თვითმმართველობის პირველი შემადგენლობის მიერ ჩატარდა შემდეგი სამუშაოები. კერძოდ, დაიწყო და დამთავრდა ჭაობების ამოშრობა რკინიგზის გასწვრივ, შემუშავდა ქალაქის ხიდებისა და წყალსადენების მოწესრიგების საერთო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედო ქუჩების მოწყობისათვის მომავალ სამუშაოებს. ასფალტის საფარი დაიგო და მოწესრიგდა ქალაქის ძველ თურქულ ნაწილში, შემოღებული იქნა დებულება საპორტო შემოსავლების შესახებ, ჩატარდა პირველი სერიოზული სამუშაოები ქალაქის წყალსადენის გაფართოებისათვის, 1890 წლის 17 ივლისს ჩატარდა ქალაქის მოსახლეობის აღწერა, დამტკიცდა ქალაქის სანიტარული და ვეტერინალური ექიმების თანამდებობები, აღიძრა შუამდგომლობა ზოგიერთ სანოტარო წესის შეცვლის, ბათუმში ვაჟთა გიმნაზიის გახსნის, რკინიგზაზე ტარიფების შემცირებისა და სხვა საკითხებზე.¹

სათათბიროს პირველი შემადგენლობა ფუნქციონირებდა არა 4, არამედ 6 წელს, ხმოსანთა ახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1892 წელს. დაიწყო კიდევ თანრიგების მიხედვით საარჩევნო სიების შედგენა, მაგრამ კომისია წააწყდა ხელშემშლელ გარემოებას, რომ ბათუმის ცენტრი ან მოქალაქეთა უძრავ-მოძრავი ქონების ერთი მესამედი ეკუთვნოდა „კასპია-შავი ზღვის საზოგადოებას“, რომლის წარმომადგენლები ხვდებოდნენ ამომრჩეველთა 1 თანრიგში, მათ უნდა აერჩიათ ხმოსანთა მესამედი. ამის გამო საჭირო შეიქმნა ახალი საარჩევნო კანონის შემოღება.

1892 წლის 30 დეკემბერს საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულომ მიზანშეწონილად ცნო ბათუმში გატარებულიყო ახალი საარჩევნო კანონი. ეს კანონი, მართალია, აუქმებდა საარჩევნო თანრიგებს, მაგრამ სამაგიეროდ რამდენჯერმე ზრდიდა საარჩევნო ცენტს. საარჩევნო სიებში შეყავდათ მხოლოდ მსხვილი და საშუალო შეძლების მესაკუთრეები, პირველი და მეორე გილდიის ვაჭრები, რომლებიც ფლობდნენ ქალაქში უძრავ ქონებას, შეფასებულს არანაკლებ ათას მანეთად.

იმ დროისათვის დ. გავრონსკი გადადგა. ქალაქისთავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა მისი მოადგილე, თვითმმართველობის წევრი ა. კოიანდერი, რომლის ხელმძღვანელობით ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები 1894-1898 წლების ხმოსანთა არჩევნებისათვის. დადგენილი წესის მიხედვით, 1894 წლის 12 ოქტომბრის არჩევნების დღისათვის საარჩევნო სიებში აღმოჩნდა 318 ამომრჩეველი.² გაჩაღდა წინა საარჩევნო

¹ **И. С. Месхи.** Очерк развития Батумского городского хозяйства..., გვ. 487-491.

² **И. С. Месхи.** Очерк развития Батумского городского хозяйства..., გვ. 494.

მუშაობა. ბათუმში მცხოვრებ ყველა ეროვნებას სურდა ქალაქისთავად მისი ერის წარმომადგენელი გამხდარიყო. განსაკუთრებულ პრეტენზიას აცხადებდნენ რუსები და სომხები. ქალაქისთავის მოვალეობის შემსრულებელი კოიანდერი დარწმუნებული იყო, რომ არჩევნები მის სასარგებლოდ დამთავრდებოდა, სომხებმა კი ქალაქისთავის კანდიდატად გენერალი ბებუთოვი ჩამოიყვანეს.

საჭირო შეიქმნა ქართული ფრაქციის მუშაობის გააქტიურება, რათა თვითმმართველობაში რაც შეიძლება მეტი ქართული ორიენტაციის პიროვნება მოხვედრილიყო. ეს საქმე იკისრეს *ივანე შესხმა* და *გრიგოლ ვოლსკიძე*. მათი მოხერხებული მოქმედება და სიტყვა თანდათან ზრდიდა მომხრეებსა და თანამგრძობთა რიცხვს. როცა მომხრეთა საკმარისი შეიქმნა, გადაწყვეტილება მიიღეს შემოეერთებინათ ბერძენი ამომრჩევლები. საბოლოოდ ვოლსკისა და მესხის მომხრეთა ამომრჩევლებმა გაიმარჯვეს. ხმოსანთა შორის უმეტესობა ქართველებს ეკუთვნოდა.

საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო სავარძელზე მოთავსებული იყო და არჩევნების მსვლელობას აკვირდებოდა ამ შემთხვევისათვის თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული *ილია ჭავჭავაძე*. ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი აღტაცება გამოიწვია ქართველებში.¹ დღის წესრიგში დადგა ქალაქისთავის თანამდებობისათვის შესაფერისი კანდიდატის შერჩევა. ასეთ კანდიდატად დასახელებული იქნა ქუთაისის ყოფილი ქალაქისთავი *ლუკა ასათიანი*.


1894 წლის 12 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სათათბიროში არჩეული იქნა 35 ხმოსანი. ამათგან 8 რუსი, 3 პოლონელი, 19 ქართველი, 5 ბერძენი. არჩეულმა ხმოსნებმა 1894 წლის 25 ნოემბერს დადეს ფიცი და იმავე დღეს ჩატარდა სათათბიროს თავმჯდომარის არჩევნები. სათათბიროს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ხმოსანი *ს. ზროდლოვსკი*. 1895 წლის 25 იანვარს კი ჩატარდა თვითმმართველობის თანამდებობის პირთა არჩევნები. არჩეულ იქნენ: ქალაქისთავი *ლ. ასათიანი*, გამგეობის წევრები: *გ. ვოლსკი*, *ი. ივანოვი* და ქალაქის მდივანი *ი. მესხი*. ქალაქისთავის მოადგილედ არჩეულ იქნა გამგეობის წევრი *ი. ივანოვი*.²

ლ. ასათიანის არჩევას ქართველობა დიდი აღტაცებით მიეგება. იგი, როგორც საქალაქო საქმეების მცოდნე, მუყაითი და დაუღალავი, თავდაუზოგავად მუშაობდა. მის დროს ქალაქის განახლებული თვითმმართვე-

¹ **დავით კლდიაშვილი**. ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1984, გვ. 55-56.

² **И. С. Месхи**. Очерк развития Батумского городского хозяйства., გვ. 496.

ლობის საქმიანობამ სხვა ხასიათი მიიღო, ვიდრე იყო მანამდე. ლუკა ასათიანი დაიბადა 1826 წლის ქუთაისის ახლოს მდებარე პატარა სოფელ ქვიტირში. ქუთაისის ოთხკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჯერ სწავლა გიმნაზიაში განაგრძო, შემდეგ კი მუშაობა დაიწყო. მუშაობდა ერევნის გუბერნიის სასამართლოში, ქუთაისის ოლქის სასამართლოში, შემდეგ კი არჩეულ იქნა ქალაქისთავად. დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე, მშვენიერი სიტყვის პატრონი, დინჯი, წარმოსადეგი, ყოველთვის და ყველგან ტოვებდა კარგ შთაბეჭდილებას.¹



ლუკა ასათიანი

1898 წელს დაინიშნა ახალი არჩევნები. 18 ოქტომბერს და 15 ნოემბერს ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები. არჩეული იქნა 41 ხმოსანი, რომელთა შორის უმეტესობას ქართველობა შეადგენდა. 1899 წლის 7 იანვარს ჩატარდა თანამდებობის პირთა არჩევნები, რის შედეგადაც შენარჩუნებული იქნენ ადრე არჩეული თანამდებობის პირები. კერძოდ: ლ. ასათიანი – ქალაქისთავი, გ. ი. ვოლსკი – გამგეობის წევრი და ი. მესხი ქალაქის მდივანი.

ლუკა ასათიანმა თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა პროგრესული პიროვნება ეროვნების მიუხედავად, რომლებიც ჩართული იყვნენ ყველა იმ დიდ საქმეში, რამაც განაპირობა უმოკლესი ექვსი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება ქალაქში. აღსანიშნავია ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭაობის ამოშრობა, კაპიტალურად

¹ **დავით კლდიაშვილი.** ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 58.

გაყვანილი სანიაღვრე არხები, პარალელურად წარმოებდა ქალაქის და-
დაბლებული ადგილების ხრეშითა და გრუნტით ამოვსება. ამ სამუშაოე-
ბის შესრულების შემდეგ შესაძლებელი გახდა გაყვანილიყო ახალი ქუ-
ჩები და მოასფალტებულიყო მათი სავალი ნაწილი. ქალაქში დამონტაჟ-
და მცირე მოცულობის ელექტროსადგური. ლ. ასათიანის და მისი მომხ-
რეების ძალისხმევით დაიწყო ქალაქის საავადმყოფოს მშენებლობა.
დამთავრდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი
ქართული სკოლის მშენებლობა. გაიხსნა ორი დაწყებითი სკოლა, ქალ-
თა და ვაჟთა გიმნაზიები, ქალაქში დაარსდა ლომბარდი, აიგო დახურუ-
ლი ბაზრის შენობა, საფუძველი ჩაეყარა საჯარო ბიბლიოთეკას, გაცოცხ-
ლდა თეატრალური ცხოვრება, ფართო გასაქანი მიეცა სავაჭრო საყოფა-
ცხოვრებო და საბანკო საქმიანობას, ქალაქის ძველი რაიონი სავაჭრო
ცენტრად იქცა, აშენდა რამდენიმე კომფორტული სასტუმრო, რეკონსტ-
რუქცია ჩაუტარდა ნავსადგურს.¹

ლუკა ასათიანის ინიციატივით ქალაქის თვითმმართველობისათ-
ვის შენობის გასამართავად გამოიყო მიწის ნაკვეთი, გაკეთდა შენობის
პროექტი, რომლის საფუძველზეც დაიწყო მშენებლობა. თავდაპირვე-
ლად ქალაქის გამგეობა მდებარეობდა ნაქირავებ ბინაში მარინსკის და
მიხაილოვის ქუჩების კუთხეში მდებარე თავად გურიელის სახლში. ხო-
ლო, 1903 წელს დამთავრდა ქალაქის თვითმმართველობის ვრცელი,
მოხერხებული შენობის მშენებლობა დიდი დარბაზით სათათბიროს სხ-
დომისათვის. საკანცელარო სამმართველოს და სამშენებლო განყოფი-
ლების გარდა ქვედა სართულზე იყო ქალაქის ლომბარდი და სხვა სა-
ქალაქო დაწესებულებები, მათ შორის ბიბლიოთეკა.²

1901 წლის 9 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ლუკა ასა-
თიანი. ქალაქისთავის უეცარმა სიკვდილმა საზოგადოების დიდი მწუხა-
რება გამოიწვია. იგი გულით დაიტირა ათასობით ბათუმელმა. მისი ნეშ-
ტი გადაასვენეს მშობლიურ ქალაქ ქუთაისში. ლუკა ასათიანის სახელის
უკვდავსაყოფად მისი სახელი მიანიჭეს ახლანდელი *ერას* ქუჩის ერთ მო-
ნაკვეთს. ამჟამად ლუკა ასათიანის სახელი მინიჭებული აქვს იმ ქუჩას,
სადაც განთავსებულია ბათუმის მერიის შენობა.³ ლუკა ასათიანის გარ-

¹ თეიმურაზ კომახიძე. ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და.., გვ. 43-45.

² Л. Л. Марковъ. Очеркъ Батумской торговли нефтяными продуктами. — *Батум и его окрестности*. К 25-летию присоединения гор. Батума к Российской империи. Батум, Тип. В. Килаძе и Г. Таварткиладзе, 1906, გვ. 266.

³ თეიმურაზ კომახიძე. ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და.., გვ. 48.

დაცვალების შემდეგ საქიროებამ მოითხოვა გამოძებნილიყო სხვა ქართველი მოღვაწე, რომელიც ღირსეულად გააგრძელებდა დაწყებულ საქმეს. ილია ჭავჭავაძის რჩევით შეჩერდნენ *ივანე ანდრონიკაშვილის* კანდიდატურაზე.

ივანე ანდრონიკაშვილი იყო ახალგაზრდა აგრონომი. ენერგიული და ნებისყოფიანი კაცი. იგი დაიბადა 1862 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ მელიანში. 1887 წელს წარმატებით დაამთავრა *მოსკოვის პეტროვსკის სახელობის სამიწათმოქმედო და სატყეო აკადემია* (ამჟამად ტომირიაშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია). 1889-1902 წლებში მუშაობდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მთავარ ექსპერტად და ხელმძღვანელობდა ფილოქსერასთან ბრძოლის ექსპედიციებს, როგორც საქართველოში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში. ივანე ანდრონიკაშვილი იმხანად ხალხში აგრონომიული ცოდნა-პოპულარიზაციის მიზნით აწყობდა საჩვენებელ-საცდელ ნაკვეთებს, ცდიდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს. ივანე ანდრონიკაშვილი დათანხმდა ბათუმიდან წარგზავნილ დელეგაციას კენჭი უყარა ბათუმის ქალაქისთავის თანამდებობაზე.

1902 წლის 17 იანვარს ბათუმის ქალაქისთავად აირჩიეს ივანე ანდრონიკაშვილი. ამის შემდეგ ივანე ანდრონიკაშვილი კიდევ 4-ჯერ იქნა არჩეული ქალაქისთავად. ივანე ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა ბათუმში ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მისი ხელმძღვანელობით გაშენდა ახალი სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, დაჩქარებული ტემპით გაგრძელდა ქალაქის ირგვლივ არსებული ჭაობების ამოშრობის სამუშაოები, დაიწყო გაძლიერებული ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ. აშენდა ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის შენობები, არსებული 120 ცხენისძალის მქონე ელექტროსადგური გაძლიერდა 300 ცხენისძალამდე. შეიქმნა ქალაქის ძლიერი სახანძრო რაზმი სათანადო აღჭურვილობით. საფუძველი ჩაეყარა მწვანე კონცხის ბოტანიკური ბაღის განაშენიანებას და პირადად ივანე ანდრონიკაშვილის რეკომენდაციით მის ხელმძღვანელოდ დაინიშნა პროფესორი ა. კრასნოვი.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ფინანსური მდგომარეობა და შესაბამისად მისი პრაქტიკული საქმიანობის მასშტაბურობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრებოდა მრეწველობის განვითარების დონით, საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბრუნვით. 1888 წლიდან 1904 წლამდე ბათუმის ეკონომიკა აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. შესაბამისად იზრდებოდა თვითმმართველობის შემოსავლებიც. მომდევნო პერი-

ოდში ნავსადგურის ტვირთბრუნვა, ნავთობის ექსპორტის შემცირების გამო თითქმის განახევრდა. დაიხურა ნავთობის ტარის ქარხნები, შემცირდა შინამრეწველობა, დაქვეითდა მოქალაქეთა გადახდისუნარიანობა, რამაც საგრძნობლად დაარღვია საქალაქო თვითმმართველობის ბიუჯეტის წონასწორობა, იგი დეფიციტური გახდა.¹



ივანე ანდრონიკაშვილი

1913 წლის 6 ოქტომბერს გაიმართა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის 25 წლის იუბილე. მღვდელმა *ნ. კალისტოვმა*, პარაკლისის გადახდის შემდეგ განაცხადა: შესრულდა მეოთხედი საუკუნე თვითმმართველობის გახსნის დღიდან. ვდღესასწაულობთ რა ამ თარიღს, არ შეგვიძლია მაღლობა არ შევსწიროთ ღმერთს და კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ მუნიციპალური მოღვაწენი, რომელნიც რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდნენ ქალაქს. მაღლობა მათ, ვინც ქალაქს მისცა კეთილმოწყობილი სახე, გაამდიდრა მრავალგვარი საჭირო დაწესებულებებით, უზრუნველყო მათი შესვლა ევროპის ქალაქთა პლეადაში. სახელი და დიდება მისცა ბათუმის მოქალაქეებსაც. თვითმმართველობის ორგანოებში ყოველთვის ნიჭიერ და უნარიან ადამიანებს რომ ირჩევდნენ. პარაკლისის შემდეგ ქალაქისთავმა ივანე ანდრონიკაშვილმა გახსნა საზეიმო საიუბილეო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ბათუმის ოლქის უფროსი და სხვა მოხელეები, მსხვილი ვაჭარ-მრეწველები, საკრედიტო

¹ **ალექსანდრე ბენდიანიშვილი.** ქალაქები, სავაჭრო-სამრეწველო., გვ. 351.

დაწესებულებების წარმომადგენლები, საზღვარგარეთის კონსულები.

ქალაქისთავი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თავის სიტყვაში მოკლედ შეეხო თვითმმართველობის საქმიანობას. მან, მართალია, ხაზი გაუსვა სათათბიროსა და გამგეობის წარმატებებს ქალაქის კეთილმოწყობის, განათლების, სამედიცინო მომსახურების და სხვა სფეროში, მაგრამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე მთელ რიგ სიძნელებებზე, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საგრძნობლად რომ აფერხებდა თვითმმართველობის საქმიანობას. ქალაქისთავმა მორიდებულად აღნიშნა, რომ მთავრობის ზოგიერთმა ღონისძიებამ (პორტო-ფრანკოს გაუქმება, საბაჟო გადასახადების წილის დაკარგვა, საექსპორტო ნავთობის ტარიფის გადიდება და სხვა) არსებითად დაარღვია ქალაქის ეკონომიკური განვითარების პირობები. ამან კი სერიოზული ზარალი მიაყენა თვითმმართველობის სალაროს, 40%-ით შემცირდა მისი ბიუჯეტის შემოსავალი, რამაც ძალიან გააძნელა თვითმმართველობის დაწესებულებათა და კომუნალური მეურნეობის დაფინანსება.¹

1916 წელს ივანე ანდრონიკაშვილი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. მისი ადგილი დაიკავა *ევგენი კრინიციძე* (დარახველიძე), რომელიც ეროვნებით ქართველი გახლდათ, ძალზე განათლებული და ერუდირებული პიროვნება იყო. ევგენი კრინიცი ბათუმის ქალაქისთავის თანამდებობაზე შეცვალა *ვლადიმერ საბახტარაშვილმა*, საბახტარაშვილი – *დავით ჯავახიშვილმა*, ეს უკანასკნელი კი – *გიზო ანჯაფარიძემ*.²

გთავაზობთ იმ ხმოსანთა სიას, რომლებიც არჩეული იყვნენ ბათუმში საქალაქო თვითმმართველობაში 1888-1915 წლებში. ცხრილი შედგენილია ივანე მესხის მონაცემების მიხედვით.³

¹ **И. С. Месхи.** Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1914 г. Батум, Типография Г.С. Таварткиладзе, 1914, გვ. 150-153.

² **თეიმურაზ კომახიძე.** ივანე ანდრონიკაშვილი., ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“, 2003, გვ. 78.

³ **И. С. Месхи.** Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1914 г. გვ. 158-159.

	გვარი, სახელი, მამის სახელი	რომელ ოთხწლულში აირჩიეს					
		I	II	III	IV	V	VI
	აბაშიძე ზიაბეგი, სანჯაყ-ბეგი			III			
	აბაშიძე უსეინბეგი, სანჯაყბეგი	I					
	აბაშიძე იბრაიმბეგი, სანჯაყბეგი	I					
	აბაშიძე ფეზლიბეგი, სანჯაყბეგი			III			
	აკინიანის ი.				IV		
	ალავერდოვი ფ.	I					
	ანჯაფარიძე ს.			III			
	ანდრეევი ა.				IV		
	არკადაქსკი ბ.						VI
	ასლან- სადუხ-უფენდი					V	VI
	ბარაკოვსკი ს.				IV		
	ბარათოვი ი.		II	III			
	ბარკალაია ს.				IV		
	ბენღისი ე.		II				
	ბერძენიშვილი ს.		II			V	VI
	ბეთანოვი ს.		II		IV		
	ბოგოსლოვსკი ა.			III			
	ბაიანი ს.	I					
	ბიკოვი ი.	I	II				
	ბიალუსკი ა.					V	VI
	ვაკიე ჰ.		II	III			
	ვანშტიდტი ი.	I					
	ვარშავსკი მ.	I					
	ვარშანიძე ე.						VI
	ვერმიშევი ა.						VI
	ვოლსკი მ. ი.		II	III			
	გაბუნია დ. მ.					V	
	გაიდებუროვი ა.				IV		
	გედევანოვი ი. ზ.		II	III			
	გოგიჯანოვი ა. ი.			III	IV		
	გოგოლაძე კ. ა.						VI
	გრიელსკი ვ. ფ.		II	III	IV		
	გრიგორიადი ხ.					V	VI
	გრიგორიანცი გ. ვ.						VI
	გუგუშვილი ა. თ.		II				
	გუნდრიზერი ფ.			III			
	გურგენიძე ა.						VI

დავითაია ზ.	I					
დანიელოვი ა.						VI
დეკანოზოვი დ.						VI
დე-პოლინი ბ. რ.		II				
ჯაყელი ვ.			III	IV		
დიმიტრიადი დ.		II	III	IV	V	VI
დუმბაძე კ.		II	III			
დუნიანი ზ.					V	VI
ელიავა ლ.		II	III	IV	V	VI
ეფრემიდი კ.	I					
ჯაქარიანი მ.					V	
ჯაქარიან ა.					V	
ზროდლოვსკი ი.	I	II				
ივანოვი ა.		II				
იმნაძე ო.						VI
კაკაბაძე დ.				IV		
კანდელაკი მ.					V	VI
კარა-ადა-ზადე	I					
კახიანი მ.					V	VI
კვიცინსკი ა.					V	
კეჭეყმაძე ნ. ი.						VI
კემიშოდლი მ.	I					
ქიქოძე ს.			III	IV	V	VI
კოვალიოვი ა.	I					
კოვალენკო ს.						VI
კონცელიძე ა.					V	
კორეტკოვი ე.	I	II				
კოჩხოვეი ა.	I					
კოიანდერი ი.	I					
კრასნიცკი ა.					V	VI
კრინიცი მ.					V	
კუბანიევი ა.		II				
კურტოვი ბ.					V	
ქუთათელაძე დ.			III	IV		
ლოპატოვი ა.		II				
ლომინაძე კ.		II				
მავროპულო დ.					V	VI
მემედ-ადა ზადე ო. ა.	I					
მამულოვი ა.	I					
მარტინოვსკი ა.						VI
მასუმოვი დ.	I					
მაჭუტაძე მ.			III	IV		
მგელაძე კ.		II				
მღივანი გ.					V	VI

მელქონიანი გ.	I					
მელია ა.						VI
მესხი ს.		II				
მირიმანოვი მ.				IV		
მიხაილიდი ტ.		II	III		V	
მნაცაკანოვი ა.				IV		
მდოიანცი ო.					V	VI
მჭედლოვი ლ.	I					
მჭედლოვი ლ.	I		III			
მჭედლოვი პ.					V	
მურომოვი გ.			III			
მუფტიზაღე ე.				IV	V	VI
მხეიძე ა.						6
მხეიძე ი.		II				
ნაკაშიძე გ.						VI
ნაკაშიძე მ.			III	IV		VI
ნაკაშიძე პ.				IV		
ნეკლიულოვი ა.		II				
ნიკიტინი პ.						VI
ნიკოლაძე ი.		II	III			
ოგანუზოვი გ.	I					
ოგანუზოვი ი.			III			
პანასევიჩი ფ.				IV	V	VI
პარონბეგოვი ს.			III			
პალმი ა.			III			
პასსუკი ბ.	I					
პეტროსიანი ო.						VI
პეშეკეროვი მ.			III			
პილოიანი გ.					V	
პოდოლეცკი ი.			III			
პოლსკი მ.		II	III			
პუჩინიანი ბ.					V	VI
რადვილოვიჩი ფ.				IV		
რაკოვიცა გ.					V	
რელიგიონი ა.	I					
როსტომა-ზაღე ს.	I					
რუხაძე დ.					V	VI
საბაევი ნ.		II	III	IV	V	VI
საბახტარაშვილი ბ.			III		V	VI
საბაშვილი ს.	I	II	III			
საზონოვი დ.				IV		
საიპოვი გ.						VI
სახნოვსკი ვ.					V	VI
სევერინი ა.	I	II	III			

	სელიტრენიკოვი ა.		II				
	სკლიარევსკი ე.				IV		
	სიბირიკოვი მ.				IV		
	სიმეონიდი ს.		II	III			
	სიმონოვი დ.		II				
	სიმონოვი დ.			III			
	სიმულოვი ბ.			III		V	
	სომოროვი ს.					V	VI
	სტეპანოვი ა.	I					
	სტრელცოვი ი.					V	
	თაყაიშვილი ა.					V	
	ტარუმოვი ს.			III	IV		
	ტერ-ასატუროვი ბ.	I					
	ტოხუმოვი ნ.	I					
	ტრანციე ი.						VI
	ტრიანტაფილიდისი პ.			III	IV		
	ტრიფიმოვი ტ.					V	VI
	ფელიაკოვი მ.						VI
	ხალვაში ე.					V	
	ხარაზოვი ო.	I					
	ხაჩიკიანი ო.					V	
	ხიტაროვი მ.				IV		
	ხიტაროვ-ბესტავაშვილი ს.						VI
	ხაჯიმროვი ა.			III			
	ხუდადოვი მ.			III	IV		
	ჭანტურია ბ.						VI
	ჩაუსოვი ნ.						VI
	ჩილინგარიანი ხ.				IV		VI
	ჩხაიძე ე.					V	VI
	ჩხეიძე ს.			III			
	ცატუროვი ა.	I					
	ცეიტლინგი გ.	I					
	წერეთელი ვ.				IV		
	ტიმერმანი ფ.	I					
	ცინცაძე ი.						VI
	ცურიხოვი მ.						VI
	შადინოვი ს.	I					
	შარვაშიძე დ.		II				
	შუტცი კ.					V	
	ელიავა დ.					V	VI
	ელიაშვილი ს.					V	VI
	ენუქიძე ე.						VI
	ერგარიდტი ფ.	I					
	ერისთოვი ბ.		II				

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში შეიქმნა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა ქალაქის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებას. რაც შეეხება ქალაქის სათათბიროს, იგი აჭარის გასაბჭოებამდე უწყვეტლივ ფუნქციონირებდა.

OTAR GOGOLISHVILI

FROM THE HISTORY OF BATUMI SELF-GOVERNMENT

Summary

After the victory of Russians in 1877-1878 years Russia-Turkey war, on August 25, 1878, at 2 pm in Batumi entered Russian army commended by Sviatopolk-Mirski. On August 25 and September 2, 1888, was held summnit elections. On September 17, 1888 were held elections of the city's community department officials, who took the oath on October 1. This day is considered as a day of Municipal Government. The article presents the most important issues in the history of the Municipal Government.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

სერგო ვარდოსანიძე

„ჩამაბარეთ უნივერსიტეტის გასაღები“

ივანე ჯავახიშვილის ქალიშვილის – ნათელა ჯავახიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „1921 წლის თებერვალში ქალაქში დაბნეულობაა. ათას ზღაპრულ ხმას ავრცელებენ. ყველა არაშადა ცდილობს, ამ დაბნეულობით ისარგებლოს. დღეს მამასთან სახლში მოდიან პროფესორები: მალვა ნუცუბიძე და კორნელი კეკელიძე, ძალიან აღელვებულები, და აცნობებენ, რომ არმაკ ბაბოვი მოითხოვს უნივერსიტეტის გასაღებს. კარგად მახსოვს, როგორ აღშფოთდა მამაჩემი და კატეგორიულად უთხრა: არავითარ შემთხვევაში, რა შუაშია ბაბოვი? რა ხელი აქვს უნივერსიტეტთან? მე მოვალე ვარ წარვდეგ ახალი ხელისუფლების წინაშე. და, მართლაც, მამა სულ უნივერსიტეტში იყო“.¹

ვინ იყო ეს გათავხედებული არმაკ ბაბოვი? 1890 წელს თბილისში სტუფან ზორიანის, ქრისტოფერ მიქაელიანის, სიმონ ზავარიანის და იმხანად კონსტანტინეპოლის სომეხთა პატრიარქის, შემდეგ – ყოველთა სომეხთა კათალიკოსის მკრტიჩ I-ის მხარდაჭერით, თბილისში დაფუძნებული სომხური ნაციონალისტური პარტიის „დამნაკვეთიუნი“ აქტიური წევრი, მკვიდრი თბილისელი, რომელიც თბილისის „მომავალი დიდი სომხეთის“ დედაქალაქად მოიაზრებდა და გულზე ეკლად ესობოდა აქ ქართული უნივერსიტეტის არსებობა. არმაკ ბაბოვი ჯერ კიდევ 1911 წელს სასტიკად ილაშქრებდა თბილისში ქართული უმაღლესი სასწავლებლის გახსნის წინააღმდეგ, შემდეგ იგი განდა თბილისის სათათბიროს ხმოსანი, ქალაქის თავის – ალექსანდრე ხატისოვის მოადგილე. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იმ პროფესურასთან, რომლებიც ნიკო მართან ერთად ყველანაირად ცდილობდნენ ივანე ჯავახიშვილის ეროვნული წამოწყების ხელის შეშლას. ნიკო მარმა პეტერბურგის მთავრობისადმი გაკეთებულ მოხსენებაში ქართველები „მდაბალი ზოოლოგიური ინსტიტუტების მქონე ნაციონალისტებად“ მოიხსენია და დასძინა: „თბილისის კავკასიის ცენტრია“, აქ „ნაციონალური უნივერსიტე-

¹ გაზ. „კვირის პალიტრა“. #3, 18-24 იანვარი, 2021.

ტი“, ერთის მხრივ, დაკნინებს მეცნიერებას, ჩააყენებს რა მას არა მარტო წარმავალი, არამედ გადმონაშთური წარმოდგენების სამსახურში, ხოლო, მეორე მხრივ, დევნით დაემუქრება ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენლებს და გააღრმავებს ურთიერთგანხეთქილებას და ურთიერთგანდგომას“. ¹ საბედნიეროდ, მათ ეს ვერ მოახერხეს.

1918 წ. 26 იანვარს, ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, წყნეთის ქუჩაზე, ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, საზეიმოდ გამოაცხადა ქართული უნივერსიტეტის გახსნა. ამ დიდი ისტორიული ფაქტით გაწბილებულმა არშაკ ბაბოვმა და მისმა თანამოაზრეებმა თბილისში სასწრაფოდ იხმეს ეჯმიაწინის ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათალიკოსი, წარმომობით თბილისელი გევორჯ V და ავლაბარში აკურთხებიან ადგილი, სადაც სომხური უნივერსიტეტი უნდა გაეხსნათ.

1918 წლის დეკემბერში სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები წამოუყენა. ამას მოჰყვა საომარი მოქმედებები. როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელი სომხების დიდი ნაწილი მხარს უჭერდა ერევნის დაშნაკურ მთავრობას, იქმნებოდა მოხალისეთა დივერსიული რაზმები, „სომეხთა ეროვნული საბჭოს შენობაში (არამიანცის სახლი) ფარულად მიმდინარეობდა შეკრებები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1918 წლის დეკემბერში დააპატიმრა ამ ანტიქართული კამპანიის ორგანიზატორები: ალექსანდრე ბარხუდარიანი და გიორგი ჯამაგოსიანცი... შემოთ დასახელებული მიზნულების გამო, შესაბამისი ზომების გატარების შედეგად, 1918 წლის ბოლოსათვის საქართველოს დედაქალაქ თბილისის ადმინისტრაციული აპარატი სომხებისაგან გათავისუფლდა. დაშნაკური და პროდაშნაკური გაზეთები დაიხურა, თბილისის საკრებულოს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩაბმული დაშნაკი დეპუტატები დაპატიმრებულნი, ხოლო პარლამენტის წევრები გარეკილ იქნენ. მდიდარ სომეხ ვაჭრებსა და საქმოსნებს, რომელნიც აშკარად აფინანსებდნენ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებს, ქონება ჩამოერთვათ“.²

¹ **Н. И. Мара.** О Кавказском Университете в Тифлисе. В связи с обсуждавшимся в Комиссии по реформе высшей школы вопросом о Грузинском Университете в Тифлисе). – *Азиатский сборник*. Из Известии Российской Академии Наук. Новая серия. Петроград, 1918, гз. 1508-1509; **ტარიელ ფუტკარაძე, ია ვამაკიძე.** ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში. თბილისი, 2011, გვ. 75-76.

² **არჩილ ჩაჩხიანი.** დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიური იდეოლოგია და

ამ რეპრესიებში მოყვა არშაკ სარქისის ძე ბაბოვი, რომელიც, რევაზ გაბაშვილის ცნობით, სომხური არმიისათვის იარაღის შესაძენად ფულის შეგროვების ფაქტზე დაიჭირეს.

1918-19 წლებში სომხური არმია დამარცხდა. ჩაიშალა დაშნაკთა გეგმა თბილისის სომხურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად შენარჩუნების შესახებ. რასაკვირველია, არშაკ ბაბოვი დაბოღმილი იყო ქართული უნივერსიტეტის წარმატებებითაც. იგი კვლავ თავის დროს ელოდა. 1921 წ. თებერვალში ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარების თბილისში შემოსვლამ არშაკ ბაბოვს ძველი სურვილების აღსრულების იმედები ჩაუსახა. არშაკ სარქისის ძე, არშაკ სერგის ძედ გარდაისახა, ახალ საოკუპაციო ხელისუფლებას თანამშრომლობა შესთავაზა და განიზრახა ქართული უნივერსიტეტის ხელში ჩაგდებაც, მაგრამ ივანე ჯავახიშვილმა მას ეს გეგმა ჩაუშალა. თუმცა, 1922 წლიდან თბილისი ამიერკავკასიის ფედერაციის დედაქალაქად გამოცხადდა, სადაც ინტერნაციონალიზმის დროშით დაიწყო ყოველივე ქართულის შევიწროება. არშაკ ბაბოვი ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორად მოგვევლინა და გარდაცვალებამდე (1937 წ.) კვლავ აგრძელებდა ანტიქართულ საქმიანობას.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის *ზაქარია ჭიჭინაძის* (1853-1931) არქივში არშაკ ბაბოვზე საინტერესო წერილი ინახება სათაურით: „არშაკ ბაბოვი – ქართველი ერის განვითარების მტერი და ქართველი მოწაფეების მღვწელი“. აი, როგორ ახასიათებდა იგი მას: „ქართველი ერის მოსისხლე მტერი და სისხლის მსმელი არშაკ ბაბოვი... გახლავთ ჰედაგოგი და ტუქნიკური სკოლის მასწავლებელი... იგი მონარქიული მთავრობის დროის გმირი გახლავთ, იმავე თავიდან, რაც იგი ტუქნიკურ სკოლაში მსახურობდა. იგი მაშინვე იყო ქართველი ერის მოსისხლე მტერი და მაშინვე ლაპარაკობდნენ ამაზედ, თუ იგი ტუქნიკურ სკოლაში ქართველ მოწაფეებს რა დღეში აყენებდა. გამოცდებზე ქართველებს დღეს უმწარებდა. ასეთი ქმედებით არშაკ ბაბოვმა ტუქნიკურ სკოლაში ქართველების რიცხვი გააქრო, მოსპო ისე, რომ იქ შეგირდების წელიწადში ერთი ან ორი მოწაფე თუ გაათავებდა, თორემ დანარჩენი იქ ფეხს ვერ შედგამდა. ის ყოველ წელიწადს ახერხებდა იმას, რომ ქართველების ერთ ან ორ მოწაფეს დააჭერინებდა გამოცდას, გინდ ასი ქართველიც მისუღიყო... მეტი ქართველი იქ ვერას შემთხვევაში ვერ მოახერხებდა შესვლას, გინდა მათ გამოცდა შესანიშნავად დაეჭირათ. მათ არშაკ ბაბოვი ისეთ შარებს და ხრიკებს გა-

სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი, გამომცემლობა „არადანი“, 2007, გვ. 468-469.

მოუძებნიდა, რის გამოც საბრალო ნიჭიერი ქართველი აქ ვეღარას ეღირსებოდა. ასეთი ეშმაკური მოქმედებით საქმე იქამდის მიიყვანა მან, რომ მასზედ მთელ ქართველებში ლაპარაკი იყო ატეხილი და გავრცელებული მის მტრობასა და ბოროტებაზე, რომ ამა თუ იმ მოწაფემ ჩინებულად დაიჭირა გამოცდა, მაგრამ არმაკ ბაბოვმა უსამართლოდ და პედაგოგიური მეცნიერების გარეშე ჩაჭრა და დაღუპა მოწაფეო. რა იყო ამ უსამართლობის მიზეზი, არავინ არაფერი არ იცოდა. ის ყველანაირად ნიღბავდა თავის ბოროტებას, სხვათა შორის, მთავრობის წინაშე აბუზღებდა ქართველ შეგირდებს და მის მერე ქანდარმერიას ატყობინებდა, რომ ქართველი მოწაფეები, რომელნიც მოდიან ტექნიკურ სკოლაში, გამოცდას ვერ იჭერენ, სულ უნიჭოები არიან, ამის გარდა ისინი რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგნი არიან... ქართველები სულ სოციალისტები არიან და ისინი რყვნიან სხვა ტომის შეგირდებს, ამიტომ მე ყველა ღონისძიებას ვხმარობ, რათა ასეთი შეგირდების რიცხვი ცოტა იყოს ტექნიკურ სკოლაში“.¹

ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, არმაკ ბაბოვი ამას აკეთებდა დამნაკური პარტიისა და გრიგოლ არწრუნის გეგმის შესაბამისად, რათა თბილისში არ მომძღვარებულყო ქართული გენი, განათლებული ქართველი ახალგაზრდობის სახით, რაც პრობლემას შეუქმნიდა მათ მომავალ გეგმებს. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის აღარ იყო ისეთი, როგორც ეს არმაკ ბაბოვს სურდა. თერგდალეულებმა, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, დაიწყეს დიდი მოძრაობა ქართველობის ასაღორძინებლად. ეს მოძრაობა ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის შეფასებული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად. ზაქარია ჭიჭინაძის მართებული დაკვირვებით, ჩაიშალა სომეხ სასულიერო პირთა და დამნაკთა დიდი გეგმები ქართულ მიწაზე „დიდი სომხეთის აღორძინებისა“.

ასეთი შხამიანი ოცნებით დამთავრდა არმაკ ბაბოვის გეგმები რუსეთის იმპერიაში, – წერდა ზაქარია ჭიჭინაძე. „ჩვენდა მოულოდნელად, – განაგრძობს ავტორი, – შევიტყვეთ ცნობა, რომ არმაკ ბაბოვი დღეს კომუნისტური მთავრობის სამსახურში ჩამდგარა, მაგრამ მისი სახელის ხსენებისას ჩვენ გავიგეთ, რომ ის არ შეცვლილა, ისევ ისეთი გაიძვერა. მან მთავრობის წინაშე გააკეთა მოხსენება ქართულ უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტის დახურვის და ბაქოს უნივერსიტეტში გადატანის აუცილებლობაზე. ეს არის არმაკ ბაბოვის ძველი სურვილი – საღვთო ცნება,

¹ გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი. ზაქარია ჭიჭინაძის ფონდი, საქმე 4869, ფურც. 1-2.

რითაც მისი წინაპრები დარაზმულეები იღწვოდნენ თბილისის უნივერსიტეტის წინააღმდეგ. სწორედ მაშინაც ასე მოქმედებდა არშაკ ბაბოვი და მთელი სოლოლაკის სომხების ბურჟუაზია. მათი სურვილი იყო თბილისის უნივერსიტეტი ავლაბარში გაეხსნათ, რადგან იქ მეტი სომხები ცხოვრობდნენ, მაგრამ დმერთმა აღარ დააცალათ სომხური უნივერსიტეტის დაარსება და მის გარშემო ახალი სომხეთის აშენება... ამიტომ არ უნდა გაგვივიკვრიდეს არშაკ ბაბოვის მტრობა ქართველების წინაშე“.¹

ამ ჩანაწერმა კიდევ უფრო ნათელი გახადა, რა გააფთრებული წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდათ ივანე ჯავახიშვილს და მის გარშემო შემოკრებილ ქართველ მეცნიერებს თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. რა სამწუხაროა პროფესორ ნიკო მარის პოზიცია, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის ხელისუფლების და სომეხი დამნაკების პოზიციიდან, ან რას ნიშნავდა მარის ეს სიტყვები: „კავკასიის ხალხთა ინტერესები მოითხოვს კულტურული ორიენტაციის შენარჩუნებას რუსეთის მიხედვით... თუ თბილისში არ დაარსდება რუსულენოვანი უნივერსიტეტი, რუსეთი დაკარგავს კავკასიას და შზად უნდა ვიყოთ კავკასიის წასვლისათვის უცხო ბანაკში“.²

აი, რატომ მიიჩქაროდა 1921 წლის თებერვლის სუსხიან დღეებში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით გახარებული არშაკ ბაბოვი თბილისის უნივერსიტეტისაკენ, რატომ მოითხოვდა იგი უნივერსიტეტის დამაარსებლისა და რექტორისაგან უნივერსიტეტის გასაღების ჩაბარებას.

¹ გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი. ზაქარია ჭიჭინაძის ფონდი, საქმე 4869, ფურც. 1-9, 11.

² Н. И. Мавр. О Кавказском Университете в Тифлисе..., გვ. 1515; ტარიელ ფუტკარაძე, ია ვაშაკიძე. ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა..., გვ. 23.

SERGO VARDOSANIDZE

“GIVE ME THE KEYS”

Summary

In the 19th Century the Armenian National Bourgeoisie, the Dashnak party, by the support of the Russian Imperial government tried to create a “Greater Armenia” in eastern Georgia. The Armenian Catholicosate of Etchmiadzin, the Armenian Catholic Patriarchate, and scholars united in the Congregation of the Mkhitarists wrote up fictional stories in which the native Georgian lands were considered the historical property of the Armenians. The intention of the Georgians to open a Georgian University in Tbilisi turned out to be a headache for the famous Arshak Babov of the famous Dashnak who had tried in every way to prevent it. When he failed to do so, he and his friends had tried to open an Armenian university in Avlabari, but Georgia’s Declaration of State Independence thwarted those plans. In the first days of the Bolshevik occupation of Georgia, he happily went to his hated Tbilisi University and demanded its Rector Ivane Javakhishvili: “Give me the key to the University!”. He was disappointed here as well, but he did not stop persecuting the Georgian University even after that.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ლევან სამსონია

საბჭოთა წარსულის გადაფასება – „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს, აჭარის კავშირის“ როლი საბჭოთა პროკაგანდის საქმეში

საბჭოთა წარსულის ობიექტური შესწავლა-გადაფასება მნიშვნელოვანია საქართველოს შემდგომი სტაბილური განვითარებისათვის. იმისათვის, რომ ჩვენმა სახელმწიფომ ღირსეული ადგილი დაიკავოს ცივილიზებული სამყაროს ხალხთა შორის, ამისათვის უცილობელ პირობას წარმოადგენს ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ არა გაყალბებული, კონიუნქტურას დაქვემდებარებული, არამედ რეალური, მიზეზ-შედეგობრივ მოვლენებსა და ფაქტებზე დამყარებული ისტორია. ჩვენი აზრით უმნიშვნელოვანესია გამოვყოთ პიროვნების როლი და დანიშნულება ტოტალიტარულ სისტემაში. დავადგინოთ რა ფასი გააჩნდა ადამიანს საბჭოეთის არსებობის მანძილზე. უფრო სწორად, რომ ვთქვათ რა მდგომარეობაში იყო ბოლშევიკური მმართველობის დროს ადამიანის ღირსება და თავისუფლება. ამ საკითხის შესწავლის მცდელობაა მოცემული წინამდებარე სტატიაში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ჩვენი ძირითადი საკვლევი თემის ერთერთ არსებით საკითხსაც. ამდენად ვფიქრობთ, რომ თემის აქტუალობა თვალნათლივ ცხადია. საკითხზე მუშაობისას ჩვენს მიერ ძირითადად გამოყენებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ არქივში დაცული მონაცემები, ასევე ისტორიოგრაფიული მასალები და მათი გაანალიზების საფუძველზე წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სასწრაფო წესით ამუშავდა იძულების მანქანა. ბოლშევიკების ერთ-ერთი სამიზნე იყო ეკლესია, რომელიც თავისი ავტორიტეტის გამო უაღრესად მიუღებელი იყო ათეისტური სახელმწიფოსათვის და მისი იდეოლოგიისათვის. ტერორი და დაშინება იყო სტანდარტი. საკუთრივ საბჭოეთის მთავარი სულისჩამდგმელები იყვნენ ამ ტერორის შემომქმედნი. ხე-

ლისუფლების დანაწილების პრინციპების ფორმალური აღიარების მიღმა იმალებოდა კომუნისტური პარტიის ერთპარტიული დიქტატი. სხვაგვარად საბჭოეთს არ შეეძლო ფუნქციონირება. მეტიც, პარტიის შიგნითაც ყველაფერი ექვემდებარებოდა არა ე.წ. პარტიულ დისციპლინას და პარტიული დემოკრატიზმის პრინციპებს, არამედ კონკრეტული პიროვნების ავტორიტეტს. აქ არ ვისაუბრებთ მაგალითად ე.წ. „უკლონისტებსა“ და სხვა მიმდინარეობებზე კომუნისტურ პარტიაში, რომელიც თავისი არსით სხვა არა იყო რა თუ არა ერთგვარი განსხვავებული ხედვა სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე. თუმცა კონკრეტულ დროს ხელისუფლების სათავეში მყოფი მმართველები, იგულისხმება სტალინი და მისი დაჯგუფება დაუნდობელი აღმოჩნდა ამ განსხვავებული ხედვის მიმართ.

ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ყალბი და მოჩვენებითი დემოკრატიულობის ფარდის ქვეშ იმალებოდა ძალაუფლების უზურპაციის დაუკლებელი სურვილით ალტკინებული ავტორიტარები. ამიტომაც ნებისმიერი განსხვავებული მოსაზრება იღვენებოდა და ცხადდებოდა მთავარ საფრთხედ საბჭოთა სახელმწიფოსათვის. XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული საშინელი რეპრესიებიც ამ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. ამ პერიოდის რეპრესიები იყო საბჭოთა კავშირში პერმანენტულად განხორციელებადი მორიგი რეპრესიული ტალღა. განსხვავება მდგომარეობდა მასობრიობაში, ხოლო მეთოდები მსგავსი იყო. ფორმალურად ტარდებოდა სასამართლო, თუმცა მთავარი როლი ენიჭებოდა ე.წ. „სამეულებს“, რომლებსაც გამოჰქონდათ მთავარი ვერდიქტი. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამ საქმეში საბჭოთა მმართველობა იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას, როგორც ადმინისტრაციულ ასევე იდეოლოგიურ რესურსებსაც. ამ საქმისთვის შექმნეს კიდევ ე.წ. „უღმერთოთა კავშირი“, რომლის საქმიანობის წარმოჩენაც არის ამ სტატიის მიზანიც.

ორგანიზაცია „მებრძოლ ურწმუნოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს აჭარისტანის კავშირი“ ჩამოყალიბდა 1937 წელს.¹ „ანტირელიგიური პროპაგანდა ყურადღების ცენტრში“ მოხსენებით აქცენტი კეთდებოდა კულტურულ ძვრებზე, რომელიც გაკეთდა აჭარაში გასაბჭოების შემდეგ „სად ჰქონდათ მშრომელებს კულტურა, სად იყო სკოლა, თეატრი, კინო... სტალინის გარშემო შემჭიდროვებამ გამოიწვია კლასობრივი მტრის წარ-

¹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზური. ბათუმი, 2003, გვ. 248.

ჩენთა გამოფენა-გაბოროტება... ტროცკისტულ ზინოვიევი ბანდიტები კაპიტალიზმის ეს საზიზღარი რესტავრატორები, ტერორისტები, ჯაშუშები, სამშობლოს მოღალატენი, გერმანიის ფაშისტური ოხრანის, გესტაპოს აგენტები უკვე აღგვილი არიან საბჭოთა მიწიდან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მტრის ნარჩენები საბოლოოდ განადგურებულია. განადგურებული მტრები სოციალიზმის წინააღმდეგ იყენებენ კაპიტალიზმის ნაშთებს. ჩამორჩენილი მშრომელების შეგნებაში იყენებენ მათ წვრილ მესაკუთრულ ჩვევებს, აგრეთვე საყოფაცხოვრებო, ნაციონალურ და რელიგიურ ცრუმორწმუნეობებს. განსაკუთრებით კი რელიგიურ ნაშთებს ადამიანთა შეგნებაში. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას აჭარის სინამდვილიდან. ფაქტია, რომ აჭარის ხალხი წარსულში მუსლიმანური რელიგიის ფანატიზმით იყო გამსჭვალული. სოფელს ვერ იპოვიდით სადაც ჯამე და ხოჯა არ მოიპოვებოდა... ისიც ფაქტია, რომ ეს რელიგია მოგონილია ერთი მუჟა ხალხის მიერ, რომლებიც მტკიცედ იყენებდნენ მას მშრომელებზე ბატონობისათვის, უღაყებდნენ ტვინს...“¹

ამ დირექტივაშივე ნათლად მოჩანს ორგანიზაციის შექმნის მთავარი მიზანი. ყველაფერი საბჭოთა წყობილების არსებობის გამართლებისთვის. განსხვავებულის მიმართ აგრესიული, შეუმწყნარებლური დამოკიდებულება. ჩვენ ასევე ნიშანდობლივად გვეჩვენა ერთი ფრაზაც ზემოხსენებულ წყაროში, კერძოდ „წვრილ მესაკუთრული ჩვევები“. ამკარაა, განსაკუთრებით ბათუმის ოლქში მთელი XX ს. 30-იან წლებშიც კი არსად გამქრალა მესაკუთრული, ვაჭრობასა და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული უნარ-ჩვევები. ეს კი ალბათ ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ ბათუმის ოლქი საკმაოდ ჩართული იყო კაპიტალისტურ ურთიერთობებში, იგულისხმება სხვადასხვა ქარხნები, მანთაშევის, როტშილდისა და სხვა. საბჭოთა წყობისთვის კაპიტალისტური, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ურთიერთობები ხომ ეგზისტენციალურად მიუღებელი იყო. ამიტომ ყოველგვარი მცირედი გამოვლინება ზემოხსენებული უნარებისა ისჯებოდა. თუმცა საბჭოთა სახელმწიფო გვერდს ვერ აუვლიდა ამ ძალზედ მნიშვნელოვან საკითხს, განსაკუთრებით თავისი არსებობის საწყის ეტაპზე, ამიტომ პირველად დაუშვეს სხვადასხვა სახის არტელეები და შემდეგ კი შეიქმნა კოოპერაციული ორგანიზაციებიც, ე.წ. კოოპკავშირები. „სრულიად საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის აჭა-

¹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის. საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომ: ასს ცსა) ფონდი რ-260, აღწ. N1, საქმ. N1 ფურც. 1-2.

რის საოლქო საბჭოს დაწესებულება 1937 წ. 11 სექტემბრამდე მოთავსებული იყო ლენინის ქ. N 51-ში. ამავე შენობაში განთავსებული იყო რადიო-ლაბორატორიის კაბინეტი, ამიტომ შუკის დაწესებულება გადავიდა გორკის ქ. N2 მდებარე შენობაში...“.¹

საბჭოთა ხელისუფლება რელიგიურ ორგანიზაციებს აღიქვამდა კონკურენტებად. გასაბჭოებამდე როგორც ქრისტიანული ასევე მუსლიმური რელიგიური ორგანიზაციები საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოსახლეობის ფართო მასებში, ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად განიხილებოდა. „გასული წლის რამაზანში დადასტურდა ის ფაქტები, რომ მშრომელთა კარგა ფართე ნაწილი, მათ შორის ახალგაზრდობაც, მოსწავლეებიც დადიოდნენ ჯამეში სალოცავად... სარწმუნო ფაქტებით ხულოს რაიონში ზოგიერთმა ხოჯებმა ერთი თვის განმავლობაში მოსახლეობიდან შეაგროვეს თითოეულმა არანაკლებ 1000 მანეთისა სხვა სავალდებულო პროდუქტებთან ერთად... ამჟამად ლაპარაკიც კი არ შეიძლება ანტირელიგიური პროპაგანდის შენელება-შესუსტებაზე. ჩვენ სავსებით და მთლიანად უნდა გამოვიყენოთ თავისუფლება ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებისა, რომელიც სახელმწიფო კონსტიტუციით გვაქვს მონიჭებული... მხოლოდ მოთმინებით, ახსნა განმარტების საშუალებით და არა ადმინისტრაციული წესით უნდა დავარწმუნოთ მშრომელი იმაში, რომ რელიგია არა თუ საჭიროა, არამედ მავნეც არის ...“.² „ამხანაგებო ჩვენ შევდივართ 1937 წელში. ეს წელი სოციალიზმის ისტორიაში შევა, როგორც ერთ ერთი ნათელი და სასიხარულო... აჭარის მშრომელი ხალხი რომლებმაც ქართველი ხალხის ძმური დახმარებით, ამიერკავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან კავშირში მიაღწია უდიდეს წარმატებებს... ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტია... ზრუნავს და ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების სტალინური ხელმძღვანელი ლ. ჰ. ბერია“.³

ეს მოხსენება ეკუთვნის იმ დროისთვის აჭარის განათლების სახალ-

¹ **მაია რურუა.** საქართველოს სსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭო აჭარის ასსრ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის(მუკ) საოლქო საბჭოს ისტორიიდან. – *არხეიონი*, XXI, 2021. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო. თბილისი, 2021, გვ. 50.

² ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმ. N1, ფურც. 3/4.

³ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმ. N1 ფურც. 5-6.

ხო კომისარს და აჭარის „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ თავმჯდომარეს ილიას ქათამაძეს. ჩვენს მიერ მოძიებული საარქივო მასალებით, რომელთა მცირე რაოდენობასაც ვაქვეყნებთ ამ სტატიაში, დასტურდება პიროვნების როლიცა და თუნდაც ბედიც სსრ კავშირის არსებობის დროს. კერძოდ, ზემოხსენებული განათლების სახალხო კომისარი ილიას ქათამაძე, რომელიც იდეური კომუნისტი იყო და შესაძლებლობას არ უშვებდა საბჭოთა წყობის ქების საქმეში, თავად იქნა რეპრესირებული 1937 წელს. „ილიას დურსუნის ძე ქათამაძე დაპატიმრებისას 31 წლის იყო, მას დამთავრებული ჰქონია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. დახვრიტეს 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, როგორც ხალხის მტერი და სოციალიზმის მოსპობის მოსურნე. რეაბილიტირებულ იქნა 1956 წლის 4 მაისის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ“.¹ დახვრეტამდე ილიას ქათამაძე გააკრიტიკეს, რაც, ბუნებრივია, იყო სიგნალი იმისა რომ მისი დროც მოსული იყო.

აი რას ამბობს მასზე ბათუმის მუკ-ის (მებრძოლ უღმერთოთა კავშირი) საქალაქო საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი ვინმე კვირკველია. „აჭარაში მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ხალხის მტერი კონტრრევოლუციონერი ელიას ქათამაძე, რომელმაც ჩამალა ა/რ პროპაგანდა აჭარაში და გარდვევის გზამდე მიიყვანა ორგანიზაციის მუშაობა, ...რიგი ორგანიზაციები ზერელედ უყურებენ ამ ფრიად სერიოზულ საქმის სწორ მსვლელობას... რა დროს უღმერთოთა უჯრუდია, ჩვენ ყველა უღმერთოები ვართო, რაც არასწორი მხედულება იყო მათი მხრიდან.... ქალაქ ბათუმში ჩვენ მიერ აღმოჩენილი იქნა ბურმან პეტრეს ოჯახში ენგელსისა და მოსკოვის ქუჩების კუთხეებში, სადაც მოწყობილი აქვს სამლოცველო ეკლესიის სახით...“.²

საბჭოთა სისტემა არ ინდობდა ადამიანს, იგი არ წარმოადგენდა მთავარ ღირებულებას, პირიქით ადამიანი უნდა დამორჩილებოდა კოლექტიურ აზროვნებას, ბელადის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ა.შ. თავად იდეური კომუნისტებიც კი ვერ გადაურჩნენ რეპრესიებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში ადანაშაულებდნენ სხვას. უბრალოდ არ არსებობდა საკუთარი თავის გადარჩენის მყარი გარანტია. ასე მაგალითად, თავად ილიას ქათამაძე აკრიტიკებდა აჭარკოპკავში-

¹ „ტრაგიკული 37“ ყველაზე დიდი და გამაოგნებელი ბრალდება. – აჭარა (გაზეთი), N6. 2015 17-21 იანვარი, (23.963).

² ასს ცსა,ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N1, ფურც. 7-8.

რის პარტიკომს გვარად მელიას, რომელიც აჭიანურებდა მუკთან ხელშეკრულების გაფორმებას და მუკის მიერ ჩასატარებელ თითო ლექციაში 5 მანეთის გადახდა ეძვირებოდა – „ვითომდაც მუკის ორგანიზაცია წარმოადგენს ძველ საჯარო დაწესებულებასო...“.¹ ილიას ქათამაძე თავს არ ზოგავდა, რათა საბჭოთა მმართველობისთვის დაემტკიცებინა თავისი ერთგულება. ასე მაგალითად, იგი უგზავნის შემდეგი ხასიათის წერილს საქართველოს მეზობელ უღმერთოთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს გივი სახაროვს: „თქვენ უკვე მიიღებდით ჩვენს ბრძანებას სოფლად ანტირელიგიური მუშაობის ფორმების შესახებ. ამ საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა ამაჟამად. საბუნებისმეტყველო წრეები უკვე ჩამოყალიბდა და მიმდინარეობს მეცადინეობა... ამასთან ერთად პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ გამოიტანა დადგენილება ანტირელიგიური საბჭოს, (რესპუბლიკური და საქალაქო) ჩამოყალიბების შესახებ. გამოყოფილია ორგბიურო. საჭიროა წინასწარ ანტირელიგიური უჯრედების ჩამოყალიბება საბჭოთა მუერნეობებში, კოლმუერნეობებში, სკოლებში და ქალაქში მთლიანად ყველა წარმოებებში...“.² უნდა აღვნიშნოთ, რომ ილიას ქათამაძე დიდი მონდომებით ასრულებდა ზემდგომი ორგანოების დავალებას და თვითონაც აქტიურად იღებდა უკუკავშირს მასზე დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან თუ ორგანოებიდან. 1937 წ. 7 ივნისით დათარიღებული კორესპოდენციით იგი ატყობინებდა საქართველოს მუკის საბჭოს თავმჯდომარეს ჩატარებული ღონისძიებების თაობაზე, კერძოდ, იმ დროისათვის ბათუმსა და ქობულეთში ფუნქციონირებდა მუკის 80 უჯრედი, საერთო წევრთა რაოდენობა შეადგენდა 5048 ადამიანს.³

1937 წ. 29 ოქტომბერს შედგა აჭარის მუკის პირველი რესპუბლიკური კონფერენცია. ესწრებოდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აჭაროლქკომის მდივანი იოსებ კოჭლამაზიშვილი, აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარე ისმაილ ფუტკარაძე, ასევე საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე გივი სახაროვი, კონფერენციას თავმჯდომარეობდა მუკის საქალაქო საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი მიხეილ კვირკველია, ეს ის კვირკველიაა, რომელიც აკრიტიკებდა მის ზემდგომს ილიას ქათამაძეს. თუ დავაკვირდებით ვნახავთ, რომ კონფერენციას არ ესწრებოდა თავად აჭარის მუკის თავმჯდომარე ილიას ქათამაძე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იგი მოგვია-

¹ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N1, ფურც. 10.

² ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N1, ფურც. 30.

³ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N1, ფურც. 74.

ნებით დახვრიტეს. მოძიებული საარქივო მასალებით იკვეთება, ნებისმიერი აქტივობა მომდინარეობდა ცენტრალური ორგანოების დირექტივებისაგან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ასევე ისიც, რომ ადგილებზე პარტიული ფუნქციონერების მხრიდან „გულმოდგინე“, ხშირ შემთხვევაში ზედმეტად აქტიური ქმედება და „ერთგულების“ დამადასტურებელი ქმედებანი და მთელი ეს გადაჭარბებული აქტიურობა ე.წ. ხალხის მტრების გამოვლინების საქმეში განპირობებული იყო საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მიზნითაც.

1938 წ. 4 თებერვალს ჩატარდა საკავშირო მუკის საბჭოს IV გაფართოებული პლენუმი, რომელმაც მიიღო დადგენილება, რომელშიც მიმოიხილეს განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგები, სწორედ ამ განხილვაში გამოიკვეთა ის გენერალური ხაზი, რომელიც ადგილებზე აღიქმებოდა, როგორც ტერორის და ხალხის მტრების გამოვლინებისკენ აქტიური მოქმედების დასაწყისი. „სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოყოფის დეკრეტის 20 წლის თავის დღეებში ჩვენ შეგვიძლია სიამაყით ავღნიშნოთ, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელების, ახალგაზრდებისა და მოხუცების... ათეულ მილიონმა საშუალოდ გასწავიტეს კავშირი რელიგიასთან... მაგრამ უღმერთობის ამ უზარმაზარმა ზრდამ ზოგიერთი ორგანიზაციის (პროფკავშირი, კომკავშირი, განსახკომი და სხვა) ხელმძღვანელებში და ნაწილობრივ თვით მუკის შიგნით წარმოიშვა არასწორი და შემცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ რელიგიას უკვე ბოლო მოეღო, რომ ანტირელიგიური პროპაგანდა განვლილი ეტაპია. ამდგვარმა ანტიპარტიულმა წარმოდგენამ ბევრ ადგილას გამოიწვია ანტირელიგიური პროპაგანდის შემცირება, მუკის ორგანიზაციათა უმრავლესობის დაშლა... თვით მუკის ცენტრალურ საბჭოში მთელი წლების განმავლობაში მოქმედებდნენ ხალხის მტრები ლუკაჩევსკი, კობეცკი, და სხვა, რომლებმაც უდიდესი ზიანი მიაყენეს ანტირელიგიურ პროპაგანდას. ანტირელიგიური მუშაობის შესუსტებით ისარგებლა რეაქციულმა ფრთამ, რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა უკანასკნელ წლებში გამოცოცხლდა... მუკის ორგანიზაციებმა დაივიწყეს, რომ ისინი უწინარეს ყოვლისა იმისთვის არსებობენ, რომ თავისი აგიტაციითა და პროპაგანდით მოსპონ რეაქციული ფრთის გავლენა, ჩამოაშორონ მშრომელები რელიგიას...“¹

უკუკავშირმაც არ დააყოვნა. 1938 წ. 14 აპრილის დირექტივით მუკის ყველა საოლქო და რაიონულ საბჭოს დაევალა აღერიცხათ: „რამდენი ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა, სექტანტების სამლოცველო სახლებია რა-

¹ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N2, ფურც. 10-11.

იონებში, გვაცნობთ რამდენი დახურული ეკლესიები რა საჭიროებისთვის არის გამოყენებული... გარდა ამისა ჩვენთვის აუცილებელია ინფორმაცია ყველა იმ მუშაობის შესახებ რომელსაც აწარმოებს შუკის საოლქო და რაისაბჭოები...“¹ მსგავსი შინაარსის ცნობა არის დაცული ქობულეთის შუკის რაისაბჭოს პასუხისმგებელი მდივნის ვლადიმერ მგელაძის მოხსენებაში: „ქობულეთის შუკის რაისაბჭოს ახლანდელი მუშადგენლობა მუშაობას უდგება 1938 წლის 1-ლი ოქტომბრიდან... მაგრამ მიუხედავად ამისა რაისაბჭოს მუშაობა სრულად ჩამოშლილი იყო, ორგანიზაციები ფაქტიურად არც კი არსებობდა. ...ხშირად მკლავდება ყოვლად დაუშვებელი ანტიპარტიული და ანტილენინური შეხედულება, რადგან ჩვენს ქვეყანაში გაიძარჯვა სოციალიზმმა, ლიკვიდირებულია ექსპლუატატორი კლასი... ამიტომ რელიგიასთან ბრძოლა თითქოს საჭირო აღარ არის, რომ ანტირელიგიური ბრძოლა განვლილი უტაპია, ასეთმა მავნე „თეორიებმა“, მცდარმა წარმოდგენებმა... დიდი სამსახური გაუწია ხალხის მტრებსა, კონტრევოლუციონერ ტროცკისტებს, რეაქციულ სამღვდლოებს... ხალხის ეს საზიზღარი მტრები ყველანაირად აპარებდნენ ამ მავნე „თეორიას“ და ეწეოდნენ მათ პროპაგანდას... ამის წყალობით იყო ის ამბავი რომ აჭარაში 1936-1937 წლებში შუკის საოლქო საბჭო აღარ არსებობდა... ხალხის მტრები ლორთქიფანიძეები და სხვები ყოველნაირად ჰკვეცდნენ ანტირელიგიურ მუშაობას და პირიქით გზას უხსნიდნენ ეკლესიის მსახურთ ძირ-გამომთხრელი მუშაობისკენ. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ამ უბანს ხელი მოჰკიდა ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ამხ. ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ, საგრძნობი გარდატეხა იქნა მიღწეული და საქართველოს მამტაბით ამ ორგანიზაციის მუშაობა გაუმჯობესდა...“²

თვალნათლივ ცხადია ის გარემოება, რომ საბჭოთა სისტემის არსებობის პერიოდში ფიზიკური გადარჩენისთვის მთავარი იყო დაბეზღება, სხვისი როლის დაკნინება და საკუთარის წარმოჩენა, თუმცა განხილული საარქივო მასალა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ხშირ შემთხვევაში ესეც არ მუშაობდა და პარტიული იდეოლოგიის უპირობო შემსრულებლები თავადაც აღმოჩენილან მსხვერპლის ამპლუაში. ამის ნათელი მაგალითია ილიას ქათამაძის ისტორია.

პარტია აქტიურად აკონტროლებდა შუკის საქმიანობას ყველა დონეზე. საქართველოს ა.ლ.კ.კ. აჭაროლქკომის ბიუროს 1939 წ. 19 თებერვლის დადგენილებით „კომკავშირის ბათუმის რაიკომი და მებრძოლ უდ-

¹ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N2, ფურც. 25.

² ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N2, ფურც. 141-142.

მერთოთა საბჭო გულდასმით არ სწავლობს რელიგიისა და ცრუ მორწმუნეობის გამომწვევ ნამდვილ მიზეზებს. ...ანტირელიგიური პროპაგანდის სუსტად დაყენების შედეგად ბათუმის რაიონის, სარფის, კირნათის, აჭარის აღმართის და მახინჯაურის სოფლებში ახალგაზრდობისა და კომკავშირელებს შორის ადგილი აქვს მორწმუნეებისადმი თანაგრძნობის შემთხვევებს, სადაც კომკავშირელები... დადიან ჯამეებში, ლოცულობენ, იჭერენ რამაზანს, ნათლავენ ბავშვებს და ასრულებენ რელიგიურ წესებს...¹ 30-იანი წლების მიწურულს თითქოს შეიცვალა მუკის მუშაობის ტაქტიკა, ასე მაგალითად: „აუცილებელი არ არის ორგანიზაციის ზრდისადმი გამოდევნება. პირველ რიგში უნდა შევეცადოთ არსებული უჯრედების განმტკიცებას და მხოლოდ შემდეგ ვიზრუნოთ ახალი ორგანიზაციის შექმნაზე...“² „1940 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა ყოველგვარი ზომები, რათა ადგილი არ ექნეს მუკის ორგანიზაციის ფორმალურ არსებობას...“³

ზემდგომი ორგანოების უკმაყოფილებას იწვევდა ქობულეთის, ქედის და ნაწილობრივ ხულოს რაიონის მუკის საბჭოებისა და უჯრედების მუშაობა. ქობულეთის რაიკომის ბიუროს 1938 წ. 24 მაისის დადგენილებაში: „რაიონში მებრძოლ უღმერთოთა კავშირის პროპაგანდის შესახებ“ ნათქვამია: „ბიურო დღემდე ჩატარებულ მუშაობას თვლის არაადაქმნაყოფილებლად, რაც შედეგია იმისა, რომ ადგილობრივი კომიტეტი და პარტიული ორგანიზაციები აგრეთვე თვით მუკის რაიონული კომიტეტი ვერ უწევენ ორგანიზაციებს სათანადო კონკრეტიულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას...“⁴ მსგავსი შინაარსისაა საქართველოს კ.პ.(ბ) ხულოს რაიკომის 1938 წ. 26 მაისის დადგენილება რაიონში ანტირელიგიური პროპაგანდის მიმდინარეობის შესახებ: „რაიკომი აღნიშნავს, რომ რაიონში ანტირელიგიური მუშაობა არაადაქმნაყოფილებლად მიმდინარეობს... უჯრედებში არ ჩატარებულა საუბრები და ლექციები ანტირელიგიურ თემებზე... გამომდინარე აქედან რაიკომი ადგენს: 1) დაევალოს უღმერთოთა რაისაბჭოს თავჯდომარეს და მდივანს ამხ. მ. ცეცხლაძეს და ი. ბოლქვაძეს კიდევ უფრო გააძლიეროს ანტირელიგიური პროპაგანდა უჯრედებში რაიკომთან შეთანხმებით...“⁵ უკუკავშირმაც არ დააყოვნა, „1938 წლის 1 ივლისს შედგა ხულოს წითელ კუთხესთან არსებული ქალთა კრება, კრებას

¹ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N3, გვ. 33.

² ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. 1, საქმე N10, გვ. 3.

³ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N4, გვ. 30.

⁴ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N2, გვ. 44.

⁵ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N2, ფურც. 48.

დაესწრო ქ. ბათომიდან მომავრებული ამხ. ლ. ჩხიკვიძილი და დიასახლისი 14 ქალი. თავმჯდომარეობდა ქათამაძე ხატიკე, მდივანი მეტრეველი შურა. მოისმინეს ინფორმაცია სინდისის თავისუფლების 124-ე მუხლის შესახებ და ამასთან ჩაატარეს ლექცია: ქალი და რელიგია, შემდგომად ამისა ჩამოაყალიბეს მუკის უჯრედი...“¹

1938 წლის 26 ივლისს შედგა საქ. კ.პ.(ბ) აჭაროლქკომის ბიუროს სხდომა, აჭარაში ანტირელიგიური პროპაგანდის მიმდინარეობის შესახებ, მომხსენებლები იყვნენ კორძაია და გრძელიძევილი. „ბიურო აღნიშნავს, აჭარის უღმერთოთა კავშირის საოლქო საბჭოს არადაამკმაყოფილებელ მუშაობას. რაც გამოიხატება შემდეგში: დღემდე არ არის მუკის საბჭო და სარევიზიო კომისია ქედაში. ხოლო სხვა რაიონებში შექმნილი მუკის საბჭოები მოქმედებენ არადაამკმაყოფილებლად... დღემდე ადგილი ექვს ზოგიერთ მოსახლეთა შორის რელიგიური დღესასწაულების ჩატარებას... სულ 6506 წევრია და 140 უჯრედი. დღემდე არ არის მოგვარებული საწევრო ანარიცხების აკრეფის საკითხი...“²

როგორც წესი კვლავ არ დააყოვნა უკუკავშირმა. 1938 წ. 18 სექტემბერს შედგა ქედის რაიონის უღმერთოთა ორგანიზაციის რაიონული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო „34 დელეგატი, ხოლო აქტივიდან 44 კაცი, კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს ცენტრალური მუკის საბჭოდან ამხ. გელაშვილი, აჭარის ალკკ ოლქკომიდან ამხ. ბეგუჩაძე. საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს: ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, მიქოიანი, ჟდანოვი, ხრუშოვი, დიმიტროვი, ბერია, ჩარკვიანი, ხოსე დიასი. საქმიან პრეზიდენტად კი აირჩიეს ამხანაგები: დუმბაძე ხუსია, შარვაშიძე უსუფ, გელაშვილი, ჩხიკვაძე სულთან, ნიჟარაძე მურად, სამნიძე ხელილ, აბულაძე ხატიკე. დღის წესრიგი: 1. მუკის ორგანიზაციის ამოცანების შესახებ, 2. რაიონული საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნების შესახებ...“³

მსგავსი ტიპის ღონისძიება გაიმართა ოღონდ რანგით მაღალი დონისა 1938 წ. 14 ნოემბერს, როდესაც ჩატარდა საქართველოს მუკის ცენტრალური საბჭოს პრეზიდენტის სხდომა აჭარის მუკის საოლქო საბჭოს მუშაობის შესახებ. ეს სხდომა იყო პასუხი, ერთგვარი უკუკავშირი იმავე წლის 26 ივლისის ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული აჭაროლქკომის სხდომისა. აღნიშნული პრეზიდენტის სხდომაზე აღნიშნეს: „რომ უკანასკნელ

¹ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N2, ფურც. 51.

² ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N2, ფურც. 57.

³ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N2, ფურც. 67.

დრომდე სრულიად დაშლილი იყო შუკის რაისაბჭოები ქედის, ხულოს და ბათუმის რაიონებში, უმოქმედობას იჩენდა შუკის რაისაბჭო ქობულეთის რაიონში...“.¹ ქობულეთის რაისაბჭოს „უმოქმედობაზე“ მეტყველებს შუკის რაისაბჭოს პასუხისმგებელი მდივნის ვ. მგელაძის 1938 წლის მოხსენება, რომლითაც იგი მიმართავს აჭარის შუკის საოლქო საბჭოს: „ქობულეთის მებრძოლ უღმერთოთა საბჭო ამით გაცნობებთ თქვენს მომართვაზე N36, რომ 1938 წლის 30 სექტემბრისათვის რაიონში არსებობდა 22 უჯრული, 867 წევრით, მაგრამ, როგორც ეს კრებაზე იყო აღნიშნული ფიქტიური ცნობები აღმოჩნდა. შუკის რაისაბჭოს არ მოეპოვებოდა არც ერთი ცნობა იმისა თუ სად რა საშუალო მიმდინარეობს. რის გამოც ქობულეთის რაისაბჭოს არ შეუძლია გიპასუოთ ამ საკითხზე, რაც შეეხება შემდეგ საკითხს, მიმდინარეობს შუკის უჯრულების ჩამოყალიბება...“.²

როგორც ვხედავთ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობებით მიმდინარეობდა ანტირელიგიური პოლიტიკა, თავად საქართველო და განსაკუთრებით კი აჭარის რეგიონი გამოირჩეოდა რელიგიური ორგანიზაციების მრავალფეროვნებით, ამიტომ საბჭოების ხისტი პოლიტიკა ბუნებრივია ყველა სოციალურ თემთან ერთნაირად ვერ იმუშავებდა. ეს საკითხი მეტ-ნაკლებად ესმოდა საბჭოთა პარტიულ ფუნქციონერებს და თავიანთ დირექტივებში მოუწოდებდნენ აქტივისტებს გამოეჩინათ მეტი სიფრთხილე და დარწმუნების მექანიზმები, რომლის შესახებაც ჩვენ ნაწილობრივ ვისაუბრეთ კიდევ ზემოთ. „საქართველოს მაგალითზე „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს“ მინი საბჭოთა მოდელთან უწევდა ურთიერთობა. როგორც ვნახეთ საქართველოში არსებული „უღმერთოთა კავშირის“ ცალკეულ უჯრულებს შორის არ იყო თანამშრომლობა. უჯრულების ხელმძღვანელები მართალია ცდილობდნენ განუხრელად მდგარიყვნენ ლენინის, სტალინის და ახლა უკვე ბერიას პრინციპებზე, მაგრამ 30-იან წლებში მებრძოლ უღმერთოთა კავშირის შიგნით არსებული ხარვეზები, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად საქართველოს შუკის I ყრილობამ დასვა არ აღმოფხვრილა...“.³

¹ ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N2, ფურც. 124

² ასს ცსა, ფ. რ-260, აღწ. N1, საქმე N2, ფურც. 123.

³ **ეკა სილაგაძე.** მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ისტორია საქართველოში 1928-1947 წწ. ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, გვ. 115 (http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/eka_silagadze.pdf).

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ შემდეგი: საბჭოთა კავშირში და მათ შორის შორეულ რეგიონებში, ამ შემთხვევაში აჭარაშიც საკმაოდ მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება იყო შექმნილი. პარტიულ იდეოლოგიასა და დიქტატს ექვემდებარებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება. იღვწებოდა ყოველივე კერძო ინიციატივა და შემოქმედებითობა. მოქმედებდა ჯორჯ ორუელისეული „დიდი ძმის“ შეუცთომლობის პრინციპი. ჩვენს მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალის საფუძველზე დასტურდება ისიც, რომ ადამიანის ღირსება იყო პატივაცრილი, ფეხქვეშ იყო გათელილი მისი საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. რწმენის თავისუფლება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ყოველივე ეს ნათლად დადასტურდა მასობრივი რეპრესიების მორიგი ტალღით.

LEVAN SAMSONIA

REASSESSING THE SOVIET PAST – „THE ROLE OF THE CENTRAL COUNCIL OF THE UNION OF FIGHTING UNBELIEVERS, THE UNION OF ADJARA IN THE SOVIET PROPAGANDA“

Summary

It is important to re-estimate the Soviet past. Critical assessment of past events is crucial for the further democratic development of the country. This article is based on archival materials and describes the activities of the Union of Fighting Unbelievers in Adjara. It, in turn, was structurally subordinated to the Union of Fighting Unbelievers of Georgia. This organization was created to produce anti-religious propaganda, the cells of which, i.e. structural units should have been in every organization or institution. The methods of work of this organization were various: lectures, seminars, film screenings, arranging special so-called red corners, distributing various types of agitation materials, including special literature, newspapers. In English, this is about the name of this organization: Council of the Union of Fighting Unbelievers of Adjara.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ლევან ზიქია

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1977 წელს ძალაში შევიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელსაც „განვითარებული სოციალიზმის ნამდვილი მანიფესტი“ ეწოდა. საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება თავისთავად აყენებდა დღის წესრიგში საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ახალი კონსტიტუციის შემუშავებასა და მის საკავშირო კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანას. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1978 წლის 15 აპრილს. საქართველოს ახალი კონსტიტუციის ამოქმედებისთანავე დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისა და მისი საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

რესპუბლიკურმა საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მოიწონა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა. 1978 წ. 17 მაისს გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.¹ აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას გარკვეული უკმაყოფილება მოჰყვა აფხაზურ საზოგადოებაში. აფხაზებმა მოამზადეს კოლექტიური საპროტესტო წერილი, რომელიც გაეგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, წერილის ასლი კი – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. აფხაზეთში ხდებოდა ცალკეული შეკრებები, რომელზეც გა-

¹ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები. რიგგარეშე მეცხრე სესია. 1978 წლის 6 ივნისი. სტენოგრაფიული ანგარიში. სოხუმი, 1978, გვ. 126-127.

ისმოდა მოწოდებები აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის შესახებ, ან ისინი ითხოვდნენ აფხაზეთის კონსტიტუციაში ყოფილიყო მუხლი საქართველოდან გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ. ასევე პროტესტი იყო გამოთქმული აფხაზეთის კონსტიტუციის 70-ე მუხლის გამო, სადაც აფხაზურ და რუსულ ენებთან ერთად სახელმწიფო ენად ქართული ენა იყო დაფიქსირებული.

21 მაისს აფხაზეთში ჩავიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი *ივანე ვასილის ძე კაპიტონოვი*, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე *ვიტალი ჰეტრეს ძე რუბენი*, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე *ვლადიმერ ეგნატეს ძე ბროვიკოვი*, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი *ედუარდ ამბროსის ძე შვარდნაძე*, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე *ჰავლე გიორგის ძე გილაშვილი*, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი *გენადი ვასილის ძე კოლბინი*, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი *ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი*, რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები.¹

შეხვედრაზე ი. კაპიტონოვმა გააჟღერა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიდგომა კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით. ამის შემდეგ აფხაზეთში ვითარება განიმუხტა.² აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის 70-ე მუხლი უცვლელად დარჩა და შესაბამისად სამ ენას აფხაზურს, ქართულსა და რუსულს სახელმწიფო ენის სტატუსი მიენიჭა:

➤ **„მუხლი 70.** აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენებია აფხაზური, ქართული და რუსული ენები. აფხაზეთის ასს რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას აფხაზური ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის და სხვა სახელმწიფო ენების ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში უზრუნველყო-

¹ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 143.
² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 115, საქმე 344, ფურცლები 24-26.

ფილია ამ ორგანოებში, დაწესებულებებში სხვა იმ ენების ხმარება, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.¹

1978 წლის 6 ივნისს გაიმართა აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეცხრე სესიის სხდომა. სხდომას აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ძირია თავმჯდომარეობდა. მოხსენება „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ“ წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ ბორის ადლეიბამ.² მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სრულყოფილებიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში, რომელიც ანსახიერებს მძლავრი საბჭოთა ხალხის სახელმწიფოებრივ ერთიანობას, აერთიანებს ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი წარმატებითი მშენებლობის მიზნით“.³

ბ. ადლეიბა შეეხო საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციას და აღნიშნა, რომ მასში გათვალისწინებულია აფხაზეთის, როგორც მოკავშირე რესპუბლიკის ისტორიულად დამკვიდრებული თავისებურებები, სოციალისტურ-სახელმწიფოებრივი წყობილების დაგროვილი გამოცდილებები.⁴ ბ. ადლეიბას თქმით საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციაში უფრო მაღალ საფეხურზე არის აყვანილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივ-კონსტიტუციური სტატუსი. მან დეტალურად ისაუბრა აფხაზეთის ახალი კონსტიტუციის პროექტის თითოეულ თავზე და მუხლზე; შეეხო საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობას და აღნიშნა: „შეგობრული და ძმური დამოკიდებულება ოდიტგანვე დამკვიდრდა ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ისტორიული ბედის ერთობით. ჩვენი ხალხების, კავ-

¹ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). მიღებულია აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეცხრე სესიის მიერ 1978 წ. 6 ივნისს, სოხუმი, 1978, გვ. 20.

² აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 102.

³ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 103.

⁴ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 106.

კასიელი აბორიგენების სიახლოვე ფესვგადგმულია აგრეთვე სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, დემოგრაფიულ და სხვა განმსაზღვრელი ფაქტორების ურთიერთკავშირში¹.

ბ. აღლებიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო 300 ათასზე მეტმა ადამიანმა. პროექტის განხილვა მიმდინარეობდა პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, შრომითი კოლექტივების კრებებზე, საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. პროექტის განხილვისას საკონსტიტუციო კომისიაში შემოვიდა 250-ზე მეტი წინადადება, რომელიც გულდასმით იქნა განხილული. მოქალაქეთა ნაწილმა, ცალკეულმა დეპუტატებმა საკონსტიტუციო კომისიაში შეიტანეს წინადადება, რათა აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტში გაჩენილიყო მუხლი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ერთი მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობიდან მეორეში გადასვლას. ასევე, მოთხოვნილი იყო, რომ სახელმწიფო ენების ჩამონათვალიდან ამოეღოთ ქართული ენა. საკონსტიტუციო კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხები და დაუშვებლად ცნო მათი გათვალისწინება პროექტში.²

ბ. აღლებიას გამოსვლის შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ტექსტის მოსამზადებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე – ბორის ვიქტორის ძე აღლები (საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), სარედაქციო კომისიის წევრები: ზაურ აღიასის ძე აგრბა (გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), მეჯით მუსტაფას ძე არგუნი (აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე), ვლადიმერ ჯამაღის ძე ავიძბა (საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი), ციციხო თეშურის ასული ბარგანჯია (აძუბუხის საავადმყოფოს მთავარი ექიმი), პაჩ ხარიტონის ძე ბარციცი (საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი), ჯემალ არჩილის ძე ბერიძე (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე), რუფეტ მახტის ძე ბუთბა (საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი), ასტიკო კონსტანტინეს ძე გვარამია (საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი

¹ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 118.

² აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 121-122.

მდივანი), *ბაკური დავითის ძე გულუა* (საქართველოს კომპარტიის გალის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი), *ანატოლ ივანეს ძე დავიდოვი* (სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის შახტის სამთო მუშა), *გიორგი ალექსის ძე ძიძარია* (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი), *იმასტუი ძელიქის ასული ზადიკიანი* (პრიმორსკის საშუალო სკოლის მასწავლებელი), *სერგო მიხეილის ძე კვიჩინია* (გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქტორი), *რამინ გრიგოლის ძე ქეცბაია* (საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი), *ვალერიან ოსმანის ძე კობახია* (აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი), *სიმონ ბენციონის ძე კორიტნი* (გემთმშენებელი ქარხნის ელექტროგადამხვევი), *ტარიელ ვლადიმერის ძე ლორთქიფანიძე* (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი), *ლორიკ ბესარიონის ძე მარშანია* (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), *ლილია ალექსანდრეს ასული მაზიკასი* (ქ. გაგრის კოლმეურნეობა „დრუქბას“ კოლმეურნე), *გალაქტიონ კონსტანტინეს ძე ნაჭყებია* (საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი), *ივანე გიორგის ძე ჰაპასქირი* (აფხაზეთის სახალხო მწერალი), *ავთანდილ ჰეტრეს ძე საყვარელიძე* (აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), *ანა ივანეს ასული სემერჯიდი* (სოხუმის რაიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე), *კონსტანტინე ნიკოლოზის ძე სიჭინავა* (აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრი), *ივანე კონსტანტინეს ძე თარბა* (აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), *ბორის ივანეს ძე თარბა* (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე), *ნიკოლოზ აქვსენტის ძე თოდუა* (გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ადმასკომის თავმჯდომარე), *ნაზიბროლა ხუტას ასული ხასაია* (აჩიგვარის მეურნეობა-ტექნიკუმის კომკავშირულ-ახალგაზრდული მექანიზირებული ბრიგადის ბრიგადირი), *ვიჩხესლავ მიხეილის ძე ცუგბა* (აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე), *შოთა შამოს ძე შაკაია* (აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), *შოთა ელიზბარის ძე შარტავა* (პროფკავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე), *ბაგრატ ვასილის ძე შინკუბა* (აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე).¹ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ:

¹ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 123-125.

ი. პაპასქირი, შ. შარტავა, ტ. ფეოდოროვა, ი. კესიანი, ზ. ავიძბა, გ. ხოლიდი, მ. ახიბა.

აფხაზეთის სახალხო მწერალმა, დეპუტატმა ივანე პაპასქირმა (აჩადარის საარჩევნო ოლქი, სოხუმის რაიონი) ისაუბრა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აფხაზეთში მიღწეულ წარმატებებზე, მისი თქმით, ჭეშმარიტ აყვავებას მიაღწია მრეწველობამ, სოფლის მეურნეობამ, კულტურამ. ი. პაპასქირმა კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებების გამო, რომლის მიხედვითაც ქ. სოხუმში უნდა დაარსებულიყო უნივერსიტეტი, ხოლო უახლოეს წლებში კი უნდა აშენებულიყო რადიომუწყებლობისა და ტელევიზიის სახლი, 1000 ადგილიანი საავადმყოფო და სხვ. ი. პაპასქირის თქმით აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი შედგენილი იყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად. ამავე დროს ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში გათვალისწინებული იყო აფხაზეთის თავისებურებანი, ასევე მასში ასახული იყო პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს მშრომელების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ი. პაპასქირმა განაცხადა: „შესაძლებელია ზოგიერთ ამხანაგს სურდეს ჩვენს კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს წინადადებები, რომლებიც არ ეთანხმება უკვე მოქმედ კონსტიტუციას, რომელთა შესახებ უკვე იყო საუბარი. მაგრამ შესაბამისმა ამხანაგებმა ჩვენ გაგვიმარტეს კონსტიტუციაში ამ წინადადებათა შეტანის მიზანშეუწონლობა. მე ვთვლი, რომ ამას უნდა დავეთანხმოთ. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მე ვიწონებ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს და დეპუტატებს ვურჩევ ერთხმად დავამტკიცოთ იგი“.¹

შოთა შარტავამ (ბარდების საარჩევნო ოლქი, გალის რაიონი) ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ განსახილველად წარმოდგენილ აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროფკავშირული, კომკავშირული, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. შ. შარტავამ გამოთქვა სურვილი კონსტიტუციის პროექტის 28-ე მუხლის მესამე აბზაცი შემდგენაირად ჩამოყალიბებულიყო: „საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა მოქალაქე-

¹ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 125-126.

ნი აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე სარგებლობენ აფხაზეთის ასსრ მოქალაქეთა თანაბარი უფლებით“. მ. შარტავამ პროფკავშირების აფხაზეთის საოლქო საბჭოს სახელით მოიწონა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი.¹

ტატიანა ფეოდოროვამ (გაგრის მეხუთე საარჩევნო ოლქი, ქალაქი გაგრა) აღნიშნა, რომ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტს მხურვალედ უჭერდნენ მხარს აფხაზეთის მშრომელები, რადგან პროექტი სწორად ასახავდა აფხაზი ხალხის, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელების ისტორიულ მონაპოვრებს. ტ. ფეოდოროვამ განაცხადა: „როგორც აფხაზეთის ასსრ მოქალაქეს და მისი უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მიმაჩნია, რომ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი სრულად პასუხობს მრავალეროვანი აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ყველა მშრომელთა ინტერესებს, მისი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ინტერესებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ნაკარნახევ კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს. მთლიანად და სავსებით ვიწონებ რა აფხაზეთის ასსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს, მოგიწოდებთ ერთსულოვნად კენჭი ვუყაროთ მას და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა განვახორციელოთ მისი ყველა დებულება“.²

ზაურ ავიძბამ (წებელდის საარჩევნო ოლქი, გულრიფშის რაიონი) აღნიშნა, რომ აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის ახალ პროექტში ასახული იყო აფხაზეთის ეკონომიკასა და სულიერ ცხოვრებაში მომხდარი გრანდიოზული ცვლილებები და გარდაქმნები. მან კმაყოფილება გამოთქვა ქ. სოხუმში სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რაც, მისი თქმით, აფხაზეთში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების შესაძლებლობას შექმნიდა. ზ. ავიძბამ მხარი დაუჭირა კონსტიტუციის პროექტს.³

მ. ახიბას (ოთხარის საარჩევნო ოლქი, გუდაუთის რაიონი) თქმით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აფხაზეთის მშრომელებმა არნახული წარმატებები მოიპოვეს და აფხაზეთი გადააქციეს მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან აყვავებულ მხარედ, რომელსაც გააჩნია განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. მ. ახიბამ განმარტა, რომ აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის განხილვი-

¹ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 126-128.

² აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 129-131.

³ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 134.

სას კრიტიკულად შეფასდა რესპუბლიკის მთელი რიგი სახელმწიფო დაწესებულებების, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობა, ცალკეული თანამდებობის პირები ბოროტად იყენებდნენ თავიანთ მდგომარეობას, მშრომელთა წერილებისა და განცხადებების მიმართ მათ ჰქონდათ გულგრილი დამოკიდებულება.¹

მ. ახიბას გამოსვლის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ 15 წუთით შესვენება გამოაცხადა და სარედაქციო კომისიის წევრებს სთხოვა შეკრებილიყვნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომათა დარბაზში.² შესვენების შემდეგ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ: პ. ბარციცი, ბ. გულუა, ნ. ხვარჯია, რ. სიჭინავა.³

პაჩ ბარციცმა (გალის პირველი საარჩევნო ოლქი) აღნიშნა, რომ კონსტიტუციის პროექტის განხილვისას შემოსული იყო ბევრი საყურადღებო წინადადება, შესწორება და დამატება. პ. ბარციცმა სურვილი გამოთქვა პროექტის 98-ე მუხლის მესამე აბზაცი ჩამოყალიბებულიყო შემდეგნაირად: „აფხაზეთის ასსრ კანონების პროექტები და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოტანილ იქნეს სახალხო განხილვისათვის“. პ. ბარციცის განმარტებით აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენდა აფხაზეთის ეროვნული და სხვა თავისებურებათა განვითარების კანონზომიერ ასახვას. რაც მთავარია, პროექტში წარმოდგენილი იყო ახალი განყოფილებები და თავები, რომლებითაც გაფართოებული იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებები.⁴

ბაკურ გულუამ (ჭუბურხინჯის საარჩევნო ოლქი, გალის რაიონი) აღნიშნა, რომ გალის რაიონის მოსახლეობა განსაკუთრებით აღფრთოვანებით შეხვდა კონსტიტუციის პროექტის 64-ე და 70-ე მუხლებს, სადაც აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედის საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში და ის, რომ სამ ენას (აფხაზურს, ქართულს, რუსულს) მიენიჭა სახელმწიფო ენის სტატუსი.⁵

¹ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 138-139.
² აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 139.
³ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 139-150.
⁴ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 141-142.
⁵ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 147.

კამათის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სარედაქციო კომისიის თავმჯდომარეს ბორის ადლეიბას. მან აღნიშნა, რომ ცვლილებები შევიდა იმ მუხლებში, რომელთა შესახებ სხდომაზე გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები (მუხლები: 28, 66, 93, 98).¹ ბ. ადლეიბას გამოსვლის შემდეგ სხდომის მონაწილეებს დაურიგდათ აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც შეტანილი იყო სარედაქციო კომისიის მიერ შეტანილი შესწორებები. სხდომის მონაწილეებს პროექტში შეტანილ ცვლილებებზე შენიშვნა არ ჰქონდათ. ამის შემდეგ კენჭი უყარეს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის პრეამბულას, შემდეგ ცალ-ცალკე თითოეულ კარს, ბოლოს კენჭი უყარა კონსტიტუციის პროექტს მთლიანად. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია მიღებულ იქნა ერთხმად. ამას მოჰყვა ხანგრძლივი ტაში. სხდომის მონაწილეები ფეხზე წამოდგნენ.²

კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ“.³ 6 ივნისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. შინკუბამ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვ. კობახიამ ხელი მოაწერეს კანონს „აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“.⁴ ამით აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეცხრე სესიის მუშაობა დასრულდა.

ამდენად, 1978 წ. 15 აპრილს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის ამოქმედებისთანავე ღღის წესრიგში დადგა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისა და მისი საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი. აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ უკმაყოფილება გამოიწვია აფხაზურ საზოგადოებაში: ისინი მოითხოვდნენ აფხაზეთის კონს-

¹ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 151-152.

² აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 152-154.

³ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 160.

⁴ აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, გვ. 197-198.

ტიტუციაში ყოფილიყო მუხლი აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის შესახებ, ასევე, აფხაზეთში ქართულ ენას არ ჰქონოდა სახელმწიფო ენის სტატუსი. აფხაზეთში საკავშირო პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და საქართველოს პარტიულ-პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა მიერ ადგილზე ჩატარებული ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად ვითარება განიმუხტა. აფხაზეთმა უარი თქვეს თავიანთ მოთხოვნებზე და შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციაში აფხაზურ და რუსულ ენებთან ერთად ქართულმა ენამ შეინარჩუნა სახელმწიფო ენის სტატუსი.

LEVAN JIKIA

REVIEW AND APPROVAL OF THE DRAFT CONSTITUTION 1978 OF ABKHAZ AUTONOMOUS SOVIET SOCIALIST REPUBLIC

Summary

The new constitution of the Soviet Union came into force in 1977 while the new constitution of the Soviet Socialist Republic of Georgia - on the 15th of April, 1978. Activation of the new constitution of Georgia raised the issue of development of the new constitution of Abkhaz Autonomous Soviet Socialist Republic and being in compliance with the constitution of Georgia. On the 17th of May, 1978 the draft constitution of ASSR of Abkhazia was published for comprehensive and public review. Publication of the draft constitution of ASSR of Abkhazia was followed by certain dissatisfaction in Abkhaz society; they demanded separation of Abkhazia from Georgia or having the Article about possibility of separation from Georgia in the constitution of Abkhazia. They also protested mentioning Georgian language as a state language in the draft constitution of Abkhazia. The situation got tensed extremely in Abkhazia. On the 21st of May the political leaders from Moscow and Tbilisi arrived in Abkhazia. They had meetings with the representatives of Abkhaz society, after that the Abkhazians refused the requisitions and claims set up by them. The article 70 of the constitution of Abkhazia remained unchangeable and respectively all the three languages – Abkhazian, Georgian and Russian were granted the status of the state language.

On the 6th of June, 1978 the new constitution of Abkhaz Autonomous Soviet Socialist Republic came into force.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

არქეოლოგია, ეთნოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა

ნოდარ ბერულავა

საუკუნოვანი ნუმიზმატიკური კამათის დასასრული

წინამდებარე ნაშრომის თემას წარმოადგენს ქართული (და არამართო ქართული) ნუმიზმატიკის ერთგვარი „თავსატეხი“. საუბარია რამდენიმე სპილენძის, ბილონისა და დაბალსინჯიანი ვერცხლის მცირე ზომის მონეტაზე, რომელთა ირგვლივ უკვე საუკუნეზე მეტ ხანს (XIX ს. 70-80 წლებიდან) არ ცხრება სამეცნიერო პოლემიკა.

XX ს. II ნახევარში, როცა ამ პოლემიკამ კულმინაციას მიაღწია, ცნობილი იყო ამ მონეტის 8 ეგზემპლარი, ხოლო შემდეგ – XXI ს. დამდეგს, ამას დაემატა კიდევ 1. აქედან 3 ცალი დღეს დაცულია ბერლინის მუზეუმში; 3 – მოსკოვის ისტორიის მუზეუმში; 1 – ბრიტანეთის მუზეუმში; ერთიც საქართველოშია – ვანის მუზეუმში;¹ ბოლო, მე-9 ეგზემპლარი იყო ნაპოვნი უკრაინის ტერიტორიაზე – ყირიმში, ფეოდოსიასთან ახლოს.² ხსენებული მონეტების ასეთი დღევანდელი ადგილმდებარეობის მიუხედავად ცნობილია, რომ არანაკლებ ხუთი იყო თავის დროზე ნაპოვნი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის ოთხი – ცენტრალურ აფხაზეთში, სადაც ანტიკურ ხანაში, სავარაუდოდ, ქალაქ დიოსკურიის

¹ **გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა.** ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. I ნაწილი. ფული ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა კოლხეთსა და იბერიაში. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013, გვ. 123; **Giorgi Dundua, Tedo Dundua.** Catalogue of Georgian Numismatics. Tbilisi, Publishing house „Meridiani“, 2018, გვ. 62-64.

² **А. В. Гаврилов, И. В. Шонов.** Монета Савлака с укрепления Куру Баш близ Феодосии. – *XIV Всероссийская нумизматическая конференция.* Санкт-Петербург, 2007 (<https://e.120-bal.ru/pravo/27212/index.html?page=3>).

ხორა (ქვეყანა) მდებარეობდა. აქედან 3 ეგზემპლარი ნაპოვნია კოლხურ თეთრთან ერთად.¹ კიდევ სამი ეგზემპლარის პოვნის ადგილი უცნობია. გამოყოფენ ამ მონეტის სამ ტიპს:

- **ტიპი I** – ავერსზე მამაკაცის მარჯვენა პროფილი, გვირგვინით თავზე. გვირგვინის ფორმა საკმაოდ სპეციფიკურია, მას გააჩნია წვეტიანი „სხივები“ (აშკარა მინიშნება რაღაც საკრალურ კავშირზე მზესთან). რევერსზე – ხარის თავი, ასევე მარჯვნივ მობრუნებული. ამის ზემოთ და ქვემოთ – ბერძნული ლეგენდის ფრაგმენტები: ΒΑΣΙ... - ΣΑΥΛ...
- **ტიპი II** – ავერსზე ისევ მამაკაცის მარჯვენა პროფილი სხივოსანი გვირგვინით, ხოლო რევერსზე – ვარდის ყვავილი, იგივე წესით (გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ) დატანილი ლეგენდით ΒΑΣΙΛ... – ΣΑΥΛ...²
- **ტიპი III** – ავერსზე მამაკაცის პორტრეტი სხივოსანი გვირგვინით, ამჟამად – ანფასი (პირიმხარე), რაც ანტიკური მონეტებისთვის ნაკლებდამახასიათებელია.³ რევერსზე – ფრთიანი ელვაა, რომლის ზემოთ და ქვემოთ – წარწერა ΒΑ ΣΙ... – Σ ΑΥ...

ამ მონეტების ირგვლივ არსებული პოლემიკის მიზეზს წარმოადგენს ბერძნული წარწერის არასრულყოფილება: მონეტები მცირე ზომისაა (მათი წონა მერყეობს 0,98-1,83 გრამს შორის), რის გამოც ორივე ბერძნული სიტყვა, რომლებიც მონეტის ლეგენდას შეადგენს, მთლიანად ვერ ეტევა მის ზედაპირზე და ბოლომდე ვერ იკითხება. გასაგებია, რომ ზედა სიტყვა – ΒΑΣΙΛ – შეკვეცილი ტიტულია „ΒΑΣΙΛΕΥΣ“ (მეფე), ხოლო ქვედა სიტყვა „ΣΑΥΛ“ – მეფის სახელის ნაწილს წარმოადგენს. სამწუხა-

¹ **К. В. Голенко.** О монетах, приписываемых Савмаку. – *Вестник древней истории*, №4, 1951. Москва-Ленинград, *Издательство Академии Наук СССР*, გვ. 202.

² **К. В. Голенко.** Ещё о монетах, приписываемых Савмаку. – *Вестник древней истории*, №3 1963. Москва, *Издательство Академии Наук СССР*, 1963, გვ. 70; **Г. Дундуа.** Нумизматика античной Грузии. Тбилиси, *Издательство «Мецниереба»*, 1987, გვ. 102.

³ სწორედ ამის საფუძველზე ვიქტორ გაიდუკევიჩი მიიჩნევდა, რომ მონეტაზე გამოსახული სახე არა მეფეს, არამედ ღმერთ ჰელიოსს ეკუთვნის, რადგან მეფეებს მონეტებზე ჩვეულებრივ პროფილით გამოსახავდნენ ხოლვე (**В. Ф. Гайдукевич.** Еще о восстании Савмака. – *Вестник древней истории*, №1, 1962. Москва, *Издательство Академии Наук СССР*, 1962, გვ. 14).

როდ, მეოთხე ასო-ნიშანი ყველა 2007 წლამდე ცნობილ ეგზემპლარზე ჩანს მხოლოდ ნაწილობრივ (ან საერთოდ არ ჩანს), რის გამოც არსებობდა მისი წაკითხვის ორი ვარიანტი – „M“ და „Λ“. მკვლევართა ვერსიები ამ სახელზე, და შესაბამისად – მეფის ვინაობაზე, გაიყო ორ ნაწილად: ერთი ნაწილი მას კითხულობდა როგორც ΣΑΥΛΑΚΟΥ (სავლაკ), სხვები კი სწორად მიიჩნევდნენ ვარიანტს „Σάμμακος“ (სავმაკ).¹ ორივე ეს სახელი ცნობილია ანტიკური წერილობითი წყაროებიდან.

სავლაკს რომაელი ავტორი პლინიუს უფროსი (ან. წ. I ს.) იხსენებს, როგორც კოლხეთის ლეგენდარულ მეფეს, აიეტის ჩამომავალს, რომელმაც თავის ქვეყანას ლამის აიეტის ღროინდელი დიდება დაუბრუნა. მან უამრავი ოქრო და ვერცხლი მოიპოვა სვანების ქვეყანაში და საერთოდ ოქროს საწმისით განთქმულ თავის სახელმწიფოში.² პლინიუსის თხზულებაში დაცული გადმოცემის თანახმად, „სავლაკს (სასახლეში) ჰქონდა ოქროს კამარები, ვერცხლის კოჭები, სვეტები და პილასტრები, რომლებიც მას ნადავლად წამოუღია ეგვიპტის მეფის სესოსტრისის ჯარების ქვეყნიდან განდევნის შემდეგ.³ ცხადია, ეს ცნობა ლეგენდარული ხასიათისაა, თუმცა მის საფუძველს, სავარაუდოდ, რეალური მოვლენები წარმოადგენს.⁴

რაც შეეხება სავმაკს ამ სახელის მქონე მოღვაწე ცნობილია ბოსფორის სამეფოში. ძვ. წ. 108 წელს ის მეთაურობდა ბოსფორელ სკვითთა აჯანყებას, რომლის დროსაც ბოლო მოუღო სპარტოკიდების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს პერისად V-ს და თავი მეფედ გამოაცხადა. თუმცა მისი მეფობა ერთ წელიწადსაც კი ვერ გაგრძელდა. პონტოს მეფე მითრიდატე VI-მ, რომელიც თავს პერისადის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნევდა, გააგზავნა ბოსფორში არმია სარდალ დიოფანტეს მეთაურობით, რომელმაც ჩაახშო აჯანყება. სავმაკე ტყვედ აიყვანეს და, სავა-

¹ კონსტანტინე გოლენკო არ უარყოფდა თეორიულ ალბათობას იმისა, რომ ხსენებული ორის გარდა, სახელის წაკითხვის სხვა ვარიანტებიც შეიძლება არსებობდეს, (მაგალითად „ΣΑΥΛΥ“, ან „ΣΑΥΛΤ“), მაგრამ ამ ვერსიამ სერიოზული გავრცელება ვერ იპოვა. თვითონაც ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდა „ΣΑΥΛΑΚΟΥ“-ს ვარიანტს (К. В. Голенко. Ещё о монетах..., გვ. 71).

² **Гай Плиний Секунд.** Естественная история, XXXIII, 52. – **В. В. Латышев.** Известия древних писателей о Скифии и Кавказе. – *Вестник древней истории*, №2, 1949. Москва-Ленинград, *Издательство Академии Наук СССР*, 1949, გვ. 315.

³ **Гай Плиний Секунд.** Естественная история..., – **В. В. Латышев.** Известия..., გვ. 315.

⁴ **К. В. Голенко.** О монетах, приписываемых Савмаку..., გვ. 199.

რაუდოდ, სიკვდილით დასაჯეს.¹

მაშასადამე, ხსენებული მონეტის კუთვნილებაზე ორი ვერსია არსებობს – ბოსფორული და კოლხური. საინტერესოა, რომ ქართული ვერსიის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მხარდამჭერად მიიჩნეოდა უკრაინელი მეცნიერი კონსტანტინე გოლენკო, ხოლო ბოსფორულის – ცნობილი ქართველი ნუმიზმატი გიორგი დუნდუა.² განსახილველი მონეტა პირველმა გამოაქვეყნა 1876 წელს ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ა.ზალეტმა.³ საკამათო მე-4 ასო-ნიშანს ის ლამბდად (Λ-თ) მიიჩნევდა, თუმცა კონკრეტულად პლინიუსისებურ სავლაკს არ უკავშირებდა – ეს გააკეთა ამავე წელს მისმა თანამემამულემ ა. გუტშმიდმა.⁴ ამავე დროს, გუტშმიდი სავსებით ლოგიკურად მიიჩნევდა, რომ ამ მონეტებს ჭრიდა არა უშუალოდ პლინიუსის მიერ დასახელებული მეფე, არამედ რომელიმე მისი შორეული ჩამომავალი და სეხნია, რომელიც, თავისი ძლევაშემოსილი წინამორბედისგან განსხვავებით, ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდიდა, რაც უარყოფითად აისახა მისი მონეტების ხარისხზე.⁵

¹ **В. Ф. Гайдукевич.** Боспорское царство. Москва-Ленинград, *Издательство Академии Наук СССР*, 1949, გვ. 303.

² **გიორგი დუნდუა.** სავლაკი თუ სავმაკი? – *ოჩხარი*. ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი. თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“, 2002; **გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა.** ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. I ნაწილი..., გვ. 121-134; **Giorgi Dundua, Tedo Dundua.** Catalogue of Georgian Numismatics. გვ. 89-99.

³ **A. V. Sallet.** Zur griechischen Numismatik, I. Saul... oder Saum..., ein kolchischer oder scythischer König. – *Zeitschrift für Numismatik (ZFN)*, Dritter Band, 1876. Berlin *Weidmannsche Buchhandlung*, 1876, გვ. 59.

⁴ **A. v. Gutschmidt.** Saulakes König von Kolchis. – *Zeitschrift für Numismatik*, Dritter Band, 1876. *Weidmannsche Buchhandlung*. Berlin, 1876, გვ. 150-153.

⁵ **A. v. Gutschmidt.** Saulakes König von Kolchis, გვ. 150-153. ამ მხრივ საინტერესოა *არჩილ ბალახვანცევის* მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ ამ ლეგენდის საფუძვლად უდევს კოლხთა მეფის რეალური გამარჯვება, ოღონდ არა ეგვიპტელებზე, არამედ ასურეთის მეფე აშურბანაპალზე ძვ. წ. 645 და 630 წლებს შორის. იხ.: **А. С. Балахванцев.** К реконструкции истории древней Колхиды во второй половине VII в. до н. э. – *Древность: историческое знание и специфика источника*. Вып. IV. Материалы международной научной конференции, посвященной памяти **Эдвина Арвидовича Грантовского и Дмитрия Сергеевича Раевского**. Москва, *Институт Востоковедения РАН*, 2009, გვ. 21-23.

მეფის სახელის მეოთხე ასო-ნიშანი M-თ პირველად ჩათვალა რ. ვეილმა,¹ რომელსაც მხარი დაუჭირა რამდენიმე სხვა მკვლევარმაც.² თავიდან ამ ვერსიის მომხრეები მონეტის პატრონად მიიჩნევდნენ არა ზემოხსენებულ სავმაკს, არამედ რომელიმე მის უცნობ სეხნიას სპარტოკიდების დინასტიიდან, ან უცნობ სკვითთა მეფეებს, თუმცა, წერილობით წყაროებში მსგავსი პერსონაჟების არარსებობის გამო, თანდათანობით სავმაკიც გაიხსენეს. მათ მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ერთ-ერთ ეგზემპლარზე თითქოს და ჩანს M-ს მეორე ნახევრის ზედა ნაწილი, რაზეც ამ ვერსიის მოწინააღმდეგეები პასუხობდნენ, რომ ეს შემდგომი ასო A-ს ნაწილიც შეიძლება იყოს.³

საბჭოთა პერიოდის მეცნიერებაში აშკარა პრიორიტეტით სარგებლობდა სავმაკის ვერსია. ამას ხელს უწყობდა ერთგვარი იდეოლოგიური კლიშე: სავმაკი ლამის „რევოლუციონერ მეფედ“ მიიჩნეოდა, რომელსაც აქტიურად მხარს უჭერდნენ მონები და ღარიბი მოსახლეობა. ცხადია, ასეთი ინტერპრეტაცია დიდ სიმპათიებს პოულობდა იდეოლოგიზირებულ საბჭოთა მეცნიერებაში.⁴ ეს შეხედულებები შეჯამებული იყო ვიქტორ გაიდუკევიჩის მიერ და მიიყვანა მრავალწლიან პოლემიკამდე კონსტანტინე გოლენკოსა და დავით კაპანაძეთან, რომლებიც ამ მონეტების კოლხური წარმოშობის ვერსიას იზიარებდნენ.⁵

3. გაიდუკევიჩის ჰიპოთეზა იყო საკმაოდ ორიგინალური, და, კ. გოლენკოს თქმით, „არ იყო რომანტიკას მოკლებული, სამაგიეროდ – აბსო-

¹ R. Weil. Kiinig Saumakos. – *Zeitschrift für Numismatik (ZfN)*, VIII (1881). Berlin, *Weidmannsche Buchhandlung*, 1881, გვ. 329.

² П. О. Бурачков. Общий каталог монет, принадлежащих эллинским колониям, существовавшим в древности на северном берегу Черного моря, в пределах нынешней Южной России. Ч. I. Одесса, *Типография А.Шульце*, 1884, გვ. 220-221.

³ იხ. К. В. Голенко. О монетах, приписываемых Савмаку, გვ. 200; К. В. Голенко. Ещё о монетах, приписываемых Савмаку..., გვ. 70; Д. Г. Капанадзе. Несколько добавочных замечаний по поводу статьи К. В. Голенко «О монетах, приписываемых Савмаку». – *Вестник Древней Истории*, №4, 1951. Москва-Ленинград, Издательство Академии Наук СССР, 1951, გვ. 203-204.

⁴ ამის თვალსაჩინო ნიმუშია აკადემიკოს სერგეი ჟებელევის პროგრამული სტატია. იხ.: С. А. Жебелев. Последний Перисад и скифское восстание на Боспоре. – *Вестник древней истории*, №3, 1938. Москва, *Государственное социально-экономическое издательство*, 1938, გვ. 49-71.

⁵ К. В. Голенко. О монетах, приписываемых Савмаку, გვ. 200; Д. Г. Капанадзе. Несколько добавочных замечаний..., გვ. 203-204.

ლუტურად მოკლებულია საფუძველს“.¹ ვ. გაიდუკევიჩი პარალელებს ავლებდა სავმაკის აჯანყებასა და „ჰელიოპოლიტების“ მოძრაობას შორის, რომელსაც ამაზე დაახლოებით 20 წლით ადრე ადგილი ჰქონდა პერგამონის სამეფოში. ორივე ამ მოვლენას ის, ზოგიერთ სხვა მკვლევართან ერთად, ლამის „ანტიკური უტოპიური სოციალიზმის“ გამოვლენად მიიჩნევდა, რომლის მიმდევრებიც თითქოს ხელმძღვანელობდნენ ძვ. წ. II, ან I საუკუნეში მცხოვრები მწერლის, იამბულის იდეებით იდეალური საზოგადოების – „მზის ქალაქის“ შესახებ. სწორედ ამით, ავტორის აზრით, განპირობებული იყო სავმაკეს მონეტის იკონოგრაფიაში არსებული „მზის მოტივები“ (სხივოსანი გვირგვინი).²

ამის საპასუხოდ ოპონენტები აღნიშნავდნენ, რომ „მზის სიმბოლიკა“ და „რადიალური გვირგვინები“ არ იყო უცხო ელინისტური სამყაროსთვის.³ და, რაც მთავარია, არსებობს ერთი ამკარად კოლხური წარმომობის მონეტა (არისტარქესის დრაქმა), რომელიც ამ საკამათო მონეტის პირველ ტიპს უახლოვდებოდა როგორც იკონოგრაფიით, ასევე ზომითა და სინჯით. კერძოდ, მის ავერსზეც გამოსახულია ძალიან მსგავსი პროფილი, სხივოსანი გვირგვინით. ამ მონეტების „მზის სიმბოლიკა“ კი, ავტორის აზრით, უნდა იყოს განპირობებული არა „მზის ქალაქზე“ მინიშნებით, არამედ ლეგენდარული ტრადიციით, რომლის თანახმადაც კოლხთა მმართველი დინასტიის დამაარსებელი აიეტი მზის ღმერთის – ჰელიოსის შვილი იყო.⁴

კოლხური და ბოსფორული ვერსიების მომხრეთა დავების მრავალრიცხოვანი (და ჩვენთვის არაფრის მომცემი) არგუმენტებიდან საინტერესოდ მიგვაჩნია კიდევ ორი:

1. მონეტების დაბალი ხარისხი და სინჯი, ბოსფორული ვერსიის მომხრეების აზრით, განპირობებული იყო იმ ფორს-მაჟორული სიტუაციითა და ძვირფასი ლითონების დეფიციტით, რომელშიც იმყოფებოდა სავმაკეს სამეფო. ალტერნატიული ვერსიის მომხრეები ამაზე პასუხობდნენ, რომ ეკონომიკური პრობლემები ძვ. წ. II საუკუნეში, კოლხთა სამეფოს არსებობის ბოლო ეტაპზე, სავარაუდოდ, იქაც იყო, ხოლო სავმაკე, რომლის მმართველობამ სულ რამდენიმე თვე გასტა-

¹ **К. В. Голенко.** Ещё о монетах, приписываемых Савмаку..., გვ. 75.

² **В. Ф. Гайдукевич.** Еще о восстании Савмака..., გვ. 18.

³ **К. В. Голенко.** Ещё о монетах, приписываемых Савмаку..., გვ. 75-76.

⁴ **К. В. Голенко.** Ещё о монетах, приписываемых Савмаку..., გვ. 79-80.

ნა, ნამდვილად ვერ მოასწრებდა მონეტის ემისიას, მითუმეტეს – სამი ტიპისა! ის ფაქტიც, რომ მონეტები საკმაოდ გაცვეთილია, უნდა ნიშნავდეს მათ საკმაოდ ხანგრძლივ ბრუნვას, რაც ბოსფორისა და კოლხეთის სავმაკის მტრის – მითრიდატეს მიერ დაპყრობის შემდეგ გამორიცხული იყო.

2. როგორც ცნობილია, ანტიკური მონეტების წვრილი ნომინალები იშვიათად თუ ტრიალებდა იმ რეგიონისგან შორს, სადაც მათი ემისია მიმდინარეობდა. ამ დროს კი, განსახილველი მონეტების არანაკლებ ნახევარი კოლხეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. მართალია, ვ. გაიდუკევიჩის ამაზეც ჰქონდა პასუხი: მისი ვერსიით, დამარცხებული სავმაკის მომხრეები, შესაძლოა, კოლხეთში გაიქცნენ, სადაც მისი ხაზინის ნაწილიც წაიღეს.¹ მაგრამ კ. გოლენკო ამას რეალურად არ მიიჩნევდა: სავმაკეს მომხრეთა დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, სკვითური წარმოშობის იყო და ბუნებრივია, ახლომდებარე მშობლიური სკვითია მათთვის უფრო ბუნებრივი და მოსახერხებელი თავშესაფარი იქნებოდა, ვიდრე გაცილებით უფრო შორეული და უცხო კოლხეთი.² თანაც უცნობია, მითრიდატემ რომელი ქვეყანა დაიპყრო უფრო ადრე – ბოსფორი თუ კოლხეთი. და რაც მთავარია, სავმაკე, როგორც ცნობილია, აკონტროლებდა ბოსფორის სამეფოს მხოლოდ დასავლეთ ნაწილს (აღმოსავლეთ ყირიმს), საიდანაც ყველა სახმელეთო თუ საზღვაო გზას კოლხეთისკენ მისი მტრები აკონტროლებდნენ.³

¹ **В. Ф. Гайдукевич.** Еще о восстании Савмака..., გვ. 17.

² ამას შეიძლება დავუმატოთ შემდეგი მომენტიც: კოლხეთშიც ძვ. წ. II ს. მიწურულს, სავარაუდოდ, რთული შიდა ვითარება იყო, რამაც აიეტლიანთა მმართველი დინასტიის კრახითა და მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობით დასრულდა. ხოლო მანამდე, რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, კოლხეთს საკმაოდ კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა პონტოს სამეფოსთან. აქედან გამომდინარე, კოლხეთი სავლაკეს მომხრეებისთვის სასურველი და საიმედო თავშესაფარი ვერ იქნებოდა (**Н. Берулава.** Город Диоскурия-Севастополис и район Сухумской бухты в античную эпоху (VI в. до н.э.-II в. н.э.) по археологическим и письменным данным. Тбилиси, Издательство «Универсал», 2005, გვ. 87).


³ **К. В. Голенко.** Ещё о монетах, приписываемых Савмаку..., გვ.76.

XX ს. 80-ან წლებში ამ დისკუსიას შეუერთდა გიორგი ღუნდუა. ის საკმაოდ მტკიცედ უპირისპირდებოდა გოლენკო-კაპანაძის ვერსიას და მხარს უჭერდა მათ ოპონენტებს. მისი ძირითადი არგუმენტები შემდეგი იყო: აპიანე არსად იხსენებს სავლაკეს, თუმცა კოლხეთის ისტორია კარგად იცის, სავლაკე კი უნდა ყოფილიყო კოლხთა მმართველი უშუალოდ მითრიდატეს შემოჭრის წინ; შეკვეცილი წარწერა მონეტაზე იკითხება, როგორც „სავმაკი“, ეს პიროვნებაც რეალურად არსებობდა; ერთიანი კოლხეთის სამეფოს არსებობის ფაქტი არაფრით არ დასტურდება; კოლხეთის მოსახლეობა სპილენძის მონეტებს არ ღებულობდა, არისტარქესიც კი ჭრიდა ვერცხლის ფულს. ზემოთ მოტანილი არგუმენტებიდან ყველაზე სერიოზული არგუმენტი, ჩვენი აზრით, სწორედ ეს უკანასკნელია. თუმცა ოპონენტებს ამაზეც ჰქონდათ პასუხი: მართალია, კოლხური საზოგადოება შეჩვეული იყო ვერცხლის მონეტებს, მაგრამ ამ ვერცხლის სინჯი ელინისტურ ხანაში კატასტროფულად ფუჭდება, ამ პერიოდის კოლხური თეთრიც უკვე გაცილებით მეტ სპილენძს შეიცავდა, ვიდრე ვერცხლს, რის გამოც განსახილველი მონეტები როგორც წონითი კატეგორიების, ასევე სინჯის მიხედვითაც უახლოვდება გვიანდელ კოლხურ თეთრსა და არისტარქესის დრაქმებს.¹

ამ ხანგრძლივ პოლემიკას ბოლო მოეღო 2007 წელს, როცა გაჩნდა ინფორმაცია ამ ტიპის მორიგი მონეტის პოვნის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონეტა ნაპოვნია იმ ტერიტორიაზე, რომელიც ოდესღაც ბოსფორის სამეფოს სავლაკეს მიერ კონტროლირებდა ნაწილს წარმოადგენდა (ყირიმში, ქ. ფეოდოსიასთან ახლოს), ის სწორედ კოლხურ ვერსიას ადასტურებს, რადგან წარწერა «ΣΑΥΛΑΚΟΥ» მასზე სრულიად შენარჩუნებულია.² იმედია, რამ ამით საბოლოო წერტილი იქნება დასმული ხანგრძლივ დავაზე სავლაკის მონეტების ირგვლივ.

¹ К. В. Голенко. О монетах, приписываемых Савмаку, гз. 202.

² А. В. Гаврилов, И. В. Шонов. Монета Савлака с укрепления Куру Баш...



I საუკუნის მონეტა, ტიპი 1



II საუკუნის მონეტა, ტიპი 2



III სავლავის მონეტა. ტიპი 3



IV არისტაქესის მონეტა

NODAR BERULAVA

THE END OF THE AGE-OLD NUMISMATIC CONTROVERSY

Summary

The greatest amount of controversy in Georgian numismatics is caused by several silver, billon and copper coins, on the avers of which the face of a man in the original crown is depicted. This crown is shaped like the sun's rays. The revers bear the Greek inscription ΣΑΥΛ or ΣΑΥΜ. This is the name of the king painted on the coin. But the name is written in abbreviated form and the fourth letter of this name did not fit completely on the coin. It can be either the letter “Λ” or “Μ”. Therefore, some numismatists believe that this name is “SAVLAK”, others think that it says “SAVMAK”.

Ancient writers write about the kings who had such names. Savlak was the ancient king of Colchis, he was very rich and strong. Savmak lived in the Bosphorus kingdom in the 2nd century BC. He carried out a coup d'état, killed the king and became king himself. But then he was defeated by the army of the Pontic king Mithridates. Therefore, to correctly read the name on the coin is of great importance for Georgian numismatics: if the name is “Savlak”, then this coin is Colchian. But if this name is “Savmak”, then it is Bosporan. For over 100 years, scientists have been arguing about this.

In 2007, in the Crimea, near the city of Feodosia, another such coin was found. This time the king's name was written in full and could be read well. That was the name Savlak. The name of the king of Colchis. Thus the old numismatic controversy was ended.

КОНСТАНТИН РАХНО

**АБАЗИНСКИЙ НАРТОВСКИЙ ЭПОС: ОСЕТИНСКИЕ И
АДЫГСКИЕ ВЛИЯНИЯ**

Нартовский эпос возник благодаря ираноязычным скифским и сармато-аланским племенам. От алан и их потомков осетин предания о богатырях-нартах проникли к ингушам, чеченцам, балкарцам, карачаевцам, отчасти ногайцам, к адыгам, абхазам, сванам и рачинцам. Бытовали нартовские сказания и у абазин (абаза) – родственного абхазам этноса, переселившегося в XIV-XVI вв. с Черноморского побережья на Северный Кавказ и живущего в настоящее время в Карачаево-Черкесии. Они – потомки средневековых абазгов. Поскольку *Зураб Анчабадзе*, следом за другими абхазскими учёными, рассматривал абазгов наряду с апсилами как предков абхазского этноса, то и абазин он считал субэтносом абхазов.¹ Гораздо более обоснованную точку зрения, по которой абазги не принимали участия в этногенезе абхазов, а абазины являются самостоятельной народностью, отстаивал кавказовед *Леонид Лавров*.² Многие обычаи абазин напоминали осетинские, например, пляска вокруг убитого молнией животного или человека с возгласом «*Чаупар*», который сами абазины не могли объяснить,³ или почитание трёхногого столика-*айшва*, аналогичного осетинскому *фынгу*. Очень похожим не только на абхазского *Ажвейпшаа*, но и на

¹ **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). – *Избранные труды в двух томах*, т. I, Сухум, 2010, с. 440-447, 497-499; **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа. – *Избранные труды в двух томах*, т. II, Сухум, 2011. с. 73-76, 83, 95-97.

² **Л. И. Лавров.** Избранные труды по культуре абазин, адыгов, карачаевцев, балкарцев. Нальчик, ГП КБР «Республиканский полиграфкомбинат им. Революции 1905 г.», 2009, с. 123-162.

³ *Абазины в источниках иностранных и российских авторов* (с древнейших времен до первой четверти XX века). Составление, вступительные статьи к текстам **Л. З. Кунижевой.** Черкесск, 2008, с. 226.

осетинского бога *Афсати* был абазинский бог охоты, покровитель охотников и благородных животных (оленей, туров) *А(д)жвапц, Швзапц*.¹

Абазинские нарты соседствуют с враждебными *чинтами*, карлика-ми-испами и маракуанцами.² У них есть золотая яблоня, плоды которой кто-то ворует. Нарты стали её караулить. Прилетело трое девушек, и, когда они срывали золотые яблоки, нарты выстрелили и ранили одну из них. Девушки подняли и понесли её, а нарты пошли по её кровавому следу. Они установили, что она живёт на острове, а добраться до него можно, только переплыв море. Нартовский юноша отправился туда. Он обнаружил девушку в ужасном состоянии и её сестер, сидящих около неё. Красивее её никого не было. На вопрос юноши они ответили: «*Ранили нашу сестру, и не находим её излечения. Тому, кто найдет способ её излечения, за него и отдадим её*». Юноша нашел средство – заячье молоко, вылечил девушку и взял её в жены.³ Это редуцированная история осетинских *Ахсара* с *Ахсартагом* и *Дзерассы*.

Центральным героем абазинского нартовского эпоса, как и у абхазов и адыгов, является богатырь *Сосруко* или *Сосран*, *Сосранпа*, соответствующий осетинскому солярному витязю *Сослану* (*Созырыко*).⁴ Он родился из камня, который, увидев привлекательную *Сатаней*, оплодотворил пастух нартов *Сос*, отвечающий осетинскому *Сосаг-алдару*, либо великан *Ард-жхоу*,⁵ а кузнец нартов *Тляпш* закалил младенца семь раз, оставив уязвимыми лишь колени.⁶ Иногда *Сосруко* и *Сосран* – братья,⁷ что напоминает некоторые осетинские сказания, где *Созырыко* и *Сослан* являются отдельными персонажами. Доказав свою силу, маленький *Сосруко* получает от

¹ **З. К. Плаева.** Охотничьи божества и обычаи Кавказа: Параллели с осетинами – *Nartamongæ*. The Journal of Alano-Ossetic Studies: Epic, Mythology, Language, History. Dzæwdžyqæw/Vladikavkaz-Paris, vol. XII, № 1,2, 2017, с. 197.

² *Нарты. Абазинский народный эпос.* Сбор, составление, перевод и комментарии **Владимира Меремкулова.** Черкесск, 1975, с. 207, 260.

³ *Нарты. Абазинский народный эпос*, с. 257.

⁴ **В. Б. Тугов.** Устное народное творчество – *Абазины: историко-этнографический очерк.* Черкесск, 1989, с. 182; *Нарты. Абазинский народный..*, с. 31, 41-42.

⁵ *Нарты. Абазинский народный эпос*, с. 186-189, 234, 259-260.

⁶ *Нарты. Абазинский народный эпос*, с. 187, 190.

⁷ *Нарты. Абазинский народный эпос*, с. 234.

Тляпша меч, выкованный из особой косы,¹ как и у кабардинцев.² Его жизнь – это цепь непрерывных бескорыстных героических подвигов во имя благополучия и счастья нартовского рода. В архаичных сказаниях эпоса Сосруко борется против чудовищ – «айныжей» (циклопов, близких осетинским великанам).³

Подвиги Сосруко многочисленны, но среди них выделяются два самых главных и самых популярных – это похищение огня у великанов (распространенный в мировом эпосе мотив возвращения огня) и возвращение проса, которым завладели айныжи. В одном из вариантов сказания о возвращении огня рассказывается о том, что в отсутствие Сосруко нарты попали в бедственное положение: они не могут развести огня. Нарты опечалены. Но Сосруко, вернувшись к ним, поступает как герой. «Я добуду огонь, а вы подождите меня здесь», – говорит он спутникам и отправляется в путь. Через некоторое время он подъезжает к хижине великана. У очага, свернувшись вокруг огня кольцом, спит громадный айныж. Наколов на острие кинжала горящую головешку, Сосруко пускается в обратный путь. Проснувшись и заметив, что у него украли огонь, айныж бросается в погоню и настигает нарта. Завязывается бой. «Я не Сосруко, а его кашевар. Твое счастье, что с тобой встретился не сам Сосруко», – говорит Сосруко айныжу. Перепуганный айныж (если кашевар такой ловкий, что увертывается от ударов великана, то какой же сам «железный нарт»!) просит «кашевара» показать ему игры, которыми развлекается Сосруко. Нарт называет великану несколько «игр Сосруко». Первая игра: айныж должен ударом лба вернуть на вершину горы скатившийся оттуда громадный камень, «как это делает Сосруко». Великану не составило труда сделать такое. Затем «кашевар» предлагает вторую игру: айныж должен искупаться в кипящем молоке, «как это делает Сосруко». И опять великан цел и невредим. Третья игра: айныж должен лечь плашмя на землю и дать «кашевару» погарцевать на своей спине, «как это делает Сосруко». Великан соглашается с готовностью. И как только он ложится на землю, Сосруко въезжает ему на

¹ Нарты. Абазинский народный эпос, с. 314-316.

² Нарты. Адыгский героический эпос. Перевод **А. И. Алиевой**, редакция текстов оригинала и сверка перевода **М. А. Кумахова**, комментарии **А. И. Алиевой**, **З. П. Кардангушева**. Москва, издательство «Наука», 1974, с. 192-193.

³ **В. Б. Тугов**. Устное народное творчество – Абазины..., с. 182.

спину и убивает ударом сабли,¹ как осетинский Сослан – *Мукару*.

Другие варианты этого сказания, сохраняя все главнейшие элементы сюжета (единоборство с айныжем, «игры Сосруко», похищение огня), могут варьироваться в частности. Так, в варианте, опубликованном академиком *Кетеван Ломтатидзе*, прямо говорится, что Сосруко обладал магией («его слово исполнялось»), а айныжей побеждал не физической силой, а умом («силой не осилил бы айныжей, поэтому решил победить их умом»)². Придя к великану, Сосруко говорит ему без обиняков: «Я пришёл за огнем». Айныж разжёвывает раскалённый плуг и выплёвывает его; Сосруко бросает на него скалу. Великан вмерзает, как в осетинских сказаниях, в море, и Сосруко отсекает голову айныжа его же собственным мечом.³ Рециркулированным, по сравнению с нартовским эпосом, выглядит мотив просьбы великана обвязать его кишками какое-нибудь дерево, чтобы люди видели, что Сосруко его победил.⁴ У осетин великан коварно предлагает опоясаться его кишками или спинным мозгом самому Сослану, дабы погубить его, а тот предусмотрительно производит опыт на дереве. В сказании «О том, как Сосруко возвратил огонь нартам», записанном фольклористом *Владимиром Меремкуловым*, указывается, что «айныж украл у нартов огонь, и они остались без огня». Сосруко возвращает нартам огонь.⁵

Айныжи – постоянные противники Сосруко, враги нартовского рода. И во втором главнейшем своем подвиге – возвращении проса – нартовский витязь вступает в борьбу с ними. Чудесное просо нартов (из одного зернышка его можно было приготовить большой котёл каши) украл айныж. С помощью нартовской женщины, которая выведывает, где находится душа великана, Сосруко возвращает похищенное зерно.⁶ В качестве трофея Сосруко может отрезать ухо айныжа,⁷ что напоминает обычаи осетин-осетинского эпоса. Подобно осетинскому Урызмагу, абазинский Сосруко

¹ **В. Б. Тугов.** Устное народное творчество – *Абазины..*, с. 183; *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 201-204.

² *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 197-198.

³ *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 195-198.

⁴ *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 198.

⁵ **В. Б. Тугов.** Устное народное.., с. 184; *Нарты.* Абазинский народный.., с. 207-211.

⁶ **В. Б. Тугов.** Устное народное.., с. 184; *Нарты.* Абазинский народный.., с. 211-225.

⁷ *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 204.

ослепляет одноглазого айныжа и выбирается со своими спутниками из его пещеры вместе с овцами.¹

Сатаней – мудрая наставница нартов, хозяйка большого нартовского рода, глава семейства богатырей, их мать, советчица и хранительница. Как и у осетин, нарты нигде не могут обойтись без вечно юной своей матери, без её ума, смекалки. В трудную минуту они обращаются к ней за советом и помощью, и она всегда находит наилучший выход из любого положения, дает дельные и мудрые наставления. Даже всемогущий бог – кузнец Тляпш, аналогичный Курдалагону, – беспомощен без Сатаней: форма его молота, наковальни и щипцов подсказаны матерью нартов.² «И молот, и наковальня были сделаны с помощью Сатаней», – говорится в сказании «Сатаней и Тляпш».³ В кабардинском сказании о возникновении первых клещей эта роль отведена безымянной жене бога Тлепша.⁴ Потерявшие чудесное просо нарты, не зная, как его вернуть, просят помощи Сатаней. Она владеет магией,⁵ толкует сны даже матери айныжей⁶ и выступает предсказателем нартов.⁷ Во всех делах Сосруко участвует мать: она ему подсказывает, как одолеть врага, оберегает магией от опасностей.⁸ Согласно абазинским фольклорным текстам, Сосран, Урузмей, Хачмаз и Ача сын Чамаз (последние три имени являются, видимо, разновидностями имени осетинского Ацамаза, сына Аца) являются братьями Сатаней.⁹ Иногда она дочь нарта Урызмая.¹⁰

Деяния матери абазинских нартов аналогичны осетинской Сатане. Так, например, Сатанея в абазинском нартовском эпосе предлагает себя в жёны своему брату Батразу, мотивируя свой выбор тем, что среди нартов,

¹ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 206.

² **В. Б. Тугов**. Устное народное творчество – *Абазины...*, с. 184.

³ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 190-192.

⁴ *Нарты*. Кабардинский эпос. Перевод **В. Звягинцевой, С. Липкина, С. Обрадови-ча, М. Петровых** и **В. Потаповой**. Москва, издательство «Гослитиздат», 1957, с. 328-331; *Нарты*. Адыгский героический эпос..., с. 349-350.

⁵ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 207-208.

⁶ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 254-255.

⁷ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 258.

⁸ **В. Б. Тугов**. Устное народное творчество – *Абазины...*, с. 184.

⁹ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 273.

¹⁰ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 228.

кроме него, нет никого, кто годился бы ей в мужья. На удивление брата она приводит такой довод: *«Если ты сегодня сядешь на осла задом наперёд и проедешь таким образом по селу, это покажется чем-то необыкновенным – вызовет и удивление и толки у людей, если завтра проедешь по селу таким же образом, то и на этот раз им, людям, может показаться это чем-то необыкновенным, проедешь послезавтра, – это покажется им менее необычным, а на четвертый день они даже и не посмотрят на тебя, не удостоят тебя взгляда, не станут больше говорить о тебе. Когда они впервые услышат о нас, может стать, что станут про нас рядить толки. После забудут про нас, ибо произойдет какое-нибудь более интересное, чем наше, явление».*¹ Сатаней переодевается в одежду жены Батраза, чтобы возлечь с ним.²

Под стать Сатаней и Кайдух – светлорукая красавица, хозяйка, по народной молве, одноименной крепости на берегу Инджига. Крепость эта связывается с именем нартов. Муж красавицы Кайдух, Псабыда, занимался уводом коней. Когда в кромешную ночь похититель табунов доезжал до берега Инджига, красавица Кайдух, выставив в окна дома руки, излучавшие свет, освещала полотняный мост, перекинутый через бурную реку. Муж с табунами благополучно переправлялся на свой берег. Однажды, во время ссоры, Кайдух сказала мужу, что в его героических деяниях есть и её доля: он не смог бы пригонять тучные табуны, если бы Кайдух не помогала, освещая ему дорогу. Рассерженный супруг отказывается от всякой помощи жены и погибает вместе с табуном в речной пучине. Впоследствии Сосруко женится на Кайдух, вернее, она сама выбирает себе в мужья нартовского богатыря. Иногда роль Псабыды исполняет сам Сосруко.³ В кабардинском эпосе жену Псабыды зовут Адиюх.⁴ Известен этот мотив и у абхазов, где он может связываться с Сасрыкуа.⁵ В осетинских сказаниях

¹ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 258.

² *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 259.

³ **В. Б. Тугов**. Устное народное творчество – *Абазины..*, с. 184; *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 44-45, 247-249, 260-267.

⁴ *Нарты*. Кабардинский эпос, с. 122-131; *Нарты*. Адыгский.., с. 337-338.

⁵ **З. Д. Джапуа**. Абхазский нартский эпос: Текстология. Семантика. Поэтика. Москва, издательство «Восточная литература», 2016, с. 153; **З. Д. Джапуа**. Абхазские архаические сказания о Сасрыкуа и Абрьскиле (Систематика и интерпретация текстов в сопоставлении с кавказским эпическим творчеством. Текс-

Ацырухс светом своей руки в безлунные ночи освещает путь своему мужу Сослану. Эта же черта свойственна героиням осетинских сказок.¹

Однажды нарт Сосруко увидел тазовую кость или череп гиганта. В ответ на его удивление или молитву Богу ожил огромный слепой исполин. После продолжительного диалога между ними, айныж нагнулся, поднял ком земли величиной с телегу и со словами: «*Вот из чего мы добывали нашу басту*», – выжал из неё просо. Нагнулся он второй раз и из огромного камня выдавил молоко, сказав при этом: «*Вот из чего мы берём наше молоко*».² Эта сцена встречи нарта Сосруко с тазовой костью гиганта-айныжа в точности напоминает встречу осетинских нартов с остовом уаига.

Как и в осетинском сказании «*Как Сослан искал сильнее себя*», Сосруко отправляется на такие же поиски. Когда он удирает от кровожадного гиганта, его прячет во рту однорукий и одноглазый великан, пострадавший при встрече с огромным пастухом.³ Иногда Сосруко убивает злобного Сосранпа, собиравшего человеческую кожу (скальпы?) на шубу,⁴ что у осетин свойственно самому Сослану.

Осетинские нарты танцуют на круглом столике-фынге, имеющем сакральное значение ещё с древнеиранских времён:

Славные мужи нарты едой-питьем

Когда насыщаются, то устраивают

На круглом фынге звучный пляс на носках,

*По краям [большой] чаши – нартовские пляски...*⁵

Подобно осетинским нартам, танцующим на фынге, абазинские нарты танцуют на пирах на столике-айшва, в чем их превосходит Сосруко.⁶ Сосруко так рассказывает о столкновении с Сотрашем (Тутарашем) сыном

ты, переводы, комментарии). Сухум, Издательство «Алашара», 2003, с. 66, 351; **Ш. Д. Инал-ипа.** Памятники абхазского фольклора. Нарты. Ацаны: Сборник статей и материалов. Сухуми, Издательство «Алашара», 1977, с. 104.

¹ **Ю. А. Дзиццойты.** Нартовский эпос и Амираниани. Цхинвал, 2003, с. 71.

² *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 199-201, 225-226.

³ *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 234-236.

⁴ *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 238.

⁵ *Нарты.* Осетинский героический эпос. Составители **Т. А. Хамицаева** и **А. Х. Бязыров.** Кн. 2. Москва, издательство «Наука», 1989, с. 339, 419.

⁶ *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 193-195.

Албака – одним из нартов, врагов Сосруко, который соответствует осетинскому Тотразу сыну Албега и адыгскому Тотрешу:

*Как моток шерсти, на кончике пики
Он меня по небу проволочил
Затем на землю опустил,
А спустивши на землю, поле нартов заставил перепахать:
Плечом заставил выбить семь борозд,
Заставил пролить столько пота, сколько два вола
На пахоте проливают за день.
Заставил три раза рвать –
Вырвать молоко, которым вскормила меня мать.*

Когда конь Сотраша, испугавшись звона колокольчиков Сосруко, понёс его, тот так натягивает поводья уздечки, что разрывает удилами морду лошади до ушей.¹ Сосруко обезглавливает Тутараща,² что отсылает к охоте за головами древних ираноязычных народов.

В абазинской сказке «Хан-Заубид и Аталык-печальный» главные герои изобличают неверность своих жён и едут за советом к нарту Сосруко. Тот рассказывает им, как встретил переодетую парнем деву-богатырку Джанатхан. Она отомстила великанам за своего мужа и легла в его могилу, убив себя. После этой истории о верности герои карают своих жен-изменщиц смертью. Помимо амазонского мотива, упоминается там известный также осетинскому эпосу конь-алып и явно скифский по происхождению обычай пить кровь убитого врага.³

Разнообразные символические чудеса герой видит не на том свете, как у осетин, а всего лишь по дороге к нартам. Уязвимое место Сосруко выведывает ведьма Барамбух, превратившаяся в шапку на дороге, что напоминает о способности Сырдона оборачиваться старой женщиной. Она же объясняет великанам, как убить коня героя. Сосруко сдирает с коня по его совету шкуру и заворачивается в неё. Гибнет герой, как и у адыгов, при играх нартов от острого железного колеса (джын-чарх), раздробившего его

¹ **В. Б. Тугов.** Устное народное творчество – *Абазины..*, с. 185; *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 244-245.

² *Нарты.* Абазинский народный эпос, с. 227-228, 240-243, 245-246.

³ *Абазинские народные сказки.* Составление, перевод с абазинского, вступительная статья и примечания **В. Б. Тугова.** Москва, издательство «Наука», 1985, с. 236-242.

колени. Перед смертью он благословляет волка и перепела, отказавшихся отведать его плоти и крови. Чтобы он не смог выйти из-под земли, над ним насыпают курган.¹ Близкая аналогия обнаруживается в кабардинской версии, где злые нарты и великаны закапывают Сосруко живым в землю, прижимают его тяжёлым камнем, засыпают землёй и воздвигают огромный курган.²

Место осетинской чаши Уацамонга, определявшей героя, занимает кадка нартов: *«Поставим кадку, нальем в неё немного холодной воды. У того, кто говорит ложь, не поднимется, не вскипит вода, у того, кто говорит правду, поднимется она, вскипит»*. Сосруко, Уазырмаг и Уазармас проигрывают это состязание Кабыжу.³ Перекачивание Сосруко кадки через горные хребты в Псху находит параллель с винным кувшином Вадзамакят в абхазском эпосе, который Сасрыкуа после неудачного для него состязания столкнулся с перевала в сторону Апсны.⁴

Шардан, аналог осетинского Сырдона, описывается как мужчина маленького роста. Из его разговора с самим собой нарты узнают, как сделать серп для жатвы.⁵ К подобным ухищрениям прибегали нарты и в осетинских сказаниях. Но сам по себе образ Шардана совершенно не развит, по сравнению с осетинами.

Аналог осетинского Хамыца, Хмыщ, *«был вредным, вредным человеком. Он надеялся только на свою силу, на свое мужество и поэтому, отправляясь в путь, никогда не брал с собой кого-нибудь из мужчин нартов»*. В чём заключалась вредность, сказитель не мог или стеснялся объяснить. Вероятно, Хмыщ, как и осетинский Хамыц, соблазнял нартовских женщин. На охоте он повстречал маленького маракуанца, ездившего верхом на зайце, но лихо охотившегося на оленей. Хмыщ познакомился с его красивой дочерью и попросил её руки. Та согласилась при условии, что муж

¹ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 251-252, 317-322.

² *Нарты*. Кабардинский эпос., с. 146.

³ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 249-250.

⁴ Приключения нарта Сасрыквы и его девяноста девяти братьев. Подготовка текста **Ш. Д. Инал-ипа, К. С. Шакрыл, Б. В. Шинкуба**. Вступительная статья **Ш. Д. Инал-ипа**. Сухуми, Издательство «Алашара», 1988, с. 193; **Ж. Дюмезиль**. Скифы и нарты. Москва, Издательство «Наука», 1990, с. 180; **Ш. Д. Инал-ипа**. Памятники., с. 104.

⁵ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 253-254.

никогда не назовёт её низкорослой. К сожалению, однажды он назвал так супругу в шутку, поэтому она оставила ему сына Батаразу и ушла. Хмыща коварно убили на охоте враги, о чём абазинские сказители рассказывали весьма путано. Его сын Батараз доказывает свое богатство уже в люльке.¹

С кабардинским и абхазским эпосом² перекликается история нарта Баданого, вопреки нартовскому обычаю, отказавшегося бросить своего престарелого отца в пропасть.³

Осетинскому Сауаю отвечает Татара сын Шауай,⁴ а Насран-алдару и Аце – военачальник Насран из нартов и Щамаз. Щамаз пропадает, но его малолетний сын его находит при помощи девушки-воительницы.⁵ Так же совершает свой подвиг – кровную месть за своего убитого отца Чамаза, сына Ача, малолетний Чаляжия (Ацамаз осетинского эпоса). Как и Ацамаз, он узнает о своем долге мести во время игры в альчики, а потом вынуждает мать все рассказать. Прикоснувшись к исцеляющему телу жены хромого Тлябицы, Чаляжия смог его убить, завладел его богатствами и женой, которую отдал нартам.⁶ Тлебыцей или Тлегуцем зовут врага Ашамеза и в адыгских сказаниях.⁷ Характерно, что конь Чаляжии клянётся именем божества Уашхуа,⁸ идентичного осетинскому Уасхо.

Антропоним Нарта носил род Тамбиевых в ауле Гумлокт. В форме Нартыйа он бытовал и среди турецких абазин и абхазов. У абазин-тапанта в ауле Эльбурган бытовала фамилия Нартба, а в ауле Псыж – такое же мужское имя.⁹ Заметно, что абазинские сказители пересказывают общеизвестные нартовские сюжеты упрощённо, в сокращённом виде, они не делят нартов на роды и поколения, не выстраивают их генеалогию, как осетины, путают родственные отношения, не знают ряда имён. Многих

¹ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 280-282.

² *Нарты*. Кабардинский эпос..., с. 227-229; **М. А. Кумахов, З. Ю. Кумахова**. Нартский эпос: язык и культура. Москва, Издательство «Наследие», 1998, с. 149-150; **З. Д. Джапуа**. Абхазский нартовый эпос..., с. 119-120.

³ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 275-279.

⁴ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 298-306.

⁵ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 207, 267-273.

⁶ *Нарты*. Абазинский народный эпос, с. 306-313.

⁷ *Нарты*. Адыгский героический эпос..., с. 282-307.

⁸ *Нарты*. Абазинский народный..., с. 308; **Ш. Д. Инал-ипа**. Памятники..., с. 105.

⁹ **С. Х. Ионова**. Абазинские фамилии и имена. Черкесск, 2006, с. 356.

мотивов у абазин вообще нет. По мнению *Юрия Гаглойти*, сказания о нартах абазины восприняли уже на Северном Кавказе, а не на своей древней прародине. Об этом говорит отсутствие сюжетных параллелей с абхазскими нартовскими сказаниями, с одной стороны, и влияние адыгских, балкаро-карачаевских и осетинских сказаний, с другой.¹ Весьма значительным признаёт это осетинское и адыгское воздействие *Шалва Инал-ипа*.² О заимствовании или сильнейшем влиянии со стороны осетин говорит и *Юрий Дзиццойты*.³

Таким образом, вопрос о формировании нартовского эпоса абазин остаётся открытым, как и вопрос их этногенеза. Тем не менее, он явственно отражает процессы усвоения иноэтнических эпических сюжетов.

KOSTYANTYN RAKHNO

**ABAZIN NART EPOS: OSSETIAN AND
CIRCASSIAN INFLUENCES**

Summary

The article is devoted to the motives of the Abazin Nart epos, the formation of which reflects the complex processes of ethnogenesis of the Abazins, studied by Zurab Anchabadze. The Abazin epic borrowed a lot from the Nart tales of the Circassians and especially the Ossetians, but it has little in common with the epic of the Abkhazians. The epos of the Abazins is inferior to the Ossetian one, but is interesting as an example of borrowing foreign ethnic folklore.

¹ **Ю. С. Гаглойти.** Некоторые вопросы историографии нартовского эпоса. Цхинвали, Издательство «Ирыстон», 1977, с. 161-163.

² **Ш. Д. Инал-ипа.** Памятники... , с. 103.

³ **Ю. А. Дзиццойты.** Нарты и их соседи. Географические и этнические названия в нартовском эпосе. Владикавказ, Издательство «Алания», 1992, с. 30.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

აკვეთ ირლი

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული თხზულება „ამბავი მიჰრისა და მაჰისა“

„ამბავი მიჰრისა და მაჰისა“ დაიწერა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. აღნიშნული „ამბის“ სპარსულენოვანი ვარიანტის ავტორები არიან *ჯემალი*, *ზირეჯი*, *მირ ასკერი რაზი*, *ჰაჯი მუჰამედ ჰუსეინი შირაზი*, *ზაჰირი ქირმანი*, *ჰუსეინი ყაზვინი* და *მუჰამედ შერიფ ბედაი ნესევი*.¹ ხოლო, თურქულენოვანისა – *ყასი*, *ალი*, *ზარიფი* და *ჯებირი*.² სამეცნიერო ნაშრომებში მითითებულია, რომ *ნეჯათი*³ და *ჰალეთი*,⁴ ასევე, არიან მიჰრისა და მაჰის შესახებ თურქულად დაწერილი ამბის ავტორები. მკვლევარ *მელიჰა ანბარჯიოდლუს* თავისი ნაშრომის სქოლიოში მითითებული აქვს იმ ბიბლიოთეკის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი, სადაც ინახება *ჰამიდის*⁵ და *ჯემბრის* მიერ დაწერილი „ამბავი მიჰრისა და მაჰისა“,⁶ რომელიც შეს-

¹ **Vedat Nuri Turhan.** Zariffi ve Mihr ü Mâh Mesnevisi'nin Tenkitli Metniile İncelemesi. (Yayımlanmamış Yüksek Lisans Tezi). – *Atatürk Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü*. Erzurum, 1995, გვ. 5; **Ahmet İçli.** Mihr ü Mâh, Gelibolulu Mustafa Âlî, İnceleme-Metin (Yayımlanmamış Doktora Tezi). – *Fırat Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Türk Dili ve Edebiyatı Anabilim Dalı*. Elazığ, 2009, გვ. 5.

² **Ahmet İçli.** Cebri'nin Mihr ü Mâh'ı. – *Journal of Turkish Studies*, 9(9), (2014/b). Ankara-Türkiye, გვ. 605-617.

³ **Agah Sırrı Levend.** Türk Edebiyatı Tarihi. Türk Tarih Kurumu. Ankara, 1998, გვ. 133; **Bursalı Mehmed Tahir.** Osmanlı Müellifleri. C.2. İstanbul: Matbaa-i Amire, 1333, გვ. 90, 435; **Rıdvan Canım.** Latifi Tezkiretü'ş-Şu'ara ve Tabrisatü'n-Nuzema (İnceleme-Metin). Ankara, *Atatürk Kültür Merkezi Yayınları*, 2000, გვ. 518.

⁴ **Ahmet Atilla Şentürk, Ahmet Kartal.** Eski Türk Edebiyatı Tarihi. İstanbul, *Dergâh Yayınları*, 2013, გვ. 463.

⁵ **Meliha Anbarcıoğlu.** Türk ve İran Edebiyatlarında Mihr ü Mâh ve Mihr ü Müşterî Mesnevileri. – *Bellekten*, 47(188), 1151-1189, Ankara, 1983, გვ. 1154.

⁶ **Filiz Kılıç.** Âşık Çelebi Meşâirü'ş-Şu'arâ (3cilt). İstanbul, *İstanbul Araştırmaları Enstitüsü*, 2010, გვ. 454.

წავლილი და გამოკვლეული იქნა ჩვენს მიერ.¹ ცნობილია სპარსულ ენაზე ანონიმი ავტორის მიერ პროზაულად შესრულებული მიჰრის და მაჰის ამბის თარიღი. ის ერთადერთი ეგზემპლარი მეცნიერულად შესწავლილი აქვს მ. ანბარჯიოღლუს (1971, 1975).² საქართველოში დაცულია პროზაულ სტილში თურქულად დაწერილი იგივე ამბავი. ორივე თხზულება, თემატიკის და შესრულების თვალსაზრისით ძალიან ჰგავს ერთმანეთს. აზერბაიჯანულ ენაზე შესრულებული და თბილისში დაცული თხზულება მნიშვნელოვანია თურქული ენის კვლევის თვალსაზრისით. მასში მრავლად არის თურქული ენის დასავლური ანუ ოღუზური განშტოების მორფოლოგიური, სემანტიკური და ფონეტიკური ელემენტები. იგი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აზერბაიჯანული და ირანულ-თავრიზული თურქულის კილოსა და კილო-კავების თვალსაზრისით.

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერის არსებობის შესახებ ინფორმაცია მოვიპოვეთ *ცისანა აბულაძის* და *მარინე ილურიძის* მიერ გამოქვეყნებული თურქული ხელნაწერების კატალოგიდან.³ ზემოაღნიშნულ ვრცელ ხელნაწერში არ არის ცალკე მითითებული ინფორმაცია მისი ავტორის, ნაწარმოების შინაარსის, ენობრივი სტილის და ნაწარმოების ფორმის შესახებ. იგივე ხელნაწერში გვხვდება ამბავი მიჰრის და მაჰის შესახებ. აქვე ნახსენებია სხვა თხზულებების შესახებ. ხოლო, გვერდებს შორის ჩანართებში მოცემულია მათი შინაარსის მოკლე განმარტებანი.

წინამდებარე სტატიაში „*მიჰრის და მაჰის ამბის*“ თბილისში მოძიებული ტექსტი ზომის, შინაარსის, ენის და ფორმის თვალსაზრისით შედარებულია ამავე სახელწოდების სხვა თურქულ ტექსტებთან, გამოკვლეულია მისი ორიგინალობა. ტექსტი პირადად მოვიძიე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და ჩავატარე სათანადო კვლევები. ხოლო შემდეგ, სათანადო პროცედურის დაცვით მოვითხოვე და მივიღე მისი ფოტოფირები. „*მიჰრის და მაჰის ამბის*“ ტექსტის წაკითხვის, ფორმისა და შინაარსის მიხედვით მისი გაანალიზების შემდეგ მივიღეთ შემდეგი შედეგი:

¹ **Ahmet İçli.** Zarıfî'nin Mihr ü Mâh'ının Nüshalarının Tanıtımı ve Nüshalar Üzerinde Bazı Değerlendirmeler". – *Zeitschrift für die Welt der Türken Journal of World of Turks*, Vol. 6, No. 2, 2014a, გვ. 227-243.

² **Meliha Anbarcıoğlu.** Mihr ü Mâh Kısası. – *İran Şehinşahlığının 2500. KuruluşYıldönümüne Armağan.* İstanbul, 1971, გვ. 1-45; **Meliha Anbarcıoğlu.** DerBare-iKissaiMih-rü Mâh. – *Doğu Dilleri*, İstanbul, 1975, 2 (2), გვ. 1-97.

³ *თურქულენოვან ხელნაწერთა კატალოგი.* შემდგენლები: **ცისანა აბულაძე, მარინე ილურიძე.** საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი, გამომცემლობა „კვირიონი“, 2004.

ნაწერი ტექსტის გვერდები დანომრილია თავში. გვერდის წინა მხარეს უზის ასო-ბგერა „ა“, ხოლო უკანა მხარეს ასო-ბგერა „ბ“. ნაწარმოების საწყისი გვერდი არის დანართი. ხელნაწერი წარმოადგენს არაბული გრაფიკით შესრულებულ პროზაულ თურქულენოვან თხზულებას/ამბავს. კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მისი რეგისტრაციის ნომერია K-38. უშუალოდ ვრცელ ხელნაწერში, „*მიჰრის და მაჰის ამბის*“ გარდა არის კიდევ სამი ხელნაწერი თხზულება. ესენია: *სერგუზეშტ ხოჯა-ზადე იემენი, სერგუზეშტი სალათ მაჰ იემენი, სერგუზეშტი ქადი ჩობანი*. ვრცელი ხელნაწერი კრებული მოიცავს 205 გვერდს.

„*მიჰრი და მაჰი*“ არის ხელნაწერის შემადგენლობის რიგით მეორე წიგნი. „*მიჰრი და მაჰი*“ მოთავსებულია ხელნაწერი კრებულის 11 b და 15 b ფურცლებს შორის. იგი შედგება 40 ფურცლისა და 80 გვერდისგან. ხელნაწერის სტილი ნასთალიყია. ტექსტში შავად ნაწერი აბზაცების თავში არის წითელი მელნით შესრულებული წარწერა. ცალკე, წითელი მელნით არის მონიშნული ადგილის და პიროვნების სახელები. თითოეულ გვერდზე შესრულებილი ტექსტი მოიცავს 18 სტრიქონს. მაგრამ, ეს მდგომარეობა განსხვავდება პირველსა და ბოლო გვერდებზე. ნაწარმოების ზოგიერთ გვერდზე შინაარსის მიხედვით შესრულებულია ნახატები/ნახაზები. მსგავსი ნახატები გვხვდება ნებისმიერ მხარეს. ნახატები მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 112b, 117a, 118b, 123b, 125b, 130a, 132a, 136a, 139b, 142a, 146a, 147a, 150b, 152a. ამბის დასაწყისში, 112 b გვერდის ქვეშ, ახალ გვერდამდე, ყველა ფურცლის დასაწყისში წერია, თუ რა ამბავია მოთხრობილი ყოველ მომდევნო ფურცელზე. ეს მდგომარეობა წაგავს დღევანდელი ლექსიკოგრაფიის ტრადიციას. წარწერა ასე ჟღერს: „*ეს სიტყვა ჩათვალე მომდევნო ფურცლის დასაწყისად*“.

მიჰრის და მაჰის ამბის ბოლო გვერდზე (152b/14-15) მითითებულია მისი შესრულების თარიღი. თხზულება იწყება შემდეგი სიტყვებით: „*ალაჰის სახელით, დიდება მის სახელს*“. ამ ნაწარმოებს ჰქვია „*წიგნი მიჰრის და მაჰის შესახებ*“. მოწყალეა მისი სახელი. სიტყვით და კალმით ქვეყნის ბუღბუღები და თუთიყუშები ანუ ძველი ლეგენდების და მითების ტკბილი ენით მთხრობელნი იტყვიან, რომ აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა მეტად სამართლიანი ფადიშაჰი სახელად *ჰავერ მაჰი*. მისი ქვეყანა იყო მდიდარი და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი. მაგრამ, იგი საკუთარ მომავალზე წუხდა. რადგან, მემკვიდრე არ ჰყავდა. ამბავი სრულდება შემდეგი სიტყვებით: „*ჰავერ მაჰი შევიდა სამლოცველოში და დაიწყო ლოცვა. და მიჰრმა ას ოცი წელი იცოცხლა. შემდეგში, ამ*

წარმავალ წუთისოფელში თავისი საქმენი ქნა. ეს მკაცრი სამყარო არავის არაფერს ჰპტიობს. ნება მისია. მკითხველს ვთხოვ ილოცოს ჩემთვის. რადგან, გავბედე და დავეწრე ეს წიგნი. სიცოცხლე წარმავალია, ნაწერი რჩება. მე, ეს წიგნი დავეწრე მომავალს, როგორც სახსოვარი. რადგან მე უკვდავი არ ვარ, მოკვდავი ვარ. მაგრამ ეს წიგნი ამ ქვეყანაზე დარჩება“. ნაწარმოებში დაცული ინფორმაციის მიხედვით თხზულების ავტორი არის უკვე გარდაცვლილი მუჰამედ ჰუსეინ იბნი ჰაჯი აგა მეჯიდი.

კვლევით დადგინდა, რომ „მიჰრი და მაჰი“ თხრობითი სტილის ნაწარმოებია. მასში არის ჩართული რამდენიმე ლექსი. მათი უმეტესობა, ტრადიციული თურქული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მსგავსად, აშუღურ პოეზიას წააგავს. ლექსები მოკლე წინადადებიანია და სტილისტურად ზეპირად გადმოცემული და ჩაწერილი ტექსტს წააგავს. ამ მხრივაც, მასში ჩანს ხალხური ნარატივი.

კონკრეტული ინფორმაცია ნაწარმოების ავტორთა შესახებ არ მოგვეპოვება. თხზულების დასრულების თარიღია 1770 წ. 30 იანვარი, სამშაბათი. ავტორი მიუთითებს: „იგი დავეწრე მე, ყველაზე სუსტმა მონებსა და ადამიანებს შორის, საცოდავმა და აბუჩად აგდებულმა, მეჯიდი ადას ძე მეჰმედ ჰუსეინმა“. თხზულება დაწერილია დიდი ძირზას (ძირზა ბუზურგი) დახმარებით და მითითებებით. როგორც სიტყვებიდან ჩანს, მეჰმედ ჰუსეინი უნდა იყოს ნაწარმოების თურქულ ენაზე მთხრობელი და რადგან თავის სიტყვაში იგი აქცენტს აკეთებს ნაწარმოების მარადიულობაზე, შეიძლება მისი ავტორიც არის.

თხზულება დაწერილია 1770 წ. 30 იანვარს. ამდენად, ტექსტი მიეკუთვნება XVIII საუკუნეს. „ამბავის მიჰრისა და მაჰისა“ შინაარსობრივი თვალსაზრისით თურქულ ენაზე დაწერილ და დღევანდლამდე მოღწეულ არც ერთ ანალოგიურ თხზულებას არ წააგავს. ოსმალურად დაწერილი ტექსტები ლექსად არის შესრულებული და ამბების შინაარსიც განსხვავდება. სიმბოლურად, სხვა ანალოგიური ტექსტების მსგავსია მხოლოდ მოქმედი გმირების სახელები და საგმირო საქმეების წამოწყების ფორმა. გალიპოლელი ალის და ჯებრის მიერ დაწერილ თხზულებებში „ამბავი მიჰრისა და მაჰისა“, მოქმედება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ზუსტად ერთსა და იმავე ადგილას ვითარდება. გმირები განსხვავდება სქესობრივი თვალსაზრისითაც.

პროზაულ სტილში თურქულად დაწერილი და ჩვენი კვლევის საგნად ქცეული „მიჰრი და მაჰი“ სპარსულად შესრულებული ტექსტისგან ტექსტის ფორმის და შინაარსის მხრივ განსხვავდება. სპარსული ტექსტი

შეისწავლა მ. ამბარჯიოღლუმ და გამოაქვეყნა თურქულ ენაზე მოკლე შინაარსის სახით (1971, 1975). ერთნაირია ორივე ტექსტის თემა. თუმცა, თურქული „მიჰრსა და მაჰში“ არის მრავალი ისეთი ლექსი, რომელიც სპარსულ ტექსტში არ გვხვდება. ასევე, ამ ტექსტში არის რამდენიმე სპარსული ლექსი, რომელიც თვით სპარსულ ტექსტშიც კი არ მოიპოვება. ორივე ტექსტი მსგავსია გმირების და მოქმედების ადგილის თვალსაზრისით. სპარსული ტექსტის ადგილის სახელები განსხვავდება თურქულ ტექსტში არსებულისგან. იგივე შეიძლება ითქვას მოქმედი გმირების შესახებაც. ამბის თხრობისასაც არის მცირე განსხვავებები. თუმცა, ორივე ტექსტში მოთხრობილია ერთი და იგივე ამბავი.

ტექსტის შინაარსის მიხედვით, ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირია მიჰრი. მაჰი არის მიჰრის შეყვარებული, რომლის დაუფლებასაც ის ცდილობს. თხზულებაში *ჰილალ მაჰი, სეჰაბი, ებრი* და *ბილადი მიჰრის* მოწინააღმდეგეებია. მათ შორის არიან *ჰამან დევის* ქალიშვილი და ჯადოქარი *ბუქალემუნი*. ნაწარმოებში მიჰრის მეგობარი და ხშირი მრჩეველი არის *მუმტერი*. გმირის მეგობრები ძირითადად არიან *ნიკ-აჰტერი, ანდელიბი, ერმია* და *ნესიმი*. ადამიანებს გარდა, ნაწარმოებში გმირებად გვხვდებიან დევები, ფერიები, ჯადოქრები და ცხოველები.

თხზულებაში მოქმედება ხდება მაშრიყიდან/ჩინეთი/ მალრიბამდე /ევროპამდე/, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ტერიტორიაზე. ნაწარმოებში მოქმედი გმირები არიან ცის, ხმელეთის და ზღვათა მკვიდრნი. ნაწარმოებში აღწერილია 130 წლის ამბავი. თხრობა იწყება ჰავერ შაჰის მიერ შვილის ყოლის სურვილის ამბით და სანამ მიჰრი 18 წლის ასაკის განდება, ძალიან სწრაფად მიმდინარეობს. მიჰრის მთავარ თავგადასავლამდე პერიოდი – ბრძოლა/თავგადასავალი/ დავაჟკაცება და დაბრუნება მოიცავს 14 წელიწადს.

თხზულებაში მოთხრობილი ამბავის შინაარსი ასეთია. აღმოსავლეთში ცხოვრობდა ერთი ფადიმაჰი, რომელსაც ძალიან სურდა, ჰყოლოდა ვაჟიშვილი. იგი დაქორწინდა ფერიაზე და იმ სურვილით, რომ გასჩენოდათ ვაჟიშვილი, თავის ვეზირთან ნიკ-რაისთან ერთად შეხვდა აბიდს. შემდეგ, ერთ წიგნში მოთხრობილი ამბის მოსაძიებლად გზას გაუდგა. ეს წიგნი ჰქონდა მრავალი ფერიის დამატყვევებელ ჯადოქარ ნერგისს. მეგობრებმა ნერგისის ციხეში დატყვევებული ერთი მტრედი გაათავისუფლეს. ეს მტრედი იყო ფერიების მეფის ფერუზ შაჰის ქალიშვილი ეფრუზი. ფერია ეფრუზი დაქორწინდება ჰავერ შაჰზე. ფადიმაჰს შეეძინა ვაჟიშვილი, სახელად მიჰრი და როდესაც შეიქნა თვრამეტი წლის,

შეხვდა ვაჭარს, სახელად მუშტერის. მუშტერიმ მას მადრიბის ფადიშაჰის ქალიშვილის მაჰის სურათი აჩვენა. მაჰს შეუყვარდა მიჰრი და ნიკ აჰტერის და მაჰის ქვეყნისკენ გაემართა. მან ზღვასა და ხმელეთზე გაწეული მოგზაურობისას დევების ქვეყანაში გაიცნო ჯერ ერმია და შემდეგ ერთ კუნძულზე გულიზარზე შეყვარებული ანდელიბი. ანდელიბმა მას თავისი ბუმბულის შეკვრა მისცა და უთხრა, რომ თუ დახმარება დასჭირდებოდა, ბუმბულისთვის ცეცხლი წაეკიდებინა. მგზავრობისას მიჰრი იემენის ქვეყნამდე მივიდა. ფადიშაჰის ქალიშვილ სერვასას მიჰრი შეუყვარდა. ქალაქიდან გაქცეული მიჰრი შებრენგის მიერ ეგვიპტეში მონად იქნა გაყიდული. მიჰრის მონად ყოფნის დღე დაემთხვა ახალი მეფის არჩევის დღეს.

ეგვიპტური ტრადიციების მიხედვით მონა მიჰრი მეფედ იქნა არჩეული. მიჰრმა, მადრიბის ფადიშაჰს ჰილალს წერილი მისწერა და აუწყა, რომ მაჰზე იყო შეყვარებული და მასზე დაქორწინება სურდა. ჰილალის ძმას და ფრანგების მეფეს ებრსაც თავისი ვაჟისთვის, სეჰაბისთვის უნდოდათ ჰილალის ქალიშვილი მაჰი. ჰილალს მაჰის მიჰრისთვის მითხოვება, ხოლო მის ცოლს ჰურშიდს მიჰის სეჰაბისთვის მითხოვება არ სურდათ. ამის გამო, სეჰაბმა მაჰის მოსატაცებლად ჯარი გაამზადა. მიჰრი სალაშქროდ გაემართა. მაჰი მოიტაცა. გზად გადაეყარა სეჰაბის ჯარს, დაამარცხა და მოკლა იგი. მადრიბის მხარის ვეზირის ქალიშვილს ზუჰრეს და ნიკ აჰტერსაც ერთმანეთი შეუყვარდებათ. მიჰრმა ჰილალის მრავალი მოთხოვნა აასრულა, მტერზე გაიმარჯვა და მადრიბის ქვეყანაში დაბრუნდა. ქორწილიც აქვე გადაიხადა. ამავე დროს იქორწინეს ზუჰრემ და ნიკ აჰტერმა.

მიჰრი, აღმოსავლეთის ქვეყნებში მგზავრობისას ჰილალის მტრის ბილადის სამხედრო მეთაურს ჩაუვარდება ტყვედ. ბილადმა, მიჰრი და მისი მეგობრები ორმომი ჩააგდებინა. მიჰრმა ორმომი გულიზარი ნახა და ანდელიბის მიცემულ ბუმბულებს ცეცხლი წაუკიდა. ანდელიბმა ისინი გადაარჩინა. მიჰრი ეგვიპტეში წავიდა. მან იქ გაიგო ებრის მიერ მაჰის და მისი მოტაცების ამბავი. ანდელიბმა მაჰი, მისი თანმხლები პირები და ფრანგი ვეზირი სურეა ეგვიპტეში მოიყვანა. მიჰრმა სურეა ეგვიპტის ფადიშაჰი გახადა და ანდელიბის ქვეყანაში მოვიდა. ანდელიბმა და გულიზარმაც იქორწინეს. მიჰრმა ამ ქორწილში გაიგო, რომ ანდელიბი მისი დეიდის ჰურემის შვილი იყო. ჰურემმა უთხრა მიჰრს, რომ მისი დედა ფერია ეფრუზი დაბრმავდა განშორების გამო. მიჰრი სამშობლოში დაბრუნდა. ანდელიბის მიერ მიცემული თვალის წამალი ფერია ეფრუზს თვა-

ლებზე წაუსვა. ჰავერ შაჰმა ტახტი თავის ვაჟს მიჰრს დაუთმო. მიჰრმა ასოცი წელი იცოცხლა და შემდეგ გარდაიცვალა.

ნაწარმოების გმირების ნაწილი ციური სხეულების და ციური მოვლენების სახელებს ატარებს. ამავ კონტექსტში გვხვდება ბუნებრივი მოვლენების სახელებიც. ამბავში ნამდვილი ადამიანების ცხოვრებისეულ ისტორიებთან ერთად, დევებისა და ფერიების ცხოვრებისეული მომენტებია ჩართული. ამბავი ფორმირებულია რამდენიმე სასიყვარულო ისტორიის გარშემო. ხოლო, მათ შორის მთავარი არის მიჰრის და მაჰის სიყვარულის ამბავი.

სიმბოლურად, მიჰრის სიყვარული მაჰისადმი, წარმოადგენს მზის „თავგადასავალს“ დასავლეთის მიმართულებით და იქ სიცოცხლის კვლავ გაგრძელებას, რადგან მიჰრი, სხვა სახელით მზე მადრიბისკენ ანუ დასავლეთისკენ იწყებს სვლას. მისი თანამგზავრები არიან ნიკ აპტერი ანუ სიკეთე და ჭკუის დამრიგებელი და ცოდნასთან ასოცირებული მუშტერი ანუ იუპიტერი. ამასთანავე, მიჰრი/მზე მაჰის/ნათელი მთვარის გასანათლებლად დასავლეთისკენ მოგზაურობას აგრძელებს. ამ გზაზე მას ეწინააღმდეგება დასუსტებული სამეფოს ფადიშაჰი ჰილალი. ხოლო, ჰილალის ნათესავებს წარმოადგენენ ებრი ანუ ღრუბელი და შები ანუ სიბნელე.

ამბის ბოლოს მიჰრი თავისი ნათელით ანათებს დასავლეთს, ფანტავს სიბნელეს, ნისლს, შავ ღრუბელს და შემდეგ შინ, აღმოსავლეთში/მაშრიყში ბრუნდება. ამბავი წარმოადგენს ადამიანის უწყვეტ სვლას ჭეშმარიტებისაკენ. ყველა ადამიანი მუდმივ ძიებაშია და ისე როგორც მზე ცდილობს დაფანტოს მის გარშემო არსებული შავი ღრუბლები და გაანათოს ნისლიანი ღამეები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე შექმნილი სათავგადასავლო ამბების გაზიარება კაცობრიობის საერთო ღირებულებებზე წარმოდგენის საშუალებას იძლევა. სხვადასხვა ენებსა და ბიბლიოთეკებში ჯერ კიდევ არის მსგავსი ჟანრის მრავალი ქმნილება, რომელიც თავის მკითხველს და მკვლევარს ელოდება. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ და სხვადასხვა ენაზე შექმნილ ნაწარმოებებთან ერთად ინახება არაბული გრაფიკით შექმნილი მრავალი თურქულენოვანი ხელნაწერი. აუცილებელია მათი კვლევა და გამოქვეყნება, რაც გახდის შესაძლებელს, შეტანილი იქნას სათანადო წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში.

AHMET İÇLİ

THE STORY OF MIHR U MAH IN TURKISH LANGUAGE FOUND IN THE KORNELI KEKELIDZE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

Summary

Throughout the history of world culture and civilization, many written and oral literary works were put down on paper. These works can represent on the symbolic plane the experiences of nations, cultures and civilizations; their future anxieties; their philosophies; their dreams; and many life codes such as their perspectives of the world. A narrative, work or symbolic expression spoken in any of the languages on earth can be expressed in another language, as well. Such works describing the human history and life in the world can be found in different libraries of the world as well as in the libraries of the language/country, in which the works were written. *The Georgian National Centre of Manuscripts* has many manuscript texts in Turkish written with the Arabic alphabet. In the library, works published in many fields look forward to being brought to light and examined. One of these works is a story called *Mihr u Mah* (also known as *Mihr ü Mâh*, *Mihr-u Mah*, or *Mihr-ü Mâh*, in Turkish). The work displaying the characteristics of West Oghuz Turkish language – throughout the historical periods of Turkish – is important in terms of literature and language.

The story of *Mihr u Mah*, of which the first examples were published in the 16th century, is found both in Turkish and Persian literature. There are *Mihr u Mah* narratives of Classical Turkish Literature poets, Ali (Âlî), Kiyasi (Kiyâsî), Zarîfi (Zarîfî) and Cebri (Cebri). It is stated that Necati (Necâtî), Hamidi (Hamîdî) and Haleti (Haleî) also have works carrying the same name. The prosaic *Mihr u Mah* narrative written in Persian is also introduced along with its Turkish summary. *Mihr u Mah* is shaped around many interconnected love affairs, in which the love of *Mihr* and *Mâh* is in the center. The love story is treated by establishing symbolic meaning patterns. The work is an important one that should be examined in terms of Turkish language. There are also many features of a folk narrative in the work, which was in Turkish, written with the Arabic alphabet. Some pages of the work have drawings as well. Our work aims to present a brief introduction of the “*Kitab-i Mihr Mah*” (*Kitâb-ı Mihr Mâh*), which was written out in A.H.1183/A.D. 1770, in terms of form and content.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

**პოლიტოლოგია, საერთაშორისო
ურთიერთობები და დიპლომატია,
სამხედრო-პოლიტიკური ანალიტიკა**

დავით ხუფენია

**ერი-სახელმწიფოს წარმოქმნა და პოლიტიკური ელიტის
ლაბიტიზმობის განმსაზღვრელი ასპექტები:
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მაგალითზე**

ოდითგანვე სოციალურ მეცნიერებებში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემატიკას წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც ფენომენის შესწავლა. უფრო ზუსტად კი, შეისწავლება ადამიანთა სოციალური ურთიერთქმედების იმ ასპექტები, რომლებიც წარმოქმნიან და გამოსხატავენ სახელმწიფო ინსტიტუტს.

საზოგადოების ჰეტეროგენულობაზე და ზეინდივიდუალიზმზე ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა.¹ გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი კი „სულის ფენომენოლოგიაში“ ისტორიული დიალექტიკის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად საზოგადოების კლასობრივ დუალურობას – ბატონი და მონა (*Herrschaft und Knechtschaft*) მიიჩნევდა.² მიუხედავად დიდი ფილოსოფიური და ისტორიული მემკვიდრეობისა, დღეს-დღეისობით, სოციალურ მეცნიერებებში „პოლიტიკური/ მმართველი ელიტისა“ და საზოგადოების, როგორც ცნებების, ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ არსებობს. მეტიც, პოსტ-საბჭოთა სივრცის მეცნიერებს ახასიათებთ პოლიტიკური სისტემებისა და საზოგადოებების პერსონალიზაცია, რის

¹ იხ. უფრო ვრცლად: **P. B. Abraham.** “Aristotelian” and “Platonic” dualism in Hellenistic and early Christian philosophy and in Gnosticism. – *Vigiliae Christianae*, 56, #3 (2002), გვ. 273-291.

² **N. Harding.** Reading Leadership through Hegel’s Master/Slave Dialectic: Towards a Theory of the Powerlessness of the Powerful. – *Leadership* 10, # 4 (November 2014), გვ. 391-411.

შედეგადაც, სახელმწიფოებს, ეპოქებსა და ისტორიულ მოვლენებს კონკრეტული ადამიანების მახასიათებლები გააჩნია.

მოდერნის ეპოქაში სახელმწიფოს მეცნიერული „დესაკრალიზაციის“ მცდელობა ეკუთვნის *ნიკოლო მაკიაველსა და თომას ჰობსს*. ფილოსოფოსებმა თავის ნაშრომებში მოახერხეს „სახელმწიფოს“ სამეცნიერო-კვლევით სიბრტყეზე გადატანა, სადაც ცენტრალური ადგილი დაუთმეს მმართველ ინდივიდს და მმართველ ჯგუფს. თომას ჰობსი თავის წიგნში „*ლევიათანი, ან საეკლესიო და სამოქალაქო სახელმწიფოს მატერია, ფორმა და ძალაუფლება*“ ახდენს სახელმწიფოს დეკონსტრუქციას და გამოყოფს მთავარ მის აქტორებს. ის ახდენს ხალხისა და მმართველი კლასის ურთიერთგამიჯვნას და მათ შორის დადებული შეთანხმების აღწერას, რომელსაც ჩვენ ჰობსისეული სოციალური კონტრაქტით (საზოგადოებრივი ხელშეკრულებით) ვიცნობთ. ჰობსის მიხედვით, ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანთა ჯგუფი გადასცემს ძალადობაზე პრივილეგიებს¹ მმართველ კლასს (ლევიათანს), რომელიც, თავის მხრივ, ახდენს „*სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და დაცვას*“.²

ჰობსის მიხედვით, ძალადობის დელეგირება და მმართველი/პოლიტიკური კლასის (ლევიათანის) ფორმირება წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფის პირველ პოლიტიკურ ნაბიჯს. ამ აქტის შემდგომ, იბადება პირველი სოციალური კონტრაქტი, ანუ ცნობიერი შეთანხმება ადამიანებს შორის ძალაუფლების გადანაწილებაზე და ურთიერთვალდებულებებზე. რაც, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს, უკვე ფორმირებულ სამოქალაქო საზოგადოებასა და მმართველ/პოლიტიკურ კლასს, აწარმოოს ვერტიკალური ურთიერთმოლაპარაკებები პოლიტიკურ დღის წესრიგზე. ჩვენი აზრით, როდესაც ადამიანთა ჯგუფში შემოდის *კარლ შმიტის* მიერ

¹ უნდა ავღნიშნოთ, რომ ძალადობას, იძულებასა და ძალაუფლებას ჩვენ ვიყენებთ *მაქს ვებერის* თეორიის (Gewaltmonopol des Staates) პრიზმაში. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ გამოყენებადი ტერმინი – ძალადობა (violence) ფართოა და მოიცავს, როგორც სასამართლო ინსტიტუციის საქმიანობას, აგრეთვე პოლიციის, ჯარისა და ა.შ. ანუ, ნებისმიერი პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელსაც ეკონომიკური ან და ფიზიკური (ძალადობრივი) სანქციის დაკისრება შეუძლია. იხ. **T. Waters**. *Weber's Rationalism and Modern Society. New Translations on Politics, Bureaucracy, and Social Stratification*. Editors **Tony Waters, Dagmar Waters**. London: *Palgrave Macmillan*, 2015.

² **Т. Гоббс**. *Левиафан, или Материя, форма и власть государства церковного и гражданского*, т. 2. Москва, издательство „Мысль“, 1991, гл. 99.

განმარტებული დეფინიცია „პოლიტიკური“ (des Politischen),¹ დროთა მანძილზე, ჩნდება ეროვნული (ნაციონალური) სახელმწიფო. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანთა ჯგუფის პირველი პოლიტიკური აქტი არის პოლიტიკური/მმართველი ელიტის შექმნა, რომლის არსებობის პირობებში, დროთა მანძილზე, ხალხი ახდენს საკუთარი თავის ინდივიდუალიზებას პოლიტიკური ცნობიერებით, რის შედეგადაც იგი გარდაიქმნება ერად, ანუ თანამედროვე ერი-სახელმწიფოდ.

ზემოაღნიშნულის შეჯამებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ერი-სახელმწიფო იწყება პოლიტიკური/მმართველი ელიტის ფორმირებით, რომელიც მონოპოლიზებული იძულების ხარჯზე ჰქმნის სოციალურ კონტრაქტს. ხოლო შემდგომ, როდესაც საზოგადოება იწყებს საკუთარი თავის პოზიციონირებას, როგორც ერთიანი პოლიტიკური ორგანიზმის, ჩნდება ერი, ანუ ერი-სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრიობა პირდაპირ დაკავშირებულია ჰობსისეული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასთან. ხოლო სამოქალაქო საზოგადოებას უმთავრესი დამახასიათებელი ასპექტი არის ის, რომ იგი ინდივიდუალურად, რომელსაც ძალაუფლება (ძალადობაზე პრივილეგია), როგორც რესურსი, ისეთნაირად აქვთ გადანაწილებული, რომ ის მონოპოლიზებულია მმართველი ჯგუფის ხელთ.

პოლიტოლოგიაში ელიტების შესწავლის მნიშვნელობაზე გაეტანო მოსკა „პოლიტიკური დოქტრინების ისტორიაში“ წერს: „პოლიტოლოგიის მთავარი ამოცანაა შეისწავლოს მართვის ხელოვნება და რადგან მართვის სადავეები ისტორიულად მხოლოდ პოლიტიკურ და მმართველ კლასებს გააჩნიათ, მაშასადამე, პოლიტოლოგია უნდა იყოს კონცენტრირებული მათ შესწავლაზე“.² იგივე გ. მოსკა სხვა ნაშრომში ასევე აღნიშნავს: „ყველა საზოგადოებაში არსებობს ადამიანთა ორი კლასი – მმართველი კლასი და მართვადი კლასი. პირველი, ყოველთვის ნაკლებად მრავალრიცხოვანია, ასრულებს ყველა პოლიტიკურ ფუნქციას, ახდენს ძალაუფლების მონოპოლიზაციას და სარგებლობს იმ უპირატესობებით, რაც ძალაუფლება მათ ანიჭებს. ხოლო მეორე კლასი... ჰქმნის მმართველი კლასისთვის საარსებო მატერიალურ წყაროს და აგრეთვე, პოლიტიკური ორგანიზმის (სახელმწიფოს) არსებობისთვის ყველა რესურსს“.³

¹ C. Schmitt. Der Begriff des Politischen. Berlin: Duncker & Humblot, 1979.

² Г. Москва. История политических доктрин. Москва, издательство „Мысль“, 2012, გვ. 15.

³ Г. Москва. Правящий класс. – Антология мировой политической мысли. В 5-ти

ვილფრედ პარეტომ შექმნა საზოგადოების კვლევის საბაზისო კონცეპტი და ურთიერთგამიჯნა იგი ელიტებად და მასებად. ლეონ ვალრასის ეკონომიკური იდეების სოციოლოგიის დისკურსზე გადატანით, ვ. პარეტომ შექმნა „ელიტების ცირკულირების“ თეორია.¹ ეს თეორია ბაზისად იღებს იმას, რომ ყველა საზოგადოება ბუნებრივად მიისწრაფის სისტემის (ინსტიტუტების) სტაბილიზაციისაკენ, ხოლო ტიპოლოგიურად იგი ყოველთვის დუალურია: პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ელიტა და დაქვემდებარებული კლასი – მასები.² პარეტოს მიხედვით, არ არსებობს საზოგადოება ელიტის გარეშე, ელიტა სტრუქტურულად შეიძლება იყოს არაეფექტიანი, სუსტი, არამდგრადი, მაგრამ საზოგადოების არსებობის შემთხვევაში, ის ყოველთვის იარსებებს და იქნება აღნიშნული საზოგადოების მამოძრავებელი ძალა.

ზემოაღნიშნული თეორიებიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ერთ-სახელმწიფო სტრუქტურულად არის დუალური. მთავარი აქტორები – ელიტა და მასები, წარმოადგენენ სახელმწიფო ინსტიტუციების შემქმნელ და შემადგენელ ელემენტებს. ელიტის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ქონა და პოლიტიკური ძალადობის/იძულების გამოყენებაზე პრივილეგია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს, პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა და ტრანსფორმაცია, უმეტესწილად, დამოკიდებულია ელიტებს შორის და აგრეთვე, ელიტებსა და საზოგადოებას შორის შეთანხმებაზე. სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზმის შესწავლისას აუცილებელია გამოვყოთ მისი შემადგენელი ორი მთავარი აქტორი – ელიტები და მოქალაქეები. მათ მიერ მიღწეული ურთიერთთანხმობა ქმნის სახელმწიფოს.

მიუხედავად საქართველოში 70 წლიანი საბჭოური რეჟიმისა, რომელიც იდეოლოგიურად ებრძოდა საზოგადოების კლასებად დაყოფას და დოქტრინალურად მიისწრაფოდა უკლასო სოციუმისკენ, აშკარაა დამოუკიდებლობის აღდგენაში ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერების – ელიტის, როგორც სოციალური

томах, т. 2. Москва, издательство „Мысль“, 1997, гл. 118.

¹ V. Pareto *The Mind and Society: (Volume I)*. London: *Forgotten Books*, 2017. (*The Mind and Society*).

² С. П. Елин. Особенности взгляда Парето на роль элит в системе социального равновесия общества. – *Вестник Кемеровского государственного университета культуры и искусств*. № 20, 2012, гл. 18-26.

კლასის, როლი. რთულია ამ მოძრაობას ვუწოდოთ მხოლოდ პოლიტიკური ლიდერები, ისინი, თავისი წარსულიდან გამომდინარე, წარმოადგენდნენ, როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე ინტელექტუალურ, ეროვნულ, იდეოლოგიურ და ა.შ. ელიტას. მათ მოახერხეს ახალი ქართული პოლიტიკური/მმართველი კლასის ფორმირება, რის ხარჯზეც მოხდა ეროვნული თვითშეგნებისა და ქვეყნის სუვერენიტეტის იდეის გაცოცხლება. საქართველოს 1991 წელს სახელმწიფოებრიობის აღდგენაში უმთავრესი როლი, როგორც იდეის განმახორციელებლის, ითამამა სწორედ ამ პოლიტიკურმა ელიტამ, რომელმაც საზოგადოების მხარდაჭერის (ურთიერთთანხმობის) საფუძველზე მოახდინა პირველი სუვერენული პოლიტიკური ინსტიტუციების ფორმირება.

ჩვენ არ გვსურს დავაკნინოთ საბჭოთა ხელისუფლების დროს ზოგიერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის სახელმწიფოებრივი აზროვნება, მაგრამ, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დღის წესრიგში და პოლიტიკური ელიტის ინტერესებში არ იყო დამოუკიდებელი საქართველოს იდეა. აგრეთვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოებრიობის აღდგენა არ წარმოადგენდა ეტაპობრივ და მოლაპარაკებებზე დაყრდნობილ პროცესს (ანუ, როდესაც მოქმედი პოლიტიკური ელიტები ურთიერთკონკურენციის პირობებში თანხმდებიან ინსტიტუციების შექმნაზე/ტრანსფორმაციაზე). 1989 წლიდან 1991 წლამდე მომხდარი მოვლენები წარმოადგენდა არსებული სოციალური კონტრაქტის დარღვევასა და საზოგადოების მხრიდან მოქმედი პოლიტიკური ელიტის ლეგიტიმურობის შერყევას, რომელსაც ქართული დისიდენტური კონტრელიტა უძღვებოდა. რატომ მოხდა ეს ტრანსფორმაცია, ვეცდებით ქვემოთ ავხსნათ.

ელიტის სოციალურ-კულტურული ასპექტი აღწერა *მაქს ვებერმა* და პოლიტოლოგიაში დაამკვიდრა ტერმინი – ლეგიტიმურობა. მ. ვებერის მიხედვით, პოლიტიკური/მმართველი კლასის პირველი დამახასიათებელი ატრიბუტი არის ლეგიტიმურობა. ამ იდეის საფუძველზეც იგი გამოყოფს ელიტების ლეგიტიმურობის 3 „იდეალურ“ ტიპოლოგიას: ტრადიციული, ქარიზმატული და რაციონალურ-ლეგალური.¹ აქედან გამომდინარე, ვებერმა ჰობსის თეორიაში დაამატა ლეგიტიმურობის კონცეფცია და ამბობს, რომ სახელმწიფო არის ლეგიტიმური ძალადობის მონოპოლისტი ორგანიზაცია.

¹ **M. Weber.** Politics as a vocation. – *Max Weber's complete writings on academic and political vocations.* Edited and with an Introduction by **John Dreijmanis** Translation by **Gordon C. Wells.** New York. *Algora Publishing,* 2008, გვ. 155-207.

მ. ვებერისგან განსხვავებით, რომელიც უფრო დიდ ყურადღებას უთმობდა მმართველის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოლიტიკური ლეგიტიმურობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის არსებული სოციალური კონტრაქტი. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მმართველი კლასის პოლიტიკურ კაპიტალს განსაზღვრავს საზოგადოებაში არსებული წარმოდგენა თუ რას უნდა აკეთებდეს და რა კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს მმართველი ჯგუფი. ეს გამოიხატება, საზოგადოების მიერ პოლიტიკოსების საქმიანობის, როგორც კოგნიტიურ, აგრეთვე ემოციურ შეფასებაში. ასე, საზოგადოება, რიტუალის ჩატარების შემდგომ, როგორც წესი, არჩევნებითა და შემდგომი ინაუგურაციით, მხარდაჭერილ ჯგუფს გადასცემს პოლიტიკურ კაპიტალს, რითაც წარმოქმნის ლეგიტიმურ მმართველ კლასს. ამ იდეის პრიზმაში დანახული XX ს. 90-იანი წლების მოვლენები მიგვაჩნია სწორი, რადგან საქართველოს საზოგადოებამ, პირველი რესპუბლიკიდან მოყოლებული, აირჩია პოლიტიკური ელიტის ლიგიტიმურობის რაციონალურ-ლეგალური ტიპი. მაშასადამე, საქართველოში იდეის დონეზე მინიმუმ ერთი საუკუნეა არსებობს წარმომადგენლობითი დემოკრატიის მთავარი პოსტულატი.

კარლ შმიტი არ იყო მომხრე, რომ მკაცრად გაიმიჯნოს დეფინიციები პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება. ბოლო საუკუნეების მანძილზე დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის პოპულარულობის ტენდენციების ფონზე ის ანვითარებს რეპრეზენტაციის იდეას და წერს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარი მახასიათებელია – ერთან (ნაციასთან) იდენტობა (იგივეობა) და მისი რეპრეზენტაცია.¹ ავტორი პოლიტიკური კლასისა და ხალხის ურთიერთდამოკიდებულებაზე წერს, რომ პოლიტიკური ელიტას, უპირველეს ყოვლისა, ახასიათებს ხალხის რეპრეზენტირება.

კ. შმიტის პოლიტიკური ფილოსოფია და ელიტის კვლევა, ხშირად, ამოდის ზემოაღნიშნული კონცეფციიდან, რაც გვაძლევს სახელმწიფოსა და ელიტის ფუნდამენტურ თეორიას. ქართულ სამეცნიერო სივრცეში, ტერმინი „რეპრეზენტაცია“ იშვიათად გამოიყენება და ნაცვლდება ტერმინით „წარმომადგენლობითობა“. კარლ შმიტი არ სვამდა ტოლობის ნიშანს რეპრეზენტაციასა და წარმომადგენლობითობას შორის და მკაცრად მიჯნავდა ამ ორ ცნებას. ავტორის მიხედვით, რეპრეზენტაცია, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ სახელმწიფოს სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტებიდან გამომდინარე და აუცილებლად უნდა გა-

¹ C. Schmitt. Verfassungslehre. Berlin. Duncker und Humblot, 1993, გვ. 202.

მოვრიცხვით სხვა ცნებები, მაგალითად როგორებიცაა – შემცვლელი, საქმის მენეჯმენტი, კომისია, ნდობით აღჭურვილი პირი და ა.შ.¹

კ. შმიტი რეპრეზენტაციას განმარტავს შემდეგნაირად: „*რეპრეზენტირება ნიშნავს, რომ გარკვეული უხილავი საგანი (მაგ. ერი) გახადო ხილული, (იდეის) საჯაროდ წარმოდგენის შედეგად*“.² მაშასადამე, მმართველი კლასი, რომელიც არის საზოგადოების/ნაციის რეპრეზენტატორი ჰქმნის იდეებს, ანუ ინსტიტუციებს, რომლებიც გამოსატყვევ ხალხის ინტერესებს, ან სულაც, გამოსატყვევ თვითონ ხალხს (მაგ: დიდი ბრიტანეთის პარლამენტი ან შუა საუკუნეების მეფის ინსტიტუტი).

კ. შმიტი წერს: „*რეპრეზენტაციის იდეა ემყარება იმას, რომ ხალხს, როგორც პოლიტიკურ ერთიანობას, ახასიათებს უფრო მაღალი და უფრო ყოვლისმომცველი სახის არსებობა, განსხვავებით ადამიანების ჯგუფური ბუნებრივი ერთობისა*“.³ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორი ამბობს, რომ რეპრეზენტაცია შეიძლება არსებობდეს მხოლოდ პოლიტიკური თვითშეგნების მქონე ხალხის (ერის/სამოქალაქო საზოგადოების) მიერ. ანუ, იგი ურთიერთმიჯნავს ინდივიდების ერთობასა და ერს. მისი აზრით, ხალხის ერთიანობის გამოსატყვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის ხალხთა პოლიტიკური ერთიანობის იდეა, ანუ თანამედროვე ერისახელმწიფო. აგრეთვე, ავტორი წერს: „*რეპრეზენტაცია შესაძლებელია იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი და ღია, შეუძლებელია რეპრეზენტირება ფარულად. რეპრეზენტაცია არ არის ნორმატიული, მეთოდოლოგიური და პროცედურული, ის არის ეგზისტენციური*“.⁴ ამის გათვალისწინებით, კ. შმიტი რეპრეზენტაციის ცნებას მიიჩნევს ადამიანთა ჯგუფის პოლიტიკურ თვითშეგნების ნაწილად, რომელიც წარმოადგენს არა ობიექტურ, არამედ მეტაფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ფაქტორს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ის წერს, რომ სახელმწიფო არის ხალხის გარკვეული სტატუსი, მეტიც, პოლიტიკური ერთობის სტატუსი.⁵

აგრეთვე, კარლ შმიტს პოლიტოლოგიაში შემოაქვს „მეგობარი-მტე-

¹ **К. Шмитт.** Учение о Конституции (фрагмент). – წიგნში: **К. Шмитт.** Государство и политическая форма. Перевод с немецкого **О. Кильдюшова.** Москва, *Издательский дом Государственного университета – Высшей школы экономики*, 2010, გვ. 46.

² **К. Шмитт.** Учение о Конституции..., გვ. 46.

³ **К. Шмитт.** Учение о Конституции..., გვ. 47.

⁴ **К. Шмитт.** Учение о Конституции..., გვ. 49.

⁵ **К. Шмитт.** Учение о Конституции..., გვ. 49.

რის“ თეორია (friend-enemy distinction).¹ ჩვენთვის საინტერესო ქრილში, ამ თეორიიდან შეგვიძლია დავასკვნათ – საზოგადოებამ, რომ იგრძნოს საკუთარი თავი ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმად, მას აუცილებლად სჭირდება საკუთარი მმართველი/პოლიტიკური კლასის, როგორც „მეგობრის“ აღქმა. ანუ, საზოგადოება უნდა აღიქვამდეს პოლიტიკურ/მმართველ კლასს საკუთარ თავთან იდენტურსა და სანდოს.

ჩვენი აზრით, ლეგიტიმურობა, რეპრეზენტირება და იდენტურობა არის სამი უმთავრესი იდეა, რომელიც ახასიათებს მმართველ ელიტას. აქედან გამომდინარე, ერთის, ან ყველას დასუსტების შემთხვევაში იწყება მმართველი პოლიტიკური კლასის დასუსტებაც, ანუ, საზოგადოების მხრიდან მათი მიუღებლობა, უსამართლობის განცდა და პოლიტიკური კაპიტალის მინიმალიზება. ჩვენ ვთვლით, რომ ზუსტად ეს პროცესი წარიმართა XX ს. 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა საქართველოში.

საბჭოთა კავშირის ელიტა დაარსებიდანვე აცხადებდა, რომ იგი იყო პროლეტარიატის რეპრეზენტატორი, ხოლო ლეგიტიმურობის წყაროდ აქვს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მთავარი მოთხოვნების (სოციალური კონტრაქტის) იდეები – საყოველთაო ეკონომიკური და პოლიტიკური თანასწორობა. ზემოაღნიშნული იდეები, რა თქმა უნდა, იყო მხოლოდ ოფიციალური დოქტრინა. რეალურად კი, საბჭოთა ხელისუფლება ლეგიტიმურობას ინარჩუნებდა ვერტიკალური ურთიერთობების მეზღუდვით, რითაც პოლიტიკურ არენაზე მაქსიმალურად ბოჭავდა კონკურენტებს. ანუ, პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირება სრულიად იყო რეჟიმისადმი ერთგული ელიტის ხელთ, რის ხარჯზეც, სოციალურ-პოლიტიკური ფასეულობები ინერგებოდა „ზევიდან-ქვევით“ პროპაგანდის მეშვეობით.

აქედან გამომდინარე, საზოგადოების უმრავლესობას არ უჩნდებოდა პოლიტიკური სისტემის მიმართ უსამართლობისა და მიუღებლობის განცდა. ჩვენი აზრით, ამის უმთავრესი მიზეზია ალტერნატიული ინფორმაციის არ ქონა. ასეთი პოლიტიკის ნათელი მაგალითია, რომ საბჭოთა კავშირში კანონმდებლობით ისჯებოდა „ანტისაბჭოური აგიტაცია და პროპაგანდა“, რომლის ბუნდოვანი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სრულიად იყო მიმართული არსებული პოლიტიკური რეჟიმის შესანარჩუნებლად და პოლიტიკური ოპონენტების (ალტერნატიული იდეების) წინააღმდეგ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნი, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური რეჟიმის არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი

¹ იხ. უფრო ვრცლად: C. Schmitt. Der Begriff des Politischen. Hamburg, 1933.

მოთხოვნა იყო მმართველი პარტიის მიერ პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე მონოპოლია. ე.ი. საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობის პარტიული ხედვის ხელოვნურად თავზე მოხვევა და ეროვნული თვითშეგნების ჩანაცვლება კომუნისტური იდეოლოგიით, რომელიც, ბუნდოვანი ინტერპრეტაციის გამო, უმეტესწილად, ემსახურებოდა არსებული ავტორიტარული, ჩაკეტილი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას.

XX ს. 80-იან წლებში, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური განვითარების შედეგად უკვე საყოველთაოდ გახდა ნათელი საბჭოთა კავშირის, დასავლეთის ქვეყნებთან მიმართებაში, ეკონომიკური და პოლიტიკური არაეფექტიანობა და სტაგნაცია. ინფორმაციული წყაროების ზრდის შედეგად საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ მათი სოციალური კონტრაქტის უმთავრესი პოსტულატი – „*მატერიალური კეთილდღეობა და თანასწორობა*“, დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, არ არის უზრუნველყოფილი. აგრეთვე, აშკარად გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის კლასობრივი იერარქია, სადაც ჩამოყალიბდა ძლიერი და მდიდარი ბიუროკრატიული კლასი. ამის შედეგად, მოხდა მარქსისტული იდეოლოგიის, პარტიული პროგრამის, სოციალური კონტრაქტის ახლებური, კრიტიკული გააზრება.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ პერიოდში საზოგადოებაში გამოიკვეთა ორი უმთავრესი ფაქტორი. პირველი – საბჭოთა პოლიტიკური/მმართველი კლასი აღარ იყო საზოგადოების რეპრეზენტატორი, გამოიკვეთა მათი, როგორც მატერიალური, აგრეთვე იდეოლოგიური (ემოციური) ურთიერთგამიჯვნა საზოგადოებასთან – ანუ, მოხდა პოლიტიკურ კლასსა და საზოგადოებას შორის გაუცხოება; მეორე – მოხდა ელიტის მიერ ლეგიტიმურობის დაკარგვა. საბჭოთა საზოგადოებამ დაინახა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა იყო მიმართული არა სოციალური კონტრაქტის შესრულებაზე – საყოველთაო სოციალური კეთილდღეობისაკენ, არამედ ემსახურებოდა ან საზოგადოებისთვის მიუღებელ იდეებს (მაგ. მსოფლიოში კომუნიზმის გავრცელებას, ავღანეთში ომს და ა.შ.) ან ვიწრო ჯგუფის, ელიტის მატერიალურ და პოლიტიკურ ინტერესებს.

1980-იან წლებში უკვე მასობრივი გახდა საზოგადოების უკმაყოფილება და საჭირო იყო ან ძალადობრივად დაცულიყო ძველი სოციალური კონტრაქტი, ან შექმნილიყო ახალი. როგორც ცნობილია, *მიხეილ გორბაჩოვის* „*პერესტროიკა*“ სრულად იყო მიმართული არსებული სოციალური კონტრაქტის კარდინალურ განახლებაზე, სადაც ცენტრალური ყურადღება ეთმობოდა ვერტიკალური ურთიერთობების გაღრმავებასა და ინდივიდუალურ თავისუფლებებს. როგორც უკვე ვახსენეთ, საბჭოთა კავ-

შირი ინარჩუნებდა პოლიტიკურ სტაბილურობას მონოლითური და უკონკურენტო ელიტის ხარჯზე, მაგრამ, როდესაც მოხდა ვერტიკალური ურთიერთობების გაღრმავება და შემსუბუქდა პოლიტიკური კონკურენტების რეპრესიები, საბჭოთა ქვეყნების საზოგადოებებისთვის მასობრივად ცნობილი გახდნენ ნაციონალური კონტრელიტები.

კონკურენტებისთვის პოლიტიკური არენის გახსნის შემდგომ, კომუნისტურ პოლიტიკურ ელიტასა და ახალ ნაციონალურ კონტრ-ელიტას შორის დაიწყო კონკურენცია. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ ხსენებული ლიგიტიმურობა, რეპრეზენტაცია და იდენტურობა გახდა ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც მისცა საშუალება ზვიად გამსახურდიას, „*მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს*“ წევრებს და აგრეთვე საქართველოს სხვა ნაციონალურ პოლიტიკურ აქტორებს გამხდარიყვნენ საქართველოს ახალი პოლიტიკური-მმართველი ელიტა. აგრეთვე, უნდა ვახსენოთ საქართველოში პირველი რესპუბლიკის შემდგომ არსებული ელიტის ლეგიტიმაციის რაციონალურ-ლეგალური პოლიტიკური კულტურა, ეს იყო ის ქვაკუთხედი, რომლითაც საზოგადოება მაქსიმალურად იყო ჩართული საქართველოს ახალი პოლიტიკური ფასეულობების (სოციალური კონტრაქტის) ფორმირებაში.

1990-იან წლებში საქართველოში არ იდგა საკითხი ჰობსისეული ბუნებრივი მდგომარეობიდან თავის დაღწევის, აქედან გამომდინარე, ამ ისტორიულ პერიოდს დამატებული რაციონალურ-ლეგალური ლეგიტიმაციის კულტურის ქონამ, გამოიწვია ის, რომ საქართველოში პოლიტიკური/მმართველი ელიტა საზოგადოებამ საკუთარი მსოფლმხედველობისა და სამართლიანობის (ლეგიტიმურობის) განცდის იდეების ირგვლივ დააფუძნა. ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველაზე დიდი გავლენა იქონია საქართველოს ისტორიამ, ანუ ისტორიულმა მეხსიერებამ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებამ პოლიტიკურ ლიდერებად (ელიტად) აირჩია ადამიანები, რომლებიც მაქსიმალურად იყვნენ მათი პოლიტიკური (მსოფლმხედველობითი) იდეალების/მითების განმასახიერებლები და მესაკუთრეები/მცველები (*the most credible keepers of the seal*).

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური მსოფლმხედველობითი იდეალი („პოლიტიკური მითი“) იყო დამოუკიდებელი და ერთიანი საქართველოს სახელმწიფო. ჩვენი აზრით, ზუსტად ამ იდეების ირგვლივ მოხდა ჯერ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ხოლო შემდგომ კონსტიტუციის შემოღება, ხოლო პირველი სუვერენული

პოლიტიკური ინსტიტუციების ირგვლივ დაიწყო პოლიტიკურ/მმართველ ელიტებს შორის კონკურენცია.

DAVID KHUPENIA

**THE EMERGENCE OF THE NATION-STATE AND THE DEFINING ASPECTS
OF THE LEGITIMACY OF THE POLITICAL ELITE:
ON THE EXAMPLE OF THE RESTORATION OF GEORGIA'S
INDEPENDENCE**

Summary

With the increase in the number of nation-states and the crisis of the ideology of nationalism, the study of the essence of the problems of national identity becomes very urgent. Despite the 200-year history of the concept of “nation”, there is still no unanimous answer to the question – how nations are formed?

This article is based on the recent history of Georgia and trying to analyze some of the theoretical aspects of the formation of the nation-state and its main constituent elements – political elite and civil society. The central theories used in the article are the conceptual theories of *Thomas Hobbes*, *Max Weber*, *Carl Schmidt*, and the classic elitologists. The article, on the example of the collapse of the Soviet Union, explains the main sources of the formation and transformation of the “social contract” between the elite and society.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ზაალ გოგენია

საბჭოთა დიპლომატი მარსელ როზენბერგი

ესპანეთთან დიპლომატიური კონტაქტების დამყარებით საბჭოთა ხელმძღვანელობა ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადავიდა, მართალია სტალინი ჯერ არ ჩქარობდა სამხედრო დახმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ მალე ეს მოსალოდნელი იყო. კრემლს კარგად ესმოდა ის გართულებები, რომელსაც საერთაშორისო არენაზე ესპანეთის სამოქალაქო ომი ქმნიდა, 3,500 კვ/კმ სიშორეც დაფიქრების საფუძველს იძლეოდა. ამასთან მოსკოვში ბევრი რამ „სამწუხარო ესპანურ სიტუაციაში“ იყო გასარკვევი, საჭირო იყო ლეგალური ბაზის არსებობა, რომელიც კრემლს მისცემდა აუცილებელ ინფორმაციას. ის, რასაც კომინტერნი და სხვა წყაროები იძლეოდა არასაკმარისი იყო. აგვისტოს განმავლობაში პოზიტიურად დასრულდა მოლაპარაკებები სსრ კავშირის მთავრობას და ესპანეთს შორის დიპლომატიური წარმომადგენლობების დანიშვნის შესახებ ელჩების ღონეზე.

ესპანეთში ელჩად დაინიშნა *მარსელ იზრაელის ძე როზენბერგი*; დიდი გამოცდილების მქონე დიპლომატი. 30-იანი წლების დასაწყისში ის ცნობილი იყო როგორც არაფორმალური დიპლომატიის დიდოსტატი და წარმოდგენდა კრემლის ყურებსა და თვალებს ევროპაში. ესპანეთში დანიშვნამდე როზენბერგი იყო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ერთა ლიგაში და ერთა ლიგის წესდების თანახმად გენერალური მდივნის მოადგილე. ესპანეთში ელჩთან ერთად პოლიტიბიურომ დაამტკიცა *ლეონიდ გაიკისი* – მადრიდის საელჩოს მრჩეველად, *არტურ სტამევესკი* – სავაჭრო ატაშედ, *ვლადიმირ გორუვი* – სამხედრო ატაშედ და *ნიკოლაი კუზნეცოვი* სამხედრო-საზღვაო ატაშედ. მოგვიანებით უამრავი სამხედრო მრჩეველი და ინსტრუქტორი გაიგზავნა ესპანეთში.¹

ელჩი საელჩოს თანამშრომლებთან ერთად მადრიდში ჩავიდა 27 აგვისტოს. თავდაპირველად საბჭოთა მისია დასახლდა „*კოტელ ალფონ-*

¹ **Daniel Kowalsky.** La Unión Soviética y la Guerra civil española: una revisión crítica. Barcelona, *Crítica*, 2003, გვ. 29.

სოში“, მაგრამ მალევე გადავიდა „ჰოტელ ჰალასში“, რომელიც მდებარეობდა ჰალასა და ლას კორტესის 7 ნომერში. იქ საბჭოთა საელჩო დარჩა რვა კვირას, საიდანაც გაჰყვა კანონიერ მთავრობას ვალენსიაში 1936 წ. 7 ნოემბერს. მისი ახალი მისამართი გახდა „ჰოტელ მეტროპოლი“, კორიდიის მოედანთან ახლოს.¹

ესპანეთში დიპლომატების გაგზავნას წინ უსწრებდა კორესპონდენტების ჩასვლა, გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი მიხეილ კოლცოვი – 8 აგვისტოს, „იზვესტიის“ ჟურნალისტი ილია ერენბურგი – აგვისტოს მეორე კვირას, ხოლო ოპერატორები რომან კარმენი და ბორის მაკასევი 23 აგვისტოს ჩავიდნენ ესპანეთში.² კომინტერნის აგენტებთან ერთად დასახელებული პირები იყვნენ მოსკოვის პირველი ოფიციალური წარმომადგენლები ესპანეთში. მათი ამოცანა საერთაშორისო სოლიდარობის კამპანიის წარმოებასთან ერთად საკუთარი მთავრობის ბეჭდური თუ ვიზუალური მასალით უზრუნველყოფა იყო.

მ. როზენბერგის ჩასვლას ესპანეთში დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ არა მხოლოდ რესპუბლიკური მთავრობის მესვეურები, არამედ რიგითი მოქალაქეებიც, მათი ღრმა რწმენით საბჭოეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება რესპუბლიკის სწრაფი გამარჯვების გარანტი იქნებოდა. ესპანეთში აშშ-ს იმდროინდელი ელჩის კლოდ ბაუერსის სიტყვებით: „იგი ჩამოვიდა ბნელ და დრამატულ დროს, იარაღის და აშუნიციის მიწოდების პირობით... ბუნებრივია ქუჩაში ხალხი დიდი მღელვარებით, გულითადად და მაღლიერების გრძნობით ესალმებოდა, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივი მიღება, გამოყენებულ იქნა იმის სამტკიცებლად, რომ ლოიალისტები კომუნისტები იყვნენ“.³

წიგნში „ომი და რევოლუცია ესპანეთში“ ეს მოვლენა შემდეგნაირადაა შეფასებული: „ძნელია იმ მღელვარების და ენთუზიაზმის გადმოცემა, რომელიც გამოიწვია სხვადასხვა რწმენის ესპანელ ანტიფაშისტებს შორის საბჭოთა წარმომადგენლობის ჩამოსვლამ. ისინი იყვნენ ცოცხალი მოწმეები, რომ ესპანეთი მარტო არ დარჩენილა, რომ მის გვერდით იყო

¹ Daniel Kowalsky. La Unión Soviética y la Guerra civil españolaგვ. 29.

² Daniel Kowalsky. La Unión Soviética y la Guerra civil española., გვ. 29.

³ Claude G. Bowers. My Mission to Spain: Watching the Rehearsal for World War II , New York, Simon and Schuster, 1954. გვ. 317. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ მოგვიანებით როცა ინგლისმა და ამერიკამ თბილად მიიღეს რუსეთი, როგორც მოკავშირე იგივე ღერძის ქვეყნების წინააღმდეგ არავის მიუნიშნებია, რომ ისინი, კომუნისტები იყვნენ.

დიადი საბჭოთა ხალხი“.¹ მარსელ როზენბერგის მადრიდში ჩასვლა მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ ესპანეთში აკრედიტებული სხვა ელჩები სან სებასტიანიდან, სადაც ჩვეულებრივ ატარებდნენ ზაფხულს, გადავიდნენ ენდაიში, მიატოვეს რა საელჩოები უფრო დაბალი რანგის დიპლომატების ამარა. ყურადღების ცენტრში მყოფმა როზენბერგმა 29 აგვისტოს რწმუნებათა სიგელი გადასცა ქვეყნის პრეზიდენტ მანუელ ასანიას. საზეიმო, მოკლე სიტყვაში ელჩმა დაარწმუნა რესპუბლიკის მთავრობა, რომ მის პოლიტიკურ იდეებს და ინსტიტუტებს დელეგაცია დიდ პატივს სცემდა.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების გაჭიანურება სხვა პრობლემებთან ერთად განპირობებული იყო ესპანური მხარის, განსაკუთრებით „ბურჟუაზიულ“ პოლიტიკოსებს შორის არსებული, ღრმა შიშით, რომ საბჭოთა დასწრება დაძაბავდა და ცუდ გავლენას მოახდენდა შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე და სახალხო ფრონტის, როგორც არარევილუციური რეჟიმის სახელს ჩრდილს მიაყენებდა.² როზენბერგი ზედმიწევნით ზუსტად ჭვრეტდა წინააღმდეგობას და დავის საგანს ესპანეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ წრეებში, რაც ესპანეთში სსრ კავშირის „შემოსვლას“ უკავშირდებოდა და განაცხადა: „*მე მშვენივრად ვიცი, რომ ესპანეთის მთავრობას არ სურს, თავს მოახვიოს საკუთარ ხალხს უცხოური*

¹ *Война и революция в Испании 1936-1939*, том 1, Перевод с испанского, Москва, Издательство «Прогресс» 1968, გვ. 423.

² **Jonathan Haslam.** *The Soviet Union and the Struggle for Collective Security in Europe, 1933-39*, New York, St. Martin's Press, 1984, გვ. 109. სხვათაშორის ეს შიში ყოველთვის არსებობდა და ძალიან კარგად განმარტავს ამას აშშ ელჩთან კლოდ ბაუერსთან საუბარში *ფერნანდო დე ლოს რიოსი* მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი: „ჩემი ესპანეთში ჩამოსვლის შემდეგ მალე როცა მთავრობა იყო რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ზღვარზე, მე ვკითხე დე ლოს რიოსს საგარეო საქმეთა მინისტრს მიზეზი რატომ შეფერხდა აღიარება ამდენ ხანს, მან მიპასუხა, რომ მონარქიის დაცემისას მოსკოვს ჰქონდა შთაბეჭდილება, რომ გლეხების და მუშებისა მდგომარეობის გამო ესპანეთში იყო ნაყოფიერი ნიადაგი კომუნიზმისთვის და შესაბამისად გამოგზავნა ხალხი და ფული, მაგრამ წლის შემდეგ მან მოისაზრა, რომ კომუნიზმი იყო უცხო ესპანური ხასიათისთვის და ან დაკარგა ინტერესი. მინისტრმა თქვა მაშინ როცა მოსკოვი აქტიურად პროპაგანდირებდა რეჟიმის წინააღმდეგ მისი ცნობა გამორიცხული იყო, მაგრამ კამპანიის თავის დაწებების შემდეგ მისი ცნობა გონივრულია და გარდუვალი ვაჭრობის გამო (Claude G. Bowers. *My Mission to Spain...*, გვ. 317).

პოლიტიკური და სოციალური იდეალები. ეს სურვილი სრულად შეესაბამება ჩემი მთავრობის სურვილს“.¹

საპასუხო სიტყვაში მანუელ ასანიამაც თავი აარიდა რაიმე ფორმით აღიარებას, რომ სსრკ და ესპანეთის რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემები მკვეთრად იყო განსხვავებული, მაგრამ აფასებდა რა საბჭოეთთან ალიანსის აუცილებლობას განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივი იყო და ამავე დროს ფრიად სასიამოვნო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისგან რწმუნებათა სიგელის მიღება და დასძინა, რომ ელჩების გაცვლა იქნებოდა „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, მისი პრეზიდენტობის პერიოდში“.²

იმ პერიოდში ესპანეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის დუაიენი იყო ჩილელი დიპლომატი ნუნიეს მორგადო, რომელსაც მაშინდელი ესპანეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხულიო ალვარეს დელ ვაიო ახასიათებს, როგორც „ამბოხებულთა მგზნებარე მხარდამჭერს, რომლის საელჩოც იყო მუხუთე კოლონიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციტადელი“.³ როგორც მ. როზენბერგის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ნიკოლაი კრესტინსკისადმი მიწერილი წერილიდან ვიგებთ, მან თავისი ჩამოსვლის შესახებ არ აცნობა დუაიენს, ამიტომ შესაძლოა ამ უკანასკნელს ეს გამოეყენებინა ფორმალურ მიზეზად და არ მიეწვია როზენბერგი დიპკორპუსის სხდომებზე. თუმცა იგი ამას ნაკლებად განიცდიდა, ვინაიდან: „ამ სხდომებზე ძირითადად სამხრეთ ამერიკელები გამოდიან, რომელთა მისიებშიც ნახევრად ლეგალურად და მთელი დასტობით იმალებიან ფაშისტები... მე აქ ურთიერთობა მაქვს მხოლოდ ინგლისის საქმეთა რწმუნებულთან, დანარჩენებთან არც ღირს, რადგანაც ისინი ჩვენ მიმართ უარყოფითად არიან განწყობილი, ან კიდევ არიან II და III მდივნები“.⁴

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა როზენბერგს არ მოუწონა ეს საქციელი, მოსთხოვა შეცდომის გამოსწორება და ფორმალობების

¹ *Документы внешней политики СССР*. XIX. 1 января-31 декабря 1936. Москва, Издательство политической литературы, 1974, გვ. 416.

² *Документы внешней политики СССР*. XIX., გვ. 417.

³ **Julio Alvarez Del Vayo**. *Freedoms's Battle*. New York, *Published by Heinemann*, 1940, გვ. 240.

⁴ *Архив внешней политики Российской Федерации* (შემდგომ: *АВП РФ*), Фонд 010, Секретариат Крестинского. Опись 11. папка 71. Дело 53. Л. 110.

დაცვა. ნ. კრესტინსკი საპასუხო წერილში წერდა: „თქვენ არასწორად მოიქეცით, რომ არ აცნობეთ ღუაიენს, ამ შემთხვევაში ჩილელ ელჩს თქვენი ჩამოსვლის შესახებ, ის გარემოება, რომ [მათთან] ჩვენ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ საყოველთაოდ მიღებულ და დადგენილ წესებს გადაუხვიოთ. ჩვენი ამხანაგები ყველა ქვეყანაში ინფორმაციას აწვდიან ღუაიენს, თუნდაც ეს იყოს პაპის ნუნციუსი. გამოასწორეთ ეს შეცდომა და საქმიან კონტაქტში შედიეთ ღუაიენტან“.¹ მ. როზენბერგის შემდგომი საქმიანობის უკეთ გასაგებად, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ რა მდგომარეობა იყო ამ დროს ესპანეთის მთავრობაში.

1936 წ. 3 სექტემბერს, ტალავერა-დე-ლა-რეინას დაცემამ ნაციონალისტებს მადრიდისკენ გაუხსნა გზა. სამთავრობო კრიზისის პირობებში სოციალისტების ლიდერმა ფრანსისკო ლარგო კაბალიერომ პრეზიდენტ ასანიას განუცხადა, რომ მზად იყო თავისთავზე აედო „ისტორიული პასუხისმგებლობა“ იმ პირობით, თუ მთავრობაში უმრავლესობაში სოციალისტები იქნებოდნენ. ცენტრისტული ორიენტაციის სოციალისტი ინდალესიო პრიეტო არა მხოლოდ ლარგო კაბალიეროს პრემიერ-მინისტრად დანიშნის, არამედ საერთოდ სახელმწიფო აპარატში სოციალისტების მონაწილეობის წინააღმდეგი იყო, თვლიდა, რომ ეს მოახდენდა რესპუბლიკის კომპრომეტირებას დასავლეთის თვალში. იგივე მოსაზრებები ჰქონდა კომინტერნის ხელმძღვანელობასაც.

კომუნისტური პარტია მთავრობაში უნდა შესულიყო მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ამას ადასტურებს კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს დირექტივები ესპანეთის კომპარტიის მიმართ 1936 წ. 24 ივლისს. მას შემდეგ, რაც გაკიცხული არიან არასაკმარისი, ბუნდოვანი და სენტიმენტალური ინფორმაციების მოწოდების გამო, აძლევენ რეკომენდაციებს, რომ მოახდინონ კონცენტრირება უმნიშვნელოვანეს ამოცანაზე, რომელიც გამოიხატება ფაშისტური ამბოხის საბოლოო ლიკვიდაციაში და არ გაერთონ გამარჯვების შემდგომი გეგმებით ტკბობით, მთავრობაში კომუნისტების უშუალო მონაწილეობას აარიდონ თავი, ვინაიდან ასე უფრო მარტივია სახალხო ფრონტის შენარჩუნება, მთავრობაში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ ეს აუციელებელი იქნება ამბოხების ჩასახშობად.²

¹ АВП РФ, Фонд 010, . Опись 11. папка 71. Дело 53 Л. 132.

² Коминтерн и гражданская война в Испании. Документы. Москва, Издательство „Наука“, 2001, гз. 113.

როგორც ითქვა, კაბალიერომ მოითხოვა სოციალისტური უმრავლესობა და დათანხმდა ი. პრიეტოს მთავრობაში შეყვანაზე, პრიეტომ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და სცადა კომუნისტების დაყოლიებაც. ესპანეთში პოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვისას კომინტერნის აგენტ კოდოვილიას მოჰყავს ი. პრიეტოს სიტყვები: „გეტყვიტ გულწრფელად ახლანდელ სიტუაციაში არაფრის გაკეთება არ შეიძლება მე ვიცნობ კაბალიეროს ის ჯიუტი კაცია და მას, რომ არ მიეცეს მთავრობის ჩამოყალიბების საშუალება საბოტაჟზე წავა და კავშირს დადებს შრომის ეროვნულ კონფედერაციასთან (CNT ანარქისტულ ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირში იყო – **ზ.გ.**) ამიტომ მე გთხოვთ შეხვიდეთ მთავრობაში... რა თქმა უნდა, თქვენ გინდათ დარჩეთ მთავრობის მიღმა, რათა არ მოახდინოთ საკუთარი თავის კომპრომეტირება, თქვენ შეხვალთ მთავრობაში და ჩვენ ან ერთად გავიმარჯვებთ ან ერთად დავიხრცებით“ – მოსთხოვეს კომუნისტებს.¹

კრემლი და, ბუნებრივია, კომინტერნი, წავიდა ამ ნაბიჯზე. შექმნილ სიტუაციაში, როგორც ჩანს, როზენბერგს ჰქონდა მცდელობა ჩარეულიყო და მთავრობის შემადგენლობაზე გავლენა მოეხდინა, ან აინტერესებდა რა როლი დაეკისრებოდა ამ შემთხვევაში და ითხოვდა ინსტრუქციებს. როზენბერგისადმი 1936 წ. 4 სექტემბრის წერილში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მაქსიმ ლიტვინოვი უთითებდა: „არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოთ საშინაო საქმეებში და თავი შეიკავეთ სამთავრობო კომბინაციებზე ყველანაირი სახის გავლენისგან“.² რუსი მკვლევარი ალექსანდრ შუბინი სწორად აღნიშნავს, რომ როზენბერგის მსგავსი ქცევა ესპანეთის პოლიტიკურ წრეებში უკმაყოფილებას გამოიწვევდა. მოსკოვს შეეძლო უფრო ფრთხილად ემოქმედა და სამთავრობო კომბინაციებზე კომინტერნის გზით მოეხდინა ზეგავლენა.³

4 სექტემბერს ჩამოყალიბებულ ლარგო კაბალიეროს კაბინეტში ორი კომუნისტი მინისტრი შედიოდა. ერთი იყო განათლების მინისტრი ერნანდესი და მეორე შრომის მინისტრი ურიბე. ისტორიკოს ჰიუ თომასის თქმით, „ლარგო კაბალიეროს მთავრობა უცნაური ხასიათის იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში კომუნისტები მონაწილეობდნენ, არამედ იმიტომაც, რომ ერთ-ერთი მათგანი ერნანდესი 19 წლის წინ გასამართლე-

¹ *Коминтерн и гражданская война в Испании*, გვ. 141-142.

² *АВП РФ*, Фонд 010. Опись 11. папка 71. Дело 53 Л. 59.

³ **А. В. Шубин.** Великая испанская революция. Москва, Издательство «Академический проект», 2011, გვ. 169.

ბული იყო კაბინეტის მეორე მინისტრ (სამხედრო-საზღვაო ძალების და ავიაციის – **ზ.გ.**) პრიეტოზე თავდასხმის გამო“.¹

აღნიშნული დროისათვის კატალონიაში, რომელიც პოლიტიკურად ყველაზე რთული რეგიონი იყო, ოფიციალური საბჭოთა წარმომადგენლობა ჯერაც არ არსებობდა. „იზვესტიის“ კორესპონდენტი ილია ერენბურგი იყენებდა ჟურნალისტის იმუნიტეტს და როზენბერგს ბარსელონაში შექმნილი პოლიტიკური და სამხედრო სიტუაციის შესახებ ცნობებს აწვდიდა. ეს ცნობები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ორ ეგზემპლარად იგზავნებოდა საბჭოთა ხელმძღვანელობასთან. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა 17-18 სექტემბრის ცნობა, რომელშიც ი. ერენბურგი აფრთხილებს როზენბერგს ორი ერთდროული კრიზისის შესახებ. ერთის მხრივ, კატალონიის რეგიონალურ მთავრობას და ანარქისტულ ფედერაციას შორის, მეორეს მხრივ, მადრიდის ცენტრალურ და კატალონიის ხელმძღვანელობას შორის. აქვე უთითებს ჟურნალისტი, რომ კატალონიის პრეზიდენტი ლუის კომპანისი მიესალმებოდა საბჭოთა საკონსულოს დაარსებას ბარსელონაში.²

21 სექტემბერს პოლიტბიურომ დაამტკიცა ვლადიმირ ანტონოვ-ოვსეენკო გენერალურ კონსულად ბარსელონაში, სადაც ჩავიდა 1 ოქტომბერს. კონსულის დანიშვნის და მის ესპანეთში ჩასვლის შესახებ სხვადასხვა თარიღი არსებობს. ჰიუ თომასი შეცდომით თვლიდა, რომ ვ. ანტონოვ-ოვსეენკო 25 აგვისტოს ჩავიდა ესპანეთში, ანუ როზენბერგის ჩასვლამდე ორი დღით ადრე.³ ამას სხვა ავტორებიც იმეორებენ, მათ შორის ესპანელი მკვლევარი ანხელ ვინიასი თავის ადრინდელ შრომებში⁴ და რუსი მკვლევარი მ. ნოვიკოვი,⁵ რომელსაც წესით მიუწვდებოდა რა ხელი შესაბამის წყაროებზე, უნდა შეესწორებინა ეს თარიღი. სხვები ამბობენ, რომ მადრიდსა და ბარსელონაში მისიების ჩამოსვლა მოხდა 27 აგვისტოს, მაგალითად მიხაელ ალპერტი,⁶ წყაროები და ისტორიკოს-

¹ **Хью Томас.** Гражданская война в Испании. 1931-1939 гг. Перевод с английского **И. Полоцка.** Москва, «Центрполиграф», 2003, гл. 252.

² *Spain Betrayed: The Soviet Union and the Spanish Civil War.* Yale University Press, 2001, гл. 23-32.

³ **Хью Томас.** Гражданская война в Испании..., гл. 244.

⁴ **Angel Viñas.** “Los condicionantes internacionales,” – *Civil Española: 50 años después*, Manuel Tuñón de Lara. Barcelona, 1985, гл. 147.

⁵ **М. В. Новиков.** СССР, Коминтерн и война в Испании. Т. II, Ярославль, 1995, гл. 4.

⁶ **Michael Alpert.** New International History of the Spanish Civil War. London, Macmil-

თა უმრავლესობა მოწმობს, რომ ვ. ანტონოვ-ოვსეენკო ესპანეთში 1 ოქტომბერს ჩავიდა.¹

ამ უზუსტობას მარტივად გამოასწორებს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში არსებული 19 სექტემბრით დათარიღებული დოკუმენტი. ესაა ნ. კრესტინსკის წერილი როზენბერგისადმი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ბარსელონაში გენერალური კონსულის გაგზავნა უკვე გადაწყვეტილი იყო, თუმცა ჯერ ირჩეოდა კანდიდატურა, კრემლს სურდა სოლიდური, დიდი რევოლუციური გამოცდილების მქონე ადამიანი გაეგზავნა, რომელიც ბარსელონელ ანარქისტებთან ავტორიტეტის მოპოვებას შეძლებდა, თუმცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ასეთი კანდიდატი ვერ მოიძებნა. წერილში ნ. კრესტინსკი საუბრობს ორ კანდიდატურაზე, ესენია: *თუმანოვი*, რომლის მიხუსი იყო ის, რომ არ იცოდა ესპანური ენა და კატალონიაში შექმნილ რთულ ვითარებაში ალბათ ვერ შეძლებდა ესპანელ ანარქისტებთან საჭირო ავტორიტეტის მოპოვებას, მეორე კანდიდატი იყო ამხ. მირნი, რომელმაც ენა კი იცოდა, მაგრამ მისი დამოუკიდებლად სამუშაოზე გაგზავნა არ შეიძლებოდა. ნ. კრესტინსკი როზენბერგს აზრს უკითხება და კიდევ ერთ გამოსავალს სთავაზობდა „*შეიძლება გავაგზავნოთ თუმანოვი მხოლოდ მრჩევლად ან მირნი პირველ მდივნად, რომ თქვენ ის დატოვოთ მადრიდში, ხოლო ამხანაგი გაიკისი მიავლინოთ ბარსელონაში*“.² ანუ 19 სექტემბერს ჯერ კიდევ ირჩეოდა კანდიდატურა, მოგვიანებით დასახელებული ვ. ანტონოვ-ოვსეენკო აგვისტოს ბოლოს ვერანაირად ვერ მოხვდებოდა ესპანეთში გენერალური კონსულის რანგში.

კონსულის დანიშვნის და ჩასვლის ზუსტი დრო არაა იმდენად მნიშვნელოვანი, მთავარია, ვ. ანტონოვ-ოვსეენკოს მისია ესპანეთში არ ჰგავდა როზენბერგისას, მას სხვა დატვირთვა ჰქონდა საბჭოთა პოლიტიკისთვის, ამასთან განსხვავებული იყო მათი მუშაობის სტილიც. ცოტა ხანში გაჩნდა აუცილებლობა, კიდევ ერთი საბჭოთა წარმომადგენელი ყოფილიყო ამჯერად ესპანეთის ჩრდილოეთში. თუმცა, როგორც ჩანს, თავიდან მოსკოვი უარს ამბობდა ახალი წარმომადგენლის გაგზავნაზე და უთითებდა რომელიმე პასუხისმგებელი მუშაკი გაეგზავნათ უკვე არსებული მისიებიდან, მაგრამ ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამაზე საუბრობს ნ. კრესტინსკი *ლაზარ კაგანოვიჩისადმი* მიწერილ

lan press, 1994, გვ. 50.

¹ **M. Casanova.** La diplomacia española durante la guerra civil, Madrid, 1996, გვ. 69.

² *АВП РФ, Фонд 010. Опись 11. папка 71. Дело 53 Л. 78.*

წერილში 1936 წ. 17 ოქტომბერს. წერილში ნათქვამია: „მადრიდში სსრკ წარმომადგენლობაში ორი პოლიტიკური მუშაკია: როზენბერგი და გაიკისი, ამათგან ვერცერთი დატოვებს მადრიდს, რამდენადაც გაიკისი ერთადერთია, ვინც ენა იცის. იმისთვის, რომ ბილბაოში გაიგზავნოს წარმომადგენელი, საჭიროა როზენბერგის თხოვნის დაკმაყოფილება კიდევ ერთი პოლიტიკური მუშაკის გაგზავნის თაობაზე“. წერილში შემოთავაზებულია ადრე ნახსენები თუმანოვის კანდიდატურა, რომელიც გაიგზავნა კიდევ ბილბაოში და რომელიც ერთ-ერთი ესპანელი მკვლევარის თქმით: „სხვა არავინ იყო თუ არა „HKBD“ ხელმძღვანელი ამ ზონაში“.¹

მ. როზენბერგი მალე აღმოჩნდა უხერხულ მდგომარეობაში: მისი ჩამოსვლა გაიგივებული იყო სწრაფ დახმარებასთან, რომელიც მოსკოვიდან უნდა წამოსულიყო, მაგრამ სტალინი ფეხს ითრევდა. როზენბერგის არაერთგზის გამოგზავნილ წერილებზე მ. ლიტვინოვის პასუხი იყო შემდეგი: „საკითხი ესპანეთის დახმარების შესახებ განიხილებოდა ბევრჯერ თქვენი გამგზავრების შემდეგ, მაგრამ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ აქედან შეუძლებელია რამის გაგზავნა. აუცილებელია განემარტოს მეგობრებს, რომ ტერიტორიული სიძორის, მოთხოვნილი კალიბრის შაშხანების და ტყვიების არქონის, მემბოხეების მიერ ტრანსპორტის დაჭერის საფრთხის გამო ჩვენი შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია, ამასთან ჩვენი მხრიდან დახმარება მისცემდა გერმანიას და იტალიას ღია ინტრევენციის და მემბოხეების იმ დოზით მომარაგების საბაბს რასაც ჩვენ ნამდვილად ვერ დავუწევით“.²

ასეთ ვითარებაში როზენბერგს უხდებოდა ესპანეთის მთავრობის პრეტენზიების მოსმენა, განსაკუთრებით პრემიერ მინისტრისგან. როგორც ამერიკელი ჟურნალისტი ლუის ფიშერი თავის წიგნში იხსენებს: „როცა მე გადავეცი ლარგო კაბალიეროს ურიცკის (სემიონ ურიცკი იმ დროს სამხედრო დაზვერვის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი – **ზ.გ.**) ნათქვამი, რომ ესპანეთის მთავრობამ უნდა მოითხოვოს მეტი ამუნიცია, მან გაოცება გამოხატა. ჩვენ ვითხოვეთ ყველაფერი, მაგრამ ძალიან ძნელია როზენბერგთან საუბარი. ის გისმენს და არაფერს გუბნება... როზენბერგის სიტყვაძვირობა ხშირად აღიზიანებდა ექსპანსიურ ესპანელებს“.³

¹ Miguel Vázquez Liñán. Propaganda y política de la Unión Soviética en la Guerra Civil Española (1936 1939). Tesis PhD. Universidad Complutence de Madrid (2003), გვ. 56 (<http://biblioteca.ucm.es/tesis/19972000/S/3/S3042601.pdf>).

² АВП РФ, Фонд 010. Опись 11. папка 71. Дело 53 Л. 58.

³ Men and politics, An autobiography Louis Fischer. New York, Duell, Sloan and Pearce,

როზენბერგი ძალიან კარგად ხვდებოდა, რომ სტალინის პოლიტიკა ესპანეთში ჰიტლერის მსგავსი იყო, ანუ სტალინს რესპუბლიკის სწრაფი გამარჯვება არ აწყობდა, მაგრამ ამ საკითხში მისი კომპეტენცია ძალიან შეზღუდული იყო და რომც მოენდომებინა ვერაფერს შეცვლიდა. როზენბერგის და ანტონოვ-ოვსენკოს ქცევა ესპანეთში იყო პრინციპულად ინტერვენციონისტული, მაგრამ არსებითი განსხვავებული პიროვნული და მუშაობის სტილის თვალსაზრისით. ბრალდებები ძირითადად იყო როზენბერგის მიმართ. ესაა საკუთარი მნიშვნელობის გაზვიადება, რესპუბლიკური მთავრობისადმი უყურადღებობა და უპატივცემლობა, თვითნებობა და ა.შ. მისი ცხოვრების სტილიც კი განსხვავებული იყო იმ სტილისგან, როგორც ის ცხოვრობდა პარიზსა და ქენევაში.

ლუის ფიშერი, რომელიც ხშირად სტუმრობდა როზენბერგს, იხსენებდა: „მას მუ ვხვდებოდი თითქმის ყოველდღე სანამ მადრიდს დატოვებდა. ჩვენ ვსაუბრობდით ან მის კაბინეტში, ან ჰარკში, სადაც მანქანით დავყავდი, ან კიდეც მუშათა კვარტლებში, სადაც ფეხით ვსეირნობდით. ის სუსტი და ავადმყოფი ადამიანი იყო და ყოველდღიურად გარკვეული დოზით ფიზიკურ დატვირთვას საჭიროებდა, როცა მანქანით ვმგზავრობდით, ერთი პიროვნება ესპანური დაზვერვის სამსახურიდან იქდა მძღოლის გვერდით, ჩვენ მანქანას მოჰყვებოდა სხვა მანქანა, რომელშიც იქდა ექვსამდე ახალგაზრდა დაცვის წევრი. როგორც კი როზენბერგის მანქანა გაჩერდებოდა ისინი სწრაფად გადმოხტებოდნენ თავიანთი მანქანიდან. დაყვებოდნენ მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ზოგჯერ ის შემოტრიალდებოდა და დაუცავხანებდა მათ, როცა შედიოდა საპირფარეშოში გარშემოურტყმებოდნენ კაბინის თხელ კედელს და ელოდებოდნენ“.¹

როზენბერგმა ესპანური ენა არ იცოდა და არც ესპანელების ხასიათს იცნობდა, საინტერესო ისაა, რომ არც ცდილობდა ესპანელების სულის სიდრმის გამოძიებას, რაც მისი პიროვნებისთვის უჩვეულოა. ისევ ფიშერს მოყვანილი აქვს ფაქტი, რომლის დროსაც საბჭოთა ელჩმა ელემენტარული უპიცობა ანაც გულგრილობა გამოავლინა. „ჩვენ გავდივით ჰარკში სადაც ამ დროს ვარჯიშობდნენ მილიციელები, მათ მაშინათვე იცნეს ელჩი, მიესალმნენ ზეაწეული მუშტებით და შეძახილით „Viva Rusia!“ „Viva España!“ – უპასუხა ელჩმა. ამაზე ისინი შეცბნენ. ეს ფაშისტური შეძახილია ვუთხარი მე მას, თქვენ უნდა გეთქვას „Viva La Republica!“ „Viva La

1941, გვ. 412.

¹ Men and politics..., გვ. 361.

Republica!“ – გაიმეორა მან ხმამაღლა.¹

სოციალისტების ერთ-ერთი ლიდერი ლუის არაკისტაინი როზენბერგის ქცევებს ესპანეთში შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მეტი ვიდრე ელჩი, [როზენბერგი] იქცეოდა როგორც რუსეთის მეფისნაცვალის ესპანეთში. ის ყოველდღიურად სტუმრობდა ლარგო კაბალიეროს, ხშირად მაღალი რანგის რუსი სამხედრო თუ სამოქალაქო პირების თანხლებით. ამ ვიზიტების დროს, რომელიც საათობით გრძელდებოდა როზენბერგი ცდილობდა ესპანეთის მთავრობის მეთაურისთვის ინსტრუქციები მიეცა... მისი წინადადებები, რომელიც პრაქტიკულად ბრძანებები იყო, უკავშირდებოდა ძირითადად არმიის ოფიცრებს, რომელი გენერალი თუ პოლკოვნიკი იყო შესაცვლელი და ვინ უნდა დანიშნულიყო მათ ადგილას. ეს რეკომენდაციები ემყარებოდა არა ოფიცრების კომპეტენციას, არამედ მათ პოლიტიკურ მრწამსს და კომუნისტებისადმი მათ ლოიალობას“.²

როზენბერგი, როგორც ამბობდა კორტესების დეპუტატი მემარცხენე სოციალისტებიდან ხინეს განგა „ატარებდა ჯიბის ბლოკნოტს შენიშვნებით... მიზანშეწონილი იქნებოდა X-ის შეცვლა, ამა და ამ დივიზიის მეთაურის შეცვლა Z-თი. A – ამა და ამ სამინისტროს მუშაკი, ვერ ასრულებს თავის მოვალეობას მიზანშეწონილი იქნებოდა მისი შეცვლა B-თი. აუცილებელია M-ის დაპატიმრება და მისი პასუხისგებაში მიცემა არალოიალობის გამო და დაუსრულებლად“.³

ამერიკელი ისტორიკოსი ბარნეთ ბოლოთენი ვარაუდობს, რომ მაღალი რანგის საბჭოთა ოფიცრებიდან, რომელიც როზენბერგს თან ახლდა ლარგო კაბალიეროსთან ხშირი ვიზიტების დროს იყო ალექსანდრე ორლოვი, რომელსაც უქვევლია მაღალი რანგის საბჭოთა დიპლომატები მუდმივი თვალთვალის ქვეშ ჰყავდა. ამოცანა იმითაც მარტივდებოდა, რომ მისი შტაბი განთავსებული იყო საბჭოთა საელჩოში. აქედან გამომდინარე, ასკვნის: თუ როზენბერგი კრემლის პოლიტიკას გადაუხვევდა ან გაბედავდა შინსახკომის მეთოდების გაკრიტიკებას, როგორც ეს გააკეთეს მაგალითად, ბერზინმა და სტამეცკიმ, მისი ეს ქცევა დაუყოვნებლივ ეცოდინებოდა კრემლს.⁴

¹ *Men and politics...*, გვ. 361.

² **Burnett Bolloten.** The Spanish Civil War: Revolution and Counterrevolution, *University of North Carolina Press*, 1991, გვ. 319; **Daniel Kowalsky.** La Unión Soviética y la Guerra civil española., გვ. 32.

³ **Burnett Bolloten.** The Spanish Civil War., გვ. 319.

⁴ **Burnett Bolloten.** The Spanish Civil War., გვ. 319.

როზენბერგის ქცევები ეწინააღმდეგებოდა იმ დიპლომატიის სიტყვებს, რომელიც ამას წინათ რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების პატივისცემის ვალდებულებას იღებდა. თუ ბევრი ჩინოვნიკი ტოლერანტული იყო საბჭოთა ელჩის მიმართ ეს დაკავშირებული იყო ომის მოთხოვნებთან და რუსული სამხედრო დახმარების მნიშვნელობასთან, მაგრამ პრემიერ-მინისტრი ლარგო კაბალიერო დაიღალა როზენბერგის ხშირი ვიზიტებით, არაორაზროვანი მოთხოვნებით და უხეშობით.

როზენბერგს ვიზიტების დროს თარჯიმნობას უწევდა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ხულიო ალვარეს დელ ვაიო, რომლის შესახებაც ი. პრიეტო ამბობს: „ალვარეს დელ ვაიო როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი იყო არა მხოლოდ თარჯიმანი როზენბერგის მთავრობის მეთაურთან ხშირი ვიზიტებისას არამედ გადიოდა ელჩთან და რუს სამხედრო ძრჩევლებთან კონსულტაციებს თითქოს იყო მათი უპირობო მოკავშირე და თითქოს განსხვავებული მოტივი და ინტერესი ესპანეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში არ შეიძლებოდა ჰქონოდა“.¹ როზენბერგის თავხედურმა, თავდაჯერებულობამ და აბეზარმა ქცევამ რესპუბლიკური მთავრობიდან ბევრი მის საწინააღმდეგოდ განაწყობა, ეს ეხებოდა საკუთარ თანამშრომლებსაც.

სამხედრო არქივში არის დოკუმენტი, სადაც სამხედრო ატაშე ვლადიმირ გორევი ჩივის როზენბერგის ქცევებთან დაკავშირებით. 1936 წ. 16 ოქტომბერს კლიმენტი ვოროშილოვისადმი მიწერილ წერილში საუბრობდა, რომ ელჩს ეშინოდა ძალუფლების დაკარგვის, რომ ვინმეს შეეძლო მასზე მეტი გავლენა, უქმად ხარჯავდა ენერგიას ყველაფრის შემოწმება-ინსპექტირებაში, თავისუფალი მუშაობის საშუალებას არ აძლევდა თანამშრომლებს, ნერვიულობდა, როცა ვინმე ცდილობდა საკითხში ჩაღრმავებას და ა.შ. „... რა თქმა უნდა ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ არაა კარგი აქაური საქმისთვის. მსუბუქი თვალთვალის მისი მხრიდან ნიშნავს, რომ მას ხეების თვლაში ტყე გამოჩნდება. არ იქნებოდა ცუდი მიგეწერათ მისთვის წერილი კარგი მეგობრული რჩევებით ამ პრობლემაზე, მაგრამ გთხოვთ გააკეთოთ ეს ფრთხილად ისე რომ მე არ გამომაჩინოთ“.²

სხვებიც იზიარებდნენ ამ შეფასებას. საბჭოთა საელჩოს პოლიტიკური მუშაკი ლეონიდ გაიკისი აცნობებდა მოსკოვს, რომ მადრიდში ჩამოსვლიდან მოკლე ხანში მას მოუვიდა პირველი წაკინკლავება როზენ-

¹ Miguel Vázquez Liñán. Propaganda y política de la Unión Soviética., გვ. 58.

² RGVA, f. 33987, op. 3, d. 832, l. 239. Cited in Spain Betrayed, Document 26, გვ. 94-95.

ბერგთან. ელჩი ელაპარაკა მას „ისე როგორც ბოლშევიკი არ უნდა ლაპარაკობდეს“.¹ ამასთან დაკავშირებით მქსიმ ლიტვინოვი გაიკისისაღმი წერილში, 1936 წ. 28 დეკემბერს, წერდა: „თქვენთვის რა თქმა უნდა ცნობილია, რომ ამხ. როზენბერგი ჯერ კიდევ თავის მოსკოვში ჩამოსვლამდე აყენებდა საკითხს თქვენთან თანამშრომლობის შეუძლებლობის შესახებ. ეს საკითხი მან დააყენა კვლავ მოსკოვში ჩამოსვლისას, როზენბერგი გაძლევთ თქვენ ბრწყინვალე დახასიათებას როგორც პოლიტიკურ მუშაკს, მაგრამ ჩივის თქვენი მხრიდან ლოიალობის სინაკლებეზე, თვითნებურ მოქმედებებზე, მასთან შეუთანხმებლობაზე... ჩვენ როზენბერგის განცხადება არასაკმარისად მივიჩინეთ და გადავარწმუნეთ იგი. მე გთხოვთ, გააკეთოთ ყველაფერი, რაც თქვენზეა დამოკიდებული, რათა დააღაგოთ მეგობრული, ამხანაგური ურთიერთობა როზენბერგთან, თქვენ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ესპანეთში მუშაობაზე პასუხისმგებელი არის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, დანარჩენი მუშაკები მას უნდა დაემორჩილონ და მოვალენი არიან შეასრულონ მისი დირექტივები“.²

მოკლედ 1936 წლის დეკემბერში საუბრებმა როზენბერგის საექვო ქცევებთან დაკავშირებით მიაღწია სტალინის ყურამდე. შედეგად საბჭოთა ლიდერმა ლარგო კაბალიეროს გაუგზავნა პირადი წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, თხოვდა შეეფასებინა როზენბერგის საქმიანობა ესპანეთში. აღნიშნული წერილი, თუ ჰიუ თომასს დავუჯერებთ, კაბალიეროს ოფისში მოვიდა 21 დეკემბერს და ვერავინ ამოიკითხა ვინ აწერდა ხელს, მოიწვიეს კომინტერნის აგენტი კოდოვილია, მაგრამ ვერც მან გაარჩია. მხოლოდ როზენბერგის თანამშრომლებმა საბჭოთა საელჩოდან გამიფრეს სტალინის მოლოტოვის და ვოროშილოვის გვარები.³

აღნიშნული წერილი, რომელიც კონკრეტულ ინსტრუქციებს შეიცავს, ყოველმხრივ საინტერესოა. მასში სტალინი ვრცლად საუბრობს ესპანური რევოლუციის თავისებურებაზე, იმ სპეციფიკაზე, რითაც ის რუსული რევოლუციისგან განსხვავდება და ვარაუდობს, რომ ესპანური რევოლუციის განვითარებისთვის საპარლამენტო გზა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა და ა.შ. საუბრობს საბჭოთა სამხედრო ინსტრუქტორების ამოცანებზე და აღნიშნავს: „მათ კატეგორიულად უნდა გაითავისონ და მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ მიუხედავად სრულად გაცნობიერებული სოლიდარობისა, რაც აკავშირებს ერთმანეთთან ესპანელ და საბჭოთა ხალხებს,

¹ *Spain Betrayed..*, გვ. 298.

² АВП РФ, Фонд 010. Опись 11. папка 71. Дело 53. Л. 170.

³ **Хью Томас.** Гражданская война в Испании., გვ. 341.

ესპანეთში მყოფი საბჭოთა ამხანაგები შეიძლება ჭეშმარიტად სასარგებლო იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მკაცრად შეასრულებს მრჩევლის და მხოლოდ მრჩევლის როლს. ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის ზუსტად ის ფორმა, რომელშიც გამოიყენებთ ჩვენს სამხედრო ამხანაგებს. გთხოვთ მეგობრულად, შეგვაცხოვბინოთ რა ეფექტურობით შეასრულებენ ისინი მათთვის მინდობილ ამოცანებს; იმ შემთხვევაში მხოლოდ თუ თქვენ მიიჩნევთ მათ სამსახურს პოზიტიურად სასარგებლო იქნებოდა მათი საქმიანობის გაგრძელება. ჩვენ ასევე გვინდოდა გვეკითხა გვაცნობოთ დიად და გულწრფელად თქვენ აზრი ამხანაგ როზენბერგის შესახებ: არის ესპანეთის მთავრობა კმაყოფილი მისით თუ შეიცვალოს ის სხვა წარმომადგენლით?“. ¹

საპასუხო წერილში, რომელიც თარიღდება 12 იანვრით და არა 2 იანვრით, როგორც ეს არის ჰასლამთან ² (თუმცა არაა გამორიცხული, ეს გადაბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომა იყოს), კაბალიეროს პოზიცია კორექტული და კეთილგანწყობილი იყო როზენბერგის და სხვა რუსი სამხედრო მრჩევლების მიმართ: „ის ამხანაგები, რომლებიც მოვიდნენ ჩვენს დასახმარებლად დიდ სამსახურს გვიწვევენ. მათი უზარმაზარი გამოცდილება სასარგებლოა ჩვენთვის.... მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ისინი თავიანთ მოვალეობებს უზადო ენთუზიაზმით და უჩვეულო სიმამაცით ასრულებენ. რაც შეეხება ამხანაგ როზენბერგს მე შემიძლია, მთელი გულწრფელობით ვთქვა, რომ ჩვენ კმაყოფილები ვართ მისი ქცევით და მოღვაწეობით. ის აქ ყველას უყვარს, ძალიან ბევრს მუშაობს და საფრთხის ქვეშ აყენებს თავის ისედაც სუსტ ჯანმრთელობას“. ³ წერილი საინტერესოა თავისთავად და ძნელი შესაფასებელი, რა აზრი დევს მასში, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ეჭვქვეშ დგება ცნობილი ისტორიები მომხდარი ელჩისა და პრემიერს შორის, თუ ეს არის პრემიერის მხრიდან საბჭოთა ხელმძღვანელობასთან საუკეთესო ურთიერთობის სურვილის მაჩვენებელი. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ზუსტი ფორმულა მოცემულია ლუის არაკისტაინთან. კაბალიეროს პასუხი იყო არაერთაზროვანი, მაგრამ მსუბუქად ნეგატიური „ელჩის ჯანმრთელობაზე ყურადღების გამახ-

¹ *History in Dispute The Spanish Civil War*, Volume 18. Edited by **Kenneth W. Estes, Daniel Kowalsky**. Detroit New York, San Francisco 2005, გვ. 227; *Война и революция*, გვ.420

² **Jonathan Haslam**. *The Soviet Union and the Struggle..*, გვ. 130.

³ **Andrew Forrest**. *The Spanish Civil War*. London, 2000, გვ. 106; *Война и революция..*, გვ. 421.

ვილებით, როგორც ჩანს მიანიშნა კაბალიერომ „შესაძლოა ჰაერის გამოცვლამ მასზე კარგად იმოქმედოსო“.¹

მალე ახალი და სერიოზული კონფლიქტი მომწიფდა პრემიერსა და ელჩის შორის. როზენბერგის ურთიერთობა ლარგო კაბალიეროსთან განსაკუთრებულად დაიძაბა გენერალ ასენსიოსთან დაკავშირებით. ლარგო კაბალიერომ, რომელიც ასევე იყო თავდაცვის მინისტრი, მოადგილედ დანიშნა გენერალი ხოსე ასენსიო, კომუნისტები მას განიხილავდნენ, როგორც მთავარ წინააღმდეგობას სრული კონტროლი დაემყარებინათ არმიის, ამიტომაც ეძებდნენ მიზეზს მის მოსაშორებლად. მაღაგის დაცემის შემდეგ ასენსიო გახდა მთავარი სამიზნე. ამ კამპანიას ასე აღწერს ლარგო კაბალიერო თავის მოგონებებში: „კომუნისტური პარტიის მიერ გენერალ ასენსიოს წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას არ აქვს სახელი. ეს არის რეზიკონის გადაღაცხვად უარის თქმა, სხვა ახსნა ამას არ აქვს... მე უნდა შემეცვალა ის არმიის მმართველობიდან და შემეცვალა გენერალ ჰოსასით... რატომ? ვკითხებოდი მათ, „იმიტომ რომ ის არის მოდალატი“... საბუთი, მტკიცებულება? პასუხობდნენ „მოვიტანთ“. ეს სცენა მუორდებოდა მუდმივად კომუნისტური პარტიის კომიტეტის, მათი მინისტრების, მათი ელჩის მიერ, მაგრამ არასდროს არაფერი მოუტანიათ.²... ბოლოს, როგორც ჩანს, წამოაყენეს უმწეო არგუმენტები, რომ ის იყო ლოთი და მექალთანე. ერთხელაც, არც მეტი არც ნაკლები, რუსი ელჩი სენიორ როზენბერგი მეწვია ალვარეს დელ ვაიოს თანხლებით იგივე მოთხოვნით, რასაც ითხოვდა პარტიის კომიტეტი. ეს იყო ბოლო წვეთი, ავდექი სკამიდან და არადიპლომატიური ტონით მოვთხოვე მას გასულიყო და ამ თემაზე მეორედ არ ელაპარაკა“.³

ალვარეს დელ ვაიოსთან მარტო დარჩენილმა პრემიერმა უსაყვედურა მინისტრს კომუნისტებთან ახლო ურთიერთობების გამო, ასევე ის, რომ მტკიცებულებების გარეშე გენერალს დალატში სდებდნენ ბრალს მაშინ, როცა პრემიერს, პირიქით, კომუნისტების ლოიალობასა და პატიოსნებაში ეპარებოდა ეჭვი და ამის მტკიცებულებებიც გააჩნდა. რაზედაც მინისტრმა „მიპასუხა მხოლოდ, როცა ხალხი ამას ამბობს თუნდაც უსამართლოდ, საჭიროა მისი დათხოვნა. კარგი თეორია! მაგრამ ვინ ხალხი

¹ Daniel Kowalsky. La Unión Soviética y la Guerra civil española., გვ. 29.

² Francisco Largo Caballero. Mis recuerdos. Cartas a un amigo. Mexico, 1976, გვ. 113 (<http://bataillesocialiste.files.wordpress.com/2007/07/largo-caballero-recuerdos.pdf>).

³ Francisco Largo Caballero, Mis recuerdos., გვ. 114.

ამბობს? მხოლოდ კომუნისტები და არავინ სხვა“ – წერს კაბალიერო.¹

ეს შემთხვევა დასტურდება უამრავი თვითმხილველის მიერ, იგი ხატოვნად აქვს აღწერილი ზემოთ ნახსენებ ხინეს განგას, რომელიც ამტკიცებს, რომ როზენბერგი დაემუქრა საბჭოთა დახმარების შეწყვეტითაც კი, სანამ დაკმაყოფილებული არ იქნებოდა მისი მოთხოვნა. „ერთ დღეს როზენბერგის ვიზიტი გაგრძელდა თითქმის ორი საათი, უცებ მოისმა მოხუცის [კაბალიეროს] ყვირილი, მღივნები შეგროვდნენ კარებთან, მაგრამ ვერავინ ბედავდა შესვლას, კაბალიეროს ყვირილი უფრო ინტენსიური ხდებოდა, შემდეგ ყველასთვის მოულოდნელად გაიღო კარები, ასაკოვანი პრემიერი იღგა თავისი მაგიდის წინ ხელი გაშლილი ჰქონდა, თითოთ კარებისკენ უთითებდა და ათრთოლებული ხმით იძვრობდა: „მიბრძანდით, მიბრძანდით“ თქვენ უნდა იცოდეთ, ამხანაგო ელჩო მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ესპანელები დარიბები ვართ და უცხოური დახმარება გჭირდება ჩვენ საკმაოდ ამაყები ვართ იმისთვის, რომ უცხოელს არ მივცეთ ნება, თავს მოახვიოს თავისი სურვილი მთავრობის მეთაურს! შემდეგ მიუბრუნდა საგარეო საქმეთა მინისტრს და უთხრა: უკეთესი იქნება დაიხსომოთ თქვენ ხართ ესპანელი და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და თქვენ არ უნდა შეკავშირდეთ უცხოელ დიპლომატთან რათა ზეწოლა მოახდინოთ საკუთარი ქვეყნის პრემიერ მინისტრზე.“² საბოლოო ჯამში 1937 წლის 21 თებერვალს ასენსიო გადაყენებულ იქნა და მის ადგილას დაინიშნა კარლოს დე ბარაიბარი, ისევ ლარგო კაბალიეროს გარემოცვიდან.

მიუხედავად ზემოთ მოტანილი ფაქტებისა და მიღებული აზრისა, ზოგიერთი ისტორიკოსი (მათ შორის თანამედროვე რუსი ისტორიკოსი ნიკოლაი პლატოშკინი) წერს, რომ არც როზენბერგი და არც ანტონოვოვსეენკო არ მონაწილეობდნენ საკადრო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ესპანეთის ხელმძღვანელობისა და მითუმეტეს არ ახვევდნენ ესპანელებს საკუთარ კანდიდატურებს. როცა 1937 წ. მარტში ანტონოვოვსეენკო ჩაება საჯარო პოლემიკაში ანარქისტულ გაზეთთან – „Solidaridad Obrera“, როზენბერგმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ითხოვა მიეცათ მითითება გენერალური კონსულისთვის შეეწყვიტა მსგავსი მოქმედება, რათა არ შელახულიყო ანარქისტი ლიდერების თავ-

¹ **Francisco Largo Caballero**, Mis recuerdos., გვ. 114.

² **Burnett Bolloten**. The Grand Camouflage: The Communist Conspiracy in the Spanish Civil War. London, *Hollis & Carter*, 1961, გვ. 273; **Michael Alpert**. New International History of the Spanish Civil War, გვ. 72.

მოყვარეობა; და მაინც როზენბერგმა კაბალიეროს რისხვა გამოიწვია იმის გამო, რომ მოითხოვდა ომის უფრო ენერგიულ წარმოებას და სამხედრო დახმარების უფრო ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებას.¹

რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ალვარეს დელ ვაიო აფასებდა რა როზენბერგის მუშაობას, წერდა: „ნაციისტებისთვის ხელსაყრელ ატმოსფეროში ამბოხებულთა პროპაგანდამ წარმოადგინა იგი როგორც „წითელი ესპანეთის“ ნამდვილი დიქტატორი, რიგი „აღმოჩენები“ გაკეთებული დევნილობაში მყოფი დიპლომატიური სამსახურის ყოფილი წევრების მიერ ემსახურებოდა ამ აზრის განმტკიცებას, რომ როზენბერგი თავისი ელჩობის განმავლობაში წარმართავდა ესპანეთის საგარეო პოლიტიკას. რომ არ იყოს თანაბრად ამაო და უბადრუკი ამ სახის პოლემიკაში შესვლა მე შემძლია მოვიყვანო უამრავი ფაქტი ამის უსაფუძვლობის და აბსურდულობის დასამტკიცებლად, მათ პასუხი გაეცემათ და ამის დროც მალე მოვა“.²

ბოლოს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 1937 წლის თებერვალში როზენბერგი გაიწვიეს მოსკოვში, როგორც ფიშერი იხსენებს, ჭორები გავრცელდა მისი დასჯის შესახებ, მაგრამ „ავისტოს თვეში მე მას შევხვდი კაფე მეტროპოლში, მოსკოვში ჩემი ვიზიტის დროს და მითხრა, რომ დაინიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლად თბილისში, თუმცა მას ეს ადგილი არასდროს დაუკავებია და ის დაიკარგა 1937 წლის შემდეგ, არის ის მკვდარი? ვინ იცის! არც მისმა ოჯახმა იცის რამე. გაურკვევლობა – აი საბჭოთა წმენდის ერთ-ერთი ყველაზე საშინელი თავისებურება“.³

დაპატიმრებამდე როზენბერგი ცხოვრობდა მისამართზე სტრომინსკის შესახვევი, სახლი 7/23, ბინა, 4. თავისი სახლის ფანჯრებიდან ის გაჰყურებდა ციხე „მატროსსკაია ტიშინას“ და თავისი მომავალიც ძალიან ბუნდოვნად ესახებოდა. ბოლოს გადაწყვიტა წერილი მიეწერა სტალინისთვის. პასუხი ამ წერილზე, რა თქმა უნდა, არ ყოფილა. 1937 წლის 26 დეკემბერს როზენბერგი დააპატიმრეს, ჩხრეკა ჩაატარეს სწრაფად და ფორმალურად. წაყვანის წინ ცოლს დაუბარა, რომ მისი ბელით არ დაინტერესებულიყო. 1955 წელს მოსკოვში ჩამოსულმა ცნობილმა ჟურნალისტმა და მ. როზენბერგის მეგობარმა *ჟენევივა ტაბუიმ* სცადა მისი

¹ Н. Н. Платошкин. Гражданская война в Испании. 1936-1939 гг, Москва, Издательский дом «ОЛМА-ПРЕСС», 2005, გვ. 313.

² Julio Alvarez Del Vayo. Freedoms's Battle., გვ. 242.

³ Men and politics., გვ. 437.

ბედის გარკვევა, არ არის ცნობილი, არ ვიცით, ეს იყო პასუხები, თითქოს ასეთი ადამიანი არც არსებობდა.

1957 წელს მარსელის ცოლმა *მარიანა იაროსლავკაიამ* (გუბელმანი) მიიღო ცნობა, სადაც ეწერა: 1938 წლის 8 აპრილს დახვრეტილი *მარსელ იზრაელის ძე როზენბერგის* მიმართ საქმე ახლად გამოვლენილი გარემოებების და დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო დახურულია, ხოლო როზენბერგი რეაბილიტირებული სიკვდილის შემდეგ. სიკვდილის შემდეგ მოახდინეს მისი რეაბილიტაცია პარტიული ხაზითაც 1990 წლის 13 მარტს. როზენბერგის, როგორც „ცნობილი საბჭოთა დიპლომატის“, პროფესიული აღიარება უფრო ადრე მოხდა.

ZAAL GOGENIA

SOVIET DIPLOMAT MARCEL ROSENBERG

Summary

The establishment of the diplomatic relations with Spain meant a new stage of mutual relations with this state for the Soviet leadership. Marcel Rosenberg was appointed as a plenipotentiary representative of the USSR in Spain. He did not know Spanish and was not a familiar with character of Spaniards. However, when appointing him the Soviet leadership considered his abilities in secret diplomacy and informal negotiations. This indicates that ambassador had been sent with a special mission to Spain. Rosenberg's self-confidence, his impudent tricks have soon caused a conflict with the Prime Minister of Spain. Rosenberg's acts irritated also his own employees as is clearly seen in the archival documents, cited in this article.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ლია გაბლიშვილი

საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების ოფიციალური და სამუშაო ვიზიტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში: ჩინური პრესის მასალების მიხედვით

საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებში თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების (1991 წ. 9 აპრილი) შემდეგ. ჯერ კიდევ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში, 1991 წ. 27 აგვისტოს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ერთ-ერთმა პირველმა, გააკეთა განცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. იმავე წლის 27 დეკემბერს კი უკვე ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს წევრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ციენ ციჩენმა (钱其琛) დეპუტა გამოუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მურმან ომანიძეს, რომელშიც ატყობინებდა თავის ქართველ კოლეგას, რომ ჩინეთის მთავრობა ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.¹

1992 წ. 9 ივნისს ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელმა ვანგ ძინცინგმა (ჩინეთის ელჩი რუსეთში) და საქართველოს რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ თბილისში ხელი მოაწერეს „ჩინეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ ერთობლივ კომუნიკეს“.² იმავე წელს, ოქტომბერში, ჩი-

¹ 中国政府承认俄罗斯联邦政府并承认乌克兰等 11 国独立. “二十世纪中国大事全书”, 1993 – ჩინეთის მთავრობამ აღიარა რუსეთის ფედერაციის მთავრობა და ასევე სცნო უკრაინის და სხვა თერთმეტი ქვეყნის დამოუკიდებლობა.; მუოცე საუკუნის ჩინეთის მნიშვნელოვან მოვლენათა ანთოლოგია (<https://xuewen.cnki.net/R2006050960005249.html>).

² 中华人民共和国和格鲁吉亚共和国建交联合公报, 法律图书馆 – ერთობლივი კომუნიკე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. იურიდიული

ნეთმა საქართველოში საელჩო დააფუძნა. ამ დროიდან საქართველოს ხელისუფლება და უშუალოდ ელუარდ შევარდნაძე (რომელმაც, როგორც ქვეყნის პირველმა პირმა, 1992 წ. 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ლეგიტიმაცია შეიძინა და ოფიციალურად გამოცხადდა სახელმწიფოს მეთაურად) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მსოფლიოს ერთ-ერთ ზესახელმწიფოსთან ურთიერთობებს.

ამაში საქართველოს ლიდერს ხელს უწყობდა მისი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის (არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ოფიციალური პეკინისთვის ელუარდ შევარდნაძის ეს სტატუსი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის) პოსტზე ყოფნის პერიოდის დიპლომატიური გამოცდილება და პიროვნული ავტორიტეტი, რომლითაც ის სარგებლობდა ჩინეთის პოლიტიკურ ელიტაში. მართალია, ე. შევარდნაძის, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელის დიპლომატიური მოღვაწეობის ჩინეთის მიმართულების ანალიზი გადის წარმოდგენილი ნაშრომის თემატიკიდან, მაგრამ ზოგიერთი ეპიზოდის გახსენება მაინც ჩავთვალეთ მიზანშეწონილად, რადგან ე. შევარდნაძის ეს მოღვაწეობა პოზიტიურად აისახა მისი, ამჯერად უკვე საქართველოს სახელმწიფოს პირველი პირის რეპუტაციაზე.

პირველად ჩინეთს ოფიციალური ვიზიტით ე. შევარდნაძე, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, 1989 წლის თებერვალში (2-4 თებერვალს) ეწვია.¹ ჩინელი ავტორები განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებენ ე. შევარდნაძის შეხვედრაზე ჩინეთის მაშინდელ ლიდერთან ტუნგ სიაოფინგთან (დენ სიაოპინი). ამ მხრივ აღსანიშნავია ჩინეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ციენ ციჩენის მოგონებები ელუარდ შევარდნაძეზე, რომელშიც ხაზგასმულია მისი პიროვნული როლი ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების ნორმალიზებაში.² იმ პერიოდში (1988-1998 წწ.), როგორც უკვე აღინიშნა, ჩინეთის საგარეო

ბიბლიოთეკა. ქალაქ ხანგჭოუს მეცნიერების და ტექნოლოგიების კომპანია „სინგვუა“ (http://www.law-lib.com/law/law_view.asp?id=77220).

¹ ამ ვიზიტის შესახებ იხ. ოფიციალური ინფორმაცია გაზეთში „ენმინ ჟიბაო“: 李景贤, 邓小平与戈尔巴乔夫会见追忆. ლი ძინგსიენი. ტუნგ სიაოფინგის და გორბაჩოვის შეხვედრის გახსენება. – ჩინეთის კომუნისტური პარტიის ახალი ამბები (<http://cpc.people.com.cn/GB/85037/85038/7407132.html>).

² 谢瓦尔德纳泽访华“破冰” 要花招被邓小平识破 – ტუნგ სიაოფინგი მიუხვდა შევარდნაძეს „ყინულის მსხვერვის“ ეშმაკობას. – თენცენტი (腾讯 Tencent), სატელეკომუნიკაციო კომპანია (<https://news.qq.com/a/20140708/003978.htm>).

საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა ციენ ციჩენს. მათი შეხვედრების დროს წყდებოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ავღანეთიდან ჯარების გაყვანა, კამბოჯის საკითხი და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ტერიტორიაზე სამხედრო დასახლებების საკითხები. ციენ ციჩენი საგანგებოდ ჩერდება შევარდნაძის მცდელობაზე, აეძულე ბინა ჩინური მხარე, ჯერ ოფიციალურად დაედასტურებინათ ტენგ სიაოფინგის და საბჭოთა ლიდერის მიხაილ გორბაჩოვის შეხვედრის თარიღი და მხოლოდ ამის შემდეგ გაეკეთებინათ ერთობლივი განცხადება კამბოჯის საკითხზე, რაც, მისი თქმით, მარცხით დასრულდა. ტენგ სიაოფინგი მიუხვდა შევარდნაძის ამ ჩანაფიქრს და დიპლომატიურად აიძულა ხელი აელო ამ ინიციატივაზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ შეხვედრის დროს განაცხადა ტენგ სიაოფინგმა აწ უკვე „მსოფლიო კლასიკად“ ქცეული სიტყვები: „დავასრულოთ წარსული, გზა გავუხსნათ მომავალს“. ამის შემდეგ მოლაპარაკებები გაგრძელდა მინისტრების დონეზე.

აქვე, ციენ ციჩენი იხსენებს: „ხუთი წლის შემდეგ მე მიმიწვიეს საქართველოში, იქ კვლავ შეხვდით შევარდნაძეს, ის იმ დროს უკვე საქართველოს პრეზიდენტი იყო, უმაღლეს დონეზე და დიდი პატივით (ეტიკეტის ყველა წესის დაცვით) მიმიღეს, მან თავად გამიძარტა საზეიმო მიღება, აეროპორტშიც კი გამაცილა, გაცილებით გულთბილად, ვიდრე მაშინ მოსკოვში“.¹ თავის მხრივ, ე. შევარდნაძე ჩინელ ჟურნალისტთან ინტერვიუში (გამოქვეყნდა /08.01.2004/ ჩინეთის ყველაზე მსხვილი საინფორმაციო ვებპორტალის „ახალი ტალღის“ [新浪] გვერდზე), 1989 წ. 2-4 თებერვალს ჩინეთში განხორციელებული ზემოაღნიშნული ვიზიტისა და ზოგადად მისი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდის შესახებ, აღნიშნავს, რომ ეს იყო უმნიშვნელოვანესი და ყველაზე წარმატებული პერიოდი მის ცხოვრებაში, „მე ნამდვილად დიდი წვლილი მიმიძღვის ჩსრ-ს და სსრკ-ს ურთიერთობების ნორმალიზებაში... მახსოვს, ჩინეთის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მუდამ პრობლემური იყო, საზღვარზე ცუდი ამბებიც ხდებოდა, მაგრამ ბოლოს ჩსრ-ს და სსრკ-ს ლიდერებმა გადაწყვიტეს, დაერეგულირებინათ ორმხრივი ურთიერთობები და გადაეწყვიტათ სახელმწიფოთა სასაზღვრო ზოლის საკითხები“.²

¹ ტენგ სიაოფინგი მიუხვდა შევარდნაძეს „ყინულის მსხვერვის“ ემპაკობას...

² 关键斌, 专访格前总统谢瓦尔德纳泽:我不辞职就会流血, Sina 新闻中心·中国青年报·2004.08.01. – კუან ძიენჰინი. ექსკლუზიური ინტერვიუ ექსპრეზიდენტ შევარდნაძესთან: მე რომ არ გადავმდგარიყავი, სისხლი დაიდვრებოდა (<http://news.sina.com.cn/w/2004-01-08/06042574315.shtml>). ამავე ინტერვიუ-

1993 წ. 23 აპრილს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველმა ელჩმა საქართველოში ვანგ ფენგსიანგმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს ელუარდ შევარდნაძეს გადასცა რწმუნებათა სიგელები, ხოლო 1993 წ. 2-4 ივნისს ჩსრ-ის თავმჯდომარის ძიანგ ძემინის მოწვევით საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ელუარდ შევარდნაძემ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში განახორციელა პირველი ოფიციალური ვიზიტი. მხარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს,¹ ორი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ პროტოკოლს, ორი სახელმწიფოს მთავრობათა სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ შეთანხმებას და შეთანხმებას სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, საბაჟო, სპორტის, კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. სულ შევარდნაძის პირველი ვიზიტისას ხელი მოეწერა 17 დოკუმენტს, რომლითაც დასაბამი მიეცა თვისობრივად ახალ ეტაპს ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომუნიკეს“ ჩინურ ვერსიაში, რომელსაც 1993 წლის 2 ივნისს პეკინში ხელი მოაწერეს ჩინეთისა და საქართველოს ლიდერებმა ძიანგ ძემინმა და ელუარდ შევარდნაძემ, ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ძიანგ ძემინის მოწვევით საქართველოს

ში ე. შევარდნაძე საუბრობს თავის როლზე საქართველოს ისტორიაში; ამბობს, რომ სახელმწიფოს სათავეში მისი მოსვლის დროს ქვეყანა სავალალო მდგომარეობაში იყო და ამის ფონზე ძნელი იყო ქვეყნის შენება; ბევრი რამის გაკეთება შეძლო, მაგრამ გეგმების, მათ შორის ახალი აბრეშუმის გზასთან დაკავშირებული და სხვ. განხორციელება ვერ მოახერხა. მთავარი მაინც ის არის – თვლის შევარდნაძე, რომ მან ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმო და თუ მათ ნამდვილად აქვთ ნიჭი, ისინი შეძლებენ ორსამ წელიწადში არსებულ ბაზაზე ადორდინონ საქართველო.

¹ 中华人民共和国和格鲁吉亚共和国联合声明 – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომუნიკე. – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს უწყებანი, #11, 1993

([https://pay.cnki.net/zscsdoc/download?flag=cnkispac&plat=cnkispac&filename=GWYB199311019&dbtype=CJFD&year=1993&dtype=pdf&uid=WEEvREcwSIJHSl dTTEYzWEpYnINa1JpeFlmb25MUzBjYkZja1RXZ1JRTT0=\\$9A4hF_YAuvQ5obgVAq NKPCYcEjKensW4ggi8Fm4gTkoUKalD8j8gFw!!](https://pay.cnki.net/zscsdoc/download?flag=cnkispac&plat=cnkispac&filename=GWYB199311019&dbtype=CJFD&year=1993&dtype=pdf&uid=WEEvREcwSIJHSl dTTEYzWEpYnINa1JpeFlmb25MUzBjYkZja1RXZ1JRTT0=$9A4hF_YAuvQ5obgVAq NKPCYcEjKensW4ggi8Fm4gTkoUKalD8j8gFw!!)).

რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ე. შევარდნაძემ 1993 წლის 2-4 ივნისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტი განახორციელა. ვიზიტისას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ძიანგ ძემინმა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურთან მეგობრულ, გულანდილ და საქმიან ატმოსფეროში გამართა შეხვედრა. მათ ისაუბრეს ორმხრივი ურთიერთობების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და სამომავლო პერსპექტივებზე, ასევე საერთო საზრუნავ საერთაშორისო საკითხებზე. სახელმწიფოთა ლიდერებმა განაცხადეს, რომ მეგობრობის კვანძმა ჩინელი და ქართველი ხალხები ერთმანეთს დააკავშირა და როგორც მეგობარი სახელმწიფოები. მხარეებმა დაადასტურეს სახელმწიფოთა (ჩინეთს და საქართველოს) სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემა, ურთიერთთავდასხმაზე და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩარევაზე უარის თქმა, ურთიერთთანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის, მშვიდობიანი თანაარსებობის და სხვა პრინციპების საფუძველზე ურთიერთობის დამყარების სურვილი. აღინიშნა, რომ საქართველო და ჩინეთი მხარს უჭერენ სადაო საკითხების მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებას. რომ ორივე სახელმწიფო ითანამშრომლებს მსოფლიო და რეგიონული მშვიდობის და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში, მხარს დაუჭერს საერთაშორისო პოლიტიკის და ეკონომიკის ახალ, სამართლიან და გონივრულ წესრიგს.¹

კომუნიკე ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობასაც. დოკუმენტში წერია, რომ მხარეები გაეროში და ყველა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში (სადაც ისინი მონაწილეობენ), ასევე ნებისმიერი მრავალმხრივი სხდომების (კონფერენციების) ფარგლებში გააფართოებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას; დაიცავენ და ეფექტურად განახორციელებენ გაეროს დადგენილებების მთავარ მიზნებს, პრინციპებს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს; გააძლიერებენ საკუთარ როლს გაეროს მიერ საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვის, სახელმწიფოებზე თავდასხმების თავიდან არიდების, შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეებში.²

¹中华人民共和国和格鲁吉亚共和国联合声明 – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომუნიკე...

²中华人民共和国和格鲁吉亚共和国联合声明 – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომუნიკე...

კომუნიკეში აღინიშნა, რომ ჩინეთის და საქართველოს ლიდერები, პარლამენტები და მთავრობები გააძლიერებენ და განავითარებენ ორმხრივ თანამშრომლობას და რომ საერთო ინტერესის ფარგლებში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით რეგულარულად გამართავენ პოლიტიკურ კონსულტაციებს; ასევე სახელმწიფოთა სამინისტროებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მუდმივად ექნებათ უშუალო კონტაქტი ერთმანეთთან; ქვეყნებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში გრძელვადიანი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად სახელმწიფოები კეთილსინდისიერად ითანამშრომლებენ და შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. კომუნიკეში ხაზი გაესვა აგრეთვე იმასაც, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ორი სახელმწიფოს ურთიერთობის უმთავრესი ნაწილია და რომ მხარეები გაატარებენ ყველა აუცილებელ ღონისძიებას აქამდე ხელმოწერილი შეთანხმებების შესრულებისა და ურთიერთმომგებიანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების უზრუნველსაყოფად; კულტურული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის და ურთიერთობების წასახალისებლად. საგანგებო ყურადღება მიექცა ასევე, ორგანიზებული დანაშაულების, ნარკოტიკების გადაზიდვის, ტერორისტული საქმიანობის, საჰაერო და საზღვაო უსაფრთხოების, კონტრაბანდის, მათ შორის კულტურის ძეგლების საზღვარზე საილუმლოდ გადატანის და სხვა საკითხებში სახელმწიფოთა თანამშრომლობის აუცილებლობას.¹

განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა კომუნიკეს ჩანაწერს იმის შესახებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღიარებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მთელი ჩინეთის ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად და მიიჩნევს ტაივანს მისი ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად. ამასთან, საქართველოს მთავრობა ადასტურებს, რომ მომავალში მისი მხრიდან არანაირი ოფიციალური ურთიერთობის დამყარებას ტაივანთან არ ექნება ადგილი. თავის მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აღიარებს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. ასევე აღნიშნულია ის, რომ საქართველო-ჩინეთის მეგობრული ურთიერთობის განვითარება არ მოვა წინააღმდეგობაში მესამე ქვეყანასთან, და არ მოუტანს ზიანს ჩინეთის და საქართველოს სხვა სახელმწიფოსთან გაფორ-

¹中华人民共和国和格鲁吉亚共和国联合声明 – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომუნიკე...

მებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აქტუალური საკითხების მიმართ, მშვიდობის და განვითარების, ასევე ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოების საკითხებში ჩინეთის და საქართველოს პოზიციები თანხვედრაშია და რომ სახელმწიფოები უწინდებურად უჭერენ მხარს რეგიონული და მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვას, თითოეულ მათგანს უფლება აქვს სპეციფიკიდან და, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, აირჩიოს სოციალური სისტემა, ეკონომიკური მოდელი და განვითარების გზები და ამ მხრივ წარმოშობილმა სხვაობამ არ უნდა შეუშალოს ხელი ორ სახელმწიფოს შორის ნორმალურ ურთიერთობებს და თანამშრომლობას.¹

სახელმწიფოთა ლიდერებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ჩინეთ-საქართველოს პირველი მაღალი დონის შეხვედრას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოხდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ძირითადი პრინციპების დადგენა, ამ ვიზიტით მიღწეულმა შედეგებმა საქართველოს რესპუბლიკის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა სავსებით ახალ დონეზე აიყვანა. მხარეებს სჯერათ, რომ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობა მომავალში (მიუხედავად მათი ტერიტორიული სიდიდის და განვითარების დონისა) სახელმწიფოთა შორის თანასწორი თანამშრომლობის კლასიკურ მაგალითად იქცევა, რაც შეესაბამება ორი სახელმწიფოს ხალხების ძირითად ინტერესს და მისწრაფებებს და ხელს უწყობს მსოფლიოში მშვიდობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების დაცვის საქმეს.²

¹ 中华人民共和国和格鲁吉亚共和国联合声明 – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომუნიკე...

² 中华人民共和国和格鲁吉亚共和国联合声明 – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ერთობლივი კომუნიკე... ამ თემის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო დროს ჩინური ვებ პორტალის და ონლაინ მედია კომპანიის „სოხუს“ მიერ გამოქვეყნებული სტატია ედუარდ შევარდნაძის შესახებ, სადაც მოკლედ არის აღწერილი მისი მოღვაწეობის გზა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობიდან საქართველოს პრეზიდენტობამდე. მასში აღნიშნულია, რომ შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტობის პერიოდში თავიდან ბოლომდე ინარჩუნებდა ჩინეთთან მეგობრულ ურთიერთობებს. მას საქართველოს საკითხებზე მომუშავე ჩინელი დიპლომატებისთვის უთქვამს: „ჩვენს საქართველოს აფხაზეთის პრობლემა აქვს, ჩინეთს კი ტაივანის, ჩვენს ქვეყნებს ერთნაირი სუბსტანცია აქვთ, აუცილებელია, მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოთ განხეთქი-

ასეთია ელუარდ შევარდნაძის მიერ ჩინეთში ოფიციალურად განხორციელებული ვიზიტების და ჩინელების თვალთ დანახული საქართველოს ლიდერის შეფასების მოკლე მიმოხილვა ჩინური წყაროების მიხედვით. 2003 წ. მაისში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე *ხუ ძინთაო* ესწრებოდა რუსეთში სანქტ-პეტერბურგის დაარსების 300 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიას, ჩინეთის ლიდერი და საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე ბოლოს სწორედ ამ ღონისძიების პერიოდში შეხვდნენ ერთმანეთს.

საქართველო-ჩინეთის პოლიტიკურ-დიპლომატიური კონტაქტები არანაკლები ინტენსივობით გაგრძელდა ვარდების რევოლუციის შედეგად სახელმწიფოს სათავეში მოსული *მიხეილ სააკაშვილის* პრეზიდენტობის პერიოდში. ამ მხრივ საეტაპო მოვლენა იყო პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში (2006 წ. 10-15 აპრილი) – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის *ხუ ძინთაოს* მოწვევით.¹ ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ლიდერმა მოლაპარაკებები გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურთან *ხუ ძინთაოსთან*, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლების კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე *უ ჰანგოსთან* (吴邦国)

ლებებს... რა კარგი იქნებოდა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ჩინეთი რომ იყოს, მაგრამ „მეზობელს“ ვერ აირჩევ.“ მან ასევე განაცხადა: „ჩინეთი და საქართველო ნამდვილად კარგად უგებენ ერთმანეთს და ბუნებრივი მოკავშირეები არიან; ჩინეთიდან წამოსული მხარდაჭერა ყველაზე წონიანი და ყველაზე ღირებულია (ძვირფასია, მნიშვნელოვანია)“. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ის აგრეთვე აფრთხილებდა საქართველოს პოლიტიკურ წრეებს: „რაც შეეხება ჩინეთის სუვერენიტეტს, ის წარმოადგენს მალაღ და მტკიცე კედელს, არც იფიქროს ვინმემ მასთან შეჯახებაო“ (იხ.: 从大国外长到小国总统, 谢瓦尔德纳泽眼中的中国是啥样, 搜狐, 2021.05.29 – დიდი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრობიდან პატარა ქვეყნის პრეზიდენტობამდე, როგორია შევარდნაძის თვალთ დანახული ჩინეთი? – სოხუს საინფორმაციო ცენტრი. 29.05.2021 (https://www.sohu.com/a/469272738_121054853)).

¹ 格鲁吉亚总统萨卡什维利将应邀对中国进行访问 – საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვიზიტით ეწვია ჩინეთს, – *Chinanews*, 04.04.2006 (<http://www.chinanews.com/news/2006/2006-04-04/8/712348.shtml>). ამის შესახებ იხ. აგრეთვე: გრძელდება ჩინეთში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი. დღეს ის მასპინძელი ქვეყნის ლიდერს, ხუ ძინთაოს შეხვდა. რადიო თავისუფლება, 12.04.2006, (<https://www.radiotavisupleba.ge/a/1546398.html>).

და სახელმწიფო საბჭოს პრემიერთან ვენ ძიაბაოსთან (温家宝). ვიზიტის მსვლელობა, სხვა მედიასაშუალებებთან ერთად, ვრცლად გააშუქა გაზეთმა *ჟენძინ ჯიბაო*.¹

პეკინის გარდა ქართული დელეგაცია ესტუმრა შანხაის, სადაც ჟურნალისტებთან შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს იყო მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში და ხაზი გაუსვა ჩინეთის ლიდერებთან პოლიტიკური დიალოგის მნიშვნელობას. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველო საუკუნეების განმავლობაში იყო ჩინეთის ევროპასთან დამაკავშირებელი კვანძი და ევროპამდე მისასვლელი ხიდი. ამას ემატება ის, რომ ჩინეთის ეკონომიკა 20 წელზე მეტია, რაც სწრაფი ტემპებით ვითარდება, ამდენად ჩინეთთან ეკონომიკური თანამშრომლობა საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.²

უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებების დაწყებამდე ჩინეთის პარლამენტის ჩრდილოეთ დიდ დარბაზში პრეზიდენტ სააკაშვილისთვის დახვედრის ცერემონიალი გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ *უინციმუკემ* (乌云其木格), სახელმწიფო საბჭოს წევრმა *თანგ ძიასუნმა*, ჩინეთის სახალხო-პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ *ჭანგ მუინგმა* (张梅颖), დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის ასოციაციის ცენტრალური ორგანოს თავმჯდომარის მოადგილემ *ჩენ ნანსიენმა* (陈难先), საგარეო საქმეთა მინისტრმა *ლი ჟაოსინგმა* (李肇星), ტრან-

¹ 胡锦涛与格鲁吉亚总统会谈 – ხუ ძინთაოს და საქართველოს პრეზიდენტის მოლაპარაკებები. – *ჟენძინ ჯიბაო* (http://paper.people.com.cn/rmrbhwb/html/2006-04/12/content_2159160.htm);
格魯吉亞總統抵京展開對中國首次正式訪問行程 – საქართველოს პრეზიდენტი ჩამოვიდა დედაქალაქში და განახორციელა პირველი ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში. – *Chinanews*, (<http://www.chinanews.com/news/2006/2006-04-10/8/715018.shtml>).

² 李忠发/格魯吉亞總統抵京訪華/ 人民日報 2006 年 2006-04-11 期 – *ლი ჟუნგვვა*. საქართველოს პრეზიდენტი ჩამოვიდა დედაქალაქში და განახორციელა ვიზიტი ჩინეთში. – *ჟენძინ ჯიბაო*, N2006-04-11 (<https://pay.cnki.net/zscsdoc/download?flag=mail&plat=mail&filename=RMRB200604110019&dbtype=CCND&dtype=pdf>); 格魯吉亞總統抵京展開對中國首次正式訪問行程 – საქართველოს პრეზიდენტი ჩამოვიდა დედაქალაქში და განახორციელა პირველი ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში, *Chinanews*...

სპორტის მინისტრმა ლი შენგლინმა (李盛霖), განვითარების და რეფორმების სახელმწიფო კომიტეტის დირექტორის მოადგილემ ჟანგ გოპაომ (张国宝), საქართველოში ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვანგ ჯივენმა (王开文) და სხვ.¹

პრეზიდენტ მ. სააკაშვილისა და ხუ ძინთაოს შეხვედრის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსებულია გაზეთ „ჯენძინ ჟიბაოში“, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე და ასევე შვეიცარიის არსებული ჩინეთის საელჩოს ვებგვერდზე.² 2006 წ. 11 აპრილს – აღნიშნულია საინფორმაციო მასალაში – ჩინეთის სახალხო ყრილობის (ჩინეთის პარლამენტი) სახლში ჩინეთის და საქართველოს ლიდერებმა ისაუბრეს ორმხრივ ურთიერთობებზე და ზოგად პოლიტიკურ თემებზე, მათ შორის, საერთაშორისო და რეგიონალურ საკითხებზე და მიაღწიეს ურთიერთგაგებას.³ ხუ ძინთაომ განაცხადა, რომ ჩინეთისა და საქართვე-

¹ 刘超/ 胡锦涛与萨卡什维利总统会谈/ 人民日报2006年 2006-04-12期 – ლიუ ჩაო. ხუ ძინთაომ პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკება. – *ჯენძინ ჟიბაო*, N2006-04-12 (<https://pay.cnki.net/zscsdoc/download?flag=mail&plat=mail&filename=RMRB200604120011&dbtype=CCND&dtype=pdf>); 胡锦涛 11 日在北京与格鲁吉亚总统萨卡什维利会谈 – 11 აპრილს ჰეიკინში ხუ ძინთაომ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკებები. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა, 11.04.2006 (http://www.gov.cn/ldhd/2006-04/11/content_251448.htm); 胡锦涛与格鲁吉亚总统萨卡什维利会谈 – ხუძინთაომ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკებები. – ჩინეთის საელჩო შვეიცარიის კონფედერაციაში, 12.04.2006 (<http://ch.chineseembassy.org/chn/xwss/t245894.htm>); 胡锦涛 11 日与格鲁吉亚总统萨卡什维利举行会谈 – 11 აპრილს ჰეიკინში ხუ ძინთაომ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკებები. – *Sina*. ჩინეთის საინფორმაციო ვებპორტალი, 12.04.2006 (<http://news.sina.com.cn/c/2006-04-12/10058676694s.shtml>).

² 胡锦涛 11 日在北京与格鲁吉亚总统萨卡什维利会谈 – 11 აპრილს ჰეიკინში ხუ ძინთაომ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკებები. – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა, 11.04.2006; ხუძინთაომ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკებები, ჩინეთის საელჩო შვეიცარიის კონფედერაციაში...

³ 11 აპრილს ჰეიკინში ხუ ძინთაომ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკებები., 11.04.2006; ხუძინთაომ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკებები, ჩინეთის საელჩო

ლოს ტრადიციულ მეგობრობას გრძელი ისტორია აქვს, ჯერ კიდევ ძველ-მა აბრეშუმის გზამ მჭიდროდ დააკავშირა ჩვენი ქვეყნები. მას შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყნებს შორის 1992 წელს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები, ორ ქვეყანას შორის კონტაქტები წარმატებით ვითარდება. ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთდობა განუხრელად მტკიცდება, ასევე წარმატებულია დინამიკა ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით. ფართოვდება თანამშრომლობა სხვა სფეროებშიც – განსაკუთრებით საერთაშორისო არენაზე. ყოველივე ეს – განაცხადა ჩინეთის ლიდერმა, – განაპირობა იმან, რომ ორივე ქვეყანა ხელმძღვანელობს დიდი და პატარა ქვეყნების სამართლებრივი თანასწორობის პრინციპებით, გააჩნია ურთიერთპატივისცემა და უანგარო ურთიერთდამოკიდებულება, კარგად უგებს და მხარს უჭერს ერთმანეთს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში. მხარეები პატივს სცემენ ქვეყნის მიერ არჩეულ სოციალურ წყობას და განვითარების გზას, არ ერევიან ერთმანეთის საშინაო პოლიტიკაში, და ორიენტირებულები არიან ჯანსაღ, სტაბილურ და მეგობრულ ურთიერთთანამშრომლობაზე.¹

თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ჩინეთი ქართველი ხალხისთვის წარმოადგენს პატივსაცემ დიად ქვეყანას, რომელიც დღემდე ურთიერთთანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ამყარებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ორი ქვეყანა წარმატებით ავითარებს თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროებში; ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა არამარტო გაფართოვდა, არამედ დადებითი შედეგებიც გამოიღო. საქართველო მაღლობას უხდის ჩინეთს მრავ-

შვეიცარიის კონფედერაციაში, 12.04.2006; 胡锦涛欢迎格总统来访提出发展中格关系四建议 – *ხუ ძინთაო მიესალმა საქართველოს პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტს და ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების*

განვითარებისთვის ოთხი წინადადება წამოაყენა – Chinanews. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო, 11.04.2006

(<http://www.chinanews.com/news/2006/2006-04-11/8/715594.shtml>); 胡锦涛与格鲁吉亚总统会谈 – *ხუ ძინთაომ საქართველოს პრეზიდენტთან მოლაპარაკებები გამართა. – ჟენმინ ჟიბაო, 12.04.2006*

(http://paper.people.com.cn/rmrbhwb/html/2006-04/12/content_2159160.htm).

¹ **ლიუ ჩაო.** *ხუ ძინთაომ პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკება...; ხუ ძინთაო მიესალმა საქართველოს პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტს...*

ვალმხრივ განუვლი მხარდაჭერისთვის, მაგალითად აქვს აღებული ჩინური პოლიტიკა და მხარს უჭერს ჩინეთს მშვიდობიანი გაერთიანების დიდ საქმეში (祖国和平统一大业/China's peaceful reunification).¹

ხუ ძინთაომ ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ XXI საუკუნის რეალობაში, ჩინურ მხარეს სურს საქართველოსთან კიდევ უფრო ინტენსიური გახდეს კონტაქტები უმაღლეს დონეზე, მთავრობებს, საკანონმდებლო ორგანოებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის, წაახალისოს მრავალმხრივი ურთიერთობები და სრულყოს ორმხრივი დიალოგის და საკონსულტაციო მექანიზმები; ურთიერთსაშეღავათო და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების საფუძველზე გააღრმავოს ეკონომიკური თანამშრომლობა. ჩინეთის სახელმწიფოს მეთაურმა საგანგებოდ გამახვილა ყურადღება თანამშრომლობის გაღრმავება-გაფართოებაზე აგრარულ, მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო გადაზიდვების, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის და სხვა დარგებში. მან ასევე აღნიშნა ჩინეთის ხელისუფლების მზაობა ხელი შეუწყოს ჩინურ საწარმოებს, განახორციელონ ინვესტიციები საქართველოში. მისი სიტყვებით, ჩინეთმა და საქართველომ მაქსიმალურად უნდა მოახდინონ ეკონომიკური ინტეგრაცია, უკეთ დაგეგმონ და წარმართონ ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობა; განავითარონ ჰუმანიტარული გაცვლა და მეგობრული მიმოსვლა, რაც მთავარია, გააღრმავონ თანამშრომლობა და კონტაქტები განათლების, მეცნიერების, მედიცინის, სპორტის და სხვა სფეროებში; გააფართოვონ ახალგაზრდული კონტაქტები და ერებს შორის კავშირი; უფრო ინტენსიური გახადონ მრავალმხრივი კონსულტაციები და მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა.²

საგანგებოდ გაესვა ხაზი თანამშრომლობას გაეროს სტრუქტურებში „ბოროტების სამ ძალასთან“ (ტერორიზმი, ექსტრემიზმი, სეპარატიზმი) ბრძოლის, ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის და სხვა უადრესად მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე; ხუ ძინთაომ აღნიშნა, რომ ჩინეთმა და საქართველომ უნდა დაიცვან მშვიდობა და სტაბილურობა რეგიონალური და მსოფლიო მასშტაბით. ჩინეთის ლიდერმა გამოთქვა რწმენა, რომ სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განვი-

¹ **ლიუ ჩაო.** ხუ ძინთაომ პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკება...; *ხუ ძინთაო მიესალმა საქართველოს პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტს...*

² **ლიუ ჩაო.** ხუ ძინთაომ პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა...; *ხუ ძინთაო მიესალმა საქართველოს პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტს...; ხუ ძინთაომ საქართველოს პრეზიდენტთან მოლაპარაკებები გამართა. – ენმინ ჟიბაო...*

თარების კვალდაკვალ, ჩინურ-ქართული თანამშრომლობა და ურთიერთობები უფრო და უფრო ნაყოფიერი და ორივე ქვეყნისთვის და ორივე ქვეყნის ხალხისთვის ურთიერთსარგებლიანი იქნება.¹

მიხეილ სააკაშვილი დაეთანხმა ჩინელ კოლეგას და აღნიშნა, რომ ჩინეთის რეფორმების და ღიაობის პოლიტიკამ და თანამედროვეობის მშენებლობამ ყველა აღფრთოვანებაში მოიყვანა. მან მიუთითა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სულ უფრო მზარდ როლზე საერთაშორისო არენაზე. „საქართველო დღეს მთელი ძალებით ცდილობს ქვეყნის აღმშენებლობას და განვითარებას, – განაგრძო საქართველოს პრეზიდენტმა, – სურს ისწავლოს და გამოიყენოს ჩინური რეფორმების გამოცდილება. ჩვენ გვსურს ჩინეთის მემკვიდრეანი გავხდეთ და განვავითაროთ ქართულ-ჩინური ტრადიციული მეგობრობა, უფრო მჭიდრო გავხადოთ მიმოსვლები მაღალ დონეზე, გავაძლიეროთ პოლიტიკური დიალოგები და სავაჭრო-ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურული მშენებლობის, კულტურულ, საგანმანათლებლო, ტურისტულ სფეროებში თანამშრომლობა, რომ ორი ქვეყანა იქცეს ურთიერთნდობით აღჭურვილ პარტნიორებად“.²

მოლაპარაკების შემდეგ, სახელმწიფოთა მეთაურებმა ხელი მოაწერეს „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს მეგობრობის და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ ერთობლივ კომუნიკეს“,³ რომელშიც, როგორც ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი იუწყება, ნათქვამია, რომ საქართველო ეწინააღმდეგება ტაივანის დამოუკიდებლობის ნებისმიერ ფორმას, რომელშიც მოიაზრება ტაივანის დე-იურე დამოუკიდებლობა („法理台独“); საქართველო ადასტურებს, რომ მხარს უჭერს „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკას, აღიარებს, რომ

¹ ლიუ ჩაო. ხუ ძინთაომ პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა...; ხუ ძინთაო მიესალმა საქართველოს პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტს...; ხუ ძინთაომ საქართველოს პრეზიდენტთან მოლაპარაკებები გამართა. – ენმინ ჟიბაო...

² ლიუ ჩაო. ხუ ძინთაომ პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა...; ხუ ძინთაო მიესალმა საქართველოს პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტს...; ხუ ძინთაომ საქართველოს პრეზიდენტთან მოლაპარაკებები გამართა. – ენმინ ჟიბაო...

³ 中国和格鲁吉亚发表联合声明 – ჩინეთმა და საქართველომ ერთობლივი კომუნიკე გამოაქვეყნეს. – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა, სახელმწიფო საბჭოს ოფიციალური უწყებანი, N15, 2006 (http://www.gov.cn/gongbao/content/2006/content_292003.htm; <https://pay.cnki.net/zscdoc/download?flag=mall&plat=mall&filename=GWYB200615010&dbtype=CJFD&dtype=pdf>).

ჩინეთის სახალხო რეპუბლიკის მთავრობა წარმოადგენს ჩინეთის ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებას და რომ ტაივანი არის ჩინეთის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, საქართველო ეწინააღმდეგება ტაივანის შესვლას ნებისმიერ (სუვერენული სახელმწიფოების მონაწილეობით შემდგარ) საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში; არ დაამყარებს ტაივანთან ოფიციალურ ურთიერთობას. თავის მხრივ, ჩინეთი მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას; დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მიესალმება საქართველოს მხრიდან ქვეყნის შიდა სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ნაციონალური ეკონომიკის განვითარებისთვის გაწეულ ძალისხმევას; აღიარებს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა არის საქართველოს საშინაო საქმე, რომელიც უნდა გადაწყდეს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. ჩინეთი მხარს დაუჭერს საქართველოს მთავრობის მიერ ამ მხრივ განხორციელებულ თითოეულ მცდელობას.¹

კომუნიკეში ნათქვამია, რომ მხარეებმა დადებითად შეაფასეს 2005 წლის 19-21 დეკემბერს ჩინეთის და საქართველოს მთავრობებს შორის პეკინში გამართული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტის რიგით მეორე შეხვედრის შედეგები და აღნიშნეს, რომ ამიერიდან მიმართავენ ეფექტურ ღონისძიებებს ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში არსებული პოტენციალის უფრო სრულყოფილად ასამოქმედებლად; მხარეებმა განაცხადეს, რომ მომავალში კიდევ უფრო სრულყოფენ საინვესტიციო გარემოს, წაახალისებენ და მხარს დაუჭერენ ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით სოფლის მეურნეობის, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, მანქანათმშენებლობის, ენერგორესურსების, ინფრასტრუქტურის და სხვა სფეროებში თანამშრომლობის განვითარებას. ჩინეთი მიესალმება საქართველოს მონაწილეობას დასავლეთ ჩინეთის დიდი განვითარების საქმეში და ჩრდილო-აღმოსავლეთის ძველი სამრეწველო ბაზის აღორძინება-გამოცოცხლების საქმეში. ჩინეთი და საქართველო, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები, კიდევ უფრო გააღრმავებენ ურთიერთ-თანამშრომლობას ამ ორგანიზაციის ფარგლებში და დაიცავენ ორივე მხარის ეროვნულ ინტერესებს.

¹ ჩინეთმა და საქართველომ ერთობლივი კომუნიკე გამოაქვეყნეს...

მხარეები დიდ ყურადღებას დაუთმობენ ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობას, და წახალისებენ ამ სფეროში ორი ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებს შორის ურთიერთთანამშრომლობას, ასევე გააფართოებენ თანამშრომლობას სამოქალაქო ავიაციის სფეროში, 2006 წლის მეორე ნახევარში მოილაპარაკებენ და გააფორმებენ ჩინეთ-საქართველოს საავიაციო გადაზიდვების შეთანხმებას; მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებას, გამოთქვამენ სურვილს წახალისონ კონტაქტები სხვადასხვა დონეზე, როგორც პარლამენტის ხელმძღვანელ პირებს შორის, ასევე თითოეულ სპეციალურ კომიტეტსა და მეგობრულ ბლოკებში; განამტკიცონ ურთიერთგაგება და მაქსიმალურად გაამყარონ და გააფართოვონ ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობის მასშტაბები. აღინიშნა, რომ საკანონმდებლო საქმიანობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს მხარეთა შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაფართოებას. ორ ქვეყანას გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკურ, მედიის, სპორტის, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში თანამშრომლობისთვის. აღსანიშნავია, რომ ხუ ძინთაომ და მიხეილ სააკაშვილმა მონაწილეობა მიიღეს ჩინეთ-საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე და თანამშრომლობის შესახებ სხვა დოკუმენტებზე ხელმოწერის ცერემონიაში.¹

გაზეთი „*ენმინ ჟიბაო*“ ასევე მოგვითხრობს პეკინში 2006 წ. 12 აპრილს პრეზიდენტ სააკაშვილის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლების კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე უ ჰანგოსთან და სახელმწიფო საბჭოს პრემიერთან ვენ ძიანოსთან შეხვედრის შესახებ. უ ჰანგომ პრეზიდენტთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ჩინელი ხალხი ქართველი ხალხის მიმართ ყოველთვის მეგობრულად იყო განწყობილი, ჩინეთი აფასებს საქართველოს მხრიდან ტაივანის პრობლემასთან დაკავშირებით ჩინეთის ძლიერ მხარ-

¹11 აპრილს პეკინში ხუ ძინთაომ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკებები. – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა, 11.04.2006; ხუძინთაომ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკებები, ჩინეთის საელჩო შვეიცარიის კონფედერაციაში..; 11 აპრილს პეკინში ხუ ძინთაომ საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან გამართა მოლაპარაკებები. – Sina..; ჩინეთმა და საქართველომ ერთობლივი კომუნიკე გამოაქვეყნეს...

დაჭერას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებს და საქართველოს, როგორც კარგ მეგობარს და პარტნიორს, ისე ალიქვამს, სურს, განამტკიცოს ქართულ მხარესათან მაღალ დონეზე კონტაქტები, გააფართოვოს მასთან სავაჭრო-ეკონომიკურ და სხვა სფეროებში საქმიანი თანამშრომლობა, კიდევ უფრო აამაღლოს ორი სახელმწიფოს ურთიერთობების და ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის დონე. უ პანგგომ დადებითად შეაფასა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განვითარებაში სახელმწიფოების პარლამენტთაშორისი ურთიერთობების მნიშვნელოვანი როლი. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სრულიად ჩინეთის წარმომადგენლების კრებას სურს საქართველოს პარლამენტთან გააძლიეროს კონტაქტები და თანამშრომლობა, რომ დემოკრატიული კანონმდებლობის შემუშავებაში, სახელმწიფოს მართვის და სხვა საკითხებში მოახდინონ გამოცდილების ურთიერთგაზიარება, საპარლამენტთაშორისო გაერთიანებებში და სხვა ვითარებებში გააძლიერონ თანამშრომლობა, ორი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობის გაძლიერების, ორი ქვეყნის მეგობრული სოციალური ბაზის განმტკიცების და გაფართოების და ასევე სახელმწიფოების ურთიერთობების ყოველმხრივი გაღრმავების და განვითარების წახალისების საქმეში შეიტანონ ახალი წვლილი.¹

მიხეილ სააკაშვილმა უ პანგგოსთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში მან და თავმჯდომარე ხუ ძინთაომ მიაღწიეს მრავალმხრივ შეთანხმებებს, რაც უმნიშვნელოვანესია საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების გაღრმავების და განვითარების კუთხით, საქართველოს მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს ორ ქვეყანას შორის პარლამენტთაშორისი კონტაქტების და თანამშრომლობის გაძლიერებას და მომავალშიც მხარს დაუჭერს „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკას.²

სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ვენ ძიაპაომ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ ჩინეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 14 წლის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის თითოეულ სფეროში თანამშრომლობა სტაბილური

¹ 刘超/吴邦国温家宝分别会见格鲁吉亚总统/人民日报2006年2006-04-13期 - ლიუ ჟაო. უ პანგგომ და ვენ ძიაპაომ ცალ-ცალკე გამართეს შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან. - *უენძინ ჟიბაო*, 2006-04-13 (<https://pay.cnki.net/zscsdoc/download?flag=mail&plat=mail&filename=RMRB200604130013&dbtype=CCND&dtype=pdf>).

² ლიუ ჟაო. უ პანგგომ და ვენ ძიაპაომ ცალ-ცალკე გამართეს შეხვედრები...

ნაბიჯებით მიიწევს წინ. ჩინური მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობებს, პატივს სცემს ქართული მხარის მიერ ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე განსაზღვრულ შიდა და გარე პოლიტიკას და სურს ქართულ მხარესთან ერთად ურთიერთ-პატივისცემის, თანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ხელი შეუწყოს ორი სახელმწიფოს ურთიერთობების გრძელვადიან და სტაბილურ განვითარებას. ვენ ძიაპაომ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჩინეთმა და საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოავლინონ საკუთარი განსაკუთრებული მხარეები და თავიანთი უპირატესობებით მოახდინონ ურთიერთშეხება. მან გამოთქვა იმედი, რომ მხარეები აქცენტს გააკეთებენ სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო-ტექნიკურ, სატრანსპორტო და სხვა სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერებაზე, და ყოველმხრივ შექმნიან პირობებს ურთიერთინვესტირებისთვის და რომ ორმხრივი ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ჩინეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტად განვითარდება.¹

მიხეილ სააკაშვილმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქართული მხარე ჩინეთის განვითარებასთან მიმართებით პოზიტიურადაა განწყობილი და სურს, რომ მაგალითი აიღოს ჩინეთის რეფორმების და გახსნილობის გამოცდილებიდან; სავაჭრო-ეკონომიკურ, ადამიანური რესურსების ათვისების, სატელეკომუნიკაციო, ენერგეტიკის, სატრანსპორტო გადაზიდვების, ტურიზმისა და სხვა სფეროებში გააძლიეროს ჩინეთთან თანამშრომლობა და ბიძგი მისცეს საქართველო-ჩინეთის ურთიერთსარგებლიან თანამშრომლობას ახალი წინსვლისკენ.²

2006 წ. 14 აპრილს ჩინეთის კომუნისტური პარტიის მანხაის საქალაქო კომიტეტის ოფიციალურმა – „ძიუფვანგ ჟიბაომ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, 13 აპრილს სასტუმრო „სინგგოში“ ქალაქ მანხაის მერის ხან ჭენგის (韓正) შეხვედრის შესახებ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან. ხან ჭენგმა აღნიშნა, რომ მანხაის მთავრობა და მანხაის მოსახლეობა მიესალმება საქართველოს პრეზიდენტის ამ სტუმრობას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მიღწევები, რაც მანხაიში შეინიშნება, არის ჩინეთის მთავრობის მიერ რეფორმების და გახსნილობის პოლიტიკის გატარების შედეგი. მანხაის განვითარების მოდელი არ არის ტრადიციული

¹ ლიუ ჭაო. უ პანგგომ და ვენ ძიაპაომ ცალცალკე გამართეს შეხვედრები...

² ლიუ ჭაო. უ პანგგომ და ვენ ძიაპაომ ცალცალკე გამართეს შეხვედრები...

გეგმიური ეკონომიკა, არც კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა, არამედ ჩინეთის რეალობას მორგებული სოციალური საბაზრო ეკონომიკაა. სწორედ ამიტომ, შანხაის ეკონომიკა უკვე ზედიზედ 14 წელიწადია, რაც ორმნიშვნელოანი მაჩვენებლით განიცდის ზრდას. ხან ქვანგმა პრეზიდენტთან საუბრისას გამოთქვა იმედი, რომ მ. სააკაშვილის ეს ვიზიტი შანხაის და საქართველოს უფრო ფართო სფეროებში თანამშრომლობის და ურთიერთობის დაწყებას შეუწყობს ხელს.¹ თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ შანხაის განვითარება ნამდვილი სასწაულია და ამ ქალაქის გამოცდილებიდან საქართველომაც უნდა აიღოს მაგალითი; მან ასევე გამოთქვა შანხაის და თბილისს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების და კონტაქტების გაძლიერების იმედი.²

2012 წლის ოქტომბერში საქართველოს ხელისუფლების სათავეში არჩევნების გზით მოვიდა კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ბუნებრივია, გაგრძელდა დიპლომატიური კონტაქტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სამთავრობო დონეზე. ძირითადად ეს იყო მინისტრებისა და ვიცე-პრემიერების საქმიანი ვიზიტები, რაც შეეხება სახელმწიფოს უმაღლეს პირებს (პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს), მათი აქტივობა ამ მიმართულებით წინა პერიოდთან შედარებით უფრო მოკრძალებული იყო. მართალია, 2013-2020 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრები³ (ირაკლი ღარიბაშვილი, მამუკა ბახტაძე) სტუმრობდნენ ჩინეთს, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არცერთ ამ ვიზიტს არ ჰქონია ოფიციალური ვიზიტის სტატუსი, შესაბამისი ცერემონიალით.

მაგალითად, 2015 წლის სექტემბერში ჩინეთში სამუშაო ვიზიტით (ქალაქ ტალიენში /დალიანი/) მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად) იმყოფებოდა საქართველოს მაშინ-

¹ 方敏/韩正会见格鲁吉亚总统/人民日报2006年2006-04-11期 – ფვანგ მინი. ხან ქვანგი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს. – *ძიუფვანგ ჟიბაო*, N2006-04-11. [https://pay.cnki.net/zscsd/doc/download?flag=mall&plat=mall&filename=JFRB200604140014&dbtype=CCND&dtype=pdf&uid=WEEvREcwSIJHSIdTTEYzVDhUQ05hZ FZONktFSVRuYIRlZVdBc1FpQjVubz0=\\$9A4hF_YAuvQ5obgVAqNKPCYcEjKensW4gg l8Fm4gTkoUKaID8j8gFw!!](https://pay.cnki.net/zscsd/doc/download?flag=mall&plat=mall&filename=JFRB200604140014&dbtype=CCND&dtype=pdf&uid=WEEvREcwSIJHSIdTTEYzVDhUQ05hZ FZONktFSVRuYIRlZVdBc1FpQjVubz0=$9A4hF_YAuvQ5obgVAqNKPCYcEjKensW4gg l8Fm4gTkoUKaID8j8gFw!!).

² ფვანგ მინი. ხან ქვანგი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს. – *ძიუფვანგ ჟიბაო*, N2006-04-11.

³ როგორც ცნობილია, 2013 წლის მიწურულიდან საქართველოში სწორედ პრემიერ მინისტრია ხელისუფლების პირველი პირი.

დელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.¹ ეს ვიზიტი გააშუქა გაზეთმა „ქენძინ ჟიბაომ“. მასში გამოქვეყნებულ მასალაში აღნიშნულია, რომ ვიზიტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი (2015 წ. 10 სექტემბერს) ტალიენის (დალიანის)² სამთავრობო რეზიდენციაში მიიღო სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ლი ქეციანგმა (李克强). შეხვედრის მსვლელობისას ლი ქეციანგმა აღნიშნა, რომ ჩინეთის და საქართველოს შორის არსებული ურთიერთპატივისცემის და თანასწორი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დაჩქარებული ტემპებით ვითარდება, რომ ჩინური მხარე პატივს სცემს საქართველოს მოსახლეობის მიერ ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე დამოუკიდებლად არჩეულ განვითარების გზას, მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარებისთვის გაწეულ ძალისხმევას და სურს, იხილოს საქართველოს უფრო მეტად აქტიური როლი საერთაშორისო და რეგიონალურ საქმიანობაში. ლი ქეციანგმა აღნიშნა, რომ ჩინურ მხარეს სურს გააძლიეროს სტრატეგიული კონტაქტები ქართულ მხარესთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს პორტის, ავტომაგისტრალების, რკინიგზის და სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში, სურს, რომ მაქსიმალურად სწრაფად დაიწყოს არსებითი მოლაპარაკებები ორ სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ და ხელი შეუწყონ ორმხრივი ვაჭრობის განხორციელებას.³

¹ პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. – საქართველოს მთავრობა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური. 13.09. 2015 (http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=407&info_id=51414).

² „ტალიენი“ იქნება ქართულად სწორი ფორმა. ზოგადად გვაქვს ხშირად ხმარებული ჩინური საკუთარი სახელები და სიტყვები, რომელთა ქართული დაწერილობა დიდი ხანია ტრადიციულად დამკვიდრდა ქართულში (მაგ. 毛泽东 – მაო ძედუნი, 黄河 – ხუანხე, 南京 – ნანკინი, 红卫兵 - ხუნვეიბინი), რის გამოც მათი შეცვლა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, მაგრამ ამ სიტყვების გვერდით ფრჩილებში მაინც ვუთითებთ ჩინურ გამოთქმასთან მაქსიმალურად მიახლოებულ ქართული ტრანკრიფციის ვარიანტს, რომელიც შეიმუშავა „დიდი ჩინურ-ქართული ონლაინლექსიკონის“ (WWW.CHINESE.GE) რედაქტორთა ჯგუფმა.

³ 王金海;赵成;王莉/李克强分别会见来华出席 2015 年夏季达沃斯论坛年会的五国政要/人民日报2015 年 2015-09-11 期 – ვანგ ძინხაი, ჭაო ჩენგი, ვანგ ლი. ლი ქეციანგმა ცალცალკე გამართა შეხვედრები 2015 წლის დავოსის ზაფხულის ფორუმის წლიურ ყრილობაზე დასასწრებად ჩამოსულ 5 ქვეყნის პო-

ირაკლი ღარიბაშვილმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ საქართველოს და ჩინეთს შორის არსებობს ტრადიციული მეგობრული თანამშრომლობა, ჩინეთთან ურთიერთობების განვითარება კი საქართველოსთვის საგარეო ურთიერთობებში პრიორიტეტული მიმართულებაა. ქართულ მხარეს სურს ჩინურ მხარესთან გააძლიეროს ურთიერთობები (კონტაქტები) მაღალ დონეზე, გააფართოვოს ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა, ხელი შეუწყოს საქართველოს მიმართულებით ინვესტირების ზრდას; განდეს ამ რეგიონში ჩინეთის საიმედო თანამშრომლობის პარტნიორი, საგარეო ინვესტირების დანიშნულების ქვეყანა და ევროპის ბაზარზე შესასვლელი ხიდი.¹

აღნიშნული ვიზიტი გააშუქა აგრეთვე ადგილობრივმა მედიამ, რომელმაც ყურადღება გაამახვილა შეხვედრებზე ქალაქისა და პროვინციის ხელმძღვანელობის დონეზე. მასალის მიხედვით, 10 სექტემბერს პროვინციის პარტკომის მუდმივი კომიტეტის წევრი და საქალაქო კომიტეტის მდივანი თანგ ძუინი (唐军) და ქალაქის მერი სიაო შენგფენგი (肖盛峰) პანგჩუიტაოს სასტუმროში შეხვდა ტალიენში დავოსის საზაფხულო ფორუმზე დასასწრებად ჩამოსულ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ი. ღარიბაშვილს და მათ ერთობლივად მიიღეს მონაწილეობა ქალაქ ტალიენსა და საქართველოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის მეგობრული თანამშრომლობის შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონიაში. შეთანხმებას ხელი მოაწერეს სიაო შენგფენგმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ. ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და სხვები.²

ლიტიკურ მოდვანებთან. – ენმინ ჟიბაო, N2015-09-11

([https://pay.cnki.net/zscsdoc/download?flag=mall&plat=mall&filename=RMRB201509110020&dbtype=CCND&dtype=pdf&uid=WEEvREcwSIJHSldTTEYzVDhUQ05hZFZONmM2QndiWUpLdDNyYWxleFllbz0=\\$9A4hF_YAuvQ5obgVAqNKPCYcEjKensW4ggI8Fm4gTkoUKaID8j8gFw!!](https://pay.cnki.net/zscsdoc/download?flag=mall&plat=mall&filename=RMRB201509110020&dbtype=CCND&dtype=pdf&uid=WEEvREcwSIJHSldTTEYzVDhUQ05hZFZONmM2QndiWUpLdDNyYWxleFllbz0=$9A4hF_YAuvQ5obgVAqNKPCYcEjKensW4ggI8Fm4gTkoUKaID8j8gFw!!)).

¹ ვანგ ძინხაი, ჟაო ჩენგი, ვანგ ლი. ლი ქეციანგმა ცალცალკე გამართა შეხვედრები 2015 წლის დავოსის საზაფხულის ფორუმის...

² 刘星/唐军肖盛峰会见格鲁吉亚总理加里巴什维利/大连日报2015年 2015-09-11期 – ლიუ სინგი, თან ძუინი და შენგ ფენგხუი შეხვდნენ საქართველოს პრემიერ მინისტრს ღარიბაშვილს. – ტალიენ ჟიბაო. გაზეთი, N2015-09-11 (<https://pay.cnki.net/zscsdoc/download?flag=mall&plat=mall&filename=DLRB201509110030&dbtype=CCND&dtype=pdf&uid=WEEvREcwSIJHSldTTEYzVDhUQ05h>)

თანგ ძძუინმა და სიაო შენგფვენგმა მადლობა გადაუხადეს ი. ღარიბაშვილს ქალაქ ტალიენისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამეგობრების კუთხით გაწეული მხარდაჭერისა და შზრუნველობისთვის და მოკლედ გააცნეს პრემიერს ტალიენის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სურათი, მათ აღნიშნეს, რომ 2015 წ. ივნისში საქართველოს ვიცე-პრემიერის კ. კალაძის ტალიენში ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა მრავალმხრივი თანამშრომლების მიზნები დასახეს და ახლა წარმატებით მიმდინარეობს მათი განხორციელება. მხარეების მიერ მეგობრული თანამშრომლობის დამყარება არის გასაღები იმისა, რომ სათანადოდ გამოყენებულ იქნას „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ სტრატეგიული შესაძლებლობები, კიდევ უფრო გადრმავედეს სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურის, განათლების, ტურიზმის, პორტის და ქალაქის დაგეგმარების და სხვა სფეროებში.¹

ი. ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ტალიენი ულამაზესი ქალაქია და ის მოხარულია, რომ ჩამოვიდა ამ ქალაქში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ტალიენს შორის მეგობრული თანამშრომლობის დამყარების მოწმე გახდა. პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს და ჩინეთის ურთიერთობები დღითი-დღე უფრო და უფრო მჭიდრო ხდება, საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მხარს უჭერს ჩინეთის მიერ ინიცირებული „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ სტრატეგიას და აქტიურად მონაწილეობს აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკის დაარსებაში, მან გამოთქვა იმედი, რომ ამიერიდან პორტის მშენებლობაში და სხვა სფეროებში გაძლიერდება ჩინურ საწარმოებთან, მათ შორის ტალიენის საწარმოებთან თანამშრომლობას და შეიქმნება ჩინური პროდუქციის ევროპის ბაზარზე გატანის ყველაზე მოხერხებული კარიბჭე, მას შემდეგ, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ქ. ტალიენი მეგობრულ თანამშრომლობას დაამყარებენ, მხარეების თანამშრომლობა თითოეულ სფეროში კიდევ უფრო გაფართოვდება.²

„თანამედროვე აბრეშუმის გზის“ თემატიკისთვის მიძღვნილ ფორუმზე საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ

ZFZONmN1Q3hZL1NvNmNyUy9RdGpTZz0=\$9A4hF_YAUvQ5obgVAqNKPCYcEjKen
sW4ggI8Fm4gTkoUKaID8j8gFw!!)

¹ ლიუ სინგი, თან ძძუინი და შენგ ფვენგხუი მუხვდნენ საქართველოს პრემიერ მინისტრს ღარიბაშვილს...

² ლიუ სინგი, თან ძძუინი და შენგ ფვენგხუი მუხვდნენ საქართველოს პრემიერ მინისტრს ღარიბაშვილს...

საქართველოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა აქვს, ამასთანავე ჩვენს ქვეყანას ევროკავშირთან, რუსეთთან და თურქეთთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებს, პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოში სწორედ ახლა იგეგმება ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩინური საწარმოები. „ჩინეთი ჩვენი მეოთხე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია, ჩინეთთან მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ დიდ მხარდაჭერას ვუცხადებთ თავმჯდომარე სი ძინფინგის მიერ წამოყენებულ აბრეშუმის გზის შორსმჭვრეტელურ გეგმას და „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ კონცეფციას.“ – აღნიშნა ი. ღარიბაშვილმა.¹

ფორუმზე, რომელიც ეძღვნებოდა ორ თემას: „გზაჯვარედინზე მდებარე განვითარებადი ბაზრები“ და „თანამედროვე აბრეშუმის გზა“, განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნის პოლიტიკოსებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საჭიროა ჩინეთის ხელსაყრელი შესაძლებლობების გამოყენება. ი. ღარიბაშვილის თქმით, „საქართველოს შეუძლია მეტად კონსტრუქციული და საიმედო როლის თამაში, საქართველოს შეუძლია ააშენოს ჩინეთის ევროპასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა“. მან ასევე ხაზი გაუსვა ღრმაწყლოვანი პორტის როლს ახალ აბრეშუმის გზაზე, რომელიც შეამცირებდა 7000 კილომეტრიან სატრანზიტო მანძილს.²

„China Times“-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ი. ღარიბაშვილისთვის აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი „ახლებური ხედვით ჩამოყალიბებული უდიდესი ჩანაფიქრია“, მან აღნიშნა, რომ ჩინეთს საქართველოსთან, არამარტო ინვესტიციები, არამედ უძველესი სავაჭრო ურთიერთობებიც აკავშირებს, საქართველო აზიის ინფრასტრუქ-

¹ 夏季达沃斯论坛拉开帷幕-各国精英热捧“一带一路” – დავოსის საზაფხულო ფორუმის გახსნა. ყველა ქვეყნის მმართველი ელიტის მიერ აღიარებული „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ – ჩინეთის კომუნისტური პარტიის საინფორმაციო სააგენტო, 10.09.2015 (<http://cpc.people.com.cn/n/2015/0910/c83083-27566944.html>); სინხუას საინფორმაციო სააგენტო, 10.09.2015 წ., (http://www.xinhuanet.com/world/2015-09/10/c_128214016.htm).

² 李想 – 论坛嘉宾积极评价中国经济走势,中国经济增长模式趋于健康抓住中国机遇 – ლი სიანგი. ფორუმის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ჩინეთის ეკონომიკური ტენდენციები, ჩინეთის ეკონომიკური ზრდის მოდელი ჩინეთის შესაძლებლობების ჯანსაღად გამოყენებისკენ მიდის. – ჩინეთის ეკონომიკური გაზეთი, 11.09.2015 (http://www.ceh.com.cn/ep_m/ceh/html/2015/09/11/A03/A03_33.htm).

ტურული ინვესტიციების ბანკის ერთ-ერთი ქვეყანა-დამფუძნებელია და რეგიონისთვის საკმაოდ მომგებიანია. როგორც სტატიის ავტორები ფვუ მენგმენგი და ვენ იენცინგი ასკვნიან, პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ საქართველოს უაღრესად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს და ჩინეთისთვის ის ევროპაში გასასვლელი უმოკლესი გზაა, ვინაიდან საქართველო-ჩინეთს შორის ამოქმედებული სარკინიგზო ხაზი მართლაც ყველაზე მოკლე გზაა, რომელსაც გააჩნია უპირატესობა პროდუქციის დაბალი თვითღირებულების და ძლიერი საბაზარო კონკურენტუნარიანობის კუთხით.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ ინიციატივაში მონაწილე ქვეყნები დაინტერესებულნი არიან იმ მოგებით, რომელიც შეიძლება მოუტანონ მათ სხვა დანარჩენმა ქვეყნებმა და ამის დასტურად მოჰყავთ ი. ღარიბაშვილის სიტყვები: „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შევძლებთ, ჩვენი ქვეყანა ცენტრად ვაქციოთ, არ აქვს მნიშვნელობა ეს იქნება ჩინეთი, ამერიკა თუ სხვა ქვეყანა ან მისი საწარმო, ყველას შეუძლება ისარგებლოს ჩვენი მდებარეობით, რისგანაც ჩვენც მივიღებთ სარგებელს“.¹

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პრემიერ-მინისტრის რანგში ორჯერ იმყოფებოდა მამუკა ბახტაძე. პირველად ეს იყო 2018 წლის ნოემბერში, როდესაც საქართველოს პრემიერი შანხაიში, ჩინეთის საერთაშორისო იმპორტის პირველ ექსპოს დაესწრო. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერის განცხადებით, ის იქ იმყოფებოდა პირადად პრეზიდენტ სი ძინფინგის (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე – სახელმწიფოს პირველი პირი) მიწვევით და უშუალოდ შეხვდა კიდევ ჩინეთის ლიდერს,² თავისი შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, ეს ვიზიტიც სამუშაო ფორმატს არ გაცდენია და ის არ ყოფილა ოფიციალური.

გამოფენის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა

¹ 福蒙蒙 温彦卿/“一带一路”获周边国家广泛认可 外国政要招揽中国投资/华夏时报, 发布时间: 2015-09-11. – ფვუ მენგმენგი, ვენ იენცინგი. ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივამ მიმდებარე ქვეყნებში ფართო აღიარება ჰპოვა, უცხოელი პოლიტიკოსები ცდილობენ ჩინური ინვესტიციების მიზიდვას. – *China Times*, გაზეთი 11.09.2015 წ., (<https://www.chinatimes.net.cn//article/50562.html>).

² მამუკა ბახტაძე – ჩვენ შანხაის ფორუმში პირადად პრეზიდენტ სი ძინფინგის მიწვევით ვმონაწილეობდით, რაც ჩინეთში ექსპორტის კიდევ უფრო გაზრდის საშუალებას მოგვცემს. – საქართველოს მთავრობა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური. 05.11.2018 (http://gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=491&info_id=68650).

ბახტაძემ ჩსრ-ს თავმჯდომარეს სი ძინფინგს წარუდგინა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ტურისტული პროექტები.¹ „ჩინეთის ახალგაზრდობის ვებგვერდის“ ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს გამოფენა ხელს შეუწყობს საქართველოს ექსპორტის გაფართოებას და მით უმეტეს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, ასევე შექმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს.² ამ ვიზიტის ფარგლებში პრემიერი ასევე შეხვდა ჩინეთის ბანკის (რომელიც იყო ჩინეთის პირველი საერთაშორისო იმპორტის ექსპოს მონაწილეთა და სტუმართა მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხების შესახებ გამართული ორმხრივი კონსულტაციების ორგანიზატორი) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ჩენ სსიცინგს. მათი თანდასწრებით ჩინეთის ბანკის კატარის ფინანსური ცენტრის ფილიალსა და საქართველოს საწარმოთა სამმართველოს შორის გაფორმდა სტრატეგიული შეთანხმება ორი ქვეყნის საშუალო და მცირე საწარმოების თანამშრომლობის წახალისების თაობაზე.

მ. ბახტაძემ აღნიშნა, რომ საქართველო „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მნიშვნელოვანი საკვანძო პუნქტია, მან გამოთქვა იმედი, რომ საქართველო და ჩინეთი კიდევ უფრო გააძლიერებენ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს და ფინანსურ თანამშრომლობას, რომ ჩინეთის ბანკი გამოავლენს თავის გლობალურ უპირატესობებს და საქართველოში კიდევ უფრო გააფართოვებს საქმიანობას. ჩენ სსიცინგმა კი აღნიშნა, რომ საქართველოში საწარმოო საქმიანობის განხორციელებისთვის არაჩვეულებრივი გარემოა, ძალიან ბევრი ჩინური კაპიტალით დაფუძნებული საწარმო ჩამოვიდა და დამკვიდრდა საქართველოში. ჩინეთის ბანკი გააფართოვებს საქართველოსთან თანამშრომლობას და წახალისებს საშუალო და მცირე საწარმოებს თანამშრომლობისკენ.³

¹ 姜微、陈二厚、李忠发、刘华、赵超/习近平主席出席首届中国国际进口博览会纪实/中华人民共和国国防部 – **ძიანგ ვეი, ჩენ არხოუ, ლი ჭუნგფვა, ლიუ ხუა, ჭაო ჩაო.** ოქმი ჩინეთის პირველი საერთაშორისო იმპორტის გამოფენაში თავმჯდომარე სი ძინფინგის მონაწილეობის შესახებ. – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო, 06.11.2018 (http://www.mod.gov.cn/shouye/2018-11/06/content_4828810_3.htm).

² 匈牙利官员点赞进博会：为全球市场提供崭新的机会和平台/中国青年网 – უნგრეთის ჩინოვნიკი ექსპოს შესახებ: მთელი მსოფლიოს ბაზრებისთვის უახლესი მანსი და პლატფორმა. – ჩინეთის ახალგაზრდობის ვებგვერდი, 11.11.2018 (http://news.youth.cn/jsxw/201811/t20181111_11782187.htm).

³ 陈四清董事长与格鲁吉亚总理马穆卡·巴赫塔泽在沪会面 – დირექტირთა

ახალი ამბების ვებსაიტი „ხუანცოუ“ ასევე ავრცელებს ინფორმაციას 2018 წელს მ. ბახტაძის მიერ განხორციელებული ვიზიტის შესახებ. წყარო იუწყება, რომ გამოფენის საზეიმო გახსნის დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მ. ბახტაძემ, ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ჟობუღიაძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა, საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარემ დავით საგანელიძემ მანხაის სასტუმრო „ოთხ სუონში“ შეხვედრა გამართეს კუანტუნგის ინჟუის ინვესტიციების მართვის ჯგუფის და ჩინეთის ანხუის პროვინციის (ჩაოხუს) იმპორტირებული სურსათის ინდუსტრიული ზონის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელთან სია იანგთან და სხვა ადგილობრივი რანგის მოხელეებთან.

მხარეებმა ოფიციალურად გააფორმეს შეთანხმება ქართული სპეციფიკური სურსათის ჩინეთის ანხუის პროვინციის ჩაოხუს იმპორტირებული სურსათის ინდუსტრიულ ზონაში შეტანის შესახებ. მ. ბახტაძემ აღნიშნა, რომ მანხაი ექსპო საუკეთესო პლატფორმაა ქართული პროდუქციის ჩინეთში პოპულარიზაციისთვის, ასევე საუკეთესო შესაძლებლობაა ქართული საწარმოებისთვის პროდუქციის ჩინეთში ექსპორტის კუთხით, ხოლო ანხუის სურსათის ინდუსტრიის ზონაში შესვლა კი ასეთ მუდმივ გამოფენაში მონაწილეობას ჰგავს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ჩინეთის ბაზარზე უფრო სწრაფად, ღრმად და სტაბილურად დამკვიდრებას.¹ მამუკა ბახტაძე ვიზიტის ფარგლებში შეხვდა კომპანია „ულიანგიე“² ჯგუფის“ დირექტორს და სააქციო საზოგადოების დირექტორთა

საბჭოს თავმჯდომარე ჩენ სსიციინგი მანხაიში საქართველოს პრემიერ მინისტრს მამუკა ბახტაძეს შეხვდა. – სოხუ (ჩინური ვებპორტალი და ონლაინმედიაკომპანია), 05.11.2018 (https://www.sohu.com/a/273473884_652676); ჩინეთის ბანკი (https://www.boc.cn/aboutboc/bi1/201811/t20181105_14068247.html); სინხუას საინფორმაციო სააგენტო, 06.11.2018, ინტერნეტსაიტი (http://www.xinhuanet.com/money/2018-11/06/c_129986853.htm).

¹ 陈超; 苏建军/共享中国机遇 进博会首日格鲁吉亚签约安徽进口食品产业园 - 环球网 发布时间: 18-11-06 10:26. – ჩენ ჩაო, სუ ძიენძიუინ. ერთად ვისარგებლოთ ჩინეთის შესაძლებლობით. გამოფენის პირველ დღეს საქართველომ ანხუის იმპორტული სურსათის ინდუსტრიულ ზონასთან შეთანხმება გააფორმა. – ხუანცოუ. ახალი ამბების ვებსაიტი.

(<https://baijiahao.baidu.com/s?id=1616351555076482753&wfr=spider&for=pc>).

² ულიანგიე – ცნობილი ჩინური არაყი.

საბჭოს თავმჯდომარეს *ლიუ ჟუნგოს*, პრემიერმა გამოთქვა იმედი, რომ ჩინური *ულიანგი* ქართულ ღვინოსთან ერთად ხელს შეუწყობდა ალკოჰოლური სასმელების კულტურათაშორის ურთიერთობას და მის განვითარებას, რის შემდეგაც 5 ნოემბერს „*ულიანგი*“ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ასოციაციასთან სტრატეგიული შეთანხმება გააფორმა.¹

ასეთივე ხასიათის იყო პრემიერ მ. ბახტაძის მეორე ვიზიტიც – 2019 წლის ივლისში, საქართველოს მთავრობის მეთაური ჩინეთში ჩავიდა ტალიენის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად.² ვიზიტის ფარგლებში მას ქ. ტალიენში შეხვდა ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ-მინისტრი *ლი ქეციაი*. ამ შეხვედრის შესახებ იუწყება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი.³ შეხვედრის მსვლელობისას *ლი ქეციაი*გმა

¹ 2018 国际名酒对接签约大会在沪举行 五粮液与格鲁吉亚对外贸易联合会、匈牙利酒企 签署战略合作协议. – *მანხაიმი 2018 წლის საერთაშორისო სახელოვანი ალკოჰოლური სასმელების შეხვედრის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებული სხდომა გაიმართა, ულიანგიმ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ასოციაციასთან და უნგრეთის ალკოჰოლური სასმელების სანარმოსთან სტრატეგიული შეთანხმება გააფორმა.* – *სოხუ*. ჩინეთის საინფორმაციო ინტერნეტპოლიტიკა. 15.11.2018. (https://www.sohu.com/a/275735818_740532).

² *მაშუკა ბახტაძე ჩინეთში ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს.* – *პალიტრანიუსი*. 02.07.2019 (<https://palitraneews.ge/video/mamuka-bakhtadze-chinetshiekonomikur-forumshi-monatsileobs?fbclid=IwAR3itMWUZGoW-qgKoo1J4hfUcBjYc0JSH3bBNUj3lwg2bnJ14wXcc3ub2eA>).

³ *李克强会见格鲁吉亚总理巴赫塔泽, 中华人民共和国中央人民政府 – ლი ქეციაი შეხვდა საქართველოს პრემიერ მინისტრს ბახტაძეს.* – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა, 01.07.2019 (http://www.gov.cn/guowuyuan/2019-07/01/content_5405027.htm). იხ. აგრეთვე: *李克强会见格鲁吉亚总理巴赫塔泽, 中华人民共和国外交部 – ლი ქეციაი შეხვდა საქართველოს პრემიერ მინისტრს ბახტაძეს.* – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 01.07.2019 (https://www.fmprc.gov.cn/web/gjhdq_676201/gj_67620).3/yz_676205/1206_676476/xgxw_676482/t1677444.shtml); *李克强分别会见保加利亚总统拉德夫、格鲁吉亚总理巴赫塔泽、世界经济论坛主席施瓦布/ 人民日报2019年 2019-07-02 期 – ლი ქეციაი ცალცალკე შეხვდა ბულგარეთის პრეზიდენტს რადევს, საქართველოს პრემიერ მინისტრს ბახტაძეს და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარეს შვაბს.* – *ქენძინ ჟიბაო*, N2019-07-02,

აღნიშნა, რომ ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები ურთიერთპატივისცემის და თანასწორი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე აგრძელებს ჯანსაღ და სტაბილურ განვითარებას, ჩინეთის პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო ევრაზიის რეგიონში პირველი სახელმწიფოა, რომელმაც ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დაამყარა. ჩინურ მხარეს სურს, რომ უკეთესად დააკავშიროს ერთმანეთთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარების სტრატეგიები, ბოლომდე გამოავლინოს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა, ერთობლივად იმსჯელონ და განახორციელონ „ერთი სარტყელი, ერთი გზის პროექტი“ და შემდგომ მიიღონ ერთობლივი სარგებელი ამ პროექტიდან. „ჩვენ გვსურს, ურთიერთთანასწორობის და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე გავაფართოვოთ ურთიერთინვესტირება, ღია და გამჭვირვალე, თანასწორი კონკურენციის და სხვა კომერციული პრინციპების საფუძველზე გავაძლიეროთ ურთიერთკავშირი და ინფრასტრუქტურის მშენებლობა, გავაღრმავოთ ჰუმანიტარულ სფეროში კონტაქტები და მოვახდინოთ გამოცდილების ურთიერთგაზიარება, განუხრელად შევუწყოთ ხელი ორი სახელმწიფოს ხალხთა ურთიერთგაგებას და მეგობრობას“ – განაცხადა ლი ჟეციანგმა.¹

მამუკა ბახტაძემ მიულოცა შეხვედრის მონაწილეებს ახალი ჩინეთის მშენებლობის 70 წლის იუბილე და აღნიშნა, რომ საქართველო-ჩინეთს შორის მაღალი დონის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები მჭიდროა და რომ ორ სახელმწიფოს მტკიცე პოლიტიკური ურთიერთნდობა აკავშირებს; საქართველო აქტიურად უჭერს მხარს „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ პროექტის ერთობლივი მშენებლობის იდეას და მიესალმება ჩინური საწარმოების მიერ საქართველოში ინვესტიციების გაფართოებას. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სურს, გააფართოვოს ჩი-

(<https://pay.cnki.net/zscsdoc/download?flag=mall&plat=mall&filename=RMRB201907020031&dbtype=CCND&dtype=pdf>); ასევე იხ. გაზეთი „ჩინა დელი“ (<http://cn.chinadaily.com.cn/a/201907/01/WS5d1a0b6ca3108375f8f2d761.html>).

¹ ლი ჟეციანგი შეხვდა საქართველოს პრემიერ მინისტრს ბახტაძეს. – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა, 01.07.2019; ლი ჟეციანგი შეხვდა საქართველოს პრემიერ მინისტრს ბახტაძეს. – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 01.07.2019; ლი ჟეციანგი ცალცალკე შეხვდა ბულგარეთის პრეზიდენტს რადევს, საქართველოს პრემიერმინისტრს ბახტაძეს და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარეს შვაბს. – *ჟენმინ ყიბაო*, N2019-07-02.

ნეთთან ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბები და განახორციელოს ურთიერთსარგებლიანობის კონცეფცია. შეხვედრას ესწრებოდნენ ჩსრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი ვანგ ი (王毅) და სხვა ოფიციალური პირები.¹

LIA GABLISHVILI

**THE OFFICIAL VISITS OF THE HIGH REPRESENTATIVES
OF THE GEORGIAN
GOVERNMENT IN THE PEOPLE'S REPUBLIC OF CHINA.
ACCORDING TO CHINESE PRESS MATERIALS**

Summary

Since the end of the 20th century, after Georgia regained its state sovereignty, Georgian-Chinese contacts have entered a qualitatively new phase. From now on (for the first time in the history) the relations between Georgia and China will be laid at the state level. China has become one of Georgia's main trading and economic partners. The rich experience of political and economic cooperation with China has been accumulated over the past 30 years. The article, based on Chinese-language materials for the first time in historiography, reviews the official and working visits of high-ranking representatives of the Georgian government to the People's Republic of China.

¹ ლი ქეციანგი შეხვდა საქართველოს პრემიერ მინისტრს ბახტაძეს. – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა, 01.07.2019; ლი ქეციანგი შეხვდა საქართველოს პრემიერ მინისტრს ბახტაძეს. – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 01.07.2019; ლი ქეციანგი ცალცალკე შეხვდა ბულგარეთის პრეზიდენტს რადევს, საქართველოს პრემიერმინისტრს ბახტაძეს და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარეს შვაბს. – ჟენმინ ყიბაო, N2019-07-02.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ხათუნა ლაბაზიძე

საინფორმაციო ომი – მულტიფუნქციური იარაღი

ინფორმაცია იქცა თანამედროვე მსოფლიოს მთავარ რესურსად: ომის და მშვიდობის, კონკურენციის თუ კონფლიქტის მთავარ იარაღად, ომის თუ ბიზნესის წარმოების საკვანძო ბერკეტად. ინფორმაციის, როგორც თანამედროვე სამყაროს მამოძრავებელი, მაპროვოცირებელი და მაგენერირებელი როლის სრულყოფილად შესწავლა, მისი გამოყენება და მისგან თავდაცვა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების მთავარი გამოწვევაა. ინფორმაციის, როგორც თანამედროვე ომის ცენტრალური იარაღის, გავლენის, გამოყენების მეთოდების და შედეგების არასათანადო შეფასება გვაკეთებინებს დაშვებას, რომ რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ ომი 2008 წლის შემდეგ აღარ უწარმოებია. არადა პირიქით არის: თუ ჩვენ სწორად შევაფასებთ საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე ინფორმაციული ომის და ოპერაციების ავტორებს, მიზნებს, მეთოდებს, რესურსებს, აქტორებს და სამიზნე ჯგუფებს, მივალთ დასკვნამდე, რომ საქართველო, განსაკუთრებით, 2016 წლის შემდეგ, რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ქვეყანაა და ინფორმაციული ოპერაციები, თავისი ფსიქოლოგიური შინაარსით, ამ ომის წამყვანი იარაღია.

შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ იმაზე, როგორ უნდა მოემზადოს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა და ინსტიტუციები თანამედროვე ომის ამ გამოწვევებისთვის, რა ფუნქციონირების სტრატეგიული ხედვები და დოკუმენტებია საჭირო საინფორმაციო ომის პრევენციისა და შეკავებისთვის და სისტემის მედეგობის უზრუნველსაყოფად. მსოფლიოში ბოლო ათი წლის მანძილზე ამ მხრივ დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ნოყიერ ნიადაგს იძლევა როგორც საანალიზოდ, ასევე საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის გამოწვევებზე, მიზნებსა და ამოცანებზე კარგად მორგებული მიდგომების ჩამოსაყალიბებლად. ისევე როგორც საქართ-

ველოს წინააღმდეგ მიმდინარე განგრძობითი საინფორმაციო ომის, ფაქტობრივ მასალებზე დაფუძნებული, გამოწვლილვითი გამოკვლევა მნიშვნელოვან როლს შეიტანს საინფორმაციო ომის ველზე მოქმედი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის – რუსეთის – მიზნების, მიდგომების, ტექნიკების შესწავლაში.

როდღიდან შეიძლება ვისაუბროთ საინფორმაციო ომზე, როგორც ბრძოლის იმ მეთოდზე, რომელმაც დიდწილად ჩაანაცვლა და გამოათავისუფლა კონვენციური ომის მეთოდების საჭიროება. ინფორმაცია, როგორც მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი საუკუნეებს ითვლის. რა ტექნოლოგიური სიახლეების წყალობით იქცა ის თანამედროვე ომის გამწევ ძალად; როგორ უწყობს ხელს რევოლუციური ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ინფორმაციის მანამდე არნახული სისწრაფით და უბარიერო გავრცელებას, ინფორმაციული კონტენტის ფუნდამენტურ ცვლილებას. ამ საკითხების შესწავლა საშუალებას მოგვცემს გვაანალიზოთ რა გვიანდერდა ისტორიულად და როგორ გამრავალფეროვნდა ტექნოლოგიურ ერაში საინფორმაციო ომის მეთოდები, რას შეიძლება დავაფუძნოთ ისტორიულად ჩვენი მედეგობა საინფორმაციო ომის დამანგრეველი გავლენის მიმართ და შეკავების და პრევენციის რა ახალი მექანიზიმების ჩართულობაა საჭირო საინფორმაციო მედეგობის ეფექტური სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად.

თანამედროვე ეპოქაში საინფორმაციო ომი მრავალი ამოცანის მისაღწევად გამოიყენება, ის სამხედრო ამოცანის შესრულების გასაადვილებლად კონვენციურ ქმედებებთან ინტეგრირებული, მათი წინმსწრები ან თანმხლები ქმედებაა და მისი გამოყენების არეალი უაღრესად ფართოა. ის გამოიყენება: კიბეროპერაციის მეშვეობით, სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის ხანგრძლივად მწყობრიდან გამოსაყვანად; ეკონომიკური კოლაფსის, ფინანსური ზარალის, მასობრივი არეულობის გამოსაწვევად; სახელმწიფო ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირების შესაფერხებლად კრიტიკულ სერვისებთან წვდომის შეზღუდვით; სამიზნე ქვეყნის აუდიტორიის ცნობიერების შესაცვლელად თავდამსხმელი ქვეყნის სასარგებლო საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით; არჩევნების შედეგებით მანიპულაციისთვის, არასასურველი კანდიდატის დისკრედიტაციის, დემოკრატიული წყობის შესუსტების, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის შერყევის მიზნით; კიბერშპიონაჟის გზით სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად, სხვა სადაზვერვო მოქმედებებით; სახელმწიფოსა და საზოგადოებაში არსე-

ბული წინააღმდეგობების გადრმავეების, ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი, პოლიტიკური ნიშნით ანტიგონისტური ჯგუფების ჩამოყალიბების გზით, სამეზობლო, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის; ქსელში არსებული ინფორმაციის მოპოვების ან ფაბრიკაციის მეშვეობით პოლიტიკური ფიგურების, სამხედრო პირების, სოციალური ჯგუფების ან გადაწყვეტილების მიმღები წრეების დისკრედიტაციის, დაშინებისა და შანტაჟისათვის და ა.შ. ამ კომპლექსური ღონისძიებების მიზანი ომის „უომრად“ მოგებაა, რადგან ის სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ალიანსების, მაგალითად, ნატო, ევროკავშირი, დეგრადაციას, დემოტივაციას, მორალურ და ფსიქოლოგიურ კაპიტულაციას, მოკლედ რომ ვთქვათ, თანამედროვე „ბაბილონის გოდოლებად“ ქცევას იწვევს, სადაც ერთიან აზრზე, ერთიან იდეაზე შეჯერება იმდენად არის გართულებული, რომ ფაქტობრივად მოშლილია ფუნქციონირების მექანიზმი.

საინფორმაციო ომმა წამალა ომსა და მშვიდობიანობას შორის საზღვრები, ისევე როგორც უკიდურესად გაამრავალფეროვნა საინფორმაციო ომის ავტორები თუ აქტორები და „ომი“ სამხედრო-პოლიტიკურიდან გადაიტანა საზოგადოებრივ სივრცეში: საინფორმაციო ომი, საინფორმაციო ოპერაციები სახელმწიფოების გარდა შეიძლება არანაკლები წარმატებით აწარმოონ ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, ნახევრად გასამხედროებულმა დაჯგუფებებმა, ბიზნეს-კორპორაციებმა და კერძო პირებმაც, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საინფორმაციო ომი ერთ-ერთ ყველაზე ხელმისაწვდომ და იაფ, მაგრამ ეფექტურ საშუალებად იქცა. ბუნებრივია, განსხვავებულია მიზნები, ზიანის თუ სამიზნე ჯგუფების მოცვის მასშტაბი. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო „პარალელური საინფორმაციო რეალობების“ ფართოდ გავრცელებას ანუ ზღვარის წაშლას სიმართლესა და ტყუილს შორის, მაშინ როცა სოციალური ქსელის ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია თავისი საინფორმაციო რეალობა შექმნას და ფაქტობრივად, შეუზღუდავად გაავრცელოს.

საინფორმაციო ომის არსებული განმარტებები სხვადასხვა კრიტიკურუმებს იყენებს და ეფუძნება: შეიძლება ვისაუბროთ საინფორმაციო ომის ფართო და ვიწრო გაგებაზე; საინფორმაციო ომის სამხედრო და არასამხედრო დეფინიციებზე; საინფორმაციო ომის განსხვავებულ შინაარსზე, მიზნებზე და სამიზნე ჯგუფებზე, რომელსაც განსაზღვრავს დემოკრატიული და ავტორიტარული სახელმწიფოების თავდაცვის და

უსაფრთხოების დოქტრინები. პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების თუ შეზღუდვის, საინფორმაციო სივრცის ღიაობის თუ კონტროლის მიმართ დემოკრატიული და ავტორიტარული სახელმწიფოების მიდგომებს, თავისთავად აისახება ამ ქვეყნების საინფორმაციო ომის/უსაფრთხოების კონცეფციებში, განსაზღვრავს მათი საინფორმაციო სივრცის დაცულობას ან მეტ მოწყვლადობას, მეტ ოპერატიულობას თუ გადაწყვეტილების მიღების შეფერხებულ მექანიზმს, აგრეთვე, იმას რამდენად აქტიურად იყენებს ქვეყანა საინფორმაციო ომის ტექნოლოგიებს საკუთარ მოსახლეობაზე ზემოქმედების და მათი მართვის მიზნით.

მზარდია შემოთქმა იმასთან დაკავშირებით, რომ ინფორმაციაზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა იმის ნაცვლად, რომ მეტი დემოკრატიის და ადამიანის გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტი გამხდარიყო, პირიქით – ციფრული დიქტატურისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული, და არა მხოლოდ იმ გზით, რომ ჩვენი ნებისმიერი გადაადგილება შეუძლიათ აკონტროლონ და ან ვთქვათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაბლოკონ არასასურველი პირების ანგარიშები, რასაც უკვე ფართოდ იყენებენ ავტორიტარული რეჟიმები, არამედ მეტადრე იმიტომ, რომ იცოდნენ განწყობები, ნებისმიერი ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი, რისი მეშვეობითაც ადამიანთა მოდგმის მანიპულაციის და დამონების აქამდე არნახულ მასშტაბებს შეუძლიათ მიაღწიონ. გახდა თუ არა საინფორმაციო-ტექნოლოგიური რევოლუცია საფრთხე დემოკრატიისთვის? ესეც თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე კითხვად იქცა. ტექნოლოგიების ზესწრაფი განვითარების პარალელურად სწრაფად ცვალებადია საინფორმაციო ომის დეფინიციაც.

თანამედროვე საინფორმაციო ერას „პოსტ-სიმართლის“ ერასაც უწოდებენ, რომლის მთავარი ნიშანია ზღვარის წამლა ფაქტებზე დაფუძნებულ სიმართლესა და ტყუილს, სიმულაციას, „ფეიკს“ შორის. სიმულაციური რეალობა არის ის, რაშიც საინფორმაციო ერის ადამიანი ლამის ყოველ დღე, გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფება და, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მის რწმენებსა და შეხედულებებზე; გარკვეულწილად აყალიბებს მის მსოფლხედვას და ანაცვლებს რეალობას. ამდენად, თანამედროვე ადამიანის მანიპულაციის ხარისხი ისე გაზრდილია, როგორც არასდროს. *ევარისტ ბარტოლოს* განმარტებით: „ჩვენ ყველანი პასუხისმგებელი ვართ სიმართლის მკვლელობაზე“.¹ და ეს მა-

¹ *Understanding the Post-truth Society: From Fake News, Datafication & Mass Survei-*

მინ, როდესაც სიმართლეზე დაფუძნებული ინფორმაცია პასუხისმგებ-
ლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებაში ძალზედ მნიშვნელოვან როლს
ასრულებდა და ასრულებს. ამავდროულად, პოსტ-სიმართლის ეპოქა
მნიშვნელოვანი გამოწვევაა დემოკრატიისთვის და მთავარი იარაღი რუ-
სული საინფორმაციო ომის იდეოლოგიებისთვის.

ტერმინი „პოსტ-სიმართლე“ 2016 წელს *ოქსფორდის ლექსიკონმა*
წლის სიტყვად დაასახელა და ის განმარტებულია, როგორც გარემოებე-
ბი, რომლის დროსაც ობიექტური ფაქტები ნაკლებ გავლენას ახდენს
საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, ვიდრე ემოციები და პირადი
შეხედულებები, რწმენები.¹ ეს ტერმინი პირველად გამოიყენა 1992 წელს
თავის სტატიაში: „*ტყუილის მთავრობა*“ სერბული წარმოშობის ამერი-
კელმა დრამატურგმა *სტივ ტესიჩმა*. ამ ტერმინით მან აღწერა პოლიტი-
კური ვითარება, სადაც დებატები ეფუძნება ემოციებს, განმეორებად ნა-
ხევრად-სიმართლესა და ტყუილს. მათი ფაქტებზე დაფუძნებული უარ-
ყოფა კი იგნორირებულია²

თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის, საინფორმაციო, ზე-
სწრაფი განვითარების კვალობაზე ჩვენ მალე პოსტ-სიმართლის სამყა-
როდან სრულად/მეტწილად ვირტუალური, სიმულაციური სამყაროსკენ
მივემართებით, სადაც მეტა-ვერსის ფორმატში შექმნილი გამოგონილი,
პარალელური სამყაროები დიდწილად ჩაანაცვლებს რეალურ გარემოს.
და მაშინ როცა ეს „პარალელური“ დიდწილად განდევნის და ჩაანაცვ-
ლებს ჩვენს რეალურ ყოფას და ინფორმაციულად ჩვენ მთლიანად შექ-
მნილ სამყაროებში ვიარსებებთ, სად და როგორ გაივლება ზღვარი რეა-

llance to the Death of Truth. The Commonwealth Centre for Connected Learning (3CL) held a conference in Malta’s capital, Valletta, on 10-11 October 2019 (<https://connectedlearning.edu.mt/post-truth-society-conference-day-one>).

¹ **Richard Kreitner**. Post-Truth and Its Consequences: What a 25-Year-Old Essay Tells Us About the Current Moment. – *The Nation* (Weekly Magazine). November 30, 2016 (<https://www.thenation.com/article/archive/post-truth-and-its-consequences-what-a-25-year-old-essay-tells-us-about-the-current-moment/>).

² **Steve Tesich**. A Government of Lies. – *The Nation* (Weekly Magazine), 06.01.1992, გვ. 12-13 (<https://www.thefreelibrary.com/A+government+of+lies.-a011665982>);
Mehmet Oytun CİBAROĞLU. Post-Truth in Social Media. – *The Archival World*. International Academic and Peer-Reviewed Journal. Publisher: *Türk Arşivciler Derneği*. Vol. 6, Issue 2, December 2019, გვ. 91 (https://www.researchgate.net/publication/338281961_Post-Truth_in_Social_Media).

ლობასა და ფიქციას, სიმულაციას, შორის; როგორი იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობის, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მექანიზმები, სად იწარმოება პოლიტიკა, იძულებული იქნება თუ არა ის დიდწილად „გადაყვეს“ საზოგადოებას, თავის ამომრჩეველს ვირტუალურ სამყაროში; სად იქნება და რა დოზით ამ ახალ, „მეტა-სამყაროში“ პიროვნების, მოქალაქის, ამომრჩევლის ადგილი?! ეს კითხვები ახლავე ითხოვს პასუხს, თუ ჩვენ გვინდა წინმსწრებად განვსაზღვროთ საინფორმაციო ომის, საინფორმაციო ოპერაციების გავლენების მასშტაბი ადამიანზე, საზოგადოებაზე, სახელმწიფოებზე, ახალ, მეტა-ვერსის, სრულად მოდელირებულ რეალობაში. ეს, ვფიქრობთ, დღეს მსოფლიოს მასშტაბით, როგორც სამეცნიერო წრეების, ასევე, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა.

საინფორმაციო ომი, მისი წარმოების მეთოდები და შედეგები საქართველოს მედიის და უსაფრთხოების კვლევითი ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღების პრიზმაში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მოექცა, როცა უშუალოდ კონვენციური საომარი ოპერაციების დაწყების წინ და პროცესში რუსეთმა საქართველოს კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე განახორციელა კიბერ-შეტევა. მას შემდეგ, როგორც კიბერ-შეტევების განხორციელების, ასევე უწყვეტი საინფორმაციო-დივერსიული, ფსიქოლოგიური, დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული ოპერაციების წარმოების კუთხით საქართველო რუსეთის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ქვეყანაა. მაგალითად, „*ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტის*“ მიერ გამოცემული პოლიტიკის დოკუმენტი საქართველოს წინააღმდეგ კრემლის მასირებული პროპაგანდის დაწყების თარიღად 2013 წელს მოინიშნავს, როდესაც რამდენიმე ინტერნეტ-ტელევიზიამ, ბექდურმა გამოცემამ, ვებ-გვერდმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ და პოლიტიკურმა ჯგუფმა დაიწყო „*ანტი-დასავლური გზავნილების მასიური გავრცელება*“.¹

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული რუსული საინფორმაციო ომის მიზნებს, მეთოდებს, სამიზნე ჯგუფებს ჩვენს მიერ ჩატარებული ვრცელი კვლევა ეძღვნება, რომელსაც, დასრულებული სახით, ახლო მომავალში წარმოვადგენთ. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ საინფორ-

¹ *კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. – პოლიტიკის დოკუმენტი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI). თბილისი, 22 აგვისტო, 2016. გვ. 6.*

მაცხოვრებლის იმ განმარტებებზე, რომლებიც ქართულ კვლევით სივრცეშიც გვხვდება. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული ცნობარი საინფორმაციო ომის განმარტებას იძლევა სახმელეთო ჯარებისთვის: „საინფორმაციო ომი (სახმელეთო ჯარებისთვის) – საინფორმაციო უპირატესობის მოპოვების მიზნით მოწინააღმდეგის ინფორმაციაზე, ინფორმაციის დაშუქების პროცესზე და საინფორმაციო საშუალებებზე ზეგავლენის მოხდენა, იმავდროულად საკუთარი საინფორმაციო სისტემების დაცვა მოწინააღმდეგის მხრიდან მსგავსი ქმედებებისგან“.¹ თუმცა, ეს განმარტება ძალიან შეზღუდულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, აშშ-ში საინფორმაციო ჯარები საჰაერო ძალების სტრუქტურაში შედის.

გვხვდება საინფორმაციო ომის ფართო განმარტებაც, რომელიც ამერიკულ კონცეფციას ეფუძნება და მოიცავს: „საინფორმაციო ტექნოლოგიების ცომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები) გამოყენებას და მენეჯმენტს, მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოსაპოვებლად. საინფორმაციო ომი შესაძლოა მოიცავდეს ტაქტიკური ინფორმაციის მოპოვებას, მიღებული ინფორმაციის ვალიდურობის დადასტურებას, ლეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებას – მოწინააღმდეგისა და საზოგადოების დემორალიზებისთვის ან მანიპულაციისთვის, ასევე, ხელის შეშლას მოწინააღმდეგისთვის, მოიპოვოს სარწმუნო ინფორმაცია“.²

ქართულ საინფორმაციო ველზე ვაწყდებით, აგრეთვე, საინფორმაციო ომისა და კიბერ-ომის გამიჯვნის მცდელობასაც: „ინფორმაციული ომი, ერთის მხრივ, მედია საშუალებების მიერ წარმოებული პროპაგანდაა (ჩვენ კარგები ვართ, ისინი – ცუდები!) და ამავე დროს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე შეტევები. აქ არ იგულისხმება ფოს-

¹ საინფორმაციო ომი (სახმელეთო ჯარებისთვის). – ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი.
([http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98_\(%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D_%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1\)](http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98_(%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D_%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1))).

² საინფორმაციო ომი. – Gmas.ge (ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალი), 7.05.2015. (საინფორმაციო ომი. – Gmas.ge).

ტისა და ტელეგრაფის აფეთქება, არამედ ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული შეტევები საინფორმაციო საშუალებებზე. პირობითად ასეთ ინტერნეტ-ომს ასევე კიბერ-ომიც შეგვიძლია ვუწოდოთ, რათა ადვილად განვასხვავოთ იგი ინფორმაციული პროპაგანდული ომისაგან”.¹ თუმცა, დიდი ალბათობით, საინფორმაციო ომი თავის თავში მოიცავს კიბერ-ომს, მეტიც კიბერ-ოპერაციები საინფორმაციო ომის წარმოების ერთ-ერთ ტექნოლოგიურ საშუალებად უნდა განვიხილოთ, რაც იმის შედეგია, რომ ციფრულმა ეპოქამ გააფართოვა საინფორმაციო ომის არეალი და შესაძლებლობები. მაგალითად, საინფორმაციო-დივერსიული და ფსიქოლოგიური ოპერაციები დიდწილად სწორედ კიბერ-არხებით ხორციელდება. კიბერ-არხებით ვრცელდება ისეთი კონტენტი, რაც კონვენციური მოქმედებების წინაპირობა შეიძლება გახდეს. ამასთან, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ეფექტის მქონე კიბეროპერაციები ფართოდ გამოიყენება პოლარიზაციის, ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოებისათვის, ასევე შანტაჟის, გადაბირების, დემორალიზაციის თუ ომის ზღვარზე ბალანსირების ეფექტისათვის.

საქართველოს ოფიციალურ დოკუმენტებში მოცემული დეფინიციები და ხედვები ან სრულად ვერ მოიცავს საინფორმაციო ომის არსს და ფოკუსირდება მხოლოდ კიბერ-უსაფრთხოების ელემენტზე ან მოძველებულია და საჭიროებს განახლებას ცნების გაფართოების გზით. მაგალითად, 2012 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ მიზნად განმარტავს „ხელი შეუწყოს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის ქმედით და ეფექტიან განხორციელებას, დააწესოს საჯარო და კერძო სექტორების უფლება-მოვალეობები ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის სფეროში, აგრეთვე განსაზღვროს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები“.²

იმისათვის, რომ გავიგოთ რამდენად ავიწროვებს ეს კანონი საინფორმაციო უსაფრთხოების ჩარჩოებს, კანონის მეორე მუხლიდან რამდენიმე ტერმინის განმარტებას მოვიხმობთ:

„ა) ინფორმაციული უსაფრთხოება – საქმიანობა, რომელიც უზრუნ-

¹ **დავით მჭედლიძე.** ინფორმაციული ომი. – *მედია.ჯი* (მედია-პორტალი), 22. 10. 2009, <http://www.media.ge/ge/portal/news/26362/>

² **საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ.** კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო). – *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე* (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1679424?publication=5>).

ველყოფს ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განგრძობადი მუშაობის დაცვას;...

დ) კიბერშეტევა – ქმედება, როდესაც ელექტრონული მოწყობილობა ან/და მასთან დაკავშირებული ქსელი ან სისტემა გამოიყენება კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემაში შემავალი სისტემების, ქონების ან ფუნქციების მთლიანობის დარღვევის, შეფერხების ან განადგურების ან ინფორმაციის უკანონოდ მოპოვების გზით;...

ვ) კრიტიკული ინფორმაციული სისტემა – ინფორმაციული სისტემა, რომლის უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისათვის ან/და ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის...“.¹

ასევე საინტერესოა ამ კანონის **მუხლი 3.1.:**

„ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ყველა იურიდიულ პირსა და სახელმწიფო ორგანოზე, რომლებიც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტები არიან. ამ კანონის მოქმედება ასევე ვრცელდება ისეთ ორგანიზაციასა და უწყებაზე, რომლებიც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტს ექვემდებარებიან ან ამ სუბიექტთან დაკავშირებული არიან დასაქმების, სტაჟირების, სახელშეკრულებო ან სხვა ურთიერთობით და რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციული აქტივის წვდომას ასეთი ურთიერთობის ფარგლებში“. ანუ ამ კანონის რეგულირების სფერო რეალურად მოიცავს სახელმწიფოს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის კიბერუსაფრთხოებას და რეგულირების მიღმა რჩება ფართო გაგებით საინფორმაციო ომის ყველა სხვა სასიცოცხლო ელემენტი.²

საქართველოს თავდაცვის განახლებული სტრატეგიული მიმოსილვა, რომელიც თავდაცვის სისტემის ერთ-ერთი სახელმძღვანელო დოკუმენტია, კიბერუსაფრთხოების ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „კიბერუსაფრთხოება მიჩნეულია უადრესად მნიშვნელოვან ოპერატიულ განზომილებად. კიბერუსაფრთხოების მიზანია ძლიერი სისტემის შექმნა, რომე-

¹ საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ...

² საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ...

ლიც მინიმუმამდე შეამცირებს მავნე ზემოქმედების აღბათობას და უზრუნველყოფს მონაცემებისა და ინფრასტრუქტურის სწრაფ აღდგენას კიბერთავდასხმის ან კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების შემთხვევაში¹. ხოლო ამ მიმართულებით წარმოებული პოლიტიკის შედეგი უნდა გახდეს კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების სწრაფი იდენტიფიცირება და რეაგირება, ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების განვითარების ხელშეწყობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების უსაფრთხოების აუდიტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების/უსაფრთხოების სტანდარტების განვითარება.²

საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში საინფორმაციო უსაფრთხოების შესახებ ასეთ ჩანაწერს ვპოულობთ: „ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება – საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციებისა და საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფას. თანამედროვე დაცული კომუნიკაციები უზრუნველყოფს უსაფრთხო, უწყვეტ კავშირსა და კოორდინირებულ მოქმედებას. მონაცემებისა და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვა მოითხოვს კიბერ და საკომუნიკაციო უსაფრთხოების სისტემებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია მოწინააღმდეგის მხრიდან საზიანო ქმედებების თავიდან აცილება, უარყოფითი შედეგების შემცირება და ყველა ელემენტის ფუნქციონირების უმოკლეს ვალებში აღდგენა. თავდაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა და ინფორმაციის უსაფრთხოება თავდაცვის სფეროში და ითანამშრომლოს სხვა შესაბამის უწყებებთან“.³

საქართველოს თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოთ მოტანილ დოკუმენტებში საინფორმაციო უსაფრთხოებასთან, საინფორმაციო ომთან და თავდაცვასთან დაკავშირებული დეფინიციების მიმოხილვა გვაჩვენებს, რომ სახელმწიფო საინფორმაციო უსაფრთხოებისა და თავდაცვის რეგულირების, თავდაცვისა და შეკავების, საინფორმაციო ომის გამოწვევებისთვის სახელმწიფოსა და საზოგადოების

¹ თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა, 2021-2025. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება. № MOD 4 21 00000142. თბილისი, 12.03.2021, გვ. 25 (<https://mod.gov.ge/ge/page/73/tavdacvis-strategiuli-mimoxilva>).

² თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა, 2021-2025., გვ. 25.

³ საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. თბილისი, 2014, გვ. 9 (ეროვნული სამხედრო სტრატეგია <https://mod.gov.ge>).

მედეგობის ხედვებისა და სტრატეგიის დეფინიციტს განიცდის. ეს ვაკუუმი სასწრაფო შევსებას საჭიროებს, ამას არამხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის კონკრეტული მიზნების, მეთოდებისა და მექანიზმების, ფაქტების აღწერა, არამედ რუსეთის საინფორმაციო ომის დოქტრინალურ დოკუმენტებში თუნდაც მხოლოდ ანალოგიური დეფინიციების თვალის გადავლება, რომელიც შეუდარებლად უფრო ფართო და მრავალ-ელემენტურიანია და, რომელიც აუცილებლად ითხოვს ჩვენი მხრიდანაც არსებული გამოწვევების ადექვატური საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგიის არსებობას.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. ომმა დაკარგა მატერიალური სახე, ამიტომ მისი აღმოჩენა აღრუელ სტადიაზე სულ უფრო რთული ხდება. ომი გახდა არა მხოლოდ სტიქი-აქტორების საქმე, არამედ სახელმწიფოების გარდა ის შეუძლია აწარმოოს ინდივიდმა ან მცირე ჯგუფმა/ებმა. ეს კი მის აღმოჩენას, პრევენციას და მის მიმართ მედეგობას უფრო მეტად ართულებს, ის გახდა შეუდარებლად იაფი. ინფორმაციული ომის სამიზნედ იქცა არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ კორპორაცია და ცალკეული ინდივიდი. ციფრული ერის მიერ მოტანილმა შესაძლებლობებმა ადამიანთა შორის ინფორმაციის გავრცელება და კომუნიკაცია შეუზღუდავი და ჰორიზონტალური გახდა, თუმცა ადამიანი მეტად დაუცველიც გახდა. ინფორმაცია გახდა არა მხოლოდ შეტევის ობიექტი, არამედ იარაღიც და შინაარსიც.
2. საინფორმაციო ომის შინაარსი და თავისთავად, დეფინიციის ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად ძალიან სწრაფად იცვლება. შესაბამისად, თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ინსტიტუტებს მართებთ უკიდურესი მოქნილობა და ოპერატიულობა სათანადო კონცეპტუალური დოკუმენტების და ხედვების განახლების მიზნით. საქართველოს კანონმდებლობა, შესაბამისი სტრატეგიული და კონცეფტუალური დოკუმენტები სრულად ვერ ასახავს საინფორმაციო ომის დეფინიციას, აკეთებს რა აქცენტს მის მხოლოდ ტექნიკურ მხარეზე. გამომდინარე აქედან, თუ არ გაქვს სრული დეფინიცია, არასრუ-

ლად ხედავ საფრთხეებს და არასათანადოდ ემზადები საფრთხეების და რისკების პრევენციისთვის. ეს ვაკუუმი სასწრაფო ამოვსებას საჭიროებს.

3. ვინაიდან საინფორმაციო ომი (ფსიქოლოგიური ომის ჩათვლით), საკანონმდებლო რეგულაციების დეფიციტის პირობებში, ომის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ნაკლები დემოკრატიული კონტროლის მქონე სახელმწიფოებში მიემართება არა მხოლოდ მოწინააღმდეგის, არამედ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგაც, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების და სტრატეგიული დოკუმენტების ნაწილში გათვალისწინებული იყოს ამგვარი ქმედებების პრევენციის მექანიზმებიც.

KHATUNA LAGAZIDZE

INFORMATION WARFARE – A MULTIFUNCTIONAL WEAPON

Summary

Information has become a major resource of the modern world: a main instrument of war and peace, competition or conflict, a key leverage in waging war or doing business. Gaining comprehensive knowledge of the role that information plays in triggering, provoking or generating processes in the modern world, knowledge of using it and protecting from it is a major challenge to the state security of Georgia. Failure to adequately assess the consequences of impact, methods of application of the information and its effects as the essential tool of modern warfare would make us suggest that Russia is no longer at war with Georgia after 2008; and on the contrary, if we make correct assessment of the information warfare in general and of the authors, goals, methods, resources, actors and target groups of the ongoing information war and operations against Georgia, in concrete terms, we will come to a conclusions that since 2016 Georgia has been a major target of Russia's hybrid

warfare and information operations along with their psychological attributes serve as the key weapon in this war. Accordingly, it is of critical importance to discuss how Georgian defence and security infrastructure and institutions need to be prepared for the challenges of modern warfare, what are the fundamental strategic visions and documents that need to be developed to prevent and contain the information war and ensure the resilience of the entire system. The relevant theoretical and practical knowledge accumulated globally for the past ten years provides solid ground for analysis and for developing approaches that are well adjusted to the Georgia's security and defence challenges, as well as goals and objectives. Similarly, a thorough and fact-based analysis of the lasting information war waged against Georgia will make an important contribution to the assessment of goals, approaches and techniques of Russia as a leading player in the information warfare.

A review of definitions of the information security, information war and defence present in the documents related to Georgia's security and defence show a lack of vision and strategic thinking concerning the state and societal resilience towards challenges of state regulation of the information security and defence, defence and containment, information war.

The existing Georgian legislation, strategic documents and concept papers do not give full definition of the information war, while they mainly focus on its technical side. Hence, the lack of definition leads to inadequate assessment of threats and insufficient preparedness for preventing these threats and risks. This vacuum needs to be filled without delay.

ბოჩო შურღია

რუსეთის ჰიბრიდული ომი უკრაინაში 2014–2015 წლებში

„მე მინდა შეგახსენოთ, რომ ის რასაც ძველად „ნოვოროსია“ ეწოდებოდა, ცარიზმის პერიოდში – ხარკოვი, ლუგანსკი, დონეცი, ხერსონი, ნიკოლაევი და ოდესა, არ იყვნენ მაშინ უკრაინის ნაწილები. ეს ტერიტორიები უკრაინას გადაეცა 1920-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ. რატომ? ვინ იცის. ეს ტერიტორიები დაიპყრეს პოტიომკინმა და ეკატერინე დიდმა საქვეყნოდ ცნობილი ომების სერიების შედეგად. ამ ტერიტორიების ცენტრი იყო ნოვოროსიისკი, შესაბამისად მთლიან რეგიონსაც „ნოვოროსია“ დაერქვა. რუსეთმა ეს ტერიტორიები დაკარგა სხვადასხვა მიზეზის გამო, თუმცა ხალხი იქ დღემდე რუსია“.¹ აღმოსავლეთ უკრაინასა და ყირიმში მიმდინარე პროცესების დროს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ეს საჯარო განცხადება, რომელიც მან 2014 წლის აპრილში გააკეთა, ნათელს ჰფენს რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულებას არამართო უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე, არამედ ზოგადად უკრაინის სახელმწიფოს მიმართ. პუტინი ხომ საერთოდ არ თვლიდა და არ თვლის უკრაინას შემდგარ სახელმწიფოდ.²

ასე რომ, როგორც კი პუტინმა უკრაინაში პროვეროპული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა რუსული სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხედ აღიქვა, უკრაინის წინააღმდეგ დაიწყო იმ რუსული სამხედრო-სტრატეგიული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმატების გარანტორი.

¹ Direct Line with Vladimir Putin. 30 June, 2021

(<http://en.kremlin.ru/events/president/news/65973>).

² 3. პუტინმა ჯერ კიდევ 2008 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს პირდაპირ განუცხადა: *“You have to understand, George, that Ukraine is not even a country...”* („თქვენ უნდა გესმოდეთ, ჯორჯ, რომ უკრაინა ქვეყანაც კი არ არის...“). იხ.: **Angela Stent**. Putin's Ukrainian endgame and why the West may have a hard time stopping him. – *CNN Sans*. 04 March 2014 (<https://edition.cnn.com/2014/03/03/opinion/stent-putin-ukraine-russia-endgame/index.html>), ხაზგასმა ჩვენია – ბ. შ.

მოცემული პოლიტიკა ითვალისწინებდა იმას, რომ რუსეთის გარშემო უნდა ყოფილიყო სუსტი, ნახევრად შემდგარი სახელმწიფოები, რომლებსაც ანტირუსული პოლიტიკის გასატარებლად საჭირო რესურსები და საშუალებები არ ექნებოდათ.

რუსეთის მიერ 2014-2015 წლებში უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ ჰიბრიდული ომი შეიძლება დაიყოს მოსამზადებელ, აქტიურ და სტაბილიზაციის ფაზებად,¹ რომელიც მოიცავს სამხედრო (რეგულარული და არარეგულარული ძალების ერთობლივი მოქმედება) და არასამხედრო კომპონენტებს, რაშიც, თავის მხრივ, შედის ომის წარმოების ისეთი არატრადიციული სფეროები, როგორცაა საინფორმაციო სივრცე, ეკონომიკა, დიპლომატია, პოლიტიკა და სხვა. მოცემულ ნაშრომში ვცდები განვიხილო რუსეთის ჰიბრიდული ომი უკრაინის წინააღმდეგ 2014-2015 წლებში, გამოვყო მისი მოქმედების ფაზები, კომპონენტები და აღვწერო სამხედრო მოქმედებების სპეციფიკა.

სეპარატისტული მოძრაობის წახალისება და მხარდაჭერა. ჰიბრიდული ომის ეფექტიანი წარმოებისთვის აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს მოსამზადებელი პერიოდი, რომლის დროსაც ხდება სამიზნე ქვეყნის სისუსტეების გამოვლენა და მათი დამუშავება, აგენტების ჩანერგვა/გადაბირება, ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტების მოპოვება და სეპარატიზმის წახალისება.

უკრაინის შემთხვევაში რუსეთისთვის მოსამზადებელი ფაზა შედარებით იოლი განსახორციელებელი იყო მათი საუკუნოვანი თანაცხოვრებისა და ერთობლივი ისტორიის, უკრაინაში დიდი რაოდენობით ეთნიკური რუსებისა და არსებული რუსული განწყობების, სოციო-კულტურული გავლენებისა თუ საერთო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, რუსეთისთვის მარტივი იყო უკრაინის მოსაზღვრე რაიონებში ეპოვა დასაყრდენი და წაეხალისებინა სეპარატიზმი. რუსული სპეციალური სამსახურების მუშაობის შედეგად რამდენიმე ათეული პრორუსული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა უკრაინაში, რომელთა შორის გამოირჩეოდა „*ეროვნული ერთიანობის პარტია*“² და „*დონეცკის რესპუბლიკა*“. ორგანიზაციები მჭიდრო კავშირში იყვნენ რუსულ სპეცსამსახურებთან და რუსეთში მოღვაწე ადგილობრივ ფაშისტურ ორგანიზაციებ-

¹ **András Rácz.** Russias Hybrid War in Ukraine: Breaking the Enemy;s Ability to Resist. Helsinki: The Finnish Institute of International Affairs, 2015, გვ. 59-67.

² **Vyacheslav Likhachev.** The Far Right in the Conflict Between Russia and Ukraine. Ifri, 2016, გვ. 21.

თან, მონაწილეობას იღებდნენ რუსების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და საჯარო დისკუსიებში, ქმნიდნენ იატაკქვეშა ორგანიზაციებსა და სააგიტაციო მასალებს, წვრთნებს გადიოდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების საწვრთნელ ბაზებში და ემზადებოდნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ აღმოსავლეთ უკრაინაში მოსალოდნელი სამხედრო კონფლიქტში.¹

კიევში, მაიდანზე მიმდინარე მოვლენების პარალელურად, რუსი პოლიტიკოსები აქტიურად ჩადიოდნენ ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში, კონსულტაციებს გადიოდნენ ადგილობრივ ლიდერებთან და ადგილობრივი ეთნიკურად რუსი მოქალაქეებისა და კრიმინალური ელემენტებისგან ქმნიდნენ გასამხედროებულ დაჯგუფებებს.² 2013-2014 წლებში დონეცკსა და ლუგანსკში ასევე გააქტიურდნენ ადგილობრივი კაზაკები, რომლებსაც რუსეთის სხვა რეგიონის მკვიდრი კაზაკებიც უერთდებოდნენ, რომლებიც კონფლიქტის აქტიური ფაზის დროს რუსულ არმიასთან კოორდინაციით მოქმედებდნენ.³

რუსული ჰიბრიდული ომის მოსამზადებელ ფაზაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც „რუსული სამყაროს“ იდეის გავრცელებისთვის იყენებდა ადგილობრივ ეპისკოპოსებს, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობაში თავიანთი გავლენებით ხელს უწყობდნენ პრორუსული განწყობების გაღვივებას.⁴

მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ასევე რუსული სამეცნიერო წრეები, რომელთა მიერ შექმნილი ისტორიული პროდუქტის მუდმივი ტირაჟირება ხდებოდა რუსეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედია საშუალებებით. რუსები აპელირებდნენ იმაზე, რომ ყირიმი რუსეთის ისტორიული ტერიტორია იყო, რომელიც რუსმა ხალხმა მოიპოვა და შეინარჩუნა საუკუნოვანი ბრძოლებისა და დაღვრილი სისხლის ფასად. ყირიმი, ისევე როგორც დონბასი და ლუგანსკი, იყო ნოვოროსია, რუსეთის იმპერიაში შემავალი ერთ-ერთი რეგიონი, რომელიც აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყო რუსეთის – დედა-სამშობლოს წიაღში. რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ყველა რუსის ვალდებულებას წარმო-

¹ *Means of Russia Hybrid Warfare Against Ukraine*. Scientific edition. National Defense University of Ukraine named after Ivan Cherniakhovskiy. *Scientific and research center of military history*. Kyiv, 2017, გვ. 9, 17-19.

² **Stephan Dayspring**. *Toward a Theory of Hybrid Warfare: The Russian Conduct of War During Peace*. Monterey: Naval Postgraduate School, 2015, გვ. 132-136.

³ *Means of Russia Hybrid Warfare Against Ukraine..*, გვ. 22.

⁴ *Means of Russia Hybrid Warfare Against Ukraine..*, გვ. 9.

ადგენდა ებრძოლა „ნოვოროსიელი“ რუსების კეთილდღეობისთვის და არ დაეშვათ გალიციელი უკრაინელების მიერ მათი ჩაგვრა და დისკრიმინაცია.

სეპარატისტული მოძრაობის წახალისების პარალელურად, რუსეთის სპეცსამსახურები მუშაობდნენ უკრაინის შეიარაღებული ძალების დასუსტებაზე, სადაც რუსეთის ფედერაციას ჰყავდა ჩანერგილი და გადმოზრდილი აგენტები. რუსული პოლიტიკის გავლენით უკრაინის ხელისუფლების უსაფრთხოებისა და თავდაცვის წამყვან თანამდებობებზე პრორუსი პოლიტიკოსები იყვნენ დანიშნულები, რომლებიც მიზანმიმართულად ანგრევდნენ უკრაინის თავდაცვით შესაძლებლობებს.¹ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარმა სადაზვერვო სამსახურმა შეძლო უკრაინის შეიარაღებული ძალების საშუალო და მაღალი დონის ოფიცრების გადმოზრდაც. მათ ძირითად სამიზნეს წარმოადგენდნენ ის ოფიცრები, რომლებიც მსახურობდნენ ინტერვენციის შეკავების პირველი რგოლის (დაზვერვა, სანაპირო დაცვა, კავშირგაბმულობა) ქვედანაყოფებში.²

მაგალითად, უკრაინის გენერალური შტაბის უფროსი იური ილინი თანამდებობიდან განთავისუფლებამდე რჩებოდა უკრაინის გადაყენებული პრეზიდენტის ერთგული და უარს ამბობდა უკრაინის ახალი ხელისუფლების მიერ გაცემული ბრძანებების შესრულებაზე.³ 2014 წლის 2 მარტს კი, წინა დღეს უკრაინის საზღვაო ძალების მეთაურად დანიშნულმა ადმირალმა, დენის ბერუშოვსკიმ უკრაინელებს უღალატა და ყირიმელი სეპარატისტების მხარე დაიჭირა.⁴ ოპერაციის აქტიური ფაზის დროს რუსული სპეცსამსახურები აქტიურად მუშაობდნენ ყირიმში დისლოცირებული უკრაინული შეიარაღებული ძალების ჯარისკაცების გადმოზრებაზეც, მათ სთავაზობდნენ უკეთეს პირობებს, მაღალ ხელფასს, გარანტირებულ პენსიას და ადგილს რუსეთის შეიარაღებულ ძალებში.⁵

¹ *Means of Russia Hybrid Warfare Against Ukraine..*, გვ. 19.

² *Means of Russia Hybrid Warfare Against Ukraine..*, გვ. 21.

³ *Начальника Генштаба Ильина ушпиталили из сердцевим нападом у Севастополи. – LB.ua. Дорослий погляд на світ. 26 February, 2014 (https://lb.ua/news/2014/02/28/257539_nachalnik_genshtaba_ilin.html).*

⁴ *New head of Ukraine's navy defects in Crimea. – BBC News. 02 March, 2014 (<https://www.bbc.com/news/world-europe-26410431>).*

⁵ **Michael Kofman, Katya Migacheva, Brian Nichiporuk, Andrew Radin, Olesya Tkacheva, Jenny Oberholtzer.** *Lessons From Russia's Operations in Crimea and Eastern Ukraine.* Santa Monica: RAND Corporation, 2017, გვ. 11-12.

საბოლოოდ, ყირიმში დისლოცირებული უკრაინის შეიარაღებული ძალების 18,000 სამხედრო მოსამსახურედან 11,500-მა რუსეთის ფედერაციის მხარეს გადასვლა აირჩია.¹

არაპირდაპირი სამხედრო მხარდაჭერა და რუსი მოხალისეები.
სეპარატისტების მიერ ქ. სლავიანსკის დაკავების შემდეგ რუსეთის ფედერაციის ქვევა აღმოსავლეთ უკრაინაში შექმნილ კრიზისთან მიმართებაში რადიკალურად შეიცვალა. თუ იგორ გირკინის გამოჩენამდე რუსეთი ყირიმის მიმართულებაზე იყო გადართული და დონბას-ლუგანსკთან დაკავშირებით მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით კმაყოფილდებოდა, სიტუაციის რადიკალიზაციასთან ერთად მათ დაიწყეს სეპარატისტებისთვის შეიარაღების მიწოდება და ეთნიკურად რუსი მოხალისეების გადასროლა უკრაინაში.

რუსულ არაპირდაპირ სამხედრო მხარდაჭერაში ასევე გამოსაყოფია ე.წ. „ძალების დემონსტრირება“, რუსეთის ფედერაციის მიერ რუსეთ-უკრაინის საზღვართან შეიარაღებული ძალების ეტაპობრივი თავმოყრა, რომელსაც ისინი მიმართავდნენ მაშინ, როცა მათ მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტები უკრაინულ შეიარაღებულ ძალებს ვეღარ უწევდნენ სათანადო წინააღმდეგობას, როგორც ეს მოხდა 2014 წლის 24 აპრილს, როდესაც უკრაინელებმა შეძლეს ქ. სლავიანსკის მიმართულებაზე მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა.² საზღვართან რუსების გამოჩენისა და შესაძლო ინტერვენციის თავიდან არიდების გამო უკრაინის ხელისუფლება იძულებული გახდა შეეჩერებინა ქ. სლავიანსკის იერიში და მის ხელთ არსებული ქვედანაყოფების გარკვეული ნაწილი რუსეთთან საზღვარზე განელაგებინა.

ამგვარად, სლავიანსკის დამცველებმა თავიდან აირიდეს მარცხი და კვლავ გააძლიერეს ქალაქის თავდაცვითი პოზიციები.³ აღნიშნულ ცრუ მანევრს კონფლიქტის მსვლელობისას კიდევ რამდენჯერმე მიმარ-

¹ *Ukraine troops leave Crimea by busload; defense minister resigns after Russia seizes peninsula.* 25 March, 2014 ([https:// www.cbsnews.com/news/ukraine-troops-leave-crimea-by-busload-defense-minister-resigns-after-russia-seizes-peninsula/](https://www.cbsnews.com/news/ukraine-troops-leave-crimea-by-busload-defense-minister-resigns-after-russia-seizes-peninsula/)).

² **Mark Tran, Tom McCarthy, Alan Yuhas.** Ukraine: government troops move against pro-Russia separatists – live. 24 April 2014 (<https://www.theguardian.com/world/2014/apr/24/ukraine-government-troops-move-against-pro-russian-separatists-live-updates>).

³ *Russian troops amass on border as Kyiv authorities reformulate operation plans.* 24 April 2014 (<https://www.kyivpost.com/article/content/ukraine-politics/5-dead-one-wounded-as-anti-terror-operation-continues-in-sloviansk-live-updates-344902.html>).

თა რუსეთმა, რომელიც პარალელურად სასაზღვრო ზოლში ნელ-ნელა ზრდიდა ჯარისკაცთა რაოდენობას და მაისისთვის რამდენიმე ათეულ ათასს სამხედრო მოსამსახურეს მიაღწია. ეს კი უკვე ძალიან სახიფათო იყო უკრაინისთვის, რადგანაც ამ რაოდენობის არმია უპრობლემოდ შეძლებდა კიევის მიმართულებით გაჭრას და მის დაკავებას, შესაბამისად, ისინი იძულებულნი იყვნენ ისედაც მცირე ძალები დიდ ტერიტორიებზე გადაენაწილებინათ და ამით შეესუსტებინათ სეპარატისტების წინააღმდეგ გამოყოფილი შეტევითი პოტენციალი.

რაც შეეხება რუსეთიდან სეპარატისტების დასახმარებლად გადასულ მოხალისეებსა და მოქირავნებს, რუსეთის ფედერაცია აღნიშნული პერიოდისთვის ფლობდა დიდ სამობილიზაციო რესურსს, ათასობით ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, ოფიცერი და ვეტერანი მზად იყო უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ კონფლიქტში დახმარებოდნენ სეპარატისტებს. მოხალისეების შეკრებისა და უკრაინაში გადასროლის ორგანიზებას ახდენდნენ რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფინანსებული ადგილობრივი რუსული ნეოფაშისტური ორგანიზაციები. რუსეთიდან უკრაინაში გადმოსული მოხალისეების დიდი რაოდენობით მონაწილეობა პირველად დაფიქსირდა დონეცკის აეროპორტის შტურმის დროს, სადაც ისინი მთავარი დამრტყმელი ძალის როლში გამოვიდნენ.¹ ამბოხებულების გეგმით, უკრაინის სპეცოპერაციის ძალების მესამე დანაყოფი, რომელსაც დონეცკის აეროპორტში დაკავებული ჰქონდა თავდაცვითი პოზიციები, ღირსეულ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მათ ძალებს და მარტივად შეძლებდნენ დასახული ამოცანის მიღწევას. შესაბამისად, 26 მაისს, გამთენიისას სეპარატისტები შეტევაზე გადავიდნენ და უბრძოლველად დაიკავეს ახალი ტერმინალი.² ოპერაციის მიმდინარეობამ მათ აფიქრებინა, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა. რეალურად კი, ძველ ტერმინალში, რომელიც ერთ კილომეტრში მდებარეობდა, უკრაინელმა სპეცრაზმელებმა მოაწყვეს ჩასაფრება და ელოდებოდნენ რუსების შემდგომ მოქმედებებს.

26 მაისს შუადღეს, უკრაინის ხელისუფლების ბრძანების შესაბამისად, უკრაინელმა სამხედროებმა დაიწყეს აეროპორტის განთავისუფლე-

¹ **Amos C. Fox.** "Cyborgs at Little Stalingrad": A Brief History of the Battles of the Donetsk Airport. 26 May 2014 to 21 January 2015. Land Warfare Paper 125 / May 2019. Institute of Land Warfare, Association of the United States Army, 2019. <https://www.ausa.org/sites/default/files/publications/LWP-125-Cyborgs-at-Little-Stalingrad-A-Brief-History-of-the-Battle-of-the-Donetsk-Airport.pdf>, გვ. 3.

² **Amos C. Fox.** "Cyborgs at Little Stalingrad", გვ. 3.

ბის ოპერაცია. ოპერაციის მხარდაჭერის მიზნით, Ми-8 ვერტიკალური აღვივებით მიიყვანეს დამატებითი სპეციალური ოპერაციის ძალების მოსამსახურეები, ოპერაციის საჰაერო მხარდაჭერისთვის გამოყოფილი იქნა Cy-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავები და Ми-24 ტიპის ვერტიკალური აღვივებით, რომლებმაც, სპეცრაზმელებთან ერთად, ძველი ტერმინალის შენობაზე იერიში მიიტანეს. ტერმინალში გამაგრებულ ამბოხებულებს შეიარაღებაში არ გააჩნდათ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები და მძიმე ტექნიკა, რის გამოც ისინი იძულებულნი იყვნენ, უკან ქაოსურად დაეხიათ. ორ სატვირთო ავტომანქანაში გადანაწილებული რუსი მოხალისეები გაიქცნენ ქალაქისკენ, სადაც ჩასაფრებულები იყვნენ სეპარატისტების „ვოსტოკ“ ბატალიონის მებრძოლები, რომლებსაც უკანდახეული თანამებრძოლები უკრაინელთა შეტევის ოპერაციის მეომრებად მიიღეს და მეგობრული ცეცხლი გახსნეს. შედეგად, აჯანყებულებმა ჯამში დაკარგეს 50-მდე მეომარი, რომელთაგანაც უმრავლესობა იყო რუსეთიდან ახლად გადასული მოხალისე. ამ დროისთვის დონეცკის დაჯგუფებაში შედიოდა ათასამდე მებრძოლი და ამ რაოდენობის მსხვერპლი მათთვის მნიშვნელოვან დანაკლისს წარმოადგენდა. თვითონ უკრაინელებისთვის ეს ოპერაცია უდანაკარგოდ დასრულდა.¹

ეს შემთხვევა კონფლიქტის მიმდინარეობის ერთ-ერთი გარდამტეხი ეპიზოდი იყო, რადგანაც სწორედ ამ წარუმატებელი შეტევის შემდეგ დაიწყო რუსეთის ფედერაციამ სეპარატისტებისთვის სამხედრო დახმარების გაზრდა. თუ მარტივად მაისამდე სეპარატისტების ხელში მხოლოდ მსუბუქი ტექნიკა იყო, ამის შემდეგ მათ შეიარაღებაში გაჩნდა რუსული წარმოების მძიმე დაჯავშნილი ტექნიკა, თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღები და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები. ეს უკანასკნელი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენდა სეპარატისტების შეიარაღებაში. ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებით შეიარაღებული სეპარატისტები უკრაინელთა საჰაერო უპირატესობის ნიველირებას ახდენდნენ.²

¹ Colby Howard, Ruslan Pukhov. Brothers Armed: Military Aspects of the Crisis in Ukraine. Minneapolis: East View Press, 2015, გვ. 297.

² 2 მაისს სეპარატისტებმა ჩამოაგდეს უკრაინული საბრძოლო თვითმფრინავი MI-24 Ukraine helicopters shot down in Sloviansk. 2 May 2014 (<https://www.aljazeera.com/news/2014/5/2/>). ასევე, 14 ივნისს სეპარატისტებმა ჩამოაგდეს უკრაინული Il-76, რის შედეგადაც გარდაიცვალა 49 სამხედრო მოსამსახურე (იხ.: Ukraine-helicopters-shot-down-in-sloviansk Ukraine crisis: Military plane shot down in Luhansk. 14 June 2014

საჰაერო მხარდაჭერას მოკლებული უკრაინელთა ქვეითები კი ქალაქებში გამაგრებულ სეპარატისტებს ვერაფერს უხერხებდნენ.

სეპარატისტების მიერ ეფექტიანი წინააღმდეგობის მიუხედავად, უკრაინელებმა ივლისის დასაწყისში მაინც შეძლეს ქალაქ სლავიანსკის დაკავება¹ და შემდგომი ამოცანების შესრულების დაწყება, კერძოდ: სასაზღვრო ზოლზე სრული კონტროლის მოპოვება, სეპარატისტების წინააღმდეგ მრავალი მიმართულებიდან ერთდროული შეტევა, ლუგანსკისა და დონეცკის ერთმანეთისგან მოწყვეტა, მათი ალყაში მოქცევა და სეპარატისტების განადგურება.

დონბასსა და ლუგანსკში ჰიბრიდული სამხედრო მოქმედებების დროს, აპრილ-აგვისტოს პერიოდში, ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე რუსეთის შეიარაღებული ძალები სეპარატისტებს ეხმარებოდნენ ძირითადად რუსეთის ტერიტორიაზე, უკრაინის საზღვართან სიახლოვეში განლაგებული საარტილერიო სისტემებიდან გახსნილი გამანადგურებელი ცეცხლით, სპეციალური ოპერაციების ძალებით, დრონებით, მოხალისეებისა და დაქირავებულების გადასროლით, სეპარატისტების წვრთნითა და საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვაში დახმარებით.

როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ უკრაინაში რუსები აქტიურად იყენებდნენ საარტილერიო და სარაკეტო სისტემებს, რაც სახმელეთო ბრძოლებში დომინანტურ როლს ასრულებდა. რუსები საარტილერიო დარტყმებისთვის საჭირო სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისთვის აქტიურად იყენებდნენ დრონებს,² სპეცრაზმს, „გრუსა“ და ადგილობრივ

(<https://www.bbc.com/news/world-europe-27845313>). 2014 წლის მარტიდან სექტემბრამდე, უკრაინელებმა აღმოსავლეთ უკრაინაში დაკარგეს ექვსი Су-25, ოთხი Ми-8, ორი МиГ-29 და ორი Су-24 (იხ.: **Colby Howard, Ruslan Pukhov**. Brothers Armed, გვ. 328). აღსანიშნავია ასევე სეპარატისტების მიერ მალაიზიური სამოქალაქო ბოინგის ჩამოგდების ინციდენტიც, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ როგორი თანამედროვე საჰაერო თავდაცვის სისტემებით იყვნენ მომარაგებულები ისინი (იხ.: **Malaysia Airlines Flight 17 shot down over the Ukraine-Russia border. 17 July 2014** (<https://www.history.com/this-day-in-history/malaysia-flight-17-shot-down-ukraine-russia>)).

¹ *Russia Urges Ukraine to End Renewed Military Operations*. 1 July 2014 (<https://www.haaretz.com/russia-urges-ukraine-to-end-renewed-military-operations-1.5254036>).

² საერთო ჯამში რუსმა სამხედროებმა 14 სხვადასხვა ტიპის უპილოტო საფრენი აპარატი გამოიყენეს აღნიშნულ პერიოდში (იხ.: **Phillip A. Karber**. Lessons Learned from the Russo-Ukrainian War. Potomac foundation, 2015, გვ. 39).

პარტიზანებს. სამიზნე ობიექტების განსაზღვრისთანავე აღნიშნული ქვედანაყოფები ინფორმაციას აწვდიდნენ ზურგში განლაგებულ საცეცხლე ჯგუფებს, რომლებიც დაუყოვნებლივ ახდენდნენ შესაბამის რეაგირებას. ეს იყო რუსების ახალი ჰიბრიდული მეთოდი, ახლებური მიდგომა, თუ როგორ აღმოეჩინათ სამიზნე და როგორ შეექმნათ წრიული ციკლი სამიზნის აღმოჩენასა და მის საცეცხლე დამუშავებას შორის.¹ რუსებმა საარტილერიო ბატარეები მიამაგრეს მექანიზებულ და სატანკო ბატალიონებს, რაც აადვილებდა ბატალიონის დონის ტაქტიკური ჯგუფის მეთაურების მოქმედებებს თუ მათ მიერ მცირე სამიზნეების საცეცხლე დამუშავებას და ასევე ზრდიდა საარტილერიო ცეცხლის ეფექტიანობას.

მსგავსი მოქმედებების ეფექტიანობის საუკეთესო მაგალითი არის 2014 წ. 11 ივლისის სარაკეტო დარტყმა დასახლებულ პუნქტ *ზელენოპოლიასთან* განლაგებული უკრაინული ქვედანაყოფების წინააღმდეგ,² სადაც რუსებმა დრონებისა და კიბერსაშუალებების კომბინირებით მოახდინეს უკრაინელთა ქვედანაყოფთა იდენტიფიცირება, მათი მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების მოშლა და შემდეგ BM-21 და 9A52-4 სისტემის საარტილერიო დანადგარებით ცეცხლის გახსნა. თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა 30 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურე და დაიჭრა 100 მათგანი. სარაკეტო-საარტილერიო თავდასხმის შედეგად უკრაინელთა ორი ბატალიონი მწყობრიდან გამოვიდა და აღარ შესწევდა უნარი გაეგრძელებინა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა.³ აღსანიშნავია, რომ ამ გამანადგურებელი დარტყმის განსახორციელებლად რუს არტილერიისტებს სულ რამდენიმე წუთი დასჭირდათ.⁴

პირდაპირი სამხედრო მხარდაჭერა. უკრაინის შეიარაღებულ ძალებს 2014 წლის აგვისტოს შუა რიცხვებისთვის ქ. დონეცკი სხვა სეპარატისტული რეგიონებისგან უკვე იზოლირებული ჰქონდათ, ხოლო ქ. ლუგანსკის ირგვლივ უფრო ვიწრო რკალი ჰქონდა შექმნილი. ყველაფერი მიდიოდა იქითკენ, რომ სეპარატისტული რეჟიმები მალე დაემხობო-

https://www.researchgate.net/profile/Phillip-Karber/publication/316122469_Karber_RUS-UKR_War_Lessons_Learned/links/58f1576e458515ff23ab42bc/Karber-RUS-UKR-War-Lessons-Learned.pdf

¹ **Amos C. Fox.** Battle of Debal'tseve: the Conventional Line of Effort in Russia's Hybrid War in Ukraine. *Armor*, Winter 2017, გვ. 50.

² **Phillip A. Karber.** Lessons Learned, გვ. 37.

³ **Amos C. Fox.** Battle of Debal'tseve, გვ. 50.

⁴ **Phillip A. Karber.** Lessons Learned, გვ. 38.

ნენ. შესაბამისად, უკრაინის გენშტაბმა დაგეგმა ქ. ილოვაისკის აღების ოპერაცია, რომელიც დონეცის დაკავებისთვის ერთ-ერთ დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. უკრაინელმა მოხალისეებმა ქალაქზე შეტევა დაიწყეს 10 აგვისტოს, 18 აგვისტოს კი დამხმარე ძალების გადასროლის შემდეგ დაიწყეს ქალაქის დაკავების ოპერაცია.¹ თუმცა, მათ ეფექტიან წინააღმდეგობას უწევდა დონეცკელი მებრძოლებით გაძლიერებული ადგილობრივი შეიარაღებული დაჯგუფება,² რამაც ქალაქის სწრაფად დაკავების ოპერაცია ჩააგდო. მიუხედავად ამისა, დრო უკრაინელების სასარგებლოდ მოქმედებდა, ქალაქის დაკავება გარდაუვალი იყო, შემდეგ კი დონეცის აღებამდე ადარაფერი იყო დარჩენილი, რაც აღმოსავლეთ უკრაინაში კრიზისის დასასრულს ნიშნავდა. ვ. პუტინის ხელისუფლებას აღნიშნულის დაშვება არ შეეძლო, შესაბამისად, მან ბრძანება გასცა რუსეთის შეიარაღებული ძალები აქტიურად ჩართულიყვნენ კონფლიქტში და, შედეგად, რუსული ქვედანაყოფები შეტევაზე გადავიდნენ.

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა მოქმედება მოწინააღმდეგის ინტენსიური საარტილერიო დამუშავებით დაიწყეს, რის შედეგადაც უკრაინის მეხუთე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონმა, რომელსაც რუსეთის სასაზღვრო მონაკვეთის დაცვა ევალებოდა, უკან დაიხია და საკუთარი ძალების მარჯვენა ფლანგი დაუცველი დატოვა. წარმოქმნილი ნაპრაღით ისარგებლეს საზღვართან განლაგებულმა რუსულმა ქვედანაყოფებმა, დაახლოებით ოთხმა ბატალიონმა, რომლებსაც ეხმარებოდა საჰაერო მედესანტეთა ჯგუფი და დაიწყეს უკრაინის მიმართულებით იერიში, რასაც მოჰყვა ილოვაისკის მარცხენა ფლანგზე განლაგებული უკრაინული ქვედანაყოფების უკანდახევაც. რუსებმა ალყაში მოაქციეს ქალაქი, უკრაინელთა გარდვევის ოპერაცია კი ფატალურად დასრულდა,³ რუსული საარტილერიო ცეცხლის შედეგად დაიღუპა მინიმუმ 366 ჯარისკაცი და დაიჭრა 429.⁴

¹ **Amos C. Fox.** The Siege of Ilovaisk: Manufactured Insurgencies and Decision in War. The Landpower Essay Series, LPE 21-2, April 2021, გვ. 1-9. <https://www.ausa.org/file/90894/download?token=MzhhyMHX>.

² **Anna Matveeva.** Through Times of Trouble. London: Lexington books, 2018, გვ. 160-161.

³ *Міністерство Оборони України. Аналіз бойових дій в районі Іловайська після вторгнення російських військ 24-29 серпня 2014 року.* 19 жовтня, 2015 (<https://www.mil.gov.ua/news/2015/10/19/analiz-illovausk--14354>).

⁴ *Office of the United Nations High Commissioner for Human Rights.* Human rights violations and abuses and international humanitarian law violations committed in

ილოვაისკის გარღვევის პარალელურად აგვისტოს ბოლოსკენ რამდენიმე რუსულმა ბატალიონის ტაქტიკურმა ჯგუფმა გადაკვეთა უკრაინა-რუსეთის საზღვარი და დაიძრა საპორტო ქალაქ მარიუპოლისკენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსები იყენებდნენ თანამედროვე T-72B3 და T-90 ტიპის ტანკებს, მათ ვერ შეძლეს მარიუპოლის დაკავება,¹ რომლის დაცვაშიც უკრაინელ მოხალისეებთან, ერთად ქართული ქვედანაყოფებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს. რუსებისა და სეპარატისტების ეფექტიანი კონტრშეტვისა და ილოვაისკში გარღვეული პოზიციების გამო, უკრაინელები იძულებულები გახდნენ დაეწყოთ მოლაპარაკებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და, შედეგად, 2014 წლის 5 სექტემბერს დაიდო მინსკის პირველი სამშვიდობო შეთანხმება.

შეთანხმების მიხედვით მხარეები იღებდნენ ვალდებულებას:

1. იარაღის გამოყენების ორმხრივი დაუყოვნებლივი შეწყვეტის უზრუნველყოფა;
2. ეუთო-ს ქვეყნების წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველყოფა იარაღის არგამოყენების შეთანხმების შესრულების მონიტორინგისა და ვერიფიკაციის მიზნით;
3. უკრაინაში ძალაუფლების დეცენტრალიზაციის რეფორმის გატარება;
4. ეუთოს წარმომადგენლების მუდმივმოქმედი მონიტორინგის მუშაობის უზრუნველყოფა უკრაინის ტერიტორიაზე, რუსეთ-უკრაინის საზღვარზე უსაფრთხოების ზონების შექმნის მიზნით;
5. მძევლებისა და უკანონოდ დაკავებული ყველა პირის დაუყოვნებლივ განთავისუფლება.
6. კანონის მიღება, რომელიც აკრძალავდა იმ ცალკეული პირების მიმართ ღვეწას, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დონეცკსა და ლუგანსკის ოლქებში განვითარებულ მოვლენებში;
7. ინკლუზიური საერთოეროვნული დიალოგის გაგრძელება;
8. დონბასში განვითარებული ჰუმანიტარული კრიზისის გაუმჯობესების მიზნით ყველა შესაძლო ღონისძიების გატარება;

the context of the Ilovaisk events in August 2014. 2018, გვ. 2

(https://www.ohchr.org/Documents/Countries/UA/ReportOnIlovaisk_En.pdf).

¹ Phillip A. Karber. Lessons Learned, გვ. 40.

9. უკრაინული კანონმდებლობის სრული დაცვით ვადამდელი ადგილობრივი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა;
10. უკრაინის ტერიტორიიდან უკანონო სამხედრო დაჯგუფებების, სამხედრო ტექნიკა, ასევე „ბოვიკებისა“ და დაქირავებული მებრძოლების გაყვანა;
11. დონბასის ეკონომიკური აღორძინების პროგრამის შემუშავება;
12. კონსულტაციის მონაწილეებისთვის პირადი უსაფრთხოების გარანტიების მიცემა.¹

მინსკის ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციამ და სეპარატისტებმა დადების მეორე დღესვე დაარღვიეს. რეგიონში კვლავ გრძელდებოდა საბრძოლო დაპირისპირებები, რომლის დროსაც რუსებმა და მათმა მოკავშირეებმა განახორციელეს ლუგანსკის აეროპორტის მძიმე საარტილერიო დაბომბვა, შემდეგ კი უახლესი ტანკების გამოყენებით იქ გამაგრებული უკრაინული საჰაერო-სადესანტო ძალების წინააღმდეგობის დაძლევა და აეროპორტის დაკავება. მცირე-მცირე შეჯახებების პარალელურად რუსებმა სწრაფი ტემპებით დაიწყეს როგორც სეპარატისტების სამხედრო ძალების გადამზადება, ასევე მათი სხვადასხვა შეიარაღებით მომარაგება. რუსეთის გენერალურ შტაბსა და დონეც-ლუგანსკის სეპარატისტებს ექვსი ამოცანა ჰქონდათ დასახული დონეცკის აეროპორტის აღება, დასახლებული პუნქტი *დებალცევს* დაკავება, *მარიუპოლის* აღება, დასავლეთით ვოლნოვახას მიმართულების გარღვევა, მდინარე *სევერსკი დონეცხე* არსებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხიდის დაკავება და ლუგანსკის ჩრდილოეთით უკრაინელთა თავდაცვითი პოზიციების გარღვევა.²

2015 წლის იანვარში სეპარატისტებმა და მათმა მოკავშირე რუსებმა აქტიური სამხედრო მოქმედებები განაახლეს, რის შედეგადაც დონეცკის აეროპორტის 240-დღიანი სააღყო ომი ფაქტობრივად დასრულდა 2015 წ. 21 იანვარს,³ შემდეგ კი მთელი ყურადღება გადაიტანეს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს *დებალცევს* შვერილზე, რომლის დაუფლებისთვის ბრძოლაც იდეალურად ასახავს უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების რუსული ჰიბრიდული ელემენტების შემადგენელს. აღნიშნულ ბრძოლაში რუსებმა „*კოლიტიური მიზნების მი-*

¹ *Protocol on the results of consultations of the Trilateral Contact Group (Minsk Agreement)*, 05 September 2014 (<https://peacemaker.un.org/UA-ceasefire-2014>).

² **Phillip A. Karber.** *Lessons Learned*, გვ. 41.

³ **Amos C. Fox.** „*Cyborgs at Little Stalingrad*“, გვ. 10.

საღწევად ერთდროულად და ადაპტირებულად, ერთ საბრძოლო სივრცეში, გამოიყენეს რეგულარული და არარეგულარული ძალები, ასევე ტერორისტული და კრიმინალური მეთოდები“.¹

დებალცევს შვერილზე შეტევის ოპერაციისას რუსების წარმომადგენლობა უკრაინაში გაიზარდა 10,000 კაცამდე,² რომლებიც როტაციის პრინციპით ჰყავდათ გადმოსროლილი რუსეთის ყველა სავლეთ არმიიდან. შესაბამისად, შექმნილი იყო რამდენიმე ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი, რომელსაც რუსული ჰიბრიდული ძალები იყენებდნენ შოკური დარტყმისთვის, რომლებსაც უკან მიჰყვებოდნენ სეპარატისტების ნაწილები. რუსული ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი შედგებოდა მექანიზებული ქვეითებისგან, სატანკო ჯგუფებისა და არტილერიისტებისგან.³ სეპარატისტების ქვედანაყოფები შედგებოდა რუსების მიერ მომზადებული რეგულარული ნაწილებისგან, მოხალისეებისა და რუსი სამხედრო ინსტრუქტორებისგან, ასევე რუსული სპეცოპერაციის ძალებისა და ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მებრძოლებისგან, რომლებსაც ძირითადად იყენებდნენ სადაზვერვო და დივერსიული ამოცანების შესრულებისთვის. ქვედანაყოფებზე მიმაგრებულები იყვნენ ასევე რუსი შტაბის ოფიცრები, რომლებიც ძირითადად დამგეგმავებისა და მაკოორდინირებლების როლს კისრულობდნენ.⁴ რუსეთის ფედერაციის ჯარებისა და ადგილობრივი სეპარატისტების გარდა, დებალცევს ბრძოლაში წარმოდგენილი იყვნენ კაზაკები, რუსი, ჩეჩენი, აფხაზი, ოსი და სერბი მოხალისეებიც.⁵

რუსები ასევე აქტიურად ამარაგებდნენ სეპარატისტებს მძიმე ტექნიკითა და შეიარაღებით, ხოლო კრიტიკულად მნიშვნელოვანი თანამედროვე ძვირადღირებული რუსული ტექნიკის გამოყენებისთვის მივ-

¹ **Frank Hoffman.** Conflict in the 21st century: The rise of hybrid wars. Arlington, Virginia: Potomac institute for policy studies, December 2007, გვ. 8. (https://potomacinstitute.org/images/stories/publications/potomac_hybridwar_0108.pdf).

² **Mark Galeotti.** Armies of Russia's War in Ukraine. New York: Osprey Publishing, 2019, გვ. 34.

³ **Randy Noorman.** The Battle of Debaltseve: a Hybrid Army in a Classic Battle of Encirclement. – *Small Wars Journal*, 07/17/2020. (https://smallwarsjournal.com/jrnl/art/battle-debaltseve-hybrid-army-classic-battle-encirclement#_ftn3)

⁴ **Randy Noorman.** The Battle of Debaltseve...

⁵ 600-მდე კაზაკი, „რუსული ორთოდოქსული არმია“, ბატალიონი „კოსტოკი“, „ვაბერის“ ცნობილი დაჯგუფება და „ენოტი“. იხ.: **Randy Noorman.** The Battle...

ლენილი ჰყავდათ შესაბამისი პერსონალი. ასეთი ძირითადად იყო CHAP-10M1 ტიპის რადარები, რომელთა მეშვეობით სეპარატისტებს აწვდიდნენ უკრაინული ქვედანაყოფების გადაადგილების მარშრუტებს და ასევე რუსული Зоипарк-1 ტიპის სისტემები, რომელთა მეშვეობითაც ადგენდნენ მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარეების ადგილმდებარეობას.

რუსეთის გენშტაბის გეგმის მიხედვით, ოპერაციის დასაწყისში უნდა განხორციელებულიყო ქალაქის მასიური საარტილერიო დაბომბვა, მოწინააღმდეგის თავდაცვითი პოზიციების ინტენსიური ცეცხლი, შემდეგ კი რუსების ჰიბრიდულ ჯგუფებს დებალცევს შვერილის ძირში ორივე მხრიდან უნდა განეხორციელებინათ შეტევა, გაერღვიათ საარტილერიო ცეცხლით დასუსტებული თავდაცვითი ზღუდეები და ერთმანეთს შეერთებოდნენ, ამგვარად შეიკვრებოდა რკალი ქალაქში ჩარჩენილი უკრაინელების ირგვლივ.¹

დებალცევს ბრძოლა დაიწყო ქალაქის ძლიერი საარტილერიო დაბომბვით 14 იანვარს, 10 თებერვლისთვის კი რუსეთის ჰიბრიდული ჯგუფები გადავიდნენ შეტევაზე. 12 თებერვალს გაფორმდა მინსკის მეორე შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც 15 თებერვლიდან უნდა ამოქმედებულიყო.² შეთანხმების პირობები შემდეგი იყო:

1. დონეცსა და ლუგანსკში დაუყოვნებლივი და სრული ცეცხლის შეწყვეტა, რომელიც ამოქმედდებოდა ადგილობრივი დროით 15 თებერვალს, 00:00 საათზე;
2. ორივე მხარის მიერ ყველა სახის მძიმე შეიარაღების გატანა და ბუფერული ზონების შექმნა: 50 კილომეტრი 100 მმ-იანი კალიბრის იარაღისთვის, 70 კმ-იანი ზონა რეაქტიული სისტემებისთვის, ხოლო 140 კმ-იანი – „ტორნადოს“, „ურაგანის“, „სმერჩისა“ და „ტოჩკა უ-ს“ ტიპის საარტილერიო სისტემებისთვის. უკრაინელებისთვის ათვლის ხაზი გადიოდა ხელშეკრულების ხელმოწერისას არსებული ფრონტის ხაზზე, ხოლო სეპარატისტების დაჯგუფებებისთვის კი – 2014 წლის 19 სექტემბრისთვის დაფიქსირებული მონაკვეთიდან. მძიმე შეიარაღების გატანა უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების ამოქმედებიდან არანაკლებ

¹ **Randy Noorman.** The Battle of Debaltseve.

² *Package of measures for the Implementation of the Minsk agreements.* 2015 (https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/UA_150212_MinskAgreement_en.pdf).

14 დღეში, აღნიშნულ პროცესს კი უნდა დაკვირვებოდა ეუთოს შესაბამისი მისია;

3. ცეცხლის შეწყვეტისა და მძიმე შეიარაღების კონფლიქტის ზონიდან გატანის მონიტორინგსა და ვერიფიკაციას განახორციელებდა ეუთო შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით;
4. ხელშეკრულების ამოქმედებიდან მეორე დღესვე უნდა დაეწყოს ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადება უკრაინის კანონმდებლობის გათვალისწინებით, პარალელურად კი გაეგრძელებინათ მსჯელობა ლუგანსკისა და დონეცკის პოლიტიკური მომავლის შესახებ;
5. შეწყალება და ამნისტია ყველა იმ პირის, რომელიც მონაწილეობდა დონეცკსა და ლუგანსკში მიმდინარე კონფლიქტში;
6. ყველა ტყვის და არალეგალურად დაპატიმრებული პირის ციხიდან გამოშვება და გაცვლა „ყველა ყველაზე“ პრინციპით;
7. საჭირო ჰუმანიტარული დახმარების შეტანა საერთაშორისო დამკვირვებლების მეთვალყურეობის ქვეშ;
8. კონფლიქტის რეგიონების სოციალური და ეკონომიკური აქტივობების სრული აღდგენა;
9. რუსეთ-უკრაინის საზღვარზე დამყარდებოდა უკრაინის მთავრობის სრული კონტროლი, რომელიც დაიწყებოდა ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ;
10. უცხო ქვეყნების შეიარაღებული დაჯგუფებების, იარაღისა და დაქირავებული მეომრების გაყვანა უკრაინის ტერიტორიიდან ეუთოს მონიტორინგის ქვეშ;
11. უკრაინაში კონსტიტუციური რეფორმის ჩატარება, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა უკრაინის დეცენტრალიზაცია და დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების განსაკუთრებული სტატუსი, 2015 წლის ბოლოსთვის კი რეფორმირებული კონსტიტუციის დამტკიცება.¹

მიუხედავად შეთანხმებისა, სეპარატისტები და მათი მოკავშირეები ყველანაირად ცდილობდნენ, შვერილი 15 თებერვლამდე გაერღვიათ

¹ *Package of measures for the Implementation of the Minsk agreements.* 2015.

და ქალაქი დაეკავებინათ. რუსები დროში ვერ ჩაეტივნენ, შესაბამისად მინსკის მეორე შეთანხმების დარღვევა მისი ძალაში შესვლის პირველივე წუთებიდან დაიწყო და განაგრძეს იერიში დებალცევეში გამაგრებული უკრაინელების წინააღმდეგ, რომლებიც საბოლოოდ ალყაში მოაქციეს. 18-19 თებერვალს უკრაინელმა სამხედროებმა წარმატებული გარღვევის ოპერაციის შედეგად ალყაშემორტყმული ქალაქი დატოვეს, რომელიც 20 თებერვალს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა და მათმა მოკავშირეებმა დაიკავეს.¹

რუსების მიერ დადებული ხელშეკრულებების დარღვევა შეიძლება ითქვას იყო ჰიბრიდული ომის რუსული დიპლომატიის შემადგენელი, რომელიც მიზნად ისახავდა საერთაშორისო დონის ხელშეკრულებით ძალთა დაშორებების წინაპირობების წარმოქმნას და მისი აღსრულების პერიოდში მოწინააღმდეგის ძალებისთვის მძიმე დარტყმის მიყენებას და დასახული ამოცანების შესრულებას.

სამხედრო მოქმედებების საინფორმაციო მხარდაჭერა. 2014-2015 წლებში მიმდინარე ჰიბრიდული ომის დროს რუსული საინფორმაციო კამპანიის მიზანს წარმოადგენდა უკრაინის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დაბნევა, მათი ორჭოფობის გამოწვევა და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღების მიმართ შიშის გაღვივება. ამას დაემატა რუსული სამხედრო და სამოქალაქო სექტორის მიერ უკრაინის მართვისა და კონტროლის სისტემებზე კიბერშეტევების მიტანა, ასევე ელექტრონული ბრძოლის საშუალებებით გადაცემათა სიხშირეების ჩახშობა. საინფორმაციო ომი კონფლიქტში თამაშობდა ცენტრალურ როლს, სადაც ტყუილი და შეცდომაში შეყვანა იყო რუსეთის მოქმედებების უმთავრესი ელემენტი. მიდგომა – მთავარი არა ფაქტებია, არამედ მათი აღქმა – რუსეთის პოლიტიკური ელიტის მიერ წლების განმავლობაში იხვეწებოდა.

რუსეთი წლების განმავლობაში ქმნიდა საინფორმაციო ოპერაციებისთვის საჭირო სტრუქტურებს, ინსტიტუტებს. ფაქტებით მანიპულირება, სიმართლესა და ტყუილს შორის ზღვრის წაშლა, ფიქციური ალტერნატიული რეალობის შექმნა პუტინის ხელისუფლებამ პროფესიულ დონეზე აიყვანა. ჰიბრიდული ომის საინფორმაციო შემადგენლის ყველაზე მთავარ წარმატებულ ნაწილს წარმოადგენდა უარყოფის ელემენტი. რუსეთის ხელისუფლება პასუხისმგებლობას არ იღებდა მის მიერ ჩადენილ ქმედებებზე და, სიტუაციის დალაგებამდე, დროის მოგების თუ

¹ Amos C. Fox. Battle of Debal'tseve, გვ. 47-49.

სხვა მიზნით, უარყოფდა მომხდარ მოვლენებთან კავშირს.

მაგალითად, ყირიმში მიმდინარე მოვლენებისას, უკრაინის ხელი-სუფლებას უჭირდა გადაწყვეტილების მიღება, რადგანაც არ სურდათ მათ რამე ქმედებას გამოეწვია რუსეთის პროვოცირება და ფიქრობდნენ, რომ რუსებს ზუსტად ეგ მიზანი ამოძრავებდათ, უკრაინელების მიერ განხორციელებული კონტრზომები გამოეყენებინათ საბაბად ომის დაწყებისთვის. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ რუსებმა „შენიღბვის“ გამოყენებით ტაქტიკურ დონეზე წარმატებით გაართვეს დასახულ ამოცანას თავი, შეძლეს რა უკრაინელი მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ ე.წ. „მწვანე კაცები“ იყვნენ ადგილობრივები, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე კი უკრაინასა და ევროპაში გამოიწვიეს დაბნეულობა და გაურკვევლობა.

ასევე იყო რუსულ ჰუმანიტარულ ტვირთთან დაკავშირებით, რომელიც ძალიან სჭირდებოდა ჰუმანიტარული კრიზისის მყოფ რეგიონს, თუმცა რუსები ამას იყენებდნენ როგორც შირმას სეპარატისტების იარაღით მომარაგებისთვის.¹ რუსების მიერ ფაქტების უარყოფის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს მათი ტაქტიკა უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებთან დაკავშირებით. დონბასსა და ლუგანსკში მივლინებულ სამხედროებს თან ჰქონდათ ბრძანება მათი შვებულებაში გაშვების შესახებ, შესაბამისად, მათი ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური პოზიცია იყო, რომ ისინი ვერ აიღებდნენ პასუხისმგებლობას, თუ რას მოიმოქმედებდა მათი შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურე, ან ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურემ დაარღვია კონტრაქტი, დატოვა რუსეთის შეიარაღებული ძალები და თუ როგორ აღმოჩნდა უკრაინაში, ეს რუსეთის გენშტაბმა არ იცოდა.²

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმისთვის, რათა რუსებს დაემაღათ მათ მიერ სეპარატისტების მძიმე ტექნიკითა და შეიარაღებით მომარაგება, ისინი ძირითადად იმ ტიპის ტექნიკით ამარაგებდნენ აჯანყებულებს, რომელიც უკრაინელებს ჰქონდათ შეიარაღებაში (T-64, T-72 და T-

¹ **Maria Snegovaya.** Putin's information warfare in Ukraine, Soviet origins of Russia's hybrid warfare. Russian Report I. Washington: Institute for the Study of War, 2015, გვ. 8.
<https://www.understandingwar.org/sites/default/files/Russian%20Report%201%20Putin%27s%20Information%20Warfare%20in%20Ukraine-%20Soviet%20Origins%20of%20Russias%20Hybrid%20Warfare.pdf>.

² *Means of Russia Hybrid Warfare Against Ukraine..*, გვ. 25.

80). ეს აძლევდა რუსებს საშუალებას საინფორმაციო ომისას აპელირება მოეხდინათ იმაზე, რომ ეს ტექნიკა სეპარატისტებმა ხელში ჩაიგდეს უკრაინელთა ბაზების დაპყრობით, ან ეს იყო დამარცხებული უკრაინელებისგან მოპოვებული ალაფი.¹ თუმცა, როგორც კი უკრაინელების ანტი-ტერორისტულმა ოპერაციამ წარმატებით გაათავისუფლა მთელი რიგი ტერიტორიები და რუსეთი იძულებული გახდა, თავად ჩართულიყო კონფლიქტში, უკრაინის ტერიტორიაზე მაშინვე გამოჩნდა ისეთი ტექნიკა, რომელიც მხოლოდ რუსული შეიარაღებული ძალების არსენალში იყო. ესენი იყო ძირითადად T-72B3 და T90,² ასევე T-72BA და 1989 წლის მოდიფიკაციის T-72B ტიპის ტანკები.³

საინფორმაციო ომის ფარგლებში რუსები უკრაინელებს აბრალებდნენ გენოციდს,⁴ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ ომის დანაშაულებს⁵ და გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების ორგანოებით ვაჭრობასაც კი.⁶

ყირიმის და აღმოსავლეთ უკრაინის 2014-2015 წლებში მიმდინარე მოვლენები გვაჩვენებს, რომ რუსეთის ჰიბრიდული მიდგომა არ არის ერთგვაროვანი და სამიზნე ქვეყნის პასუხების შესაბამისად განიცდის ცვლილებებს. რუსეთმა მიაღწია თავის საბოლოო მიზანს, მოწინააღმდეგე ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიები, ადამიანური რესურსები და შესუსტდა მისი ეკონომიკური პოტენციალი. რუსებისთვის მტრულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსებში გაწევრიანების შანსი გადავადდა რამდენიმე წლით. რუსების მიერ უკრაინაში წარმოებული ჰიბრიდული ომი მოიცავდა სეპარატიზმის წახალისებას, მათთვის ტექნიკისა და შეიარაღების მიწოდებას, სეპარატისტული დაჯგუფებების წვრთნას, მათთვის შეზღუდული ფარული სამხედრო დახმარების აღმოჩენას: არტილერია, სპეცია-

¹ **Phillip A. Karber.** Lessons Learned, გვ. 25.

² **Phillip A. Karber.** Lessons Learned, გვ. 26.

³ **Jonathan Ferguson, N. R. Jenzen-Jones.** Raising Red Flags: An Examination of Arms and Munitions in the Ongoing Conflict in Ukraine. ARES, 2014, გვ. 65-67.

⁴ *СКР заявил о геноциде русских на Украине.* – BBC News. Русская служба. 29 сентября 2014 (https://www.bbc.com/russian/rolling_news/2014/09/140929_rn_skr_genocide_charges).

⁵ *«Геноцид и уничтожение»: жители Донбасса в ужасе от действий украинской армии.* 06 July 2014 (<https://www.ntv.ru/novosti/1107176/>).

⁶ **Николай Осипов.** Страна потрошителей: как торгуют органами на Украине. 12 April 2017 (<https://radiovesti.ru/brand/61178/episode/1490648/>).

ლური ოპერაციების ძალები და მოხალისეები. ასევე, საინფორმაციო ომის წარმოება, ეკონომიკური სანქციები და პოლიტიკური მანტაჟი.

დონბასსა და ლუგანსკში რუსეთის ჰიბრიდული მოქმედებები შეიძლება დაიყოს პირობითად სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდებოდა ეთნიკურად რუსი მოხალისეების ორგანიზება და გადაყვანა დონეცკსა და ლუგანსკში; მეორე ეტაპი დაკავშირებულია სეპარატისტების წარუმატებელ შეტევით ოპერაციებთან, რის შემდეგაც რუსეთმა დაიწყო მძიმე ტექნიკისა და მძიმე შეიარაღების, მათ შორის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებისა და დაჯავშნილი ტექნიკის, ტანკებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების გადაცემა; მესამე ეტაპზე კი რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ჯერ უკრაინის ტერიტორიების საარტილერიო დაბომბვა რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებული მოწინავე საარტილერიო დანადგარებით, შემდეგ კი, უკრაინული ანტიტერორისტული ოპერაციის წარმატებული მიმდინარეობის ფონზე, უშუალოდ რუსეთის რეგულარული ნაწილებით შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე და კონფლიქტში თანამონაწილეობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში 2014–2015 წლებში წარმოებული ოპერაციები წარმოადგენს რუსული ჰიბრიდული ომის კლასიკურ ნიმუშს, რომლის ფარგლებშიც მათ ერთდროულად და სინქრონულად, ერთ საბრძოლო სივრცეში გამოიყენეს ჰიბრიდული ომის როგორც სამხედრო, ასევე არასამხედრო კომპონენტები.

BOCHO SHURGAIA

RUSSIA'S HYBRID WARFARE IN UKRAINE IN 2014-2015

Summary

This article analyses Russian hybrid warfare against Ukraine resulted in seizing Crimean peninsula and starting armed conflict in Donbas and Luhansk regions. While there was no bloodshed during the annexation of the Crimean peninsula, the military confrontation in Donbas and Luhansk regions ended with significant casualties both in military and civilian population. Russia has been preparing hybrid action against Ukraine for years. She encouraged separatism, funded pro-Russian organizations, weakened Ukrainian security services and armed forces. As part of Hybrid warfare Russians used regular and irregular forces, terror tactics, and criminal elements. The conflict has spread beyond the military space to non-military domains such as information and cyberspace, politics, economics, and diplomacy. The uniqueness and novelty of the Russian hybrid warfare lays in the fact that Russian federation was able to use military and non-military elements of war synchronously and simultaneously in order to achieve its political goals.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია

საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

ოთარ კონჯარია

ყარაბაღის მეორე ომის სამხედრო-ტაქტიკური და პოლიტიკურ-დიპლომატიური ასპექტები

ყარაბაღის მეორე ომი, რომელიც 2020 წ. 27 სექტემბერს განახლდა, 44 დღეში დასრულდა აზერბაიჯანის გამარჯვებით. 10 ნოემბერს სომხეთის პრემიერ-მინისტრმა, *ნიკოლ ფაშინიანმა*, ფაქტობრივად, ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს, რომლის თანახმადაც ოფიციალურმა ბაქომ 26 წლის შემდეგ კონტროლი აღადგინა მთიანი ყარაბაღის 7 ოკუპირებულ აზერბაიჯანულ რაიონზე, აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტსა და ქალაქზე, როგორიცაა *ჰადრუტი* და *შუშა*. საერთო ჯამში აზერბაიჯანის ხელისუფლების კონტროლირებად ზონაში 11 000 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია შევიდა.

მოპოვებულმა წარმატებამ აზერბაიჯანს შესაძლებლობა მისცა ასეულ ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი დააბრუნოს იმ მიწებზე, სადაც ისინი 27-28 წლის წინ ცხოვრობდნენ.¹ ასეთმა შედეგმა მნიშვნელოვნად აამაღლა აზერბაიჯანის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, პირველ რიგში, *ილჰამ ალიევის* ავტორიტეტი – მან ერის წინაშე დადებული პირობა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით აღასრულა და ქვეყანას დამარცხებულის სტატუსი გაუქარწყლა.

მთიანი ყარაბაღის 2020 წლის სამხედრო კამპანიის შედეგით სარგებელი არა მარტო აზერბაიჯანმა, არამედ რუსეთმა და თურქეთმაც მიიღეს. კრემლმა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა კონფლიქტის შეჩერებასა და სომხეთის ბაქოს პირობებზე დაყოლიებაში, მთიან ყარაბაღში 5 წლის ვადით განალაგა სამხედრო-სამშვიდობო ძალები, რომლის ოფიციალურ ფუნქციას წარმოადგენს რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უზრუნველყოფა დაპირისპირებულ მხარე-

¹ **Anoush Baghdassarian, Cameron Pope.** Why the Nagorno-Karabakh Cease-Fire Won't End the Conflict. – *Lawfare*. Home Hard National Security Choices. November 25, 2020 (<https://www.lawfareblog.com/why-nagorno-karabakh-cease-fire-wont-end-conflict>).

ებს შორის. ზემოხსენებული ურთიერთშეთანხმების თანახმად, რუსეთის 2000-მდე ჯარისკაცი გააკონტროლებს სომხეთსა და მთიან ყარაბაღს შორის დამაკავშირებელ *ლაჩინის დერეფანს*, აგრეთვე სომხეთთან მომიჯნავე ნახიჭევანის ექსკლავსა და აზერბაიჯანის დანარჩენ ტერიტორიას შორის დამაკავშირებელ სატრანსპორტო გზებს. ამ პირობების თანახმად, რუსეთი უფრო დიდ მაკონტროლებელ ფუნქციას იღებს კავკასიის რეგიონში ვიდრე აქამდე გააჩნდა – სწორედ მოსკოვზე იქნება დამოკიდებული დაპირისპირებულ მხარეებს შორის სტატუს-კვოს შენარჩუნება და მშვიდობის უზრუნველყოფა. ეს მოცემულობა კი დაახლოებით 10 წლის განმავლობაში შენარჩუნდება (რუსული სამშვიდობო ძალები ყარაბაღში 5 წლით განლაგდებიან, ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე მხარეები თუ არ განაცხადებენ აღნიშნული მდგომარეობის ცვლილებაზე, კონტიგენტს ვადა კიდევ 5 წლით ავტომატურად გაუხანგრძლივდება.) ამ ხნის განმავლობაში კი რუსეთი მშვიდობისმყოფელის სტატუსით ახალ სამხედრო ბაზის ელემენტებს შექმნის სტეფანაკერტის სიახლოვეს.

2020 წლის 10 ნოემბერს ყარაბაღში საომარი მოქმედებების დასრულებისა და შეთანხმების თანახმად, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, კავკასიის რეგიონში პირველად შემოვლენ თურქი სამხედროები, რომლებიც აზერბაიჯანელთა კონტროლირებად ზონაში, სადამკვირვებლო ცენტრებში განლაგდებიან. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის მიერ წარმოებული აქტიური საგარეო პოლიტიკის ფონზე, თურქული შეიარაღებული ძალები სირიისა და ლიბიის შემდეგ, უკვე კავკასიის რეგიონშიც გამოჩნდნენ, რითაც ოფიციალური ანკარა თავისი ინტერესებისათვის ბრძოლას მკაფიოდ უსვამს ხაზს.

ყარაბაღის მეორე ომი გამოიჩინა იმ მხრივაც, რომ კავკასიაში რუსეთის მთავარი მოკავშირე ნატოს სიდიდით მეორე არმიის მქონე სახელმწიფოს მხარდაჭერით პირველად დაამარცხეს საბრძოლო მოქმედებების შედეგად. განსაკუთრებული ეკონომიკური სარგებლის მომტანი ახალი რეალობის საფუძველზე თურქეთისთვის შესაძლოა აღმოჩნდეს ნახიჭევანის კორიდორი, სადაც რკინიგზის მშენებლობის შესახებ უკვე გაცხადდა თურქეთის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მიერ. ადილ კარაისმაილოღლუს აზრით, კორიდორი ხელს შეუწყობს თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ტვირთბრუნვის მოცულობის ზრდას, რაც მეტ ფინანსურ სარგებელთან იქნება ასოცირებული.¹

¹ *Турция планирует построить железную дорогу в Азербайджан.* – РИА Новости. 12.11.2020 (<https://ria.ru/20201112/zhd-1584250231.html>).

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოფიციალური მოსკოვისა და ანკარას ურთიერთდამოკიდებულებაში ბზარი არ გაჩნდება, აღნიშნული კორიდორის ფუნქციონირებით, თურქეთი შეძლებს თავისი სავაჭრო ტვირთი სარკინიგზო თუ საავტომობილი გზებით და შემდგომ კასპიის ზღვის გავლით „გადასროლოს“ შუა აზიის ქვეყნებში, რაც აგრეთვე უდიდეს ფინანსურ სარგებელთან იქნება დაკავშირებული. ზემოხსენებული ომი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა აგრეთვე თურქული სამხედრო მრეწველობის რეკლამისთვისაც, რამაც მნიშვნელოვანი პრესტიჟი შესძინა თურქეთში წარმოებულ იარაღს. აზერბაიჯანის მიერ თურქული უპილოტო საფრენი აპარატებისა და სარაკეტო სისტემების წარმატებით გამოყენებამ დიდი სახელი მოუხვეჭა თურქული იარაღის მწარმოებელ საწარმოებს, რომელთაც უკვე მიმართავენ შეკვეთებით უკრაინა, სერბეთი, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები.¹

აზერბაიჯანმა ყარაბაღის მორიგი ომისთვის და დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად აქტიური მზადება 2005 წლიდან დაიწყო. ყოველწლიურად აზერბაიჯანული ნავთობიდან მზარდი შემოსავლისა და ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ საგრძნობლად იზრდებოდა ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი. 2005-დან 2020 წლის ჩათვლით აზერბაიჯანის თავდაცვის ბიუჯეტის საერთო დანახარჯმა 31,44 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა, რაც ძალზე აქტიურად მოხმარდა სამხედრო მრეწველობის განვითარებას, ებრაული და თურქული ულტრათანამედროვე შეიარაღების შესყიდვას. მთავრობის მიერ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობდა მოსახლეობის შემზადება დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. მრავალი წამახალისებელი ფინანსური დახმარებისა და უზრუნველყოფის პაკეტი მომზადდა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც „არმიის რიგებში ეწერებოდნენ“.

2005 წელს დაარსდა აზერბაიჯანის თავდაცვის მრეწველობის სამინისტრო, რომლის ბიუჯეტმაც 180 მილიონ დოლარს გადააჭარბა. აღნიშნული უწყების დაქვემდებარებაშია რამდენიმე სამხედრო საწარმო, სადაც აწყობენ, როგორც ტანკების, ასევე თვითმავალი საარტილერიო დანადგარების, ქვემეხებისა და ჰაუბიცების 85-დან 152მმ.-დე კალიბრის მქონე ყველა სახის ჭურვს. აზერბაიჯანში აგრეთვე აწარმოებენ მსუბუქი

¹ *Ukraine to buy 5 more Turkish Bayraktar TB2 drones in 2021. – Defense World.*

November 28, 2020

(https://www.defenseworld.net/news/28416/Ukraine_to_buy_5_more_Turkish_Bayraktar_TB2_drones_in_2021#.X9UigyORq9Y).

და საშუალო კალიბრის საავიაციო სამხედრო ამუნიციას, მათ შორის ლაზერით მართვად ბომბებს, რომლებიც თურქი პარტნიორების ხელშეწყობით შექმნეს და 2020 წლის ყარაბაღის ომის რამდენიმე ეპიზოდში მოწინააღმდეგე ძალების გასანადგურებლად წარმატებით გამოიყენეს. ყოველწლიურად არმიისათვის სულ 1200-მდე სამხედრო მნიშვნელობის სხვადასხვა სახის პროდუქტი იქმნება.¹



გარდა საბრძოლო კომპლექტებისა, აზერბაიჯანის თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიქმნა და თავდაცვით ძალებს მიეწოდა ქვეითი დესანტის გადამყვანი და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებისაგან დაცვისთვის გათვლილი MRAP-ის ტიპის ჯავშანმანქანები, რომელთაც მიიღეს „საბრძოლო ნათლობა“ 44 დღიან ომში. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის ქვეითი არმია უზრუნველყოფილია ადგილობრივი წარმოების სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღებით. თავდაცვის მრეწველობის სამინისტრომ ებრაული უპილოტო საფრენი აპარატების მწარმოებელი კომპანია, „AERONAUTICS DEFENCE SYSTEM“-ისგან შეისყიდა ლიცენზია და უკვე 2020 წლიდან აზერბაიჯანულ საწარმოებში აწყობენ მის ანალოგიურ მოდელს, უპილოტო კამიკაძე დრონ ZEBRE-ს.²

¹ **Mushvig Mehdiyev.** Caspian Weapons Systems Were On Display As New Defense Spending Data Is Published. – *CASPIAN NEWS*. May 5, 2019 (<https://caspiannews.com/news-detail/caspian-weapons-systems-were-on-display-as-new-defense-spending-data-is-published-2019-5-5-27/>).

² *“Chasing like dogs”:* Azerbaijan has started mass production of new attack drones” (<https://en.topwar.ru/176361-gonim-kak-psov-azerbajdzhan-nachal-serijnoe->



ბოლო 15 წლის განმავლობაში აზერბაიჯანი აქტიურად ყიდულობდა იარაღს რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსში, ისრაელსა და თურქეთში. საერთო ჯამში, შეიარაღების შესყიდვაზე 12 მილიარდ დოლარზე მეტი დაიხარჯა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა აზერბაიჯანს, რუსეთს, ისრაელსა და თურქეთს შორის სამხედრო სფეროში დამყარებული თანამშრომლობა. სწორედ აღნიშნული ქვეყნებისგან შესყიდულმა იარაღმა და მათმა სწორად გამოყენებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ომის ბედი.

მას შემდეგ, რაც ყარაბაღში შეიარაღებული დაპირისპირება განახლდა, ომის პირველივე კვირას ამკარად გამოჩნდა აზერბაიჯანული არმიის უპირატესობა, რომელშიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ებრაული წარმოების იარაღი. ამ ფონზე სომხურმა მხარემ კატეგორიულად მოითხოვა ოფიციალური იერუსალიმისგან შეეწყვიტა აზერბაიჯანის შეიარაღებით მომარაგება.² 2016 წელს პრეზიდენტმა ალიევმა განა-

proizvodstvo-novyh-udarnyh-bespilotnikov.html).

¹ "Chasing like dogs": Azerbaijan has started mass production of new attack drones. – *Military Review*. October 22 2020 (<https://en.topwar.ru/176361-gonim-kak-psov-azerbajdzhan-nachal-serijnoe-proizvodstvo-novyh-udarnyh-bespilotnikov.html>).

² **Павел Мильников.** *Армения объяснила отзыв посла из Израиля поставками оружия Азербайджану.* – *Deutsche Welle*. 01.10.2020 (<https://www.dw.com/ru/armenija-objasnila-otzyv-posla-iz-izrailja-postavkami-oruzhija-azerbajdzhanu/a-55127628>); *Еврейская община Армении призывает Израиль прекратить поставку оружия в Азербайджан.* – *ARMENPRESS*. *Армянское информационное агентство*. 13.10.2020 (<https://armenpress.am/rus/news/1031484.html>).

ცხადა, რომ ისრაელისგან შესყიდული შეიარაღების საერთო ღირებულება შეადგენს 4.85 მილიარდ დოლარს.¹ აქტიური შესყიდვები და თითქმის 14 წლიანი თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის აქტიურად გაგრძელდა 2020 წლის ჩათვლით. აზერბაიჯანი მასობრივად ყიდულობდა უპილოტო საფრენ მზვერავ და კამიკაძე აპარატებს, აგრეთვე GPS-ს სანავიგაციო სისტემებით მართვად ზუსტ საარტილერიო ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს. აქტიურად მიმდინარეობდა აგრეთვე რუსული წარმოების ტექნიკის მოდერნიზება – აზერბაიჯანის ძირითადი საბრძოლო ტანკები, T-72-ები აღიჭურვა ებრაული კომპანია ELBIT-ის თანამედროვე ცეცხლის მართვის სისტემით და გაძლიერებული ჯავშნით.² სტოკჰოლმის მშვიდობის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის ინფორმაციით, ბოლო 5 წლის განმავლობაში 2020 წლამდე, აზერბაიჯანმა დამატებით \$740 მილიონი დოლარის შეიარაღება შეისყიდა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა HAROP-ის, SKY STRIKER-ისა და ORBITER 1K-ს ტიპის უპილოტო კამიკაძე საფრენ აპარატებზე.³

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში. სწორედ თურქეთის მიერ მიწოდებულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა, BAYRAKTAR TB 2-მა შეასრულა უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სომხური შეიარაღებული ძალების ტექნიკის განადგურებასა და „საბრძოლო სულის დაქვეითებაში“. ყარაბაღის ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე აზერბაიჯანმა დამატებით 77 მილიონი დოლარის შეიარაღება შეიძინა თურქეთისგან, ხოლო 2020 წლის პირველ 6 თვეში კი თურქული იარაღის იმპორტი 123 მილიონი დოლარი ითვლიდა.⁴ ომის დაწყებამდე, ბოლო

¹ **Raphael Ahren.** PM hails Azerbaijan cooperation as beacon of Jewish-Muslim coexistence. – *The Times of Israel*. Primarily English-language online newspaper. 13.12.2016 (<https://www.timesofisrael.com/in-azerbaijan-pm-hails-arms-deals-as-beacon-of-jewish-muslim-coexistence/>).

² *Азербайджанский вариант модернизации танка Т-72 до уровня Aslan.* – *Военное обозрение*. 08.06.2013 (<https://topwar.ru/29198-azerbaydzhanskiy-variant-modernizacii-tanki-t-72-do-urovnya-aslan.html>).

³ **Guillaume Lavallée.** Experts believe Israel unlikely to drop lucrative arms sales to Azerbaijan. *Analysts say Jerusalem will likely honor billion-dollar agreement, despite Armenia's complaints.* – *The Times of Israel*. 5 October, 2020 (<https://www.timesofisrael.com/experts-believe-israel-unlikely-to-drop-lucrative-arms-sales-to-azerbaijan/>).

⁴ **Ece Toksabay.** Turkish arms sales to Azerbaijan surged before Nagorno-Karabakh fight

თვეებში აზერბაიჯანის მიერ განსაკუთრებით გაიზარდა თურქული უპილოტო საბრძოლო ავიაციის, სარაკეტო არტილერიისა და საბრძოლო ამუნიციის შესყიდვა.

აზერბაიჯანი რომ მთიანი ყარაბაღის მეორე ომისთვის უკვე კონკრეტულ სამზადისს ახორციელებდა, გამოჩნდა 2016 წ. აპრილის მოვლენების დროს, როდესაც სომხეთთან სამხედრო დაპირისპირება 5 დღის განმავლობაში გაგრძელდა. აღნიშნულ შეტაკებებში გამოიკვეთა სომხური საბრძოლო შენაერთების კონკრეტული სისუსტეები და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემათა მოწყვლადობა უპილოტო კამიკაძე საფრენ აპარატებთან ბრძოლაში. სწორედ ამ დაპირისპირების დროს გამოიყენეს აზერბაიჯანელებმა პირველად ულტრათანამედროვე ებრაული ტანკსაწინააღმდეგო სისტემა SPIKE LR-ი და HAROP-ის კამიკაძე დრონები, რომელთაგან თავის დაცვა სომხური არმიისთვის შეუსრულებელი ამოცანა აღმოჩნდა. აღნიშნული ფაქტი აზერბაიჯანის სარდლობისთვის აღმოჩნდა მთავარი ინდიკატორი იმისა, რომ დასავლური ტიპის მაღალტექნოლოგიური იარაღი მათ საგრძნობ უპირატესობას მიანიჭებდა სომხებთან პოტენციურ დაპირისპირებაში.

2020 წ. 26 სექტემბერს აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, სომხურმა მხარემ უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში 48-ჯერ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და მოხდა გასროლა აზერბაიჯანელთა მიმართულებით. რთულია და ასევე უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა მოხდა ე.წ. საზღვარზე 26 სექტემბერს, თუმცა ფაქტი მოწმობს იმას, რომ სწორედ ამავე დღეს აზერბაიჯანმა საკონტაქტო ხაზის გასწვრივ დაიწყო დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკისა და საარტილერიო დანადგარების კონცენტრაცია, რაც მიანიშნებდა, რომ ადგილი ჰქონდა სიტუაციის ესკალაციას. 27 სექტემბერს გამთენიისას, მთიანი ყარაბაღის საკონტაქტო ხაზიდან აზერბაიჯანულმა არმიამ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე სომეხთა მიმართულებით მასირებული ცეცხლი გახსნა თითქმის ყველა კალიბრის საარტილერიო დანადგარებიდან, რასაც სომხეთმა უპასუხა სრული მობილიზაციით და პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა.

სანამ სამხედრო დაპირისპირების რეალური სურათი გამოჩნდებოდა, ყველა სამხედრო ექსპერტი მიიჩნევდა, რომ ომის განახლების

ting. – Reuters. October 14, 2020 (<https://in.reuters.com/article/us-armenia-azerbaijan-turkey-arms/turkish-arms-sales-to-azerbaijan-surbed-before-nagorno-karabakh-fighting-idUSKBN26Z237>).

შემთხვევაში პირველ ეტაპზე სომხური არმიის აშკარა უპირატესობა გამოვლინდებოდა, რადგან ისინი თავდაცვით პოზიციებში იმყოფებოდნენ, რომელიც სათანადოდ უნდა ყოფილიყო გამაგრებული – ამისთვის მათ 26 წელი ჰქონდათ. შეტევის მომლოდინე მხარეს საკმაოდ მოსახერხებელი თავდაცვითი პოზიციები ეკავა, რომელზეც განთავსებული იყო ჯავშანტექნიკა. სომეხთა ქვეითი ჯარი იდგა სანგრებში, ელოდებოდა მოწინააღმდეგის შეტევას. მათ ხელსაყრელ მდგომარეობას მთაგორიანი და სამხედრო შეტევისთვის ძალზე რთულად მისადგომი რელიეფიც ემატებოდა. აზერბაიჯანელთა ამოცანა ძალზე უიმედოდ გამოიყურებოდა. ბოლო წლების განმავლობაში მრავალჯერ სცადეს შეტევა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში წარუმატებლად სრულდებოდა მათი მცდელობები.



ომი უჩვეულო და მოულოდნელი სტრატეგიით წარიმართა. აზერბაიჯანულმა არმიამ უარი თქვა ფრონტალურ შეტევაზე და სომხეთს შესთავაზა მაღალტექნოლოგიური, დისტანციური და სწორი ტაქტიკური ამოცანების მქონე ომი. სამხედრო მოქმედებების დაწყების პირველივე დღეებიდანვე გამოჩნდა აზერბაიჯანის არმიის მთავარი მიზანი – თავდაცვით პოზიციებზე მდგარი სომხური სამხედრო ტექნიკის (ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების, საველე და თვითმავალი საარტილერიო დანადგარების, ზაღპური რეაქტიული სისტემებისა და ტანკების) განადგურება.

თურქული უპილოტო საფრენი აპარატის, BAYRAKTAR TB 2-ისა და ებრაული წარმოების კამიკაძე დრონების, აგრეთვე GPS-ით მართვადი საარტილერიო სისტემების გამოყენებით აზერბაიჯანელები პირველი დღეების განმავლობაში ახორციელებდნენ მასირებულ დისტანციურ თავდასხმებს მოწინააღმდეგის პოზიციებზე. აღნიშნული ტაქტიკის შედეგად, სომხეთი ყოველდღიურად 20-ზე მეტ სამხედრო ტექნიკის ერთეულს კარგავდა, რაც თავის მხრივ ნეგატიურად მოქმედებდა ჯარისკაცების მორალურ მდგომარეობასა და მოტივაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ

სომხებს მთიან ყარაბაღში ათეულობით ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა ჰქონდათ განლაგებული, მათ ვერ აღკვეთეს და მცირე პრობლემებიც კი ვერ შეუქმნეს აზერბაიჯანის შეიარაღებაში არსებულ უპილოტო სადაზვერვო და დამრტყმელ საფრენ აპარატებს.



გავრცელებული ინფორმაციით, ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე აზერბაიჯანს თუქეთმა და ისრაელმა მიაწოდეს რადიოელექტრონული¹ ბრძოლის სისტემები, რომლის საშუალებითაც ახშობდნენ მოწინააღმდეგე მხარის საკომუნიკაციო სისტემებსა და ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსების რადარებს. ამის ფონზე კი სომეხთა რუსული საზენიტო იარაღი სრულად გამოუსადეგარი ხდებოდა და იგი ვერ აფიქსირებდა ჰაერში არსებულ უპილოტო დრონებს. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო ომის მიმდინარეობისას თითქმის ყოველ დღე აქვეყნებდა ვიდეოკადრებს, თუ როგორ დაუსჯელად დაფრინავდნენ და თანმიმდევრულად ანადგურებდნენ BAYRAKTAR TB-2-ებითა და სხვა ტიპის საფრენი აპარატებით სომეხთა სამხედრო ტექნიკასა და ქვეითთა პოზიციებს.²

¹ *Turkish, Israeli made drones gave Azerbaijan upper hand.* – *DailySabah*. Nov 20, 2020 (<https://www.dailysabah.com/business/defense/turkish-israeli-made-drones-gave-azerbaijan-upper-hand-german-media-argues>).

² *Ministry of Defense of the Republic of Azerbaijan.* – <https://www.youtube.com/watch?v=AuyzR4gJRwE>; <https://www.youtube.com/watch?v=ZpZiUGfD1g8>; <https://www.youtube.com/watch?v=p0wAF3VJeso&t=115s&bpctr=1607976781>; <https://www.youtube.com/watch?v=XiiXn9KoxY0>.

ავიაციისა და არტილერიის შეუჩერებელი მუშაობის ფონზე, აქტიურ ბრძოლაში იყვნენ აგრეთვე ჩართულნი სახმელეთო ძალებიც, არმიის თითოეული კომპონენტი სინქრონულად უტევდა სომეხთა პოზიციებს. 4 ოქტომბერს, როდესაც აზერბაიჯანელები შევიდნენ ჯებრაილის რაიონის მიმართულებით, სომხებმა კონტრშეტევა სცადეს, აზერბაიჯანელებმა მტერს სიდრმეში შესვლის შესაძლებლობა მისცეს, რაც ე.წ სატყუარა აღმოჩნდა და შემტევი მხარისთვის ძალზე მძიმე შედეგებით დასრულდა. სომხებმა 10-ზე მეტი ჯავშანტექნიკა და ათეულობით ქვეითი დაკარგეს ბრძოლებში.

ძალზე მძიმე შეტაკებები წარიმართა აგრეთვე ქალაქ ჰადრუტისთვის, თუმცა სადაზვერვო დრონებისა და არტილერიის მუშაობის პარალელურად სპეციალური ოპერაციების ძალების ჩართვის შემდეგ მოხერხდა დასახლებული პუნქტის აღება 15 ოქტომბერს. ამ შემთხვევაშიც სცადეს სომხურმა ძალებმა კონტრშეტევა, თუმცა ძალზე დიდი დანაკარგებით უკან დახევა მოუწიათ. ქალაქ ჰადრუტის აღება მძიმე დარტყმა აღმოჩნდა სომხური არმიისთვის, აღნიშულ ფაქტს რამდენიმე დღის განმავლობაში ადგილობრივ მედიაში კატეგორიულად უარყოფდნენ. მას შემდეგ, რაც იზოლაციისა და ალყაში მოხვედრის საფრთხე შეიქმნა, სომხურმა საბრძოლო შენაერთებმა უკვე 17 ოქტომბერს სასწრაფოდ დატოვეს ქალაქი ფიზულიც, სადაც უკან დახევის დროს დიდი რაოდენობით საბრძოლო ტექნიკა და ამუნიცია დარჩათ სამხედრო ბაზაზე.

ოქტომბრის ბოლოს აზერბაიჯანმა ბრძოლებით გაათავისუფლა სომხების მიერ 4 ოკუპირებული რაიონი, სრულად გადაკეტეს ირანის საზღვრის მიმდებარე ტერიტორია ზენგილანის რაიონში. ამის შემდეგ აზერბაიჯანელებმა დასავლეთით წაიწიეს წინ გუბადლისკენ, საიდანაც უკან დაახევინეს მოწინააღმდეგეს. ამ ფაქტიდან მეორე დღეს სომხურმა შენაერთებმა სცადეს პირველი საარმიო კორპუსით კონტრშეტევის განხორციელება, რომელიც ძალზე ტრაგიკული შეცდომის გამომწვევი აღმოჩნდა. აზერბაიჯანულმა დრონებმა დააფიქსირეს სომხური ქვეითი ძალების გადაადგილება აღნიშნულ ტერიტორიაზე, რომელთა კოორდინატები გადასცეს საარტილერიო დანადგარებს და თითქმის სრულად განადგურეს სომეხთა დაჯგუფება. ამ მოვლენის დამადასტურებელი ვიდეო ფაქტების გავრცელებამ¹ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია სომხურ საინფორმაციო სივრცეში – მოქალაქეები ითხოვდნენ იმ სამხედრო პირების

¹ Ministry of Defense of the Republic of Azerbaijan
(<https://www.youtube.com/watch?v=uvV4feHuLdo>).

გასამართლებას, რომელთა მიერ შემოსხენებული ოპერაცია დასრულდა 100-ზე მეტი სომეხი მებრძოლის გარდაცვალებით.

აზერბაიჯანული არმიის ერთ-ერთი მთავარი წარმატების განმსაზღვრელი იყო ის, რომ ქვეითი ჯარები და ჯავშანტექნიკა დაზვერვის გარეშე არ შედიოდა ტერიტორიებზე – მათ წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია მტრის სავარაუდო პოზიციების შესახებ, რომელსაც ძალზე წარმატებით იყენებდნენ შეტევების დაგეგმარებაში. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტაქტიკას, რასაც აზერბაიჯანელები თითოეული დასახლებული პუნქტის აღებისას იყენებდნენ იყო ის, რომ სომხურ არმიას მომარაგების გზებს უკეტავდნენ და ე.წ. ქვაბში მოხვედრის საფრთხის თავიდან აცილების გამო ქვეით მებრძოლთა უმრავლესობა პოზიციებს უომრად ტოვებდა.

ომის ბოლო ეტაპზე, როდესაც აზერბაიჯანულმა არტილერიამ და უპილოტო საფრენმა აპარატებმა თითქმის სრულად გაანეიტრალეს მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები, გამოჩნდა აზერბაიჯანული პილოტირებადი ავიაცია – სუ-25-ები ეროვნული წარმოების QFAB - 250LG-ის ტიპის ლაზერით დამიზნებად ბომბებს იყენებდნენ სომხური არმიის პოზიციების დასამუშავებლად.¹ შემოსხენებულ მოიერიშეებს მზვერავი უპილოტო ავიაცია მიზანს ლაზერით უთითებდა, რომლის შემდეგაც თვითმფრინავი სამხედრო მოქმედების ზონაში შეუსვლელად 12 კმ-ის სიშორიდან ისროდა საბრძოლო ამუნიციას. მიუხედავად 44 დღიანი სამხედრო მოქმედებებისა, სომხურმა არმიამ ამ ხნის განმავლობაში ბრძოლის ველზე ვერც ერთ სტრატეგიულ წარმატებას ვერ მიაღწია, თუ არ ჩავთვლით ომის პირველ დღეებში მცირე ტაქტიკურ გამარჯვებებს, რომლის ფარგლებშიც აზერბაიჯანელთა არაერთი სამხედრო ტექნიკა გაანადგურეს.²

ამის შემდეგ კი მუდმივად უწყველად ფრონტის სამხრეთ ნაწილში არსებული საბრძოლო პოზიციებიდან უკან დახევა. ხშირი იყო აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ომის განმავლობაში სომხეთის შეიარაღებული ძალები გამიზნულად ჩადიოდნენ ომის დანაშაულებს და შორსმსროლელი საარტილერიო დანადგარებით ბომბავდნენ ფრონტის ზონიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით მოშორებულ აზერბაიჯანულ ქალა-

¹ Ministry of Defense of the Republic of Azerbaijan
(<https://www.youtube.com/watch?v=cyNoV9qhvrA&bpctr=1607985450>;
<https://www.youtube.com/watch?v=VPFFImi3DQw&t=20s&bpctr=1607986058>).

² Destruction of Azerbaijanian armor vehicles (<https://www.youtube.com/watch?v=mJffVrtPLk>).

ქებს. 17 და 28 ოქტომბერს დაიბომა ქალაქები – განჯა და ბარდა – რაკეტები ჩამოვარდა დასახლებული პუნქტების ცენტრალურ ნაწილში, რის შედეგადაც საერთო ჯამში 50-მდე ადამიანი დაიღუპა, ხოლო 200-მდე კი მძიმედ დაშავდა.¹

სომეხი მოქალაქეებისა და არმიის მორალური მდგომარეობისთვის ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიური ეფექტის გამომწვევი აღმოჩნდა საინფორმაციო ომი, რომელსაც აზერბაიჯანი აწარმოებდა მიზანმიმართულად მოწინააღმდეგის დემორალიზებისთვის და შიშის დათესვისთვის. აზერბაიჯანული *TELEGRAM* არხები ყოველდღიურად ავრცელებდნენ სომხური საჯარისო შენაერთების დაბომბვის ფაქტებს, ასაჯაროებდნენ დაღუპული სომეხი მებრძოლების დამახინჯებული სხეულის ფოტო-ვიდეო კადრებს, რაც აქტიურად ვრცელდებოდა სომხურ მედიაშიც. მოსახლეობას გაუჩნდა პროტესტის გრძნობა ხელისუფლების მიმართ, რომელსაც ბრალს ებდნენ იმაში, რომ მიმდინარე მოვლენების რეალურ სურათს უმაღლავდნენ და არ ასაჯაროებდნენ სწორ ინფორმაციას.

44 დღიან ომში სომხური არმიისთვის ყველაზე მოულოდნელი აღმოჩნდა რუსული წარმოების მძლავრი რაკეტაწინააღმდეგო სისტემის, S-300-ის გამშვები დანადგარებისა და რადიოლოკაციური სადგურების ებრაული კამიკაძე ღრონებით, HAROP-ებით განადგურება.² აღნიშნულ ფაქტს ძალზე ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა აგრეთვე რუსულ მედიაშიც. სამხედრო ექსპერტებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ სისტემამ, რომელმაც ნატოსთან დაპირისპირების შემთხვევაში რუსეთის ტერიტორიის დაცვა უნდა უზრუნველყოს, ვერ დააფიქსირა 5 კმ სიმაღლეზე მოქმედი ებრაული ღრონები.³

¹ *Azerbaijan accuses Armenia of killing 21 civilians in missile strike – Al Jazeera English.* 28.10.2020. (<https://www.youtube.com/watch?v=2ybjLQewR3w>); *Azerbaijan: footage shows shelling in city of Ganja – Guardian News.* 06.10.2020 (<https://www.youtube.com/watch?v=ETwvBpXv0Pc>).

² *Ministry of Defense of the Republic of Azerbaijan* (<https://www.youtube.com/watch?v=UtMoQ0lkdH8>); *Destruction of three Armenian S-300 systems by Azerbaijan. – Islamic World News.* 24 October 2020 (https://izwest.livejournal.com/7706028.html?fbclid=IwAR1e8NB92SeqNKz89kvh7m4RiaJ5YAmNKoK_HVy_2moiEum0rKpOHwHJQgA).

³ **Sebastien Roblin.** *Endgame In Nagorno-Karabakh: Endgame In Nagorno-Karabakh: Two Weeks That May Reshape The Caucasus.* – *Forbes.* Nov 11, 2020 (<https://www.forbes.com/sites/sebastienroblin/2020/11/11/endgame-in-nagorno-karabakh-two-weeks-that-may-reshape-the->

ომის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა ქალაქ შუშას აღებამ, რომელიც ძალზე რთულ ვითარებაში მოხდა – მრავალი სამხედრო ექსპერტი აღნიშნულ ოპერაციას დღემდე უნიკალურს უწოდებს.¹ სპეცმოშადების მქონე ორმა აზერბაიჯანელმა სამთო ბატალიონმა 30 კილომეტრი სრული საბრძოლო ეკიპირებით (40კგ+) გაიარა ტყეებისა და ხეობების გავლით, რომლის შემდეგაც ისინი 3-4 ნოემბერს ქალაქში დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან შევიდნენ. შუშას საერთო ჯამში სომეხთა 1000 ჯარისკაცი და რამდენიმე ათეული სამხედრო ტექნიკა იცავდა. დასახლებულ პუნქტში შესვლამდე აზერბაიჯანელებმა სომეხ მებრძოლთა 4 სამხედრო პოსტი გაანადგურეს. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ქალაქში შესვლისთანავე დაიკავეს ძველი ციხე-სიმაგრე და ქალაქ შუშას მოქმედი საპატიმრო. მებრძოლებმა რამდენიმე კონტრშეტევა წარმატებით მოიგერიეს და დასახლებული პუნქტის უდიდესი ნაწილი ჯავშანტექნიკის მხარდაჭერის გარეშე გაათავისუფლეს.

აზერბაიჯანელებმა ლაჩინიდან შუშის გავლით სტეფანაკერტისკენ მიმავალი გზაც გადაკეტეს და მთიანი ყარაბაღის ე.წ. დედაქალაქს მომარაგების მარშრუტები ჩაუკეტეს, რაც ნიშნავდა იმას, რომ სტეფანაკერტში დარჩენილი სომეხი მებრძოლები დახმარების გარეშე რჩებოდნენ. ამ ფაქტის გათვალისწინებით სომხეთის თავდაცვის უწყების მაღალჩინოსანთა რჩევით, პრეზიდენტმა ნიკოლ ფაშინიანმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას 10 ნოემბერს ხელი მოაწერა. შეიარაღებული კონფლიქტი აზერბაიჯანელთა რევანშითა და დაკარგული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნებით დასრულდა. ნ. ფაშინიანის განცხადებით, ქალაქ შუშასთან 300 სომეხი მებრძოლის ცხედარი იქნა ნაპოვნი.² აზერბაიჯანმა 26 წლის შემდეგ ყარაბაღში კონტროლი აღადგინა 5 ქალაქზე, 4 დასახლებულ პუნქტზე, 286 სოფელსა და აზერბაიჯან-ირანის მთელი საზღვრის ხაზზე.

ყარაბაღში სიმშვიდემ დაისადგურა და ცალკეული შემთხვევების

caucasus/?sh=537ed0b7660a).

¹ *Как освободили Шушу. – Вестник Кавказа.* Информационно-аналитическое агентство, ежедневный электронный журнал. 23.11.2020 (<https://vestikavkaza.ru/news/kak-osvobodali-susu-video.html>).

² „*В Шуши после боев найдено свыше 300 тел погибших*“ – Пашинян о битве за город. – *Sputnik Армения.* 16.11.2020 (<https://ru.armeniasputnik.am/karabah/20201116/25359779/V-Shushi-posle-boev-naydeno-svyshe-300-tel-pogibshikh--Pashinyan-o-bitve-za-gorod.html>).

გარდა, სამხედრო შეტაკებები არ ფიქსირდება. ამ დროისთვის აქტიურად მიმდინარეობს ორივე დაპირისპირებულ მხარეთაგან ომში გაცდილი წარმატებებისა და მარცხის გამომწვევი მიზეზების დადგენა. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო კონფლიქტში ჩართული ქვეყნები მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის აქტიურად მიმართავენ საინფორმაციო პროპაგანდის საშუალებებს, უკვე ბრძოლის ველზე გადაღებული ფოტო-ვიდეო მასალებით მარტივადაა შესაძლებელი იმის დადგენა, თუ რომელმა მხარემ რა სახის დანაკარგი განიცადა. ამავდროულად, აზერბაიჯანმაც და სომხეთის თავდაცვის უწყებამაც ოფიციალურად გაასაჯაროვა დაღუპულ ჯარისკაცთა რაოდენობა.

სომეხთა შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი დანაკარგი მოდის იმ ჯავშანტექნიკასა და საარტილერიო დანადგარებზე, რომლებიც სტაციონარულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საბრძოლო პოზიციებზე, საიდანაც ისინი საცეცხლე საშუალებების ფუნქციას ასრულებდნენ. მათ განადგურებაში დიდი წვლილი შეიტანა BAYRAKTAR TB-2-ის დამრტყმელმა უპილოტო საფრენმა აპარატებმა, HAROP-ის, SKY STRIKER-ისა და ORBITER 1K-ს ტიპის საბრძოლო მასალით შეიარაღებულმა კამიკაძე დრონებმა. აგრეთვე მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულეს „დაივიწყე-მართე“-ს პრინციპით რამდენიმე კილომეტრზე მოქმედმა ებრაულმა ტანკსაწინააღმდეგო სისტემა SPIKE MR/LR/NLOS-ის სხვადასხვა მოდიფიკაციის მქონე რაკეტებმა.¹

სომეხთა დანაკარგები – დაღუპული მებრძოლებისა და განადგურებული ტექნიკის რაოდენობა:

- ცოცხალი ძალა – **3825 სამხედრო;**
 - ტანკები: 255 **T-72** (146 ბრძოლაში განადგურებული, 6 დაზიანებული 105 ნაალაფარი);
 - მსუბუქი ჯავშანტექნიკა: **MTLB** (m55, zu-23-2, c-60) – 32; **BMP-1** – 37 ; **BMP-2** – 40; **BTR-70** – 2; **BRDM-2** – 3. **ჯამში – 114;**
 - მისაბმელიანი და თვითმავალი არტილერია: **D-44-9; MT-12-4; KC-19-5; D-30** – 106; **D-1** – 18; **D-20** – 75; **2A36GIATSINT-B** – 15; **2s1 gvozdika** – 24; **2S3 akatsiya** – 5.
- სულ –261**

¹ *The defeat of the Armenian T-72 tank by the ATGM Rafael Spike-LR from the armored vehicle SandCat* (<https://www.youtube.com/watch?v=ZqTnLHUKcVc>).

- ზალპური ცეცხლის რეაქტიული არტილერია: **BM-21 GRAD- 75; BM-30 SMERCH – 4 ; WM-80 – 2 ; TOS-1– 1. სულ – 82;**
- ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები: **9k35strela 10 – 3; 9k33osa-22; 2k12kub – 3; 3-2K11 Krug; tor-m2km – 2; S-300 – 4**
გამშვები დანადგარი ავიაცია: **su-25 – 1; mi-8 – 1; დრონები – 6.**
სულ – 8;
- რადარები და რადიოლექტრონული ბრძოლის დანადგარები: **p-18 spoon rest d – 4; st86u/36d6 – 6; 19j6-3; 1s32 pat hand – 3; repellent 1 – 1; r330 piramida – 1. სულ – 18;**
- ტექტიკური ბალისტიკური რაკეტა: **scud b – 2.**

აზერბაიჯანელთა დანაკარგები – დაღუპული მებრძოლებისა და განადგურებული ტექნიკის რაოდენობა

- ცოცხალი ძალა – დაიღუპა **2906 (+6 დაკარგული)**
- ტანკები: **T-72 (ASLAN) – 52; T-90S –10. სულ – 62;**
- ავიაცია: **¹MI 17 – 1; SU-25 – 1²; AN -2 – 11; BAYRAKTAR TB 2 – 2;**
სხვა უპილოტოები – 23;

სულ – 38.

- მსუბუქი ჯავშანტექნიკა: **BMP 1 – 8; BMP 2 – 31; BMP 3 – 6; BTR 70 – 10;**
- **BTR 82 – 25; MARAUDER – 8; MATADOR – 5; PLASAN SANDCAT – 17;**
- **სხვა ტიპის ჯავშანტრანპორტიორი – 14;**

სულ – 165.

ყარაბაღში დასრულდა 44 დღიანი ომი და სომხურ, რუსულ, დასავლურ მედიაში ამ დრომდე ყველაზე აქტუალური განხილვის საკითხს წარმოადგენს ის მიზეზები და ფაქტორები, რამაც სამხრეთ კავკასიაში განაპირობა სიტუაციის კარდინალური ცვლილება და სომხეთის 2020 წლის ყარაბაღის ომში დამარცხება. სომხეთის დამარცხება არა მხოლოდ სამხედრო მოქმედებების, არამედ არასწორი პოლიტიკური ნაბიჯების დამსახურებაა, რომლის შედეგად 26 წლის შემდეგ იწვინა ქვეყნის

¹ *Военный пилот Рамиз Гасимов погиб.*

(https://www.youtube.com/watch?v=hVzKW81e4GQ&feature=emb_logo&fbclid=IwAR2oBHXRFefUfKyzlabJL-2l0FdAlbh1B9Gpnb6JMscHvsKGE9g4vS7D_1as).

² *Заур Нудиралиев, пилот Су-25, погиб 4 октября “в небе над Джебраилом”.* – (<https://www.youtube.com/watch?v=oifmp9bejPU>).

მმართველმა გუნდმა.

მას შემდეგ, რაც 1994 წელს ქალაქ ბიშკეკში ხელი მოეწერა ომის დასრულებასა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, უკვე ნათელი იყო ის, რომ სომხეთს მთიანი ყარაბაღის რეგიონის გარშემო 7 აზერბაიჯანული რაიონი ოფიციალურად ჰქონდა ოკუპირებული. აღნიშნული ფაქტი კი საერთაშორისო სამართლის დონეზე სომხეთს წარმოაჩენდა როგორც აგრესორსა და ოკუპანტ მხარეს. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების თანავე უუთოს მინსკის ჯგუფის ფორმატში გაგრძელდა აქტიური მოლაპარაკებები ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, თუმცა თითქმის მთელი 3 ათწლეულის განმავლობაში სომხეთის პოზიცია იყო ზედმეტად ხისტი და შეურიგებელი, ოფიციალური ერევანი უარს აცხადებდა აზერბაიჯანისთვის დაებრუნებინა ის მიტაცებული მიწები, რომლებიც მთიანი ყარაბაღისთვის ე.წ. ბუფერული ზონის მოწყობისა და უსაფრთხოების გარანტირების მიზნით სჭირდებოდა. რუსეთი, ირანი, თურქეთი, აშშ და საფრანგეთი მთელი ამ ხნის განმავლობაში აქტიურად სთავაზობდნენ სომხეთს, რომ დათანხმებულიყო აზერბაიჯანისთვის 7 ოკუპირებული რაიონის დაბრუნებას.

აზერბაიჯანის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მთელი 26 წლის განმავლობაში ოფიციალურ შეხვედრებზე, ფორუმებსა და სამიტებზე აპელირებდა მუდმივად, რომ ყარაბაღი არის აზერბაიჯანი, საერთაშორისო საზოგადოებასაც ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდა – 2008 წლის 14 მარტს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა სომხეთს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაეყვანა შეიარაღებული ძალები. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი რუსეთთან ერთად კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის წევრია და კრემლი მუდმივად ერევანის სტრატეგიული პარტნიორი იყო, ოფიციალურ მოსკოვს ყარაბაღის სადავო საკითხთან მიმართებით არასოდეს დაუფიქსირებია ისეთი მოსაზრება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის საკითხს. 2020 წ. 17 დეკემბერს მედიასთან ინტერვიუს დროს ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის ტერიტორია საერთაშორისო სამართლის თანახმად წარმოადგენს აზერბაიჯანს. *„საერთაშორისო იურიდიული თვალსაზრისით, მუ ამაზე ვსაუბრობდი ადრეც, რომ მთელი ეს ტერიტორია აზერბაიჯანის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია. ასეთი იყო ჩვენი პოზიცია მინსკის ჯგუფის ფორმატშიც. ჩვენ მუდმივად ამოვდიოდით იმ წანამძღვრებიდან, რომ აზერბაიჯანს*

უნდა დაუბრუნდეს ის 7 რაიონი, რომელიც იყო დაკავებული“ – დასძინა რუსეთის პრეზიდენტმა.¹

თავის დროზე, სომხეთის ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა (1995-1999) და პრემიერ-მინისტრმა (1999), ვაზგენ სარქსიანმა განაცხადა, რომ იგი არ გეგმავდა აზერბაიჯანისთვის ომით წართმეული ტერიტორიის დაბრუნებას, რადგან ამ მიწებისთვის სომეხი ჯარისკაცების სისხლი დაიღვარა.² როდესაც სომხეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ არ აპირებდა აზერბაიჯანისთვის მიტაცებული ტერიტორიები დაებრუნებინა და არც დევნილთა დაბრუნების საკითხი განეხილა მთელი სერიოზულობით, ოფიციალურ ერევანს მიენიჭა ოკუპანტისა და ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამტარებლის სტატუსი. ეს კი ამ სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის წესების მიღმა ტოვებდა. სომხეთის ზემოაღნიშნულმა გაუაზრებელმა პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ საერთაშორისო საზოგადოებას არ ჰქონდა მწვავე რეაქცია აზერბაიჯანის არმიის მიერ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიების ომით დაბრუნებასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ 2020 წლის ომით ოფიციალური ბაქო ე.წ. კანონის ფარგლებში მოქმედებდა და იბრუნებდა იმ ტერიტორიებს, რომელიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით დადგენილი იყო აზერბაიჯანის განუყოფელ ნაწილად.

სომხეთის მთავრობის 26 წლიანმა პოლიტიკამ ძალზე არასწორი განცდები და შეხედულებები გააჩინა მოსახლეობის უდიდეს ნაწილში. სომეხი საზოგადოების ეროვნული იდენტობა 1915 წელს თურქეთის მიერ მოწყობილ გენოციდთან ერთად ჩამოყალიბებულია 1988-1994 წლის ყარაბაღის ომით, რომლის შედეგითაც დღემდე ძალზე ამაყობდნენ. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ ფიქრობდა და დღემდე არ ფიქრობს, რომ მათ აზერბაიჯანის ტერიტორია ოფიციალურ დონეზე ჰქონდათ ოკუპირებული. ის ფაქტი, რომ მათ ომი მოიგეს და ქვეყანას „დიდი სომხეთის“ ეპოქის ტერიტორიის ნაწილი „შემოუმტკიცეს“, სიამაყეს აღძრავდა მოსახლეობაში.

სომხეთის მმართველი წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების

¹ *Путин считает, что Карабах с позиций международного права является частью Азербайджана.* – ТАСС. 17.12.2020 (<https://tass.ru/politika/10283731>).

² **Григор Атанесян.** „Многие думали, что война – это забава“: Жирайр Липаритян о поражении Армении и будущем Карабаха. – *BBC News*. 30.11.2020 ([https://www.bbc.com/russian/features-55132269?xtor=AL-73-\[partner\]-\[bbc.news.twitter\]-\[headline\]-\[russian\]-\[bizdev\]](https://www.bbc.com/russian/features-55132269?xtor=AL-73-[partner]-[bbc.news.twitter]-[headline]-[russian]-[bizdev])).

აქტიური პროპაგანდა იმასთან დაკავშირებით, რომ სომხეთმა ტიგრან I-ისა და „დიდი არმენიის“ დროინდელი ტერიტორია დაიბრუნა, შეშფოთებას იწვევდა თურქეთის პოლიტიკურ წრეებშიც. თურქი მაღალჩინოსანი პოლიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ყარაბაღი იყო არა ყარაბაღელი სომხების თვითგამორკვევისა და უსაფრთხოებისთვის, არამედ იმ ოცნებისთვის, რასაც დიდი სომხეთი ჰქვია. სწორედ ეს დიდი სომხეთის ტერიტორია მოიცავდა აგრეთვე დღევანდელი თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციების მიწებსაც.¹

პირველი ომის მოგების შედეგად მიღებული ეიფორიით, სომეხი მოსახლეობის აზროვნებაში ჩამოყალიბებული იყო არასწორი შეხედულებები აზერბაიჯანის არმიასთან დაკავშირებით. სომხეთში მიაჩნდათ, რომ თავდაცვის სფეროში მიუხედავად ბაქოს მიერ კოლოსალური დანახარჯებისა, აზერბაიჯანი ვერასოდეს შეძლებდა ყარაბაღის დაბრუნებას, რადგან სომეხთა ღრმა რწმენით, აზერბაიჯანელმა ჯარისკაცმა ბრძოლა არ იცის. სომხეთში დღემდე სჯერათ იმის შესახებ, რომ მხოლოდ თურქი და სირიელი ბოევიკების წყალობით, აგრეთვე მათი მთავრობის მოღალატეობრივი პოლიტიკის გამო დაკარგეს ყარაბაღი. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანულმა სპეცდანაყოფებმა 2020 წ. 7 ნოემბერს აიღეს ქალაქი შუშა, ეს წარმოდგენელი იყო სომეხი მოსახლეობისთვის, ისინი ვერ იჯერებდნენ, თუ როგორ შეეძლო აზერბაიჯანელ მებრძოლს სომეხი ჯარისკაცის დამარცხება. მოვლენათა აღნიშნულ განვითარებას კი ფაშინიანის მოღალატეობრივი ქმედებებითა და მტერთან გარიგებით ხსნიდნენ.

მას შემდეგ, რაც ყარაბაღის პირველი ომი დასრულდა, სომხეთის თავდაცვის სამინისტროსთვის პრიორიტეტული გახდა მხოლოდ რუსული წარმოების შეიარაღების შესყიდვა. 26 წლის განმავლობაში სომხები ყიდულობდნენ მოძველებულ ტანკებს, სხვადასხვა ტიპის საარტილერიო ქვემეხებს, ზალპური ცეცხლის რეაქტიულ დანადგარებს, ტაქტიკურ ბალისტიკურ რაკეტებს და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტექნიკა XXI საუკუნის მაღალტექნოლოგიური იარაღის სახეობებს არ წარმოადგენდა, სომხების აზრით, ეს შეიარაღება საკმარისი იქნებოდა აზერბაიჯანელთა შესაკავებლად. გარდა ამისა, ერევანში მიაჩნდათ, რომ თუ ომის დაწყების საშიშროება დადგებოდა, რუსეთი კოლექტიური ორგანიზაციის უსაფრთხოების ხელშეკრულების (ОДКБ) ფორმატის გათვალისწინებით, დიად ჩაერეოდა და შეაჩერებდა აზერბაიჯანს. სომხეთი ბო-

¹ Григор Атанесян. *“Многие думали, что война – это забава”*: Жирайр Липаритян о поражении Армении и будущем Карабаха...

ლომდე მიენდო რუსეთს და ხელისუფლებაში არც კი წარმოედგინათ, მოსკოვის შესაძლო ნეიტრალიტეტი. სომხეთის თავდაცვის უწყებაში არც იმ ფაქტით შემფოთებულან და სწორი დასკვნები არ გამოუტანიათ, თუ რა წარმატებული აღმოჩნდა აზერბაიჯანული უახლესი, თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო სისტემები და კამიკაძე დრონები 2016 წლის 5 დღიან შეტაკებებში. 2020 წლის ომმა კი რეალურად წარმოაჩინა სომხეთის შეიარაღებაში არსებული საბჭოთა, რუსული წარმოების ტექნიკის ნაკლოვანებები და მოწყვლადობა დასავლური მაღალტექნოლოგიური იარაღის წინააღმდეგ. რუსული წარმოების ჯავშანტექნიკა ძალზე ადვილად გაანადგურა ებრაულმა და თურქულმა ულტრათანამედროვე სისტემებმა.

აღსანიშნავია აგრეთვე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემათა სრული ჩავარდნა – ათეულობით განადგურებული კომპლექსი და მათ შორის რუსეთის ეროვნული სიამაყის, S-300-ის ტიპის არაერთი რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების აფეთქება. ის ფაქტი, რომ სომხეთის შეიარაღების 99% რუსული (საბჭოთა) წარმოების იყო და მოწინააღმდეგესთან ვერაფერი გააწყო, ძალზე ნეგატიური გავლენა იქონია რუსულ სამხედრო ინდუსტრიაზე. ნიკოლ ფაშინიანის განცხადებით, რუსული წარმოების ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები და რადიოლოკატრონული ბრძოლის კომპლექსები რეალურად გამოუსადეგარი აღმოჩნდა ბრძოლის ველზე.¹

სომხეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ არ მიაქცია ყურადღება აზერბაიჯანის მიერ სამხედრო შესყიდვების ზრდის პროცესს უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. ისინი საგრძნობლად ვერც თავდაცვის ბიუჯეტს ზრდიდნენ, რის გამოც თანამედროვე შეიარაღებას ვერ ყიდულობდნენ. მათ არც კი უცდიათ კონტაქტები დაემყარებინათ დასავლური იარაღის მწარმოებელ კომპანიებთან, უცხოური ზუსტი დამიზნების მქონე შეიარაღების შესყიდვაზეც არ დაფიქრებულან. ყოველივე ამან, ერთობლიობაში, განსაზღვრა ის ტრაგიკული შედეგი.

მთიანი ყარაბაღის პირველი ომიდან 26 წელი გავიდა, თუმცა ეს როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა სომხეთის არმიისთვის „საკმარისი დრო“ ეფიქრათ თავდაცვითი ზონებისა და პოზიციების სათანადო მოწყობა-გამაგრებაზე და ასევე სწორი ტაქტიკის შემუშავებაზე. როდესაც საომარი მოქმედებები განახლდა ყარაბაღში, სამხედრო ექსპერტებისთვის ერთ-

¹ *Пашинян назвал российские ПВО неэффективными в войне. –TRT на русском.* Новостной портал (<https://www.trtrussian.com/novosti-armeniya/pashinyan-nazval-rossijskie-pvo-neeftivnymi-v-vojne-3573278>).

ერთი ყველაზე თვალშისაცემი და გასაკვირვებელი აღმოჩნდა დამონტაჟებული ნაღმების სიმცირე მთიანი ყარაბაღის თავდაცვითი ხაზის სამხრეთი მიმართულებით. აზერბაიჯანის სამხედრო ტექნიკის გადაადგილების მიმართულება ნაღმებისგან თითქმის სრულად თავისუფალი აღმოჩნდა ჯებრაილის, ზენგილანისა და ფიზულის მიმართულებით. როგორც ჩანს, სომხები არასერიოზულად აღიქვამდნენ ომის განახლების შემთხვევაში აზერბაიჯანელებს გაებდათ მარშით წასულიყვნენ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიების დასაბრუნებლად.

44 დღიანმა საბრძოლო მოქმედებებმა მკაფიოდ ასახა სომხების ჩავარდნა საარტილერიო გათვლების არასწორად მოწყობაშიც. გამლილ, შეუნიღბავ პოზიციებზე დაყენებული საარტილერიო ქვემეხები ძალზე მარტივი სამიზნე ხდებოდნენ უპილოტო საფრენი აპარატებისა და ზუსტი დამიზნების რეაქტიული სისტემებისთვის. თავდაცვის ზონებში აგრეთვე თითქმის საერთოდ არ ფიქსირდებოდა მულაქები, ე.წ. სატყუარა ტექნიკის მაკეტები, რომლის წარმატებულად ათვისება ხელს შეუწყობდა ნამდვილი ტექნიკის გადამალვას. 5 კვირიანი საბრძოლო მოქმედებების განმავლობაში, როდესაც პირველივე დღეებში გამოჩნდა აზერბაიჯანული უპილოტო ავიაციის უპირატესობა, სომხურმა მხარემ არ მიმართა საარტილერიო გათვლებისა და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემათა საბრძოლო პოზიციები ხელოვნური დაკვამლიანებით შეუნიღბა, რათა გამოცდილ და კვალიფიციურ მებრძოლთა სიცოცხლე დრონების დაბომბვებისგან გადაერჩინა.

სომეხი მებრძოლების ერთ-ერთ ყველაზე პრიმიტიულ შეცდომას აგრეთვე წარმოადგენდა საბრძოლო პოზიციებზე ხელოვნურად მოწყობილი სამალავების არ არსებობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საარტილერიო დანადგარის-ზალპური რეაქტიული სისტემებისა და თვითმავალი საარტილერიო ჰაუბიცების გადამალვა მას შემდეგ, რაც აღნიშნული დანადგარებიდან მოწინააღმდეგის პოზიციაზე ჭურვების/რაკეტების გასროლა მოხდებოდა. აზერბაიჯანული უპილოტო დრონების კადრებითაც ნათლად გამოჩნდა, რომ სომხური ტექნიკა არ იყო სათანადოდ კამუფლირებული და შეფერილობით ადაპტირებული საბრძოლო პოზიციაზე არსებულ რელიეფთან. ამ ფონზე კი მტრის განსხვავებული ფერის სამხედრო ტექნიკის ამოცნობა ძალზე მარტივი საქმე იყო აზერბაიჯანული უპილოტო და სადაზვერვო ავიაციისთვის.

უცნაურია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ სომხებს სამხრეთის თავდაცვით ზონაში თითქმის საერთოდ არ გააჩნდათ რკინაბეტონით გამაგრე-

ბული ბუნკერები, სანგრები და სხვა ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომლებსაც უპილოტო საფრენი აპარატებიდან მსუბუქი საბრძოლო ამუნიციით დაბომბვის შემთხვევაში შეუძლიათ არაერთ ავიადარტყმას გაუძლონ. რეალურად კი, სომხებს აღმოაჩნდათ ძალზე მსუბუქი ხის კონსტრუქციებით აშენებული სანგრები, რომლებიც არც გადახურული იყო და საჰაერო იერიშის დროს ჯარისკაცი სრულად დეზორიენტირებული ხდებოდა – არ იცოდა, თუ სად შეეფარებინა თავი. აღნიშნული პრობლემის ფონზე ათეულობით საჰაერო იერიში განხორციელდა დაუცველ ზონაში მყოფ სომეხ ქვეით მებრძოლებზე.

ყარაბაღის მეორე ომის ფონზე ვფიქრობთ, საინტერესო იქნება დაკვირვება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შეიარაღებაზე.

	აზერბაიჯანი	სომხეთი	საქართველო
ცოცხალი ძალა	66 940	45 000	37 000
თავდაცვის ბიუჯეტი	\$2.267 მილიარდი	\$634 მილიონი	\$290 მილიონი
ტანკები	470	365	143
ქვეითთა საბრძოლო მანქანა	181	113	76
ჯავშანტრანსპორტიორი	1100	250	307
არტილერია	650	275	206
ტაქტიკური ბალისტიკური რაკეტები	61	20	–
მოიერიშე მვეულმფრენები	36	14	6
საბრძოლო თვითმფრინავები	27	19	6
ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები	49	78	32

ყარაბაღის 44-დღიანმა ომმა სომხეთისა და აზერბაიჯანის არმიების მაგალითზე ძალზე მნიშვნელოვანი საკითხები გამოკვეთა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კონკრეტული მიმართულებების გაუმჯობესება. აღნიშნულმა სამხედრო დაპირისპირებამ ნათლად აჩვენა, თუ რას უნდა აკეთებდეს, ან არ აკეთებდეს სახელმწიფოს თავდაცვის უწყება გრძელვადიან პერსპექტივაში. საქართველოს შეიარაღებული ძალები წარმოადგენს ე.წ. ცოცხალ ორგანიზმს, რომელსაც დასახული ამოცანების გადასაჭრელად სჭირდება თანმიმდევრული, სწორი სტრატეგიითა და ტაქტიკით განსაზღვრული გრძელვადიანი გეგმები, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს XXI

საუკუნის დასავლური მაღალტექნოლოგიური სამხედრო ტექნიკის შესყიდვა და თავდაცვის სათანადო კომპონენტების დაგეგმარება. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ რუსეთ-საქართველოს ომიდან 12 წლის თავზე, დღესაც მძიმე მდგომარეობაშია ქართული არმია – ამ ხნის განმავლობაში არ მომხდარა თავდაცვის ბიუჯეტის ზრდა, დასავლური სამხედრო ტექნიკის შესყიდვა, მოდერნიზების პროგრამა და თავდაცვითი ზონების მოწყობა, რომელიც პოტენციური სამხედრო შეტაკებების პირობებში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს მოწინააღმდეგის შესაფერხებლად.

საქართველო სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, რეგიონში ყველაზე რთულ მდგომარეობაშია, რადგან თუ ოფიციალურ ბაქოსა და ერევანს ერთმანეთის სახით თითქმის თანაბარი სამხედრო მოწინააღმდეგე ჰყავთ, საქართველოს უპირისპირდება მსოფლიოში მე-2 სამხედრო ძალა. ამ ფონზე კი რუსეთის მხრიდან მორიგი თავდასხმის განხორციელების შემთხვევაში საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სწორი განვითარების შემთხვევაში მაქსიმუმ ის რესურსი გააჩნია, რომ მტერს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს და რამდენიმე კვირით შეაჩეროს მათი წინსვლა. ამასობაში კი, ქვეყნის დასავლელი პარტნიორები დიპლომატიის ძალით შეეცდებიან მომდევნო შესაძლო ოკუპაციის შეჩერებას. მთიან ყარაბაღში მიმდინარე ომმა ნათლად აჩვენა, რომ საქართველო სამხედრო ტექნოლოგიური თვალსაზრისით, აგრეთვე ქვეითი მებრძოლების რაოდენობით ყველაზე სუსტია რეგიონში და ამ სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების გადალახვა იმაზე რთულად გამოიყურება, ვიდრე ეს „ერევნის“ შემთხვევაში იყო, სადაც სომხეთის არმიამ 5 კვირის განმავლობაში გაუძლო შეტევებს.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი 2020 წლის ყარაბაღის ომში აზერბაიჯანთან ბრძოლაში დამარცხდა, საქართველო ამ ეტაპამდე რეგიონში მაინც ყველაზე სუსტ სამხედრო ძალად რჩება. იმ ფონზე, რომ ქართულ არმიაში არსებული საარტილერიო და ჯავშანსატანკო დანაყოფების სამხედრო ტექნიკა უკანასკნელი 12 წელია, რაც ახალი სისტემებით არ შევსებულა, საქართველოს შეიარაღებული ძალების საცევსლედ ძალა რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისითაც ყველაზე სუსტია კავკასიაში. სომხური არმიისგან განსხვავებით, საქართველოს ამ დრომდე არ გააჩნია შორ რადიუსზე მოქმედი ზაღპური რეაქტიული და ტაქტიკური სარაკეტო სისტემები. ძალზე მცირეა აგრეთვე ტანკებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების რაოდენობა, რომელთა უმრავლესობა რესურს

გამოლეული, მოძველებული და განსაახლებელია. საქართველოში საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში კი გაცილებით გაძლიერებულ მტერთან ტექნიკის ისეუ იმ მცირე რაოდენობით დაპირისპირება, რომელიც 2008 წლის ომში განადგურებას გადაურჩა, ძალზე დიდ უიმედობის განცდას ტოვებს.



ყარაბაღის ომმა ნათლად აჩვენა, რომ სომხეთს კონფლიქტის მიმდინარეობისას შეექმნა შეიარაღებული ჯარისკაცების რაოდენობის სერიოზული პრობლემა, რამაც განსაკუთრებული სიმძიმით თავი იჩინა პირველი თავდაცვითი ხაზის გამაგრების დროს. იმის გამო, რომ საკმარისი ოდენობით სომხურ არმიას არ ჰქონდა სარეზერვო ძალებით თავდაცვითი ზოლები უზრუნველყოფილი, თავი იჩინა ფრონტის ხაზის ჩამოშლის პრეცედენტებმა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია სომეხთა მასობრივი უკან დახევა.

ამ პრობლემის მხრივ გაცილებით რთული მდგომარეობაა საქართველოს შემთხვევაში, რომელსაც უფრო მრავალრიცხოვანი არმია უპირისპირდება და სომხეთზე გაცილებით ნაკლები რაოდენობის შეიარაღებული ძალები გააჩნია. საქართველოში ამ დრომდე არ არსებობს თავდაცვითი ზოლები. ომის შემთხვევაში ქართულმა არმიამ მტრის გადაადგილების მიმართულებებზე უნდა მოახდინოს ჯარისკაცების კონცენტრირება და ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგის კოლონების წინსვლას. გათვალისწინებული უნდა იქნეს ყარაბაღის ომის დროს სომხეთის არმიის ზემოაღნიშული პრობლემა და უნდა დაემატოს ბრძოლისუნარიანი, თანამედროვე შეიარაღებითა და საბრძოლო ამუნიციით აღჭურვილი

სამხედრო დანაყოფები. ასევე უნდა მოხდეს რეზერვის პროგრამის დახვეწა და ინტენსიური ხასიათი მიიღოს მოხალისეთა წვრთნებმა. ომის დროს ქართულ არმიას სარეზერვო შეიარაღებული ფორმირებები მაქსიმალურად დაეხმარებიან თავდაცვითი პოზიციების გამაგრებასა და ლოჯისტიკური პრობლემების აღმოფხვრაში.

როდესაც საუბარია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შეიარაღებული ძალების შედარებაზე, ამ ეტაპისთვის ცხადია, რომ საქართველოს არმია თითქმის ყველა არსებული სამხედრო კომპონენტით, გაცილებით მეტად აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებს ჩამორჩება, ვიდრე სომხეთისას. ქართული ჯარის ერთადერთ ე.წ. უპირატესობად და პოზიტიურ ფაქტორად შესაძლებელია ჩაითვალოს ამერიკელთა გადამზადებისა და წვრთნის არსებული პროგრამები, რომლის ფარგლებშიც უდიდეს გამოცდილებას იღებენ ქართველი ქვეითი მებრძოლები.

საქართველოს თავდაცვის უწყებამ მთავარი ყურადღება უნდა დაუთმოს უპილოტო საფრენი აპარატების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების შემუშავებას, რომელიც ცალსახად მოითხოვს თანამედროვე, დასავლური ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებით გადაიარაღებას. იმ ფონზე, რომ რუსეთი 2021 წლის ბოლომდე გეგმავს შეიარაღებაში მიიღოს ეროვნული წარმოების ORION-ის ტიპის საბრძოლო უპილოტო აპარატი, ძალზე მძიმე რეალობის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქართული არმია, თუ ყარაბაღის მსგავსად საქართველოს ცაშიც იფრენენ მოწინააღმდეგის საბრძოლო დრონები. *BAYRAKTAR TB 2*-ისგან განსხვავებით აღნიშნული უპილოტო დანადგარის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს თითქმის 1.5-ჯერ მეტი სასარგებლო დატვირთვა, რაც საშუალებას მისცემს მეტი საბრძოლო კომპლექტი წაიღოს სამხედრო ოპერაციაზე.¹

ყარაბაღის ომმა აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანი ხედავ წარმოადგინა ქართული არტილერიისთვისაც. აუცილებელია ებრაული ან დასავლური ტიპის თვითმავალი საარტილერიო დანადგარებითა და თვითმავალი ნადმტყორცნებით არმიის აღჭურვა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სამხედრო დანაყოფს გაისროლოს მოწინააღმდეგეთა მიმართულებით და სწრაფადვე შეიცვალოს საბრძოლო პოზიცია, შეინიღბოს. ამ ტაქტიკური სქემით შესაძლებელი იქნება მაქსიმალურად შემცირდეს საარტილერიო გათვლების განადგურების ალბათობა იმ შემთხვევაში,

¹ **Алексей Иванов.** Первый переданный в войска БПЛА “Орион” показали на видео”. – *Русское оружие*. Интернет-портал “Российской газеты”. 26.10.2020 (<https://rg.ru/2020/10/26/pervyj-peredannyj-v-vojska-bpla-orion-pokazali-na-video.html>).

თუ რუსი სამხედროები მომავალ კონფლიქტში აქტიურად გამოიყენებენ კონტრბატარულ რადარებს. აღნიშნული სისტემის ფუნქციას წარმოადგენს საარტილერიო დანადგარების მიერ ჭურვის გასროლის ტრაექტორიის განსაზღვრა და მოწინააღმდეგის სავარაუდო პოზიციების დადგენა, რომლის შემდეგაც აღნიშნულ კოორდინატებს რეაქტიული სისტემები და საარტილერიო ქვემეხები საპასუხო დარტყმით დაამუშავებენ.¹

მთიან ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა ნათლად დაანახა მსოფლიოს, თუ როგორ შეუძლია იაფფასიან საბრძოლო მოწყობილობას უმნიშვნელოვანესი, ძვირადღირებული სამხედრო ობიექტებისა და სისტემების განადგურება. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ ებრაული კამიკაძე დრონები, რომელთა მოქმედებების შედეგად ათეულობით რუსული წარმოების ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა განადგურდა. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სწორედ აღნიშნული ტიპის მარტივი კონსტრუქციის უპილოტო დრონები სჭირდება, რომლებითაც აღიჭურვებიან ტაქტიკური ჯგუფები და დივერსიული ოპერაციების ფარგლებში მნიშვნელოვან ზარალს მიაყენებენ მოწინააღმდეგის სამხედრო ძალებს.

სომხური არმიის უდიდესი შეცდომა უნდა გაითვალისწინოს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა და ფრონტის პოტენციურ ზოლთან მასშტაბურად უნდა მოეწყოს მყარი კონსტრუქციის მქონე სანგრები და სხვადასხვა სახის ბარიერული კონსტრუქციები, საფორტიფიკაციო ნაგებობები.

¹ *Russian Central Military District inducts Zoopark-1M counterbattery radars.* – *Army Recognition*. Defense & Security online magazine. 01.03.2018 (https://www.armyrecognition.com/march_2018_global_defense_security_army_news_industry/russian_central_military_district_inducts_zoopark-1m_counterbattery_radars.html).

OTAR KONJARIA

**MILITARY, TACTICAL, POLITICAL, AND DIPLOMATIC ASPECTS
OF THE SECOND KARABAKH WAR**

Summary

The aim of the research is to find out the consequences of the second war in Karabakh and to determine the role of the armed forces in the security of the South Caucasus states. Nowadays, aforesaid topic is one of the most discussed and actual matter among the community of military and geopolitics experts. Appropriately, the situation in Karabakh defines how stable and calm conditions will be in the Caucasus, where as a result of second Karabakh war, two more significant geopolitical players – Turkey and Russia have already been added in the region. Both these countries are prudent to avoid further destabilization of situation, which then could go beyond the borders of Caucasus. The methods of content analysis of sources, library research and methods of historical comparative research had been used in the research. Scientific novelty of the research is represented with the recommendations to Georgian armed forces for improvement specific defence directions. As a result of analysis of the Karabakh war Georgia should establish different vision of the security concept and amid challenges must develop appropriate defence policies. The research will have both theoretical and practical significance for those who are interested in the second Karabakh war. It will have value for the students and teachers of the faculty of political science, history of Caucasus and conflictology. This Above-mentioned study will provide them with an in-depth analysis of what kind of factors and reasons had defined the consequences, which belligerents received eventually.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება – აფხაზეთის ორგანიზაცია
საისტორიო ძიებანი, XIII, 2020-2021

მ ე ტ ნ ი ე რ ი ს ა რ ქ ი ვ ი დ ა ნ

ზურაბ პაპასქირი

სწორება დავითმა!

ანუ რატომ უჭირენ მხარს მიხეილ სააკაშვილს*

ჩაიარა 5 იანვრის ვადამდელმა საპრეზიდენტო არჩევნებმა. მიხეილ სააკაშვილი ხელმეორედ გახდა საქართველოს პრეზიდენტი. თუმცა, ოპოზიცია ბოლომდე დღესაც არ ცნობს მის გამარჯვებას, ფაქტი სახეზეა: აბ-

* ეს მასალა მომზადდა **2008 წ. იანვარ-თებერვალში, უშუალოდ 2008 წ. 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ატეხილი ვნებათაღელვის ფონზე, მაგრამ მაშინ ავტორმა მისი გამოქვეყნებისაგან თავი შეიკავა.** მას შემდეგ, როგორც იტყვიან, „ბევრმა წყალმა ჩაიარა“ – რაც მთავარია იყო 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელმაც მთელი წინა ოთხი წლის მონაპოვარი, თითქოს გააფერმკრთალა და ოპოზიციურ სპექტრს მომხდარში ხელისუფლების დადანაშაულების ახალი მოტივაცია გაუჩინა. მიუხედავად იმისა, თუ რა შეფასებას მისცემს მავანი საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს რუსული სამხედრო მანქანის შესაჩერებლად 2008 წ. აგვისტოში, ვფიქრობთ, ერთი რამ ცხადად უცხადესია – **საქართველოს სუვერენული სახელმწიფო გადარჩა.** მეტიც, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოეჩვენოს ეს ვინმეს, 1993 წლის შემდეგ პირველად გამოიკვეთა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური პერსპექტივები. დიახ, **რუსეთის დია და დაუფარავმა აგრესიამ და მოსკოვის მიერ სეპარატისტული რეგიონების ყბადაღებულმა „ადიარებამ“ თვით აგრესორი სახელმწიფო მოაქცია პოლიტიკურ ჩიხში და მთელი მსოფლიოს თვალში მოახდინა ე.წ. რუსული „სამშვიდობო მისიის“ სრული დისკრედიტაცია.** მსოფლიო თანამეგობრობა პირველად ალაპარაკდა საქართველოში არსებული გაყინული კონფლიქტების მოგვარების **არარუსულ სცენარზე.** ამის შესახებ ვრცლად იხ. **ზურაბ პაპასქირი: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ზოგიერთი ასპექტის გააზრებისათვის. – საქართველოს უნივერსიტეტის X ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.** თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 2018, გვ. 243-274 (<https://www.academia.edu/50841058/>).

სოლუტურად ყველა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ, როგორც ადგილობრივმა, ისე საერთაშორისომ, ერთხმად აღიარა, რომ, მიუხედავად ცალკეული დარღვევებისა, არჩევნები მთლიანობაში, შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს და, რომ აღნიშნულ დარღვევებს შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. უფრო მეტიც, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში საერთაშორისო თანამეგობრობამ აღიქვა ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შეუქცევადობის მკაფიო დადასტურებად. ამის თვალსაჩინო დემონსტრირება მოხდა ა. წ. 24 იანვარს სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, როდესაც თვით ჩასაფრებულმა რუსმა პარლამენტარებმაც კი აღიარეს საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის სტატუსი და მისი მორიგი გამარჯვება საერთაშორისო არენაზე.

ამ ფონზე გაკვირვებას იწვევს ოპოზიციის ლიდერთა სრულიად უპასუხისმგებლო, დემაგოგიური განცხადებები საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების არ ცნობისა და არჩეული პრეზიდენტის არალეგიტიმურობის შესახებ. თავი რომ დავანებოთ იმას, ამგვარი განცხადებები დაუსაბუთებელია (ყოველი შემთხვევისათვის ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი „მაკომპრომეტირებელი“ მასალები სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად არჩევნების საერთო შედეგების გადასასინჯად), ეს სულ ცოტა არასაჩუქრულ მწიფობრივი მიდგომაა და მას ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისათვის ზიანი მოაქვს. განა ნორმალურია, როდესაც მთელი მსოფლიო ცნობს საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულობას, აღიარებს მის შედეგს და ამით, ფაქტობრივად, მწვანე შუქს უნთებს ქვეყნის ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სივრცეში, იძახო, რომ „არა, ქართველი ხალხისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რას იტყვის ევროპა და ამერიკა (იქნებ რუსეთის აზრია მნიშვნელოვანი?) და, რომ ის არ ცნობს არჩეულ პრეზიდენტს ლეგიტიმურად“.

ჯერ ერთი, ვინ მისცა კუკავებს, ხაინძრავებს, ბატათურიებს და ა.შ. ქართველი ხალხის სახელით საუბრის მონოპოლიური უფლება, მით უფრო, მაშინ როდესაც მათივე (კ. კუკავას განცხადება ტელევიზიით) აღიარებით მიხეილ სააკაშვილს თურმე მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 41%-მა, გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერს კი მხოლოდ 30%-მა. თუ დაფიქრებულან ისინი, რომ ამგვარი განცხადებებით შეურაცხყოფას აყენებენ სულ ცოტა 1 მილიონ (მათივე გათვლებით) ადამიანს და ფაქტობრივად უკრძალავენ მათ წარმოდგენდეს ქართველ ხალხს. იქნებ ქართველი ხალხი არა მარტო უსუფაშვილ-ხიდაშვილები, ან გუგავა-შატბერაშვილები

და თუნდაც ის ათეულობით ათასი საქართველოს მოქალაქეა, რომლებიც ცხოვრების სიღუბლიერებში გამოიყვანა ქუჩაში. რა ვუყოთ ქართველი ხალხის იმ ნაწილს, რომელსაც სჯერა საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის. რატომ ეცოტავებათ მათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ასევე ათეული ათასობით გამოსული ადამიანი, რომელმაც დიად გამოხატა მ. სააკაშვილის მხარდაჭერა?

იქნებ რომელიმე მათგანზე ნაკლები დამსახურება ჰქონდეს ქვეყნის წინაშე ისეთ პიროვნებებს, როგორებიც არიან: ერის სინდისად წოდებული *კოტე ჩოლოყაშვილი*, მსოფლიო მეცნიერების კორიფე, აკადემიკოსი *თამაზ გამყრელიძე*, ჭეშმარიტად სახალხო (და არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით) არტისტები *ოთარ კობერიძე*, *ნანი ბრეგვაძე*, *ბუბა კიკაბიძე*, საქვეყნოდ ცნობილი დასტაქარი, აკადემიკოსი *ფრიდონ თოდუა*, თანამედროვე ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი მეტრი *იულონ გაგოშიძე*, ჩვენი სასიქადულო სპორტსმენები *გიორგი ასანიძე*, *ზურაბ ზვიდაური*, *კახა კალაძე* და მრავალი სხვა ღირსეული ადამიანი, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს მიხეილ სააკაშვილს. განა ვინმეს აბუჩად ასაგდება მათი ქართველობა და მოქალაქეობრივი პოზიცია?! ან იქნებ პატივი ვცეთ საქართველოს სულიერი მამის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აზრს, რომელმაც ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ მიჩნეულ ბაგრატის ტაძარში ფაქტობრივად ოფიციალურად აკურთხა არჩეული პრეზიდენტი, რითაც წერტილი დაუსვა ოპოზიციის ცალკეული წარმომადგენლების პოლიტიკურ ინსინუაციებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ირგვლივ. ხალხმა განსაჯოს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის აღიარებაა უფრო მნიშვნელოვანი, თუ *კირთაძე-ნათელაშვილებისა* და *ძიძიგურ-დავითაშვილების* დემაგოგია.

ნიშნავს კი ყოველივე ეს, რომ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა საქართველოში უნაკლოდ ჩაიარა? რასაკვირველია არა. ეს არც შეიძლებოდა ასე მომხდარიყო. მაგრამ იმის უარყოფა, რომ ეს არჩევნები გაცილებით უკეთ ჩატარდა ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს ყველა აღრინდელი არჩევნები (სხვათა შორის, ამგვარი შეფასება მისცა ამ არჩევნებს, თვით სახალხო დამცველმა *სოზარ სუბარმა*, რომლის კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი საყოველთაოდ ცნობილია), პრაქტიკულად შეუძლებელია. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ თვით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებშიც კი ვერ მიიღო ტრადიციული 99,99%-იანი შედეგი (მაგ. გარდაბნის რაიონში მ. სააკაშვილს ხმა მისცა მხოლოდ 70,62%, წალკაში კი 72,72%),

ხოლო ცალკეულ უბნებში ოპოზიციამ გამარჯვებაც კი მოახერხა?! ქართული დემოკრატიის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი კი ის არის, რომ ეს არჩევნები, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ჩატარდა ჭეშმარიტად კონკურენტულ გარემოში, როდესაც ოპოზიციამ არნახული შედეგი აჩვენა – საერთო ჯამში ხმების თითქმის 45% მიიღო. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების მხრიდან კეთილი ნების გარეშე ამგვარი გარემოს შექმნა ნამდვილად წარმოუდგენელი იქნებოდა.

რამ განაპირობა ოპოზიციის მიერ ნაჩვენები ასეთი მაღალი შედეგი და რატომ გაუჭირდა ასე გამარჯვება მიხეილ სააკაშვილს, პრეზიდენტს, რომელსაც 2004 წელს ამომრჩეველთა 96%-ზე მეტმა დაუჭირა მხარი? არ ვიქნებით ორიგინალური, თუ ვიტყვით, რომ, ამ შემთხვევაში მოსახლეობამ იმდენად ოპოზიციას კი არ მისცა ხმა, რამდენადაც ხელისუფლების მიმართ თავისი უკმაყოფილება გამოხატა. ეს, ერთი შეხედვით, ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობის ფონზე, რომელიც შეუიარაღებელი თვალთაც ჩანს, ცოტა გაუგებარიც კია, მაგრამ თუ ობიექტურად გავაანალიზებთ ბოლო 4 წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს, დავრწმუნდებით, არჩევნების შედეგის მეტ-ნაკლებ კანონზომიერებაში.

დავიწყოთ იქიდან, რომ ფაქტობრივად ყველა ქვეყანაში, სადაც, ხორციელდება შორეულ პერსპექტივაზე გათვლილი, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით აუცილებელი რადიკალური, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არაპოპულარული რეფორმები, რომელსაც მოჰყვება სისტემური ხასიათის ცვლილებები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და ეკონომიკის სფეროში, როგორც წესი, ხელისუფლება აწყდება სერიოზულ წინააღმდეგობას მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის მხრიდან. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოური სივრცის მთელი რიგი სახელმწიფოების გამოცდილება XX ს. 90-იან წლებში. როგორც ცნობილია (და ამაზე ხშირად ამახვილებენ ყურადღებას ანალიტიკოსები), სოციალისტური სისტემის მსხვრევის შემდეგ რევოლუციურ ტალღაზე მოსული ხელისუფლება თითქმის ყველგან დამარცხდა პირველივე ვადის გასვლის შემდეგ ჩატარებულ არჩევნებში (პოლონეთი, რუმინეთი, უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, მოლდოვა, ბელორუსი და ა.შ.), ზოგან კი (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) საერთოდ სამხედრო გადატრიალების გზით იქნა დამხობილი.

ძნელია, მცირე მოცულობის წერილში ვარდების რევოლუციის შემ-

დეგ საქართველოში მიმდინარე რეფორმების ყოველმხრივი, გამოწველილი ანალიზი, ეს არც არის ჩვენი მიზანი. შევჩერდებით მხოლოდ ცალკეული რეფორმის მტკივნეულ ასპექტებზე. ალბათ ძნელია მოიძებნოს ადამიანი, ვინც ვერ ამჩნევდეს იმ ვეებერთელა, ჭეშმარიტად რეკორდულ წინსვლას, რაც ქვეყანას საბიუჯეტო სფეროში აქვს. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ამას ხელისუფლებამ ძირითადად მიაღწია არა ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ამოქმედებით (თუმცა ამ მიმართულებითაც იგრძნობა სერიოზული გამოცოცხლება), არამედ მკაცრი ფინანსური წესრიგის დამყარებით შემოსავლების ამოღების ნაწილში. ამ პროცესს კი, როგორც ცნობილია, თან სდევდა უკომპრომისო ბრძოლა კორუფციული გარიგებებისა და შემოსავლების დაფარვის წინააღმდეგ, რამაც არა მხოლოდ მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა, არამედ მცირე შემოსავლების მქონე რიგითი ადამიანების უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ე.წ. „გარე ვაჭრობის“ აკრძალვისა, თუ „საკასო“ აპარატების შემოღების წინააღმდეგ მოწყობილი საპროტესტო აქციები.

ან კიდევ, განა შეიძლება არ შეამჩნიო ის პოზიტიური გარდაქმნები, რომლებიც განხორციელდა სამხედრო სფეროში და სამართალდამცავ სტრუქტურებში. მაგრამ ამ რეფორმებსაც ხომ ათასობით ადამიანის (განსაკუთრებით პოლიციაში) კარიერა შეეწირა. ეს ხალხიც ხომ ოპოზიციურ ელექტორატს შეემატა. არანაკლებ მტკივნეული აღმოჩნდა თავისთავად უდავოდ საჭირო და დროული სისტემური ცვლილებები განათლებისა და მეცნიერების სფეროში, რომლებმაც ფაქტობრივად უფუნქციოდ (რომ არაფერი ვთქვათ ფინანსურ მხარეზე) დატოვა უამრავი ადამიანი, მათ შორის, საკმაოდ ავტორიტეტული მეცნიერებაც (საზოგადოების ამ ნაწილის უკმაყოფილების ყველაზე მკაფიო გამოვლინება იყო მწვავე კრიზისი ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში). ასევე უფუნქციოდ და უსახსროდ დარჩა ათასობით მოქალაქე სახელმწიფო სტრუქტურებში განხორციელებული ოპტიმიზაციის შედეგად. მენტალური ხასიათის წინააღმდეგობას წააწყდა ხელისუფლება შემოქმედებითი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდანაც. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს მწერალთა კავშირის შენობისა და ბორჯომში კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი. მოსახლეობის არც თუ მცირე ფენებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ხელისუფლების ზრუნვა ქალაქის არქიტექტურასა და ეზოების კეთილმოწყობა-

ზე, რომელსაც თან სდევდა უკანონო მშენებლობების (განსაკუთრებით ლოჯიებისა და გარაჟების) აღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულსა და სხვა ნაკლებად თვალშისაცემ პრობლემებს (მათგან, ჩვენის აზრით, ყველაზე სერიოზულია შეცდომები საკადრო პოლიტიკაში) დავუმატოთ მასობრივი უმუშევრობა სოფლად და ქალაქად, რომელშიც საზოგადოების ერთი ნაწილი მთლიანად ამჟამინდელ ხელისუფლებას ადანაშაულებს და ნათელი გახდება, თუ რატომ აქცია ზურგი მოქალაქეთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა პოპულარულ პრეზიდენტს. ერთი შეხედვით, ხალხის ამ ნაწილს ნამდვილად არ გაემტყუნება, ვინაიდან, რაოდენ ბანალურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ადამიანი უმეტეს შემთხვევაში, მოვლენებს აფასებს არა ზოგად სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებზე (თანაც არცთუ ახლო პერსპექტივაში) ორიენტირებით, არამედ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე.

და მაინც, მიუხედავად არსებული სიძნელეებისა და თითქმის საყოველთაო სიღუბნისა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ მაინც მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ კურსს დაუჭირა მხარი. ამ შემთხვევაში, არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ ოპოზიციას არ გააჩნდა რეალური (და არა ცალკეული პარტიების მხრიდან „საყოველთაო კეთილდღეობის“ შესახებ კომიკური დაპირებების მსგავსი) ალტერნატიული სამოქმედო პროგრამა, პირველ რიგში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად. გარდა ამისა, ოპოზიციამ ვერ მოახერხა წამოეყენებინა გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც როგორც სახელმწიფოებრივი აზროვნების მასშტაბურობით, ისე ქარიზმის მხრივ, სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა მ. სააკაშვილს. ასეთ ვითარებაში ოპოზიციამ თავისი წინასაარჩევნო კამპანია მთლიანად ხელისუფლების დისკრედიტაციაზე ააგო.

რა ცოდვებში არ სდებდნენ ბრალს მ. სააკაშვილსა და მის სახელისუფლებო გუნდს. მთავარ მაკომპრომეტირებელ თემებად იქცა: სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და სასამართლოს არაობიექტურობა, ადამიანის უფლებების (საკუთრების უფლების, მოქალაქეების ღირსების) შელახვა, ძალადობა თავისუფალ პრესაზე, „ბრძოლა ეროვნულ-კულტურული ფასეულობების წინააღმდეგ“, განათლებისა და მეცნიერების „დანგრევა“ და ა.შ. რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამაზე.

დიახ, მიხეილ სააკაშვილის პირველი პრეზიდენტობის პერიოდში, ნამდვილად ჰქონდა ადგილი პოლიციის მაღალჩინოსნების მხრიდან და-

ლაუფლების გადამეტების ცალკეულ ფაქტებს, რომელთაგან ყველაზე განმარტებული გირგვლიანისა და რობაქიძის ოჯახების ტრაგედია იყო. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ეს შემთხვევები არ მიჩქმალულა და იმავე „არაობიექტურმა“ სასამართლომ, სათანადოდ მიუზღო დამნაშავეებს. შეიძლება ვიდავოთ, თუ რამდენად იყო ბოლომდე გამოძიებული აღნიშნული შემთხვევები და რამდენად ადექვატური იყო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, მაგრამ განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ სახელმწიფომ ნამდვილად მოახდინა რეაგირება (და შეიძლება ითქვას საკმაოდ მკაცრიც) სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე? არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ არც ერთი ეს შემთხვევა არ შეიცავდა შეკვეთილი, მით უფრო პოლიტიკური, მკვლელობის ნიშნებს. არადა, საქართველოს კარგად ახსოვს თუ როგორ უსწორდებოდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს მ. სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე სულ რაღაც 8-10 წლის წინათ, სწორედ რომ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლების უშუალო შეკვეთით. შორს რომ არ წავიდეთ, ამ მხრივ გია ჭანტურიას მკვლელობა რად ღირს.

ან იქნებ ის საყოველთაო კრიმინალური განუკითხაობა დაგვაზიწყდა, რომელიც სუფევდა ამ ცოტა ხნის წინ ქვეყანაში, როდესაც მიხდომიდაყაჩაღება, ადამიანების გატაცება გამოძალვის მიზნით, რეკეტი და ა.შ. ცხოვრების ნორმად იყო გადაქცეული (იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის *კახა კალაძის* ოჯახის ტრაგედია ნაკლები იყოს გირგვლიანებისა და რობაქიძეების ტრაგედიაზე). ვინ აღმოფხვრა ყოველივე ეს? ვინ გახსნა *ლევან კალაძის* საქმე? რომელი ხელისუფლების დროს ყოფილა ასეთი წარმატებული ქურდული სამყაროსა და ქურდული მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა? როდის ჩაუტარებია ქართულ სპეცსამსახურებს ისეთი წარმატებული ოპერაციები, როგორიც იყო თუნდაც რუსეთის *ГРУ*-ს აგენტურის გამოვლენა, რომელმაც ნამდვილი სილა გააწნა მსოფლიოში აღიარებული რუსული სპეცსამსახურების პროფესიონალურ რეპუტაციას, და რომლითაც ფაქტობრივად პირველად იგრძნო ჩვენმა „დიდმა“ მეზობელმა ქართული სახელმწიფოებრიობის ძალა (განა ძნელი მისახვედრია, რომ სწორედ ეს ვერ მოითმინა „წარმოშობით“ ჩეკისტმა ვლადიმირ პუტინმა და სრულიად არაადექვატური, რუსეთის სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის შემლახველი ნაბიჯები გადაადგმევინა მას საქართველოს მიმართ). რითი არ არის ყოველივე ეს ადამიანის უფლებებისათვის, მათი სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოებაზე, საზოგადოდ ქვეყანაზე ზრუნვა?

ახლა რაც შეეხება ყბადაღებულ სიტყვის თავისუფლებას. საინტერესოა, როდის და ვინ შეზღუდა ოპოზიციური აზრი საქართველოში. ქართული ბექდური მედია არათუ თავისუფალია ხელისუფლების დია და დაუფარავი კრიტიკისათვის, არამედ მის ფურცლებზე არცთუ ისე იშვიათად მიდის პრეზიდენტისა და ხელისუფლების სხვა პირველ პირთა ყოვლად უხამსი და უზნეო ლანძღვა. განა საქართველოში არ გამოდის გაზეთები „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა“, „ლიტერატურული საქართველო“ და ა.შ. ან იქნებ ტელეკომპანია „იმედი“ (რომ არაფერი ვთქვათ ტელეკომპანია „კავკასიაზე“) არ იყო ოპოზიციის რუპორი. აქ შეიძლება ვინმე შემომეკამათოს, ტელეკომპანია „იმედის“ დახურვა ხომ იყო ხელისუფლების მხრიდან თავისუფალ მედიაზე ძალადობა? რასაკვირველია, ის ფორმა, რითაც მოხდა ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის შეჩერება 2007 წ. 7 ნოემბერს, სულაც არ იყო მოსაწონი და ამ შემთხვევაში, სათანადო სტრუქტურებმა მართლაც ვერ გამოიჩინეს საჭირო პროფესიონალიზმი. მაგრამ, დღეს (მას შემდეგ, რაც გაირკვა, თუ რა გეგმა ჰქონდა არხის მფლობელს) ხომ ცხადზე უცხადესია, რომ „იმედის“ ფუნქციონირება ნამდვილად უქმნიდა საფრთხეს ქვეყნის კონსტიტუციურ წყობას.

არც 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დაშლა შეიძლება ჩაითვალოს რაღაც განსაკუთრებულ, ცივილიზებული სამყაროსათვის მიუღებელ მოვლენად, რომ არაფერი ვთქვათ მის გათანაბრებაზე 9 აპრილის სადამსჯელო ოპერაციასთან, რაც, ჩვენის აზრით, არც მეტი არც ნაკლები, უბრალოდ მკრეხელობაა. დიან ბატონებო, ნამდვილად მკრეხელობაა თავი გაუტოლო 9 აპრილს გმირულად დაცემულ მამულიშვილებს, იმათ, ვინც წინ აღუდგა კრემლის იმპერიულ, კომუნისტურ-ტოტალიტარულ რეჟიმს, რომელმაც ადგავა პირისაგან მიწისა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა, და თავი შესწირა სამშობლოს ერთიანობისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლას. დიან, 9 აპრილი არის სისხლიანი ტრაგედია, რომელსაც შეეწირა სრულიად უდანაშაულო 21 გულანთებული პატრიოტის სიცოცხლე, მათ შორის, ძირითადად ქალების (სხვათა შორის, რომ არა ეს უკანასკნელი გარემოება, ვეჭვობთ, ამ მოვლენას საერთოდ ჰქონოდა ასეთი დიდი რეზონანსი).

9 აპრილისგან განსხვავებით ის, რაც 2007 წ. 7 ნოემბერს თბილისში მოხდა – ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული არცთუ მრავალრიცხოვანი სამშვიდობო საპროტესტო აქციის დაშლა ყველა ცივილიზებული სახელმწიფოსთვის მიღებული საშუალებებით – ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისთვის სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. შეიძლე-

ბა ვიდავოთ, რამდენად ადექვატური იყო ხელისუფლების გადაწყვეტილება მიტინგის დაშლის თაობაზე. მეტიც, ჩვენ მთლიანად ვუერთდებით იმ ადამიანებს, რომლებიც გმობენ სპეცრაზმელების მიერ წაქეული ადამიანების ცემის ფაქტებს, მაგრამ ასეთი რამ განა ჩვენზე გაცილებით მეტი გამოცდილების ქვეყნებში არ ხდება? თანაც ისიც არ დავივიწყოთ, რომ არც მომიტინგეების ქმედებები ყოფილა ამ მხრივ მთლად მართლზომიერი. რად ღირს თუნდაც, სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლის, სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკის ჩაქოლვის მცდელობა სანაპიროზე, რომელიც მთელმა საქართველომ იხილა, არაფერს ვამბობთ ისეთ აშკარად ანტიკონსტიტუციურ მოწოდებებზე, როგორიცაა: „ყველანი მოდიოთ პარლამენტთან და დავამთავროთ ეს ხელისუფლება“ და ა.შ.

დიახ, 2-7 ნოემბრის საპროტესტო გამოსვლები სულაც არ იყო ისეთი უწყინარი და მშვიდობიანი, რომლის მთავარი მიზანი თითქოს მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების ე.წ. „კონსტიტუციურ ვადებში“ ჩატარება იყო, როგორც ამას დღეს გვიკვირებს ოპოზიცია. ეს, რომ ასე ყოფილიყო, ხალხი ჯერ კიდევ მაშინ – „ცხელ გულზე“ გამოვიდოდა ქუჩაში, როდესაც პარლამენტმა (სხვათა შორის, ყველა იურიდიული ნორმის სრული დაცვით) მიიღო კონსტიტუციური შესწორებები საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად – 2008 წლის შემოდგომაზე – ჩატარების შესახებ. მაგრამ იმ დროს, როგორც ცნობილია, არავის არ მოსვლია აზრად „ქულზე კაცის“ დაძახება და ოპოზიციის პროტესტი ფაქტობრივად საპარლამენტო დებატებით შემოიფარგლა. საპროტესტო დუდილის ესკალაცია მოხდა მოგვიანებით და, ვინ რაც არ უნდა დაიბრალოს, დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ ეს მთლიანად უკავშირდება *ირაკლი ოქრუაშვილის* (უდავოდ ქარიზმატული ლიდერის) ოფიციალურ გამოჩენას ოპოზიციურ ნიშაზე. და მთავარი, რაოდენ მძიმე არ უნდა იყოს ამის აღიარება, **2 ნოემბერს მიტინგზე მოსული ხალხის დიდი ნაწილი (მათი განაწყენების მიზეზებზე უკვე ვისაუბრეთ) ვარდების რევოლუციის გასამეორებლად და ხელისუფლების დასამხობად იყო მოსული.** მაგრამ **მათი ეს მცდელობა** (2003 წლის 22-23 ნოემბრის ისტორიული მოვლენებისაგან განსხვავებით) **სრულიად უკანონო და არაკონსტიტუციური იქნებოდა.**

2003 წელს, როგორც ცნობილია, ხალხი გამოვიდა უმადლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების უპრეცედენტო გაყალბების წინააღმდეგ და არ ცნო მისი შედეგები. ეს სულაც არ იყო მხოლოდ მიხეილ სააკაშვილისა და სხვა ცალკეული ლიდერების ახირება. ამ შემთხვევაში, 2003

წ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს ერთნიშნად უარყოფითი შეფასება მისცა თითქმის ყველა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ. მთელი მსოფლიო შეამფოთა გაყალბების არნახულმა მასშტაბებმა (ამ მხრივ აჭარის მაგალითი რად ღირს). მსოფლიოში ფაქტობრივად არ აღმოჩნდა არათუ რომელიმე წამყვანი სახელმწიფოს ლიდერი, არამედ მეტ-ნაკლებად ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ცნობდა არჩევნების ოფიციალურ შედეგებს. მეტიც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული შედეგების შეუსაბამობა რეალურ მონაცემებთან და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში აღიარეს თვით აღმასრულებელი ხელისუფლების პირველმა პირებმაც (სახელმწიფო მინისტრი *ავთანდილ ჯორბენაძე*) კი.

გარდა ამისა, სახეზე იყო ქვეყნის პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევა. კერძოდ, მან არ აღკვეთა აჭარის ლიდერის მხრიდან უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციების უზურპირება, რითაც აშკარად შეუქმნა საფრთხე ქვეყნის ერთიანობას. სხვათა შორის, ამ მოვლენების პირუთვნელი შეფასება მოგვცა და პრეზიდენტისა და რეგიონის ხელმძღვანელის ქმედებების ანტიკონსტიტუციურობა საჯაროდ ამხილა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით პრეზიდენტის მრჩეველმა სამართლის საკითხებში, აკადემიკოსმა *ლევან ალექსიძემ* (ვის, ვის და მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერ-იურისტს ნამდვილად არ შეეშლება, თუ როდის ირღვევა ქვეყნის კონსტიტუცია).

2003 წ. 22-23 ნოემბრის „რევოლუციური ამბოხის“ ლეგიტიმურობის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ლიდერი იყო ქვეყნის ხელისუფლების მეორე პირი – მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარე. ამ მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ „ახალი“ პარლამენტის „პრეზენტაციას“ არ დაესწრო, კათოლიკოს-პატრიარქი *ილია II*, რითაც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ფაქტობრივად უნდობლობა გამოუცხადა „ახლად არჩეულ“ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს.

ერთი სიტყვით, 2003 წ. 22-23 ნოემბრის ბობოქარ დღეებში ქართველი ხალხის უდიდესმა ნაწილმა არ დაუშვა უკანონობის დაკანონება და დაიცვა თავისი არჩევანი, რაშიც მას გვერდში დაუდგა მთელი დემოკრატიული სამყარო, რომელმაც 22-23 ნოემბრის მოვლენები „ვარდების რევოლუციად“ მონათლა და ერთნიშნად აღიარა მისი კანონიერება, ხოლო ამ რევოლუციის ლიდერი *მიხეილ სააკაშვილი* კი პოსტსაბჭოურ სივრცეში ახალი დემოკრატიის მთავარ შემოქმედად გამოაცხადა. ეს არის ის-

ტორიული ფაქტი, რომლის მნიშვნელობის რევიზია-გაქილიკების უსუსური მცდელობები დღევანდელი ოპოზიციის მხრიდან უბრალოდ ღიმილის მომგვრელია და სხვა არაფერი. საწყენია მხოლოდ, რომ ამას სჩადიან არა მარტო „რევოლუციის შტრეიკბრეხერი“ ლეიბორისტები და „ახალი მემარჯვენეები“ (მათი სრული პოლიტიკური გაკოტრება ნათლად გამოავლინა 2008 წ. 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა), რომლებიც ამით ცდილობენ გაამართლონ 2003 წ. 22 ნოემბერს მათ მიერ ე. შევარდნაძის ანტიკონსტიტუციური რეჟიმის გადასარჩენად გადადგმული სამარცხვინო ნაბიჯი, არამედ ისინიც, ვინც მაშინ აქტიურად მონაწილეობდა ვარდების რევოლუციაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ 2003 წ. ნოემბერში სრულიად განსხვავებული ფონი იყო (რომ არაფერი ვთქვათ რევოლუციის ლიდერის პიროვნულ რეიტინგზე) და 2007 წ. 2-7 ნოემბრის საპროტესტო აქციების ხელმძღვანელთა მცდელობა, მოეწყოთ *ვარდების რევოლუცია – 2*, ნამდვილად ვერ მოიპოვებდა ლეგიტიმაციას ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც მის ფარგლებს გარეთ. ერთადერთი, რაც ამ ავანტიურას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ესაა მძაფრი სამოქალაქო დაპირისპირება, რომელსაც ქვეყნისთვის კატასტროფული შედეგები ექნებოდა. **აი რატომ არ მიგვაჩნია ტრაგიკულად ხელისუფლების გადაწყვეტილება 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის დაშლის შესახებ, მით უფრო, რომ ის მთლიანობაში (ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მხრიდან ცალკეული გადაცდომების მიუხედავად, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი) საკმაოდ მაღალ პროფესიონალურ დონეზე განხორციელდა და, რაც მთავარია, უმსხვერპლოდ დასრულდა.**

ამ ვრცელი შესავლის შემდეგ გადავიდეთ მთავარ სათქმელზე. საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილ ნაწილს უკიდურესად აღიზიანებს მიხეილ სააკაშვილის მხრიდან დავით აღმაშენებლის სახელის ხშირი ხსენება და მასთან გატოლების მცდელობად მიიჩნევენ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებას (ეს უკვე მეორედ) დიდი მეფის საფლავზე. თავისთავად, იმაში, რომ საქართველოს სახელმწიფოს ნებისმიერი მეთაური თავის იდეალად სახავდეს დავით აღმაშენებელს – ყველაზე დიდ მონარქს, რომელმაც ფაქტობრივად შექმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, არათუ არაფერია დასაძრახნი, არამედ ეს სავალდებულოც კი უნდა იყოს. სხვა საკითხია, თუ რამდენად საფუძვლიანია საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის მისწრაფება, აილოს სწორება დავი-

თზე და იაროს მისი გზით. საერთოდ ისტორიული პარალელების გავლება მეტად სარისკო საქმეა (მით უფრო ამა თუ იმ ლიდერის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დასაწყის სტადიაზე, როდესაც არაა ცნობილი, თუ რითი დამთავრდება დაწყებული საქმეები), მაგრამ არ შეიძლება არ დაგვაფიქროს იმ დიდმა სახეცვლილებამ პოზიტიური მიმართულებით, რომელიც განიცადა ქვეყანამ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პირველი 4 წლის განმავლობაში და, რომელიც ნამდვილად მოგვაგონებს XI საუკუნის მიწურულს დიდი დავითის მიერ წამოწყებულ აღმშენებლობას. შევეცდებით ამ მეტად დამაფიქრებელი მსგავსების წარმოჩენას და დავიწყებთ ამას დავით აღმაშენებლის „დიდთა საქმეთა“ მიმოხილვით. მაგრამ თავდაპირველად იმის შესახებ, თუ როგორი ქვეყანა ჩაიბარა მან. ამისთვის საჭიროა მოკლედ შევეხოთ დავითის მამის – გიორგი II-ის მმართველობას.

გიორგი II, როგორც ცნობილია, ტახტზე მამის – ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ – 1072 წელს ავიდა. მიუხედავად სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გარკვეული გამოცდილებისა, რომელსაც ის ნამდვილად შეიძენდა თუნდაც XI ს. 50-იანი წლების I ნახევარში, როდესაც (მართალია, მცირეწლოვანს) დროებით (ბიზანტიაში გახიზნული მამის ნაცვლად) მეფის ტახტიც კი ეკავა, გიორგი II-ს მაინც გაუჭირდა სახელმწიფო საქმეებთან დამოუკიდებლად შეჭიდება. თავდაპირველად მას „აუშალეს ქვეყანა“ ფეოდალური არისტოკრატის ცალკეულმა წარმომადგენლებმა, რომლებმაც არ უღალატეს ტრადიციას, უმალ ისარგებლეს მეფის გარდაცვალებით და გიორგი II-ის წინააღმდეგ ზედიზედ რამდენიმე ამბოხი მოაწყვეს. ოპოზიციის დაშოშმინება მეფემ მხოლოდ სერიოზული დათმობების (ახალი სამფლობელოების წყალობა-ბოძების) გზით მოახერხა, რამაც მნიშვნელოვნად დაასუსტა მეფის ხელისუფლება.

მართალია, ამ ეტაპზე გიორგი II-მ მაინც მოახერხა ძალების მობილიზება და ცალკეული წარმატებების მოპოვება ქვეყნის გამთლიანების გზაზე (კარის და კარნიფორის ქვეყნების შემომტკიცება, ანაკოფიის გამოსხნა და ა.შ.), რაც სამხედრო წარმატებებთან ერთად, როგორც ჩანს, სელჩუკების შემოტევებისაგან შესუსტებული ბიზანტიის იმპერიასთან პარტნიორობა-თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომმა გაღრმავებამ განაპირობა (ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზურაბ პაპასვირი**. შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. *საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში*. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991, გვ. 33-42), მაგრამ XI ს. 70-იანი

წლების II ნახევრიდან თურქ-სელჩუკთა აგრესიის გაძლიერებამ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუარესა. 1080 წლიდან დაწყებულმა თურქ-სელჩუკთა პერიოდულმა შემოსევებმა („დიდი თურქობა“) კი ქვეყანა საბოლოოდ წელში გატეხა. ვერ გაამართლა გიორგი II-ის იძულებითმა დიპლომატიურმა ინიციატივამ, სულტნის უზენაესობის აღიარებისა და ხარკის გადახდის საფასურად უზრუნველყო „დიდი თურქობის“ შეწყვეტა და იმჟამად ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტის – კახეთ-ჰერეთის შემოერთების საქმეში სელჩუკთა სულტნის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა მოეპოვებინა.

ისპაჰანიდან მობრუნებულმა საქართველოს მეფემ ვერც კახეთ-ჰერეთი შემოიერთა და ვერც „დიდი თურქობა“ აღკვეთა. ქვეყანა ღრმა კრიზისმა მოიცვა. ეს კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა დამანგრეველმა მიწისძვრამ (პერიოდულად გრძელდებოდა მთელი წლის განმავლობაში), რომელმაც „შედრა ქუეყანა საფუძველითურთ, ესე-ოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მადალნი და კლდენი მყარნი სახედ მტურისა დაიგაღნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლნი დაინთქნეს და დაზულეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკვდრთა“. აი ასეთ უმძიმეს ვითარებაში „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად შუბმან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით“ (ქართლის ცხოვრება. ტ. I ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **სიმონ ყაუხჩიშვილის** მიერ. თბილისი, სახელგამი, 1955, გვ. 323). თუმცა, მემატიაზე ხაზს უსვამს იმას, რომ დავითს „თვთ მამამან დაადგა გვრგვნი მეფობისა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 324), მაგრამ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას სავსებით სამართლიანად შეაქვს ეჭვი დავითის ისტორიკოსის ამ განცხადების რეალურობაში. თითქმის საყოველთაოდაა აღიარებული, რომ გამოცდილი გიორგი II-ის ნაცვლად ჯერ კიდევ „უმწიფარი“ (მხოლოდ 16 წლის) ჭაბუკის გამეფება მთლად ჩვეულებრივი მოვლენა არ უნდა იყოს და, რომ იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის ეს ნაბიჯი უდავოდ ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობით იყო ნაკარნახევი.

ამრიგად, საქართველოს ახალგაზრდა მეფემ ჩაიბარა უკიდურესად დაუძლურებული ქვეყანა, რომლის სავალალო მდგომარეობას ასე ასახავს მემატიაზე: „მოოჭრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მჭევნი და ნადირნი ველისანი დაემკვდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზუდა მკვდრთა ქუეყანისათა, მუუსწორებელი და აღმატებული ოდეს-ვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოჭრებათა-

სა. რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თვსთა, ხოლო საკურთხმველნი ღმრთისანი ადგილად არა-წმიდებისა მათისა. და მდღელნი რომელნი-მე თვთ შეწირვასა-ვე შინა საღმრთოსა მსხუერპლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღირივნეს მუფისათა თანა და რომელნი-მე მწარესა ტყუობასა მიცემულ იქმნეს, მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუთვებულ, ხოლო ჩივლნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი. ნაცვლად წყლისა ნაკალთთა, მრწყველნი ქუეყანისანი ... მოოჯრებულ იყო ქართლი და თვნიერ ციხეთა სადა-მე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არ-ცა-რა მენებულობა...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 320).

ე.ი. ქვეყანა გაუკაცრიელებული და ეკონომიკურად მთლიანად დაქცეული ყოფილა. მაგრამ მთავარი მაინც იყო ის, რომ სამეფო ხელისუფლება საერთოდ ვერ აკონტროლებდა აღმოსავლეთ საქართველოს, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ იყო კახეთ-ჰერეთის სამეფო, თბილისი და მისი შემოგარენი (თბილისის საამირო). გარდა ამისა, ის ნაწილიც კი („თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი მისი ქუეყანა“), რომელიც ფორმალურად „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის იურისდიქციის ქვეშ იყო, რეალურად მას არ ემორჩილებოდა, რადგან ამ მხარის გამგებელი ლიპარიტ ბაღვაში „მეფესა დავითს წინაშე იყო რეცა ერთგულად“. სწორედ ამან ათქმევინა დავითის ისტორიკოსს: „და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 324, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). მეფე ფაქტობრივად ვერც კი გადმოდიოდა ლიხსაქეთ.

საისტორიო წყაროებში სრული ღუმილია დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ 4 წელიწადზე, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ ამ პერიოდში მაინცდამაინც რაიმე ღირშესანიშნავი არაფერი მომხდარა. მხოლოდ მას შემდეგ რაც „გარდაჰდა წელიწადი ოთხი“ გადაუდგამს ახალგაზრდა მეფეს პირველი ნაბიჯები აღმოსავლეთ საქართველოში ფეხის მოსაკიდებლად (აღსანიშნავია, რომ ამას მემატიაწვე ერთმნიშვნელოვნად სელჩუკთა დიდი სულთნის მალიქ-შაჰის სიკვდილს უკავშირებს). მან შეუტია ლიპარიტ ბაღვაშს, მაგრამ დავითის მცდელობა „გაეწვრთნა“ კლდე-კარის ურჩი ერისთავი ამ ეტაპზე უშედეგოდ დასრულდა, რის შემდეგაც მეფემ ამბოხებული ფეოდალი „მეორესა წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელსაჲს ყო, და საბერძნეთს გაგზავნა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 325). ე.ი. ლიპარიტ ბაღვაშის პრობლემის გადაჭრას სამეფო ხელისუფლე-

ბამ სულ ცოტა 6 წელი მოანდომა. 1099 წელს კი (ამ და ზოგიერთი სხვა მოვლენის თარიღი მოცემულია აკადემიკოს როინ მეტრეველის მიერ დაზუსტებული ქრონოლოგიის მიხედვით. იხ. **როინ მეტრეველი**. ქრონოლოგიის საკითხები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002), მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა „აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია“ დავითმა ხარკი შეუწყვიტა სელჩუკებს. გარდა ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური ფონისა ეს შესაძლებელი გახდა იმიტომაც, რომ ამ დროისათვის „მოქმენა ქუყანა ქართლისა... და განამრავლნა (მეფემ – **ზ.პ.**) სპანნი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 326).

სელჩუკთა უღლის გადაგდების შემდეგ დავით აღმაშენებელმა წამოიწყო კამპანია კახეთ-ჰერეთის შემოსამტკიცებლად, რაც წარმატებით დააგვირგვინა 1104 წელს, ანუ გამეფებიდან 15 წლის თავზე. ამას წინ უძღოდა სერიოზული წარმატებები ფეოდალური არისტოკრატის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ იყო და რატი ბაღვაშის სიკვდილის შემდეგ (1103 წლის ახლო ხანებში), რითაც „დასრულდა სახლი ბაღვივაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ ... არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვდრი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 326), მან კლდეკარის საერისთავო გააუქმა და ბაღვაშთა საგვარეულოს მამულიც („მამული ლიპარიტეთი“ – არგვეთი) „აღიღო“, ხოლო შემდეგ დავითმა ბოლო მოუღო აბულეთის-ძეთა ოპოზიციურად განწყობილი დიდგვაროვანთა სახლის დესტრუქციულ ქმედებებს და მამულები ჩამოართვა ძაგან აბულეთის-ძეს.

სახელმწიფო ხელისუფლების გაძლიერების გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა წესრიგის დამყარებას ეკლესიაში, „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნი-ვე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა. და თვთ სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 327). უშუალოდ მეფის ინიციატივით მოწვეულმა (1104 წ.) რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო: „უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს, და შაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან... და მათ წილ ქუმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინნეს“. მემატიანის განმარტებით ეს არც თუ ისე ადვილი საქმე ყოფილა, „რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები“ (ქართლის

ცხოვრება, ტ. I., გვ. 328) ამ მიმართულებით კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო *მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის* თანამდებობის დაწესება. აღნიშნული ღონისძიებებით დავით აღმაშენებელმა ალაგმა ეკლესიის წიაღში მოკალათებული ოპოზიცია („*მთავართა და წარჩინებულთა შვილნი*“) და ეკლესიაზე სახელმწიფოს სრული კონტროლი დაამყარა.

უმკაცრესი ზომები იქნა გატარებული ქვეყნის საშინაო და საგარეო უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი მართლწესრიგის დაცვის სფეროში. ამ სამსახურს კურირებდა *მანდატურთუხუცესის* სახელო თავისი სამეთვალყურეო აპარატით, რომლის მეშვეობით მეფეს „*არა-რა შორიელი არ-ცა სამეფოთა შინა მისთა, არ-ცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი თქმული, – არა-რა დაეფარვოდა ყოვლად-ვე, არამედ რაოდენ-ცა ვის ფარულად ექმნის ანუ თუ ეთქვს, ყოველი-ვე ცხად იყო წინაშე მისსა...*“. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ თვით ინტიმურ წრეში („*თუ მუდლესა და ცხედრულსა თვსსა თანა, ანუ მოყუასსა თვსსა, გინა ყრმათა თვსთა თანა*“) ნათქვამიც კი „*პირით აღმოსლვასა-ვე თანა სიტყვასა*“ ცნობილი იყო „*უეჭულად წინაშე მეფისა ... და მრავალნი განპატიჟებულ-ცა იყვნეს და მხილებულ ესე-ვითართათვს. ამისთვს-ცა ვერ ოდეს ვინ განიზრახა დალატი რადთურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო*“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 354-355). ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მემატიანეს თითქოს ერთგვარად ეხამუშება მეფის მიერ ამ სფეროში დაშვებული „ზღვარგადასული“ სიმკაცრე და ცდილობს ეს სახელმწიფოებრივი ინტერესებით გაამართლოს („*ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას ცნობდა, თუ რა სარგებელი ჰოვის ამათ მიერ... დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით...*“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 355).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, **დავით აღმაშენებელმა, სანამ სელჩუკების წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდოდა, დაახლოებით 15 წელიწადი ქვეყნის მოშენება-დალაგებას და სამეფო ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებას შეაღია**, რაც ფეოდალურ (როგორც საერო, ისე სასულიერო) ოპოზიციასთან უმწვავესი ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო „დიდი ძლევა“: 1104 წელი – *ერწუხი*; 1110 წელი – *სამშვილდის* შემოერთება; 1115 წელი – *რუსთავის* შემოერთება; 1117 წელი – *ციხე-ქალაქ გიშის* დაკავება და *ჭერეთის* საბოლოო შემომტკიცება. ამით დასრულდა სელჩუკთა წინააღმდეგ გამანთავისუფლებელი ომის პირველი ეტაპი და საქართველოს მე-

ფემ დაიწყო მზადება უფრო მასშტაბური სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად და სელჩუკთა უკვე მთლიანად აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან განსადევნად.

ამისთვის საჭირო გახდა ქვეყნის შეირადებული ძალების ძირეული რეფორმირება, რაც პირველ რიგში გულისხმობდა მის მნიშვნელოვან რიცხოვნობრივ გაზრდას. ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა განახორციელა იმ პერიოდისათვის სრულიად უპრეცედენტო აქცია – სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან გადმოსახლა 200 ათასი ყივჩაყი და მათგან შექმნა 40 ათასიანი მუდმივი ლაშქარი (1118-1120 წწ.). სწორედ ყივჩაყებისაგან შემდგარი ცხენოსანი ჯარი გახდა საფუძველი საქართველოს ისტორიაში პირველი რეგულარული არმიისა. საქართველოს მეფის ამ, ერთი შეხედვით, სარისკო გადაწყვეტილებამ (რომელსაც, როგორც ჩანს, ყველა არ იწონებდა) უდავოდ გაამართლა, ვინაიდან „*მათითა ჳელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი, და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუყანისათა, და მათითა თანა-დგომითა ქმნა საქმენი დაურწმუნებელნი*“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I., გვ. 336). 1117-1120 წლებში დავით აღმაშენებელმა დაიწყო სელჩუკებისაგან მეზობელი შირვანის გაწმენდა, რომელსაც მოჰყვა „*ძლევაჲ საკრველი*“ დიდგორის ველზე 1121 წელს და „*ოთხას წელ ქონებული სპარსთა*“ თბილისის შემოერთება 1122 წელს. 1123-1124 წლებში კი დავით აღმაშენებელმა განავითარა მძლავრი შეტევა შირვანისა და ანისის მიმართულებით და ორივე ქვეყანა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში მოაქცია. **ასე შეიქმნა დავითის საქართველო „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე“. ყოველივე ამას კი დიდმა მეფემ 36 წელი მოანდომა.**

გადმოვიდეთ XX ს. მიწურულისა და XXI ს. დამდეგის საქართველოში. ედუარდ შევარდნაძის მმართველობა საქართველოში ძლიერ წააგავს გიორგი II-ის მეფობას. ის ქვეყნის სათავეში (ხელმეორედ) მეტად კრიზისულ სიტუაციაში – კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის შედეგად გამოწვეული მწვავე სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე – მოვიდა. ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი იმედით შეხვდა, გამოცდილი პოლიტიკოსის, მსოფლიო პოლიტიკურ ელიტაში მიღებული პიროვნების, რომლის ღვაწლს ცივი ომის დასრულებაში უპირობოდ აღიარებდა მთელი დემოკრატიული სამყარო, სამშობლოში დაბრუნებას და ერთნიშნად დაუკავშირა მის სახელს ახალბედა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პერსპექტივა.

თავდაპირველად, მართლაც, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ე. შე-

ვარდნაძე ნამდვილად შეძლებდა დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრას და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას. ჯერ იყო და მოიხსნა ყოველგვარი გაუგებრობები საერთაშორისო არენაზე საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ცნობა-აღიარების გზაზე და საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი გახდა (როგორც ცნობილია, ეს პროცესი ოფიციალურად 1992 წ. 31 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის გაეროში გაწევრიანებით დასრულდა), ხოლო 1992 წ. შემოდგომაზე ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა თითქოს დააკანონა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლება. მაგრამ ამით კრიზისი არ ამოწურულა. ვერც აფხაზეთში დაწყებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა ვერ მისცა იმპულსი დაპირისპირებული მხარეების შერიგებას და ვერ იქნა მიღწეული საერთო-ეროვნული კონსოლიდაცია, რაც, საბოლოო ჯამში, გახდა კიდევ აფხაზეთში განცდილი კატასტროფის მთავარი მიზეზი.

მართალია, პირველ ხანებში, ქვეყანაში შეიმჩნეოდა ერთგვარი სტაბილიზაცია (კრიმინალური თარეშის ალაგმვა, დანგრეული ეკონომიკის აღდგენის დაწყება, ახალი კონსტიტუციის მიღება და ა.შ.) და საერთაშორისო არენაზეც გარკვეული წარმატებები (საქართველოს გაწევრიანება ევროსაბჭოში, ეუთოს სტამბულის სამიტის გადაწყვეტილებები, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ახალი პერსპექტივები შექმნა) იქნა მოპოვებული, მაგრამ მოგვიანებით კრიზისმა (მისი პირველი ნიშნები 1998 წ. გალის ცნობილი ავანტიურის შემდეგ გამოიკვეთა) კვლავ იჩინა თავი, დაახლოებით 2000 წლიდან კი ქვეყანა სრულმა ქაოსმა მოიცვა.

ეკონომიკის მოშლა; კორუფციის არნახული მასშტაბები სახელმწიფო მმართველობის მთელ ვერტიკალზე, რის შედეგადაც ჩალის ფასად გაიყიდა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეები; ფინანსური განუკითხაობა შემოსავლების აკრეფის სფეროში; სახელმწიფო ბიუჯეტის პერმანენტული სეკვესტრი; თვეობით და წლობით გაუცემელი ისედაც მიზერული პენსიები და ხელფასები; უმძიმესი კრიმინალური ვითარება სამართალდამცავი სტრუქტურების დანაშაულებრივი უმოქმედობის ფონზე; დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა; ცენტრალური ხელისუფლების სრული კაპიტულაცია აჭარის ხელმძღვანელობის ანტიკონსტიტუციური ქმედებების წინაშე, რამაც ქვეყანაში კიდევ ერთი უმართავი რეგიონის გაჩენის რეალური საფრთხე შექმნა და ა. შ. ესაა საქართველოს სახელმწიფოს ზოგადი სურათი 2003 წლის ნოემბრისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, მოსახლეობის უკმაყოფილებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ნდობა ხელისუფლებისადმი ფაქტობრივად ნულის ტოლი გახდა. ასეთ ვითარებაში, შევარდნაძე-აბაშიძის რეჟიმის მცდელობა საპარლამენტო არჩევნების უპრეცედენტო და გამომწვევი გაყალბების გზით შეენარჩუნებინა ხელისუფლება, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. ეს იყო ბოლო წვეთი, რომელმაც აავსო ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოთმინების ფიალა. ქვეყანა მოიცვა საყოველთაო მშვიდობიანმა საპროტესტო აქციებმა, რაც ვარდების რევოლუციითა და ხელისუფლების სათავეში ახალი ენერგიული ლიდერის მიხეილ სააკაშვილის მოსვლით დასრულდა.

ამრიგად, მიხეილ სააკაშვილს დაახლოებით იგივე პრობლემები დახვდა ქვეყანაში, რაც დავით აღმაშენებელს. მსგავსებაა იმაშიც, რომ მ. სააკაშვილი ისევე, როგორც დავით მეფე, ხელისუფლების სათავეში მოვიდა თავისი წინამორბედის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის შედეგად, რაც თავისთავად უდავოდ შეიცავდა მწვავე პოლიტიკური კრიზისის გარკვეულ საფრთხეს. მაგრამ იმდენად საყოველთაო აღმოჩნდა მოსახლეობის ნდობა ახალი ლიდერის მიმართ, რომ პოლიტიკური ელიტის ოპოზიციურად განწყობილ ნაწილს არავითარი შანსი არ ღარჩა, წამოეწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ.

თვით ასლან აბაშიძეც კი იძულებული გახდა, ხელი აეღო დაუმორჩილებლობის მცდელობაზე (*მხედველობაში გვაქვს პარლამენტის თავმჯდომარესთან მისი სატელეფონო საუბარი, რომელშიც ის ღიად იმუქრებოდა, გამოეყვანა აჭარა საქართველოს სახელმწიფოს ოურისდიქციიდან*) და ოფიციალურად ეცნო ახალი ხელისუფლება (*რისი დემონსტრირება იყო 2004 წ. 25 იანვარს, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალის ფარგლებში ბათუმში ჩატარებული სამხედრო აღლუმი*). ამით დაიწყო ჩვენი დროის ლიბარტი ბაღვაშის პოლიტიკური განიარაღების პროცესი, რომელიც სულ რაღაც 3 თვეში (2004 წ. 6 მაისს) ა. აბაშიძის ავტორიტარული რეჟიმის მშვიდობიანი დამხობით და აჭარაზე სრული სახელმწიფოებრივი კონტროლის აღდგენით დასრულდა. ეს იყო ახალი ხელისუფლების პირველი სერიოზული გამარჯვება ქვეყნის ერთიანობის რეალურად აღდგენის გზაზე. მართალია, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის დამყარების მიზნით გადადგმული მეორე ნაბიჯი ცხინვალის რეგიონში წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ როგორც სეპარატისტები ისე მათი ჩრდილოელი მფარველები მიხვდნენ, რომ

ამიერიდან სხვა საქართველოსთან ჰქონდათ საქმე.

გაცილებით უფრო ეფექტური და, რაც მთავარია შედეგიანი იყო სახელმწიფო მართლწესრიგისა და კანონიერების დამყარება კოდორის ხეობაში. კოდორის ხეობის ზემო ნაწილი, ანუ აფხაზეთის სვანეთი, როგორც ცნობილია, 1993 წ. სექტემბრიდან, ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ერთადერთი რეგიონი იყო აფხაზეთში, რომლის მართვის უფლება რატომღაც ჩამოერთვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ სტრუქტურებს (?!). შექმნილი იყო სრულიად პარადოქსული სიტუაცია: არსებობდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ ერთადერთ კანონიერ სტრუქტურად აღიარებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური (დევნილი) ხელისუფლება, მაგრამ მას არ ჰქონდა თვით იმ ერთადერთი რეგიონის მართვის უფლება, რომელზედაც რეალურად ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია და მისი მართვა-გამგეობა პრეზიდენტის რწმუნებულს ჰქონდა ჩაბარებული. უფრო მეტიც, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ხეობაში საერთოდ არ უშვებდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების პირველ პირებს. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც, უშუალოდ პრეზიდენტის რწმუნებულის განკარგულებით აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის *ლონდერ ცაავასა* და მთავრობის წევრების დაკავებისა და მათზე ფიზიკური ძალადობის სამარცხვინო ფაქტი, რომელმაც საქვეყნოდ მოჭრა თავი არა მართო კოდორის ხეობას, არამედ მთლიანად საქართველოს.

ეს იყო ე. შევარდნაძის ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის პრობლემისადმი, ზედაპირული, ანტისახელმწიფოებრივი მიდგომის ნათელი გამოვლინება, რომელსაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა. 1994-2003 წლებში ხეობა სრულმა განუკითხაობამ მოიცვა. პერმანენტული ხასიათი მიიღო კაცის კვლამ (ამ ხნის მანძილზე რეგიონში ურთიერთ-გარჩევების შედეგად დაიღუპა ათეულობით ადგილობრივი მკვიდრი), ადამიანების (მათ შორის გაერო-ს თანამშრომლების) გატაცებამ გამოძალვის მიზნით, ქურდობა-ყაჩაღობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ერთი სიტყვით, **კოდორის ხეობაში სახეზე იყო ქართული სახელმწიფოებრიობის სრული დისკრედიტაცია, რასაც, ბუნებრივია, ვერ მოითმენდა ნებისმიერი ნორმალური ხელისუფლება.** ამიტომაც, ისარგებლა რა ე. შევარდნაძის მიერ დანიშნული რწმუნებულის ამბოხით, საქართველოს ახალმა ლიდერმა განახორციელა სამაგალითო პოლიციური ოპერაცია და ერთი ხელის მოსმით ბოლო მოუღო ამ პოლიტიკურ-სამართლებრივ ბაკქანალიას. კოდორის ხეობა გამოცხადდა *ზემო აფხაზეთად* და აფხაზეთის ავტონომიური რეს-

პუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ოფიციალურ ადგილსამყოფელად. უმოკლეს ვადაში შეიქმნა საჭირო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდა კომუნიკაციები, დამყარდა სანიმუშო წესრიგი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ის პატარა სასწაული (არ მოვერიდები ამის თქმას), რაც მოახდინა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ზემო აფხაზეთში, არის ნამდვილი გარღვევა, პირველი რეალური განაცხადი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ურთულეს გზაზე. სწორედ ასე აღიქვას ეს, სეპარატისტულმა რეჟიმმა და მისმა მფარველებმა მოსკოვში. ამის ნათელი დადასტურებაა მათ მიერ ატეხილი ისტერიკა.

ამავე კუთხით არანაკლებ წინგადადგმული ნაბიჯია მეორე სასწაული, ამჯერად უკვე ცხინვალის რეგიონში. წლების მანძილზე, როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებას მთლიანად მიშვებული ჰქონდა სიტუაცია ამ რეგიონში და იქაური მოსახლეობა ფაქტობრივად ბედის ანაბარად იყო მიტოვებული. არ არსებობდა რაიმე ადმინისტრაციული სტრუქტურა, რომელიც მეტ-ნაკლებად გააკონტროლებდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ნაწილს მაინც. მოშლილი სახელმწიფოებრიობის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა ცნება „ცხინვალის ზაცია“. ახალმა ხელისუფლებამ ქმედითი ღონისძიებები გაატარა ამ მიმართულებით. მან კარგად გამოიყენა ცხინვალის ხელისუფლების შიგნით არსებული წინააღმდეგობები, აქტიურად დაუჭირა მხარი ოსი ლიდერების ჯანსაღ ნაწილს და შექმნა რეგიონის ალტერნატიული ადმინისტრაცია ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ყოფილი „პრემიერის“ დიმიტრი სანაკოევის ხელმძღვანელობით. რეგიონის ახალმა ხელმძღვანელობამ ცენტრალური ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით უმოკლეს ვადაში შეძლო მეტად მიმზიდველი პროექტების განხორციელება. შედეგად უკვე მიღწეულია პირველი თვალსაჩინო წარმატებები მხარის ეკონომიკური აღორძინების გზაზე. გარდა ამისა, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციის შექმნამ ძირეულად შეცვალა ძალთა განლაგება რეგიონში. ქართული მხარე ამიერიდან უკვე აღარ არის მოჩვენებითი, არაფრის მომცემი სამშვიდობო მოლაპარაკებების პასიური მონაწილე, რაც ცალკე ეღუარდ კოკოითის რეჟიმის, ცალკე კი კრემლის მესვეურთა უკიდურეს გაღიზიანებას იწვევს.

მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პირველი 4 წლის განმავლობაში საგრძნობია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, რისი უპირველესი გამოხატულებაა სულ ცოტა 5-ჯერ გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტი. წარსულს ჩაბარდა უშუქობა, უგზოობა, მწყობრში ჩადგა თბილისისა და ბა-

თუმის საერთაშორისო აეროპორტები. ყოველივე ეს კი ქვეყნის საერთო-ეკონომიკური აღმავლობის, სერიოზული ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ბიზნეს-პროექტების წარმატებით განხორციელების მთავარი პირობაა. თბილისი, ბათუმი, საქართველოს სხვა ქალაქები მოიცვა სამშენებლო ბუმმა. ევროპული დონის ქალაქ-მუზეუმად გადაიქცა *სიდნაღი*. ამოქმედდა არაერთი ახალი საწარმო, რომელშიც უამრავი ადამიანი დასაქმდა. გაიხსნა ათეულობით სპორტული დარბაზი და მოედანი, განახლდა და კეთილმოეწყო პარკები, სკვერები და ა. შ. ესაა მხოლოდ მცირედი ჩამონათვალი იმ აღმშენებლობითი საქმეებისა, რომელიც დაიწყო ვარდების რევოლუციის შემდეგ და, რომლის უარყოფა, ალბათ, ყველაზე აკვიატებულ ოპონენტსაც კი არ შეუძლია.

მართალია, ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის კრიტიკის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ განათლებისა და მეცნიერების სფეროში გატარებული რეფორმები იქცა, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ ამ მიმართულებითაც ბევრი რამ კარგი გაკეთდა. რად ღირს თუნდაც უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციისა და ლიცენზირების ახალი წესის შემოღება, რომელმაც ბოლო მოუღო აღნიშნულ სფეროში არსებულ ანარქიასა და განუკითხაობას. საკმარისია ითქვას, რომ ერთი პროცედურის ჩატარებით ქვეყანაში მოქმედი 250-მდე (!) სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლების რიცხვი განახევრდა. თავისი არსით ასევე უდავოდ რევოლუციური იყო უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების არსებული მანკიერი სისტემის მოშლა და ეროვნული გამოცდების დაწესება. დღეს საქართველოში ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ მოსწონდეს ეს სიახლე.

არც ისაა სწორი, თითქოს მ. სააკაშვილის ხელისუფლება „ანგრევდეს“ ქართულ მეცნიერებას. ამგვარი განცხადებების ავტორები ძირითადად აპელირებენ მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებიდან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გამოყვანისა და მათი დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიული პირად გარდაქმნით. სინამდვილეში, როგორც გაირკვა, ამ სიახლის მთავარი მიზანი მეცნიერული კვლევების მენეჯმენტის შემდგომი სრულყოფა და გაუმჯობესება იყო. შედეგად, ამჟამად, ჭეშმარიტ მეცნიერებს (და არა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა თუ ლაბორატორიებში მოკალათებულ არაფრის მაქნის ე.წ. „მეცნიერ-თანამშრომლებს“, რომლებიც, უმეტესწილად, სამსახურში მხოლოდ ხელფასის ასაღებად მოდიოდნენ) ბოლო 50 წლის განმავლობაში, ალბათ პირველად ექმნება მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობები სამეცნიერო-კვლევით

თი საქმიანობისათვის გაცილებით უფრო მაღალი (თუმცა საერთაშორისო სტანდარტებისაგან ჯერ კიდევ ძალზე დაშორებული) სახელფასო ანაზღაურებით.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ქართველელოგიური კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მაგალითს. 2006 წელთან შედარებით ინსტიტუტის დაფინანსება თითქმის 2-ჯერ გაიზარდა და 2008 წელს 324 ათასს მიაღწია. ამასთან, 3 ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა მეცნიერთანამშრომელთა ხელფასი. ასე მაგალითად, თუ 2004 წლამდე მეცნიერებათა დოქტორის, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის ხელფასი არ აღემატებოდა 100 ლარს, ამჟამად ის შეადგენს 380 ლარს, ხოლო განყოფილების გამგე (მეცნიერებათა დოქტორი) ადრინდელი 150 ლარის ნაცვლად, დღეს უკვე 500 ლარს იღებს. მართალია, ხელფასების ასეთი მატება საერთო დაფინანსების გაზრდასთან ერთად განაპირობა მეცნიერ-მუშაკთა კონტინენტის შემცირებამ, მაგრამ სახელმწიფოს არც დათხოვნილი თანამშრომლები დაუტოვებია სრულიად უსახსროდ, მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (50 წელს გადაცილებულებმა) ფაქტობრივად შეინარჩუნა (სტიპენდიის სახით) თავისი ხელფასი.

რასაკვირველია, მეცნიერების მართვის სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი და გასამართი (თუნდაც სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად მოწყობილი კონკურსების არსებული პროცედურა), მაგრამ ის, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ნამდვილად ზრუნავს მეცნიერების განვითარებაზე და მეცნიერთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ცხადზე უცხადესია. ამ მხრივ უდავოდ საეტაპო მოვლენაა ბოლო დროს მიღებული კანონი მეცნიერებათა აკადემიის შესახებ, რომლის მიხედვით **მეცნიერებათა აკადემიას ოფიციალურად დაეკისრა საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩევლის ფუნქცია, ხოლო მის წევრებს მთელი სიცოცხლის მანძილზე დაენიშნათ ყოველთვიური ხელფასი 1600 (ნამდვილ წევრებს) და 1000 (წევრ-კორესპონდენტებს) ლარის ოდენობით, რაც პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.**

არანაკლებ ზრუნვას იჩენს დღევანდელი ხელისუფლება ხელოვნებისა და სპორტის მიმართ. ერთი-ორად გაიზარდა სახელმწიფო თეატრების დაფინანსება. გაცილებით უფრო მეტი სახსრებია გამოყოფილი კულტურის ძეგლების აღდგენითი სამუშაოებისათვის. სრულიად უპრეცედენტოა ბოლო 4 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ გაწეული მუშაობა

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განსავითარებლად. ამის დასტურია, თუნდაც მთელი საქართველოს მასშტაბით გახსნილი ათეულობით სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, თუ სპორტული მოედანი.

მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პირველი 4 წლის მთავარი მონაპოვარია მოშლილი, დისკრედიტირებული სახელმწიფოებრიობის გამართვა-განმტკიცება, რომელიც ყველაზე მკაფიოდ მაინც შეიარაღებულ ძალებსა და სამართალდამცავ ორგანოებში განხორციელებულ რეფორმებში გამოვლინდა. საქართველოს სახელმწიფოს, ალბათ, ბოლო 7-8 საუკუნის განმავლობაში (უფრო ზუსტად, გიორგი V ბრწყინვალეს შემდეგ) პირველად ჰყავს ეპოქის სტანდარტების შესაფერისი, უახლესი საბრძოლო აღჭურვილობით შეიარაღებული ჯარი, რომელიც გარდა იმისა, რომ ქვეყნის საგარეო უსაფრთხოების გარანტია, მნიშვნელოვან საერთაშორისო ფუნქციასაც ასრულებს (სამშვიდობო ოპერაციები ერაყსა და კოსოვოში). ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამჟამინდელი ქართული ჯარი განახლებული საქართველოს, ძლიერი სახელმწიფოებრიობის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა.

ასევე უმაღლეს სტანდარტებს პასუხობს ქვეყნის უშიშროების სამსახური. მართალია, ზოგიერთებს აღიზიანებს ე.წ. „მოსმენები“ და ამას ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ნორმების დარღვევად მიიჩნევს, მაგრამ მათ რატომღაც ავიწყდებათ, რომ სამეთვალყურეო საქმიანობა ნებისმიერი სახელმწიფოს აუცილებელი ფუნქციაა და, რომ ამას მოითხოვს სახელმწიფოს შიდა და საგარეო უსაფრთხოების ინტერესები (გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის დონისძიებები ამ მიმართულებით, რაზეც ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღება). ხელისუფლებას არანაკლებ შეუძლია იამაყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების სფეროში მიღწეული წარმატებებით, რომელსაც უზრუნველყოფენ ქართული პოლიცია, სხვა სამართალდამცავი ორგანოები. სწორედ ამ სტრუქტურების დამსახურებაა მთელი ქვეყნის მასშტაბით (სეპარატისტული რეგიონების გამოკლებით) კრიმინალური ვითარების რადიკალური გამოსწორება, რამაც საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა და მათი საქმიანობისათვის ხელსაყრელი გარემო შექმნა.

2004 წლიდან ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობისა და მოშლილი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განმტკიცების სურათი არ იქნება სრული, საგარეო-პოლიტიკურ არენაზე მიღწეული თვალსაჩინო წარმატებების წარმოჩენის გარეშე. მართალია, ვარდების რევოლუ-

ციის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსს ზოგადად რაიმე პრინციპული კორექტირება არ განუცდია და უმთავრეს პრიორიტეტად კვლავ ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია რჩება, მაგრამ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ამ მიმართულებით გაცილებით უფრო ეფექტური ნაბიჯები გადაიდგა. ერთი-ორად გაიზარდა საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი და ის რეალურად იქცა მთავარ პოლიტიკურ მოთამაშედ რეგიონში. უფრო მეტიც, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადოთ: **მთელი თავისი 3 ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, ქართულ სახელმწიფოსა და მის ლიდერს არასოდეს ჰქონია ასეთი მაღალი საერთაშორისო რეიტინგი.**

ამის ნათელი მაჩვენებელია თუნდაც მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფოს მეთაურის მეგობრული ვიზიტი საქართველოში. ეს არის სრულიად უპრეცედენტო ფაქტი საქართველოს ისტორიაში. მანამდე, დიდი სახელმწიფოების პირველი პირები საქართველოში სტუმრობდნენ როგორც დაპყრობილ ქვეყანაში (ამ მხრივ, ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს გვიანდელ წყაროში დაფიქსირებული ბიზანტიის იმპერატორის *ალექსი კომნენოსის* საიდუმლო ვიზიტი დავით აღმაშენებლის კარზე). **აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის თბილისში ვიზიტითა** (ნიშანდობლივია, რომ ეს დიდ პოლიტიკაში სრულიად ახალბედა მიხეილ სააკაშვილის დროს მოხდა და არა მსოფლიო აღიარების მქონე ე. შვეარდნაძის მმართველობის პერიოდში, რომელსაც სხვა ყველაფერთან ერთად აშშ-ის ბოლო სამ პრეზიდენტთან პირადი მეგობრობაც აკავშირებს) **და ჩვენი ქვეყნის აქტიური ჩართვით საერთაშორისო ანტიტერორისტულ კოალიციაში ერაყში** (ქართული შეიარაღებული კონტინგენტი რიცხოვნობით მესამეა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ) **საქართველო ერთბაშად მსოფლიო პოლიტიკის ავანსცენაზე გამოჩნდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სახელმწიფოს ამ მასშტაბით მონაწილეობა მსოფლიო პროცესებში არასოდეს მიუღია.**

საქართველოს სახელმწიფოსა მისი ახალგაზრდა ლიდერის მზარდი საერთაშორისო ავტორიტეტის კიდევ ერთი დემონსტრაცია იყო **მიხეილ სააკაშვილის წარდგენა** (უკრაინის პრეზიდენტ *ვიქტორ იუშჩენკოსთან* ერთად) **ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში**, რომლის ინიციატივით აშშ-ის პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატი, სენატორი *ჰილარი კლინტონი* გამოვიდა. **თუ ყოველივე ამას დავუმატებთ ახლო ხანებში საქართველოს მოსალოდნელ განვითარებას ევროატ-**

ლანტიკურ ალიანსში, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა ეპოქალური ცვლილებების ზღურბლზეა, რომლის იქით დიდი აღმასვლა იწყება, ხოლო ამ წარმატებების ავტორი მიხეილ სააკაშვილი, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, უკვე შესულია საქართველოს (და არამარტო საქართველოს) ისტორიაში.



ამრიგად, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პირველი 4 წლის განმავლობაში ქვეყნის წინსვლა თითქმის ყველა მიმართულებით თვალში საცემია. უფრო მეტიც, **საქართველოს ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე ლიდერი (მით უმეტეს, ხელისუფლების სათავეში ლეგიტიმურობის გარკვეულწილად დარღვევის გზით მოსული), რომლის მმართველობის დასაწყისი ასეთი შთამბეჭდავი ყოფილიყოს.** საქართველომ სერიოზულად იცვალა იერსახე. მას ბოლო ასწლეულების მანძილზე პირველად გაუჩნდა რეალური პერსპექტივა ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული ქვეყნიდან გადაიქცეს წარმატებულ, ეკონომიკურად მძლავრ,

ევროპული ყაიდის დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელსაც ხელეწიფება გადაჭრას მის წინაშე მდგარი ნებისმიერი ამოცანა და შეუქმნას ქართველ ხალხს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსეული პირობები. **სწორედ ეს იწამა საქართველოს მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა, როდესაც 2008 წ. 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარი დაუჭირა ამ დიდი, ჭეშმარიტად დავითისეული განახლების მთავარ შემომქმედს მიხეილ სააკაშვილს.**

რასაკვირველია, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ შორსაა იმ დიდი პერსპექტივისაგან, რომლის კონტურები უკვე ნამდვილად გამოიკვეთა, მაგრამ მიღწეულიც მეტად საგულისხმოა და თუ ამას ვინმე ვერ ამჩნევს (უფრო სწორედ არ უნდა შეამჩნიოს) ეს მისი პრობლემაა და არა ქართველი ერის. **დღეს, საქართველო ნამდვილად მიდის დიდი დავითის გზით.** მერე რა, რომ ეს მხოლოდ გზის დასაწყისია, მერე რა, რომ ამ გზაზე უამრავი წინააღმდეგობა დაგვხვდება. მთავარია, გული არ გავიტუხოთ, პიროვნული ამბიციები გვერდზე გადავდოთ, ერთმანეთს ხელი ხელში ჩაკვიდოთ და ასე ერთიანად ვიაროთ წინ ახალი „ძლევაჲ საკრველისაკენ“...

მაშ ასე, სწორება დავითზე!

ZURAB PAPASKIRI

FOLLOWING DAVID! WHY DO THEY SUPPORT MIKHEIL SAAKASHVILI

Summary

This material was prepared in January-February 2008, immediately after the January 5, 2008 presidential election, but then the author deliberately refrained from publishing it due to the dire political situation in the country. The article presents a general picture of the state-building of Georgia during the first presidency of *Mikheil Saakashvili* (2004-2007). Some parallels are drawn between the situation in Georgia at the beginning of the 21st century and at the end of the 11th century, before the accession to the throne of David the Builder.

ა ვ ტ ო რ ე ბ ი

1. **ზურაბ პაპასქირი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
2. **როინ მეტრეველი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.
3. **ზურაბ ხონელიძე** – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.
4. **ჯამბულ ანჩაბაძე** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამშვიდობო განათლების კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.
5. **ომარ არდაშელია** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
6. **ლუიზა ბესელია** – ეთნოლოგი (სოხუმი).
7. **თამაზ ჩოჩია** – ჟურნალისტი-პუბლიცისტი.
8. **ირაკლი არღვლიანი** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
9. **ლია გაბლიშვილი** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
10. **გურამ ლეგაშვილი** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
11. **ბეჟან ხორავა** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
12. **ოთარ გოგოლიშვილი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
13. **სერგო ვარდოსანიძე** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
14. **ლევან სამსონია** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
15. **ლევან ჯიქია** – ისტორიის დოქტორი (თბილისი).
16. **ნოდარ ბერულავა** – ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
17. **კონსტანტინ რახნო** – ისტორიის დოქტორი, *ოპოშნოეს უკრაინული კერამიკის ეროვნული მუზეუმ-ნაკრძალის* წამყვანი მკვლევარი (*ოპოშნოე*, უკრაინა).

18. **აჰმეთ იჩლი** – ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორი (თურქეთის რესპუბლიკა).
19. **დავით ხუფენია** – საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.
20. **ზაალ გოგენია** – ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.
21. **ხათუნა ლაგაზიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
22. **ბორიშ შურდია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
23. **ოთარ კონჯარია** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

AUTHORS

1. **Zurab Papaskiri** – Doctor of Historical Sciences, Professor of Sokhumi State University.
2. **Roin Metreveli** – Doctor of Historical Sciences, Professor of St. Andrew the First-Called Georgian University of the Georgian Patriarchate, Vice-President of the Georgian National Academy of Sciences, Academician.
3. **Zurab Khonelidze** – Doctor of Political Science, Rector of Sokhumi State University.
4. **Jambul Anchabadze** – Ph.D. in History, Researcher of the Peace Education Research Center of Sokhumi State University.
5. **Omar Ardashelia** – PhD in History, Professor of Sokhumi State University.
6. **Luiza Beselia** – Ethnologist (Sukhumi).
7. **Tamaz Chochia** – Journalist-Publicist.
8. **Irakli Arghvliani** – PhD student of Sokhumi State University.
9. **Lia Gablishvili** – PhD student of Sokhumi State University.
10. **Guram Legashvili** – PhD student of Sokhumi State University.
11. **Bezhan Khorava** – PhD in History, Associate Professor of Sukhumi State University.
12. **Otar Gogolishvili** – Doctor of Historical Sciences, Professor of Batumi Shota Rustaveli State University.
13. **Sergo Vardosanidze** – Doctor of Historical Sciences, Professor (Tbilisi)
14. **Levan Samsonia** – PhD student of Batumi Shota Rustaveli State University.
15. **Levan Jikia** – PhD in History (Tbilisi).
16. **Nodar Berulava** – Doctor of History, Associate Professor of Sukhumi State University.
17. **Kostyantyn Rakhno** – PhD in History, Leading Researcher of *The National Museum of Ukrainian Pottery in Opishne* (Opishne, Ukraine).
18. **Ahmet Ichli** – PhD in Philology, Professor of Batman University (Republic of Turkey).
19. **Davit Khupenia** – PhD in International Relations, Assistant Professor of the Georgian Technical University.
20. **Zaal Gogenia** – PhD in History, Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
21. **Khatuna Lagazidze** – Ph.D. Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
22. **Bocho Shurgaia** – Ph.D. Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
23. **Otar Konjaria** – PhD student of Sokhumi State University.

ავტორებისათვის

კრებულში გამოსაქვეყნებლად გამოგზავნილი მასალა უნდა იყოს აკრეფილი Sylfaen-ში (ზომა – 11, ინტერვალი – 1,15). სქოლიო ასევე Sylfaen-ში (ზომა – 10, ინტერვალი – 1,15). უცხო ენებზე აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს აკრეფილი Sylfaen-ში (ძირითადი ტექსტისა და სქოლიოს შესაბამისი ზომებით). სტატიას თან უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (არაუმეტეს 200 სიტყვისა თითოეული).

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“



**თბილისი, 0186. ა. პოლიტკოვსკაიას #4. ტელ. 5(99)17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com**



ISSN 1512-2085